

ბონდო არკველამი

**ლ ე ო ნ
მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე ბ ი**

თბილისი
2002

წიგნში წარმოდგენილი და განხილულია ცნობილი მეცნიერის, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფ. ლეონ შელიქსეთ-ბეგის ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა. მასში გამოქვეყნებულია აგრეთვე უცნობი ქართული და სომხური ხაარქივო მასალები, მეცნიერული ნაშრომები, სტატიები, პირადი წერილები და სხვა.

წიგნის გამოცემის სპონსორია ევგენი შელიქსეთ-ბეგი

კორექტორი
კომპ. უზრუნველყოფა

მანანა შელიქსეთ-ბეგი
გელა ჩადუნაშვილი

ISBN 99928-920-3-X

გამომცემლობა „დედაენა“
თბილისი, რუსთაველის გამზ. №42
E-mail: Dedaena @ geo. nct. ge
ტელ. 92 29 92



ლეონ მელიქსეთ-ბეგი
(1890-1963)

შესავლის მაგიერ

ძმები კაკაბაძეების (ყოფილი მოსკოვის, შემდეგ გ. ლეონიძის) ქუჩის დასაწყისში ერთი ჩვეულებრივი სამსართულიანი სახლი დგას. ქუჩიდან პატარა აივანი აკრავს, უკანა მხარეს კი გრძელი საერთო აივანი გასდევს. თავის დროზე ამ სახლის ეზოს ამშვენებდა მის შუაგულში გამოყვანილი წყლის ონკანი თავისი პატარა აუზით. ეს სახლი გამორჩეულად მხვდება გულზე. მასთან არის დაკავშირებული ჩემი ახალგაზრდობის წლების ერთი პერიოდი. ამ სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა ცნობილი მეცნიერი, პატივცემული პროფესორი ლეონ მელიქსეთ-ბეგი (ლეონ მელიქსეთ-ბეგოვი).

ვინც კი ერთხელ მაინც გასაუბრებია ბ-ნ მელიქსეთ-ბეგს, არ შეიძლება ამ კოლორიტულ პიროვნებას შთაბეჭდილება არ მოეხდინა მასზე. ხუთი წლის განმავლობაში მისი სტუდენტი ვიყავი, კითხულობდა სომხეთისა და სომხური ლიტერატურის ისტორიას. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, ჯგუფში სულ ცხრა სტუდენტი ვიყავით: ლია მიქაძე, მარიამ ბინიაშვილი, გივი შაჰნაზარი, ასმათ გურგენიძე, ლულუ კალანდაძე, ლატაერა სანიკიძე, ეთერ ხუციშვილი, თინა გეგეჭკორი და ბონდო არველაძე. პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა პირველსავე ლექციაზე შინაურული ურთიერთობა დაამყარა ჩვენთან. ჯერ გამოგვიკითხა, ვინ საიდან ვიყავით. ჩემი მშობლიური რაიონის — ხარაგაულის შესახებ გაიხუმრა — კიკნაძეების ბუდეაო. შემდეგ გვესაუბრა ამიერკავკასიის, განსაკუთრებით ქართველი და სომეხი ხალხის ისტორიულ მეგობრობაზე. თანაც ხაზგასმით აღნიშნა ქართული და სომხური საისტორიო წყაროების განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ხალხთა წარსულის შესწავლის საქმეში. დაამთავრა თუ არა ლექცია, ღიმილით მოგვემართა: შინ გეპატიჟებით, შემდეგ

ლექციას ჩემს ბიბლიოთეკაში წაგიკითხავთ.

საგამოცდლო სესიების დროც მოვიდა. აქაც ორიგინალური აღმოჩნდა ჩვენი პროფესორი. ბილეთები გვერდზე გადადო, საგამოცდლო წიგნაკები გამოგვართვა და მაღალი ნიშნები დაგვიწერა, თან გვითხრა — მე თქვენი ცოდნა უკვე ვიცი, რა საჭიროა ზედმეტი ფორმალბაო. 1952 წლის გაზაფხულზე, მთელი ჯგუფი ექსკურსიაზე წაგვიყვანა ერევანში. დილაადრიან უნივერსიტეტის ეზოში მოვიყარეთ თავი, ჩავსხედით პატარა ავტობუსში და გზას დავადექით. სოღანლულთან მისული არ ვიყავით, როცა ახალგაზრდა დოცენტმა, აწ გარდაცვლილმა პროფესორმა გიორგი ფუთურიძემ იაღლუჯის მთის კალთებისკენ გაიშვირა ხელი და ჰკითხა: ბატონო ლეონ, ეს მცირე არმენიის მთებია? ბ-ნი ლეონი ხუმრობას მიუხედა და გულიანად გაიცინა. მთელი გზა მხიარულად ვიმგზავრეთ. ვხუმრობდით, ვმღეროდით... ჩვენი არეული ხმები წესრიგში მოყავდა პროფ. ივ. შილაკაძეს, რომელიც ბანს გვაძღვედა და თან ლოტბარობდა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ერევანი დაგვათვალთვლიერებინა. მასზე უკეთეს ექსკურსიამძღოლს კაცი ვერ ინატრებდა. მეცნიერული სიზუსტით გვიყვებოდა ერევნის ღირსშესანიშნავი ძეგლების ისტორიას. ძველი უბნებიც მოგვატარა, სადაც ალიზის ქოხები ერთმანეთზე იყო გადაბმული. კლდეებს შუა ჩაკლაკინილ მდ. ზანგას გადავხედეთ და არარატის თოვლიანი მწვერვალის ცქერით კარგახანს ვტკებოდით. მახსოვს, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიაში მამინ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი, აკადემიკოსი მერგელიანი გაგვაცნო. სომხური ხელნაწერის ინსტიტუტში ე.წ. მატენადარანში უნიკალურ ხელნაწერთა განყოფილებაშიც შეგვიყვანა. გატაცებით გვესაუბრებოდა უძველესი პერგამენტების მნიშვნელობაზე.

გამოსვლისას მაგიდაზე შთაბეჭდილებების სქელი წიგნი შევნიშნე. გულმა არ მომიტოვინა და გადავფურცლე. უცებ შემომანათა ლამაზად და რაღაც თავისებურად ქართული ასოებით ნაწერმა სტრიქონებმა. ეს იყო გრიგოლ რობაქიძის 20-იან წლებში გაკეთებული ჩანაწერები. გადმოწერაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, გრიგოლ რობაქიძე აკრძალული იყო, როგორც ქართველი ხალხის მტერი. დიდი მწერლის ჩანაწერები ერთხანს მახსოვდა, მაგრამ სამწუხაროდ დრომ მეხსიერებაში თანდათან წაშალა.

ჩვენმა ლექტორმა გაგვაოცა ეჯიმიანიში, როცა სამოციქულო ტაძარში შევედით, სანთლები იყიდა და სასობით ილოცა. შორიხლო ვიდექით და ვუყურებდით. ლოცვა დაამთავრა თუ არა, მოვიდა და თითქოს მოიბოდნა — მე ამ ლოცვით ჩემს ხალხს, მის ისტორიას და კულტურას მივაგე პატივიო. ეს დიდი გამბედაობა იყო მაშინ — 50-იან წლებში, გააფთრებული ანტირელიგიური პროპაგანდის ფონზე, როცა ეკლესიაში ლოცვა კი არა, უბრალოდ შესვლაც კი სასტიკად იყო აკრძალული. ასეთი ნეგატიური საქციელის გამო ყველას მკაცრი სასჯელი ელოდა, მით უმეტეს უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგს. ალბათ, ღეონ მელიქსეთ-ბეგის მორწმუნეობამ და თეოლოგიის საფუძვლიანად ცოდნამ განაპირობა, მოგვიანებით, რომ იგი ერთ-ერთი რეალური კანდიდატი იყო სრულიად სომეხთა კათალიკოსის ტახტზე, როცა გევიორგ V გარდაიცვალა.

ჩვენი პროფესორი განსაკუთრებით გალალდა ეჯიმიანიის ტაძართა დათვალიერების დროს. მაშინ პირველად გავიგეთ ეჯიმიანიის სამოციქულო ტაძრის დაარსების ლეგენდა. ამ ტაძრის პირველი შენობა 301-303 წლებში აუგიათ, მეფე თრდატ III (270-330) და სომეხთა პირველი კათალიკოსის გრიგოლ ლუსაროვიჩის (განმანათლებლის) დროს. ლეგენდის მიხედვით, გრიგოლ განმანათლებელს გამოეცხადა სიზმარში ქრისტე. ძე ღვთისას ცეცხლოვანი ჩაქუჩი ეჭირა ხელში, როცა ციდან დაეშვა და წმ. გრიგოლს მიუთითა ტაძრის აშენების ადგილი. აქედან წარმოსდგა სახელი — ეჯიმიანი, რაც ქართულად ნიშნავს „ძე ღვთის ჩამოსვლის, გამოცხადების ადგილს“. ტაძარში შემორჩენილია „ძე ღვთის გამოცხადების“ ადგილას აგებული საკურთხეველი. არაერთგზის არის გადაკეთებული ტაძარი, რომელიც დღემდე მოღწეულია ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის ტიპის სახით. შემდეგ დაუთვალიერეთ წმ. გაიანეს ტაძარი, აგებული 630 წელს კათალიკოს ეზრას ზეობის ხანაში. ეს ტაძარი წმ. გაიანეს წამების ადგილას არის აშენებული — ერთგვარი ნალველგარეული ხმით გვითხრა ღეონ მელიქსეთ-ბეგმა და ჩვეული სწრაფი ნაბიჯებით წაგვიძღვა წმ. რიფსიმეს ტაძრის სანახავად. ტაძარი ღვას ქალაქის განაპირას, აღმოსავლეთ მხარეს. აშენების თარიღად მიღებულია 618 წელი, კათალიკოს კომიტასის ზეობის დროს (612-621). ამ ტაძრის შესახებ მეტი არა უთქვამს რა, მერე

გავიგე ქართული და სომხური ხუროთმოძღვრების ისტორიის მკვლევართა კამათისა და მსჯელობის საგანი ყოფილა მისი აშენების თარიღი... VII საუკუნის ზეართნოცის ტაძრის ნანგრევებმა გაგვაოცა. ამ ნანგრევებითაც ჩანდა, თუ რა გრანდიოზული ყოფილა იგი თავის დროზე. ისევ ერევნისაკენ მივბრუნდით. თვალი შევავლეთ ერევნის ციხის ნანგრევებს, ერეკლეს თავს, ქართველთა ჭიშკრის ნაშთებს. პროფესორმა ერთ ადგილზე მიგვიითითა — ერთ დროს აქ ქართველთა ეკლესია იდგაო. შთაბეჭდილებებით სავსე თბილისს გამოვწიეთ. სევანის ტბაზე შევისვენეთ. განთქმული იმხანით გავეიმასპინძლდა ჩვენი ლექტორი. ჩვენი რამდენიმე თანამგზავრი ლიმონათს არ დასჯერდა და იმხანს არაყი მიაყოლა. ერთმა ქალბატონმა უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა: „ნახეთ, არაყით გაითხლიშნენო.“ ამის გაგონებაზე ლეონ მელიქსეთ-ბეგი მოგვიბრუნდა და გვითხრა: „იცით, საიდან მოდის „გაითხლიშა“ სიტყვა?“ არ ვიცოდით. აგვიხსნა: „ძველ თბილისში არაყს პატარა, ნათალი ჭიქებით სუამდნენ. ამ სასმისს „თლამოს“ ეძახდნენ. ყარაჩოღელები ხაშს თლამოთი მიაყოლებდნენ ხოლმე არაყს. აქედან წარმოსდგება გამოთქმა — გაითხლიშა, ითხლიშება და ა.შ. სევანს გამოვცდით თუ არა, ერთი პატარა აღმართთან ავტობუსი გაფუჭდა. მძლოლი — ძია კოლა — მანქანის შეკეთებას შეუდგა. ხუფი ახადა და თითქმის შიგ ჩაძვრა. ჩვენ კი მოლოდინში, იქვე მოჩუბჩუხე ნაკადულის პირას ჩამოვსხედით. მახვილესიტყვაობდით, ვიცინოდით, ვლალობდით და დრო გაგვყავდა. ამ დროს ბურჩხე ჩიტი შემოსკუპდა.

— ბატონო ლეონ! ეს ჩიტი სომეხია? — მოჩვენებითი გულუბრყვილობით ჰკითხა ერთმა თანაგგუფელმა.

— რას ამბობთ! — გაცხარდა ლეონ მელიქსეთ-ბეგი. — ჩიტი ჩიტია, სომეხი ჩიტი, ქართველი ჩიტი, ფრანგი ჩიტი ვის გაუგია?

ყველას გულიანად გაგვეცინა.

მოგონებებმა გამიტაცა და ძირითად სათქმელს ცოტა დავეშორდი, თუმცა, ესეც საჭიროა ლეონ მელიქსეთ-ბეგის ბუნების და ხასიათის წარმოსაჩენად. როცა მასზე ვფიქრობ, უპირველესად მისი ბავშვური მიაშიტური ხასიათი მახსენდება. პატარა რამე უხაროდა და ცოტა რამ კი გულს ტკენდა. სწრაფი ლაპარაკი იცოდა. ექსტაზში შეიჭრებოდა, ცეცხლივით წა-

მოენტებოდა და წამოჭარხალდებოდა. სათვალის იქით თვალები გაუფართოვდებოდა და ცხარედ უტევდა ოპონენტს.

— ეს საკითხი მე გამოვიკვლიე, ჯანაშია რა შუაა, ჯანაშია რა შუაა!.. გაწიწმატებული იტყოდა და გადახედავდა აუდიტორიას. ძველი თბილისური ინტონაცია და ლექსიკა ჰქონდა. არც არის გასაკვირი: მისთვის ქვეყნიერება დაიწყო თბილისით და დასრულდა თბილისით.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი იყო პატრიოტი თავისი ქვეყნის, მისი ისტორიის და კულტურის, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს ყოფილიყო ჭეშმარიტი მოყვარული და ერთგული დამფასებელი ქართველი ხალხის, მისი მდიდარი ისტორიის და ტრადიციების. ამის სანიშნო დადასტურებაა მისი ვრცელი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომლის უდიდესი ნაწილი მიუძღვნა ქართველი და სომეხი ხალხის ურთიერთობის ისტორიის ნათელი ფურცლების კვლევას და წარმოჩენას. თბილისელი მოქალაქის ოჯახში დაიბადა და სამუდამოდ შეისისხლხორცა ქართველი ხალხის და თბილის-ქალაქის სიყვარული. მომავალი მეცნიერი აქ ეზიარა ძველი თბილისის ეგზოტომ მიმზიდველ ეგზოტიკურ სამყაროს. აქ გაიზარდა ქართველი, ებრაელი, თათარი, ქურთი და რუსი ბავშვების გვერდით. მათ ენას და ზნეჩვეულებას აქ ეზიარა. ამიტომ იყო, მოგვიანებით ერევანში გადასვლა რომ შესთავაზეს, უარი თქვა — თბილისს ვერ შეველევიო...

ლეონ მელიქსეთ-ბეგის პირად არქივში¹ დაცულია დოკუმენტები, საიდანაც ვგებულობთ მის წინაპართა ისტორიას. არქივში არის ლეონ მელიქსეთ-ბეგის საგვარეულო გენეალოგიის და წინაპართა ვინაობის ამსახველი დოკუმენტები. ამ გვარის ისტორია (1502-1963 წწ.) აღწერილია რუსულ ენაზე შედგენილ ხელნაწერებში, არქივში დაცული მასალების მიხედვით. აქვეა მოწმობა რუსულ და სომხურ ენაზე, შექის მახრის სოფელ კუნტურის მცხოვრებ ბაბალა (იგივე სარქის) მელიქსეთ-ბეგის — ლეონ მელიქსეთ-ბეგის პაპის თავისუფალი მდგომარეობის შესახებ. მეცნიერის წყალობით, არქივს შემოუნახავს მისი მამის მელიქსეთ მელიქსეთ-ბეგის (1862-1924) პირადი დოკუმენტები რუსულ ენაზე, დის ნინო მელიქსეთის ასულ მელიქსეთ-ბეგ-ბუღდანოვას (1896-1912) პირადი საბუთები, მელიქსეთ-ბეგების საგვარეულო უძრავი ქონების დოკუმენტები და სხვა.

საარქივო მასალებით გაირკვა, რომ ლეონ მელიქსეთ-ბეგის პაპას სარქის მელიქსეთ-ბეგს 1845 წელს მიუღია თბილისის თავისუფალი მოქალაქის წოდება.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი კი დაიბადა 1890 წელს 26 სექტემბერს ძველ თბილისში. ერეკლე მეფის მოედნის ახლო მდებარე ქუჩაზე ყოფილა მისი მშობლების სახლი. ისიც უნდა ითქვას, ძველ უბანში დაბადებულს და გაზრდილს, სიმეელისადმი გრძნობა-პატივი ადრეულ ბავშვობიდან დაჰყვა და მისი სიცოცხლის მანძილზე არ განელებია. „როგორც გადმოგვცემენ, თანატოლთა ჯგუფი შეუდგენია „არქეოლოგიური ძიების“ მოსაწყობად და ძველი ნივთების შესაგროვებლად. მთელ დღეებს ატარებდა თურმე ანჩის-ხატისა და სიონის ტაძრების ეზოებში, ნარიყალას ფერდობებსა და სურბ-ნშანის კედლებსა და თბილისის ვანქის ეზო-სასაფლაოზე“, — წერს გ. მაისურაძე².

ეს ბავშვური გატაცება შემდეგ სერიოზულ მეცნიერულ ინტერესში გადაიზარდა. 17 წლის ჭაბუკი, 1907 წელს გაემგზავრა ანისში, ნიკო მარის ინიციატივით წარმოებული არქეოლოგიური გათხრების სანახავად. ანისის არქეოლოგიურმა ძეგლებმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და ერთგვარად განსაზღვრა კიდევ მისი მომავალი. თბილისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ერთხანს გერმანიაში სწავლობდა, შემდეგ 1908 წლის სექტემბრიდან ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა. თუმცა გატაცებას არ დალატობს და ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე მოისმენს ლექციებს, ისეთ ცნობილ მეცნიერთან, როგორც არიან ა. ტომსონი, ე. ფონშტეინი და სხვ. მეცნიერების საფუძვლების დაუფლებას კარგად შეუხამებს კვლევა-ძიების სურვილს. იგი ადგილზე სწავლობს ბესარაბიის, უკრაინის, ზაპოროჟიეს, ყირიმის სომხურ დიასპორას და იქ არსებულ ძეგლებს. მოინახულებს არქეოლოგიურ გათხრებს ხერსონში, ოლეიას, ბიჭვინთას და ანაკოფიაში. არქეოლოგიურ მოედანს აწყობს არმაზში და სხვ.

ოდესის უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ (1913 წ.) ბრუნდება თბილისში, და იწყებს პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობას. თვალის ერთი გადავლებით კარგად ჩანს, თუ რა ენერგიულად ჩაება მშო-

ბლიური თბილისის სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი ასეთი აქტიური მოღვაწეობის გამო აირჩიეს მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების, კავკასიის რუსული გეოგრაფიული საზოგადოების, კავკასიის საკურორტო საზოგადოების, სომხური ეთნოგრაფიული საზოგადოების, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ქართული საზოგადოების და სხვათა წევრად. 1915-1918 წლებში მუშაობდა სომხური ეთნოგრაფიული საზოგადოების სარედაქციო კოლეგიის სწავლულ მდივანად, მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების ჯერ სწავლული მდივანი (1918-1922 წ.წ.) იყო, შემდეგ მისი თავმჯდომარე (1922-1927 წ.წ.). ამავე წლებში პარალელურად იყო საქართველოს სომეხთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, ქართველ ლინგვისტთა საზოგადოებაშიც მოღვაწეობდა. ყოველთვის იყო თბილისისა და ერევნის უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოს წევრი.³

1918 წლის მარტში იყო თბილისის ალექსანდროვის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი და კითხულობდა სომხური ნაციონალური დისციპლინების კურსს. ამავე დროს მუშაობდა თბილისის III ვაჟთა გიმნაზიის ქართული ენისა და ისტორიის პედაგოგად. 1919 წლის სექტემბერში კითხულობდა თბილისის III ქალთა გიმნაზიაში სომხეთის ისტორიას, 1919-1921 წლებში თბილისის ლისიციანის გიმნაზიაში საქართველოს ისტორიას, თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არჩეულ იქნა პრევატ-დოცენტად და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის ცხოვრებაში ყველაზე დიდ მოვლენად ითვლება თბილისის ქართულ უნივერსიტეტში მუშაობის დაწყება. დიდი ივ. ჯავახიშვილის მოწვევით ლეონ მელიქსეთ-ბეგმა 1918 წლის სექტემბრიდან მუშაობა დაიწყო ლექტორად ახლად ჩამოყალიბებულ ქართულ უნივერსიტეტში და სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1922 წელს სომხურ-ქართულ-ბერძნულ ფილოლოგიაში სადოქტორო გამოცდების ჩაბარების შემდეგ აირჩიეს სომხური ენისა და ლიტერატურის კათედრის დოცენტად. ამავე დროს იყო ინდო-ევროპული ენათმეცნიერების კომისიის თავმჯდომარე. სადოქტორო გამოცდების ჩაბარების

დროს ერთ-ერთი გამომცდელი თვით ივ. ჯავახიშვილი იყო, ხოლო ლეონ მელიქსეთ-ბეგის პირველ ლექციას სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საბჭოს მთელი შემადგენლობა დაესწრო ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. ლექციამ წარმატებით ჩაიარა და ლეონ მელიქსეთ-ბეგი დაინიშნა თბილისის ქართული უნივერსიტეტის ლექტორად (13.09.1918). 1928 წლის 4 ნოემბერს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოღვაწენი“ და მათი ვინაობა, სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით“. ოპონენტები იყვნენ ივ. ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე. დაცვამ წარმატებით ჩაიარა. აი, როგორ გაიხსენებს ამ დაცვას ლეონ მელიქსეთ-ბეგი მოგვიანებით: „ივ. ჯავახიშვილი იყო ერთ-ერთი რეცენზენტი ჩვენი სადოქტორო დისერტაციისა, რომლის დაცვის პროცესში პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, კ. სულაქველიძის თავმჯდომარეობით 4 ნოემბერს (1928 წ.), სწორედ იმ დროს, როდესაც მე შესავალი სიტყვით გამოვედი, ივანეს გული შეუწუხდა, პროფ. ახვლედიანი მივიარდა, მიეშველა, დარბაზიდან გაიყვანა, ეტლში ჩასვა და სახლში მიიყვანა. ეს შემთხვევა მუდამ თვალწინ მეხატება, განსაკუთრებით იმიტომ, რომ, როგორც გადმომცეს, ეტლში ცოტაოდენი გონზე მოსულმა ივანემ თურმე მოითხოვა ქალაქის ფურცელი და კალამი, რათა უნივერსიტეტის საბჭოსადმი მოეხსენებინა, რომ ხმას მაძლევს სადოქტორო ხარისხის მოპოვებაში.“⁴

ლეონ მელიქსეთ-ბეგის სადოქტორო დისერტაცია საფუძვლიანად და აკადემიურად არის შეფასებული კ. კეკელიძის რეცენზიაში.⁵

ბარემ აქვე აღვნიშნავ, ლეონ მელიქსეთ-ბეგს ივ. ჯავახიშვილისადმი მოწიწება და პატივისცემა სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია — „ყოველთვის, მეტადრე კი მის შემდეგ, რაც ივ. ჯავახიშვილის საფლავზე ძეგლი დაიდგა, როცა ფეხს შემოვდგამ უნივერსიტეტის ეზოში, არ შემიძლია გულგრილად, აულეღვებლად გავიარო ამ ძეგლის გვერდით. არ შემიძლია, რომ ჩემს თვალწინ არ წარმოისახოს უკვდავი, ცოცხალი დიდი ივანე იმ პოზაში, როდესაც იგი ხელს ართმევდა მეეზოვე მისას. არ შემიძლია არ მოვიგონო კოტე მაყაშვილის მრავლისმეტყველი სიტყვები: „ევანო ჯავახიშვილი იშვიათი ადამიანია, მუდამ ცოცხალი, უკვდავი“ —

იგონებს შემდეგში ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

1930 წლის მარტში ლეონ მელიქსეთ-ბეგი კათედრის პროფესორად აირჩიეს. ცოტა ხნის შემდეგ კი ნიშნავენ აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის კათედრის გამგედ. 1933 წელს დაინიშნა ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის გამგედ. ამ კათედრის რეორგანიზაციის შემდეგ ლეონ მელიქსეთ-ბეგი აირჩიეს არმენოლოგიის კათედრის გამგედ, რომელსაც გარდაცვალებამდე განაგებდა (1963 წ.). ერთხანს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სომხური ენისა და ლიტერატურის კათედრასაც ხელმძღვანელობდა. 1941 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, 1945 წელს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს. დაჯილდოვებული იყო მთავრობის მედლებით და ორდენებით.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს გორის, ქუთაისის, ერევნის, ბაქოს უმაღლეს სასწავლებლებში. მისი ლექციები გამოირჩეოდა საგნის ღრმა ცოდნით, მდიდარი ბიბლიოგრაფიული ინფორმაციით და მეცნიერული ანალიზით.

არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს ლეონ მელიქსეთ-ბეგის აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო თუ იმ დროის საკავშირო სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებში. აღარას ვამბობ საქართველოში ჩატარებული ამგვარი ღონისძიებებში მისი აქტიური მონაწილეობის შესახებ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი იყო ენციკლოპედიური ცოდნის პატრონი და მრავალმხრივი მეცნიერ-მკვლევარი. მის სამეცნიერო ინტერესთა სფეროში შედიოდა შემდეგი დისციპლინები: ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორია, ისტორია, ფილოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, არქეოლოგია, სპელეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ტექსტოლოგია, ეპიგრაფიკა, პალეოგრაფია, არქეოგრაფია, ენათმეცნიერება, ლექსიკოგრაფია, სამართლის ისტორია, ბიბლიოგრაფია და სხვ. იყო დაუზარებელი და ობიექტური ოპონენტი სამეცნიერო დისერტაციის შეფასების დროს. 24 სადოქტორო და 37 საკანდიდატო დისერტაციის ოპონენტი გახლდათ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის მოწაფეები იყვნენ: პროფ. ივ. შილაკაძე, დოც. ან. ხარატიანი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ლ. დავლიანიძე,

დოც. მ. რობაქიძე, ზ. მელუაჭვილი და სვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ძირითადად მიმართული იყო ამიერკავკასიის სამი ერის — ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხის ურთიერთმეგობრობის განმტკიცებისაკენ. დაულალავად სწავლობდა ამ ხალხთა ისტორიას და კულტურას, რათა მეგობრობის ფესვები უფრო გაეცოცხლებინა და გაეჯანსაღებინა. „ჩემი სამი მშობლიური ენა“ — ასე ეწოდება ლეონ მელიქსეთ-ბეგის ერთ სტატიას (იხ. „Заря Востока“, 1959, №186). ამიერკავკასიის ხალხთა ენები მისთვის, მართლაც, მშობლიური იყო, რადგან ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა ისინი ძველი თბილისის ოკრო-ბოკრო ქუჩებსა და უბნებში. ამიტომ იყო, რომ იგი ამ ენებს არა მარტო სალაპარაკოდ ფლობდა, არამედ სამეცნიერო შრომებსაც წერდა კიდევ. „განსაკუთრებით სასიამოვნოა ის, რომ ჩემი კვლევითი მუშაობა საუკუნეების მანძილზე ერთიან, ძმურ ოჯახში მცხოვრები ამიერკავკასიის სამი მოძმე ხალხის კულტურული ურთიერთობის განმტკიცებისაკენ იყო მიმართული“ — ამბობდა ლეონ მელიქსეთ-ბეგი. ეს ლიტონი სიტყვები არ იყო. მან თავისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით განუზომელი წვლილი შეიტანა სამი მოძმე ხალხის ურთიერთობის კვლევის ისტორიაში. ამიტომ იყო, რომ ლეონ მელიქსეთ-ბეგს ქართველი მეგობრები სიყვარულით ეძახდნენ „სომეხს საქართველოში“, სომეხი მეგობრები — „ქართველს სომხეთში“, ხოლო აზერბაიჯანელები კი ერთსაც და მეორესაც აზერბაიჯანში. ამ სიყვარულის მოწმე თვითონ არაერთგზის ვყოფილვართ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა, პირადი არქივი თბილისის უნივერსიტეტს, არმენოლოგიის კათედრას და საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივს დაუტოვა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი იყო შესანიშნავი ოჯახის პატრონი. ერთგულმა მეუღლემ ქ-მა ვერა ქაჯაიამ (იყო პედაგოგი და ეკონომისტი) სამეცნიერო მუშაობის ყველა პირობა შეუქმნა, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ლეონ მელიქსეთ-ბეგის მეცნიერული პროდუქტულობა. მათ დიდი ოჯახი ჰქონდათ. ხუთი შვილი ჰყავდათ, ყველა თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტი: ნუნუ ჩხეიძე ინჟინერ-მშენებელი, ამჟამად პენსიონერი; მი-

ხეილ მელიქსეთ-ბეგი — გემის კაპიტანი, ახალგაზრდა დაილუპა მეორე მსოფლიო ომში; დაეითი გახლდათ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ლეონიდე — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი. უმცროსი ევგენი არის ეკონომისტი, მაგრამ უფრო ცნობილია იმით, რომ საერთაშორისო არბიტრია ჭადრაკში. შვილიშვილებიდან მანანა მელიქსეთ-ბეგი პაპის საყვარელ თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციოლოგიური გეოგრაფიის კათედრაზე მოღვაწეობს. შალვა მელიქსეთ-ბეგი გემის ინჟინერია, გულნარა ჩხეიძე ერთ-ერთი საშუალო სკოლის დირექტორია, მზია მელიქსეთ-ბეგი-მიზანდარი გახლდათ მხატვარი.

ფართო იყო ლეონ მელიქსეთ-ბეგის მეცნიერული თვალსაწიერი, მაგრამ მაინც გამორჩეული სიყვარულით ეკიდებოდა თბილისს და მის წარსულს. ამ საქმეში არ უდებდა ტოლს იოსებ გრიშაშვილს. ზედმიწევნით იცოდა ყოველი კენჭი სად და როგორ იდო. მისი ყველაზე სასიამოვნო დასვენება იყო ძველი თბილისის მონახულება. ხშირად მინახავს განუყრელი ქოლგით ხელში ქალაქის ვიწრო ქუჩებში, სევდამორეული ათვალიერებდა აივნიან სახლებს. უსათუოდ დახედავდა აბანოთუბანს, ბოტანიკური ბაღის აღმართს შეუდგებოდა, მიზგითს შეაველებდა თვალს და გზას გააგრძელებდა. ბებერი ნარიყალას შელეწილ ქონგურებიდან (მაშინ აღდგენილი არ იყო) გასცქეროდა ხარფუხს, გორახანას, მეტეხს, ისანს და თბილისის ხედების ცქერით მოიჯერებდა თუ არა გულს, იმავე გზით ბრუნდებოდა უკან, მეიდნის თავზე უეჭველად შეივლიდა სურბ-გევორგის ეკლესიაში, სანთლებს დაანთებდა და ლოცულობდა. სევდა, სევდა ძველი თბილისისა, მისი გარდასულ დიდებისა მას თან დაჰყვებოდა, ის ხომ ძველი თბილისის მოქალაქეთა ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი იყო...

1963 წლის სექტემბრის მოღუშულ, წვიმიან დღეს რუსთაველის გამზირზე პროფ. ივ. შილაკაძე შემხვდა და ნაღვლიანად მითხრა:

— ბ-ნი ლეონი აუადაა, ძალიან ცუდად არის, საავადმყოფოშია...

ცუდად მენიშნა, ერთხანს ორივე ვლუმდით. ბ-ნმა ივანემ მძიმედ ამოიოხრა და წავიდა.

...თბილისის უნივერსიტეტიდან გაასვენეს ლეონ მელიქსეთ-ბეგი. ქარ-

თულმა საზოგადოებამ დიდი პატივი მიაგო. დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მიუჩინა სამუდამო განსასვენებელი. გამომსვლელთაგან დამამახსოვრდა აკაკი შანიძის სიტყვა. ერთგული მეგობარი და კოლეგა უწოდა და შუბლზე ეამბორა. იოსებ ნონეშვილმა ლექსი მიუძღვნა და წაიკითხა დაკრძალვის დროს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის ნეკროლოგი გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ (1963, №209), „Заря Востока“-ში, (1963, №210), გაზეთ „ლიტერატურულ საქართველო“-ში (1963, №36) და სხვ. მისი 70-წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოქვეყნდა არაერთი წერილი. მათგან აღსანიშნავია შ. ბადრიძის და გ. ნებიერიძის — „ერთი დეტალი იუბილარის ცხოვრებიდან“. წერილს დართული აქვს ლეონ მელიქსეთ-ბეგის როგორც ესპერანტოს მსოფლიო ლიგის წევრის და ესპერანტოს ფუძემდებლის, დოქტორ ლ. ზამენჰოფთან მეცნიერული ურთიერთობის ამსახველი მასალები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში იყო მოწყობილი ლეონ მელიქსეთ ბეგის 70-წლის საიუბილეო ფოტოგამოფენა — „ლეონ მელიქსეთ-ბეგი“. მის პირად არქივშია დაცული შ. ბადრიძის წერილი — „ჩვენი ძვირფასი იუბილარი პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი“. გამოქვეყნდა ს. ჯიქიას, ივ. შილაკაძის, გ. მაისურაძის და სხვათა წერილები.

რაც შეეხება წინამდებარე მონოგრაფიას, მასალის სიუხვის გამო (600-მდე ნაშრომია), იგი დარგობრივად შევისწავლეთ და გაეანაწილეთ თავების მიხედვით. საკითხთა მრავალფეროვნება იყო მიზეზი იმისა, რომ ჩვენ ყურადღება ვერ შევაჩერეთ ყველა ნაშრომზე, მაგრამ შევეცადეთ ძირითადი გამოგვეყო და მეცნიერულ-პოპულარული სახით მიგვეწოდებინა მკითხველისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სომხური გვარსახელები მონოგრაფიაში წარმოჩენილია ისე, როგორც ამას პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი ხმარობდა (მაგალითად, გრ. ნარეკელი, ანანია შირაკელი, სასუნელი დავით და სხვა მსგავსი). ჩვენს ნაშრომს შეიძლება ბიბლიოგრაფიული ელფერი დაჰკრავდეს, მაგრამ ეს განპირობებულია ლეონ მელიქსეთ-ბეგის შრომების ერთმანეთისაგან განსხვავებული თემატიკით.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის მეცნიერული მემკვიდრეობის ადრეული პერიოდი მოიცავს 1909-1928 წლებს და ეს წლები შეიძლება ჩაითვალოს მისი მომავალი ფართო მეცნიერული მოღვაწეობის მომზადების ხანად. ეს წლები მართალია მისი ჩვეული მეცნიერული ნაყოფიერებით გამოირჩევა, მაგრამ ამ დროის ნაშრომები, განსაკუთრებით პირველ ნახევარში იყო მცირე მეცნიერული პუბლიკაციები, ბიბლიოგრაფიული ხასიათის ინფორმაციები. რუსული და ქართული მწერლობის ნიმუშებს თარგმნის სომხურად და პირიქით. აქვეყნებს ლექსებს, ფელეტონებს და აქტიურად თანამშრომლობს სომხურ, ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. ჯერ კიდევ ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი ბეჭდავს პირველ მეცნიერულ სტატიას არმაზზე (გაზ. „Тифлисский листок“, 1909, №179). მოგვიანებით კვლავ მიუბრუნდა ამ თემას — „Армазни - историко-археологический очерк“ (Материалы по истории Грузии и Кавказа. Тбилиси, 1938, вып. II, стр. 11)⁶. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ამ ნაშრომში არ გაიზიარა ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ეპ. კირიონის, მ. ჯანაშვილის და სხვათა მოსაზრება სიტყვა „არმაზის“ ქართულ ეტიმოლოგიაზე. მას „არმაზნი“ მიაჩნდა „სომხური გზით“ ირანულიდან შემოსულ სიტყვად. მისი აზრით „არმაზნი“ არის მრავლობითობის გამომხატველი ფორმა, რომელსაც არ იზიარებს პროფ. ჯ. ლომაშვილი, რის დამადასტურებლად მოაქვს მასალა ფშაურის დიალექტიდან: ფშაველი ქალი ქვაბის ძებნის დროს ასე იტყვის — „ქვაბნი ვერ მოვხელე“. ამ დროს ის ეძებს ერთ ქვაბს და არა რამდენიმეს, ანდა „ტარიას ხმალი ვერ გაძლე“ („ვ. ტ.“). ტარიელს ერთი ხმალი ჰქონდა და არა რამდენიმე⁷ და სხვ.

თანამედროვე მეცნიერულ ლიტერატურაში მიღებულია, რომ არმაზი ხეთურ-ნესიტური წარმოშობისაა. იგი მთვარის ღვთაების უძველეს სახელიდან მომდინარეობს. (ქ. ს. ე., 1975, გვ. 275). ლეონ მელიქსეთ-ბეგი მიუთითებს არმაზის გარშემო არსებულ „ირანიზებულ“ ტოპონიმებს: არმაზი, რაბათი, კარსანი, ბაგინეთი, მოგეთა (შედარ. თმოგვი მესხეთში), არმაზი — ქართლში, მდ. რხეულას ხეობაში ეკლესია (874 წ.), მარტაზი (არმაზ-სომხეთში), სომხეთში ზანგეზურის მხარეს ყოფილა მთა არმაზი. „ირა-

ნიზებულ“ ტოპონიმების არსებობას საქართველოში ლეონ მელიქსეთ-ბეგი ხსნის აქემენიდების ბატონობით, რომელიც ამ ქვეყანაში გრძელდებოდა კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე.

სამეცნიერო ლიტერატურაში და საზოგადოებაში დომინირებს აზრი, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი, — თითქოს უძველესი სალოცავის გადაკეთების შედეგად აშენდა არმაზის მონასტერი (ი. პანტიუხოვი, გვ. 62). ასეთუ ისე, მას შესაძლებლად მიაჩნდა არმაზის მონასტრის არსებობა ადრე-ქრისტიანულ ხანაში. შემდეგ მიუთითებს XIV-XV საუკუნის სიგელ-გუჯრებს, რომლებშიც მოხსენიებულია არმაზის მონასტერი. მონღოლების პერიოდში არმაზის მონასტერს საისტორიო წყაროები აღარ იხსენიებენ. მ. ჯანაშვილის და ა. ნატროევის აზრით, თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ ეს მონასტერი აღუდგენიათ. შემდეგ მოტანილი აქვს ცნობა იოსებ თბილელის „დიდ-მოურავში“, საიდანაც ჩანს, რომ ეს მონასტერი 1609 წელს ფუნქციონირებდა და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ამ ნაშრომში არმაზის ქართულ წარწერასაც შეეხო. ეს წარწერა თავის დროზე შეისწავლეს: დ. ბაქრაძემ (1877 წ.), მ. ჯანაშვილმა (1892 წ.), ექ. თაყაიშვილმა (1897 წ.), ა. ნატროემა (1901 წ.) და სხვ. მას ყველაზე სანდოდ ექ. თაყაიშვილის წაკითხვა მიაჩნია. იგი, სხვა მეცნიერებისაგან განსხვავებით, წარწერას XIII საუკუნეს მიაკუთვნებს. ლეონ მელიქსეთ-ბეგი მიმოიხილავეს, აგრეთვე, არმაზის ირგვლივ არსებულ საკულტო ძეგლებს:

1) არმაზის მთის წვერზე არის წმ. ნინოს ეკლესია, პლ. იოსელიანის მიხედვით, აშენებული უნდა იყოს ბაკურ II-ის დროს. ვახუშტის მისი აშენების თარიღად მიაჩნია 342-368 წწ., ვ. გორგაძეს 362-364 წწ.;

2) არმაზის პატარა ციხე ანუ არმაზციხე, მოიხსენიება ლეონტი მროველთან (XI ს.) იგი დაარსებული ჩანს IV საუკუნეში ჩ. წ. აღ-მდე;

3) მცხეთის სადგურის პირდაპირ ჩრდილოეთ ფერდობზე ე.წ. ბაგინეთის ფერდობზე, უძველეს ბაგინის ადგილზე არის ორი მომცრო დარბაზული ტიპის ეკლესია, რომლებისთვისაც საფუძვლიანი „რესტავრაცი“ გაუკეთებია ვინმე ოლლა გორნიჩს. „რესტავრაციის“ გამო მათი აშენების თარიღის დადგენა შეუძლებელია — შენიშნავს გულისტკივილით ლეონ

მელიქსეთ-ბეგი.

ქართულ წყაროებში „არმაზი“ მოხსენიებულია ერთ-ერთ ციხედ, რომელიც ალ. მაკედონელის ლაშქრობის დროს ხელუხლებელი დარჩა. ლეონტი მროველით, არმაზის დაარსება წინ უსწრებს ქართლის „ირანიზაციის“ ხანას, რომელთანაც ლეონტი აკავშირებს ქართველების მიერ სააღმშენებლო ტექნიკაში სიახლის შემოღებას — „საქმე ქეთიკირისას“, რაც ქართველებს სპარსთა ერისთავის არდამისაგან უსწავლიათ, როცა ერისთავმა არდამმა „მოჰკიდა კირით ზღუდე ციხესა არმაზისასა“. ეს თუ ასე იყო, — ვარაუდობს ლეონ მელიქსეთ-ბეგი, — მაშინ, საფიქრებელია, რომ IV ს. ჩ. წ. აღ-მდე არმაზის ციხეს უნდა მოეღწია უფრო ძველი სახით, მეგალითური ან კიკლოპური ატრიბუტებით, რომელიც მატრიარქალური წყობილებიდან მომდინარე, სწორედ არმაზ-მცხეთის გარემოს ტოპონიმშია დაცული: დევის-მუხლი, ძუძუს-წყარო, სვეტი-ცხოველი, ჯვარი (ძელი) პატიოსანი და სხვა (გვ. 100). მკვლევარს დაუძებნია უცხო საისტორიო წყაროები, სადაც მოიხსენიება არმაზი — სტრაბონი (I ს.), პლინიუსი (I ს.), პტოლემეოსი (II ს.), ღონ კასიუსი (II-III ს.ს.) და სხვ.

იოანე საბანისძის „აბო ტფილელის წამებიდან“ ვიცით, სად მოკვთეს აბოს თავი — „კართა ზედა წმინდანთა ორმოცთა მარტვილთა ეკლესიითა.“ ეს ამბავი მომხდარა, კ. კეკელიძის გამოანგარიშებით, 786 წლის 6 იანვარს, ე.ი. VIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში თბილისში იყო მართლმადიდებლური ეკლესია. ამ ეკლესიის შესახებ არის კიდევ ასეთი ცნობა ეგ. იოსელიანისა: „იტყვიან რო, ესე იყო ბერძენთაგან აშენებული ორმოც მოწამეთა სახლსა ზედა, მაგრამ სიტყვა არის პირადი თქმული და არა სადა ჰქანს წერილსა შიდა. ესე განაახლეს და აღაშენეს ტფილისელთა სომეხთა წელსა 1792-სა“⁶. ამ ეკლესიას ეგ. იოსელიანი ციხის პატარა საყდარს უწოდებს. ამ ცნობიდან სულ ცოტა ორი რამ ირკვევა: ერთი, ტრადიციული გადმოცემით (და არა წერილობითი) ამ ეკლესიის აშენებას ბერძნებს მიაწერენ, მეორე — ორმოც წამებულთა ეკლესია ციხის პატარა საყდარი იყო და ზოგი ქართული ეკლესიის მსგავსად სომხებს ჩაეარდნია ხელში. შემდეგ მათ, ჩვეულებისამებრ, ეკლესიისათვის სახელი შეუცვლიათ და უწოდებიათ წმ. მთავარანგელოზის ეკლესია.

პლ. იოსელიანი კი უფრო კონკრეტულად მიუთითებს, რომ მეფე გიორგი XII-ს დროს ამ ეკლესიის გამო დავა ჰქონიათ ბერძნებსა და სომხებს. ალბათ რაღაც საბუთი ჰქონდათ ბერძნებს, ამ ეკლესიაზე პრეტენზიას რომ აცხადებდნენ და მის დახსნას ცდილობდნენ სომეხთა ხელიდან. ერთი კია, ეს მართლმადიდებლური ეკლესია XII ს-ში უკვე სომხური იყო. რა გზით ჩაიგდეს ხელში ქალკედონური ორმოც წამებულთა ეკლესია, ამის გარკვევა ჯერჯერობით ჭირს. ასევე ჭირს გადაჭრით თქმა, როდისაა აგებული ეს ეკლესია. ფაქტი ერთია — 786 წელს ორმოც წამებულთა მართლმადიდებლური ეკლესია იყო და აბოს მის კარების წინ მოჰკვეთეს თავი. ამ დროს ქართული და სომხური ეკლესიები 179 წლით იყვნენ დაშორებული. ისინი 607 წელს საბოლოოდ დაცილდნენ და მათ შორის ბრძოლამ კიდევ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო. ამ ურთიერთობის ფონზე საინტერესო ცნობას მიაკვლია ლეონ მელიქსეთ-ბეგმა სირიელი მწერლის გრიგოლ ბარ ჰებრაის (აბულ-ფარაჯის) თხზულებებში — „1197 г. от р. X. произошло столкновение между грузинами и армянами по поводу т. н. “Кривой пасхи” (წრწატიკ), которая имела также место лет 95 до этого (значит, 1102 г.). Ввиду того, что армяне не соглашались следовать грузинам и должны были праздновать пасху на неделю позже грузин, то начался спор, который привел оба народа к столкновению” (“О междоусобице в Тифлисе в 1197 году - по поводу Кривой пасхи”. (Вокруг старого Тифлиса), Известия Кавказского Историко-археологического института, 1925, т. III, стр. 49). ეტყობა, ამ ცნობამ ზეპირი გზით მიაღწია სირიელ ავტორამდე და შინაარსობლივი ცვლილებები განიცადა. 40 სომხის დაღუპვა, 40 ათასი სომხის თავმოყრა და 40 წამებულთა ეკლესია - ამ ციფრის (40) საეჭვო დამთხვევებს ლეონ მელიქსეთ-ბეგმა უურადლება მიაქცია და გარკვეული უნდობლობა გამოუცხადა.

ჩვენ არადამაჯერებლად მიგვაჩნია ცნობაში აღნიშნული ინციდენტის მიზეზი. მხედველობაში თუ მივიღებთ ქართულ რელიგიურ მიმტევებლობას, ნაკლებ სავარაუდოა, ასეთი სისასტიკე გამოეჩინათ ქართველებს “Кривой пасхи”-ის გულისათვის, მაშინ როცა ქართველი ხალხი

მუსულმანურ მეჩეთებს და სარწმუნოებას პატივისცემით ეპყრობოდა და ეპყრობა. ქრისტიანულ, თუნდაც მონოფიზიტურ ეკლესიის მიმართ ასეთი სისასტიკე და დაუნდობლობა გამორიცხულია. ეს სისხლიანი ინციდენტი თუ მართლა იყო, საფიქრებელია, მოხდა არა აღდგომის დღესასწაულის ჩატარების პირველობისთვის (შეიძლება ეს საბაბი იყო), არამედ უფრო სერიოზული მიზეზის გამო. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ორმოც წამებულთა ეკლესიის მისაკუთრების მცდელობა სომეხთა მიერ, რასაც ვერ შეურიგდნენ ქართველები და მწვავე რეაქციით გამოხატეს უკმაყოფილება. ამ ვარაუდს ამაგრებს ისიც, რომ მოგვიანებით ეს ეკლესია სომეხებს მაინც ჩაუგდიათ ხელში (1236 წ.). რა გზით მოხდა ან რა გარემოებამ შეუწყო ხელი, ამის ზუსტი დადგენა ახლა ძნელია. სავარაუდოა, იმ ხანებში ქართული სამეფოს ძლიერება შეირყა და მან დაშლა დაიწყო. 1226 წელს გამოჩნდა მონღოლთა პირველი რაზმები. 1226 წლის 9 მარტს ჯალალედინმა აიღო თბილისი და გაუგონარი სისასტიკით დააქცია იგი. ამ არეულობის წყალობით სომეხებმა მოახერხეს ალბათ თბილისის ორმოც წამებულთა ეკლესიის ხელში ჩაგდება, ისე როგორც სხვა ქართული ეკლესიებისა.

ს. კაკაბაძის აზრით, ორმოც წამებულთა ეკლესია ვახტანგ გორგასალის დროსაა აშენებული, რადგან V ს-ში იყო ხელსაყრელი პირობები ეკლესიის მშენებლობისა. ამ დროს ქართლი პოლიტიკურად ბიზანტიანზე იღებს ორიენტაციას. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ვახტანგ გორგასალის მეორე ცოლი ბერძენი იყო. მას თბილისში ეყოლებოდა არცთუ მცირე რაოდენობის ბერძენი მოსამსახურენი. ეს კი ბერძნული ეკლესიის აგების საჭიროებას წარმოშობდაო. ამავე მეცნიერის აზრით, თბილისის ორმოც წამებულთა ეკლესია VI-VII საუკუნეებში ვერ აშენდებოდა, რადგან ამის პირობები იმ დროს ქართლში, კერძოდ თბილისში არ იყო („ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა“, 1954, გვ. 229).

ორმოც წამებულთა ეკლესია იდგა ბოტანიკური ბაღის ასახელები ქუჩის დასაწყისში, მარჯვენა მხარეს. იგი დაანგრიეს 1925 წელს. დღეს მის ადგილას მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები (ხელმძღვანელი — დოც. მ. ძნელაძე). ერთი სიტყვით, ლეონ მელიქსეთ-ბეგს ორმოც წა-

მებულთა ეკლესია მიაჩნია ქართველთა აშენებულად, იყო ბერძენთა ხელ-
ში, შემდეგ გადავიდა სომეხთა მფლობელობაში. მისმა მიკვლევულმა ცნო-
ბამ კი გარკვეულად მოჟინა შუქი თბილისის ორმოც წამებულთა ეკლესი-
ის ისტორიის ერთ პერიოდს.⁹

ლეონ მელიქსეთ-ბეგის „ტფილისის ვანქის დაარსების საკითხისათვის“
არის თვალსაჩინო ნაშრომი თბილისის ვანქის ტაძრის ისტორიის კვლევის
საქმეში (ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, 1924, ტ. IV, გვ. 82). ვან-
ქის ტაძარი იდგა ძველი ტფილისის ე.წ. გარეუბანში (ამჟამად მის ადგი-
ლას მდებარეობს №151 სომხური სკოლა). აქ გარდა ვანქისა იყო ქაოი-
ანის, ზრკიანის და თექენამის ეკლესიები.

თბილისის ვანქი იყო საქართველოს სომეხთა ეპარქიის საკათედრო
ტაძარი. მისი დაარსების შესახებ არცთუ ცოტა განსხვავებული ზარი არ-
სებობს. საინტერესოა დეკანოზ გიუტ ალანიანცის შეხედულება. იგი ცდი-
ლობს დაამტკიცოს — სომეხები თბილისის აბორიგენები არიან და არა მო-
სულელები. აქედან გამომდინარე თვლის, — ვანქი ანუ ფაშა-ვანქი არის ძვე-
ლი ეკლესია თბილისში (931 წ.), რომელიც უმეკაანთ სამ ძმას — სუჯავ-
თის, არიეწისა და ჯალაპს აუშენებია ადრინდელი ძველი ეკლესიის ად-
გილზე. გადმოცემით, ძველი ეკლესია აშენებული ყოფილა სომეხთა გრი-
გოლ განმანათლებლის დროს. მისგან შემორჩენილია ორი პატარა სენაკი
ვანქის ტაძრის აღმოსავლეთ მხარეს.¹⁰ ამასთან დაკავშირებით ლეონ მე-
ლიქსეთ-ბეგი შენიშნავს — ეგების გიუტ ალანიანცი მართალიც იყოს, მაგ-
რამ ის საშუალება, რომლითაც ცდილობს დაამტკიცოს თავისი ზარი, ყოვ-
ლად გამოუსადეგრად მიგვაჩნიაო (გვ. 82). ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშ-
ნავს: დავით აღმაშენებლის დროს, ე.ი. XII საუკუნის პირველი მეოთხედი-
დან სომეხები ტალღა-ტალღა გადმოდიდოდნენ საქართველოს სამხრეთ ნა-
წილში, სახლდებოდნენ თბილისში, კახეთსა და შიდა ქართლში. მაგრამ
ყველაზე დიდი ტალღა იყო ანისელი ლტოლვილებისა, რაც 1319 წელს
ანისში საშინელი მიწისძვრით იყო გამოწვეული. მისი ზრით, ვანქს თავდა-
პირველად ეწოდებოდა „ფაშა-ვანქი“, რაც შეიძლება გამოწვეული იყო
ანისის მიდამოებში მდებარე ე.წ. გოშა-ვანქის ანალოგიით. ანისელ ემიგ-
რანტთა მონაწილეობით აშენდა თბილისის ვანქი. ანისელ ემიგრანტთა

თვალში ვანქის აღმშენებელი სუჯავათი, არიეწი და ჯალაპი იყვნენ კაჩინიდან ჩამოსახლებული უმეკომეკის შთამომავალი. ლეონ მელიქსეთ-ბეგს მიაჩნია თბილისის ვანქი 1319 წელს აშენებულად. მას მიუღებლად მიაჩნია მინას ბეკშიანცის განცხადება — თითქოს ვანქი 600 წელს იყო აშენებული. უსაფუძვლოდ მიაჩნია ეგ. იოსელიანის ცნობა ვანქის 1480 წელს აშენების შესახებ. აქვე აღვნიშნავ, გიუტ აღანიანცის მიერ მოწოდებული თქმულება უმეკაანთ სამი ძმის მიერ ვანქის აშენების შესახებ, უფრო სწორედ, მისი გადაკეთება, 931 წელს ლეონ მელიქსეთ-ბეგს უფრო ადრე ჰქონდა დაფიქსირებული, ოღონდ მცირეოდენი შეცდომით — უმეკაანთ ძმების სახელები არასწორად ჰქონდა აღნიშნული (გვ. 83). იგი ნდობას უცხადებს თქმულებას უმეკაანთ სამი ძმის მონაწილეობის შესახებ ვანქის მშენებლობაში, რადგან მათი პაპა „პარონ“ (ეს სიტყვა სომხურია და ნიშნავს „ბატონს“) უმეკომეკი ითვლება თბილისის ერთ-ერთი ძველი სომხური ეკლესიის, კათოლიკად წოდებულის სურბ-გეგორგის, ყოფილი ღვთისმშობლის, ქტიტორად. მამა ან ბიძა მათი (ძმების სუჯავათი, არიეწი, ჯალაპი) ქარმადინი მოხსენიებულია იოანე ერზინკაელის მიერ 1284 წელს, როგორც პატრონი, მფლობელი ამ ეკლესიისა. ვანქის ძირითადი კონსტრუქცია სამნაწილელი, სამსამწირველო ყოფილა — „იეგების ეკლესიის ამ სამნაწილელობაში ნაწილობრივ მაინც იყოს გასაღები იმ ფაქტორისა, რომ იგი მართლაც დაარსებულია არა ერთის, არამედ სამი კაცის, სამი ძმის მიერ“ (გვ. 89). ამ დასკვნის განსჯას ამჟამად არ შეუძლებია, მაგრამ ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ წამოყენებულ ამ აზრს ვანქის ტაძრის სამი გუმბათის შესახებ პ. მურადიანი იზიარებს და წერს: “Трёхкупольность храма ученый истолковал как “воплощение идеи о троичности лиц божества”, с чем (на наш взгляд, вполне справедливо) не согласился редактор “Христианского Востока” (т.е. Н. Я. Марр), заметив, что “мы удерживаем символическое толкование автором чисто архитектурных частей, отнюдь его не разделяя”. Тут же он указывает на пятикупольную церковь Апостолов в Ани.” - Армянская эпиграфика Грузии. - Тбилиси, 1988, стр. 48.) აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ ლეონ მელიქსეთ-ბეგს ვანქის

ტადარი მიაჩნდა შედარებით ახალ ნაგებობად და იმავე დროს მას თვლიდა სომხური სახუროთმოძღვრო ხელოვნების დაცემის პერიოდის ძეგლად (Кахтубанский Храм - "Хр. Восток", 1915, т. III, стр. 312). ამ აზრს ზოგიერთი მკვლევარი არ იზიარებს.

თბილისის 1500-წლისთავის საიუბილეო კრებულში („თბილისი-1500“, 1958) ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოაქვეყნა სტატია „ძალისი-თბილისი-ფაიტაკარანი“ (გვ. 29). მასში ლაპარაკია თბილისის სტრატეგიული მდებარეობის და მის ტერიტორიაზე აღმოჩენილ უძველესი დაბა-სოფლების ნაშთების შესახებ. თუმცა არ არის ცნობილი ამ უძველესი დაბა-სოფლების სახელწოდებანი, მაგრამ ვარაუდი შეიძლება, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და განაგრძობს, — პტოლემეოსის „გეორგიკაში“ ნახსენები „ზალისსა“, რაც იგივე „ძალისაა“ („ძალისი“) იყო გაშენებული თბილისის ტერიტორიაზე. ამ მოსაზრებას არ იზიარებს ნოდარ ლომოური. მისი აზრით, პტოლემეოსის „ზალისა“ უნდა იყოს მუხიანის ჩრდილოეთით მდებარე სოფელი „ძალისი“, რაზეც ლეონ მელიქსეთ-ბეგი არ ეთანხმება და მიუთითებს — პტოლემეოსის „ზალისსა“ ტერიტორიულად უნდა იყოს ახლო იბერიის (ქართლის) სატახტო ქალაქ მესლეტას (მცხეთა) და არმავტიკას (არმაზი) აღმოსავლეთით მდებარე ალბანიის საზღვართან. ამ დროს კი ანგარიშგასაწევია ისიც, რომ მუხიანის ძალისი საკმაოდ დაშორებულია ძველ სატრანზიტო გზას, რომელიც მტკვრის ხეობით ალბანეთისკენ მიემართებოდა (გვ. 30).

ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიხედვით, უძველესი თბილისის ტერიტორიაზე მადათოვის კუნძულის ირგვლივ და მის ახლო მდებარე მტკვრის ნაპირას თავს იყრიდნენ ნაოსნები, მეტივენი — ზე-ტყის გადასაზიდად დასავლეთის მხრიდან, ხდებოდა ხორბლის გადმოზიდვაც წისქვილებისთვის და ა.შ. ამიტომ ამ ქალაქს ფაიტაკაიან — ფატაკარანს უწოდებდნენ. ეს არის სომხური სიტყვა — ფაიტ-ზე, კარან-სადგური. ასეთ პირობებში გასაგებია, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი, — ხალხური ეტიმოლოგიის, რატომ გადაიქცა — „ზალისსა“-„ძალისი“, ერთი მხრივ — „ძელისად“ (შდრ. დელისი, ლისი) და მეორე მხრივ — „ზარისად“. მკვლევარი აგრეთვე ვარაუდობს, რომ თბილისის უძველესი არქიტექტურული ძეგლი მადათოვის კუნძულის

მასლობლად იყო აგებული, ვანქის ტაძრის აღმოსავლეთით. ეს იყო ეკლესია, რომელსაც ერქვა „ზარისა“, შემდეგ ეწოდა „ანჩისხატი“. „ზარისა“ სიონზე ადრეა აშენებული (VI ს.), ხოლო „ზარისას“ გააზრებული ფორმა უნდა იყოს „ზალისა“ (გვ. 21). თბილისის სახელწოდებას ტრადიციულად გოგირდის თბილ წყლებს უკავშირებს და მის დაარსებას ვახტანგ გორგასლის სახელს. თუმცა იქვე შენიშნავს — გამორიცხული არ არის თბილისის სახელწოდებას კავშირი ჰქონდეს „თუბილი“, „თობილი“ ტომის სახელთან, რომელიც ითვლება იბერთა წინაპრად. („Тифлис и его окрестности. - Путеводитель, Тифлис, 1925, стр. 3).

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართველი ერის წარმომავლობის საკითხი სხვა ასპექტში დგას, მაგრამ ერთ დროს მას მართლაც უკავშირებდნენ თუბილთა ტომს.

ლეონტი მროველის ერთ ცნობაში ლეონ მელიქსეთ-ბეგს საყურადღებო შესწორება შეაქვს. ეს ცნობა ერთ ამბავს იუწყება — სპარსთა ერისთავს აუშენებია „ტფილისის კართა შურის ციხე მცხეთისად“. მკვლევარს, ვფიქრობ, სამართლიანად, შეაქვს კორექტივი და ასე ასწორებს: სპარსთა „ააშენა ტფილისის კართა შორის ციხე მცხეთისად“. ტფილისის კარებში იგულისხმება „დარიალის და კასპის კართა შორის“, ხოლო ლეონტი მროველის თხზულების დედანში იყო ქარაგმა — „შ-ს“, რაც ნიშნავს სიტყვას „შორის“, და არა „შურის“. ეს ქარაგმა გახსნილი იქნა არასწორად — „შურის“ (შურის ციხედ). ამიტომ ლეონ მელიქსეთ-ბეგი „შურის ციხეს“ ფანტაზიად მიიჩნევს.

საისტორიო წყაროებში თბილისის ციხე-სიმაგრეს ეწოდებოდა „კალა“, „ყალა“ (აქედანაა წარმომდგარი ნარიყალა), რომელსაც ს. კაკაბაძე უკავშირებს პტოლემეოსებურ „ზალისსა“-ს. შემდეგ ლეონ მელიქსეთ-ბეგს მოაქვს წყაროები, სადაც თბილისი მოხსენიებულია: ევსტატე მცხეთელის მარტვილობა (VI ს.), აბო თბილელის მარტვილობა (VIII ს.), ქართლის მოქცევა (IX ს.), გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება (X ს.) და სხვ. ბერძნულ-ბიზანტიურ მწერლობაში თბილისი პირველად არის ნახსენები თეოფანესთან (VI ს.), არაბ ისტორიკოსებიდან ალისთახართან და იბნ-ხუკალთან (X ს.). უფრო ხშირად კი სომეხ ისტორიკოსთა თხზულებებში: „ეპისტოლეთა

წიგნი“ (VI ს.), ანანია შირაკელი (VII ს.), სებეოსი (VII ს.), მოსე კალან-კატუელი (VII ს.), თომა არწრუნი (X ს.), სტეფანე ტარონელი-ასოლიკი, ფსევდო შაკ-ბაგრატიუნი (XI ს.) და სხვ. ძველი სომეხი გეოგრაფის ცნობით, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი, — თბილისს ეკეროდა სომხური პარუარის თემი. „პარუარის სანახები ქ. თბილისის აღმოსავლეთით მდებარე თემი უნდა ყოფილიყო... ტფილისი თავის სანახებით და პარუარის სანახებით, იბერიის უცილობელი სამფლობელო იყო“,¹¹ — წერს ივ. ჯავახიშვილი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის აზრით, IX საუკუნიდან მოყოლებული სომხურ საისტორიო მწერლობაში თბილისი ფაიკატარანად იხსენიებოდა და მოაქვს სომხური მარტივლოლოგიური თხზულება — „წმინდათა წმინდათა მღვდელმოდვართა სომხითისათა. არისტაკესი, ორთანესი, ოსიკისი, გრიგურისი, დანიელისი.“ თარგმნილია ქართულად ტაო-კლარჯეთის სამეცნიერო-სალიტერატურო სკოლის უცნობი წარმომადგენლის მიერ IX-X ს.ს. ამ თხზულების სომხურ დედანში ნახსენები სიტყვა „ფაიკატარანი“ ასეა განმარტებული — „რომელ არს ტფილისი“. მკვლევარი აღნიშნავს: მართალია, თბილისი ძველად ხე-ტყით ყოფილა დაფარული, მაგრამ სომხური ფაიკატარანის დარქმევის მიზეზი სხვა გარემოსა და პირობებში უნდა ვეძიოთ.

ძველ სომეხ ისტორიკოსთა თხზულებებში მოხსენებულ ფაირატაკარანს ლოკალიზაციას უკეთებენ მილის ანუ ყარაბაღის ველზე ოდესღაც არსებულ ქალაქს (A. A. Иесен - Новые данные для истории Азербайджана по работам Орехкалинской экспедиции 1953-1955 гг. - Труды Музея истории Азербайджана, т. II, Баку, 1957, стр. 27). ყარაბაღის ველი და მუღანი საუკუნეთა მანძილზე იყო პლაცდარმი ამიერკავკასიაში უცხოელი დამპყრობლების შემოჭრის დროს. ეს შემოსევები განსაკუთრებით სისტემატურ ხასიათს ატარებდა III-IX საუკუნეებში. ყარაბაღის ველის სომეხი მოსახლეობა არაერთხელ დაურბევიათ მათ. ამიტომ ისინი იძულებით ტოვებდნენ მამა-პაპეულ სახლ-კარს და მეზობელ ქვეყნებს აფარებდნენ თავს, უფრო კი ქართლის დედაქალაქ თბილისს. ერთ-ერთი ასეთი აკლების დროს ფაიკატარანის მოსახლეობა შეიძლება

აიყარა და თავშესაფარი კპოვა თბილისში. ამ გზით გადმოვიდა თბილისში სახელწოდება „ფაიტაკარან“, რაც შემდეგში სომეხ მოსახლეობაში თბილისის აღმნიშვნელ ახალ სახელწოდებად გადაიქცა, — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და განაგრძობს, — ამის ანალოგი გვაქვს: ნახიჩევანი სომხების მიერ გადატანილი იქნა როსტოვის გვერდით დაარსებულ ახალ ქალაქზე (XVIII ს.), რეპატრიანტმა სომხებმა ერევანში გადმოიტანეს თავიანთი წინანდელი საცხოვრებელი ადგილის სახელები: არაბკირი, ზეითუნ, კილიკია და სხვ. ზოგიერთი მეცნიერი არ იზიარებს ამ აზრს, მაგრამ ანგარიშგასაწევ მოსაზრებად მაინც რჩება და არსებობის უფლება აქვს.

დასასრულ, გეთავაზობს მოკლე დასკვნას. ქართლის დედაქალაქს პირველ ხანებში — ორი ათასწლეულის მანძილზე ეწოდებოდა:

- 1) ზალისსა, ძალისსა, ძალისი, ძელისი და სხვ;
- 2) ტფილისი, თბილისი, თიფლის;
- 3) ფაიტაკაიან — ფაიტაკარან.

ამათგან მეორემ განდევნა პირველი, ხოლო მესამემ ვერ გაუძლო მეორეს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა საკმაოდ ვრცელ სტატიაში („ძველი თბილისი და სომხურ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორია“), რომელიც გამოქვეყნდა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის, საზოგადოებრივი განყოფილების ორგანოში („ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი“, 1958, №3, გვ. 150, სომხურ ენაზე) წარმოადგინა სომეხი და ქართველი ხალხების მრავალმხრივი ურთიერთობის ზოგადი სურათი. მასში კვლავ შეეხო ორმოც წამებულთა ეკლესიის ისტორიას. იგი ამ ეკლესიის ისტორიას აქაც ასე წარმოგვიდგენს: აშენდა ქართველთა მიერ (V ს.), იყო ბერძენთა ხელში და ბოლოს დაეპატრონენ სომხები. თბილისის „ლურჯი მონასტერი“ აშენდა თამარ მეფის დროს, მისი პირველი მეუღლის იური ბოგოლიუბსკისთან ქორწინების წლებში. იგი ამ ფაქტით ხსნის ამ მონასტრის არქიტექტურული თვალსაზრისით დამოკიდებულებას ნოვეგოროდის ხუროთმოძღვრულ ძეგლებთან. ეკლესიის შესასვლელში დაცულია ქტიტორული წარწერა. ამ წარწერაში მოხსენიებულია ქართლის არქიეპისკოპოსი ვა-

სილი. ამ ვასილს აკად. ს. ერემიანი სარწმუნოებაგამოცვლილ სომეხ ბარსელ არქივისსკოპოსად თელის (გვ. 155). ლეონ მელიქსეთ-ბეგი ლაპარაკობს აგრეთვე ქართული და სომხური ეკლესიების აღდგენისა და მშენებლობის შესახებ, სომეხი გადამწერების და მოღვაწეების წვლილზე ქართული და სომხური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის გამდიდრების საქმეში. მიმოიხილავს ახალი სომხური ენისა და ლიტერატურის ფუძემდებლის ხაჩატურ აბოვიანის (XIX ს.) ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახულია თბილისელი სომხების ცხოვრება, ზნე-ჩვეულება — „თურქი გოგო“, „აზარფეშა“, „მთაწმინდის ღლეობაზე“, „ნარკვევი თბილისელი სომხების ცხოვრებისა და საქორწინო წეს-ჩვეულების შესახებ“ (გერმანულ ენაზე) და სხვ. აგრეთვე სომეხი მწერლის პ. პროშიანის ნაწარმოებს, რომლებშიც აღწერილია ყველიერი, მუშტი-კრივი ძველ თბილისში. განსაკუთრებით ყურადღება აქვს გამახვილებული ავლაბრელ სომეხებზე. ავლაბარში სახლდებოდნენ სომეხი ლტოლვილები საუკუნეების განმავლობაში: ანიდან, შამქორიდან, ეჯიშიაწინიდან და სომხეთის სხვა ადგილებიდან. ამიტომ ავლაბარში აშენდა სომხური ეკლესიები — „ეჯიმიწინი“, „შამქორი“ (დაინგრა) და სხვ. არც ის გამორჩენია, რომ ილია ჭავჭავაძე ავლაბრელ სომეხებს გამოექომაგა, როცა ქალაქის საკრებულომ მათ მიმართ უგულსყურობა გამოიჩინა. თბილისში კულტურული ცხოვრება გამოცოცხლდა, — წერს ის, — როცა საფუძველი ჩაეყარა რუსულ დრამატიულ თეატრს (1845 წ.), აღდგა ქართული თეატრი (1850 წ.), გაიხსნა ოპერის თეატრი (1851 წ.), ახალი სიცოცხლე დაუბრუნდა სომხურ თეატრს (1858 წ.). დაიდგა გ. ერისთავის და გ. სუნდუკიანის პიესები ქართული და სომხური თეატრების სცენებზე. სტატიამი მართებულად არის აღნიშნული გ. ერისთავის და გ. სუნდუკიანის პიესების განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ქართულ-სომხური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის განვითარების ისტორიაში.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ეკუთვნის ნაშრომი — „სტეფანე სივნიელის — „ორბელთა ისტორიის ქართული ვერსია“ („საისტორიო მოამბე“, 1952, გვ. 33). სტეფანი სივნიელი მოღვაწეობდა XIII ს-ის მეორე ნახევარში. ის იყო წარმოშობით ორბელთა (ორბელიანთა) „გასომხებული“ შტოს წარმომად-

გენელი, რის გამოც იწოდებოდა ორბელიანად, იყო სიენეთის (სისაკანის) მიტროპოლიტი. ლეონ მელიქსეთ-ბეგი იმოწმებს ივ. ჯავახიშვილს „ორბელთა ისტორიის“ განსაკუთრებულ მეცნიერული ღირებულების შესახებ. დიდი ივანე წერდა — „არც ერთ სომეხ ისტორიკოსს იმის შესამედი ცნობები არ აქვს, რაც სტ. ორბელიანმა სომხეთის შინაური ყოფა-ცხოვრებისა და წესწყობილების შესასწავლად შეაგროვა თავის თხზულებებში“ („გლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში“, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1922, ტ. II, გვ. 249). მართლაც, სტ. სივნიელის „ორბელთა ისტორიამ“ უზეადაა გამოყენებული ეკლესიებსა და ტაძრების კედლებზე შემონახული წარწერები, მონასტრებში დაცული საბუთები და სომხური დიპლომატიკის ძეგლები. მის ისტორიაში დაცული ეპიგრაფიკის მიხედვით, ნ. მარმა და მესროპ ტერ-მოვსესიანმა აღადგინეს არაერთი დაზიანებული სომხური წარწერა. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა 1924 წელს მოინახულა სევანის მონასტერი. აქ მოციქულთა სახელობის უძველესი ეკლესიის გუმბათის ყელზე აღმოაჩინა ძლიერ დაზიანებული 874 წლით დათარიღებული უცნობი სომხური წარწერა. ეს წარწერა აღადგინა სტ. სივნიელის თხზულების შესაბამისი კონტექსტის მიხედვით.

სტ. სივნიელი ისე, როგორც ძველი სომეხი ისტორიკოსები ორბელიანებთა და მამიკონიანთა გვარს ჩინური ტომის ჩამომავლებად თვლიდნენ, ჭენ მიჩნეული იქნა — ჩინ-ად („ტოპონიმიკური შტუდიები და ხუნანის და ვარძიის სახელწოდებათა ეტიმოლოგიისათვის“, „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, 1934, გვ. 153). ცნობილი სომეხი ისტორიკოსის ნ. აღონცის ზრით მამიკონიანები არიან გასომხებული წარჩინებული ჭანები. ეს ზარი გაიზიარეს ლეონ მელიქსეთ-ბეგმა, შოთა მესხიამ და სხვ. აქვე შევნიშნავ: ლეონ მელიქსეთ-ბეგს მცდარად მიაჩნდა მოსაზრება — თითქოს ორბელიანები მამიკონიანთა შთამომავლები იყვნენ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი მართებულად აღნიშნავს — სტ. სივნიელის „ორბელთა ისტორია“ აჭრელებულია ქართული და უცხოური ლექსიკით: ეს ლექსიკა ნაწილობრივ გამომდინარეობს სათანადო ეპოქის ენიდან, რამდენადაც ამ დროს სომხური ენა გაჟღენთილი იყო ასეთი სიტყვებით. აგრეთვე, ეს ლექსიკა გარკვეულად ანარეკელია იმ წყაროებისა, რომლითაც

აეტიორი სარგებლობდა, კერძოდ ქართულით — ანდერძი, მწიგნობარი, მამამთავარი და სხვ.

სტატიას ერთის ლეონ მელიქსეთ-ბეგის საინტერესო ბოლოსიტყვაობა. მას სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ვაზგენ ჰაკობიანის წერილი მიუღია (19.XI.1951). ვაზგენ ჰაკობიანი ატყობინებს, რომ მას მატენადარანში უნახავს სომხური ხელნაწერი XII ს-ის მეორე ნახევრის ცნობილი სომეხი მოღვაწის დავით ქობაირელის მინაწერით, რომელშიც მოხსენიებული ყოფილა ორბელთა მიერ გიორგი III-ის წინააღმდეგ ორგანიზებული აჯანყების გარემოებანი, ვითარცა თანამედროვისა და ამ აჯანყების თვითმხილველისა. ამ მინაწერის მიხედვით გაიკრკვა:

1) აჯანყება დაწყებულია არა 1177 წელს, როგორც აქამდე იყო ცნობილი, არამედ 1178 წლის გაზაფხულზე, აპრილის შემდეგ;

2) სტ. სივნიელის ვერსია აჯანყების მიზეზის შესახებ უარსაყოფია;

3) აჯანყება ორგანიზებული ყოფილა დიდი მოფიქრებით, რადგან აჯანყებულთ მოკავშირეებად ჰყოლიათ განჯის ათაბაგი, შაჰ-არმენები, კახეთისა და პათერქის (ყარაბაღი) ერისთავები და სხვ.;

4) აჯანყებულთ მიუმართავთ დახმარებისათვის არა ელდიმეზისადმი (თანახმად სტ. სივნიელის და ქართული წყაროებისა), არამედ უკანასკნელის უმცროსი შვილის ყიზილ-ასლან ოსმანისათვის;

5) ივანე ორბელიანი თავის მომხრეებით ლორეს ციხეში დამწყვდეული და ალყაშემორტყმული დარჩენილა 7 თვეს — 1178 წ. ივლისის 19-დან 1179 წ. თებერვლის 10-მდე. სწორედ ამ დღეს აუღია გიორგი III-ს ლორეს ციხე.

6) ზუსტდება თბილისის ამირა ქურთის და ლიპარიტ ორბელის ჯარის შეტაკების ადგილი.

დავით ქობაირელით, აჯანყება დაწყებულა სომეხთა „უძრავი“ წელთაღრიცხვის 621 წელს (-1178 წ.), როდესაც მზე დაბნელდა აპრილის თვეში, კვირაცხოველობის დღეს (16 აპრილი), პირველ საათზე და ამის შემდეგ გამოჩნდნენ ნიშანნი შფოთისანი.

მართლაც, ცნობილია, რომ მზის დაბნელება მოხდა 1178 წ. აპრილში.

სტეფანე სივნიელის „ორბელიანთა ისტორიის“ ქართულად უთარგმნია ღეთისწყალობა ბებუთოვს (1797 წ.) სარდალ სახლთუხუცესის იოანე ჯანბაკურ ორბელიანის ბრძანებით. პ. მურადიანის ჰარით, ღეთისწყალობა ბებუთოვი იყო ერთ-ერთი ცნობილი პოეტი XVIII ს-ის დამღვეს საქართველოში.

არქივში დაცულია ღეონ მელიქსეთ-ბეგის მიმართუა თბილისის უნივერსიტეტის „მრომების“ რედაქციისადმი. ამ მიმართუაში ღაპარაკია XXVIII ტომში გამოქვეყნებული იღ. აბულაძის კრიტიკული შენიშვნების შესახებ. ეს შენიშვნები შეეხება ღეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ გამოქვეყნებულ სტ. სივნიელის „ორბელიანთა ისტორიის“ გამოცემას.

საქართველოს შესახებ სომხური საისტორიო წყაროების თარგმნის და გამოქვეყნების დარგში ღეონ მელიქსეთ-ბეგი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა და მასში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი. ამის კიდევ ერთი მაგალითია ძველი სომეხი ისტორიკოსის თომა მეწოფელის თხზულებაში „ისტორია ღანგ-თემურის“ დაცული ცნობების თარგმნა ქართულ ენაზე და გამოცემა, შესავლით და შესაბამისი კომენტარებით (1937 წ.). მასში ასახულია ის პერიოდი, როცა ირანში ჯეღაირთა დინასტიის დაცემის შემდეგ სომხეთში ე.წ. შავ-ბატკნიანთა ტომი გაბატონდა. ისინი ამ ქვეყანას განაგებდნენ მცირე ინტერვალებით XIV ს-ის დასასრულს და XV ს-ის მიჯნამდე. XV ს-ის მეორე ნახევრიდან (1469 წ.) სომხეთი ე.წ. თეთრ-ბატკნიანთა ტომის ხელში გადავიდა. ამ უკანასკნელთა ბატონობა სომხეთში გაგრძელდა XVI საუკუნის დამდეგამდე (1502 წ.). ამ წელს სეფევიღმა ისმაიღ შაჰმა თარაქამები დაამარცხა და სომხეთიდან განღენა. შემდეგ მოცემულია თომა მეწოფელის ბიოგრაფია და მის ნაშრომთა ხელნაწერების კლასიფიკაცია. ეს ხელნაწერები დაცულია მატენადარანში და პარიზის ნაციონალურ მუზეუმში. არსებობს ამ თხზულების რამდენიმე გამოცემა. პირველად დაიბეჭდა 1855 წელს, ხოლო პარიზში ფრანგულად გამოსცა ვარდაპეტმა კარ. შაჰნაზარიანმა (1860 წ.). თბილისში გამოვიდა თომა მეწოფელის მეორე თხზულება „მემუარები“ (1892 წ.), გამოსცა კ. კოსტანიანცმა. სხვა სომხური წყარო ღანგ-თემურის ღაშქრობის შესახებ ჯერჯერობით არ მოიპოვება, — შენიშნავს ღეონ მელიქსეთ-ბეგი. თხზუ-

ლებამი დაცულია ცნობები თბილისის აოხრების შესახებ (1394 წ.), ახალ-ციხის აკლესია ყარა-უსუფის მიერ (1416 წ.), ბეშქენ ორბელიანის მოწამვლა, სამშვილდესა და თბილისის მოოხრება ჯამან-შაჰის მიერ (1416 და 1440 წ.). ლანგ-თემურის მიერ თბილისის მოოხრების აღწერის დროს თომა მეწოფელი გვაწვდის საინტერესო ცნობას ქართლის მოსახლეობის ეთნიური შემადგენლობის შესახებ: „სახლი ქართლისა, ე.ი. საქართველოს სამეფო შედგებოდა ტომებისაგან: დვალნი, ოსნი, მეგრელნი, აფხაზნი, სვანნი, ქართველნი და მესხნი. აი, ის შვიდი ენა, რომლისგანაც შესდგებოდა „სახლი ქართლისა“, ე.ი. საქართველოს სახელმწიფო“, — ამბობს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

თომა მეწოფელი, მართალია იალუ-ბეგს ქრისტიანთა მეფეს უწოდებს, მაგრამ მაინც ნატრობს, სომხეთს ქრისტიანი მეფე განაგებდეს. მას ასეთად ქართველი მეფე მიაჩნია. შაჰრუჰის ბატონობისგან ქართლი გაანთავისუფლა ბეშქენ ორბელიანმა. ქართლის მეფემ ალექსანდრემ სამაგიერო პატივი მიაგო ბეშქენს და ლორე უბოძა სამფლობელოდ. ბეშქენ ორბელიანმა კი გაფანტულ სომხებს მოუწოდა მის გარშემო, ლორში მოეყარათ თავი. თან ყოველგვარ საცხოვრებელ პირობებს უქმნიდა, ყოველნაირად ეხმარებოდა მათ. მეწოფელის თქმით, ბეშქენ ორბელიანის ეს ღონისძიება თვალში არ მოსვლიათ ქართლის მესვეურებს, რადგან შიშობდნენ ლორეს თავმოყრილი სომხები ქართლს შეესეოდნენ და გაანადგურებდნენ. ბეშქენ ორბელიანი მოწამლეს, რასაც სომეხი ისტორიკოსი ქართლის მეფეს ალექსანდრეს აბრალებს — „და მეფემ იღუმალი საწამლაჲი გადასცა ერთ კაცს ამნადინად წოდებულს სომეხთა ტომისაგან, რომელსაც დიდ საჩუქარს დაჰპირდა.“ (რამდენად დამაჯერებელია თომა მეწოფელის ცნობა ალექსანდრე მეფის მიერ ბეშქენი ორბელიანის მოწამვლის შესახებ, ეს კიდევ კვლევის საგანია.) ალექსანდრე მეფის და ქართველი მაღალი ფენების ამ საქციელით ხსნის ლეონ მელიქსეთ-ბეგი სომეხი ისტორიკოსის თომა მეწოფელის არაკორექტურულ გამონათქვამებს ქართველების მიმართ.

პ. მურადიანს არა დამაჯერებლად მიაჩნია ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სამხრეთ საზღვართან სომხების თავმოყრა

საფრთხეს უქმნიდა ქართლის სამეფოს: “Для подобной интерпретации факта у нас нет ни малейшего свидетельства в существующих первоисточниках” (Армянская эпиграфика Грузии. Тбилиси, 1988, стр. 104).

ძველ სომხურ კოსმოლოგიურ და ასტროლოგიურ მწერლობაში ცნობილები არიან — ანანია შირაკელი (VII ს.), იოანე სარკავაგი (ვარდაპეტი ახპატელი) (XII ს.), და ოვანეს ერზინკაელი ან წორწორელი, მეტსახელად პლუზი (XIII-XIV ს.ს.). ლეონ მელიქსეთ-ბეგმა საქციალური ნაშრომი მიუძღვნა იოანე სარკავაგს და მის ტრაქტატს — „დედამიწის მოძრაობის და რხევის შესახებ“ (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სომხეთის ფილიალის მოამბე, 1943, ტ. I, სომხურ ენაზე).¹² ამ ნაშრომში მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანადაა წარმოდგენილი XI-XII ს.ს. დიდი სომეხი მოღვაწის იოანე სარკავაგის ვარდაპეტის სამეცნიერო მოღვაწეობა. იგი დაბადებულია განჯაში, გარდაცვალების თარიღია 1129 წ. დამაფლავებულია ახპატის მონასტერში, რომლის დამაარსებლად ითვლება იგი. იოანე სარკავაგი დავით აღმაშენებლის დროს ცხოვრობდა და განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა. ძველი სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკელი და ვარდანი (XIII ს.) აღნიშნავენ — მეფე დავითი დიდ პატივს სცემდა იოანე სარკავაგს. ამ პატივისცემის გამო მეფე დავითმა ახპატის და სანანის მონასტერს დაუბრუნა ოდესღაც მათი კუთვნილი ვენახები და სხვ. იოანე სარკავაგი ეკუთვნის შუა საუკუნეების სომეხ მოღვაწეთა იმ რიცხვს, — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი, — რომელთა შემოქმედებით დიპლომატიური ფართო და მრავალმხრივია. მას ეკუთვნის შრომები: ბიბლიოლოგიაში, ეგზეტიკაში, პომლეტიკაში, ლიტერატურაში და ა.შ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იოანე სარკავაგის დოგმატიკურ-პოლემიკური შინაარსის თხზულებებს, მაგალითად, „ქალკედონტათვის“. ეს თხზულება, მისი ვარაუდით, 1123-1125 წლებში უნდა იყოს დაწერილი დავით აღმაშენებლის მიერ თბილისში მოწვეულ ქართველ-სომეხთა საეკლესიო კრებასთან დაკავშირებით. ამ კრებაში არსენ იყალთოელი იღებდა მონაწილეობას.

საყურადღებოა ისიც, რომ ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ქართულ სინამდ-

ვილემში პირველმა გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ იოანე სარკავაგის პოეტური ქმნილება „სარეკ“ („შამვი“) არის რეალისტური (ის ხმა-რობს ნატურ-ფილოსოფიას) ნაწარმოები და სხვ.

აღნიშნულ ტრაქტატს („დედამიწის მოძრაობასა და რხევის შესახებ“) ორი რედაქციით მოუღწევია — ვრცელი და მოკლე რედაქციის სახით. ვრცელი რედაქცია (1943 წ.) მაშინ გამოქვეყნებული არ იყო და გამოაქვეყნა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა. ეს თხზულება იმ დროის შესაფერის მეცნიერულ დონეზე იძლევა პასუხს ბუნების, მოვლენებისა და ცხოველების შესახებ — ვეშაპი, ბეჰემოტი, მთვარის დაბნელების მიზეზი და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის წიგნი — „Введение в историю государственных образований Юго-Кавказа“, Тифлис, 1924 — არის თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 1920-1923 წელს წაკითხული ლექციების კრებული. წინასწარი შენიშვნის შემდეგ აღნიშნავს სამხრეთ კავკასიის ისტორიის შესწავლის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) მნიშვნელობას და როლს საერთოდ ისტორიაში. საყურადღებოა მეხუთე თავი: „Источники по изучению истории Юго-Кавказа“. სამხრეთ-კავკასიის ისტორიის შესწავლის უპირველეს წყაროდ მკვლევარი მიიჩნევს სულიერი კულტურის ძეგლებს, რომლებსაც ჰყოფს ორ ნაწილად: ზეპირ და წერილობით ნაწილებად. ეს უკანასკნელი შემორჩენილია ბერძნულ, არაბულ, სპარსულ, სირიულ, სომხურ და სხვა ენებზე. შემდეგ მოდის ეპიგრაფიკა და ნუმიზმატიკა. ავტორი განსაზღვრავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ეპიგრაფიკას სამხრეთ-კავკასიის ისტორიის შესწავლის საქმეში. ნიმუშებად მოაქვს ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი „К вопросу о времени построения грузинского храма в Атене по вновь обследованным эпиграфическим памятникам“, და ს. ელიშაროვის „Государственный, общественный, хозяйственный и юридический строй Армении в X-XIII вв. по надписям г. Ани и Ширака“ და სხვ. შემდეგ ჩამოთვლის ვანის, ურარტუს წარწერებს (X-XIII ს.ს. ქრ. წინ) და ა.შ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა წიგნში სამხრეთკავკასიის ისტორიას ჰყოფს პერიოდებად, კერძოდ:

1) სომხეთის: ძველი — V ს-მდე; საშუალო — V-XV სს.; ახალი —

XV ს.—1924 წლამდე;

2) საქართველოს ისტორიას ჰყოფს ორ ნაწილად: პირველი — უძველესი დროიდან 1469 წლამდე; მეორე — 1469-1800 წწ.

არის აგრეთვე საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ სხვა მოსაზრებები (ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, ს. გორგაძე და სხვ.). ნაშრომში მოცემულია ძველი ავტორის ცნობები სამხრეთ-კავკასიის შესახებ (სტრაბონი, პლინიუს სეკუნდ (უფროსი), პტოლემეი, არაბი იბნ-ალი-ფაკი და სხვ.).

მართალია, წიგნი ლექციურ ხასიათს ატარებს, მაგრამ გასული საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს, სომხეთის და ჰერბაიჯანის ისტორიის შესახებ რუსულ ენაზე საჭირო იყო ასეთი ინფორმაციული ხასიათის ნაშრომი.

1936 წელს გამოვიდა ლეონ მელიქსეთ-ბეგის „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა, როგორც მასალა ამიერკავკასიის საისტორიო გეოგრაფიისათვის“ (რუკით). ეს თხზულება შემორჩენილია ორი რედაქციის სახით: პირველი 1769 წელს არის შედგენილი, მეორე კი 1782 წლამდე. პირველის ავტორი უცნობია, მეორე კი ექთაყიანიშვილის, ლეონ მელიქსეთ-ბეგის და პ. მურადიანის აზრით, ეკუთვნის დავით რექტორს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის შეფასებით ეახშუშტის გეოგრაფიის შემდეგ ეს თხზულება — „საქართველოს მეზობელ ქვეყნების აღწერა“ — როგორც ქრონოლოგიურად, ისე შინაარსით ძველ ქართულ მწერლობაში მეორე ნაწარმოებად შეიძლება ჩაითვალოს. მას მეცნიერულ ღირსებას მატებს ისიც, რომ იგი ერთადერთი ძეგლია ქართულ ენაზე, რომელშიც წარმოდგენილია XVIII ს-ის ამიერკავკასიის ისტორია და ისტორიული გეოგრაფია. მასში მოცემულია ტექსტოლოგიური შედარება ამ თხზულების ორი რედაქციისა და არაერთი ფაქტობრივი შეცდომა აქვს გასწორებული ავტორს. ლეონ მელიქსეთ-ბეგი მკითხველს აწვდის ზუსტ მეცნიერულ კომენტარს თხზულების ამა თუ იმ საკითხზე. მასში აღწერილია ახალციხე, ყარსი, ბაიანეთი, ერევანი, განჯა, ხამსა, კუმუხი, შაქი, ალისსულტანი, ჭარი, ჯინიზი, თალი, ბელაქანი, ხუნძახი, დილო-ქისტი, ლლიღვი-ზუ-

რზუკი, თუმ-ფშავ-ხევსურეთი, ხევი და სხვ.

თხზულებაში არაერთი საყურადღებო ცნობაა დაცული. მათგან მოვიტანთ რამდენიმეს. შაქის აღწერაში ავტორი წერს: „ამას შინა მსახლობელნი არიან მრავალნი ქრისტიანნი, სომეხნი ცხადად და ქართველნი ფარულად, მაჰმადიანთა შიშისაგან“; აგრეთვე ჯინისისა და ბელაქნის ხეობათა აღწერაში აღნიშნულია — „აქ იპოვებიან მცირედნი ქრისტიანნი, ზოგნი მართლმადიდებელნი ფარულად და ზოგნი სომეხნი არიან განცხადებულად“. „ფრიად საგულისხმოა, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი, — რამდენადაც აქ აღნიშნულია სომეხთა, შედარებით ქართველებთან, პრივილეგიური მდგომარეობა ე.წ. „მაჰმადიანურ“ მხარეებში ამიერკავკასიისას, რაიც საუცხოვოდ ამსხვერვეს სომეხ და თურქ შოვინისტების თეორიას „სომეხ-თათართა საუკუნოებრივი შუღლის“ შესახებ იმ შემთხვევაშიც კი, თუ აქ პოლიტიკური მომენტი (ორიენტაციასთან დაკავშირებით) სჭარბობდეს. და მართლაც, ცნობილია, რომ ე.წ. „მაჰმადიან“ ქვეყნებში XVI-XIX სს-ში სომეხთა მდგომარეობა შედარებით სხვა ქრისტიანების მდგომარეობასთან გაცილებით უკეთესი იყო. ასევე „მაჰმადიან“ თურქებში XIX ს-ის დასაწყისში ამავე სომეხთა მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე „ქრისტიანულ რუსეთში“, რის დამადასტურებელი მასალები თავმოყრილია მთელ რიგ სომეხ მოღვაწეთა (ა. ბაკუნცის, ივ. ზავრიევის, ოვ. აკოფოვის და სხვ.) ახლახან გამოცემულ სათანადო თხზულებებში“ (გვ. 11).

ამ მოსაზრებას — სომეხები რომ პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ქართველებთან შედარებით, ამიერკავკასიის ე.წ. „მაჰმადიანურ“ მხარეებში ზოგიერთი სომეხი მკვლევარი დღეს ხელალებით უარყოფს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში წერს და სისტემატურად აქვეყნებს სტატიებს სხვადასხვა მეცნიერულ თემებზე. მაგალითად, 1490 წლის ერთ-ერთ სომხურ ხელნაწერში (“Рукопись шаракана XV века, открытая в Одессе”, Тифлис, 1913) შეხვედრია სომხური სიტყვა „მალჰნ“ — монах (მონოზანი). მისი ჯრით, „მალჰნ“ მოდის ბერძნულიდან. მან გაავლო პარალელი ქართულის — მოლოზონ — მონოზონ მღვდელ-მონოზონთან. ამავე დროს გურულ დიალექტში უნა-

ხავს „მალაზ“, რაც სომხური მალაზნ-ის პირდაპირი ანალოგიურია (“По поводу термина „малаз“ в армянском”. - “Хр. Восток”, 1913, т. II, вып. 3, стр. 399).

1918 წლის 12 მარტს აღდგა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და კათალიკოს პატრიარქად აირჩიეს ცნობილი ეპისკოპოსი და მკვლევარი კირიო II (სამაგლობიელი). ლეონ მელიქსეთ-ბეგი “Хр. Восток”-ის რედაქციის სახელით ულოცავს ამ დიდებულ დღესასწაულს და უსურვებს მას წარმატებებს. (1918, т. VI, вып. 1).¹³

აქვე ვიტყვი ბარემ — ლეონ მელიქსეთ-ბეგს ოდესის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში არაერთგზის მოუნახულებია ხერსონში გადასახლებული ეპისკოპოსი კირიონი.¹⁴

1916 წელს გამოქვეყნდა გრ. ვეშაპელის — “Турецкая Грузия. Лазистан, Трапезунд и чорохский край” (“Труды грузинского общества науки, искусства и литературы”, вып. 2, стр. 52). ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ამ ნაშრომის შესახებ გამოაქვეყნა საკმაოდ კრიტიკული ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, რომელშიც ავტორს საყვედურობს ორჯონიძის შრომის აზრებს ამ მხარის შესახებ. ასევე შეეხო ქართულ და სომხური ეკლესიის განხეთქილების ისტორიას და გრ. ვეშაპელს მის არასწორ ინტერპრეტაციაში სდებს ბრალს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი თბილისში 1917 წელს აქვეყნებს “В поисках Страбоновой Севсаморы” (К вопросу о древнегрузинских местобитаниях). მასში მოაქვს და განიხილავს სტრაბონის შემდეგ ცნობას: “... со стороны Армении образуют проход ущелья при Кире (Курь) и Араг (Арагв); при этих реках, выше их слияния, лежат укрепления города на скалах, отстоящих одна от другой стадиев на 16; при Кир (Курь) Армозика, а при другой (рек) Севсамора” (გვ. 4). ლეონ მელიქსეთ-ბეგი შენიშნავს: სტრაბონის მიერ მოხსენიებული სევსამური იგივე წიწამურიაო. შემდეგ მოაქვს კ. განის აზრი: წიწამური არის ქართული ციცი-ореховый цветок (დ. ჩუბინაშვილის მიხედვით). ციცი-წიწი-დადასტურებულია ჭანურში (გვ. 4). არ იზიარებს რა ლეონ მელიქსეთ-ბეგი კ. განის მოსაზრებას აღნიშნული სიტყვის შესახებ,

წერს: "...созвучна с армянским термином ციც=ციცი, означающим "сиськи", и в таком случае წიწ-ამ-ური... может быть, означают не что-либо иное, как plurale tantum от ციც=წიწი — сиськи" (გვ. 4).

ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავს, რომ წიწამური — სევასამური რატომღაც არ დაინტერესდნენ მეცნიერები და მას ღუმილით აუარეს გვერდი. მაგ. ვახუშტი „საქართველოს გეოგრაფიამი“, როცა მცხეთის მადამოებს აღწერს, კრინტს არ ძრავს მის შესახებ. ღუმს, აგრეთვე, პლ. იოსელიანი ("Города, существовавшие в Грузии"), ასევე ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიამი“ (1913 წ.). სენ-მარტენს სევასამური სამთავროსთან აქვს გაიგივებული და სხვ. ლეონ მელიქსეთ-ბეგის ზრით, ძველი წიწამური — სევასამური შეიძლება იყოს "...только по правому берегу р. Арагви, так как левый берег этой последней не представляет из себя таких природных скалистых образований, которые, будучи увенчаны крепостными сооружениями, могли бы выполнять роль стратега, охранявшего проход "со стороны Армении" (სტრაბონის) в Арагвском ущелье" (გვ. 9).

ამდენად, ამჟამინდელი წიწამური არ შეიძლება იყოს სტრაბონის მიერ აღწერილი წიწამური, რადგან სტრაბონი წერს: სევასამური იყო "неприступные скалы" (გვ. 10). ქსენოფონტეს ცნობით ვიცით, რომ საქართველოში დასახლებული პუნქტები მდებარეობს მდინარის გვერდით, დაბლობებზე. ქალაქები კი იყო ქალაქ-სიმაგრეებში, რომლებიც ჩვეულებრივ კლდოვან ადგილებზე განლაგებულიყვნენ. ისინი მოსახლეობის თავშესაფარს წარმოადგენდნენ მტრის შემოსევის დროს. ლეონ მელიქსეთ-ბეგი გვთავაზობს ასეთ ვარაუდს: "Но если мне, тем не менее, удалось хотя бы в общих чертах подойти к вопросу о местоположении исторической Севсамуры, в смысле приурочения таковой к правому берегу р. Арагви и именно к остаткам крепости Нацор-Беррицихе, то дальнейшие обоснования своей гипотезы я бы предоставил сделать археологии" (გვ. 13).

ლეონ მელიქსეთ-ბეგის ამ ნაშრომს გამოეხმაურა გერმოგენ ბრეგვაძე

წერილში „მცირე განმარტება“ (გაზ. „საქართველო“, 1916, №244), სადაც აღნიშნავს: „მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომაზე ლეონ მელიქსეთ-ბეგმა წაიკითხა რეფერატი და გამოთქვა მოსაზრება, რომ ძველი წიწამურა (სტრაბონის „სეკსამორა“) იქ არ უნდა ყოფილიყო, სადაც ეხლა პატარა სოფელი წიწამურა არისო, ზედაზნის მთის ძირში, არაგვის მარცხენა ნაპირზე, არამედ მარჯვენა ნაპირზე არაგვის სამთავროს ეკლესიის და ბებრის-ციხის შუა. აქვე შეეხო სიტყვა „წიწამურის“ მნიშვნელობას.

ამის შესახებ ჩვენ ჩვენი მოსაზრება მოგვეყავს, როგორც მოწმობენ, ძველი წიწამურის ქალაქი ყოფილა აღმართული მიუვალ მთაზე. ეხლაც იმერეთსა და რაჭაში მიუვალ მთის ფერდობს „ციცაბოს“ ეძახიან. „ისეთი ციცაბოა, რომ კატა ჭვანგს (ბრჭყალებს) ვერ მოიკიდებსო“, ხშირად გაიგონებს კაცი იმერელ გლეხისაგან. თუ ციცაბოზე არავითარი მცენარეა, არც ქვები და ძლიერ დაკიდებულია, მაშინ იტყვიან — „უჰ, რა მოწრიაპებული ციცაბოაო“, ანდა მოკლედ „უჰ, რა წრიაპია“-ო. ასე რომ, მოწმენდილ ციცაბოს „წრიაპს“ ეძახიან. თუ მთის ყველა ფერდობი ცოტათი თუ ბევრით წარმოადგენს დაკიდებულ მოწმენდილ ციცაბოებს ან წრიაპებს, იმისთანა მთას „წიწამურას“ უწოდებენ. თუ ძველი ციხე-ქალაქი „წიწამური“ აგებული იყო მიუვალ მთაზე, მაშინ აუცილებლად ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ თავისი სახელი „წიწამური“ მიიღო იქიდან, რომ ის აგებული იყო „წიწამურ“ მთაზე.“

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ეს ცნობა მაღლობით მიიღო და არაერთგზის აღნიშნა თავის შრომებში. რაც შეეხება მის ვარაუდს წიწამურის-სეკსამურის ადგილმდებარეობის შესახებ, თუ არ ეცდები, არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს (ქ. ს. ე., ტ. XI, 1987, გვ. 335). (წიწამურის ეტიმოლოგიის შესახებ იხ. გ. ბელოშვილი — „ერწო-თიანეთის ტოპონიმი“, 1980, გვ. 204).

ლეონ მელიქსეთ-ბეგის წერილში განხილულია ნ. მარის ნაშრომი “Термины из абхазо-русских связей - “лошадь” и “тризна” (К вопросу о племенном происхождении средиземноморского населения”, 1924). მას მოაქვს ნ. მარის ეტიმოლოგიური ძიებანი. მაგალი-

თად, „რამ“ — ზღაპრული ცხენი. ნ. მარის მიხედვით „რამ“ ყოფილა ტომის სახელწოდებაც. ეს ტომი ცნობილია ბიბლიიდან — „როშ“ და „რასენ“ ფორმით. „რას-ენ“ სხვადასხვა ფორმით გავრცელებულია ვრცელ ტერიტორიაზე, კერძოდ, „უ-რას-ტუ“ (ურარტუ), „ა-რა-რატ“, „ე-რას-ხ“, აქედან „ა-რაქ-ს“, სომხური „რუმენიქ“ („რუმ-ტუნ-იქ“) და ქართული „ერუმეთი“ („ე-რუმ-ეთ-ი“) და სხვ. ნ. მარი კიდევ უფრო შორს მიდის და „რამ“-ს უკავშირებს „რაჭ“-ას. ასევე ნ. მარი „რუმ“-ს უსადაგებს და საერთოს ხედავს ქართულ „მ-რუმ“-თან („распутное существо“). ამ საერთოს „რუმ“-სა და „მრუმ“-ს შორის იგი ასე ხსნის: „იაფეტთა შორის გარკვეულ დროიდან ღმერთები მიაჩნდათ ბილწ არსებებადო.“

ლეონ მელიქსეთ-ბეგს მოაქვს კიდევ სხვადასხვა სიტყვის ნ. მარისეული ეტიმოლოგიები (იხ. „საისტორიო მოამბე“, 1924, №2, გვ. 263).

1925 წელს გამოვიდა რუსულ ენაზე ღიმიტრი გულიას „История Абхазии“. ამ შრომის შესახებ ლეონ მელიქსეთ-ბეგმა კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა (იხ. „Заря Востока“, 1925, №924). მას უწოდა — „сырой материал“. ეს არის ისტორია კუსტარული გაგებით, რომელიც სხვა ავტორთა ამონაკრებით არის გადატვირთულიო, ავტორს გამოყენებული არა აქვს აფხაზეთის ისტორიის მნიშვნელოვანი წყარო — გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, ამასთანავე ბიჭვინთის არქეოლოგიური გათხრების შედეგებით და სხვა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ეკუთვნის სტატია — „Эксерпты из древней «Истории Армении» по грузинской рукописи XVIII века“ (Известия Кавказского Историко-Археологического Института, 1927, т. II, стр. 135). ეს არის ნაწილი იმ მოხსენების, რომელიც ლეონ მელიქსეთ-ბეგს წაუკითხავს სომხურ ენაზე თბილისის სომხური ეთნოგრაფიული საზოგადოების სხდომაზე 1917 წლის 2 სექტემბერს. მოხსენების თემა იყო „მოსე ხორენელი და ქართული მატთანე“. თბილისის საეკლესიო მუზეუმში (№735) ხუცურ ენაზე დაწერილი ხელნაწერისთვის „მეფობა სომეხთა ნოეს შვილით-გან. ესე არიან პოვნილ ჰათმოთინის-გან. წიგნსა ამას შინა გამოკრებით ნახართ და ნათესავთა“. ხელნაწერი განეკუთვნება XVIII საუკუნეს.

ხსენებული ქართული ხელნაწერის ტექსტი სხვა ანალოგიური ტექსტებისაგან განსხვავდება, — შენიშნავს მეცნიერი და აღნიშნავს ამ განსხვავებებს. ამავე დროს მიუთითებს: პათმოთინი არის თავისებური ტრანსკრიპცია სომხური პატმუთიუნის (ქართულად ისტორიას ნიშნავს), ნახარი არის დამახინჯებული სომხური სიტყვის — „ნახარარი“. ხელნაწერის მეშვიდე თავში ჩამოთვლილია ნახარარნი სომხითისანი — არშაკუნნი, ბაგრატუნნი, ამატუნნი, არწრურნნი და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა თბილისში 1930 წელს — “К истории точных наук в Армении и Грузии” (сб. “Вопросы философии и социологии марксизма”, кн. 1). ძველი სომხური ზუსტი მეცნიერების განვითარების ისტორიაში მთავარი ადგილი უკავია ანანია შირაკელს (VII ს-ის მე-2 ნახევარი), რომელიც ცნობილი იყო, როგორც მათემატიკოსი, კოსმოლოგი, მეტეოროლოგი და სხვ. მისი ძირითადი ნაშრომია „კითხვები და გადაწყვეტანი“. ამ ნაშრომის ტექსტი აღმოაჩინა არმენისტმა ვალუსტ ტერ-მკრტიჩიანმა 1891 წელს ეჯიმიანის სიძველეთსაცავში და მანვე გამოსცა. გამოცემა გადაამუშავა, შესავალი და კომენტარი დაურთო იოსებ ორბელმა და 1918 წელს გამოაქვეყნა რუსულ ენაზე.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი განიხილავს რა ანანია შირაკელის მეცნიერულ მემკვიდრეობას, წერს: ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაში ანანია შირაკელის სახელი დაკავშირებულია ეპიფანე კვიპრელთან, რომლის საქმის გამგრძელებლად იგი თავის თავს თვლის. ანანია შირაკელს მიეწერება ეპიფანე კვიპრელის ცნობილი ტრაქტატის სომხური თარგმანი — ზომისა და წონის შესახებ. იქვე დამტკიცდა, რომ ამ ტრაქტატის ძველი ქართული თარგმანიც არსებობსო. ამავე დროს სომეხ და ქართველ სამეცნიერო საზოგადოებას და დაინტერესებულ მკითხველს აცნობს ანანია შირაკელის დამსახურებას ზუსტი მეცნიერების განვითარებაში. იგი ითვლება კოსმოლოგიური ხასიათის შრომების ავტორად - მიწის, ზღვის, ცის, დედამიწის მოძრაობის შესახებ და ა.შ.

ანანია შირაკელის მოღვაწეობის გამგრძელებლად ითვლება XI-XII სს. ცნობილი სომეხი სწავლული, ახპატის სკოლის ფუძემდებელი იოანე სარ-

კავაგი=ვარდაპეტი, რომელსაც ეკუთვნის შრომები ციური მოძრაობის, წელთაღრიცხვის, კალენდრის შესახებ.

ამ თვალსაზრისით ლეონ მელიქსეთ-ბეგი მიმოიხილავს ქართულ საისტორიო მწერლობას და აღნიშნავს: მთელი შუა საუკუნეების მანძილზე სომხურისგან განსხვავებით ქართულს არ შემოუნახავს თითქმის არცერთი ფიზიკა-მათემატიკური ძეგლი — არც ორიგინალური და არც ნათარგმნი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ეპიფანე კვიპრელის ტრაქტატის — „ზომისა და წონის“ ქართულ თარგმანს. ამ მოვლენას სოციალური მიზეზი ხსნის. ამ პრობლემისადმი ინტერესი ქართველებს, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი, — ე.წ. „აღორძინების“ ხანაში გაუჩნდათ (XVI-XVIII ს.ს.), როცა საქართველო მოხვდა, ერთის მხრივ, რუსეთის, მეორეს მხრივ, ირანის სავაჭრო-კაპიტალისტურ სფეროში. ამით აიხსნება ის, რომ XVIII ს-ში ვახტანგ VI-ის ბრძანებით თარგმნეს სპარსულიდან ულუგ-ბეკის და ჰიდაიად ილნუდუჟუმის ასტროლოგიური ტრაქტატი, რომელიც 1926 წელს გამოსცეს ნ. მარმა და კ. დონდუამ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ყურადღება მიაქცია და აღწერა ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერის სახით ფიზიკის, მათემატიკის და ასტროლოგიური შინაარსის რუსულიდან ქართულად თარგმნილი ნაშრომები, აგრეთვე, განხილული აქვს იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ დაცული ცნობები ფიზიკის და ასტრონომიის შესახებ. საგანგებოდ აღნიშნავს იოანე ორბელიანის, დიმიტრი ციციშვილის, პაატა ანდრონიკაშვილის და სხვა ქართველ მოღვაწეთა დამსახურებას ამ საქმეში. ნაშრომში მოცემულია საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისში 1902 წელს არმენისტ კ. კოსტანიანს გამოუცია წიგნაკი სომხურ ენაზე — „სომხეთში მიწისძვრათა ქრონიკა“ (602-603-1791 წწ.), ამავე 1902 წელს თბილისში რუსულად მ. ჯანაშვილს კი “Землетрясения в прошлом (историяческая справка)” (453-1780 წწ.).

ლეონ მელიქსეთ-ბეგი აგრეთვე ლაპარაკობს სომხურ გრიგორიანურ კალენდარზე და განიხილავს მას. “Но т.н. “армянский календарь”, пользующийся широкой популярностью в обывательских кругах, хотя бы de nomine, заслуживает гораздо большего внима-

ნია ს ჩაშაი სტორაი, პოსკოლკუ ვ ოსივსე სეი ლეჟა მათმატი-
ჩესკი ვიჩისლენია, ისოდიასი ივ სოლნეჩნოი, ესი მოჟნო ბი-
ლო ბი თაკ ვივრისი, ციკლა.” (გვ. 210). აქ მას მხედველობაში აქვს
ე.წ. „მუდმივი“ კალენდარი, რომლის მეშვეობით შეიძლება მკითხაობა. ეს
არის ე.წ. „ეფრემ-ვერდი“, რომელიც XVIII ს-ში შეადგინა სარგის ვარდა-
პეტმა (სარაფიანმა). კალენდარი გამოვიდა ოთხჯერ. იგი სომხურიდან
ქართულად ითარგმნა და გამოიცა თბილისში 1897 წელს „ეფიმერტე ანუ
ეფრემ-ვერდის“ სახელწოდებით. ძველი სომხურიდან თარგმნა კ. გრიგორ-
იანცმა ყაზახელმა. ქართული თარგმანი სიტყვა-სიტყვითაა შესრულე-
ბული. თვით სომხური დედანი კი მოდის ბერძნული პირველწყაროდან.

აქვე ლეონ მელიქსეთ-ბეგს მოაქვს ნ. მარის დაკვირება სომხური
„ტარი“ და ქართული „წელი“-ის შესახებ: „Год у армян и грузин, как из-
вестно, обозначался и ныне обозначается терминами „тარი“ у
первых и „წელი“ у вторых, которые оба акад. Н. Я. Марром при-
знаются генетически сродными. Причем интересно, что арм.
„тარი“ в этой именно форме имеется и в грузинском термине -
„ტარიგი“, означающем годовалого ягненка; кроме того, арм.
„ღარი“ означает век, эпоху, а груз. „ღარი“ - время, погоду.” (გვ. 211).
შემდეგ ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ მოცემულია ნ. მარის ამ დაკვირვე-
ბების ინტერპრეტაცია და განიხილავს რ. ნიკოლაძის, ვ. ნიკოლაძის, აკ.
შანიძის, ვ. თოფურიას ამ თემისადმი მიძღვნილ სტატიებს.

1926 წელს ხელნაწერთა მუზეუმის გამგის სერგი გორგაძის თხოვნით,
ლეონ მელიქსეთ-ბეგი გაეცნო ახლად შექმნილ ერთ მანუსკრიპტს, რომე-
ლიც აღმოჩნდა ძველი სომეხი ისტორიკოსის მიქაელ ჩამჩიანის სამტომი-
ანი კაპიტალური ნაშრომის — „სომხეთის ისტორიის“ მეორე ტომის 30-ე
და მე-40 თავების ქართული თარგმანი.¹⁵

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ქართული თარგმანის შესრულების დროდ XIX
ს-ის პირველი ნახევარი მიაჩნია. ვარაუდობს, თარგმანის შესაძლო ინიცია-
ტორი პლ. იოსელიანი უნდა იყოს, რადგან ამ დროს პლ. იოსელიანი ერ-
თადერთი მოღვაწეა, მიქაელ ჩამჩიანის „სომხეთის ისტორიის“ ხშირად
რომ იმღწმებს და ეყრდნობაო („მიქაელ ჩამჩიანის „სომხეთის ისტორიის“

ქართული თარგმანი. — საქ. მუზეუმის მოამბე, 1935, ტ. VIII, გვ. 55).

პლ. იოსელიანის შესახებ ლეონ მელიქსეთ-ბეგმა დაბეჭდა სტატია „ეპიზოდი პლ. იოსელიანის ცხოვრებიდან“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1938, №31), რომელშიც ავტორი დადებითად გამოეხმაურა 1936 წელს პლ. იოსელიანის წიგნის — „ცხოვრება გიორგი მეცამეტე“-ს გამოსვლას (გამომც. აკ. გაწერელია). აქ სტატიის ავტორი იძლევა ერთ საინტერესო ცნობას — პლ. იოსელიანს თავის ნაშრომებში, რუსულისა და ევროპული წყაროების გარდა, გამოყენებული აქვს უშუალოდ სომხური საისტორიო წყაროებიც, რადგან სომხური ენა იცოდაო. ამის დასტურად მას მოაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ პლ. იოსელიანი თბილისის ნერსესიანის სასწავლებელში პედაგოგად მუშაობდა 1838-1842 წლებში და ასწავლიდა არითმეტიკის მეორე ნაწილს, ზოგად ისტორიასა და გეოგრაფიას, რაზედაც იმომწებს სომეხ ისტორიკოსს ალექსანდრე ერეციანს: „...პლ. იოსელიანი ცდილობდა შეესწავლა სომხური მწერლობა, რათა ფაქტები თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა. ცოტა ესმოდა სომხური, სომეხთა ეკლესიას „ერეტიკოსს“ უწოდებდა და რამდენიმე ათეული სომხური რჩეული ხელნაწერი ჰქონდა დაგროვილი.“

ლეონ მელიქსეთ-ბეგი დაუღალავად სწავლობდა ქართულ წყაროებს სომეხთა შესახებ და ასევე სისტემატურად იკვლევდა სომხურ წყაროებს საქართველოს შესახებ. ამის ერთ-ერთი ნიმუშია 1942 წელს გამოქვეყნებული სტატია — “Следы “Истории Армении” Фауста Византийского в древнегрузинской литературе” (საქ. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, გვ. 4). ფავსტოს ბიზანტიელის (V ს.) „სომეხეთის ისტორია“ გამოიყენა პროკოპი კესარიელმა (VI ს.). როგორც ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავს, ის გამოყენებული ყოფილა, აგრეთვე, ქართულ მწერლობაში. პირველად გამოუყენებია ანონიმ ქართველ ავტორს კომპილაციურ ტრაქტატში (IX ს.), შემდეგ ფარსადან გორგიჯანიძეს — „საქართველოს ისტორიაში“. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა პარალელური ტექსტების მოხმობით გაარკვია, რომელი ადგილებია გამოყენებული ფავსტოს ბიზანტიელის ნაშრომისა აღნიშნულ ქართულ საისტორიო თხზულებაში.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის მეცნიერული ინტერესი მიმართული იყო სომხეთისა და საქართველოს ისტორიის ძველი პერიოდისადმი, მაგრამ არანაკლები ინტერესით სწავლობდა ახალ პერიოდსაც. თბილისის ამქართა „გამოსვლის“ სოციალურ-პოლიტიკური არსი დოკუმენტური მასალების საფუძველზე გამოიკვლია შ. ჩხეტიამ, აღ. ფირცხალაშვილმა და სხვ. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა — 1947 წელს გამოაქვეყნა მრავალწლიანი შრომის შედეგი წიგნად — „საარქივო მასალები თბილისის ამქართა 1865 წლის „გამოსვლის“ ისტორიისათვის“. ამ კრებულში თავმოყრილია „გამოსვლის“ გამო დაპატიმრებულთა დაკითხვის ოქმები. წინ კი ერთვის ვრცელი შესავალი წერილი. მასში განხილულია ამქართა „გამოსვლის“ სოციალური მიზეზები. ამ კრებულის გამოცემის შემდეგ ლეონ მელიქსეთ-ბეგმა სომხურ ენაზე გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი სტატია — „ამქართა გამოსვლა თბილისში 1865 წელს, გ. სუნდუკიანი და სომეხთა ინტელიგენცია“ (გაზ. „ხორპრდინ ერასტან“, 1938, №19, №20). დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით წარმოდგენილია, თუ რა აქტიური მონაწილეობა მიიღო გ. სუნდუკიანმა ამქართა ამ „გამოსვლაში“.¹⁶ ლეონ მელიქსეთ-ბეგი გულდასმით ადევნებდა თვალყურს სომხურ, ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე გამოსულ სამეცნიერო ლიტერატურას და შემთხვევას არ უშვებდა, რათა მათ შესახებ თავისი აზრი გამოეთქვა ამა თუ იმ ფორმით. მაგ. 1952 წელს ერევანში სომხურ ენაზე გამოვიდა „მცირე მატრიანეები XII-XVIII სს., ტ. I, (გამომც. ვ. ჰაკობიანი). კრებულს იგი შეეხებინა საკმაოდ მკაცრი რეცენზიით, რომელიც დაბეჭდა „სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ (1952, №2, გვ. III). მან მიუთითა ფაქტობრივ შეცდომებზე, გამორჩენილ მასალაზე და მისცა ბიბლიოგრაფიული შენიშვნები. აგრეთვე, რეცენზია მიუძღვნა ერევნის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ა. აბრაჰამიანის წიგნს — „ჰოვანეს იმპსტასერის მატრიანე“ („სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, საზოგადოებრივი განყოფილება, 1957, №4, სომხ. ენაზე). აქაც მიუთითებს ნაშრომში დაშვებულ შეცდომებზე. მაგალითად, მას მიაჩნია, რომ დავით აღმაშენებლის დროს (1223 წ.) შემდგარ ქართველ-სომეხთა კრებაში მიიღებდა მონაწილეობას

პოვანეს იმასტასერი. ეს კი აღნიშნული უნდა იყოს ნაშრომში. აგრეთვე არასწორად არის თარგმნილი დავით მეფის ზედწოდება — აღმაშენებელი და სხვ.

საკმაოდ ვრცელი რეცენზიით გამოეხმაურა ლეონ მელიქსეთ-ბეგი ვალერიან გაბაშვილის მონოგრაფიას — „ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVIII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა)“ (თბილისი, 1958). მას მონოგრაფია დაწვრილებით განხილული აქვს თავების მიხედვით და აღნიშნავს — ვალ. გაბაშვილი ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალიზმს შორის იგივეობის ნიშანს კი არა სვამს, არამედ უჩვენებს მათ შორის განსხვავებას. მართალია, მისი მიზანია გამოიკვლიოს ფეოდალიზმის გენეზისი საქართველოში, მაგრამ ანგარიშს უწევს ე.წ. „უნივერსალური“, „ისლამური“, „მომთაბარე“ და „აზიური“ ფეოდალიზმის ცნებებს, თუმცა ავტორი არ უარყოფს ანალოგიურ მომენტებს ქართულ და ევროპულ ფეოდალიზმს შორის. სწორედ ამ თვალსაზრისით შესწავლილია XVI-XVIII საუკუნეებში ქართული ფეოდალური წყობილების თავისებურებანი, — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი. მისივე აზრით, ვალ. გაბაშვილს სომხური წყაროებიდან არა აქვს გამოყენებული XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის გრ. დარანაღელის ვრცელი „ჟამთაღმწერლობა“. მასში ასახულია რელიგიური ელფერით შენიღბული აგრარული მოძრაობა XVII საუკუნის სომხეთში. იგი ავტორს საყვედურობს, ხიზნობის საკითხს გაკვრით შეეხო. მაშინ, როცა ხიზნობა ქართული ფეოდალიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ინსტიტუტი იყო. ლეონ მელიქსეთ-ბეგი ამ ნაშრომს მაღალ მეცნიერულ შეფასებას აძლევს და მიაჩნია ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოკვლევად ქართულ ისტორიოგრაფიაში.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჰუნების ყოფნის ფაქტის დადგენაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ლეონ მელიქსეთ-ბეგი ერთი მხრივ, ძველ ქართულ მწერლობას — „მუშანიკის წამებას“, „ქართლის მოქცევას“, და მეორე მხრივ, ტოპონიმიკურ მასალას, რომელშიც აისახა „ჰუნ“ — „ხუნანი“-ს სახით. („К истории появления гуннов в восточном Закавказье“. - Доклады Академии наук Азербайджанской ССР, 1957, т. III). ასევე, 1957 წელს ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოაქვეყნა სტა-

ტია „მარდენის აღწერით ეჯიმიანინის ტაძარი“ (Изв. Акад. наук Арм. ССР, 1959). მართალია, სტატია ინფორმაციული ხასიათისაა, მაგრამ სომხური არქიტექტურა მკვლევარს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ეჯიმიანინის ტაძრის ისტორიის შესწავლის საქმეში.

მრავალმხრივი იყო ლეონ მელიქსეთ-ბეგის მეცნიერული ინტერესის სფერო. ერთ-ერთი მათგანია არქეოგრაფია. ამ მხრივ მას პირველ რიგში აინტერესებდა სომხურ ხელნაწერთა ბედი ქართულ არქივებში. ამის საბუთად გამოდგება 1958 წელს სომხურ ენაზე გამოქვეყნებული მისი ნაშრომი — „საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული სომხურ ხელნაწერთა ნუსხა“ (მატენადარანის მოამბე, 1958, №4). მასში ავტორისათვის ჩვეული გულისხმიერებით აღნუსხულია საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული სომხური ხელნაწერები, რომლებიც აღწერილია მოკლედ, მაგრამ სრულად, და დაყოფილია შინაარსის მიხედვით. აქვეა აღწერილი სომხურ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონი. ამ ლექსიკონის ქართული მინაწერი გვამცნობს — „ეს ლექსიკონი ეკუთვნის მღ. პაველ თუმანიშვილს, რომელიც აღწერილია თავისი დიაკვნობის დროს საკუთარი ხელით“ (№34). არის მეორე სომხურ-ქართული ლექსიკონი (№35). მისი მინაწერი იუწყება, რომ ეს ლექსიკონი იელიტელ ზურადხან დიაკვნისაა. (იელიტა სოფელია ახალციხის ახლოს. ბ. ა.). აღწერილი აქვს აგრეთვე სხვა ამგვარი ლექსიკონები.¹⁷

საყურადღებო ცნობას იძლევა ლეონ მელიქსეთ-ბეგი, როცა აღწერს №50 ხელნაწერს, რომელიც შეიცავს „თურქულად მომღერალი სომეხი აშულების“ სიას. თუ არ ვცდები, ეს ხელნაწერი დღემდე შესწავლილი არ არის და ალბათ, საინტერესო მასალას მისცემს აშუღური პოეზიის მკვლევართ. აქვე ყოფილა ხელნაწერი სომხური სახარებისა და სხვადასხვა შინაარსის სომხური ხელნაწერები. ნაშრომს ერთვის ყველა მეცნიერისათვის საჭირო, განსაკუთრებით სომეხი მკვლევარისთვის საინტერესო, საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული სომხურ ხელნაწერთა საერთო ცხრილი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი საქართველოს ისტორიის მეცნიერულ პოპულიზაციას ეწეოდა და აგრეთვე რუსულად აქვეყნებდა შრომებს. 1929 წელს,

თბილისში გამოაქვეყნა “Прошлое и настоящее Грузии”. მასში რუსულენოვან მკითხველს მოკლედ გააცნო საქართველოს წარსული და აწმყო, თუმცა უფრო მეტს ლაპარაკობს წარსულზე, ვიდრე აწმყოზე. ადრეულ ხანაში ქართველები პატრიარქალური, ნათესაური ყოფით იყვნენ გაერთიანებულნი, ცალკეული გვარი შეადგენდა ერთ სოფელს ან თემს, რომელსაც მეთაურობდა „მამასახლისი“, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და განაგრძობს, — ფეოდალურ წყობაში კი დაწინაურდნენ გარკვეული გვარის წარმომადგენლები, რომელთაც ეწოდებოდა „ერისთავი“ ან „მთავარი“, შემდეგ კი „თავადი“ და ა.შ.

ამ ნაშრომით ავტორმა რუსულენოვან მკითხველს გააცნო, აგრეთვე, ქალაქების — მცხეთის, თბილისის და უფლისციხის ისტორია. აღწერა სვეტიცხოველი (X-XI ს.ს.) და აღნიშნა, რომ ის იყო ყველაზე დიდი ტაძარი კავკასიაში.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ხანგრძლივი მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე საქართველოს და თბილისის შესახებ არაერთი უცხოური წყარო თარგმნა და გამოაქვეყნა. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ “Старый Тифлис по описаниям А. Негри (1817) и М. Медичи (1824-1830)”, жур. “ARS”, 1918, №2-3, стр. 104). მას ოდესის სიძველეთსაცავის და ისტორიის ბიბლიოთეკაში მოუძევია დიპლომატის ალექსანდრე ნეგრის უცნობი ხელნაწერი (ფრანგულ ენაზე). 1817 წელს ალ. ნეგრის თბილისი მოუნახულებია და აღწერია იგი. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ეს აღწერა თარგმნა რუსულად, დაურთო კომენტარები და გამოაქვეყნა აღნიშნულ ჟურნალში. თბილისის მეორე აღწერა ეკუთვნის ვენეციის მხითარისტთა კონგრეგაციის წევრს, არქიმანდრიტ მ. მედიჩს (მინას ბშკიანცი). ვინაიდან მ. მედიჩი თავის ნაშრომში არ მიუთითებს მისი თბილისში ყოფნის პერიოდს, ლეონ მელიქსეთ-ბეგმა მიახლოებით დაადგინა ის წლები, როცა მ. მედიჩმა აღწერა თბილისი (1824-1830). ლეონ მელიქსეთ-ბეგის დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან ალ. ნეგრისა და მ. მედიჩის მიერ ძველი თბილისის აღწერის პუბლიკაცია მოახდინა და გააცნო ისინი სამეცნიერო და მკითხველ საზოგადოებას.

ლეონ მელიქსეთ-ბაგის შრომები საქართველოს და სომხეთის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის შესახებ

ძნელია დასახელო მეცნიერების დარგი, რომელშიც ლეონ მელიქსეთ-ბეგს გარკვეული წვლილი არ შეეტანოს. ჯერ კიდევ 1916 წელს დაინტერესდა ბიჭვინთის ტაძრით (“Древнейшая Пицунда у Понта Евксинского”, Тифлис, 1916). ნაშრომში ავტორი შეეცადა დაედგინა ბიჭვინთის ტაძრის აგების დრო. მოტანილი აქვს სტრაბონის ცნობა, რის მიხედვითაც, ბიჭვინთაში II-III საუკუნეებში იდგა რომაელთა გარნიზონი, IV საუკუნეში კი იყო საეპისკოპოსო კათედრა და სხვა. მისი აზრით, ტაძარი აგებულია IX-X საუკუნეებში, ძველი ტაძრის ნანგრევებზე. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ღვინდება — ძველი ტაძარი მოცულობით ახალზე დიდი ყოფილა. ბიჭვინთის ეტიმოლოგია კი, რომელიც ემყარება ნ. მარის დაკვირვებას, ასე ახსნა: ეს არის ქართულად ფიჭვის სახელი ბერძნული გამოთქმით. მისი ქართული წარმომავლობა კი ასეთია: „ფიცული, ფიცუი (მეგრული — ლაზური), ქართვეთან — ფიჩული, ბიჩული... 1) пицу-н-и и 2) бичу-н-и, откуда уже с помощью абхазского суффикса (-ма>да>ма), получают: 1) “Пицунда” и 2) бичун-ма. Или со сванским раздвоением “у” (=ва) - “Бичвинта” და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი მოუსვენარი და მძიებელი მეცნიერი იყო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ 1920 წელს აგვისტოში დასასვენებლად ყოფილა სოფელ თოხლიაურში. ამ შემთხვევით უსარგებლია და შეუსწავლია გარე კახეთის სიძველენი, მანავის, ჭერემის, თელეთის და სხვა საკულტო ნაგებობანი. მოუნახულებია კერპის საყდრის ნანგრევები. მისი აზრით, თუ აქ ჩამოსახლებულმა ფშაველებმა დაბა თარექში არ გადმოიტანეს ეს საყდარი (ბაზილიკა), მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ აშენდა წარმართობის დროის სამსხვერპლო ბომონის ადგილზეო.

კერპის საყდრის ჩრდილოეთით არის პატარა, კოხტა, ჯვრის რივის ცენტრალურ-გუმბათოვანი ვედრების წმ. გიორგის ეკლესია, რომელსაც XVI ს-ის ძეგლად მიიჩნევს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და იძლევა „ვედრების“ ახსნას: „ვედრებას“ უწოდებენ მას, ალბათ იმის გამო, რომ წელიწადში ერთხელ, როდესაც გარე-კახელების საქონელი გადადის მთა-ცივზე, მანა-

ვიდან მოდის მღვდელი და პარაკლის წირავს, კლავენ საღმრთოს და ამის შემდეგ მიერეკებიან მთაში საქონელსო. საინტერესო თქმულება აქვს ჩაწერილი აგრეთვე „ქალის ციხის“ შესახებ. ამ ციხის აგებას ადგილობრივი მცხოვრებელნი უკავშირებენ თამარ დედოფალს. თუმცა არ არსებობს ისტორიული ცნობა ან ლოკუმენტი, რომ თამარს კახეთში ციხე აეგოსო, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და ვარაუდს გამოთქვამს, — აქ შეიძლება იგულისხმება ვახტანგ მეფის ასული და თეიმურაზ კახთ-ბატონის მეუღლე, რომელიც მანავში ცხოვრობდა. თარეჯის გზაზე, ტყეში უნახავს თელეთის პატარა ეკლესია. თოხლიაურსა და მანავს შორის კი არისო კალოუბნის ეკლესია და სხვ.

საკმაოდ დეტალურად აღწერს მანავის ციხეს, რომელშიც ოთხი ეკლესია მდგარა — ორი ძველი და ორი ახალი. ახალი ეკლესიები აგებული ყოფილა ნანგრევი ციხის მასალით. ერთი ქართველების არისო, ერთი სომხებისო. ქართველებისა — ციხის შუაგულშია, დანარჩენი ორი ძველი ეკლესიის ახლოს. სომხური კი ცალკე, ციხის განაპირას, პირდაპირ კედელზეა მიბმული, ისე რომ შორიდან მოჩანსო. იქვე მიუთითებს, მანავში არის მცირე სომხური კოლონია, მაგრამ საკუთარი მღვდელი არ ჰყავთ და ღვთისმსახურებისთვის სოფელ კაკაბეთიდან იწვევენ მღვდელსო. ორივე ეკლესიის გარშემო ყოფილა ქართველთა და სომეხთა სასაფლაო (იხ. „არქეოლოგიური მოგზაურობანი გარე-კახეთსა და ჭერემის ხეობაში“, გზ. „სახალხო საქმე“, 1920, №927, №933). ეს წერილი გრძელდება ამავე გაზეთის 1920 წლის №945-შიც. ლეონ მელიქსეთ-ბეგი საკმაოდ პოეტურად აღწერს ჭერემის ხეობას, მის დიდებულ ბუნებას, რასაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე. არ ავიწყდება გულთბილად და მადლიერებით მოიხსენიოს აგრეთვე ქართველი მწყემსები და მათი მასპინძლობა.

ვახუშტის ცნობის მიხედვით, ვახტანგ გორგასალს V ს-ში დაუარსებია ჭერემის საეპისკოპოსო. ლეონ მელიქსეთ-ბეგი ამ ცნობას ამაგრებს შემდეგი საბუთით: ის მიუთითებს „ეპისტოლეთა წიგნს“, რომელშიც მოტანილია კათალიკოს აბრაამის მესამე ეპისტოლე, გაბრიელ კათალიკოსის მეთაურობით მცხეთის ეკლესიის ეპისკოპოსების მონაწილეების სია 506 წლის ნესტორიანთა წინააღმდეგ მოწვეულ დვინის საეკლესიო კრებაში.

ქართველ ეპისკოპოსთა სიაში მოიხსენიება „ლაზარ ეპისკოპოს ფოლდბილ“ და „ფოკას ეპისკოპოსი ტსერმილ“. ამ ცნობას ასე განმარტავს: ფონეტიკის წესის თანახმად ძველად, ქართული „ლ“ ასო სომხურში გამოიხატებოდა „ლ“-თი, ე.ი. ტფილისი — თბლს. „ფოლდბილ“-ში უნდა იგულისხმებოდეს „ბოლდბელი“, „ტსერგილ“ კი უნდა ნიშნავდეს „ჭერმელი“. ქართულში „ჭ“ ბერძნულში გამოიხატებოდა „ტს“-თი და შემორჩა ბერძნულად. ასეა თუ ისე, ჭერემის საეპისკოპოსო კათედრა დაარსებულია V ს-ში ვახტანგ გორგასლის დროს. 506 წელს კათედრა სჭერია ვინმე ფოკას. საბოლოოდ როდის აოხრდა ჭერემი, ძნელია თქმა, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და მიუთითებს, — საბუთებიდან ჩანს 1712 და 1724 წლებში არ იყო შემსრული ჭერემი, მაგრამ 1757 წელს კი უკვე აოხრებულია. ცდებიან ნ. დურნოვო და პლ. იოსელიანი, როცა ჰგონიანთ ჭერემი 1757-1777 წლებში აღდგა და საბოლოოდ დაქვრივდა 1800 წელსო, — შენიშნავს მკვლევარი. ამავე გაზეთის („სახალხო საქმე“) 1920 წლის №950-ში გრძელდება აღნიშნული წერილი („არქეოლოგიური მოგზაურობანი გარე-კახეთსა და ჭერემის ხეობაში“). ლეონ მელიქსეთ-ბეგი წერილის ამ ნაწილში ჩამოთვლის მეცნიერებს, რომელთაც გათხარეს და შეისწავლეს ჭერემი — ვახუშტი, პლ. იოსელიანი, დ. ფურცელაძე, ექ. თაყაიშვილი, მ. ჯანაშვილი და სხვ. მათ აქ უნახავთ წარმართული და ქრისტიანული ძეგლები. როგორც ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავს, მას ჭერემი აინტერესებდა უმთავრესად იმ თვალსაზრისით, „თუ მასში როგორც კახეთის უწინდელ დედაქალაქში და აღმოსავლეთ ქართველთ ანუ მცხეთის ეკლესიის ერთ უმთავრეს საეპისკოპოსოში, რამდენად იყო შემორჩენილი ნაშთები ქართველ-სომეხთა საეკლესიო ურთიერთობისა (VII ს-მდე)“. პირველ რიგში მას ჭერემის საეპისკოპოსო ტაძარი აინტერესებდა. გარდა საეპისკოპოსო ტაძრისა არის სამი ტაძარი, რომლებიც „ფრიად საინტერესო ნიმუშები არის ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა“. დეტალურად აღწერს ჭერემის საეპისკოპოსო ტაძარს, რომლის ჩრდილოეთის შტოის აღმოსავლეთის კედელზე, საძირკველთან დატანებულ ქვაზე ყოფილა ასომთავრული წარწერა. მ. ჯანაშვილს ეს წარწერა ასე წაუკითხავს — „გალატოზი მელქამე“ („საქართველო“, 1917, №180). ლეონ მელიქსეთ-ბეგის აზრით, ამ წარწერაში არაეი-

თარი „მელქამე“ არ არის. ეს არის — „მელიქსედეკ“, ხოლო პირველი სიტყვა ძნელად იკითხება, მაგრამ ბოლოში ცხადად ჩანს „...კოზი“, რომელიც შეიძლება იყოს „კათალიკოზის“ დაბოლოება. ლეონ მელიქსეთ-ბეგი ფიქრობს, რომ „მელიქსედეკ“-ში იგულისხმება კათალიკოზ მელიქსედეკ პირველი, რომელიც ცნობილი იყო თავისი აღმამენებლობით: „თუ დადასტურდა აღნიშნულ წარწერაში მოხსენიებული „მელიქსედეკ“ კათალიკოზია და არა „კალატოზი“, შეგვიძლია დავასკვნათ, ჭერემის საეპისკოპოსო ტაძრის შტო აგებულია კათალიკოზ მელიქსედეკის დროს — 1013-1042 წლების განმავლობაში“.

აგრძელებს რა თავის არქეოლოგიურ მოგზაურობას გარე-კახეთსა და ჭერემის ხეობაში, ლეონ მელიქსეთ-ბეგი მკითხველს აცნობს ისტორიულ საბუთებს, რომლებშიც მოხსენიებულია ჭერემი. ჭერემის საკულტო ნაგებობების ნანგრევთა შორის ჩამოთვლის ე.წ. „ნასომხარს“, „სომხის ეკლესიას“, თელეთის „წვერო-დაბლას“ — „წვერო-დაბალს“. მათ შესახებ წერს: ორივე იმავე რივისაა და ხასიათისაა, როგორც საეპისკოპოსო ტაძარი, მხოლოდ შედარებით პატარა და მცირეოდენი ვარიაციებით; ეჭვის გარეშეა, ამ ორივე ეკლესიას საფუძვლად აქვს საეპისკოპოსო ტაძრის ჩამოყალიბებული გეგმა, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს XI ს-ის პირველ ნახევარს. მაშასადამე, თუ მათი გეგმა წარმოადგენს მხოლოდ განმეორებას საეპისკოპოსოს გეგმისა, ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ისინი აგებული არიან არა უადრეს XI ს-ის პირველი ნახევრისა. პირველ ეკლესიას, რაღაც უცნობი მიზეზის გამო უწოდებენ სახელს „ნასომხარს“ ანუ „სომხის ეკლესიას“. „დანამდვილებით კი სასაფლაოს ეკლესიაა“. ავტორს მოაქვს დ. ფურცელაძის აზრი ამ „ნასომხარი“ ეკლესიის შესახებ, რომლის მიხედვით მის გარშემო სომხები ცხოვრობდნენ და ამიტომ უწოდეს „ნასომხარი“. ამ აზრს არ ეთანხმება ლეონ მელიქსეთ-ბეგი და თვლის, — შესაძლოა ეს ეკლესია სომეხ ქალკედონისტებისა იყო, რომელნიც მრავლად ცხოვრობდნენ საქართველოში, უმეტესად განაპირა მხარეებში — ტაო-კლარჯეთში, ჰერეთ-კახეთში და სხვაგანო.

ერთი სიტყვით, კახეთის დედაქალაქ ჭერემის საეპისკოპოსო კათედრა დაარსდა V ს-ში, ხოლო გაუქმდა XVIII ს-ში. ჭერემის საეპისკოპოსო

ტაძარი V ს-ში უნდა იყოს აშენებული, თუმცა პირვანდელი სახით არ მოუღწევია. ლეონ მელიქსეთ-ბეგს საეკვოდ მიაჩნია ვახუშტის ცნობა ჭერემის გუმბათიანი ტაძრის შესახებ, რადგან გუმბათიანი ეკლესიები სომხეთსა და საქართველოში შემოღებულია არა უადრეს V-VII ს.ს. ასევე, ყურადსაღებია ისიც, რომ ქართველი მემპტიანენი ვახტანგს საერთოდ მიაწერენ მხოლოდ „სიონის“, ე. ი. ბაზილიკების დაარსებას“. მკვლევარი აქ ეყრდნობა ივ. ჯავახიშვილს (“Термины искусств и главнейшие сведения о памятниках искусства и материальной культуры в древнегрузинской литературе”. - “Хр. Восток”, 1914, т. III, вып. 1, стр. 22).

წერილის „არქეოლოგიური მოგზაურობა გარე-კახეთში და ჭერემის ხეობაში“ ბოლო ნაწილი გამოქვეყნდა 1920 წლის „გაზ.“ „სახალხო საქმის“ №964-ში. აქ აღწერილია საგარეჯოს პეტრე-პავლეს ეკლესია, რომელიც ე.წ. გარეუბანში ყოფილა. შემდეგ აღწერილია ნინოწმინდის ტაძარი, რომლის შესახებ ვახუშტი წერს: „საგარეჯოს დასავლეთ ერთვის იორს ნინოწმინდის ხევი. ამ ხევზედ არის ნინოწმინდა, ეკლესია ღიღნაშენი, გუმბათიანი, რომელიც აღაშენა გორგასალ და დასვა ეპისკოპოსი და ზის აწამდე, მწყემსი ამა ქვეყნისა ქისიყამდე“. შემდეგ მოაქვს პლ. იოსელიანის ცნობები ნინოწმინდის შესახებ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი არ ეთანხმება პლ. იოსელიანს, თითქოს ნინოწმინდის ტაძრის ადგილას ძველად საკერპო იყო და ეს საკერპო საქრისტიანო ტაძრად წმ. ნინოს გადაუქცევია. ამის საბუთი არ არსებობს. ლეონ მელიქსეთ-ბეგის აზრით ნინოწმინდა უნდა მივიჩნიოთ სომხეთ-საქართველოში არსებულ ცენტრალურ გუმბათიან ტაძართა რიგში, როგორცაა მცხეთის ჯვარი, ატენის სიონი, ძველი შუამთა, ძველი მანგლისის ტაძარი (განახლებამდე), კვეტერა, მარტვილი — ეს საქართველოში, სომხეთში კი — წმ. რიფსიმეს ეკლესია ეჯიმიანი-თან, ჯვარის ეკლესია ახთამარში და სხვ.

ნინოწმინდის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე მკვლევარმა ნახა რამდენიმე წარწერა და მოგვცა ამ წარწერის მისეული წაკითხვა.¹⁸

ლეონ მელიქსეთ-ბეგის ვარაუდით, ნინოწმინდის საეპისკოპოსო ტაძარი პირველად აშენდა ბაზილიკის სახით, ე.ი. უგუმბათოდ. პირვანდელი სახით

ჩვენამდე არ მოუღწევია. ნანგრევებში მდებარე — გარედან რვა აფსიდური, ვარსკვლავისებური, შიგნით ჯვარისებური, ცენტრალურ-გუმბათიანი ეკლესია თავდაპირველად აგებული უნდა იყოს ქართული ხუროთმოძღვრების უძველესი ხანის მეორე პერიოდში, ე.ი. დაახლოებით VII ს-ში, შემდეგ კი არაერთგზის განუახლებიათ (XVI, XVII და XVIII ს.ს.)

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ წერილების სერიის მეცნიერული და ისტორიული მნიშვნელობა. სომეხი მკვლევარის მიერ აღწერილი მრავალი ძეგლი ჟამთა სიავემ თუ ადამიანის ხელმა გაანადგურა და დღეს აღარ არსებობს. ამდენად, ლეონ მელიქსეთ-ბეგის დამსახურებაა ის, რომ ისინი აღწერა და შემოგვინახა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გასაოცარი სიბეჯითით და ენერგიით გამოიკვლია საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისისა და მის ირგვლივ მდებარე სიძველეთა ნაშთები. ამ მხრივ საინტერესოა „საქართველოს მუზეუმის მოამბეში“ (1922, №1) დაბეჭდილი მისი ნაშრომი — „სომხური სიძველეები ტფილისის ახლო მიდამოებში: შავნაბადა, თელეთი, წავკისი“. ავტორს შემოუვლია თბილისის გარშემო მდებარე საქართველოს სომეხთა ეპარქიის წინამძღვრის გამგეობაში შემაჯავლი ეკლესიები: შავნაბადა, თელეთი, წავკისი.

პლ. იოსელიანის „ჩანაწერების“ მიხედვით (“Путевые записки от Тифлиса до Ахтали”, 1850, стр. 27), სოფელ თელეთის ერთ ნაწილს ეწოდებოდა ქურდის თელეთი, მეორეს — ხატის თელეთი, მესამეს — მუხრან ბატონის თელეთი. როგორც ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავს, ეს უკანასკნელი შეუსყიდა ვინმე მირზოიანს და დაურქმევია მირზოიანის თელეთი. ხატის თელეთში წმ. გიორგის და ღვთისმშობლის ეკლესიებიდან შედარებით საინტერესოა პირველი — წმ. გიორგის ეკლესია. ბარემ აქვე დავიმოწმებ ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელიც წერს: „თელეთის წმ. გიორგის ეკლესია დღეს სომეხებს უპყრიათ. აქ იყო ძველად ხატი წმ. გიორგის სახელისა, ქართული წარწერებით“ („მოგზაურძ“, 1901, №2, გვ. 177). ხატის თელეთის წმ. გიორგის თავდაპირველი ეკლესია აშენებული იყო უკვე XVIII ს-ში. ამ ეკლესიის შესახებ ვახუშტი წერს: „კუმისის აღმოსავლეთ მტკურისაკენ არს თელეთები და ეკლესია წმ. გიორგის სასწაულმოქმედ“

(„ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, 1973, გვ. 328). კიდევ არა ერთი საბუთი არსებობს, რომელშიც ამ ეკლესიის თავდაპირველი ქართულობა შეიძლება ვიგულისხმოთ. ეკლესია საყურადღებოა იმით, რომ აქ თითქოს დაცულია სომხური ეპიგრაფიკის ერთ-ერთი ძველი ნიმუში (1002 წ.). ლეონ მელიქსეთ-ბეგის აზრით, „ეს ფრიად საინტერესო წარწერაა, რომელიც პალეოგრაფიის მხრივ, მართლაც, შეიძლება მიეკუთვნოს XI ს-ის დასაწყისს. თუ ვინ არიან მასში მოხსენიებულნი — ასმათ, უტა, სარგის (თუ რასაკვირველია, სწორია ჩემი კონიუნქტურა) და გრიგოლ — ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია. ეტყობა, რომ ისინი ყოფილან აღმშენებელნი ეკლესიისა, მაგრამ არა თელეთისა, ვინაიდან ადვილი საფიქრებელია, რომ წარწერა ძველადვე გადმოტანილი ყოფილიყოს სომხეთიდან სომეხ ლტოლვილთა მიერ“ (დასახ. ნაშრ., გვ. 98).

გულახდილად რომ ითქვას, პატივცემული მეცნიერის ეს აზრი დამაჯერებელი არ ჩანს... სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში თელეთის წმ. გიორგის შესახებ არის გამოკვლევები, მაგრამ მათი ავტორები მისი დაარსების საკითხს დუმილით უვლიან გვერდს. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ლეონ მელიქსეთ-ბეგმა. მაგალითად, სომეხი ბერი სარგის ჯალალიანცი საკმაოდ ვრცლად ლაპარაკობს თავის ნაშრომში ამ ეკლესიის შესახებ, თუმცა მის დაარსებაზე მოკლედ შენიშნავს — ამ მონასტრის აშენების დრო ცნობილი არ არის, მაგრამ მის შესახებ მრავალი თქმულება არსებობსო („მოგ ზაურობა დიდ სომხეთში“, ნაწ. II, ტფილისი, 1842, სომხ. ენაზე). სარგის ჯალალიანცი მაინც გამოთქვამს ერთგვარ ვარაუდს ამ ეკლესიის დაარსების თაობაზე. მას მოაქვს ზაქარია სარკავაგის (1626-1699 წ.წ.) „ქრონიკიდან“ ცნობა ამტარაკის მახლობლად მდებარე სოფ. მოლნინის ეკლესიიდან წმ. გიორგის ნაწილების თბილისში გადმოსვენების შესახებ (ზ. სარკავაგი, „ისტორია“, ვალარშაპატი, 1870, ტ. II, გვ. 30-40, სომხ. ენაზე). სწორედ ამ ამბავს უკავშირებს სარგის ჯალალიანცი თელეთის წმ. გიორგის დაარსებას. ეს კი მკდარი აზრია, რადგან მას არავითარი კავშირი არ აქვს თელეთის წმ. გიორგის ეკლესიასთან.¹⁹

აღნიშნულ ნაშრომში ლეონ მელიქსეთ-ბეგი საგანგებოდ მიუთითებს: შავნაბადას, წმ. გიორგის, წაკვისის, თელეთის სომხური ეკლესიები აშე-

ნებულია ძველ ქართულ ეკლესიებზე ან გადაკეთებული არიან. „შავ-ნაბადას ეკლესია, როგორც ეტყობა, ძველი ეკლესიის ნანგრევებზე ან მის ადგილას არის აშენებული (1839-1845 წ.წ.). თუ როდისაა ეს ეკლესია თავ-დაპირველად დაარსებული, ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია. ყოველ შემთხვევაში, ის ყოველთვის ყოფილა და არის კიდევ წმ. გიორგის სახელზე და ითვლება ფრიად მნიშვნელოვან სალოცავ ხატად ტფილისისა და ახლო-მახლო სოფლების სომეხ-ქართველთა მოსახლეობის თვალში“ (გვ. 91). ანალოგიურ ცნობას გვაწვდის ი. გრიშაშვილი: „შავნაბადა — თბილისიდან 5-6 კერსითაა დაშორებული, ჩავარდნილი ადგილია. შავნაბადას ეკლესია დგას თელეთის მთაზე. თბილისიდან სამხრეთით, როგორც სამრეკლო, ისე ტაძარი აშენებულია ძველის ნაცვლად, რომელიც წმ. გიორგის სახელზე იყო აგებული. როგორც ქართველებს, ისე სომხებს წმ. გიორგის შავნაბადას ეკლესია სწამდათ და თაყვანს სცემდნენ („ქალაქური ლექსიკონი“, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო რუსუდან კუსრაშვილმა, 1997).

შემდეგი ნაშრომი ლეონ მელიქსეთ-ბეგისა არის „არქეოლოგიური მოგზაურობიდან კავთურას ხეობაში“ (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1924, ტ. V). თბილისის უნივერსიტეტის რექტორის დავალებით ლეონ მელიქსეთ-ბეგმა იმ დროს ასპირანტ ვ. თოფურიასთან ერთად 1923 წელს 7-12 თებერვალს იმოგზაურა კავთურას ხეობაში. ეს არ იყო მისი პირველი მოგზაურობა ამ მხარეში. პირველად კავთურას ხეობა მოინახულა სტუდენტობის დროს 1911 წელს და შეისწავლა ბეთლემის მონასტერი, ანუ ე.წ. „მაღალაანთ ეკლესია“ სოფ. წინარეხის მახლობლად. აქ მოპოვებული მასალების შესახებ წინასწარი მოხსენება წაიკითხა 1913 წლის 4 დეკემბერს მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომაზე. მეორედ მოინახულა კავთურას ხეობა 1916 წელს კავკასიის ყოფილი სააგარაკო საზოგადოების დავალებით. მესამე მოგზაურობის შესახებ საანგარიშო მოხსენება წაიკითხა 1924 წლის 24 თებერვალს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე. ამჯერად მის ძირითად მიზანს შეადგენდა არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული მასალის მოძიება და შესწავლა. მათი მოგზაურობის მარშრუტი კი ასეთი

ყოფილა: კავთისხევი — ბაქანი — სოფ. კავთისხევი — თვალადი — სოფ. წინარეხი — ბეთლემის მონასტერი ანუ „მალაღანთ ეკლესია“ — ქვათახევის მონასტერი — სოფ. წინარეხი, მონასტერი „ლავრა“ — თელათგორა ძეგვი — მცხეთა — ტფილისი. ლეონ მელიქსეთ-ბეგს დაუწვია სოფ. წინარეხით, სადაც ორი ეკლესია შეუსწავლია. ერთი შედარებით ახალი ღვთისმშობლის სახელზე, მეორე უკვე ნანგრევებად ქცეული წმ. სტეფანესი. ორივე ბაზილიკური ტიპის პატარა ეკლესიები ყოფილა. ღვთისმშობლის ეკლესიაზე უნახავს ორი წარწერა. სამეცნიერო ლიტერატურაში ერთი უკვე ცნობილი, მეორე უცნობი წარწერა გადმოუღია და გაუშიფრია. გამოწვლილვით შეისწავლა „მალაღანთ ეკლესია“, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების XII საუკუნის ძეგლია. ამ ტაძრის აღმოსავლეთ კედელსა და კოშკზე ქართული და ბერძნული წარწერებია, რომლებიც წაიკითხეს პლ. იოსელიანმა, მ. ბროსემ და სხვ. ლეონ მელიქსეთ-ბეგის დამსახურება ისაა, რომ მოიძია უცნობი წარწერები და გაშიფრა, ხოლო ზოგი ცნობილი წარწერა შეასწორა. ქტიტორული წარწერის მიხედვით, ტაძარი ხელახლა აუშენებია ნიკოლოზ მალაღამეს, ქადაგს (1677 წ.). იგი გამოსახული ყოფილა სხვა აღმაშენებლებთან ერთად. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ზოგ საბუთში „ქადაგის“ ან „საქადაგოდ“ არის ეს მონასტერი მოხსენიებული, ამის შესახებ გადაჭრით ვერას ამბობს და გამოთქვამს ვარაუდს: მცხეთის საყდრო ქადაგთა შორის რამდენიმე პირია ცნობილი მალაღამეთა გვარიდან XV ს-ში. 1442 წლის ერთ-ერთ გუჯარში აღნიშნულია — „ხელითა მალაღამისა მცხეთის ქადაგის მახარებელისათა“ (თ. ჟორდანიას, „ქრონიკები“, გვ. 253). ეს მინაწერი აფიქრებინებს ლეონ მელიქსეთ-ბეგს, რომ ბეთლემის („მალაღანთ ეკლესია“) მონასტერი თავის მამულებით პირველად მცხეთის ქადაგთა ფეოდი იყო, შემდეგ მოაქვს „მალაღანთ ეკლესიის“ აშენების შესახებ თქმულება, რაც არაერთგზის იყო გამოქვეყნებული თავის დროზე. ჯერ კიდევ პლ. იოსელიანმა სცადა, მაგრამ ვერ დაადგინა, რა კავშირი აქვს სოფელ ახალქალაქის (ჩოჩეთი) მცხოვრებ მალაღამეილების გვარს კავთურას ხეობაში მცხოვრებ ოდესლაც ცნობილ მალაღამეებთან. ასეთი თქმულება უამბნია ლეონ მელიქსეთ-ბეგისათვის ექიმ გრიგოლ მალაღამეილს: „მალაღანთ ეკლესიის“ ახლო

მიწიდან ამომძვრალა გველი და მაღალაანთ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი დაუხრჩვია. ამ ტრაგიკული შემთხვევით შეშინებული მაღალაძეები იძულებული გამხდარან გადასახლებულიყვნენ ახალქალაქში (კასპის რაიონი)“. ეს გადმოცემა შეიძლება სინამდვილეს ასახავს, მაგრამ რატომ გახდნენ მაღალაძეები მაღალაშვილები, ამას ვერ ხსნიანო, — დამენს მართებულად მკვლევარი.

ამ არქეოლოგიური მოგზაურობის დროს ლეონ მელიქსეთ-ბეგმა შეისწავლა ქვათახევის მონასტერი, რომელიც „მაღალაანთ ეკლესიიდან“ ხუთიოდე კილომეტრითაა დაშორებული. პირველ რიგში გადმოიღო და გაანალიზა წარწერები. აქ მან ქვაზე ნახა ორი ფრაგმენტი ერთი და იგივე წარწერისა და გადმოიტანა უნივერსიტეტის სიძველეთსაცავში. ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავს: ქვათახევის მონასტრის ეკლესიაში ინახებოდა ორი ცნობილი ხატი. ერთი წმ. გიორგის, მეორე — ღვთისმშობლისა. ორივე ვერცხლით მოჭედილი ყოფილა და მათზე იყო წარწერები. მოვიტანთ ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ წაკითხულ პირველ წარწერას: „ღმ გიორგი + წმინდავ. ქებატდ (304-1312)=1616.“ როგორც ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავს, კავთის წმ. გიორგი ძლიერ ხატად ითვლებოდა. იგი დიდგორის ქედის იქით, მანგლისის მხარეშიც ყოფილა პოპულარული. კავთის წმ. გიორგი იხსენიება ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ აღმოჩენილ რუსუდანის ძეგლისწერაში (ქვაზე), რომელიც სოფ. არხოტში ერთი გლეხის ეზოში უნახავს!²⁰

ლეონ მელიქსეთ-ბეგი პირველი შეეხო და განიხილა არქიმანდრიტ ტარასის (მესხიშვილის) მოღვაწეობა, რომელიც უკავშირდებოდა ქვათახევის მონასტერს. არქიმანდრიტი ტარასი მოღვაწეობდა XIX საუკუნის შუახანებში. იგი მ. ბროსესა და პლ. იოსელიანს აძლევდა სხვადასხვა ინფორმაციას და ერთგვარ კორექსონდენტობას უწევდა მათ. მან განაახლა ქვათახევის მონასტერი, დააარსა სამონასტრო სკოლა და აღზარდა თაობები, რომელნიც შემდეგში ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდნენ. თარგმნიდნენ რუსულიდან ქართულად. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ქვათახევის მონასტერში დაცული ტაძრის ხელნაწერები გადმოიტანა უნივერსიტეტის სიძველეთსაცავში, ასევე იმ თარგმნილი წიგნების სიაც, რო-

მელიც პირადად ტარასის შეუდგენია — „ჩემგან ნათარგმნი წიგნები რუსულიდან“ და ჩამოთვლილია:

1) ქ. შემოკლებული კატეხისში ზნეობითის სწავლით და სამღვდლო ისტორიით;

2) ქ. ლეორაფიული ლექსიკონი ახლსა აღთქმისა პეტერბურგის თარგმნილი და დაბეჭდილი 1824 წელს;

3) ქ. ვრცელი კატეხისმო სასწავლებლად ყრმათა, მოსკოვს თარგმნილი და დაბეჭდილი 1827 წელს;

4) ქ. სიტყუა მღუდულობათვის, წმინდისა იოანე ოქროპირისა, მოსკოვს დაბეჭილი 1843 წელს;

5) ქ. წიგნი თანამდებობისათვის სამრევლოთა მღუდულობასა, მოსკოვს დაბეჭდილი 1861 წელს;

6) კანონი წმინდისა გენადისნი, პეტერბურგის დაბეჭდილი 1847 წელს (შვად ნათარგმნი);

7) ქ. იოანე ოქროპირის ქადაგება ანტიოხიის ერისადმი;

8) ქ. ცხოვრება წმინდისა და მართალის იოსებ შუენიერისა;

9) ქ. ცხოვრება წმინდისა და ღირსისა ფილარეტ მოწყალისა;

10) ქ. ცხოვრება ღირსისა დედისა ჩვენისა აპოლინარია ქალწულისა;

11) ქ. ცხოვრება ღირსთა მამათა ვარლაამისა და იოსაფ ინდოელთა;

12) ქ. თვით ეს წიგნი სწავლნი ეფრემ ასურისა და დიდისა ვასილისანნი;

13) ქ. ქრისტეანე კეთილგონიერა მსჯელი შეურაცხებისათვის სოფლის ამოებათასა“.

როგორც ლეონ მელიქსეთ-ბეგი შენიშნავს, ეფრემ ასურის წერილი არქიმანდრიტ ტარასს უნდა გადაეწერა არა უადრეს 1861 წლისა, ხოლო ამ წლამდე, სიის მიხედვით, გადაუთარგმნია 12 თხზულება, რომელთაგან ზოგი დაბეჭდილა კიდევც.

გარდა იმისა, რომ ლეონ მელიქსეთ-ბეგმა პირველმა გაამახვილა ყურადღება ამ სასულიერო პირის მოღვაწეობაზე, მისი დამსახურებაა ისიც, რომ განადგურებას გადაარჩინა არქიმანდრიტ ტარასის ლიტერატურული მემკვიდრეობა და მეცნიერებას არ დაუკარგა იგი. ეს კი სრულიად ადვი-

ლი მოსალოდნელი იყო, რადგან 20-იან წლებში ბოლშევიკები ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს და ვანდალურად სპობდნენ და წვაედნენ იქ დაცულ სასულიერო წიგნებს, ხელნაწერებს და საეკლესიო ნივთებს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის ყურადღების საგანი აღმოჩნდა კაწრეთი („სახისტორიო მოამბე“, წიგნი II, ტფილისი, 1924, გვ. 159). როგორც მკვლევარი შენიშნავს, „კაწრეთი“ გვხვდება ზოგიერთ სომეხ მემატიანეთა თხზულებებშიც. (მაგ. კირაკოს განძაკელი (XIII ს.) და ზაქარია დიაკვანი (XVII ს.)). მაგრამ სომეხ ისტორიკოსთა თხზულებებში ნაგულისხმები ყოფილა არა გარე-კახეთის, არამედ ჰერეთის (ყაზახ-განჯის რაიონი) „კაწრეთის ციხე“. ლეონ მელიქსეთ-ბეგის აზრით, ეჭვის გარეშეა, ჰერეთის „კაწრეთს“ რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს გარე-კახეთის კაწრეთთან, რადგან ჰერეთში კაწრეთის ციხის ახლოს ყოფილა მონასტერი — ხამში ანუ ხამში. „ყოველ შემთხვევაში, — დასკვნის მკვლევარი, — ორივე სიტყვა ერთი სახელწოდების გარეგნული სახეა. ერთში სუფიქსი -ეთ, ხოლო მეორეში დაბოლოება -ი გვიდასტურებს, რომ ისინი ქართული ნომენკლატურიდან წარმომდგარან, ალბათ, გარე-კახეთიდან ჰერეთში ჯერ კიდევ XIII საუკუნემდე მომხდარ ემიგრაციის გამო.“ ვფიქრობთ, მისაღები მოსაზრებაა და აზრთა სხვადასხვაობას არ უნდა იწვევდეს.

რუსეთმა კავკასიის შესწავლა ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით გეგმავდა და სისტემატურად დაიწყო კავკასიის დაპყრობის შემდეგ, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი გაზ. „კომუნისტში“ (1925, №203) გამოქვეყნებულ სტატიამი „სამეცნიერო აკადემია და კავკასიის ისტორიის, არქეოლოგიის და ენათმეცნიერების პრობლემები“. ორასი წლის მანძილზე, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი, — კავკასიის ენის, ისტორიის, მწერლობის შესწავლა ხელთ ეპყრა ორ მეცნიერს: მ. ბროსეს და ნ. მარს. მათ ინფორმაციებს და კორესპონდენციებს აწვდიდნენ და თანამშრომლობდნენ — შერენი, შიფნერი, დორნა, სტასოვი, ლატიშევი, კონდაკოვი, სმირნოვი, ვესელოვსკი, მილერი, კორში, ბარტოლდი, უსპენსკი, დ. ჩუბინაშვილი, პატკანოვი, დ. ბაქრაძე, კ. კეკელიძე, ი. ყიფშიძე, ივ. ჯავახიშვილი და სხვ. წერილში გადმოცემულია მ. ბროსეს და ნ. მარის მეცნიერული დამსახურება კავკასიოლოგიაში. ამავე დროს ხაზია გასმული ნ. მარის მიერ ჩა-

ტარებული სამეცნიერო-საორგანიზაციო მუშაობაზე და სხვ. მართალია, წერილი ინფორმაციული ხასიათისაა, მაგრამ მეცნიერულად ღირებულია და საჭირო.

კავკასიის თითქმის ყველა ხალხის წარსულს მისწვდა ცნობილი სომეხი მეცნიერის ლეონ მელიქსეთ-ბეგის დაკვირვებული ხედვა. ამ მხრივ საყურადღებოა მისი ნაშრომი “К археологии и этнологии Туальской Осии” (1925). მასში განხილულია ე.წ. სამხრეთ-ოსეთის არქეოლოგიის, ეთნოლოგიის საკითხები. უნდა ითქვას, კავკასიის არცერთ ხალხზე არ არის იმდენი სამეცნიერო ლიტერატურა, რამდენიც ე.წ. სამხრეთ-ოსეთზე: პუაფი, ლეონტიევიჩი, კოვალსკი, მილერი, გ. ახვლედიანი, ტომაშვესკი და, რა თქმა უნდა, ნ. მარი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი მიმოიხილავს რა სამეცნიერო ლიტერატურას ე.წ. სამხრეთ-ოსეთის შესახებ, შემდეგ გვთავაზობს ასეთ დასკვნას: “Туал”, и вернее “thyal”, обозначающее “оса”, очевидно, есть то же самое “дуал”, или “двал”, откуда происходит географическое название “Дуал-ет-и” или “Двал-ет-и”, т.е. Двалетия. Значит, Туальская Осия есть та часть Осетии, которая покрывается Двалиею (“Двал-ет-и”, “Магран-Двалети”) грузинских источников” (გვ. 54).²¹

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია ლეონ მელიქსეთ-ბეგის ეს მოსაზრება დვალეთის შესახებ. დვალეთი იყო ისტორიული მხარე შუა საუკუნეების საქართველოსი. ტერიტორიულად მოიცავდა კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილს დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის. ვახუშტი ბაგრატიონს მოხსენიებული აქვს დვალეთის ხეობები: კასპის-ხევი, ზრამაგა, ჟღელე, ნარა. ქართული საისტორიო ტრადიციით ეს ტერიტორია იბერიის სახელმწიფოს (ძვ. წ. აღ. IV-III ს.ს.) დროიდან შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში. VII ს-ის შუა წლებში დვალეთში ქრისტიანობა გავრცელდა. შემდეგში იგი ნიქოზიის საეპისკოპოსოს ეპარქიაში შედიოდა. დვალეთზე გადიოდა ამიერკავკასიიდან ჩრ. კავკასიაში გზა. შუა საუკუნეებში ცნობილი იყო „გზა დვალეთისა“. საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დვალეთის

ზეობის გამაგრებას. მონღოლთა შემოსევის (XIII ს.) შემდეგ დეაღეთში სახლდებოდა ჩრდილოეთიდან დევნილი ოსური მოსახლეობა. დეაღეთის მკვიდრნი კი, თავის მხრივ, მასობრივად გადმოდოდა კავკასიონის სამხრეთ კალთებზე. ერთიანი საქართველოს დაშლის (XV ს.) შემდეგაც დეაღეთი ქართულ სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. XVIII საუკუნის დასაწყისში მისი მოურავი იყო გიორგი სააკაძე. დეაღი მოღვაწეებიდან ცნობილნი არიან: XI ს. — მიქაელ დეაღი, იოანე დეაღი და სვიმონ დეაღი (ქ. ს. ე., 1978, ტ. III, გვ. 490).

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა სომხეთში ჩატარებული კვლევის ისტორიის მოკლე მიმოხილვა მოგვცა სტატიაში “Из истории археологических изысканий в Армении” (Известия Академии наук Армянской ССР. - Общественные науки, 1947, №6). ავტორი აღნიშნავს, რომ ერევნის და ნახჭევანის სახანოების რუსეთთან მიერთების შემდეგ (1828 წ.), როცა ერევნის გუბერნია ჩამოყალიბდა, მეფის რუსეთმა ამ მხარის ისტორიული, არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული და საერთოდ, ყოველმხრივ შესწავლა დაიწყო: ი. შოპენი — “Исторический памятник состояния Армянской области в эпоху ее присоединения к Российской Империи”, в 5 книгах, (СПБ, 1852); Ал. Худабашев - “Обозрения Армении в географическом, историческом и литературном отношении” (СПБ, 1859) და ა.შ. ამავე დროს, ჩამოყალიბდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება (1850 წ.), კავკასიის მუზეუმი (1865 წ.), შემდეგ კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება (1874 წ.); ნ. მარმა წამოიწყო ანის და გარნის არქეოლოგიური გათხრები (1892 წ.) და სხვა. საყურადღებოა, რომ ლეონ მელიქსეთ-ბეგმა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში, კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის ფონდში (№194 და №243) მიაკვლია ორ დოკუმენტს. პირველში ლაპარაკია იმაზე, რომ ერევნის მხარის სასწავლებლის დირექტორს სურს შეკრიბოს სომხეთის ოლქში უმეტესად ყურადღებას გაფანტული ძველი სომხური ისტორიული ძეგლები. მოხსენებითი ბარათი დათარიღებული ყოფილა 1846 წლით. ამიტომ ლეონ მელიქსეთ-ბეგი ფიქრობს, რომ ამ დროს, 1843-1848 წლებში ერევნის სას-

წავლელის დირექტორი იყო ხაჩატურ აბოვიანი. ამდენად, დასკვნის იგი, ხაჩატურ აბოვიანი იყო არა მარტო პირველი სომეხი ალპინისტი, არამედ პირველი მხარეთმცოდნე, მუზეუმისმცოდნე სომხეთში. ამით ხაჩატურ აბოვიანის ბიოგრაფიის კიდევ ერთი მომენტი გახდა ცნობილი, რასაც ლეონ მელიქსეთ-ბეგს უნდა ეუმაღლოდეთ.

მეორე დოკუმენტს აქვს ასეთი სათაური: “О производстве историко-археологических разысканий в Эриванской губернии” (1850-1851 წ.წ.) ამ საბუთით ირკვევა, რომ კავკასიის კოლეგიის ჩინოვნიკი, ვინმე ტოკარევი მიმართავს მიხ. ვორონცოვს თხოვნით, რათა მიეღიწებულ იქნას იგი ერევნის გუბერნიის შესასწავლად ისტორიულ-არქეოლოგიური, სტატისტიკური და სამეურნეო თვალსაზრისით. განცხადებას ადევს მიხ. ვორონცოვის თანხმობის რეზოლუცია. დამატებით ირკვევა, რომ ტოკარევის მოგზაურობის ერთ-ერთი მიზანი ყოფილა ძველი ქალაქის, არტაშანის (არტაკსატის) ლოკალიზაციის საკითხის გარკვევა. ამასთან დაკავშირებით ლეონ მელიქსეთ-ბეგი დასკვნის: “В заключение следует отметить, что каковы бы ни были рассуждения идентификации Арташата - Артаксаты с развалинами крепости Каракала в районе Аралыха, важно то, что он всячески отвергает возможность отождествления Арташата - Артаксаты с Ардаширом - Арташаром.”

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოაქვეყნა წერილი „კიდევ ერთხელ სევანის ტბის გარშემო“ (გაზ. „სოვეტაკან ვრასტან“, 1958, №10)²². მასში შეეხო სევანის ტბის სახელწოდებას. ამ ტბას ადრე „გელამის ზღვას“ ეძახდნენ. „გელამი“ ხალხის, ტომის სახელიდან „გელი“-დან წარმოსდგებაო, — შენიშნავს იგი. აქედან დარქმევია ამ მხარეს „გელარქუნიქ“. ასევე, ამ ტბის თევზს ეწოდებოდა „გელარქუნი“. ქართულად „გელაქურს“ ეძახდნენ. ტბას შემდეგ ეწოდა „სევანი“, რომელიც ერთ-ერთი ტომის, ხალხის სახელწოდებისგან მოდისო. ამ ტბას კიდევ ეძახდნენ „გოგჩას“ და ა.შ.

სევანის მიდამოებში XIX ს-ში არქეოლოგიური სამუშაოები შეასრულა მ. სმბატიანმა, ე. ლალაიანმა, მ. კიუმუშხიანმა, ლ. ალმანმა, ნ. მარმა და სხვებმა. ლეონ მელიქსეთ-ბეგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სევანის

აუზი განსაკუთრებით მდიდარია ფეოდალიზმის ხანის ძეგლებით: სევანის ეკლესია, აირივანქი, ვარევანი და სხვა. აქ არის მრავალრიცხოვანი ხაჩქარები, ეპიგრაფიკა და ა.შ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გასული საუკუნის 20-იან წლებში მიიღო მონაწილეობა სომხეთში მოწყობილ ექსპედიციაში („ჩვენი მეცნიერება“, 1924, №13, გვ. 177). ექსპედიციის წევრები იყვნენ: გ. ჩუბინაშვილი, აკ. შანიძე, ნ. სევეროვი. მათ ნაყოფიერად უმუშავიათ, კერძოდ, ა. შანიძეს გადმოუღია ქართული წარწერები მისხანაში, გადმოუწერია ერთი ფრაგმენტი ეჯიმი-აწინის მუზეუმში დაცულ ქართულ მანუსკრიპტიდან და სხვ. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ამ ნაშრომში გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ „გიურჯიქილისას“ ამჟამად „მისხანას“ უწოდებენ. ეს ფაქტი მას აფიქრებინებს: XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსების კირაკოს განძაკელის და ვარდანის მიერ მოხსენიებული მონასტერი „პლნდაჰანქი“ (სპილენძის, მადნის მონასტერი) ახტალის მონასტერი კი არ უნდა იყოს, არამედ „მისხანა“ არისო, რადგან სახელწოდება „მისხანა“ არის თურქული და ნიშნავს „პლნდაჰანქ“. აქ არ გამოვუდგები რამდენად დამაჯერებელია, ან იზიარებენ თუ არა ამ აზრს, მაგრამ ერთი კია, მას ანგარიში უნდა გაეწიოს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ერევნის მუზეუმში გამსცნობია და გადმოუწერია იოანე ტაუშელის ტრაქტატი სომეხ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ, გასცნობია დავით აღლავეკის-ძის განძაკელის — „კანონთა კრებულის“ — ახლად აღმოჩენილ ხელნაწერს, რომლის შინაარსით მტკიცდება, მხითარ გოშს (XIII ს-ის მეორე ნახევარი) ბევრი რამ შეუთვისებია დავით განძაკელისაგან, რომელიც ცხოვრობდა იმავე საუკუნის პირველ ნახევარში. ერევნის მუზეუმში გამსცნობია, აგრეთვე, დონის ნახჭევანიდან გადმოტანილ „სამართლის წიგნს“, რომელიც შეუდგენიათ ეკატერინე II-ის ბრძანებით რუსეთში მცხოვრებ სომხებისათვის და სხვ.

ამავე ჟურნალში (1924, №13, გვ. 85) გამოქვეყნდა „მანგლისის ნეკროპოლი“ (მასალები და გათხრების დღიური). მასში აღწერილია მანგლისში გათხრილი საფლავები. ამას მოსდევს გასული საუკუნის 20-იანი წლების მანგლისის რაიონის ისტორიულ-არქეოლოგიური მიმოხილვა. მანგლისის მნიშვნელობა ქართველი ერის ისტორიაში განუზომელია. მასზე

გადიოდა მოკლე გზა კაბადოკიასკენ, საიდანაც ვრცელდებოდა აღმოსავლეთ საქართველოში დასავლური, ე.ი. ბერძნულ-ბიზანტიური კულტურა.

შემდეგ მკვლევარი ეხება მანგლისის ჯვარს და გამოთქვამს საყურადღებო მოსაზრებას: გ. ჩუბინაშვილის აზრით, რეალური ჯვარი „ცის ქვეშ, თავისუფალ ადგილას“ იყო აღმართული და შემდგომში იმ ადგილას ტაძარი ააშენესო. ლეონ მელიქსეთ-ბეგი კი თვლის, რომ მანგლისის ჯვარს არავითარი კავშირი არა აქვს იმ ადგილთან, სადაც ძველი მანგლისის ტაძარია. ის (ჯვარი) უნდა ყოფილიყო აღმართული ე.წ. საკრისის მთაზე, კერძოდ, სადაც ახლა არის „მარიამ-ჯვარი“. სწორედ ისე, როგორც მცხეთის ჯვარი თვით მცხეთაში კი არ იყო, არამედ მის პირდაპირ მდებარე ბორცვზე, რომელსაც ამის გამო „ბორცვის ჯვარს“ უწოდებდნენ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავდა, რომ ორბელთა ისტორიასთან არის დაკავშირებული სამი განთქმული ციხე-ქალაქი: ორბეთ-სამშვილდე, დმანისი და კლდეკარი. ამათგან სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ორბეთ-სამშვილდე, ნაკლებად — დმანისი, ხოლო კლდეკარის მართო სახელწოდებაა ცნობილი („კლდეკარნი“. — „საისტორიო მოამბე“, 1924, წ. 1). ლეონ მელიქსეთ-ბეგის დამსახურება ის არის, რომ პირველმა აღწერა კლდეკარნი სამეცნიერო ლიტერატურაში. მას მიაჩნია, რომ უნდა იყოს „კლდეკარნი“ და არა „კლდეკარი“, რადგან მას ორი გამოსავალი კარი აქვსო. ეს ქართული სახელი დაუმახინჯებიათ ადგილობრივ თათრებს და უწოდებენ — კოდაკ-ლიარს, ისე როგორც მანგლისს — ნამგლისს, ლამგლისს და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის საყურადღებო ნაშრომია „ტოპონიმიკური შტუდიები ზუნ-ანისსა და ვარძიის სახელწოდებათა ეტიმოლოგიისათვის“ (კრებ. „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, 1934, გვ. 131). მისი აზრით, ზუნან — ჰუნან (ჰნარკერტ-ჰუნაკერტ-ჰონაკერტ) ჰუნთა ბინადრობის ადგილის მაჩვენებელი უნდა იყოს. მართალია, ამის სასარგებლოდ პირდაპირი ჩვენება საისტორიო წყაროებში არ გვაქვს, მაგრამ IV ს-ში ქ. შ. ჰუნებს შეეძლოთ აქ გაეელოთ და დროებით მაინც დამკვიდრებულიყვნენ. ამაზე შეიძლება დავიმოწმოთ ამიან მარცელიანი, ფავესტოს ბიზანტიელი და სხვანი. ბოლოს ლეონ მელიქსეთ-ბეგი დაასკვნის: საისტორიო წყაროებში

ნაგულისხმევია ჰონთა ტომები, რომელთაც ოდესღაც ეკავათ მტკვრის ხეობა, კერძოდ ე.წ. „მტკვრის ციხე“, რომელსაც შემდეგ მათ გამო შეიძლება „ჰუნ-ან, ხუნან-ი“ ეწოდო. „რაკი სიტყვამ მოიტანა, ზელმეტი არ იქნება აქვე აღვნიშნოთ, — ხუნან-ჰონაკერტის ანალოგიით, შეიძლება განმარტებული იქნეს სახელწოდება — ხანძთას ევოლუცია, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია, რომ სომხეთში ცნობილ ანძით-ჰანძით-ს ენათესავენ...“ ეს უკანასკნელი მოსაზრება სადაოა, მაგრამ საკითხი უეჭველად საინტერესოდ არის დაყენებული.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშნულ ნაშრომში გვაწვდის ვარძიის ხალხურ ეტიმოლოგიას: „ვარ-ძი“, „ვარდ-ციხე“ და სხვ. მას მიაჩნია, რომ „ვარძიის“ ეტიმოლოგია უნდა ვეძიოთ რომელიმე ტომობრივ სახელწოდებაში. საამისოდ მოაქვს სტრაბონის (II ს.) ცნობა, რომლის მიხედვით, სომხეთის სარდლებმა არტაქსიამ და ზარიადრემ ქართველებს წაართვეს მთიანი „პარიადრესი“ (აღბათ „პარხალი“), გოგარენე — გუგარქი, ხორენძენე, პარხალსა და გურგაქს შორის მდებარე მთიანეთი, ე.ი. ძველი სამცხე. აქედან გამომდინარე, წარმოგვიდგენს ასეთ მოსაზრებას: „ამ ორ სახელწოდებიდან — ხუნანი და ვარძია ერთმანეთს ტერიტორიულად და, ამასთან ერთად, ენობრივ-ფონეტიკურად ჰფარავს პირველი, ე.ი. ხუნანი (ჰუნაკერტ) და ჰნარაკერტ-ჰუნაკერტ-ჰონარაკერტ-ი; ორძიანე-ორძიანენე-ჰორძენე-ხორძენე. ხორძიანე-ხორძიანენე კი ერთმანეთს ჰფარავენ მხოლოდ სახელწოდების გენეზისით, ისევე, როგორც ანძით-ანძიტ-ანძიტენე-ჰანძით-ანძიტ-ხანძთა ერთმანეთს. კერძოდ აღებული ხუნანი ნიშნავს ჰუნთა ან ჰონთა ბინადრობის ადგილს, ქალაქს, ხოლო ვარძია — ოძრხე ანუ იგივე ხორძენე-ხორძიანე — მომდინარეობს *nomen gentile*-ს ბარვარ „ბერ-ვერ-ძენ“ ჭანისაგან და ნიშნავს ბერძენთა ან იბერ-ჭანთა ბინადრობის ადგილს, ქვეყ-ყანას და ქალაქსაც“.

ბოლოს ავტორი დაასკენის: „ამიტომ, ჩვენ გვგონია, რადგანაც ხორძენე, ოძრხე და ვარძია ლიგვისტურად სავსებით ჰფარავენ ერთმანეთს, შესაძლებელია, ოძრხე, ვითარცა სწამთრო სადგომი, სწორედ ვარძიას ჰფარავდეს; ხორძენე კი იმ ქვეყნის სახელწოდებაა, რომლის ცენტრი ოძრხე—ვარძიაში იყო“. ვფიქრობთ, ეს მისაღები უნდა იყოს, თუმცა არ-

სებობს განსხვავებული ჯირი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ზრამქესის მშენებლობასთან დაკავშირებით (წყლის საცაქს გარკვეული ტერიტორია უნდა დაეფარა) 1934 წელს რამდენჯერმე მოიარა თრიალეთ-წალკის მხარე და აღწერა მატერიალური კულტურის ძეგლები, ადგილობრივი ტოპონიმი და გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა — „თრიალეთ-წალკის მატერიალური და კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმიკის შესწავლისათვის“ (ერებ. „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“. — თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1934) ამ ნაშრომის უპირველესი ღირსება ის არის, რომ მის წინამორბედ მეცნიერებთან შედარებით, მან უფრო ფართო მასშტაბით და დეტალურად აღწერა ამ მხარის ისტორიული ძეგლები და ტოპონიმი. ეს მით უფრო საშურო იყო, რადგან გარდა ზრამქესის მშენებლობისა, მაშინ აპირებდნენ წალკა-ფარავნის გზატკეცილის აღდგენას, რასაც შეიძლება გამოეწვია მატერიალური ძეგლების განადგურება და ტოპონიმების გაქრობა.

ესეც არ იყოს, ამ მხარეში — თრიალეთ-წალკაში, ისევე, როგორც ჯავახეთში ცხოვრობდნენ მეფის რუსეთის მიერ თურქეთიდან გადმოსახლებული სომხები, თრიალეთ-წალკაში კი შედარებით მეტი ბერძნები, რომლებიც ადგილობრივ ქართულ მატერიალურ ისტორიულ ძეგლებს, ტოპონიმსა, ფოლკლორს არ იცნობდნენ და ყველაფერი დავიწყებას ეძლეოდა. მათი შემქმნელი მკვიდრი ქართველები კი გამუდმებული შემოსევების შედეგად გაწყდა, ხოლო ვინც გადარჩა, ცარიზმის ანტიქართული პოლიტიკის წყალობით იძულებული გახდა სხვადასხვა მხარეს გადახვეწილიყო. ეს სამწუხარო ფაქტი ღიდად უშლიდა ხელს ისტორიკოს-მკვლევარს, რადგან ახალმა მოსახლეობამ არაფერი იცოდა ადგილობრივი მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ, არც ლეგენდების და თქმულებების არაფერი სმენოდათ. ერთი სიტყვით, როგორც ლეონ მელიქსეთ-ბეგი შენიშნავს, თრიალეთ-წალკის სიძველეებმა უპასპორტოდ მოაღწია დღემდე. ამასთან დაკავშირებით სამართლიანად აღნიშნავდა ექ. თაყაიშვილი: “Население (Цалки) теперь состоит главным образом из армян и греков, выведенных из окрестностей Эрзерума и поселенных здесь в 1829-1831 гг. Прежнее исключительно грузин-

სკოე ნასენიე ნაჩაო რედეთ ვ XVIII ვეკე, ვ კონცე ეოე პოჩთი ვსე ვსესილეს ვსლედვთე პოსთაიანთი ნაპადენიე ლეზგინსკიე შაეკი ვ თათარ. ნოვეთი პრისელცი, გრეკი ვ არმენე, ნაშთი გოთვეთ ხრამთ, ინოგდა დაჟე ს პერგამენტთიე ცერკოვნთიე კნიგათ, ვ ბრათილთ იხ ვ სოთი პრისოდსკიე ცერკოვთ, ვ პერვოე ვრემათ ბეზ ვსაჟოე პერედელკთ. ნო ზათე პოსტეპენო ნაჩაო პრისოდსბლთ, რასირთ, პერედელვთ, ვ ინოგდა ნა მესთე იხ სოთრთ ნოვეთ, ნეკრასივეთ ვ ნეუკლუჟთ, ნო ბოლეს პრისოდსთ. კონეჩნო, დო ნას ნე სოხრანოლეს დესათოე პაჩთი თოგო, ჟო ბოლო, ვ თოლოე ბოსათკიე პოკაჟივთ, ჟო ვსა ცალკა ბოლა პოკრთა კამენთიე ცერკოვთ ვ ხრამათ, თაკ ჟო ნა კაჟდოე დერევნო იხ პრისოდსოლეს პო ნესოკოლკუ.”

ძველ უცხოურ წყაროებში გვხვდება თრიალეთ-წალკა. მაგალითად, პლინიუსის მიერ ნახსენები „ოლქი თაზი“ უნდა იყოს, ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიხედვით, „ტამ-ირ-ი||ტას-ირ-ი, რომელიც ცნობილია, როგორც ქართულ, ისე სომხურ წყაროებში და წარმოებულია სუფიქსით -ირ, როგორც: ისპ-ირ, არმავე-ირ. ბორჯომის ხეობის ტამის-კარი — ტასის-კარი და სხვა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ვარაუდობს თითქოს პლინიუსის „თრიალ“ იგივე „თრიალეთი“ უნდა იყოსო: 1) „თრიალ“→თრიალეთი“ (შდრ. „პარხარ“→„პარხალ“, „ბარარეთი“→„ბარალეთი“ და სხვ.), ხოლო „თრიალ“ — „თრელ“ (კონტრაქციის გზით, შდრ. მარერ — მარიალ) — თრელ (გენეტივი თრელეაც) და 2) „თრიალ“ — „თრიალ-ეთი“ — „თრიალეთ“.

„თრიალეთი“ ძველად „წალკას“ მნიშვნელობით იყო ცნობილი, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და იმეორებს „ქართლის ცხოვრების“ (XII-XIII ს.ს.) სომხურ თარგმანს. „თრიალეთი“ და „წალკა“ სემანტიკურად ერთიმეორეს ჰფარავენ, ამას თვით სახელწოდებათა ანალიზი ადასტურებს, — აღნიშნავს იგი და განაგრძობს, — „თრიალეთი“ იმ სახელწოდებათა ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც წარმოებულია ფუძედან „თრ“ — თორ. ეს ფუძე კი კარგადაა შენახული სომხურში (და ქართულშიც), რამდენადაც მისგანაა ნაწარმოები ყველა ის სიტყვები, რომლებიც — წვეთა, ღენა, დაღვრა-

დასველებას გამოხატავენ. ამის საილუსტრაციოდ მოტანილ მაგალითებთან დავიმოწმებთ შემდეგს:

1) თორ — სველი, ნესტიანი; თორ-თორელ — გამოდენა, გამოხდა, წვეთა, დენა; თორეცნელ — გადაღვრა; თორუმ — დესტილატია.

თურჯ — თრჯელ — დასველება.

2) წორ — შდრ. ქართ. „წურვა“, წორან — ნაწვეთი, წორელ — გამოდენა, წორძორ — წორწომი, ძორძორ — ხევი, ხეობა.

3) ცოლ — შდრ. ქართ. „ცვარი“ და სხვ.

„თ“ — „თორი“-დან არის წარმოებული „თორ“ და „თორ-თუმი (თორ-თუმ — ისპირი) ცნობილია საქართველოს გეოგრაფიულ ნომენკლატურიდან, ხოლო „თორდან“ მი-თორდან კი სომხეთის ნომენკლატურიდან. ეს უკანასკნელი მდებარეობს ე.წ. დარანალის ანუ კამახის მხარეში, სადაც ძველ დროს ზევსის ტაძარი იყო აგებული, ამავე დროს თორდანი ის ადგილია, სადაც გადმოცემით გრიგოლ პართელმა ქრისტიანობა მიიღო.²³

ლენ მელიქსეთ-ბეგის მიხედვით, სახელწოდება „წალკა“ არის შექვარებული ტერმინი, რომელიც ორი ფუძისგან შედგება:²⁴ წალ+კა||წალ+კალ. პირველი „წალ“ იგივეა, რაც ქართული „წყალ“, „წყარო“ (შდრ. სომხ. წარ — ხე, წალიკ — ყვავილი, წარავ — მწყურვალი, წარაეურტ — უწყლო, წარკოტ — წალკოტი და სხვ.). ეს თავს იჩენს არაერთ გეოგრაფიულ სახელწოდებაში: წაეკისი←წალკისი“ და სხვ. ბოლოს და ბოლოს, — შენიშნავს ლენ მელიქსეთ-ბეგი, — „წალ“ იგივეა, რაც „თორი“ და მართლაც, თუ „თორ“ წყლის ცნებასთან არის დაკავშირებული, „წალ||სალ“-იც იგივე „წყალია“. ²⁵ რაც შეეხება ნაწილს სახელწოდებისა — „კა“-ს, იგი „კალისას“ შეკვეცილი ფორმა არის, რაც ნიშნავს წყალს, და გარკვეულ შემთხვევაში ნიშნავს წყლის ცხოველს, თევზსაც (ტოტემს). ეს ნათლად ჩანს რუსეთის მდინარეთა სახელწოდებებში — Ока, Вятка, Волга. აგრეთვე, Русал-ка — ალი. მაგრამ „კა“||„კალ“ ქართულშიცაა შემონახული თევზის სახელად: კალ-მახ. აქედან გეოგრაფიული სახელწოდება — „კალმახის ციხე“; ერთი სიტყვით, — დაასკენის ლენ მელიქსეთ-ბეგი, — „როგორც თრიალეთი, ისე წალკა გარკვეული გეოგრაფიული ერთეულის აღმნიშვნელია, ერთმანეთს ფარ-

ავენ, რადგან ორივეს საფუძვლად უდევს ერთი და იგივე სემანტიკური ცნება — წყალ+თევზი ან წყალ+თევზი+ქალი და ა.შ.“

ლეონ მელიქსეთ-ბეგი მართებულად აღნიშნავს თავის ნაშრომში, რომ წყალ-თევზის-ქალის კულტის გამომხატველი მატერიალური კულტურის ძეგლები საქართველოში არსად ისე არ არის გავრცელებული, როგორც თრიალეთ-წალკაზე (და ჯავახეთში). ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ თრიალეთ-წალკა-ჯავახეთის წყალუხვ ბუნებას — ფარავნის ტბა, ტბისყურის ტბა, მთის კალთებზე მოჩუხჩუხე ნაკადულები და ა.შ. მკვლევარი შენიშნავს, რომ წალკაში რამდენიმე პუნქტია, სადაც სალოცაეები (ხატები) ზედ წყალზეა გაშენებული — აიზმა. მისი აზრით, ედიქილისა (შვიდი ეკლესია) აშენებული უნდა იყოს, წარმართული დროის ბომონთა ადგილას და ანაჰიტის კულტის გამომხატველია. უეჭველად საინტერესო აზრია და ანგარიშგასაწევია. შეიძლება ითქვას, რომ საპროგრამო აზრი გამოთქვა, როცა წერს: თრიალეთ-წალკის (ჯავახეთის) მატერიალური კულტურის შესწავლას წინ უნდა უსწრებდეს ძველი ტოპონიმების გარკვევა, რადგან ზოგიერთი გამონაკლისის გარდა მივიწყებულია ან ახლით არის შეცვლილიო. (სომხ. ბერძნ. თურქ.) მაგრამ აღდგენა ასე თუ ისე შეიძლებაო და პირველ რიგში მიუთითებს ვახუშტის რუკას (XVIII ს.). შემდეგ მოაქვს 1392 წლის მცხეთის საეკლესიო მამულების (სოფლების) სია: თრიალეთის სოფელი ბარეთი; და ცოტა-ბარეთი, ქედის-უბანი, მოლისს სოფ. წითელი საყდარი, ზურის-უბანი, ახალშენი, კლონა, ბეშქა-შენი, ზემო-ანტრავა, მაჩუთა, ექნი, ახალქალაქი, ნადვალევი, ორობა-შენი“ (თ. ჟორდანიას, ქრონიკები, 1887, II, გვ.190).

ლეონ მელიქსეთ-ბეგს მიაჩნია, რომ აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებაში ნახსენები რეზა არის მდინარე ქციის მარცხენა ნაპირას მდებარე სოფელი და მოაქვს სათანადო არგუმენტები კიდევ. იგი ცდილობს გაარკვიოს ცურტავის ადგილმდებარეობა. (იხ. “Об экспедиции в Лори-Ташир и по ущелью Машавери летом 1926 г.”²⁶. განიხილავს რა უხტანესის, ვახუშტის, მარი ბროსეს, ჟორდანიას, მ. ჯანაშვილის, ლ. ალიშანის, ნ. აკინიანის, ს. კაკაბაძის, ივ. ჯავახიშვილის და სხვათა აზრებს, ცურტავის ადგილმდებარეობის შესახებ გვაძლევს საკუთარ მოსაზრებას: „ცხადია,

ცურტაევი თუ სადმე უნდა ვეძიოთ, მხოლოდ და მხოლოდ ქციის — ხრამის ხეობაში. სახელდობრ, იმ ადგილას, სადაც ძველად ნახიდური იყო... თვით სახელწოდება „ცურტაქ“-იც უშუალოდ სომხურ სიტყვიდან „ცურტ“ (ცივი) კი არ უნდა იყოს წარმოშობილი, არამედ ძირიდან — „ცურ“ (ცურვა), რაც წყლის ცნებაა. სემანტიკურად იგივე „ცურ-ტაევი“ უნდა იყოს (შდრ. რუის-თაევი), ე.ი. „წყლის ანუ რუების ადგილი“.

ვფიქრობთ, ცურტაევის ეს ეტიმოლოგია ქართულ ენობრივ ნიადაგზე დამაჯერებელი უნდა იყოს. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ლეონ მელიქსეთ-ბეგი ეძებდა მეცნიერულ სიმართლეს, რის გამოც ზოგიერთი მისი კოლეგა-მეცნიერის უსაფუძვლო მოსაზრებას ამ საკითხზე ანგარიშს არ უწევდა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში ლეონ მელიქსეთ-ბეგმა არაერთი შრომა გამოაქვეყნა ეპიგრაფიკის შესახებ. ერთ-ერთი მათგანია — „Одна из надписей Агарцинского монастыря, на крестном камне (Хачкар)“ („Хр. Восток, 1914, т. III, стр. 197). აღარაწინის მონასტრის ხაჩქარზე არსებული წარწერის შესახებ თავის დროზე მხრი გამოთქვეს სარგის ჯალალთანცმა, მ. ბარხუდარიანმა, კ. კონსტანინანმა, ეპ. მესროპმა და სხვებმა. ამ მოსაზრებათა გათვალისწინების საფუძველზე ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოთქვა საკუთარი მხრი აღნიშნულ ხაჩქარის წარწერის შესახებ. წარწერა გვაუწყებს - „634 წელს ხომხური წელთაღრიცხვით, აფხაზთა მეფე გიორგის მეფობის დროს, ზარეზა კათალიკოსის წმ. გრიგოლის ზეობისას, მე ხაჩატურ გარდასტვრამა და ზურაბისა აღადვიანტ წმ. გრიგორის ეკლესია მეფასა და ვაჟთაშულო თავადის ანორა ზარეზის ნებით ბრძანებით... ანტონ ჰაბუტკელი...“

პირველ რიგში ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გაასწორა თარიღი — 1185 წ. (ქართული წელთაღრიცხვით). ზაქმე იმანია, რომ გიორგი მეფე — თამარ მეფის მამა — გარდაიცვალა 1184 წელს. ასე რომ, 1185 წელს გიორგი მეფე ცოცხალი ადარ იყო. ამიტომ წარწერის თარიღი არ შეიძლება იყოს 1185 წელი, როგორც ფიქრობს ეპ. მესროპი, სარგის ჯალალთანცი და სხვები. აქ უნდა იყოს 1184 წელი. წარწერაში მოხსენიებული გრიგორი არის ცნობილი კათოლიკოსი — ტლად წოდებული (1173-1193 წ.წ.). წარწერაში მო-

იხსენიება „ჭაგუნტული“, „ჭკუნტული“. ეს არის დამახინჯებული ფორმა „ჭყონდიდელ“-სა, რომელიც პირველი ვეზირი იყო ქართულ სამეფო იერარქიაში, ხოლო ამირა მხარგრძელი იყო, — დაასკვნის ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

ყურადსაღები ნაშრომია ლეონ მელიქსეთ-ბეგის “Рельефы рук на памятниках материальной культуры феодальной Грузии” (კრებ. — „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, 1938, ნაკ. II, გვ. 109). ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება ისტორიულ საქართველოს ადრეულ და გვიან საუკუნეების მატერიალური კულტურის ძეგლებზე გამოსახულ ხელს. დააღაგა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით (IX-XII ს.ს.) და დააფიქსირა, რომ ხელის გამოსახულებანი უმეტესად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ქვემო ქართლში. შემდეგ გვაძლევს კლასიფიკაციას და მათ განლაგებას ადგილების მიხედვით:

1) ладонь - Джгали, Армази, Дигომი, Дирби, Сигнахи, Давид-Гареджи, Земо-Млета, Квемо-Млета, Чохели, Сакара.

2) кисть - Джгали, Дигомский св. Георгий, Дигомский дарбази, Мачхаани, Имера, Теми-Хараба, Хачков, Сарван, Авранлу, Ларгвиси-Монастери, Мцхета Лечхумская, Авранлу-Чхикვта (2), Луджи, Сакара, Цхинვალი.

3) локоть - Кошкеби, Тквири, Хачков, Мипасисшим, Архоти, Гуния-Кала, Чхикვта (2), Светицховელი-Мцхета, Белая (Тхаба-Ерды).

ლეონ მელიქსეთ-ბეგის დაკვირვებით, ფეოდალურ საქართველოში ეკლესია-მონასტრებზე გვხვდება გამოსახულება — მარტო ხელი, ხელი და ჯვარი, ჯვარი და ხელი, ხელი და ხელისუფლების ემბლემა, ხელი და ხელოსნური იარაღები და სხვა.

მანგლისის მახლობლად 1923 წელს სოფელ არხოტში, ერთი გლეხის ეზოში, ლეონ მელიქსეთ-ბეგმა აღმოაჩინა ოთხკუთხედი სტელა ორი ჯვრით და შუაში ასომთავრული წარწერით — „წმინდაი გიორგი კავთისი + ესე ბრძანებით ჩემი არს რუსუდან ნებითა ღმერთისაითა. აზადლ და

შეუვალი არს მამული მათ ნასყიდი და ყოველთა სამწყუსო ნუვინ შე-
არყოს'. როგორც ლეონ მელიქსეთ-ბეგი სამართლიანად აღნიშნავს, ესე
არს იშვიათი დეკრეტი XVIII საუკუნისა, რომელიც გვიჩვენებს კავთის წმ.
გიორგის უფლებას მის სამწყუსზე ალგეთის ხეობაში: "... прав на его
паству в АЛГЕТСКОМ уЩЕЛЬЕ". ანალოგიური იურიდიული წარწერა
უნახავს ქვის სტელაზე და გადმოუწერია ექ. თაყაიშვილს 1913 წელს სო-
ფელ დიდ-თიანეთში. ექ. თაყაიშვილის კომენტარით, ეს არის ქვაზე დაწე-
რილი თავისუფალი დეკრეტი და ეხება გორის რაიონის სოფ. კავთისხევის
მცხოვრებთ. სოფელი (კავთისხევი) უმოკლესი გზით არის დაკავშირებული
მანგლისთან და დიდ თონეთთან, ამიტომ აქ მოულოდნელი არაფერია. ამ
აზრს ეთანხმება ლეონ მელიქსეთ-ბეგი და შენიშნავს — უბრალო შედა-
რებითაც კი ჩანს აღნიშნული არხოტისა და დიდ თონეთის ქვის სტელების
წარწერები ერთი და იგივე კატეგორიის დოკუმენტია, რადგან ისინი და-
კავშირებული არიან კავთისხევის წმ. გიორგის სამწყუსთან.

ამავე ნაშრომში ლეონ მელიქსეთ-ბეგი სრულიად მართებულ აზრს გა-
მთქვამს ქართული — ხევისა და სომხური — ფორ-ის შესახებ. საქმე ის
არის, რომ ზოგიერთ სომეხ მეცნიერს პირველადად მიაჩნია სომხური
ფორ, მეორადად — ქართული ხევი. ე.ი. თითქოს ქართული სომხური
ფორ-ის თარგმანი იყოს, რაც მცდარი აზრია. ამასთან დაკავშირებით მარ-
თებულად წერს მხოლოდ ცნობილი სომეხი მკვლევარი თ. ჰაკობიანი:
„ფრიალ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ გუგარქისა და ტაიქის შემად-
გენელი კანტონების სახელწოდებანი სომხურად „ფორ“ ტერმინად არის
გაფორმებული, რომელიც ქართული „ხევის“ შესატყვისად იხმარება. სა-
კუთრივ სომხური პროვინციის კანტონები კი, როგორც წესია, „ძორ“
ტერმინით არის გაფორმებული („სომხეთის ისტორიული გეოგრაფია“, ერ-
ევანი, 1968, გვ. 260, სქოლიო-1, სომხ. ენაზე). ეს მოწმობს, ამ ისტორიულ
გეოგრაფიულ ერთეულთა ქართული ნომენკლატურა პირველადია, სომ-
ხური კი მის თარგმანს წარმოადგენს. ეს ბუნებრივია: როგორც ვიცით,
გოგარენე — გუგარქი და ტაო — ტაიქი ძირეული ქართული პროვინ-
ციებია (დ. მუსხელიშვილი, „საქართველოს ისტორიის გეოგრაფიის ძირი-
თადი საკითხები“, თბილისი, 1980, გვ. 51). ეს ჭეშმარიტი მეცნიერული აზრი

(ხევი — ფორ) ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში გამოთქვა აღნიშნულ ნაშრომში, მაგრამ მავანსა და მავანს დღეს ამის გაგონებაც კი არ სურს.

ატენის სიონის სომხური წარწერის ინტერპრეტაცია მოცემულია ლეონ მელიქსეთ-ბეგის სტატიამში — „მე-7 საუკუნის სომხური წარწერა საქართველოში“, (სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (საზოგადოებრივი განყოფილება), 1945, გვ. 3, სომხ. ენაზე). ეს წარწერა შეისწავლეს ივ. ჯაყახიშვილმა, გ. ჩუბინიშვილმა, ი. ორბელმა, ზ. ალექსიძემ, პ. მურადიანმა და სხვებმა. უნდა ითქვას, ატენის სიონის სააღმშენებლო სომხური წარწერის ლეონ მელიქსეთ-ბეგისეული წაკითხვა ძირითადად გაზიარებული იქნა მეცნიერების მიერ. მხოლოდ ერთ-ერთი, მეოთხე წარწერის წაკითხვაში კორექტივი შეიტანა ზ. ალექსიძემ.²⁷

1915 წელს ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ძეგვის ეკლესიის წარწერას მიუძღვნა ერთ-ერთი წერილი („Хр. Восток“, т. III, вып. 2). მან მარი ბროსეს მიერ წაკითხული ძეგვის ეკლესიის წარწერაში გარკვეული კორექტივი შეიტანა. წარწერაში მოხსენიებული კათოლიკოსი ნიკოლოზი XVII ს-ის მეორე ნახევარში ზეობდა. იგი ცნობილია იმით, რომ მას მცხეთის ეკლესიის სამხრეთ კედელი აღუდგენია. ექ. თაყაიშვილის სიტყვით ის იყო „...строитель придела в Армазском монастыре“ და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომი — “Пещерный город Квахврели”, Тифлис, 1918.” მან ერთგვარი წინასწარი მეცნიერული კვლევითი მუშაობა ჩაატარა, შეისწავლა ქვახვრელის სომხური წარწერები. თუმცა წარმოდგენილი აქვს 176 წლის ქართული მხედრული წარწერაც, რომელშიც, როგორც ჩანს, უფლისციხის მფლობელის ქალიშვილი მარიამია მოხსენიებული და სხვ.

ჩვენი ყურადღება ამ ნაშრომში მიიპყრო ლეონ მელიქსეთ-ბეგის შემდგება ვარაუდმა — “любопытен вопрос - почему пещерный храм в Квахврели назван “Сурп-Нишан”-ом, каковым именем известна также армянская церковь противоположного селения Уплисхихе. Был ли на месте Квахврелского “Сурп-Нишан”-а когда-либо грузинский храм, которым впоследствии овладели армя-

ნე, или там изначально же существовал армянский храм - вот вопрос, на который теперь трудно ответить” (стр. 7).

როგორც ჭებდავთ, ლეონ მელიქსეთ-ბეგი ეჭვს გამოთქვამს და კითხვას სვამს: ქვაზრელში სომხური ეკლესიის „სურბ-ნშანის“ ადგილას ადრე ქართული ეკლესია ხომ არ იდგაო. მკვლევარის ეს ეჭვი შეიძლება საფუძველს არ იყოს მოკლებული, მაგრამ სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხი დღემდე გაუცემელია.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი თავის გამოკვლევაში საგანგებოდ აღნიშნავს — უფლისციხესა და ქვაზრელში მცხოვრებ სომხებში არცერთი ქართველი არ ურევიაო. ამავე დროს IX ს-დან თელის სომხებს აქ მოსულებად — “не являются ли эти армяне отдаленными потомками тех армян воинов, которые под предводительством армянского царя Сумбата Исповедника...” (გვ. 11). ვფიქრობ, აღნიშნული საკითხი მოითხოვს დამატებით კვლევა-ძიებას და დაზუსტებას.

ქვაზრელის სომხური წარწერები ყველა უთარიღოა, გარდა ერთისა და არავითარ ისტორიულ ღირებულებას არ წარმოადგენს.²⁸ ქვაზრელი იყო უფლისციხისაგან მტკვრით გამოყოფილი ცალკე დასახლება. XII ს-დან დაწყებული სომეხთა იმიგრაცია ახლად დაარსებულ ქალაქში და აგრეთვე მის სანახებში იმდენად გაძლიერდა, რომ XVIII-XIX საუკუნეებში არამც თუ მარტო გორი, არამედ მისი მიდამოებიც: უფლისციხე, ქვაზრელი, გორიჯვარი და სხვა — აივსო აქ მოსული სომხებით, რომელთაც დროთა განმავლობაში დაჰკარგეს თავიანთი დედაენა, ეროვნული ზნეჩვეულებანი და თითქმის ფიზიკური ტიპიც (აკლიმატიზაციის პროცესის ძალით), თუმცა შეინარჩუნეს ერთადერთი ფაქტორი თავიანთი ეროვნული სახისა — ეროვნული სარწმუნოება („საქართველო“, 1920, №5).

ლეონ მელიქსეთ-ბეგის ამ მოსაზრებას მკვლევარი ნ. მაისურაძე არ იზიარებს და შენიშნავს: „ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ეთნიკურად ერთნაირი ვერ იქნებოდა ქვაზრელის მოსახლეობა, ვერც ადრეულ საუკუნეებში და ვერც XX ს-ის დამდეგსო, როცა შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის გრიგორიანობა კიდევ უფრო სუსტად უნდა ყოფილიყო გამოხატული ან საერთოდ არ არსებობდა. განა მარტო აღნი-

შნული ქართული გვარები არ კმარა იმაში დასაეჭვებლად, რომ ქვახვრელის მოსახლეობა ძირითადად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ეთნიკურად ქართული იყო 1818 წლის საოჯახო სიების შედგენის წინა ეტაპზე“ („გორის შემოგარენის მნიშვნელოვან დასახლებათა ისტორიისათვის“, 1998, გვ. 15-20).

ვფიქრობთ, ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ წამოყენებული მოსაზრება — ქვახვრელის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ შემდგომ კვლევას მოითხოვს, და იმედია ამ დარგის სპეციალისტები თავიანთ სიტყვას იტყვიან.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ასევე აქვს განხილული ასურეთის მდინარის ხეობაში მდებარე თამარ მეფის ეპოქის კაბენის მონასტრის მცირე და ვრცელი ქართული წარწერები (“Надписи Кабена”. - Изв. Кавк. истор.-арх. инст., 1925, т. III, стр. 31).

1928 წლის “Бюллетень Кавк. истор.- арх. инст.”, №1-3-ში გამოქვეყნებული აქვს ლეონ მელიქსეთ-ბეგს (შ. ამირანაშვილთან ერთად) ექსპედიციის ანგარიში. ამ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ექსპედიციას 1926 წელს შემოუვლია და შეუსწავლია ბაკურიანი, ციხისჯვარი და თორი. აქ მათ უნახავთ მეგალითური სისტემის ნანგრევები. აქვეა ლეონ მელიქსეთ-ბეგის ერევანში ორკვირიანი სამეცნიერო მივლინების ანგარიში. მას აქ შეუსწავლია ეჯიმიანის სომხური ხელნაწერი, გაცნობია ერევანში ანისის მუზეუმის ექსპონატებს, მოუნახულებია ხაჩიკ დადიანის მიერ წმ. რიფსიმეს ტაძრის გათხრების შედეგები და სხვა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა საკმაოდ ვრცელი სტატია მიუძღვნა ქობაირის მონასტრის წარწერებს („ქობაირი და მისი ქართული და სომხური წარწერები“. — თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1927, ტ. VII, გვ. 60). მისი აზრით, „ქობერძ“ (იგივე „ქობაირი“) ნაწარმოებია „ქვაბ-აირძ“-საგან, ვინაიდან ანალოგიური წარმოებისაა ქობერის მეზობლად მდებარე ნამონასტრალის სახელწოდებისა — „ჰორომაირ“. შემდეგ განიხილავს ქობა-აირის—ქობერის ქართულ წარწერებს და აღნიშნავს, — ქობაირში ქართული წარწერები გვხვდება ღიდ ეკლესიაზე, ეგუტერზე, (სამრეკლო-სამარხი), სომხური კი მხოლოდ პატარა ეკლესიაზე. აქედან ავტორი დაასკვნის —

„ეს უთუოდ მანვენებელია, რომ ამ მონასტერს განუცდია რაღაც გარდატეხა XII-XIV საუკუნეების მიჯნაზე იმ მხრივ, რომ წინათ ის ყოფილა სომეხთა ანტიქალკედონისტური სავანე, რასაც, სხვათა შორის, ქართული წარწერების გარდა ამტიციებს მთავარი ეკლესიის საკუთხველს აგებულება და, აგრეთვე, იმავე ეკლესიის და ეგუტერისკელის მხატვრობა ქართული ასომთავრული წარწერებითურთ“.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს უძველეს შენობად მიაჩნია პატარა ეკლესია, რომელიც აგებულია 1153 წელს, ხოლო მთავარი ეკლესია ეგტვერთან ერთად აგებული ყოფილა 1292-1295 წლებში. აქ ვერ შეუუღგებით ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ ქობაირის ქართული წარწერების მეცნიერული ანალიზის განხილვას, მაგრამ ერთს კი ვიტყვი — მან ამ ნაშრომით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქობაირის ქართული ეპიგრაფიკის კვლევის საქმეში.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ეკუთვნის სტატია — “К дешифровке армянской надписи на стелле с халдской клинописью Менуи, сына Ишпуини, из Куршун-джами в Ване” (Академия Наук СССР. - Арм. филиал, “Известия”, №2(7), Ереван, 1941, стр.15). ქალღური წარწერა მენუის, იშპუინის ძის, კურშუნ-ჯამიდან, ვანში, რამდენჯერმე არის გამოცემული (ი. მეშჩანოვი, გ. წერეთელი და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ქართული წარწერის სტელა არის ხაჩქარად გამოყენებული და მასზეა ორსტრიქონიანი სომხური წარწერა. ამ სომხური წარწერის შესახებ აკად. გიორგი წერეთელი წერდა, რომ სტელაზე ძნელად გასარჩევი გვიანდელი სომხური წარწერა არის, რადგან ამოკვეთილია სტელის მფლობელის სახელი და გვარი, გამოსახულია სომხური ჯვარი, რაც იმაზე მოწმობს, რომ იგი გამოყენებული იყო საფლავის ქედო. აკად. გ. წერეთლის ეს ინტერპრეტაცია ლეონ მელიქსეთ-ბეგმა არ გაიზიარა: “Полагаем, что стелла с халдской клинописью была обращена в крестный камень (хачкар) не с функцией надгробия... и не с упоминанием фамилии и имени того лица, надгробием которому камень служил, как ошибочно полагает Г. В. Церетели, но как табу с целью сокрытия клада, причем замысловатая надпись, отнюдь не

будучи связана ни с чьей фамилией и именем, как раз и служила таковой цели”.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა საინტერესო წერილი მიუძღვნა თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების სომხურ ეპიგრაფიკას — “Некоторые памятники Армянской эпиграфики на территории Турции (по материалам археологической экспедиции Е. С. Такашвили 1907 года)” (“Эпиграфика Востока”, 1954, т. IX, стр. 78). იგი წერილის შესავალშივე აღნიშნავს შემდეგ ფაქტს: პირველი სომხური წარწერა საქართველოში დაფიქსირებულია VII ს-ში ჩ. წ. აღ-ით, ხოლო ქართული წარწერა სომხეთში — XII ს-ში. ამ მოვლენას თავისი აზსნა აქვს. იგი განპირობებულია სომხეთისა და საქართველოს ისტორიის განვითარების გზებით. ექ. თაყაიშვილმა წიგნში „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში“ (1938 წ.) გამოაქვეყნა კოლა-ოლთისში და ჩანგლში ნანახი სომხური წარწერები. ვინაიდან ქართველმა მკვლევარმა არ იცოდა სომხური, ეს წარწერები მან ყოველგვარი კომენტარის გარეშე დაბეჭდა. ეს სომხური წარწერები შეისწავლა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა, გაშიფრა და გაუკეთა შესაბამისი კომენტარი. მან სომხური წარწერები ქრონოლოგიურად ასე დააღაგა: იზხანი — 951 წ., 1241 წ., ჩანგლი — 994 წ., 1282 წ., ფანასკერტი — 1546 წ. და უთარილო.²⁹

ამ სომხურ წარწერებში მოხსენიებულნი არიან საზოგადოების სხვადასხვა რანგის პირები — მოყოლებულია მეფე გაგიკ I-დან გრიგოლ დიაკვნამდე. აგრეთვე, ქტიტორები და სხვ.

ჩვენი მხრივ, გვინდა შევნიშნოთ — ტაო-კლარჯეთის ეპიგრაფიკის უმეტესი ნაწილი ქართული წარწერებია, ძალიან მცირე სომხური და ბერძნული.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ერთგვარი შემაჯამებელი ნაშრომები გამოაქვეყნა 1960 წელს — “Эпиграфика Востока”-ში (ტ. XIII) შემდეგი სათაურით — “Работы по армянской эпиграфике после великой Октябрьской социалистической революции (до 1955 года)” (краткий обзор). მასში მიმოხილულია 1917-1955 წწ. სომხური ეპიგრაფიკა და მისი წინა პერიოდი, რომელიც დაიწყო სომხური ეროვნული ან-

ბანის შემოღების დღიდან, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და განაგრძობს, — სამუალო საუკუნეების სომხურ ისტორიოგრაფიაში ყველაზე სრულად და უხვად გამოიყენა ძველი სომხური წარწერები XIII ს-ის სომეხმა ისტორიკოსმა სტეფანოს ორბელიანმა თავის თხზულებაში, შემდეგ ზაქარია დიაკვანმა XVII ს-ში, XIX ს-ში კი სომეხმა ისტორიკოსებმა, არქეოლოგებმა, გეოგრაფ-მოგზაურებმა გააგრძელეს მატერიალური კულტურის ძეგლებზე არსებული ძველი სომხური წარწერების შეგროვება, როგორც სომხეთში, ისე მის გარეთ სომხურ კოლონიებში. ამ მხრივ, მკვლევარი საკმაოდ გრძელ სიას გვთავაზობს: მ. ბუშკიანი (1836 წ.), მ. ბროსე (1838-1858 წ.წ.), ოვ. შახატუნიანი (1842 წ.), სარგის ჯალალიანცი (1842, 1858 წ.წ.), ლევონდ ალიშანი (1870, 1871, 1885, 1890 წ.წ.), ერ. ლალიანი (1895-1917 წ.წ.) და სხვ.

ამ დიდი საქმის დაგვირგვინება იყო კ. კოსტანიანის მიერ გამოცემული ცნობარი „მატიანე ქეებზე“ (1913, სომხ. ენაზე). იგი მოიცავს პერიოდს VI-VII სს-დან დაწყებული 1800 წლებამდე. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის სომხური ეპიგრაფიკის კვლევის დარგში ნ. მარს და ი. ორბელს, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და განაგრძობს, — XX ს-ში სომხური ეპიგრაფიკის შესწავლა კიდევ უფრო გაფართოვდა. ამ საქმეს თავი დაადგეს სომხეთის ისტორიულ ძეგლთა დაცვის კომიტეტმა, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა და სომხეთის ისტორიულმა მუზეუმმა. აქვე ჩამოთვლის მეცნიერებს და მათ წიგნებს, რომლებშიც სომხური ეპიგრაფიკის საკითხებია შესწავლილი და გაანალიზებული: ა. აბრამიანი — “Краткий очерк армянской палеографии”, 1940; გ. ოვსეფიანი — “Хахбакяны или Прошяны в истории Армении”, т. I, 1927; კ. ლაფადარიანი — „ავანის ორენოვანი კრიპტოგრაფული წარწერა“ (1945 წ.), „ჰონანანკანკი და მისი ეპიგრაფიკა“ (1948 წ.).³⁰

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ამ სტატიაში გამოყოფს ცნობილი მეცნიერის კ. ლაფადარიანის ერთ-ერთ ნაშრომს — „ქალაქი დვინი და მისი გათხრები“ (1925 წ.). კ. ლაფადარიანმა დვინში არქეოლოგიური გათხრების დროს ქეებზე და კათედრალური ტაძრის ნანგრევების კედლებზე აღმოაჩინა VI-

VII საუკუნეების სომხური წარწერები. ამ აღმოჩენის შესახებ ლეონ მე-ლიქსეთ-ბეგი მართებულად წერს — დენის სომხური წარწერების აღმოჩენას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო სომხური ეპიგრაფიკის შესწავლის, არამედ სომხური პალეოგრაფიისა და საერთოდ არმენოლოგიის განვითარების საქმეში.

ავტორი მიმოიხილავს სომხურ ეპიგრაფიკას უკრაინაში, ვოლგისპირეთში და საქართველოში, თან მოკრძალებულად აღნიშნავს თავის ღვაწლს ამ საქმეში.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გარეჯის სომხურ წარწერებს პირველმა მიაკვლია და მიუძღვნა საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა „გარეჯის „მრავალმთის“ სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა ქართულ-სომხურ-სპარსულ-უილურული („ენიმკის მოამბე“, 1940, №5-6).³¹ ამ ნაშრომში „მაკურთხეველი არქიმანდრიტი“ ინსტიტუტის არსებობას გარეჯის ორ კუთხეში აფიქსირებს და მოაქვს სათანადო დოკუმენტური მასალა. ესენია — აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარე ანაჩა. მათი სახით დიოფიზიტურ საქართველოს, ჰერეთსა და ტაო-კლარჯეთში მონოფიზიტებისგან თავის დაცვის და დახსნის ერთგვარი სადარაჯო ჰქონდაო. სწორედ ამ მხარეში, კერძოდ — ჰერეთ-კახეთში X ს-მდე იყო გავრცელებული მონოფიზიტობა — ვარაუდობდა ლეონ მელიქსეთ-ბეგი. ეს ვარაუდი რამდენად საფუძვლიანია, სხვა საკითხია. 1921 წელს გარეჯში მოგზაურობის დროს ნახა სომხური წარწერები, რომელთა რაოდენობა ოცს აღემატება. მამინ მიაკვლია აგრეთვე 1352 წლის პოლიგლოტურ წარწერას ქართულ, სომხურ, სპარსულ და უილურ ენაზე. 1929 წელს მეორედ მოინახულა გარეჯის „მრავალმთა“, რათა პოლიგლოტური წარწერის ფოტო გადაეღო და ზოგიერთი საკითხი ადგილზე დაეზუსტებინა. იგი ჩვეული უშუალოდით წერდა გარეჯის ეპიგრაფიკის შესახებ: „{გარეჯა} არაჩვეულებრივად მდიდარია წარწერებით კედლის ნალესობაზე, როგორც ქართულსა და სომხურ, ისე ბერძნულსა და თითქმის ყველა აღმოსავლურ ენაზე. ამ წარწერების სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მხრივ ამ რაიონს, შეიძლება თამამად ითქვას, ბადალი არ ჰყავს მთელ საქართველოში, ისევე როგორც კედლის მხატვრობის სიმდიდრითა და მაღალხარისხოვნებით — სიძველით

ერთადერთია არამც თუ საქართველოში, არამედ მთელს ამიერკავკასიაში“. აქვე აღნიშნავს, რომ ეპიგრაფიკული ძეგლებით ყველაზე მდიდარია ე.წ. „უდაბნო“. ყველა ბერძნული, სპარსული, არაბული, თურქული წარწერა გარეჯის „მრავალმთისა“ აქ არის თავმოყრილი. აქვე აღნიშნავს, რომ სომხური წარწერები მიმოზნეულნი არიან მთავარ ეკლესიასა და მის გვერდით სენაკში, ბედელში და ხარების წმ. გიორგის ეკლესიებში. ეკლესიის ერთი კედლის მხატვრობის ქვეშ არის ხსენებული პოლიგლოტური წარწერა, რომლის ფოტო გამოაქვეყნა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა. იგი სომხური ტექსტის შესახებ შენიშნავს — სომხური შედარებით ქართულთან მეტისმეტად ვულგარული ენით არის დაწერილიო. ამ წარწერებში მოხსენიებული „სარგოსის ძე არასლანისა“ (ასლანისა) და მისი შვილი „ამირსაიდ“-ი გვარტომობით სომხები უნდა იყვნენო. იგი შესაძლოდ თვლის, რომ ისინი ბაგრატუნიანთა დაცემის, კერძოდ 1319 წელს მიწისძვრის შემდეგ ანისიდან თბილისში გადმოსახლებული სომხები არიანო. შემდეგ განიხილავს სომხურ წარწერებს და დაასკენის — სომხური წარწერები შესრულებული უნდა იყოს მაშინ, როცა ამ მხარის ეკლესია-მონასტრები მიტოვებული იყო და აღარ მოქმედებდნენ, რადგან XIII-XV სს-ში ცნობილი ისტორიული მიზეზების გამო გაუდაბურდნენ. სომხური წარწერები პილიგრამულია და მოიცავს XIII-XIX სს.³²

პ. მურადიანი თავის მონოგრაფიაში წერს, — სალოცავად მოსულის გარდა, გარეჯში ცხოვრობდნენ ადგილობრივი, მკვიდრი სომხებიც, — და მიუთითებს გვიან ფეოდალურ-ქართულ წყაროს, რომელშიც თელავთან არის დაფიქსირებული ტოპონიმი — „ანსომხარი“, „სახერების“ ახლო მიდამოში ყოფილა აგრეთვე ამავე სახელწოდების ტოპონიმი.³³ ყოველივე ამან საფუძველი მისცა პ. მურადიანს გაეკეთებინა შორს მიმავალი დასკვნა: “Специальное исследование, вероятно, выявит немало новых названий, если не армянских, то хотя бы находящихся аналогии в топонимии Армении: *Хорабудж-и* (от *Хорабург* (?), ср. *Хоракерт*), *Хоранта* (ср. арм. *Хоранк*), *Матури* (ср. арм. *Матур*), *Нахчаван-и* (ср. арм. *Нахчаван*), *Челети* (ср. арм. *Чалут*) и т.д.”³⁴ ამ ამონაწერის ქვეტექსტია დაამტკიცოს კახეთის რეგიონში ოდითგანვე

ეთნიური სომხური განსახლების არსებობა...

აგრეთვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ პ. მურადიანის „დამსახურება“ გარეჯის სომხური ეპიგრაფიკის შესწავლის საქმეში ასე შეაფასა ცნობილმა პალეოგრაფმა დარეჯან კლდიაშვილმა: „გარეჯის სამონასტრო კომპლექსის სომხურ წარწერებს საგანგებოდ შეეხო პარული მურადიანი საქართველოს სომხური ეპიგრაფიკის კრებულში. ამ ნარკვევში ფაქტობრივად უცვლელად იქნა განმეორებული სომხური გრაფიკების ლეონ მელიქსეთ-ბეგისეული პუბლიკაცია. ამასთან მასალა ავტორისთვის (პ. მურადიანისათვის. ბ. ა.) დამახასიათებელი ტენდენციური თვალთახედვით არის განხილული“.³⁵

მოტანილი შეფასება საკესებით სამართლიანია და თავისუფლად შეიძლება გავრცელდეს პ. მურადიანის მეცნიერულ მოღვაწეობაზე, რომელსაც წითელი ძაფივით გასდევს სუბიექტივიზმი და ტენდენციურობა.

პ. მურადიანის მიერ გამოცემულია სხვა კრებულიც („სომხეთის ქართული წარწერები“, 1997, ერევანი, სომხ. ენაზე), რომელშიც ასევე დაშვებულია უხეში ფაქტობრივი შეცდომები ქართულ წარწერათა ინტერპრეტაციების დროს. გამოტოვებულია 40 ქართული წარწერა, აქედან 10 ლაპიდარული. აგრეთვე ტენდენციურია ქართულ წარწერათა კომენტარები და მრავალი სხვა. (იხ. ვალ. სილოგავა — „სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ“. — „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1980, №2, გვ. 142-175).

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ბერთუბნის სახელწოდების ეტიმოლოგიის შესახებ წერს: „ბერთუბანი (ბერთ+უბანი) გეოგრაფიული სახელწოდებათა იმ მწკრივს ეკუთვნის, სადაც ფუძედ სიტყვა „ბერი“ არის გამოყენებული. მაგ. „ბერთა“ ტაო-კლარჯეთში, ბერთა-ყანა მესხეთში (ვანის ქვაბის მახლობლად) და სხვა (ენიშკის მოამბე, 1940, ტ. V-VI, გვ. 172). ახლა ენახოთ ამ კომენტარში, რბილად რომ ვთქვათ, როგორი „კორექტივი“ შეაქვეს პ. მურადიანს: „Правильно этимологизируя топоним “Бертубани” (т.е. берт-т-უბანი - “слобода монахов” ученый в качестве аналога приводит и “Берта” в Тао-Кларджий (უნდა იყოს კლარჯეთი. ბ. ა.). Но последний топоним восходит к “Бердак” (т.е. крепость, ук-

репление) и ничего общего не имеет со словом “Бсри” - монах”.³⁶

ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობა მოგვაწოდა ცნობილმა ენათმეცნიერმა, პროფ. გურამ ბელოშვილმა, რისთვისაც მოვახსენებ მაღლობას. მისი ზრით, „ტოპონიმი ბერთა (მწიგნობრობის ცნობილი ქართული კერა იყო ძველ კლარჯეთში; დაარსდა IX ს-ში, ტაო-კლარჯეთში გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის დროს (ბერთა ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული). ისევეა არქაული „თა“ სუფიქსით წარმოქმნილი, როგორც სხვა არაერთი უძველესი ხანის ტოპონიმი: მოგვ-თა, ვან-თა, მცხე-თა, მოწამე-თა, ბერ-თა... საქეციალისტთა მიერ გაზიარებულია მოსაზრება (სიმ. ჯანაშია, ვარ. თოფურია...) იმის თაობაზე, რომ ამ ტიპის სახელებს დროთა განმავლობაში ჩამოცილებიან საზღვრული ფუძეები. მაშასადამე, მოგვ-თა, ბერ-თა და სხვა ნაგენეტიკური სახელები ყოფილან. თავდაპირველად უნდა გვექონოდა: ბერთა სავანე (ადგილი, უბანი, სადგომი, მამული...), შემდეგ კი ოდენ ბერ-თა (ვან-თა, მოგვ-თა) შემოგვრჩენია.

თვითონ არსებითი სახელი ბერ-ი საეკლესიო პირის (უხუცესი, მღვდელი) მნიშვნელობით ქართულ ტოპონიმიშიაში საკმაოდ ხშირად დასტურდება. შდრ. ბერთა, ბერთა ყანა, ბერთუბანი, ბერის ყაღარი, ბერისხევი...

ძველი ქართული -თა სუფიქსის სამოქმედო (საწარმოქმნო) ძალა და, შესაბამისად, არეალი ამჟამად ერთობ შეზღუდულია. იგი ძირითადად ისეთ ტოპონიმში შემოგვრჩა, რომელშიც ამა თუ იმ გვარის ერთადმყოფობა, თანამოსახლეობა არის აღნიშნული: ბულალაურ-თა, ბურჯკურ-თა, ძეძეურ-თა, მიგრიულ-თა, კარწაულ-თა...

შესაძლოა ვინმეს გაუჩნდეს ვარაუდი ქართული ბერთა ტოპონიმის კლარჯეთშივე არსებულ სომხური წარმომავლობის ბერდაკ-ტოპონიმს შორის იდენტიფიკაციის შესახებ. ამთავითვე უნდა განეაცხადოთ, რომ მათ შორის არავითარი მორფოლოგიური (სტრუქტურული), ფუნქციური ან ინფორმატიული იდენტურობა არ შეიძლება არსებობდეს. თუ რამით გვანან ეს ტოპონიმები ერთმანეთს, ეს მხოლოდ ბგერობრივი მხარეა. ბგერობრივი (ფონეტიკური) მსგავსების მიხედვით ორი არამონათესავე ენის კუთვნილი ტოპონიმების შესაძლო ნათესაობაზე ენათმეცნიერებაში უკვე ღილი

ხანია აღარ კამათობენ: ბერ-თა ქართული წარმონაქმნია, ბერდაკ — სომ-
ხური.“

საინტერესო დაკვირვება აქვს ლეონ მელიქსეთ-ბეგს ძველი საეკლესიო მხატვრობის შესახებ. ამ მხრივ, შეიძლება დავასახელოთ მისი ერთ-ერთი სტატია „ძველი მხატვრობა გარე კახეთში“ („ჩვენი მეცნიერება“, 1922, №9-10). მასში აღწერილია გარე კახეთის უცნობი და ნაკლებად ცნობილი ძეგლები. მისი ინტერესი ამ მხრის ხუროთმოძღვრების მიმართ განსაზღვრა იმ ფაქტმა, — როგორც თვითონ ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავს, — რომ გარე კახეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრება ქართლსა და დასავლეთ საქართველოს არქიტექტურულ ძეგლებთან შედარებით, უფრო ძველი სახით არის წარმოდგენილი — „იგი (გარე კახეთის ხუროთმოძღვრება. ბ. ა.) ცოტად თუ ბევრად უახლოვდება აღმოსავლურ (სირიულ-სომხურ) არქიტექტურის ტრადიციებს. ამიტომ მე დამატებით დავისახე სპეციალური მიზანიც — გამერკვია, ერთის მხრივ, ის, თუ რამდენად შეუნარჩუნებიათ ჰერეთ-სომხეთის მოსაზღვრე გარე კახეთის ძეგლებს კვალი სომეხ-ქართველთა საეკლესიო ურთიერთობის დროის აღმშენებლობისა და, მეორის მხრივ, ის, თუ ეს ძეგლები რამდენად დაშორდნენ ამავე დროის ტრადიციებს.“ ამ მიზნით მეცნიერს ჩაუტარებია კვლევა-ძიება გარე კახეთში. მისი ყურადღება მიუქცევია გარე კახეთის ძველ საეკლესიო მხატვრობას, რომელიც შემოვიდა და გავრცელდა საქართველოსა და ნაწილობრივ სომხეთშიც, ქალკედონური ანუ დიოფიზიტური (ორბუნებიანთა) მოძღვრების გამარჯვების შემდგომ, ე.ი. იმ დროს, როცა საქართველოსა და სომხეთის ეკლესიები უკვე ერთმანეთს დაშორდნენ.

ერთი სიტყვით, ლეონ მელიქსეთ-ბეგს გარე კახეთში მოუნახულებია (გარეჯის გამოკლებით) საეკლესიო მხატვრობა: ნინოწმინდში, სამებაში, ღვთაებაში, მუხროვანში და შეუსწავლია იგი, რის შედეგადაც გვაწვდის შემდეგ დასკვნას — გარე კახეთში მხოლოდ მუხროვანის გამოქვაბულის ეკლესიის ფრესკებია შესრულებული XVI ს-ში, ხოლო დანარჩენები: ნინოწმინდის, სამების და ღვთაების — ეკუთვნის XVI-XVII სს-ებს, და წარმოადგენს ბერძნულ-რუსულ იკონოგრაფიის შედეგს. მას მიაჩნია, გარე კახეთში საეკლესიო მხატვრობა უნდა შემოეღოთ შედარებით გვიან, არა

უადრეს XII-XIII სს., ზოლო მისი გავრცელება მიეკუთვნოს XVI-XVII საუკუნეებსო. ამ საკითხზე ზოგიერთ მეცნიერს თავისი მოსაზრება აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია აღნიშვნა იმ ფაქტისა, თუ რა ფართო ინტერესების და დიაპაზონის მეცნიერი გახლდათ ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

რაც შეეხება მუხროვანის ეკლესიის მხატვრობის სიუჟეტს „განკითხვის დღე“, ლეონ მელიქსეთ-ბეგს მოაქვს ნ. პოკროუსკის ზარი მის შესახებ. რუსი მეცნიერი თვლის — ასეთი მთლიანი სიუჟეტი არ გვხვდება არამც თუ სლოვენურ-რუსულ, არამედ თვით ბერძნულ მხატვრობაშიც და შეიძლება უნიკუმად ჩაითვალოს. იგი შეიძლება დათარიღდეს დაახლოებით არა უადრეს XIII-XIV ან XV სს.³⁷

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა პირველმა გამოიკვლია სიმბოლური მნიშვნელობა ქართულ და სომხურ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში. ამ საკითხს მიუძღვნა სპეციალური სტატია — „სიმბოლო ქართულ-სომხურ ხუროთმოძღვრებაში“ („კავკასიონი“, 1924, №3-4). ავტორი შესავალში შენიშნავს — ქართული და სომხური საეკლესიო ხუროთმოძღვრების შესწავლამ მოითხოვა არქიტექტურული ფორმების სიმბოლური მნიშვნელობის გარკვევა. მას მცდარად მიაჩნია ზარი, თითქოს არქიტექტურული ფორმების სხვადასხვაობასთან სირთულე აიხსნება პრაქტიკული მოთხოვნილებით. მისი ზარით, როცა ხუროთმოძღვარი ერთი სართულის ნაცვლად ორსართულიან სახლს ააშენებს, ანდა სასახლეს კოშკს მიაშენებს, ამას პრაქტიკული მოსაზრებით აკეთებს. მაგრამ, როცა სასახლეს ჩუქურთმებით, ქანდაკებით ფარავენ, ამას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. აგრეთვე, ეკლესიას ერთის მაგიერ ორ, სამ, ან ხუთგუმბათიანს აშენებენ, არც ეს არის პრაქტიკული მიზნით გაკეთებული. შემდეგ ჩამოთვლის ეკლესიის შემადგენელ სამ ნაწილს: აბსიდი, შუა ნაწილი და კარიბჭე. ამგვარ დაყოფას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, მაგრამ იმავე დროს იგი მოკლებული არაა სიმბოლურ მნიშვნელობასაც, ვინაიდან გამოხატავს „ერთ არსებიან სახებას“. ერთ არსებიანი სახება წარმოდგენილია აგრეთვე, აღმოსავლეთის აბსიდის სამ უბეში, კარიბჭის სამ კარებში და სხვა.

შემდეგ განმარტავს: გუმბათი გამომხატველია ცისა როგორც ღვთა-

ების სამკვიდრობელისა, იმავე დროს არის სიმბოლო ერთ ღვთაებისა, ამიტომ ეკლესიას ერთი გუმბათი უნდა ჰქონდეს, მაგრამ გვხვდება გამონაკლისებიც, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და განაგრძობს, — ეჯიმიანის ტაძარს აქვს ერთი გუმბათი, მაგრამ ძველად, როგორც ხუროთმოძღვარმა თოროს თორომანიანმა დაადგინა, იგი ხუთგუმბათიანი ყოფილა. ხუთგუმბათიანი ყოფილა ანისის ე.წ. „მოციქულთა“ ეკლესია, რომელიც აგებულია ეჯიმიანის პირვანდელი ტაძრის გეგმის მიხედვით, ასევე თბილისის სომეხთა საკრებულოს ვანქის ტაძარი სამნავიანი და სამგუმბათიანია.

საქართველოში ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი სამ ან ხუთგუმბათიანი ეკლესია, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და იქვე შენიშნავს, — სამაგიეროდ არის ორგუმბათიანი გურჯაანის ახლოს კახთუბნის ხეობაში მდებარე „ყველა წმინდის“ სამნავიანი და ხუთ სამწირველოსაგან შემდგარი ბაზილიკა, რომელიც დაუგვირგვინებიათ ორი გუმბათით. ამის შემდეგ მკვლევარი სვამს კითხვას: რას უნდა ნიშნავდეს ხუთი, სამი ან ორი გუმბათი ეკლესიაზე? ამ კითხვას ლეონ მელიქსეთ-ბეგი ასე პასუხობს: ხუთი — სიმბოლოა „მაცხოვრისა და ოთხი მახარებელთა“, სამი — „ერთარსებიანი სამებისა“, ხოლო ორი — „ორი ბუნებისა იესო ქრისტეში“.

მკვლევარი გვამცნობს ეკლესიის აგებულებას და მისი ნაწილების სიმბოლოურ დანიშნულებას. ზოგიერთზე გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას. მაგ., ერთ ან მრავალ გუმბათიან ეკლესიას აქვს ოთხი მთავარი სვეტი, ამ სვეტს სომეხები უწოდებენ დედა-სვეტს (მაირ სიუნ). მათზეა დამყარებული გუმბათი (მრავალ გუმბათიან ეკლესიაში შუა გუმბათზე). ეს არის სიმბოლო ოთხი მახარობლის, რომელზეც დამყარებულია საქრისტიანო მოძღვრება, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და მოაქვს ამ აზრის გასამაგრებლად დამატებითი ფაქტი: სომეხთა ეკლესიის კანონით, ახალი ეკლესიის საძირკველის ჩაყრის დროს ამ ოთხ სვეტს საფუძვლად უდებენ ოთხ ქვას — ოთხი მახარობლის სახელზე, როგორც სიმბოლოს ქრისტიანობის, ოთხი მთავარი ბურჯისას. ოთხი მახარობლის სურათები ჩვეულებრივ მოთავსებულია ოთხი სვეტის თავში, იალქანსა და ტრომპზე, როგორც სიმბოლო ქრისტიანობის ოთხი ბურჯისა.

სომეხთა ანტიქალკედონისტურ ეკლესიაში საკურთხეველი ბერძნულ-ქართულ ქალკედონისტური ეკლესიის საკურთხეველთან შედარებით მაღალია, — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და შემდეგ ასეთ კომენტარს აკეთებს: სომხურ ეკლესიას აქვს კიბეები ორივე მხრიდან, თითოეული მათგანი შემდგარია შვიდი საფეხურისაგან, რაც არის სიმბოლო შვიდი მთავარანგელოზისა, რომელთაც თავის რიგზე წარმოადგენდნენ ქრისტიანულ გარდასახებას, ე.წ. „უსხეულო ზეციური ძალები“, ე.ი. ასტრალური შვიდღვთაებისას ანუ შვიდმნათობთა (მზისა, მთვარისა და ხუთი ვარსკვლავისა). მას მიაჩნია, შვიდი რიცხვი იყო და არის კიდევ „საფეხურების“ გამომხატველი, როგორც წარმართობის, ისე ქრისტიანობის ხანაში: შვიდი ღღე მსოფლიო ქვეყნიერების შექმნისა, შვიდი ღღე კვირისა, შვიდი ღღე მთვარის ფაზისა, შვიდი მნათობი — ღმერთი და სხვა. რიცხვი შვიდი სანთლის სახით ჩანს აფხაზურ მითოლოგიაში (მჭვლელობის კულტში). გარდა ამისა, ეს რიცხვი სამოთხეთა ეკლესიის საიერარქიო საფეხურებია, რათა მღვდლად ეკურთხოს. ეს საფეხურებია: 1) მეკარე; 2) მკითხველი (საეკლესიო ენით მეფსალმუნეს ნიშნავს); 3) დაფუცებული; 4) აკოლუთი; 5) კერძო ღიაკვანი; 6) ღიაკვანი; 7) მღვდელი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ამ წესთან დაკავშირებული უნდა იყოს ჩვეულება, რომლის თანახმად სომხური ეკლესია 7 წლის განმავლობაში უნდა შენდებოდეს. ასევე სიმბოლურია ისიც, რომ სამკვეთლო ძველად და ახლაც საქართველოსა და სომხეთში არის აღმოსავლეთ ფასადის მარცხენა მხარეს, რაც სიმბოლურად გამოხატავს ბეთლემის გამოქვაბულს, სადაც იშვა იესო ქრისტე. სტატიის ბოლოს იგი ასეთ მართებულ დასკვნას გეთავაზობს — ეკლესიის სხვადასხვა ნაწილები ყოველთვის არქიტექტურული მიზნით არ არის გაკეთებული. ისინი ხშირად გამოხატავენ ამა თუ იმ იდეას ან სიმბოლოს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ერევანში, ისტორიის ინსტიტუტში გამოსაცემად ჩაბარებული ჰქონდა მანქანაზე ნაბეჭდი 335-გვერდიანი შრომა (სომხ. ენაზე). ეს იყო კრებული-ცნობარი სომხური წარწერებისა საქართველოში ასეთი სახელწოდებით — „მატიანე ქეებზე“. ლეონ მელიქსეთ-ბეგის გარდაცვალების შემდეგ, როცა მისი შვილი ლეონიდ მელიქსეთ-ბეგი ნაშ-

რომის ბელთ დანტერესდა და მიაკითხა ხსენებულ ინსტიტუტს, ამ ნაშრომის ასავალ-დასავალს ვერ მიაგნეს და დაკარგულად ჩათვალეს. მაგრამ გავიდა წლები და ერევანში სომხურ ენაზე გამოვიდა პ. მურადიანის წიგნი — „ქართული წარწერები სომხეთში“ (1977 წ.). ავტორს სქოლიოში აქვს გაკეთებული ასეთი შენიშვნა — ლეონ მელიქსეთ-ბეგის აღნიშნული ნაშრომი ინახება განსვენებულ ისტორიკოსის ს. ბარხუდიანის პირად არქივში...

ლეონ მელიქსეთ-ბეგს სიცოცხლეში დღემდე გაურკვეველი მიზეზის გამო არ ეღირსა ამ ნაშრომის გამოცემა და გარდაცვალების შემდეგ ოჯახმა ძლივს დაიბრუნა მისი ხელნაწერი. ამჟამად ხელნაწერი დაცულია საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ არქივში (ფონდი №763, აღწერა 1, №84).

ლეონ მელიქსეთ-ბეგის შრომები საპატრიარქოს ისტორიის შესახებ

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ოდესის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გამოსცა ნაშრომი — „Юридическое положение верховного патриарха армянского“ (1911) (ნაშრომს რეცენზიით გამოეხმაურა ალ. ხახანაშვილი).³⁸ ლეონ მელიქსეთ-ბეგი შესავალში აღნიშნავს, რომ სომხური ეკლესია ოდითგან იყო სამოციქულო. სომხეთის პირველი განმანათლებლები იყვნენ თადეოზი და ბართლომე, მეორე კი იყო გრიგოლ ლუსავორიჩი (განმანათლებელი). მას დაუშვებლად მიაჩნია ის ფაქტი, რომ სომხებს უწოდებენ გრიგორიანებს. ის წერს — „...совершенно чужд эпитет “григорианская” или “грегорианская”. ეს ტერმინი პირველად იქნა ხმარებული რუსი კანონმდებელი ჩინოვნიკის მიერ: “Положение об армянской церкви 11 марта 1836 года”. ამ დოკუმენტში სომხებს უწოდეს გრიგორიანები — “подобной мерой составители “Положения...”, очевидно, имели целью косвенным образом оттянуть возникновение армянской церкви от времен Апостолов к более позднему времени, именно к эпохе св. Григория, являющегося вторым просветителем... [армянская церковь] никогда не называлась, но была названа “григорианскою” или “грего-

рианскою”, названа с 1836 года; вопреки всякой исторической очевидности; доказательством этого может служить то обстоятельство, что армяне вне пределов Российской империи совершенно не знают ни “григориани” или “грегориани”, ни “григорианской” или “грегорианской” церкви. Ввиду изложенного, мы и сочли нужным избежать подобных терминов в предлагаемом очерке” (стр. 3).

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ნაშრომი დაუყვია ხუთ თავად და ქვეთავებად. ყოველ თავში იგი განიხილავს სომხური ეკლესიის უმაღლესი მართებლობის სტრუქტურას და ფორმებს, განმარტავს სომხური საეკლესიო კრების ფუნქციას, სრულიად სომეხთა კათალიკოსის იურიდიულ უფლებამოვალეობას, სასულიერო იერარქიულ წყობას და სხვა. ეს ნაშრომი მიუღია და გაცნობია ალ. ხახანაშვილი. მოწონებია და თავისი შთაბეჭდილება წერილით გაუზიარებია ახალგაზრდა მეცნიერისთვის:

11 იან. 1911 ა.

Милостивый государь!

Приношу Вам искреннюю признательность как за присылку последней Вашей работы “Юрид. положение верховного патриарха”, равно и за прежние Ваши работы, за которые, впрочем, я имею случай благодарить письмом, отправленным в Одессу, на имя Общества истории.

*с почтением А. Хаканашвили*³⁹.

ამის შემდეგ ალ. ხახანაშვილსა და ლეონ მელიქსეთ-ბეგს შორის საქმიანი მიწერ-მოწერა გაბმულა.

შემდეგ წერილში ალ. ხახანაშვილი წერს:

1 ноября 1910 а.

Милостивый государь!

Специу ответить на Ваш вопрос. Поставленных Вами пунктов косвенно касаются след. мои работы:

1) Древнейшие предметы расселения Грузии по Малой Азии. 2-е изд.. Тифлис;

2) Источники по введению христианства в Грузию (в Древностиах Восточных, т. 1, изд. Москв. Археолог. Общества);

3) Некоторые черты бытия и культуры Грузии по данным археологии и этнографии (в Юбилейном сборнике в честь В. Ф. Миллера);

4) Языческая религия Грузии (в журн. "Кавказ и Средняя Азия", изд. в Баку);

5) Грузинары, издан. мною на груз. языке.

Вот, кажется, все, что отвечает приблизительно на интересующие Вас вопросы.

Сожалею очень, что не могу быть полезным в той мере, в какой мне это хотелось бы. Прошу не возыскать за малое: услужил, чем только мог.

с истинным почтением

А. Баханашивили

აქვე მოგვამცხ 1911 წლის 18 ოქტომბრით დათარიღებული აღ. ხახანაშვილის წერილი:

Милостивый государь!

Позвольте искренне поблагодарить Вас за присланные Вами интересные работы и пожелать Вам дальнейших успехов на научном поприще. По поводу писателя Podigins - Podiggins. Должен я сказать, что, к сожалению, я совершенно забывал, откуда я взял справку о нем, что же касается до моих згуჯრებ, то за ними следует обратиться в общество распространения груз. грамотности в Тифлисе, куда издатель (...) Гилбашидзе сдал для (...).

с полным почтением А. Баханашивили

ლეონ მელიქსეთ-ბეგის დამსახურება სამართლის კვლევის ისტორიაში აღნიშნულით არ ამოიწურება. მან 1927 წელს გამოსცა „სამართალი სომხური. ქართული ვერსია, შესრულებული ვახტანგ VI-ის ბრძანებით“. სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია და ლეონ მელიქსეთ-ბეგიც იზიარებს, რომ სომხური კანონების პირველი თავის ქართული თარგმანი შემოკლებულია. იგი ამ ნაშრომის კვლევითი ნაწილის მეორე წიგნის გამოცემას აპირებდა. ის წერდა: „მეორე წიგნში შევეცდები წარმოვადგინოთ დაწვრილებითი შეფასება ქართული ტექსტისა სომხურ დედანთან შედარებით. თავისთავად ცხადია, აღორძინების ხანის ქართული ლიტერატურის ფონზე და მთარგმნელის ვინაობის საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც დართული ექნება სომხური და ქართული ტექსტების შედარებაზე დამყარებული სომხურ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგია.“

„სამართალი სომხური“, რომ სომხურ კოდექსიდან არის თარგმნილი ქართულად ვახტანგ VI-ის ბრძანებით, ჩანს ტექსტიდან — „სამართალი სომხური“, გადმოღებული თვით ენისა მისგან ქართულსა ზედა ჟამსა ქართველთა მეფისა ვახტანგ VI-სა და განცემული მის მიერ ერთად ქართველთანა ჟამსა ყოფნისა მისისა ბატონიშვილისა და გამგეს ქართლისა, წელთაშორის 1703-1711“.

თუ რატომ გადმოაღებინა ქართულად სომხური კანონები ვახტანგ VI-მ, ამის შესახებ თვითონ ამბობს — ქართველთა ზნე-ჩვეულება განსხვავდება საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხთა ზნე-ჩვეულებისაგან (ბერძნები, სომხები და სხვა). ბუნებრივია, ამ ხალხს სჭირდებოდათ თავიანთი სამართალი, რომელშიც აისახებოდა მათი მორალი, ხასიათი და წეს-ჩვეულება, ე.ი. ვახტანგ VI-მ საგანგებოდ გამოაქართულებინა „სამართალი სომხური საქართველოში მცხოვრებ სომხებისათვის“, — შენიშნავს პ. მურადიანი, — და არც ქართულ-სომხურ საერთო საკანონმდებლო ინტერესებს გამოერიცხავს.⁴⁰

ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ შედგენილი იშვიათად ხმარებული და ზოგიერთ გაუგებარ სიტყვათა ლექსიკონი, რომელიც ერთვის ხსენებულ გამოცემას, მეტად საინტერესოა. ნიმუშად მოვიტანთ რამდენიმე სიტყვის განმარტებას:

1) აიზმა — აღიზმა ბერძნულად — განწმენდა, კურთხევა;

2) ბერეტუტია — ბერძ. — ზედამხედველი. სომხური დედანია პერეტუტი;

3) გოდდარა — ტფილ. ჟარგ. სომხ. გოდ — ქურდი+თათრ. დარა — ბუდე. პირდაპირი მნიშვნელობით — ქურდის ბუდე, ე.ი. ქურდობის ბუდე, ხოლო გადატანითი აზრით ქურდობის გუდა;

4) შოლთხოზა — თათრ. შარი, ცილისწამება;

5) თამბა — თათრ. „თამბა უყონ“ — დაარიგონ, ჭკუაზე მოიყვანონ;

6) თასუ — სპარს. წონის ერთ-ერთი საზომია, დანგზე ნაკლები, ხოლო ქერზე მეტი;

7) თალაფული — ტფილ. ჟარგ. „თალაფული იკრას“, გადატანითი მნიშვნელობით. — უყურადღებოდ დატოვოს, არაფრად ჩააგდოს, სიტყვა ბანზე ააგდოს;

8) თემი — ბერძ. აქედან არის სომხ. თემ — განსაზღვრული საგეოგრაფიო-საგამგეო ერთეულია. მხარე, ეპარქია (სომხ. დედანში არსად არის ნახმარი, არამედ არის გავარ, ვიჭაკ ამავე მნიშვნელობით;

9) მეტოქი — ბერძ. მონასტრის განყოფილება, ქვემონასტერი.

ვფიქრობთ, ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ შედგენილი ეს სალექსიკონო მასალა გარკვეულ დახმარებას გაუწევს ქართულ იურიდიული ტერმინის დადგენაში სამართლის ისტორიის სპეციალისტებს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა თავის მეცნიერული მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში გამოაქვეყნა „Об источниках древнеармянского права“ (Изв. Кавк. Истор.-археологического института, 1917-1925, т. II, стр. 149). იგი ამ ნაშრომში მიმოიხილავს სომხური ეკლესიის სამართლებრივი უფლებების შესახებ არსებულ სომხურ და უცხო ენებზე შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურას. სომხური საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლებიდან მაშინ გამოცემული იყო: არსენ კლიტჩიანის მიერ გამოქვეყნებული — „სომეხთა კანონების წიგნი“ (1914 წ.), ნერსეს მელიქ-თანლიანის „სომხური ეკლესიების სამართალი“ (1903 წ.), არისტაკეს დავითიანის „კანონთა წმინდა კრებული და ეკლესიის საკითხი“ (1904 წ.). ეს გამოცემები არამეცნიერული ხასიათის იყო, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-

ბეგი. იგი აგრეთვე მიუთითებს „კანონთა წიგნის“ გამოცემას რომში ლათინურ ენაზე. ეს თხზულება უთარგმნია არსენ ანჭარაკიანს (1838 წ.). წიგნი გამოუცია ვატიკანის კარდინალს ანგ. მათიხიანს და სხვა.

„კანონთა წიგნი“ დაწერილებით განხილული აქვს მალაქია ორომანიანს თავის კაპიტალურ ნაშრომში — „სომხური ეკლესიის ისტორიაში“ (1912-1913 წ.წ.). ლეონ მელიქსეთ-ბეგი აკადემიურად იხილავს სომხურ სამართლის ამ მნიშვნელოვან ძეგლს და გამოყოფს მის წყაროებს.

სომხეთის პროცესუალური სამართლის საკითხები გამოიკვლიეს — ლ. ინჭიჭიანმა, ა. გარაგამიანმა, ს. სამეულიანმა და სხვ. ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანა ლეონ მელიქსეთ-ბეგმაც, რომელმაც თავის ერთ-ერთ ნაშრომში განიხილა სტ. ორბელიანის „სიუნქის ისტორია“ ამ თვალსაზრისით. ეს არის — „ერთი ცნობა ზაქარიანთა სომხეთში სასამართლოს მოწყობისა და პროცესის შესახებ“ (ერთი ფურცელი სომხური და ქართული სამართლის ისტორიიდან) (სომხეთის აკადემიის მოამბე (საზოგ. განყ.), 1945, №3-4, გვ. 73.). სტ. ორბელიანს აქვს ცნობა 1215 წელს ანტიქალკედონისტური ნორვანქის (სიუნქი) და ქალკედონისტური პლძაჰანქის (ლორი) მონასტრებს შორის გამართულ დავის შესახებ. დავის საგანი ყოფილა თავად ვასაკ სიუნეცის მიერ ნორვანქის მონასტრის ცხოველმყოფელი ჯვრის ჩუქება თავად ივანე ათაბაგისათვის. ამ უკანასკნელს კი ეს ჯვარი შეუწირავს პლძაჰანქის მონასტრისათვის. როგორც სტ. ორბელიანი გადმოგვცემს, ივანე ათაბაგს მოუწვევია საეკლესიო სასამართლო 1216 წელს დვინში, რომლის გადაწყვეტილებით სადაო ჯვარი მიეკუთვნა ნორვანქის მონასტერს. ამ სასამართლოში მონაწილეობა მიუღია ქართული და სომხური საზოგადოების ექვსი ფენის წარმომადგენელს. ეს მონაწილეები ლეონ მელიქსეთ-ბეგმა დაყო სოციალური და კონფესიური ნიშნების მიხედვით. იძლევა თითოეული ჯგუფის მეცნიერულ დახასიათებას. მასალას შემდეგ ჯგუფებად ყოფს: 1) მასალები ნიკეის საეკლესიო კრებაზე; 2) ეროვნული სომხური წყაროები. საყურადღებოა ის, რომ მოაქვს ნ. მელიქ-თანლიანის და მალაქია ორომანიანის მიერ შედგენილი სომხურ ეკლესიათა ქრონოლოგიური სია, აგრეთვე ბიბლიოგრაფიული თვალსაზრისით აქვს განხილული — “Правила отцов армянской цер-

ლეონ მელიქსეთ-ბეგის ნუმისმატიკური შრომები

მას ამ დარგშიც აქვს შრომები, რომელთაგან ერთს შევეხებით — “По поводу статьи Е. А. Пахомова - “О монете Корики Куропалата”. - Изв. Кавказ. Историко-Археологического инст., 1925, т. III, стр. 46). ნუმისმატმა ე. პახომოვმა 1925 წელს გამოაქვეყნა სტატია — “О монете Корики Куропалата”. ეს არის სომხური მონეტა, მოჭრილი ლორის მეფის კორიკე II კუროპალატის მიერ. ამ მხარეში იგი გაშვებულა ანის დაცემის შემდეგ. ე. პახომოვი ისტორიული რეალებების მიმოხილვის შემდეგ ღაასკენის, რომ კორიკე ლორში მეფობდა XI ს-ში და ატარებდა კუროპალატის ტიტულს. ამის საპასუხოდ ლეონ მელიქსეთ-ბეგი მიუთითებს ვენეციელი მხითარისტის ლეონ მოვსესიანის მიერ „ჰანდეს ამსორიამი“ გამოქვეყნებულ სტატიას ამ მონეტის შესახებ. ეს სტატია 1923 წელს წიგნად გამოსულა. ლეონ მელიქსეთ-ბეგი ხსენებულ სტატიაში გვამცნობს, რომ ლეონ მოვსესიანის მოსაზრება არ ემთხვევა ე. პახომოვისას. ამ უკანასკნელს ეს მონეტა მიაჩნია ლორის მეფის კორიკე II-ის მოჭრილად, მოვსესიანი კი თვლის — “...имя Корики присуще не лорийским царям” только, ибо “оно налично также в Таии, правителям которой также принадлежит титул Куропалата.” ამიტომ ლეონ მოვსესიანის აზრით, “...нет никаких оснований не приписать эту монету какому-либо правителю Таии, ибо там правители пользовались такой привилегией.”

ლეონ მელიქსეთ-ბეგის შრომები ეთნოგრაფიის შესახებ

გ. ჩუბინაშვილმა პირველმა მიაქცია სერიოზული ყურადღება ქართულ ხალხურ და საერო არქიტექტურას. მისი რედაქციით და შესავალი წერილით გამოვიდა ხუთი ალბომი, რომელშიც განხილულია ქართლში გავრცელებული უძველესი ტიპის გლეხური საცხოვრებელი სახლი, დარბაზად წოდებული. ამ ტიპის ცნობილი დარბაზები დაფიქსირებულია დილოში, ერთაწმინდაში, ყარაღაჯში, ნადარბაზევში, წალკაში და მცხეთაში.

აღსანიშნავია, რომ გ. ჩუბინაშვილმა ადრიდანვე საგანგებო ყურადღება მიაქცია ძველი ქართული ხალხური ტრადიციების მნიშვნელობას მონუმენტური არქიტექტურის განვითარების საქმეში. ყოველივე ამას გამოეხმაურა ლეონ მელიქსეთ-ბეგი წერილით — “О необходимости сравнительного изучения крестьянских жилищ” (Известия Кавказского Историко-Археологического Института, 1925, т. III, стр. 109). ავტორმა მასში განსაკუთრებით ხაზი გაუსვა გ. ჩუბინაშვილის ალბომის მეცნიერულ მნიშვნელობას და აღნიშნა — ასეთი დარბაზები ყოფილა კიდევ ახალციხეში (რაბათში), თამარაშენში და სხვ. იგი არ გამოირიცხავს მათი გამოვლენის შესაძლებლობას.⁴¹

ლეონ მელიქსეთ-ბეგს აქვს აგრეთვე საკმაოდ მოზრდილი ეთნოგრაფიული ხასიათის სტატია — “К вопросу обычая кувады на Кавказе в связи с языковыми пережитками матриархата” (сб. “Академия наук СССР, XLV, академику Н. Я. Марру. - М.-Л., 1935, стр. 725). ამ ნაშრომში აღწერილია კუვადის წეს-ჩვეულება კავკასიის ხალხებში. კუვადა ეწოდება ჩვეულებას, როცა მამაკაცი ქალის თავსაფარს მოიხურავს, დაწვება ლოგინში, კენესს, იგრიხება და განასახიერებს მშობიარე ქალის მდგომარეობას. ავტორი მიმოიხილავს საკითხის ისტორიას და მოაქვს ამ წეს-ჩვეულების შესახებ ცნობები ძველ ბერძნულ-რომაულ წყაროებიდან (სტრაბონი, დიოდორე სიცილიელი, აპოლონ როდოსელი და სხვ.) მკვლევარ ა. ამფითიატროვზე დაყრდნობით ლეონ მელიქსეთ-ბეგი წერს: ეს წეს-ჩვეულება ასახავს საზოგადოების განვითარების იმ ხანას, როცა მატრიარქატი გადადიოდა პატრიარქატში — “...материнская власть постепенно шла к упадку, а отцовская начинала зарождаться”.

ამ წეს-ჩვეულებას აღმოსავლეთ და დასავლეთ იბერებში, მცირე ზღის ტიბერენებში შეეხო ნ. მარიც (“Яфетический Кавказ и третий этнический элемент”). სომეხი მკვლევარის ს. ლისიციანის ცნობით, კუვადა დადასტურებულია ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ზოკების რაიონში. (“Заря Востока”, 1928, №224). ეს წეს-ჩვეულება გავრცელებული ყოფილა ქართველებშიც, რომელიც აღუწერია თ. სახოკიას.

შემდეგ მოაქვს ქართულში შემონახული სიტყვები, რომლებშიც ნათლად მოჩანს ქალის უპირატესობა მამაკაცთან: დედ-მამა, ცოლ-ქმარი, ქალ-ვაჟი, დედალ-მამალი და სხვ. დამოწმებული ჰყავს, აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილი, რომელიც წერს: გუთნის დედის გაგება მატრიარქატის გარეშე შეუძლებელიაო. ეს სახელი იმდროინდელია, როცა გუთანს მართავდა ქალი, ამიტომ ეწოდა გუთნის-დედა. ასევე „ამირან-დარეჯანიანში“ ამირანი არის დარეჯანის ძე დედის მხრივ, ხოლო სულკალმახის ძე — მამის მხრივ და ა.შ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ნაშრომში „აბაშიძეების მოსიარულე ენქერი“ (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, 1940, ტ. I) გამოკვლეული აქვს შემდეგი: ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების და ძარცვის დროს სპარსელებს წაუღიათ ერთი ძვირფასი ოქრო-ქსოვილი, რომელიც დამზადებული ყოფილა ზემო იმერეთში. იგი წარმოადგენდა ოთხკუთხა მანდილს, რომელიც საღვთისმსახურო სამოსელია და ჩამოიკიდება ბარძაყზე, ერთ-ერთი კუთხით სარტყლის ქვეშ. მართლმადიდებელ ეკლესიაში ჩვეულებრივი რეგალიაა (სიმბოლო ფარისა) ყოველი მღვდელმთავრისა (ეპისკოპოსისა) და ჩამოიკიდება მარჯვენა მხრიდან, სომეხთა ეკლესიაში კი ეს რეგალია მხოლოდ კათალიკოსის არის და ჩამოიკიდება მარცხენა მხრიდან. მას ეწოდება ენქერი, რუსულად ПАЛИЦА, სომხურად კონქერ-ი. ლეონ მელიქსეთ-ბეგს ხსენებული ენქერის ისტორია გადმოცემული აქვს ასე: ზემო იმერეთიდან ენქერი მოხვედრილა თბილისში, აქედან კი ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს გაუტაცნიათ და წაუღიათ ირანში. შემდეგ ენქერი, რატომღაც თავრიზის სომეხთა ეკლესიის საკუთრება გამხდარა. 1910 წელს თავრიზის სომხურ სიძველეთა ეჯიმიანში გადმოტანის დროს ეს ენქერიც წამოუღიათ. ასე აღმოჩნდა იგი ეჯიმიანის მუზეუმის კოლექციაში. 1926 წელს სხვა ექსპონატებთან ერთად ენქერიც ერევნის მუზეუმში ჩაუბარებიათ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი მას 1924 წელს გაცნობია ეჯიმიანის მუზეუმში. ადრე კი ეს ენქერი აღუწერია ექ. თაყაიშვილს.⁴² ენქერი კვლავ 1936 წელს უნახავს ლეონ მელიქსეთ-ბეგს ერევნის სახელმწიფო მუზეუმში ეთნოლოგიურ განყოფილებაში (№2462). მისი თანდასწრებით მომხდარა

ენქერის ექსპერტიზა და წარწერის შემოწმება. შემოწმებისას ქსოვილი გაურღვევიათ და სარჩულის შიგნით უნახავთ ჩაკერებული საბუთი — ქალაღდი, რომელზეც ყოფილა ქართული მხედრული ასოებით შესრულებული 12-სტრიქონიანი წარწერა. გვერდით მინაწერიც ყოფილა — 6 სტრიქონი. საბუთში იხსენიება ვეზირი ქეჰა-უსუფ-ბეგი, ზურაბ აბაშიძე, დავითი და მისი ძმა, გოჩიანი და ყიფიანი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავს, რომ ენქერის გარე წარწერაში მოხსენიებული ზურაბ აბაშიძე არის იმერეთის ისტორიაში კარგად ცნობილი პირი. ბარათში მოხსენიებული ქეჰა-უსუფ-ბეგი კი არზრუმის ფაშის ვეზირი ყოფილა, რომელიც იხსენიება XVII საუკუნის მიწურულში. ლეონ მელიქსეთ-ბეგი მართებულად მიუთითებს ამ შესანიშნავი ქართული ხელსაქმის უნიკალურ მნიშვნელობაზე, რომელიც ერთი საინტერესო ეთნოგრაფიული დოკუმენტია XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიაში.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოიკვლია, აგრეთვე, ქართული ეთნოგრაფიის საკითხები ძველ სომხურ წყაროებში, რომელიც მოხსენების სახით წაიკითხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე (1949 წ.), სადაც პირველ რიგში შეეხო ქართლის სახელწოდებას. მისი ზრით, “по представлению армян, основной этнический слой, который, объединив вокруг себя остальные племена, явился ядром грузинского народа, - это веры или иверы, иберы.” ასეთი თვალსაზრისი გამოთქვა იბერიას სახელწოდების შესახებ. რამდენად მისაღებია, ძნელია თქმა, თუმცა ივერ-იბერ-ის ეტიმოლოგიის შესახებ დღემდე ერთი ზრის არ არის მეცნიერთა შორის.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი აქვე შენიშნავს — ქართველის და საქართველოს აღმნიშვნელი სახელი „გიურჯი“ სომხურ საისტორიო წყაროებში გაჩენილა XV საუკუნიდან. აქ გვხვდება, აგრეთვე, აღმოსაველეთ საქართველოს ეთნო-ტოპონიმიკური მასალა ძველი სომხური გეოგრაფიის მხედვით. ამ მასალიდან საყურადღებოა მანგლისის ეტიმოლოგია, რის შესახებაც ლეონ მელიქსეთ-ბეგი წერს: “В частности, „Мангалиа-ფორ“=მანგლისის ხევი, очевидно, восходит не к основе “мангали”,

как результату метатезиса о груз. “намгали” - серп, а, скорее всего, к этническому термину, хорошо известному в армянских источниках в форме “ангг” („ანგლ“. ბ. ა.) т.е. “англ”, откуда географическое название “Англг”-тун-Ангг’яутун (ანგელ-ტუნ, ანგელიც-ტუნ=ანგელთა სახლი. ბ. ა.) в грузинском имеем - “М-англис”, где м - префикс (ср. М-ачаб-ет-и, М-ачаб-ел-и, М-ацхвер-ел-и и др.), “англ” - корень, “ис” - суффикс места, “и” - обычное окончание слов.⁴³ ეს მოსაზრება დღევანდელ სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაშიც მიღებულია.⁴⁴ თუ რამდენად მართებული და სწორია, ეს სხვა საქმეა... ხსენებულ ნაშრომში ავტორს მოტანილი აქვს ყურადსაღები ცნობა სტ. ორბელიანის ისტორიიდან (XIII ს.). ამ ისტორიკოსს თავისი თხზულების 66-ე თავში ჩამოთვლილი აქვს ქართულ სამეფოში შემავალ ხალხთა შემადგენლობა. ესენია — ჰერები, ჯავახნი, კახნი, ლიხ-იმერლები და ჭანები. მეორე სომეხი ისტორიკოსი თომა მეწოფელი (XV ს.) კი თავის „ლანგ-თემურის“ ისტორიაში ქართველთა სახლის შესახებ წერს. მასში შედიოდნენ — დვალეები, ოსები, იმერლები, მეგრელები, აფხაზები, სვანები, ქართველები და მესხები. ლეონ მელიქსეთ-ბეგი ჩამოთვლის სომეხ ისტორიკოსებს და მწერლებს, რომლებმაც თავიანთ თხზულებებში აღწერეს ქართველთა მხარე: მოსე კალანკატუელი (VII ს.), თომა არწრუნი (XI ს.), ისაია ჰასან ჯალალიანცი (XVIII ს.), საგრის ჯალალიანცი (XIX ს.), ხაჩატურ აბოვიანი (XIX ს.-ის პირველი ნახევარი). სპეციალური ეტიუდები მიუძღვნეს საქართველოს ეთნოგრაფიას მინას ბუშკიანმა (XIX ს.) — „პონტო ანუ შავი ზღვის ისტორია“, მესროფ თალიაღიანმა — „მოგზაურობა დიდ სომხეთში“ (1847, კალკუტა), და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის წერილი “Кахгубанский храм” (“Хр. Восток”, 1915, т. III, вып. III, стр. 309) ეხება გურჯაანის ახლოს მდებარე ეკლესიას, რომელსაც ეწოდება კახთუბნის ანუ ყოვლადწმინდის ეკლესია. ამ ეკლესიასთან დაკავშირებით ყოფილა ლეგენდა, რომლის მოკლე შინაარსს გადმოგვცემს ლეონ მელიქსეთ-ბეგი: მტერი მოახლოვებია კახთუბნის მონასტერს, მონაზვნები გადაძალულან და მტერს გარიდებია. აქ დარჩენილა ერთი ქალი ძუძუმწოვარა ბავშვით. მტერი შემოსევია მო-

ნასტერს. გამწვარებული ქალი აქეთ-იქით ეხეთქება კედლებს. ამ დროს ეკლესიის ერთი კედელი გახსნილა და ქალი შიგნით დაუმაღლავს. ქალს ძალიან გაჭირვებია, ძუძუებიდან რძე წამოსვლია და კედელი დაუსველებია. თუ ბავშვიან ქალს რძე არ აქვს ან აკლია, მოვა ამ ნოტიო კედელთან, ერთ-ორ ნამს დაღვევს და განიკურნება. ბავშვიანი ურძეო ქალების მფარველი საქართველოში კახთუბნის (ყოვლადწმინდა) ეკლესიის გარდა ყოფილა ორი: უძოს ეკლესია თბილისთან ახლოს და მცხეთის ჯვრის მონასტრის მოპირდაპირე მხარეს — ძუძუს წყარო. ლეონ მელიქსეთბეგის აზრით, უძო მომდინარეობს ქართულ — უ- და რძე=ურძეო — უძო ან შეიძლება ეს მოდის უ- და ძე=უძეო — უძო, უშვილო. უძოს ამ ეტიმოლოგიისაგან განსხვავებულ ეტიმოლოგიურ გააზრებას არ გამოირიცხავს “Хр. Восток”-ის რედაქცია (1915, т. III, вып. III, стр. 309, прим. 1).

ლეონ მელიქსეთბეგს ეკუთვნის საინტერესო და განსაკუთრებით საყურადღებო ნაშრომი ქართულ-სომხური ურთიერთობის თვალსაზრისით — “Грузинский изводъ сказания о пост “араджавор” (“Хр. Вост., 1917, т. II, вып. II, стр. 73). იგი ნაშრომის შესავალ ნაწილში მოკლედ წარმოადგენს ქართული და სომხური ეკლესიის საბოლოო დამორების მიზეზებს, რომელთაგან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პოლიტიკურმა ფაქტორმა. რელიგიური მრწამსის განსხვავებულობის ნიადაგზე ეს ორი ეკლესია ისე დაცილდა ერთმანეთს, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ (1103 წ.) სომხები ერეტიკოსებად გამოაცხადა. აირჩია რა სომხურმა ეკლესიამ თავისი ინდივიდუალური განვითარების გზა, — წერს ლეონ მელიქსეთბეგი, — ბერძნული ეკლესია ვერ შეურიგდა ამ ფაქტს და საჭირო თუ არა საჭირო შემთხვევაში თავს ესხმოდა სომხურ ეკლესიას და უწოდებდა „მწვალებლურს“. ამასთან დაკავშირებით ბერძნულ საეკლესიო მწერლობაში შეიქმნა სომხების მამხილებელი ლიტერატურა, რომელთა შორის ყველაზე დიდი პოპულარობა მოიპოვა თქმულებამ ე.წ. „არაჯავორის“ მარხვის შესახებ. ამას განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიდნენ სომხები. მას სომხები „არაჯავორს“ უწოდებდნენ და ამ მარხვას შეუერთეს წმ. სერგის (სარგისის) დღესასწაული და დაარქვეს „სურბ-სარგისი“.

სიტყვა „არაჯავორ“ არის სომხური არაჯ — წინ, წინასწარს ნიშნავს. სომხები ამ მარხვას წინასწარს უწოდებდნენ, იმიტომ, რომ ის წინ უსწრებს დიდ მარხვას. ლეონ მელიქსეთ-ბეგი საკმაოდ მწვავედ შენიშნავს — მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა არის წმინდა სომხური (წინ, წინა დღე), ბერძნები და მათი მიხედვით ქართველი კომენტატორები მივიდნენ ისეთ აბსურდამდე, თითქოს ეს სიტყვა ძაღლის სახელს ნიშნავსო. თქმულების მიხედვით ამ მარხვას ბერძნულად „არცივურ“ ეწოდება, ხოლო ქართულად „ალაჯი“. ეს მარხვა ვინ და რისთვის დააწესა, გარკვეული არ არის და მის შემოღებას სხვადასხვა პირს მიაწერენ. მაგ. ზენობ გლაკის ცნობით ეს მარხვა თითქოს გრიგოლ განმანათლებელმა დააწესა მისი 15-წლიანი ორმოში პატრიარქობიდან განთავისუფლების აღსანიშნავად. ეს ამბავი ასე მოხდა: მეფე თრდატმა გრიგოლ განმანათლებელი ჩააგდო ორმოში, საიდანაც ღვთის ნებით ამოიყვანეს ღორად ქცეულმა იმავე მეფე თრდატმა და მისმა ეშმაკეულმა მსახურებმა. ისინი განკურნა წმ. გრიგოლმა და ისევ აქცია ადამიანებად. განკურნების აღსანიშნავად და მოსაგონებლად წმ. გრიგოლ განმანათლებელმა „არაჯავორის“ მარხვა განუწესა სომხებსაო.

იოანე პატრიარქის (VII ს.) სიტყვით, ეს მარხვა სპარსთა შავი ჭირისაგან დახსნის გამოა დაწესებული. არის კიდევ ლეგენდა: ვინმე სერგის, სომეხთა ერესის მოძღვარს ჰყავდა ერთი ძაღლი, რომელსაც ერქვა არცივური. როცა სერგი გადაწყვეტდა თავის მოწაფეების მონახულებას, რომელნიც ქვეყნის სხვადასხვა მხარეს ცხოვრობდნენ, ამ ძაღლს წინასწარ გზავნიდა მათთან, და ისინიც მოძღვარს შეეგებებოდნენ ხოლმე. ერთხელაც გაგზავნა ძაღლი და შემდეგ თვითონვე წავიდა. მაგრამ არავინ შეეგება. გაირკვა, ძაღლი მგლებს შეუჭამიათ. მოძღვარი სერგი ძალიან დამწუხრდა საყვარელი ძაღლის სიკვდილის გამო და ამიტომ მისი ხსოვნის აღსანიშნავად დააწესა ეს მარხვაო.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ზემოხსენებულ ნაშრომში გამოაქვეყნა „თქმულება პეტრე მკაწვრელისა და ალაჯისთვის“ — ქართული ტექსტი და მისი რუსული თარგმანი. მიუხედავად თავის ზღაპრულობისა, მის შინაარსში გვხვდება ზოგიერთი რეალური მოტივი, — შენიშნავს ავტორი და

მიუთითებს, — ეს უპირველესად არის პეტრე მკაწვრელის განდევნა კონსტანტინეპოლიდან და მისი წასვლა სომხეთში, სადაც დაიწყო ერესის ე.წ. მონოფიზიტური სარწმუნოების ქადაგება, რადგან უარყო დიოფიზიტობა. პეტრე მკაწვრელის ბიოგრაფია და საერთოდ მისი საქმიანობა დაწვრილებით აქვს განხილული ზ. ალექსიძეს — უხტანესი „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ (1975, გვ. 403-409) და სხვ. ლეონ მელიქსეთ-ბეგს დადგენილი აქვს ამ თხზულებაში მოხსენებული ზოგიერთი ტოპონიმი: ქურუხი, გაგი. სომეხ ხალხში „სურბ-სარგისის“ დღესასწაული დიდი სიყვარულით და პოპულარობით სარგებლობს. ამიტომ რუსეთის ცარიზმის მესვეურებმა სცადეს მისი გამოყენება ქართველ და სომეხ ხალხთა შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად. ცნობილია, გასული საუკუნის 900-იან წლებში სომეხებსა და ჰერბაიჯანელებს შორის მოხდა მძაფრი სისხლიანი შეტაკება... არც ქართველ-სომეხთა ურთიერთობა ეხატებოდა რუსეთს გულზე. ამჯერად გვსურს შევჩერდეთ ფაქტზე, რომელიც „სურბ-სარგისის“ დღესასწაულს უკავშირდება. თბილისის რუსულენოვანი ჟურნალ „ოგონიოკის“ 1916 წლის №20-ში გამოქვეყნდა რუსი ჟურნალისტის ალ. რემიზოვის წერილი, რომელიც ეხება „სურბ-სარგისის“ ლეგენდას. ოღონდ ლეგენდის სახელწოდება ისე გადააკეთეს, რომ სომეხების რელიგიური გრძნობები შეურაცხყვეს: „სურბ-სარგისის“ ნაცვლად დაუწერიათ „შუნ-სარგისი“ („შუნ“ სომხურად ძაღლს ნიშნავს), ე.ი. „ძაღლი სარგისი“. ლეგენდა ამავე სახით გადაუბეჭდია გზ. „კაკეაზსკოე სლოვოს“ (1916, №20) და თანაც ასეთი პროვოკაციული კომენტარი დაურთავს: ეს ლეგენდა თითქოს მცხეთის ჯვრის ქართველ მღვდელს ილარიონს უამბნია რუსი ჩამწერისათვის. ამ პუბლიკაციით აღშფოთებულა ახალგაზრდა დეკანოზი კორნელი კეკელიძე და წერილი გამოუქვეყნებია — „პროვოკაცია თუ სიბეცე“ (გზ. „საქართველო“, 1916, №124). თითქმის საუკუნის წინ დაწერილი წერილი დღესაც აქტუალურია და ამხელს არა მარტო მეფის რუსეთის, არამედ დღევანდელი ე.წ. დემოკრატიული რუსეთის პოლიტიკას კავკასიაში. გაზეთ „საქართველო“ ამავე ნომერში არის მცხეთის ჯვრის ტაძრის მღვდელ-მონაზვნის ილარიონის განცხადება იმის შესახებ, რომ მან ასეთი ლეგენდა არ იცის და, ბუნებრივია, არც არავისთვის

უამბნია. კ. კეკელიძის წერილი არ არის შესული მისი ეტიუდების არცერთ ტომში. ჩვენ იგი გამოვაქვეყნეთ გაზ. „ახალ ერამი“ (2001, №8). კ. კეკელიძემ მამინ მკითხველს გააცნო „არაჯავორის“, „სურბ-სარგისის“ შესახებ არსებული თქმულებები და ამ მარხვასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები. რაც მთავარია, ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერმა სწორი პოლიტიკური აღლო გამოიჩინა და ქართველი და სომეხი ხალხის ისტორიული მეგობრობა დაიცვა ზოგიერთი რუსი მწერლისა და ჟურნალისტის მიერ შორს გამიზნული პროვოკაციისაგან.

სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აზრი, თითქოს წმ. ნინო, მთავარანგელოზი, ათცამეტი ასურელი მამა სომხები იყვნენო („პოვიტ“, 1907, №№44-45), ხოლო წმ. გიორგის კულტი საქართველოში თითქოს სომხეთიდან შემოვიდა. ამ უკანასკნელ შეხედულებას იზიარებს ლეონ მელიქსეთ-ბეგიც.⁴⁵ იგი ეყრდნობა ვ. ბარდაველიძის ნაშრომს „Опыт социологического изучения хевсурских верований“ (Тифлис, 1933, стр. 43). ვ. ბარდაველიძეს 1929 წლის 13 აგვისტოს სოფ. არდოტში ჩაუწერია ლეგენდა „წმ. გიორგი ფრინველ-მზეზე“. მოგვაქვს მისი ჩანაწერი: „სომხოზ წმინდა გიორგი ჩიტივით გადმოფრენილ სომხეთიდან. უკან ხუც მადუენავ. როსაც ხუც ხელსახოც დაუფენავ ხელზედა, ხატზედ ზედ ტრიალებდ. მაგ ხუც კოჭლ ყოფილ. ხატ მას ზოგჯერ დაუკარგავ. როსაც ხატ არ გაჰყოლივა, ხუც გამგზავრებულ მირგვალ ხევსურეთშია. მეგრ ლეკების ჯარ მასულად, გაუტაცავ სომხოზ გიორგი. ბევრ გზა ვერ გაულავ, რო დაღამებულ; დღე ყოფილ და ღამე გამხდარ. ლეკებ უთქომ — ეშმაკაი ას და დაუტოვებ ჭალაზე ხატ, ახლაც იქ ას ხატ“.⁴⁶

საქართველოში წმ. გიორგის აუარებელი ხატებია, მარტო ხევსურეთში სხვადასხვა სოფლის წმ. გიორგის 22 ხატია.⁴⁷

მადლობა მინდა მოვახსენო პროფ. ზ. კიკნაძეს, რომელმაც წერილობით მოგვაწოდა თავისი აზრი არდოტის სომხოზის წმ. გიორგის ლეგენდის შესახებ, და რომელსაც ვებეჭდავთ ქვემოთ:

„არდოტში (ხევსურეთი, მიღმახევი), სოფლის ქვემოთ არის მცირე ბორცვი, რომელსაც ადგილობრივნი „სომხოზ გორს“ უწოდებენ. რა წარმოშო-

ბისაა ეს მიკროტოპონიმი, უცნობია. რამდენადაც მიღმახევის ადგილის სახელები, როგორც მაკროტოპონიმები (არლოტი, არჭილო, ანდაქი, ხა-ხაბო და სხვ.), ისე მიკროტოპონიმები (დაქუეხი, ბისო, დატიე და სხვ.), ძირითადად ვიანახური წარმოშობისაა, „სომხოზ“ ამ წრეს უნდა განეკუთვნებოდეს. ყოველ შემთხვევაში, ქართული ენის საფუძველზე იგი არ განიმარტება.

ადგილობრივი თქმულების თანახმად, სომხოზ გორი თითქოს იმიტომ დაერქვა ამ ბორცვს, რომ მასზე ინება დაარსება სომხეთიდან გამოქცეულმა წმ. გიორგის ხატმა (ჯვარამა). აქ საქმე გვაქვს ხალხურ ეტიმოლოგიასთან, რომელიც, როგორც წესი, სიტყვათა გარეგნულ და ზერეღე მსგავსებას ეფუძნება და, ამდენად, მცდარია და სრულიადაც არ შეესაბამება რეალურ ვითარებას. ამგვარი ეტიმოლოგიებით სავსეა საისტორიო წერილობითი წყაროები, მათ შორის, უხვად არის დადასტურებული ეპიკური ბატონიშვილის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (მაგ. „რაჭა“ — „რა-ჭა“, მამავერი — „მა, შავერია ქცია“). ხშირია ტენდენცია სახელწოდებათა ახსნისა უცხო ენებიდან, მით უმეტეს, თუ საერთო ჟღერადობაც უწყობს ხელს. მაგ. ოზურგეთი (თითქოს თურქულიდან: „ოზურ გეპთი“), თელავი (თითქოს სომხურიდან: „თე ლავეს“) და სხვ. ასეთი ეტიმოლოგია, ცხადია, მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია. ამავე რიგს განეკუთვნება „სომხოზ“ ხალხური ახსნაც.

ამ შემთხვევაში ამოსავალი არის არა „სომეხ“ ეთნონიმი (წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა: „სომხის გიორგი“), არამედ ბორცვის სახელწოდება „სომხო“, საიდანაც აღებული იქნა წმ. გიორგის ზედწოდება — „სომხოს-გიორგი“. წმინდანის, ხატის თუ ჯვარის ამგვარი სახელდება საერთო წესია მთელი საქართველოს მასშტაბით. ამავე მიღმახევი, სოფელ ხაბაბოში არსებობს „წყაროსგორული წმ. გიორგი“, რომელმაც სახელი მიიღო ადგილობრივი „წყაროსგორიდან“; ქმოდისგორულმა — ქმოდისგორიდან (ფშავი); წყაროსთაულმა — წყაროსთაიდან (ფშავი); ლომისის წმ. გიორგიმ — ლომისის გორიდან (მთიულეთი); არსებობენ წმ. გიორგები ლაშარის (ფშავი), მრავალძლის (რაჭა), არაქელის (ხორხის ხეობა), ზეგარდის (გულამაყარი), არშის (ხევი), სპეროზის (თუშეთი), აწყურის (კახეთი), ილო-

რის (ოლიმპი), ქურმუხის (საინგილო) და სხვა მრავალი საქართველოს ყველა კუთხეში.

სხვა თქმულებით („ცაბაოთის მთავარანგელოზის თავგადასავალი“), ფშავეზის ერთ-ერთი თემის (საყმოს) ჯვარი, მთავარანგელოზის სახელწოდებით, გადასულა ფშავიდან ერევანში, იქიდან ისევ უკან — ფშავეში, ასე, რომ მას ყმები ფშავეშიც ჰყავს და ერევანშიც. სხვათა შორის, ცაბაოთის თემს ეკუთვნის ვაჟა ფშაველა (ჩარგალი შედიოდა ცაბაოთის მთავარანგელოზის საყმოში).“

კ. კეკელიძის აზრით, წმ. გიორგის კულტი საბერძნეთიდან შემოსულა საქართველოში VIII ს-ში — „როდესაც ქართულად ითარგმნა „იერუსალიმის განჩინება“, ხოლო VII ს-ში დაიწერა (როგორც ანდრია კრიტიცი ამბობს) ცხოვრება მისი (წმ. გიორგის. ბ. ა.). წმ. გიორგის კულტი ჩანს (ლუდის ეკლესიის აღშენება მის სახელზე) კონსტანტინე დიდის დროს“ („ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, 1986, ტ. XIV, გვ. 193).

ივ. ჯავახიშვილმა საქართველოში წმინდანთა შორის წმ. გიორგი პირველ ადგილზე დააყენა. შეიძლება ითქვას, ქართული სოფლის ყველა წმ. გიორგის ხატს წარმომავლობის საკუთარი ლეგენდა აქვს.

ქართველი ხალხის აზრით, წმ. გიორგი არის არა მარტო ადამიანის მფარველი, არამედ იგი სიმართლის დამცველიც არის. ამის ნათელსაყოფად ლეონ მელიქსეთ-ბეგს მოაქვს ქართული ხალხური გამოთქმის ნიმუშები — „კახეთში იტყვიან: ვინც არ დალიოს — თელეთის წმ. გიორგიმ დაკუტოს, ვინც სტყუის — მას თელეთის წმ. გიორგის მადლი გაუწყურეს“. (“Страна св. Георгия”. - Изв. Кавк. Отд. Императорского русского географического общества, 1916, №2, стр. 222) და სხვ.

წმ. გიორგის კულტის ბერძნული სამყაროდან შემოსულა საკმაოდ საფუძვლიანად დაამტკიცა მკვლევარმა ექ. კოჭლამაზაშვილმა („საქართველოს ტოპონიმიაში შემორჩენილი ერთი ბერძნული წარმომავლობის სახელის განმარტებისათვის (არმათიონი). — ჟურ. „ჯვარი ვაზისა“, 1989, №3, გვ. 79).

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ეკუთვნის წერილი „ვახუშტისეული „იმიტუტრუქისათვის“ („საისტორიო მოამბე“, 1924, წიგ. II, გვ. 225). მას მოაქვს ვახუშტის ასეთი ცნობა — „დასავლეთ იმიტუტრუქისა კლდესა შინა არს მონასტერი მთაწმინდისა და აწ ცარიელი“. როგორც ვხედავთ, ვახუშტის მიხედვით, მთაწმინდას ანუ მამა-დავითს რქმევია „იმიტუტრუქი“. ლეონ მელიქსეთ-ბეგი იმოწმებს პ. იოსელიანს, რომელიც წერს — იმიტუტრუქი სომხურად არის მცენარის სახელიო. სომეხი ვაჭრები ჩამოდიოდნენ თბილისში სავაჭროდ, ისინი სახედრებს უშვებდნენ საბალახოდ იმ ადგილებში, სადაც ის მცენარე ხარობდა. ამასთან დაკავშირებით, ლეონ მელიქსეთ-ბეგი შენიშნავს, — შესაძლოა ამ მცენარის გამო ამ ადგილს დაერქვა „იმიტუტრუქი“ (ახლანდელი მთაწმინდა). თუმცა არსებობს მეცნიერთა განსხვავებული აზრი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი სომხური გმირული ეპოსის „სასუნელი დავითის“ 1000 წლის იუბილეს აქტიურად შეხვდა. გარდა იმისა, რომ წერილები გამოაქვეყნა სომხურ, ქართულ და რუსულ პერიოდიკაში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ მისი რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოსცა კრებული „სასუნელი დავითი“ (1939 წ.). კრებულში შესულია მისი ორი სტატია. პირველი — „სასუნელი დავითი (ხალხური ეპოპეა)“. მასში წარმოდგენილია ამ ეპოსის შექმნის ეპოქის მოკლე ისტორიული მიმოხილვა. ავტორი მართებულად წერს: არაბთა ბატონობამ გამოიწვია ამიერკავკასიაში სახელმწიფოთა რღვევა, რასაც მოჰყვა ხალიფატისგან დამოუკიდებელი და ნახევრად დამოუკიდებელი სამთავრო-სამეფოს ჩამოყალიბება სომხეთსა, აზერბაიჯანსა და საქართველოში. IX საუკუნეში, კერძოდ 801 წელს ჩამოყალიბდა შირაკის ანუ ბაგრატუნიანთა სამთავრო, 874 წელს ვასპურაკანის ანუ არწრუნიანთა სამთავრო. ამ ხანებში ცალკე გავიდა სივნიეთიც. თომა არწრუნს (X ს.) აქვს აღწერილი 854 წლის ახლო ხანებში ბრძოლა ტარონ-ხუთას მხარეში. ტარონ-ხუთას ერთ-ერთ კუთხეს ეწოდებოდა სასუნი, — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და მოიხმობს თომა არწრუნის სიტყვებს, — მიუვალ კარჩაკეტილ მთიანეთს წარმოადგენდა სასუნი. აქ ცხოვრობდა ველური ხალხი „მხეცის ქცევის“, „სისხლისმსმელნი“ და „ენითა და ქცევით გაუგებარნი და გაურკვეველნი“.

მაგრამ ეს ხალხი შეუპოვრად ებრძოდა ჯერ არაბთა, შემდეგ თურქ სელ-ჯუკთა ბატონობას. ამ ბრძოლაში არაერთი სახალხო გმირი იშვა. სასუნელი დავითი და სასუნელი გმირებიც წარმოიშვნენ და დამკვიდრდნენ სომხურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. ამ გმირების შექმნისა და ჩამოყალიბების ხანა ემთხვევა სომხეთის ფეოდალურ სამთავრო-სამეფოებად დაყოფის პერიოდს (IX-XIII ს.ს.). ლეონ მელიქსეთ-ბეგს შემდეგ მოაქვს სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთ დროს გავრცელებული აზრი — თითქოს ეს ეპიკური თქმულება შეიქმნა სომხურ მაღალ ფეოდალურ-არისტოკრატიულ საზოგადოების ფენებში, შემდეგ განიცადა დეგრადაცია და გლეხურ სამყაროში გადავიდა. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოს მოწმობსო, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი, — ის ფაქტი, რომ ამ თქმულებამ დღემდე მოაღწია არა ხელნაწერების სახით, არამედ ზეპირსიტყვიერების გზით. ეს აზრია ამჟამად სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული. „სასუნელი დავითი“ პირველად ჩაწერილი და გამოცემული იქნა გარეგინ სრვანტჰიანის მიერ (1874 წ.), შემდეგ გამოსცა აკად. მანუკ აბელიანმა (1889 წ.).

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ამ კრებულში სომხურიდან ქართულად გადმოიღო „სასუნელი დავითის“ სრული (კომპინირებული) ტექსტი, რომელიც საიუბილეო კომიტეტმა დაადგინა. ამ თქმულებაში ასახულია სომეხი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა სულ ცოტა ოთხი თაობის მანძილზე წარმოებდა. თქმულება ძირითადად ოთხი კარისგან შედგება. მკვლევარს მოაქვს ყოველი კარის მოკლე შინაარსი. მართალია, თქმულებაში ასახულია სასუნის თავისუფლებისათვის ბრძოლა, მაგრამ გმირთა მოქმედების ასპარეზი სცილდება სასუნის საზღვრებს და სასუნელი გმირები საგმირო საქმეებს სწადიან საქართველოში, აზერბაიჯანში, დაღესტანსა და ეგვიპტეში. ლეონ მელიქსეთ-ბეგი წერს — ქრონოლოგიურად ეპოქა ბევრად სცილდება ოთხი თაობის ჩარჩოებს და გულისხმობს სომხეთის თავგადასავალს არაბთა ბატონობიდან მოყოლებული (VII ს.) მონღოლთა ბატონობამდე და კილიკიის სამეფოს დაცემამდე (1375 წ.). მისი აზრით, თქმულების ყველა არსებულ ვარიანტთა შორის ძირითადი უნდა იყოს სასუნის ვარიანტი, რადგან ეპო-

პეა სასუნს ეხება, იქ წარმოიშვა და შემდეგ გავრცელდა სხვა მხარეში. რაც შეეხება ეპოპეას ერთ-ერთი გმირის სახელს „მპერს“, ივ. ჯავახიშვილის მიერ ასეთი აზრია გამოთქმული, რომ იგი კანონიერი შესატყვისია ქართული „ამირანისა“, — თავსართია ა-, ფლექსიური ფორმანტი ან ფუძეა — „მირ“ ან „მიპრ“ (მითრა).⁴⁸ ამავე „მპერის“ შესატყვისია აფხაზური „ამგრ“, რომელიც მზეს ნიშნავს.⁴⁹ გარდა ამისა, „მაპარე“ ადგილის სახელი ყოფილა მარტვილის რაიონში (პროფ. ვ. თოფურიას გადმოცემით).⁵⁰ ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ამ სტატიაში ერთი საინტერესო პარალელი გაავლო სომხური ეპოპეის მთავარი გმირის დავითისა და ჯუანშერის მიხედვით აღწერილ მეფე ვახტანგ გორგასალს შორის — ვახტანგ მეფის გამარჯვება გოლიათებზე, ლაშქრობა აბაშეთზე, ისე, როგორც დავით სასუნელმა დაამარცხა მსრა-მელიქი, ე.ე. ეგვიპტელი მამულუქი და სხვა.

აღნიშნულ კრებულში დაბეჭდილია ლეონ მელიქსეთ-ბეგის მეორე სტატია — „IX-X საუკუნეთა სომხური ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა“. ამ საუკუნეების სომხური ლიტერატურა შეიძლება განხილული იქნას ორი ძირითადი დარგის მიხედვით: სასულიერო მწერლობა და ისტორიოგრაფია. იგი მიმოიხილავს ორივე დარგის მწერლობას ბიბლიოგრაფიული თვალსაზრისით და განიხილავს „ქასუნელი დავითის“ ეპოქის ისტორიულ-ლიტერატურულ და სოციალურ პირობებს.

კრებულში შესულია ი. გრიშაშვილის ლექსი „მუხამბაზი სომხეთს“. ლექსი მიძღვნილია სომეხი ხალხის ზეპირსიტყვიერების ამ დიდებულ საუნჯეს სასუნელი დავითისადმი და მთავრდება ხალხთა ძმობის მოწოდებით.

*ჰანგს ტალკეესი გაკეარი, აელვარდა ქიაფი,
გმობა ზარაფხანაა, მტრობა — ფლასი იაფი,
და მეც ემღერი თამამად წინ ქამანჩით ვისწრაფი,
მე ტფილისის ფოლკლორის ანახსლექტი მიზრაფი.*

კრებულში წარმოდგენილია, აგრეთვე, გ. ჩუბინაშვილის “Армянское искусство с конца IX и до начала XI века”, ბ. მარის “Высказывания по вопросу об эпосе “Давид и Мхер”, იუსტ. აბულაძის „ქასუნელი დავითი“ და ქართული ეპოსი“, ო. თუმანიანის პოემის „ქასუნელი დავი-

თის“ ქართული თარგმანი (მთარგ. სურენ აეჩიანი), ა. ისაკიანის პოემა „სასმა მჰერის“ ქართული თარგმანი (მთარგ. მიქელ პატარიძე) და სხვ.

საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის აღმანახში — „ოცი წელი“ (1941 წ.) ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოაქვეყნა სტატია — „ბა-ლადა „ახთამარ“, „თაფარავანელი ჭაბუკი და მოკელი თამარი“. შეყვარებული ვაჟის მიერ ტბის გადალახვა სატროფოს სანახავად მოარული მოტი-ვია და მასზე არაერთი მხატვრული ნაწარმოებია აგებული მსოფლიო პოეზიაში.

ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში ამ ტბის — ფარავნის სახელი ხშირად გვხვდება. მაგ. სუმბატ დავითის-ძის ქრონიკაში ვკითხულობთ: „კიდესა დიდსა ტბისა ფარავნისასა“. ამ ტბის შესახებ ვახუშტი წერს — „მთა ბარძიმისა და ფარავნის გამჭრელი ზაზი ბოლოლის მთაზე“ და სხვ. პროფ. ს. ჯიქია მართებულად აღნიშნავს: „ტბის და სოფლის სახელად, ძველი ქართული ფორმა ფარავანი უნდა ყოფილიყო, რასაც წყაროებიც მოწმობსო.“ მართლაც, ტბისა და მის მახლობლად მდებარე სოფლის სა-ხელი ერთი და იგივეა. „ფარავანი“ შემონახულია ამ ტბის გავრცელებულ სახელწოდებაში — „თაფარავანი“. ნ. მარის ეტიმოლოგიით თაფარავანი წარმოდგენილი უნდა იყოს ეთნიკური სახელის აღმნიშვნელი სიტყვისაგან — „თოფარი“, „ვან“ კი ნიშნავს ტბას. ლეონ მელიქსეთ-ბეგი არ ეთანხმება ნ. მარს და ამ სახელს ასე განმარტავს: „ფარავან“ არის რთული სახელი და აქვს ორი ძირი — ფარ და ვან. ფარავანი ხმარებულია ტბის აუზის მნიშვნელობით („ჯავახეთის ფოლკლორი ოვ. თუმანიანის თხზულებებში“, გვ. „ხორპრდანი ვრასტან“, 1938, №35). უფრო მისაღები ჩანს აკ. შანიძის განმარტება — თაფარავანი უნდა მოდიოდეს „ტაბაფარავან“ ან „ტბა-ფარავან“ სახელებიდან, უფრო კი უკანასკნელისაგან. ტბა-ფარავანში „ბ“ თანხმოვანი ამოვარდა, ტ- გაფშვინვიერდა, რის შედეგადაც მივიღეთ — „თაფარავანი“. („К ЭТИМОЛОГИИ НАЗВАНИЯ “Топади”, ენიმკის მოამბე, 1937, ტ. I, გვ. 18).

ქართული ლეგენდის ვარიანტებში გეოგრაფიული პუნქტების სხვა-დასხვა სახელებია: ასფარა, ასპინძა, ასპანა, გასპარა, და სხვა. ლეონ მელი-ქსეთ-ბეგს დასახელებული აქვს ასფარა — იგი ძველი სახელწოდებაა იმ

სოფლისა, რომელსაც აწ ბობლიკან, პუბლიკან ჰქვია ფარაენის ტბის ნაპირზეო. იგი „თავფარავანელი“ ჭაბუკის“ თქმულებაში ხსენებულ ასფარას უწოდებს არა სოფელს, არამედ ერთ-ერთ კუნძულს, რომელიც ტბაშია ჩაძირული. კუნძულის სახელწოდება უნდა იყოს ქართული — ასფარა, რომელიც ბალადის ვერსიებში სხვადასხვანაირად იკითხება: ასპანა, გასპარა და სხვ. („მეგალითური კულტურა საქართველოში“, 1938, გვ. 10).

ოვ. თუმანიანის ბალადა „ახთამარი“ განეკუთვნება „თავფარავანელი ჭაბუკის“ ლეგენდათა რიგს და მათ შორის საერთო მოტივია შეყვარებული ჭაბუკის მიერ ტბის გაცურვა სატრფოს სანახავად და ტბაში დახრჩობა. ეს კი ლეონ მელიქსეთ-ბეგმა პირველმა აღნიშნა თავის ნაშრომში და ერთგვარი პარალელი გაავლო „თავფარავანელ ჭაბუკსა“ და ოვ. თუმანიანის ბალადა „ახთამარის“ შორის. რასაკვირველია, ბალადების გეოგრაფიული არეალი სხვადასხვაა — ერთის არის ტბა თავფარავანი, მეორის — ვანის ტბა ანუ როგორც ძველი სომეხი ისტორიკოსები უწოდებენ, ბზნუნის ზღვა. ორივე გმირის ბედი ტრაგიკულია — სიკვდილით მთავრდება. მხოლოდ თუმანიანის ბალადაში შეყვარებული გმირის სატრფოს სახელია თამარ, ქართულ ხალხურ ბალადაში კი ქალის სახელი უცნობია.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა თავის ნაშრომში მოგვცა მოკელი თამარის ისტორიის ვარიანტები. ამ ვარიანტების შეჯერების შემდეგ მკვლევარმა დაასკვნა: მოკელი თამარის წამებით სიკვდილს ადგილი ჰქონია 1398 წლის 26 აპრილს. ამ თამარის სახელი გამოყენებული იქნა როგორც მოქმედი პირი ბალადა „ახთამარში“ და სხვა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს მამინდელი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა სამეცნიერო ცენტრთან ჰქონდა ურთიერთობა და მათგან ღებულობდა მეცნიერულ პერიოდულ და ცალკეულ გამოცემებს. ბუნებრივია, განსაკუთრებული ინტერესით თვალყურს ადევნებდა სომხეთის სამეცნიერო ცხოვრებასა და ინტენსიურად ეხმიანებოდა ყოველ მნიშვნელოვან და ერთი შეხედვით არცთუ საყურადღებო ნაშრომებს. სანიმუშოდ შეიძლება არაერთი გამოხმაურების მოტანა, მაგ. 1957 წელს ერევანში გამოვიდა ა. მნაცაკანიანის მიერ შედგენილი კრებული — „შუა საუკუნეების სომხური ხალხური სიმღერები“. ამ კრებულის გამოსვლას მიუძღვნა ვრცელი რეცე-

ნზია — „მეცნიერულ-ლიტერატურული შენიშვნები“ (გზ. „სოვეტაკან ვრასტან“, 1957, №85). ამ კრებულის ერთ-ერთ მეცნიერულ ღირსებად მიაჩნია ის, რომ მასში შეტანილია 138 ხელნაწერი და ასზე მეტი ნაბეჭდი წყარო. კრებულს წინ უძღვის ვრცელი შესავალი, რომელშიც განხილულია სომხური ფოლკლორის ისტორია IV-V საუკუნეებიდან დაწყებული XX საუკუნეებამდე. ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავს — ნაშრომი განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ მისი გამოკვლევა ემყარება ყოველი კონკრეტული სიმღერის მეცნიერულ ანალიზს და გამოყენებული აქვს შესაბამისი წყარო. ა. მნაცაკანიანი პირველ რიგში ცდილობს დაადგინოს ამა თუ იმ ხალხური სიმღერის შექმნის დრო და ა.შ.

განსაკუთრებით საინტერესოდ ლეონ მელიქსეთ-ბეგს მიაჩნია ერთი სომხური „სახუმარო სიმღერა“. სიმღერა მოგვაგონებს ქართულ ხალხურ „ვინ შეჭამა ვენახს“. ამ მსგავსების შესახებ კრებულის ავტორი არაფერს ამბობს, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და შენიშნავს, — „ვინ შეჭამა ვენახი“ იაკობ გოგებაშვილს შეტანილი აქვს დედა-ენაში 1865 წლიდანო. აღნიშნული სომხური ხალხური სიმღერა პირველად დაიბეჭდა 1899 წელს ჟურ. „არარატში“ (სომხ. ენაზე).

ლეონ მელიქსეთ-ბეგს არაერთი ცალკე გამოცემა აქვს, რომელნიც შესაბამის ადგილას განვიხილეთ კიდევ, მაგრამ თავისი მეცნიერული მნიშვნელობის გამო უნდა გამოვყოთ ოთხი მონოგრაფია:

1) „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა, სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით (ცდა ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევისა), 1928 წ.;

2) „მეგალითური კულტურა საქართველოში“, 1938 წ.;

3) „ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია“, 1941 წ.;

4) „საიათნოვას ვინაობა“ (კრიტიკულ-ბიოგრაფიული ეტიუდი), 1930 წ.

**„ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოქალაქეები“ და მათი ვინაობა,
სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით
(ცდა ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევისა)**

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ეს მონოგრაფია 1928 წელს ქართულ ენაზე გამოაქვეყნა თბილისში. იგი წარმოადგენს ხანგრძლივი კვლევა-ძიების სერიოზულ ნაყოფს. ამავე წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მასზე. ერთ-ერთი ოპონენტი გახლდათ კ. კეკელიძე, რომლის საოპონენტო რეცენზია გამოვაქვეყნეთ 1933 წელს („მაცნე“, №3-4, გვ. 195). ლეონ მელიქსეთ-ბეგის არქივში ინახება შესავალი სიტყვა, რომელიც წარმოუთქვამს დაცვის დროს. ამ მონოგრაფიის მეცნიერული შეფასება ჩვენს მიზანს არ შეადგენს, რადგან მის შესახებ მაღალი ავტორიტეტული აზრია გამოთქმული ივ. ჯავახიშვილის და კ. კეკელიძის მიერ. ამ წიგნის მიმოხილვისას ყურადღებას გავამახვილებთ ზოგიერთ ძირითად საკითხზე.

მონოგრაფია სამი ნაწილისა და შესაბამისი თავებისაგან შედგება. სახელწოდება მონოგრაფიისა მოითხოვს ერთგვარ კომენტარს. „ჩრდილო მხარეში“ იგულისხმება ქვემო ქართლი, რომელსაც პირველ საუკუნეში ჩ. წ. აღ-მდე და შემდეგ — გოგარენე ეწოდებოდა. სომხები გუგარქს ეძახდნენ X-XII საუკუნეებში და შემდგომში სომხურ საისტორიო მწერლობაში — უხტანესი, ასოლიკი, ფსევდო შაჰუ ბაგრატუნის ისტორიებში ხან „ტამირ და ერაცდამტად“, ხან „ერაც დამტად“ (ქართველთა ეული) არის ცნობილი. ვარდანის თხზულების მიხედვით, ახპატ-სანაინის რაიონს ეწოდებოდა — „სევორდცთა“, „სიავორდცთა“ მხარე. ამ მხარეს ქართველები „სომხით“-ს უწოდებდნენ. ეს სახელწოდება „სომხითი“ X ს-დან ჩნდება. ამ ტერმინთან დაკავშირებით („სომხითი“) ლეონ მელიქსეთ-ბეგს მოაქვს ივ. ჯავახიშვილის შემდეგი მოსაზრება: „საისტორიო გეოგრაფიას სომეხთა დროს ამ კუთხეში პოლიტიკური მბრძანებლობის სახსოვრად ტერმინი „სომხითი“ შემორჩა. ეს სახელი ძველად სრულიად უცნობი იყო და მხოლოდ X ს-დან მოყოლებული გვხვდება. „სომხითი“ ეწოდებოდა მხოლოდ ბოლნის-დმანისის ხეობებს და ლორეს ველსაც, და საყურადღებო ისაა, რომ ვითარცა საგეოგრაფიო ტერმინი მარტო ქართულად და ქართულ მწერლობაში იხმარებოდა. სომხები და სომხური საისტორიო

მწერლობა ამ ქვეყანას „სომხითს“ არ ეძახდნენ. პირიქით, ისინი ლორე-ტაშირს ველს „ქართველთა ველს“ უწოდებდნენ... ამ ტერმინში დამამტკიცებელი საბუთია შემონახული, რომ თავიანთ პოლიტიკურ ბატონობისდა მიხედვით თვით ქვეყანას სომხები თავისთავად ქართველთა კუთვნილებად სთვლიდნენ. („საქართველოს საზღვრები...“, 1996, გვ. 18).

საინტერესოა, აგრეთვე, თვითონ ლეონ მელიქსეთ-ბეგის აზრი „ერაც დაშტ“-ის შესახებ. იგი ფიქრობს — „ერაც დაშტ“ შესაძლოა იყოს პირდაპირი, სიტყვასიტყვითი თარგმანი — ქართ(თ)-ველი — ქართველთა ველი — ვერთა ველი (სქემო ქართლის ზოგადი მნიშვნელობის მქონე გეოგრაფიული ნომენკლატურისათვის ძველად“. — „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული“, 1923-24, I-II).

საქართველოს სახელმწიფო ძლიერების ხანაში XI-XIII საუკუნეებში ამ მხარეში აღმოცენდა და განვითარდა ახპატ-სანაინის სომხური სამეცნიერო-ლიტერატურული სკოლა. სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ სკოლის მოღვაწეობას შეეხო კარაპეტ ტერ-მკრტიჩიანი, მალაქია ორომანიანი, ნ. აღონცი და სხვ. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ახპატ-სანაინის სკოლის ისტორია და მის წარმომადგენელთა მოღვაწეობა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა პირველმა აქცია სპეციალური კვლევის საგნად და შექმნა სპეციალური მონოგრაფია.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ სომხური სახელის — ვარდაპეტის, ქართულად — მოძღვრის მისადაგებამ გამოიწვია კ. კეკელიძის საკმაოდ მწვავე უარყოფითი რეაქცია: „ჩემ მიერ გამოცემულს „იერუსალიმის განჩინებაში“ „მოძღვარი“ რომ სწორედ „СВЯТИТЕЛЬ“-ის, ე.ი. ეპისკოპოსის ექვივალენტია და არა სომხური „ვარდაპეტისა“, როგორც ლეონ მელიქსეთ-ბეგი გვარწმუნებს ნ. მარის ავტორიტეტით, ეს თვით ტექსტითაა დამოწმებული“ („მაცნე“, 1993, №3-4, გვ. 204). ეს შენიშვნა გაიზიარა თუ არა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა, არ ვიცით, რადგან თბილისის არქივებში ვერსად ვნახეთ ლეონ მელიქსეთ-ბეგის ამ დისერტაციის მასალები, რომლებშიც იქნებოდა მისი პასუხი. თუ არ ვცდები, არც შემდგომ ნაშრომებში დაუფიქსირებია განსხვავებული აზრი ამ საკითხის მიმართ. ალბათ თავისი პირვანდელი აზრის დამცველი დარჩა.

შემდეგ მიმოიხილავს ე.წ. „ჩრდილო მხარეთა“ (სომხეთისათვის ეს ქართული მხარე ჩრდილოეთით იყო, ამიტომ ეწოდა ეს სახელი) ისტორიას XI-XIII საუკუნეებში და აღნიშნავს: ქართულ და სომხურ საისტორიო მწერლობაში მიღებულია, რომ მხარგრძელები (ზაქარია და ივანე) XII საუკუნის დამლევსა და XIII საუკუნის დასაწყისში, ე.ი. დაახლოებით თამარისა და მისი მემკვიდრეების მეფობის ხანაში პატრონები იყვნენ — „მთელი სომხეთისა საერთოდ და ე.წ. „ჩრდილო მხარეთა“, კერძოდ „ყოველ შემთხვევაში, თვით მხარგრძელთ თავიანთი თავი სომეხთა მეფეთა მემკვიდრეებად მიაჩნდათ, თუმცა დანამდვილებით ისინი ქართველ მეფეთა მოადგილენი იყვნენ სომხეთში“ (გვ. 39), — მართებულად წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი. როგორც ჩანს, მკვლევარი იზიარებდა ქართველ ისტორიკოსთა აზრს: მხარგრძელები სომხეთში იყვნენ ქართველი მეფეთა მიერ დანიშნული მაღალი მოხელენი, რისთვისაც შემოღებული იყო სპეციალური ტერმინი „სახელო“, „მეფის სახელო“ და ა.შ. ეს აზრი არ არის გაზიარებული სომხურ ისტორიოგრაფიაში, რომლის მიხედვით თითქოს მხარგრძელები სომხეთში სუვერენული უფლებებით სარგებლობდნენ და ისე განაგებდნენ ამ ქვეყანას. ეს საკითხი დღემდე გადაუჭრელია და დავის საგანია ქართულ და სომხურ ისტორიოგრაფიაში...

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ამ მონოგრაფიაში მხარგრძელთა წარმომავლობის საკითხიც დააყენა. ამ გვარის შესახებ არსებობს ნაირგვარი მოსაზრებანი. ის წერს: ასლან შაჰნაზარიანს ისინი მიაჩნია ძორაგეტში გადმოსახლებულ და გასომხებულ ქალდეელებად, მალაქია ორომანიანს — ორბელებად, კარაპეტ ტერ-მკრტიჩიანს — ბაგრატუნებად, სარგის კაკაბაძეს — თორელებად და სხვა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში აკაკი ბაქრაძემ სათანადო წყაროებზე დაყრდნობით გამოთქვა მოსაზრება, მხარგრძელები იყვნენ გასომხებული ქურთები. ასეა მიღებული ამჟამად. ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ვიცი, დღემდე განსხვავებული მოსაზრება ამის შესახებ არავის გამოუთქვამს.

აღნიშნულ ეპოქაში (XI-XIII ს.ს.) ამ მხარეში იყო მონასტრები — ახპატი, სანაინი, აღარწინი, ხორაკერტი და გეტციკი. ამ მონასტრებს სათა-

ვეში ედგა და მათი იდეური ხელმძღვანელი იყო ახპატ-სანაინი. ეს ორი მონასტერი (ახპატ-სანაინი) ისტორიულად ისე არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, რომ მათზე ლაპარაკი ცალ-ცალკე შეუძლებელია, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი. შემდეგ მოაქვს ძველ სომეხ ისტორიკოსთა თხზულებები, რომლებშიც მოხსენიებულია ახპატი და სანაინი. ესენი არიან: ასოდიკი (XI ს.), სამუელ ანელი (XII ს.), ვარდანი (XIII ს.), კირიკე განძაკელი (XIII ს.). ბოლოს მიუთითებს ვახუშტის („გეოგრაფია“) უსახელო ავტორის ნაშრომს. ლეონ მელიქსეთ-ბეგის ზრით, ახპატ-სანაინის მონასტრების მთავარი ეკლესიები აგებულია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირთა მიერ. ახპატის აგება დაუწყია 991 წელს ბაგრატუნიანთა ამოტ „მოწყალის“ ძე — სუმბატ II შაჰინშაჰს, კვირიკე I-ს სანაინის აშენება დაუწყია არაუადრეს 1048 და არაუგვიანეს 1065 წელს — კვირიკე II-ს და ვით უმეცრესად წოდებულის — ძის კვირიკე II-ის და მისი ძმის სუმბატის დროს.⁵¹ ჩამოთვლის და აღწერს დანარჩენ სამონასტრო კერებს: ჰორომანირი, რომელიც ძირაგეტის ხეობაშია, იოანე ოძუნელის მონასტერი. პირველი სოფ. იგაჰატის, მეორე კი სოფ. არდვის მახლობლად მდებარეობდნენ. მათი განახლებისთვის ზრუნავდა გიორგი ბატონიშვილი XVIII ს-ში. ძველი უტიქ-კანგარქ-გარდაბნის (ამჟამად ყაზახის და განჯის რაიონებია) საზღვრებში მდებარეობდა ხორანაშატი. ეს იყო იოანე ვანაკანის სამოღვაწეო მხარე. დასინის მონასტერი — სადაც მზითარ გომმა დაწერა „სომხური სამართლის წიგნი“, ხამში — აღვანთა საკათალიკოსო ცენტრი და მაკარავანქი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მონასტერი ანტიქალკედონისტური იყო, ე.ი. მონოფიზიტური მიმართულების. მაგრამ მათ გვერდით „ქალკედონისტურ პროპაგანდის ნიადაგზე აღმოცენდა, აგრეთვე, რამოდენიმე კერა ქალკედონისტური მიმართულებისა, რომელთაგან XI-XII საუკუნეებში ცნობილი იყვნენ: ქობერი, „ძელი ჭეშმარიტისა“, პლმძაჰანქი“, ოსკიპარი და სხვა“, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი, რის შემდეგაც იგი აღწერს და ცნობებს გვაძლევს მათ შესახებ. მკვლევარის სიტყვით, ახპატ-სანაინი განთქმული ყოფილა გამოქვაბულებით, სადაც ძველი დროიდან ინახებოდა გაძი და ხელნაწერები. აქ მალავდნენ, აგრეთვე, წიგნებს და საეკლესიო

ავლა-დიდებს მტრების მოსალოდნელი შემოსევების დროს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვართა“ ვინაობის გამოსაკვლევად პირველ რიგში იყენებს ამ მოძღვართა ეპისტოლეს გრიგოლ ყრმისადმი, რომელიც დაწერილი უნდა იყოს ახპატში 1184-1185 წლებში. ამ წერილში მოხსენიებული არიან — ბასილ ეპისკოპოსი, მოძღვარი სანანის გრიგოლ, მამასახლისი იოანე, მოძღვარი მეტროპოლიისა ახპატისა ეგნატე, პეტრე, ვარდანი და დავითი, ხაჩატურ მოძღვარი აღარწინისა, მხითარ მოძღვარი ხორაკერტისა, მეორე მხითარ მოძღვარი გეტიკისა და სხვა. ეს ცნობები სამართლიანად მიაჩნია მას ეჭვმიუტანლად. „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვართა“ ვინაობის დასადგენად ლეონ მელიქსეთ-ბეგი წყაროებს სამ კატეგორიად ყოფს:

- 1) XI-XIII საუკუნეების სომეხ და უცხო ისტორიკოსთა თხზულებები;
- 2) სხვადასხვა კოლექციების მანუსკრიპტებში არსებული მასალები, კერძოდ მინაწერები;
- 3) სხვადასხვა მონასტრების კედლებზე ამოჭრილი და ჩვენამდე მოღწეული წარწერები.

ყოველი აღნიშნული წყარო ჩვეული სკრუპულოზობით აქვს განხილული. მას არც „ჩრდილო მხარეთა მოძღვართა“ მოღვაწეობის იდეოლოგიური საფუძველი დაუტოვებია ყურადღების გარეშე. მას მიაჩნია, რომ მოძღვართა იდეოლოგია დაფუძნებული იყო დიოფიზიტურ ოღნაე ზეგავლენით აღბეჭდილ, სპეციფიკურ მონოფიზიტურ ჰეროვნებზე, რომელიც წარმოიშვა, განვითარდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა უმთავრესად კირილე ალექსანდრიელის მიერ.

სომეხთა ქრისტიოლოგიის შესახებ სხვადასხვა ზარი არსებობს, მაგრამ ამ ზართა შორის, როგორი განსხვავებაც არ უნდა მოიპოვებოდეს, ერთი სრულიად ნათელია, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და მოაქვს სომეხი მკვლევარის ერვანდ ტერ-მინასიანცის შემდეგი სიტყვები: „სომეხთა ეკლესიამ საესებით მიიღო კირილე ალექსანდრიელის ქრისტიოლოგია, მაგრამ იგი იმავე საფეხურზე არ გაიყინა, არამედ განიცადა ერთბუნებრიანობის მთელი ის განვითარება, რომელიც დაწყებული იყო იულიანეს და სევეროსის პაექრობით ქრისტეს გვაშის შესახებ“ (გვ. 70). შემდეგ შენი-

შნავს, — მონოფიზიტური მოძღვრების მთავარ თხზულებად უნდა ჩაითვალოს ალექსანდრიის პატრიარქის (V ს.) ტიმოთე ელუროსის ანუ კვერნის „ისტიყვისგება ქალკედონისტთა მიმართ“. მისი სომხური თარგმანი ბერძნულიდან გამოცემულია კიდევ. ეს გამოცემები სხვადასხვა დროს შესრულეს: გალუსტ ტერ-მკრტიჩიანმა (1908 წ.), ნერსეს აკინიანმა (1909 წ.), ნ. მარმა (1913 წ.). რაც შეეხება ორიგინალურ სომხურ ლიტერატურას, რომელიც ოფიციალური უფლებით სარგებლობდა, იყო: 1) ეპისტოლეთა წიგნი; 2) სარწმუნოების ბეჭედი და 3) კანონთა კრებული. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ყოველი მათგანი განიხილა ცალ-ცალკე და დაახასიათა ისტორიული და თეოლოგიური შინაარსის მიხედვით.⁵²

ლეონ მელიქსეთ-ბეგის დებულება — „იმ დროს, როდესაც წინა პერიოდში VI-VII საუკუნეებიდან მოყოლებული X-XI საუკუნეებამდე თავდამსხმელნი სომხები იყვნენ, მაშინ ქართველები თავდამცველებად ჩანან, XII-XIII საუკუნეებში კი პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზეზების გამო მათი როლები იცვლება: ქართველები უკვე თავდამსხმელები არიან, სომხები კი თავდამცველებად გამოდიან“. ეს მოსაზრება არ გაიზიარა კ. კეკელიძემ და მოიტანა ფაქტები და არგუმენტები თავისი პოზიციის გასამაგრებლად და დაასკვნა: „არ შეიძლება იმის თქმა, რომ გარკვეულ ეპოქაში სომხები ესხმიან იდეოლოგიურად თავს ქართველებს, ხოლო გარკვეულში ქართველები სომხებს; ეპოქის მიუხედავად ისინი, ქართველები და სომხები, მუდამ ესხმიან ერთმანეთს, თუ ამისათვის შესაფერ საბაბს და მიზეზს იშოვნიან“ („მაცნე“, 1993, №3-4, გვ. 204). ეს შენიშვნა გაზიარებული იქნა თუ არა, არ ვიცით, მაგრამ მისაღები კი ჩანს.

მონოგრაფიის მეორე ნაწილი მიძღვნილია ახპატ-სანანიის სკოლისადმი (XI-XIII ს.ს.). როგორც ლეონ მელიქსეთ-ბეგი ამბობს, ახპატ-სანანიის სკოლის დაარსების საკითხი დაკავშირებულია დიოსკორეს და გრიგოლ მაგისტროსის სახელებთან. მათე ურაჰელის და კირაკოს განმაკელის ცნობით, რასაც მონასტრის სომხური ეპიგრაფიკაც უჭერს მხარს, სანანიის სკოლის დამაარსებლად ითვლება დიოსკორე ეპისკოპოსი, რომელიც შემდეგ კათალიკოსად იქნა განწესებული და მერე განდევნილი. ლეონ მელიქსეთ-ბეგის გამოანგარიშებით, დიოსკორე კათალიკოსის ტახტზე იყო 1036-

1038 წლებში — სულ 14 თვე. რადგან საქმეს თავი ვერ გაართვა, გადაყენებული იქნა და შერცხვენილი დაუბრუნდა სანაინის მონასტრის. ლეონ მელიქსეთ-ბეგს ზღაპრად მიაჩნია ცნობა, თითქოს გრიგოლ მაგისტროსის აკადემია არსებობდა სანაინში. სომეხ მკვლევარ კ. კოსტანიანცზე დაყრდნობით, თელის, რომ არ ჩანსო გრიგოლ მაგისტროსის მოღვაწეობის ფაქტები სანაინში. გრიგოლი უფრო ზრუნავდა შუა სომხეთის მონასტრების განახლებაზე. ეყენია: ჰავეუც-თარის, ბუჯნის, კეჩარის და წაღკაძორის მონასტრები.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ახპატ-სანაინის სკოლის დამაარსებლად არ თვლის გრიგოლ მაგისტროსს, მაგრამ მის ერთ-ერთ განმანახლებლად კი მიაჩნია. მით უმეტეს იგი სანაინში იყო აღზრდილი. დიოსკორეს თანამედროვენი იყენენ მათე ახპატელი და ვარდან სანაინელი. დიოსკორეს კათალიკოსის ტახტიდან გადაყენების შემდეგ 1038 წელს ანისში მოწვეული იქნა საეკლესიო კრება. ამ კრებამ საპყრობილედან გაანთავისუფლა და თავის საკათალიკოსო უფლებებში აღადგინა პეტრე გეტადარძი. მან კი თავის გარშემო შემოიკრიბა თვალსაჩინო მოღვაწეები და მათ შორის მათე ახპატელი და ვარდან სანაინელი — „მოძღვარნი და სიბრძნისმოყვარენი, და მეცნიერნი ღვთის ძველთა და ახალთა აღთქმათა“, — იუწყება მათე ურაპელი. ამავე ისტორიკოსის ცნობით, ირკვევა ისიც, რომ ამ დროს ყოფილა, აგრეთვე, იაკობ ქარაბნელი სანაინელად წოდებული. იგი არის XI საუკუნის თვალსაჩინო მოღვაწე. კონსტანტინე დუკას დროს (1059-1068 წ.წ.) ატეხილ ბერძენ-სომეხთა კამათში მონაწილეობა მიუღია და დიოფიზიტებს მიმხრობია, „რაც ახპატ-სანაინის სკოლის მიერ თავიდანვე აღებული გეზის (მონოფიზიტიზმი. ბ. ა.) თვალსაზრისით, თითქოს საგრძნობ დისონანსს ჰქმნის“, — მართებულად წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და განაგრძობს, — „ბერძნებთან მის მიერ დადებული ხელშეკრულება ბერძნებისათვის იმდენად ხელსაყრელი და მისაღები ყოფილა, რომ მისი მონაწილეობით შედგენილი „სარწმუნოების წიგნი“ წმ. სოფიაში დაუცავთ.“ მას თავისი ბოლო წლები ქ. ურაპში (ელესა) გაუტარებია და იქვე გარდაცვლილა კიდევ 1085 წელს.

სანაინის მონასტრის მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წა-

რმომადგენელია ანანია სანაინელი. მის შესახებ მოიპოვება ცნობები კირიკესა და ვარდანის თხზულებებში. ანანია სანაინელი სომხურ საისტორიო მწერლობაში ცნობილია მისი უმთავრესი ნაშრომით, რომელიც არის დოგმატურ-პოლემიკური ხასიათის ტრაქტატი. მას ეწოდება „სომეხთა მოძღვრის ანანიას სიტყვისგება ორბუნებიანთა წინააღმდეგ, რომელიც დაიწერა სომეხთა ზედამხედველის, უფალ პეტრეს ბრძანებით.“ ამ ტრაქტატის ანანია სანაინელის ავტორობა ერთგვარი ეჭვის ქვეშ დადგა, რადგან იგი არ არის მოხსენიებული კირიკესთან, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და იქვე დასძენს, — იგი რომ ანანია სანაინელის არის, გვიმტკიცებს იოანე ერზინკაელის კრებული. ამ კრებულს ერთგვარი სახელმძღვანელოს მნიშვნელობა ჰქონდა სომხებისათვის XIII-XIV სს. იგი შეიცავს სამ დოგმატურ-პოლემიკურ ხასიათის ნაწარმოებს ქალკედონისტთა წინააღმდეგ. თვით კრებულის შემდგენლის იოანე ერზინკაელის სიტყვით, იგი არის „სამი წიგნი, რომელ არს საძირკველი მართლმადიდებელი (ე.ი. ანტიქალკედონისტური) სარწმუნოებისა.“ ესენია: 1) ანანია ძორაგეტელის (სანაინელის); 2) ხოსროვიკ რიტორისა; 3) იოანე სარკავაგ ვარდაპეტისა. ლეონ მელიქსეთ-ბეგი ანანია სანაინელის მიერ ტრაქტატის დამთავრების პერიოდს 1054-1060 წლებით განსაზღვრავს. ამასთან დაკავშირებით გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს ის წლებია, როცა ადგილი ჰქონდა კონსტანტინეპოლის პაექრობას იაკობ ქარაბნელის მონაწილეობით (დაახლოებით 1059-1068 წლებში). აგრეთვე, ღრტილას პაექრობას სოსთენ მარამაშენელის მონაწილეობით (1046 წ.) — „და სრულებით ადგილი დასაშვებია, რომ იგი უშუალოდ გამოწვეული იყოს ღრტილას (ჯეაქახეთში) 1046 წლის პაექრობით და მის ერთგვარ გამოძახილს წარმოადგენს სომხურ მწერლობაში“ (გვ. 105). ქართველთა მხრიდან ღრტილას პაექრობას სხვებთან ერთად ესწრებოდა ექვთიმე გრძელი-იერუსალიმელი.

ანანია სანაინელის ტრაქტატი „ორბუნებიანთა წინააღმდეგ“ შედგება სამი ნაკვეთისაგან:

- 1) „ქართველთა განყოფისათვის“;
- 2) „აღვანქის ისტორიიდან“;
- 3) „მიზეზი ქართველთა განყოფისა“ (გვ. 110).

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ზუსტად მიუთითებს წყაროებს, საიდანაც უსარგებლია ანანია სანაინელს და მოაქვს ყველა მასალა სამი ნაკეთის სახით. ანანია სანაინელი უკანასკნელი წარმომადგენელი იყო ახპატ-სანაინის სკოლისა, რომელთაც ლეონ მელიქსეთ-ბეგი პირველ თაობას უწოდებს. ამ თაობის მოღვაწეობა მიმდინარეობდა უმთავრესად სანაინში და არ სცილდება XI საუკუნეს. ამ საუკუნის მეორე ნახევარში უკვე ასპარეზზე გამოდის იოანე სარკავაგი. იგი ითვლება ახპატის სკოლის დამაარსებლად და მისით იწყება მეორე თაობა, — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი. იოანე სარკავაგის ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის ვარდან და სამუელ ანელი. ისინი გვაუწყებენ, რომ იოანე სარკავაგის სამშობლოდ ითვლება ფაროსი. ამ ნაქალაქევის შესახებ კი ლეონ მელიქსეთ-ბეგი შენიშნავს: ფაროსი მდებარეობდა ძველი არცახის (ყარაბაღი) და სისაკანის სპლენდორზე, მდინარე შამქორის ორსავე ნაპირას, სადაც ამჟამად მრავალი ეკლესიამონასტრების ნანგრევებია. იოანე სარკავაგს დაწყებითი განათლება შინ უნდა მიეღო, შემდეგ კი ბევრი უხეტიალია განათლების გასაღრმავებლად მონასტრიდან მონასტერში. საბოლოოდ კი დამკვიდრებულა ახპატში. ამის შესახებ ვგებულობთ მისივე ნაწარმოებიდან — „შაშვი“. ასეა თუ ისე, მას საფუძვლიანი და მრავალმხრივი განათლება მიუღია. „სარკავაგ“ ქართულად ნიშნავს დიაკვანს. ეს სასულიერო წოდება მას ბოლომდე შერჩენია, მაგრამ სხვადასხვა ნაწარმოებებში იგი მოიხსენიება, როგორც დიდი მოძღვარი, დიდი სიბრძნისმოყვარე, რიტორი, დიდი სოფესტოსი, პიტიკოსი და ა.შ. იოანე სარკავაგის გარდაცვალების თარიღად ლეონ მელიქსეთ-ბეგი მიიჩნევს 1129 წელს და მას თვლის დავით აღმაშენებლის და არსენ იყალთოელის თანამედროვედ. მკვლევარი განიხილავს იოანე სარკავაგის ურთიერთობას ქართველთა წრეებთან. მოაქვს მათე ურაჰაელის ცნობა დავით აღმაშენებლის მიერ სომხების მიმართ ღმობიერად და კეთილად მოპყრობის შესახებ. დავით IV განსაკუთრებით დაახლოებული უნდა ყოფილიყო „ჩრდილო მხარეთა“ მონასტრებში მოღვაწე სომეხ სასულიერო პირებთან. ლეონ მელიქსეთ-ბეგს ამის დამამტკიცებელ არგუმენტად მოაქვს „ქართლის ცხოვრების“ სომხური ვერსიის (XII-XIII ს.ს.) ბოლო ნაწილი. ამ ნაწილში ქართული ვერსია სომხურისაგან ძირითადად

განსხვავდება იმით, რომ როდესაც ქართული ტექსტის შესაფერ ადგილას მოთხრობილია დავით აღმაშენებლის დროინდელ სომეხ-ქართველთა საეკლესიო პაექრობის შესახებ, „მაშინ სომხურ ვერსიაში თვით ამ პაექრობაზე მოკლედია ნათქვამი, სამაგიეროდ კი შედარებით ვრცლად მოხსენიებულია დავითის და იოანე სარკავაგის ურთიერთობა“. აქ არ შეეუდგებით იმაზე მსჯელობას, რამდენად იგულისხმება სომხურ ტექსტში ნახსენებ სარკავაგში იოანე, მაგრამ ერთში კი ლეონ მელიქსეთ-ბეგი მართალია: დავით აღმაშენებელი პატივისცემით ეპყრობოდა ყველა ერის სარწმუნოების წარმომადგენლებს და მათ შორის სომეხ მონოფიზიტებს. აქვე ზოგადად მიმოხილულია იოანე სარკავაგის მეცნიერულ-ლიტერატურული მოღვაწეობა, რომელიც მოიცავს ბიბლიოგრაფიას, ეგზეტიკას, ჰომილეტიკას, ასკეტიკას, ლიტურგიკას, პოეზიას, კოსმოლოგიას, ნაწარმოებებს წელთაღრიცხვის შესახებ და ისტორია-ქრონოლოგიას. ყველა ზემოჩამოთვლილ დარგში იოანე სარკავაგმა თავისი კვალი დააჩნია, მაგრამ იგი უმთავრესად ცნობილია აპოლოგეტიკური და დოგმატიკურ-პოლემიკური შინაარსის ნაწერებით. ასეთია იოანე ერზინკაელის სახელით ცნობილი კრებული (XIII-XIV ს.ს.), რომელშიც შესულია ორი დამოუკიდებელი ნაწარმოები: იოანე მღვდლის „ჰმ ნიკიელ მამათა სარწმუნოებისათვის“ და მისივე, გაგიკ მოწესეს თხოვნით — „ქალკედონისტათვის“. თხზულების ავტორი, იოანე მღვდელი და იოანე სარკავაგ ვარდაპეტი ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს, რაც კარგად ჩანს კრებულის წინასიტყვაობიდან, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის აზრით, „სომხების ქართველებთან და ქართველების სომხებთან ეკლესიურ-პოლიტიკურ სიახლოვეს და მეზობლობას ხელი უნდა შეეწყოს სომეხთა შორის ანტიდიოფიზიტურ ანუ ანტიქალკედონისტური მწერლობის შექმნა-განვითარებისათვის“. ეს მოსაზრება არ გაიზიარა კ. კეკელიძემ და წამოაყენა საპირისპირო დებულება — სომხური ანტიქალკედონისტური ლიტერატურის წარმოშობა და განვითარება ქართველებთან სიახლოვე-მეზობლობით ან მათთან სპორადიული პაექრობით არ აიხსნება — „თუ ქართველები მართლა თავს ესხმიან ამ პერიოდში სომხებს და მათთან დოგმატიკურ დისპუტს აწარმოებენ, ეს

მარტო საქართველოს პოლიტიკურად გაძლიერებით, როგორც ლეონ მე-ლიქსეთ-ბეგი ამბობს, და მათთან სიახლოვით კი არ აიხსნება, არამედ სომეხთა დამი იმ განწყობილებით, რომელმაც X-XIII საუკუნეებში თავი იჩინა ბიზანტიის იმპერიაში და რომელიც იქიდან საქართველოში გადმოვიდა“ („მაცნე“, 1993, №3-4, გვ. 200). სამწუხაროდ, არ ვიცით, გაიზიარა თუ არა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ეს შენიშვნა. თუმცა შესაძლოა მიიღო კიდევ.

აკად. მანუკ აბელიანი სამართლიანად უწოდებს იოანე სარკაევას დიდ მეცნიერს, ფილოსოფოსს, მემატიაწესს, ავტორს სასულიერო კომილიებისა და მგოსანს. იგი ცხარე კამათს ეწეოდა დიოფიზიტების, ე. ი. ბერძენ-ქართველების წინააღმდეგ, მაგრამ ამ ბრძოლაში მარტო არ არის. მას მხარში ედგა სასუნის კუთხის ლაზარეს მონასტრის წინამძღვარი პავლე ტარონელი, რომელიც არანაკლები ენერგიით ებრძოდა ქალკედონიზმს. მას XI საუკუნის მოღვაწედ თვლიან, რასაც არ იზიარებს ლეონ მელიქსეთ-ბეგი. მისი აზრით, პავლე ტარონელი არის XII ს-ის სასულიერო მოღვაწე. იოანე სარკაევას მოყვანნი და მოწაფენი იყვნენ დავით ალავეიკის ძე, სამუელ ანელი, სარგის „კუნდი“ და სხვა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი მონოგრაფიაში წარმოგვიდგენს XII საუკუნის დამლევისა და XIII საუკუნის დასაწყისის ახპატ-სანაინის მოღვაწეთა საკმაოდ ვრცელ სიას: ბასილი, იოანე სანაინელი, იოანე ახპატელი, ეგნატე, პეტრე, მხითარ ხორაკერტელი, გეგორგ ახპატელი. აქვეა ახპატ-სანაინის მოღვაწეთა ქრონოლოგიური ცხრილი, რომელიც შედგენილია ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ, სამი „ფრიალ სანლო და მტკიცე“ წყაროს მიხედვით. ეს წყაროებია ხსენებულ მოღვაწეთა ეპისტოლე გრიგოლ ყრმისადმი (1184-1185 წ.წ.). წერილის შედგენაში მონაწილეობას იღებდნენ:

1) „ბასილ ეპისკოპოსი, რომელ არს აღმოსავლეთს ჩრდილოეთსა“, მოძღვარი გრიგოლ სანაინელი, მამასახლისი იოანე; მოძღვარი მეტროპოლიისა ახპატის, ეგნატე, პეტრე, ვარდანი და დავითი; ხაჩატურ მოძღვარი აღარწინისა; მხითარ მოძღვარი ხორაკერტისა და მეორე მხითარ მოძღვარი გეტეიკისა;

2) ეფრემ ასურის ერთ-ერთი თხზულების განმარტების 1195 წლის მინაწერში მოხსენიებულნი არიან: იოანე ეპისკოპოსი ახპატისა და მოძღვარი

დავითი, პეტრე, ეგნატე და ახლად გარდაცვლილი ვარდანი;

3) კირიკე განძაკელის „ისტორიაში“ მოთავსებულია 1205 წელს ლორის კრების აღწერა. აქ მოხსენიებულნი არიან „მოძღვარნი გამოჩენილნი — რომელს გოშ უწოდებენ, აღმაშენებელი გეტიკის მონასტრისა, კაცი ბრძენი და მშვიდი, და მოძღვარი, სწავლით განთქმული, ეგნატე, ვარდანი, დავით ქობარიელი ახპატიო, იოანე მამასახლისი სანანისა, რომელიც იყო შემდგომ ტუტას ძედ წოდებულის გრიგოლისა“.

ახპატ სანანის საგანათლებლო-კულტურული კერის მესამე უდიდესი წარმომადგენელია მხითარ გოში (გოში მეტსახელია, რადგან ქოსა იყო). მისი ბიოგრაფია საკმაოდ ვრცლად აქვს მოთხრობილი კირიკე განძაკელს თავის „ისტორიაში“. ლეონ მელიქსეთ-ბეგი კირიკეს ცნობებზე დაყრდნობით გადმოგვცემს მხითარ გოშის ბიოგრაფიას. მხითარ გოშის გარდაცვალების თარიღად კირიკეს 1213 წელი აქვს ნაჩვენები, რასაც ვარდანის ცნობაც ადასტურებს. ამ თარიღს (1213 წ.) იზიარებს ლეონ მელიქსეთ-ბეგიც, რომელიც თავის მონოგრაფიაში ზოგადად წარმოადგენს მხითარ გოშის სამეცნიერო-სალიტერატურო მოღვაწეობას. მხითარ გოშის თხზულებებიდან განსაკუთრებით გამოყოფს „სომეხური სამართლის წიგნს“ და მასში არსებულ ზოგიერთ ცნობას ქართველთა შესახებ.⁵³ ლეონ მელიქსეთ-ბეგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მხითარ გოში ტიპიური წარმომადგენელია იმ „სომეხ მოძღვართა“ წრისა, რომლებმაც მიზნად დაისახეს ანტიქალკედონიზმის გამარჯვება და ქალკედონიზმის დამარცხება. იგი გამომხატველია ანანია სანანინელთან, იოანე სარკავატთან, გრიგოლ ტუტეორდთან ერთად „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვართა“ იდეოლოგიისა. მხითარ გოშის ტრაქტატი „მომხაზულობა... ქართველთათვის“ მოგვაგონებს არსენ საფარელის „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“. ტრაქტატში სომეხი ავტორი მიმართავს ზაქარია და ივანე მხარგრძელებს და ქართველთა კათალიკოსს, რათა ჩაერივნენ სომეხ-ქართველთა საეკლესიო ურთიერთობის საქმეში და მოავგარონ იგი. ლეონ მელიქსეთ-ბეგის ვარაუდით, მხითარ გოშის ტრაქტატი გამოწვეული იყო თამარის მეფობის დროს სომეხ-ქართველთა სისხლისმღვრელი შეტაკებით რელიგიური დღესასწაულის „არაჯავორის“ გამო. მკვლევარის აზრით, შეტაკება

უნდა მომხდარიყო თბილისში, ორმოც წამებულთა ეკლესიაში.⁵⁴

მოკლედ შეეჩერდებით მხითარ გომის ქალკედონისტური სარწმუნოების კრიტიკაზე, როგორც ლეონ მელიქსეთ-ბეგს აქვს გადმოცემული. შეეჩერდებით მხოლოდ ერთ პუნქტზე. მხითარ გომის აზრით, მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა განუხორციელებელია, მით უმეტეს, ქართველთა მეფეები თამარ და დავით (სოსლანი) ამის მომხრეები არ არიანო. ამიტომ, მხითარ გომის წინადადებაა, ქალკედონისტები და არა სომხები, კომპრომისზე უნდა წავიდნენ თუ წვრილმანში არა, მთავარ პუნქტში მაინც. მხითარ გომი თვითდაჯერებულია და აცხადებს: მსოფლიო კრების საძირკველი ოთხი ერია: ბერძენი, რომაელი, სომხები და ასურნი, ოთხი მახარებლის მსგავსად. ამიტომაც ქვეყნად სულ ოთხი საპატრიარქოა, რომელთა შორისაც ქართველებს განსაკუთრებული ადგილი არ უჭირავთ, როგორც სომხებს, რადგან ქართველები ბერძენებს მისდევნენ და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა, შეიძლება ითქვას, გამოწვლილვით შეისწავლა ზემოთ დასახელებული მოძღვართა ბიოგრაფია და მათი შემოქმედება, რითაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ახპატ-სანაინის სამეცნიერო კერების კვლევის ისტორიაში. ამ ნაშრომს ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის, ვინც ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიაში მუშაობს.

მეგალითური კულტურა საქართველოში

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა აღმოაჩინა და გამოიკვლია „ციკლოპური“ შენობები საქართველოში. თუმცა ადრე მათი არსებობა დაფიქსირებული ჰქონდა ექ. თაყაიშვილს, გ. წულუკიძეს, ივ. როსტომაშვილს და სხვებს. მაგრამ მისი დამსახურება ის არის, რომ პირველმა შეისწავლა და მეცნიერულად გაანალიზა ისინი. ჯერ ცალკეული შრომები მიუძღვნა, შემდეგ კი გამოსცა მოზრდილი მონოგრაფია „მეგალითური კულტურა საქართველოში“ (1938 წ.).⁵⁵ ყველაფერი დაიწყო 1923 წელს, როცა ლეონ მელიქსეთ-ბეგი არქეოლოგიური კვლევა-ძიების მიზნით ალგეთის ხეობაში მოგზაურობდა. ამ ხეობაში „ყვითელ მთაზე“ მას მოუნახულებია — “Каменная невеста”. ამ დროს უცნობებით, იქვე ახლოს არის რაღაც უცნაური ციხეო. „ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მივაღე-

ქით ერთ საშინელ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ქვათა ქვაბს“, სადაც გადახტომა გეიხდებოდა უზარმაზარ ას-ასათას ფუთიან ქვებზე, სანამ მივალწველით ერთ პატარა ზეგანს, რომელზეც მართლაც ემჩნეოდა უზარმაზარი ნატეხი ქვებისაგან აგებული „ციხე“, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, „გალავანი“ შიგნით „ციხე-დარბაზით“ და ე.წ. დოლმენებით. კედლის სისქე ყველგან აღწევდა ერთ საუენს და მეტსაც“.⁵⁶ შემდეგ აღნუსხავს ქართულ წყაროებში დაცულ ცნობებს მეგალითური ნაგებობათა შესახებ. მოაქვს ლეონტი მროველის ცნობა — არდამოსის მთავრამდე, ე.ი. IV ს-მდე „არ იყო ქართლსა შინა საქმე ქვითაკირისა“ და ამიტომ „დაისწავლეს (ქართველებმა) ქვითაკირი.“ ე.ი. ლეონ მელიქსეთ-ბეგის ზრით, ქართველებმა კირით მშენებლობა დაიწყეს IV ს. ჩ. წ. აღ-ით. მშრალი წყობით კი უძველეს „ციკლოპურ“ ნაგებობებს აშენებდნენ. მას არ ეთანხმება აკად. შ. ამირანაშვილი. იგი შენიშნავს: მშრალი წყობის არსებობას თავისთავად არ შეუძლია ამ საკითხის გადაწყვეტა, რადგან ეს წყობა გამოყენებული იყო მრავალი საუკუნის მანძილზე, მას შემდეგაც, რაც არქიტექტურულ პრაქტიკაში შემოდებულ იქნა ქვითაკირის მშენებლობა.⁵⁷

ვახუშტის და ბეთანიში დაცული ერთი გუჯარის ცნობით — ჩხიკუთის სამება, რომელიც ციკლოპური სისტემისაა, მოხსენიებულია გმირთა ნაკვეთად ან გმირთა კვეთილად. ასე, რომ ტერმინი „გმირთა-ნაკვეთი“ ქართველი ხალხის მიერ უნდა იყოს შეთხზული ციკლოპურ შენობათა აღსანიშნავად, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და განაგრძობს, — ამ ნაცინარ-ნაქალაქევის დასავლეთით მდებარე მთას, ადგილობრივ ქართველთა ცნობით, ეწოდება „საკრისი“. იგი ამ სახელწოდებითაა გადატანილი ვახუშტის რუკაზე. იგი განმარტავს ამ სახელს: „საკრისი“ — „საკრივისი“ (კრივის ადგილი) გამარტივებული ფორმის უნდა იყოსო. მისი ვარაუდით, ამირანის გმირული მოქმედებანი ალგეთის ზეობაში ლოკალიზდება. ამ გარემოებაზე მკვლევარისათვის ყურადღება მიუქცევინებია ადგილობრივ მკვიდრთ — ბ. ყავრიშვილსა და გ. ნათენიძეს. შემდეგ მას მოაქვს სტროფი ამირანის თქმულებიდან:

*სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი,
გადიარეს ცხრანი მთანი, მეთენი ალგეთისნი...*

უცხო მთაში კოშკი ჰნახეს, ანაგები ბროლის ქვისა,
ძმებმა გარს შემოუარეს, ვერა ჰპოვეს კარი მისი.

მამასადამე, უნდა ვიფიქროთ, ამირანის თქმულების ადგილი გამოგონილი იყო ხალხის მიერ რეალურ ნიადაგზე, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი, — „ე.ი. მატერიალური კულტურის ნაშთების გაცნობის შემდგომ, როცა ხალხმა უზარმაზარი ქეებიდან აგებული ციხე-ქალაქი უბრალო კაცის საქმედ ვერ ახსნა და ამიტომ მიაწერა ის გმირებს“, ხოლო იმ მთას, სადაც ამ „გმირებს“, და კერძოდ ამირანს უნდა ებრძოლათ, ხალხმა უწოდა „საკრივისი“ ან „საკრისი“. და ეს ყველაფერი უნდა მომხდარიყო სწორედ ისე, როგორც სომხური თქმულება დამყარებულია უზარმაზარი ქვის თევზის (სომხურად „ვეშაპების“) არსებობაზე“. („მნათობი“, 1925, №2, გვ. 225).

ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშნულ სტროფს უკეთებს ასეთ კომენტარს: „საკრისი“ სწორედ წალკის საზღვარზეა და ამიტომაც გასაგებია თუ რატომ იყო მიღებული „უცხო მთად“. ხოლო სიტყვები — „ვერა ჰპოვეს კარი მისი“ — შეეფერება სინამდვილეს იმდენად, რამდენადაც ნაციხარნაქალაქებს არსაიდან შესასვლელი კარი არა აქვს, გარდა ერთისა — ჩრდილო მხარეს.“ უთუოდ საინტერესო და ორიგინალური ინტერპრეტაცია არის, მაგრამ რამდენად სარწმუნოა ეს, ამ დარგის მეცნიერ-სპეციალისტთა საქმეა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ჩამოთვლის მის მიერ ნანახ ციკლოპურ ნაგებობებს საქართველოში — მანგლისის ახლოს ჩხიკუთის სამება, წალკა ხუთ ადგილას ტამ-ბაშში, ნადრევანში, ოზნიიში, აერანლუში, გიუმბათში და დიდი ლიახვის სათავეში. გარდა ამისა, მას ცნობები ჰქონდა ამ ტიპის შენობების არსებობის შესახებ — ქციის მარცხნივ, ბაკურიანთან, აწრისხევსა და შულაურს შორის პატარა ლიახვზე, ფასანაურთან და სხვ. აღწერილი და დახასიათებული აქვს ყველა აღნიშნული ციკლოპური შენობა. მაგ. „ტამ-ბაშ“ (წალკა) თათრულად ნიშნავს „ქვა თავზე“. ამჟამად არის სომხური სოფელი. ვახუშტის დროს „ახალ ქალაქი“ რქმევია. ექ. თაყაიშვილის აზრით, საბარათიანოს მმართველთა და სპასალართა ტახტი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან თვითონ ვახუშტიც თრიალეთის მმართველად ყოფნის

დროს აქ მჯდარა. ლეონ მელიქსეთ-ბეგი საინტერესო ცნობას იძლევა — აქ არისო ჯერის ტიპის ეკლესია მთაზე, რატი ერისთავ-ერისთავის, საუცხოვო ქართულ ასომთავრული წარწერით, რომელიც ახლა სომხების ეკლესიად არის გადაკეთებული, იქვე ყოფილა „ციკლოპური“ სისტემის ნარჩენი ნანგრევები, რომელსაც ვილაც უგუნურები შლიანო. („მნათობი“, 1925, №2, გვ. 223).

ლეონ მელიქსეთ-ბეგი მეგალითურ კულტურას საქართველოში განიხილავს და აღნიშნავს — „თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემობას, რომ „ციკლოპურ“ შენობებს საქართველოში არავითარი კვალი ლითონის (ბრინჯაოს, რკინის) ხმარებისა არ ემჩნევათ, ხოლო IX-VIII ს.ს. ჩ. წ. აღ-მდე ქაღდების სამეფოში, რომელშიც, სხვათა შორის, ნაწილობრივ საქართველოც შედიოდა, ციხე-ქალაქი შენდებოდა ხოლმე რკინის საუკეთესო იარაღის საშუალებით, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ ეს შენობები გაცილებით წინ უსწრებენ ქაღდების ეპოქას, ანდა, თუ ქაღდებს არ უსწრებენ, გამომხატველია იმ აღმაშენებლობისა, რომელმაც უხსოვარ დროიდან მოაღწია ქაღდების ეპოქამდე, უკანასკნელთა კულტურული ზეგავლენისგან ჯერ კიდევ თავისუფალ მხარეში. ქართველ ხალხს თავიდან კარგად სცოდნია ციკლოპური სისტემის შენობები და მათ აღსანიშნავად შეუქმნიათ საუცხოვო ტერმინი „გმირთ-ნაკვეთი“ ანუ „გმირთ-კვეთილი“ („მნათობი“, 1925, №2, გვ. 225).

ლეონ მელიქსეთ-ბეგი მიმოიხილავს მეგალითების შესწავლის ისტორიას ამიერკავკასიაში: ამ ტიპის ნაგებობათა შესწავლის საკითხი დადგა 1884 წელს თბილისში არქეოლოგთა ყრილობაზე. მის შემდეგ დაიწყო შესწავლა ამ ძეგლებისა სომხეთში, აზერბაიჯანში და ნაწილობრივ საქართველოში.

მეგალითებით მდიდარია სომხეთი და უკეთაც არის შესწავლილი. განსაკუთრებით გამახვილებული აქვს ყურადღება ლეონ მელიქსეთ-ბეგს ნ. მარის და ი. სპირნოვის მიერ 1909 წელს გარნისის მიდამოებში, გელამის მთებზე „ვეშაპნერებად“ ან „აღჯაჰა-იურტად“ ცნობილ ადგილზე აღმოჩენილი ე.წ. „ვეშაპებსა“ და „ვეშაპოიდებზე“. ესენი არიან უზარმაზარი მონოლითური თევზ-ვეშაპის (გველ-თევზის) ფორმის საკულტო მნიშვნე-

ლობის დეტალებით. ამ აღმოჩენამ არქეოლოგიის და ხელოვნების ისტორიაში დიდი პერსპექტივა გადაშალა არა მარტო სომხეთის, არამედ ამიერკავკასიის და მთელი მსოფლიოს ისტორიის უძველესი პერიოდის შესასწავლად. ნ. მარმა და ი. სმირონოვა მას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა.⁵⁸

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ამ აღმოჩენის მნიშვნელობის შესახებ („ვეშაპების“) მოაქვს ნ. მარის აზრი. „გარნისის არქეოლოგიურ რაიონში წარმოებულმა სისტემატურმა დანერგვამ, — წერს ნ. მარი, — რომელიც დაკავშირებული იყო გარნისშივე II-III საუკუნეების რომაული აღნიშვნების საუცხოო საწარმართო ტაძრის გათხრებთან, მიგვიყვანა იქამდე, რომ მაზლობელ მთებზე აღმოჩენილ იქნა იშვიათი, მსოფლიოში დღესდღეობით უნიკალური, ვეებერთელა (სიგრძით 3-5 მეტრი) ქვის თევზები (მათ ამსგავსებენ მურწას, აგრეთვე, ლოქოს, ზოგი ჭანარს). მათზე ბარელიეფებია, რომლებიც აღნიშნავენ ამ ძეგლის საკულტო მნიშვნელობას: გამოსახულია სხეულის და ფეხის ტყავი კამეჩისა, ხან ხარის თავი — ეს არის ღვთის შესაწირავის სიმბოლო. სურათი ზოგჯერ გართულებულია, აგრეთვე, საკულტო მნიშვნელობის სხვაგვარი წერილმანებით, მაგალითად, წყვილი ფრინველით — წეროთი ან ყარყატით. თევზ-გველ-ვეშაპებში წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილობრივი ღმერთები „ვეშაპები“, რომელთა შესახებ თქმულებებში, გადანაშთების სახით, მოაღწიეს სომხურ ხალხურ ეპოსში VIII-IX საუკუნეებამდე ქრ. შ. და უფრო გვიანაც. ვეშაპებით ჩვენ ვაღწევთ საზღვარს კავკასიის კულტურულ-ისტორიული პერსპექტივისას, რომელიც იხსნება მისი ნივთიერი ძეგლებით. ამას იქით არ მიდის კავკასიის უძველესი საფლავებიც კი. ეს თითქოს ძირია. ამ ძირამდე არ სწვდება წარმართული დამწერლობის ძეგლები, ყოველ შემთხვევაში ადგილობრივი ვანის სისტემის ლურსმული წარწერები. მათ არ ეტყობა არანაირი ზეგავლენა გარედან, რომელიც ართულებს მერმინდელ კულტურულ-ისტორიულ საკითხებს კავკასიის შესახებ“ (ჟურ. „ჩვენის მწერლობა“, 1927, №6-7, გვ. 217).⁵⁹

ამ აღმოჩენას ნ. მარზე გრანდიოზული შთაბეჭდილება მოუხდენია, რის შესახებაც აღნიშნა კიდევ 1913 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში - “ИЗ

პოეზდოკ ვ სვანიუ” (“Хр. Восток”, 1913, т. II, стр. 6).

ბ. მარის და ი. სმირნოვის მიერ მეგალითების აღმოჩენამდე იყო ცნობები ამგვარი ძეგლების შესახებ სომხეთში. (ე. მელიქ-შაჰნაზაროვი, ატრ-პეტი, თ. თორომანიანი და სხვ.) ასევე, ი. მეშჩანინოვს აქვს სტატია ზერბაიჯანში არსებული მეგალითების შესახებ. (“Известия о-ва общ. и изуч. Азербайджана”, 1926, №2, №3). რაც შეეხება მეგალითების კვლევას საქართველოში, მოცემულია ლეონ მელიქსეთ-ბეგის აღნიშნულ მონოგრაფიაში („მეგალითური კულტურა საქართველოში“).

მკვლევარი ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვაში (გვ. 25-33) მეგალითებს საქართველოში ორ ძირითად ჯგუფად ყოფს:

1) საბინაო და საფორტიფიკაციო ნაგებობანი, ე.ი. ადამიანის „სააქაო“ სადგომები: დოლმენები, ციხე-კოშკები, ზღუდეები და სხვ.;

2) საკულტო ობიექტები — მენჰირები, ვეშაპ-ვეშაპოიდები, ქალქვა-ქვაკაცა, დიოლით-ტეტრალითი, ქვახერულ-ერატიპა, დოლმენ-სამარხები და სხვ. (გვ. 39).

ამ კლასიფიკაციის მიხედვით განიხილავს მათ:

საბინაო და საფორტიფიკაციო ნაგებობანი: გოხნარის, ბეშთაშენი „დამ-ლები“ (ქვემო ქართლი), ს. აბულის კარკნალი (ახალქალაქის რ-ნი), მდინარე ქციის აუზი — სამშვილდე, ჩოლაყის „აია-კონსტანტინ“, ხანთას „ქოროლდი“, წყურვეთი და სხვა; ჯავახეთი — ტაბაწყურის კუნძული, ფარა-ენის ასფარა, ფოკა, ყაურმას „ყალა“, ამულდამენი, ზვანაჩლის „სილნახ“, მადატაფა, სარო და სხვა; ბაკურიან-თორის რაიონი — ბაკურიანი, ციხისჯვარი, საკოჭავი და სხვა; სამხრეთ-ოსეთი (დვალეთი) — „ზილდე-მამიგ“; რაჭა — კუნეთის წყაროსთან; ლაზისტანი — ჭოროხის აუზი.

დოლმენები: (კელტურია: ნიშნავს — მაგიდა ქვას). წარმოადგენს სამარხს. გვხვდება ევროპაში, რუსეთში, ჩრდილო კავკასიაში და აფხაზეთში.

საკულტო ნაგებობანი: მენჰირ (კელტურია: ნიშნავს — მაღალ, აყუ-ღებულ, აზიდულ ქვას). საქართველოში მენჰირები აღნუსხა ლეონ მელიქ-სეთ-ბეგმა. ესენია: ციხისჯვრის, ალბულ-ალიდან სამშვილდისკენ მიმავალი გზის მარცხნივ, პლატოზე; წალკაში — ს. ბურნაშეთის ეკლესიის გალავანში. მას ადგილობრივი სომხები თურმე წმ. გიორგის უწოდებენ; ს. ყიზი-

ლქილისა (წალკა) — საინტერესოა, მას სომხები ელოს ნაგებობას უწოდებენ, თურქები და ბერძნები — „საპიტასში“-ს, რაც „საპიტაიზმოს“ დამახინჯებული ფორმაა. აქ ყოფილა პატარა ქართული ეკლესია ქართული ასომთავრული წარწერით აღმოსავლეთ კედელზე. ლეონ მელიქსეთ-ბეგის გამიფრვით: „ქრისტე, შეიწყალე ეგნატე (ერასტი) კეთილადე.“ წარწერას იგი აკუთვნებს XII-XIII საუკუნეებს. ნაქალაქვე სამშვილდის ტერიტორიაზე მიძინების სახელობის სომხური ეკლესიის კედელთან არის მენპირი. ეკლესია XI საუკუნის შემდეგ ყოფილა აშენებული. ამ საუკუნით თარიღდება მენპირის ფასადის შემკობა ჯვრით და სომხური წარწერითო (ე.ი. როდესაც სამშვილდე კვირიკაანთ დედაქალაქად იქცა 1064 წლამდე).⁶⁰

ვეშაპ-ვეშაპოიდები: ნ. მარი თევზის მსგავს მონოლითს „ვეშაპს“ უწოდებს. ნ. მარზე და ი. სპირნოვზე დაყრდნობით ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ეს „ვეშაპი“ დაუკავშირა მოსე ხორენელის „ისტორიამი“ წარმოდგენილ გმირს — ვაჰაგან ვიშაპაქადს, ე.ი. ვეშაპ მებრძოლს, აჟდაჰაკს (გვ. 93). აქვე მოაქვს ნ. მარის მოსაზრება ვეშაპ-ვეშაპოიდების შესახებ. ეს ვეშაპ-ვეშაპოიდები მარს თევზ-ღმერთებად (ტოტებად) მიაჩნდა და ამავე დროს „ვეშაპ-მებრძოლთა“ პროტოტიპებად წმ. გიორგისა საქართველოში და წმ. სარგისის სომხეთში. ამ აღმოჩენით უარყოფილი იქნა თითქოს ზღვებს დამორებულ სომხეთში თევზის კულტს არ ჰქონია ადგილი. კიდევ მეტი: ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გაიზიარა ი. მეშჩანინოვის აზრი, რომლის მიხედვით მრავალი საუკუნის წინ სომხეთში თევზ-ღმერთის, ვეშაპთა თავის, ტეიშბას ბომონის (ტაძარიც) კი იყო, რასაც მოწმობს ქალღური ეპიგრაფიკული წარწერები. მართალია, ლეონ მელიქსეთ-ბეგი ვეშაპ-ვეშაპოიდების დათარიღების შესახებ არას ამბობს, მაგრამ მოაქვს ნ. მარის, ი. მეშჩანინოვის შეხედულებები ამ საკითხზე. მაგალითად, ნ. მარი ფიქრობდა, — „ვეშაპოიდების“ არსებობა ითელის ხუთი ათას წელს ჩვ. წ. აღ-მდეო. ასეთი ძეგლები გარდა სომხეთისა და საქართველოსი აღმოჩენილია, აგრეთვე, ჩრდ. კავკასიაში, ჩრდ. მონღოლეთში (ენისეის სათავეში) და სხვ.

სოფელ მურჯახეთის (ახალქალაქი) ახლოს მინდორში ყოფილა ორი ვეშაპ-ვეშაპოიდი. ერთი დგას, მეორე წაქცეულია. ეს ძეგლები აღწერილი

აქვს ე. ლალიანს (1892 წ.) და მას უწოდებს „კათქარ“-ს (რძის ქვას). შემდეგ ისინი აღწერა ივ. როსტომაშვილმა, რომელიც შენიშნავს, რომ ის არის მამაკაცის ფალოსიო. იგივე გაიმეორა ექ. თაყაიშვილმა. აღნიშნულ კომენტარში ეჭვი შეიტანა ი. სპირნოვმა და ძეგლი მიიჩნია ვეშაპად. ლეონ მელიქსეთ-ბეგის აზრით, შეიძლება ერთი და იგივე ქვა ვეშაპიც იყო და შემდეგ მიენიჭა ფალოსის სემანტიკა. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რადგან ამა თუ იმ ქვის ფალოსის კულტთან დაკავშირება გვიანდელი დროის ამბავიანო (გვ. 101). შემდეგ აღწერილი აქვს ვეშაპები — სოფ. განძის ახლოს, ფარანის ტბასთან არსებული მონოლითი, წალკას სოფ. გიუმბათში, ჭოროხის ხეობაში და სხვა.

ქალქვა-ქვაკაცნი: წალკას, სოფ. ავრანლუს და ყიზილქილისას შორის.

ქალქვა: სოფელ გურჯაანში და მოაქვს მასთან დაკავშირებული ლეგენდა.

„ქვაჯვარა“-ობელისკები: ქვაჯვარა — ქერეთის მთის კალთაზე, ფარანის ტბის მიდამოებში; მარიამჯვარი — მანგლისის პირდაპირ, ყვითელ მთაზე, ალგეთის გაღმა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა მონოგრაფიის ცალკე თავი მიუძღვნა მენჰირების ტრანსფორმაციას ქრისტიანულ ძეგლებში. „ჯვარიან-ქვათა“ (ხაჩქარები) გენეზისი ნ. მარს ოთხ საფეხურად აქვს ჩამოყალიბებული: „...первая - найденные на первобытных Гехамских горах каменные исполинские рыбы, сделанные за четыре-пять тысячелетий до н.э. вишапы, второе - плоские колонны или стеллы ванских царей, третье - колонны, украшенные ранне-христианскими скульптурными изображениями до X века, и затем “хачкары”.“⁶¹ ნ. მარს ამ სქემას ლეონ მელიქსეთ-ბეგმა დაუმატა ე.წ. „მოდრავი სვეტებო“ ტათევის და ოროტანის მონასტრებში, რომლებიც შემდეგ ფალოსის კულტთან დაუკავშირებიათ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა მოიძია და გამოავლინა სვეტი-კოლონები ძველი ქრისტიანული ქანდაკებებით საქართველოშიც. მაგ. გრიგოლ ჰიპოსტასის ძეგლი. ამავე ტიპის სვეტის განვითარებას წარმოადგენს მაღალი, კოხტად გამოთლილი მონოლითი სვეტები საქართველოში, რომელთა

ნიმუშები მას დაუფიქსირებია ჯავახეთში, ე. წ. „ამაღლების სექტი“, სოფ. ბარალეთში, კუმურდოს კათედრალის სამხრეთ კედელთან, სოფ. აბულაში, რომელსაც ადგილობრივი სომხები წყაროს გვერდით მდგომ ჯვრებს უწოდებენ, სოფ. ბზავეთში, ადგილობრივი სომხები — შეიდ ძმას უწოდებენ. ჯავახეთშია ე. წ. „სკინაქტი“ — ლეონ მელიქსეთ-ბეგის ვარაუდით, იგი მოდის სომხური სიტყვიდან „სიენ“ — სექტი. ეს მონოლითი მკვლევარს უნახავს სოფ. ვაჩიანსა და კუმურდოს შორის.

ჩვენი მხრივ გვინდა შევნიშნოთ: აღნიშნული სექტების და არა მარტო სექტების სომხური სახელწოდებანი გვიანდელი უნდა იყოს, რადგან 1830-იან წლებში პარკევიჩმა ჩამოასახლა მასიურად ერზრუმელი სომხები ჯავახეთში და ეს სახელებიც შესაძლოა მათი შერქმეულია. ადრინდელი სახელწოდებანი ალბათ ქართული იყო, რაც დავიწყებას მიეცა არაქართული მოსახლეობის რიცხობრივი უპირატესობის გამო.

კრომლები: ეს სიტყვა კელტურია და ნიშნავს — წრეჭვას. ეს არის დიდი ქვებისგან გაკეთებული წრე, რაც მზის კულტთან ყოფილა დაკავშირებული და რიტუალური მნიშვნელობა ჰქონდა. კრომლები გვხვდება აზერბაიჯანში, სომხეთში. საქართველოში კი ისინი პირველად აღწერა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა. ესენია — ციხისჯვარის ახლოს, წალკას — სოფ. ჩოლაყთან, სოფ. ოზნის მთაზე და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ნაშრომის დასასრულს აღნიშნავს — „ტრილით“ ეწოდება სამ ქვას, რომელიც ერთმანეთზეა აღმართული ერთ ვერტიკალურ ზაზზე. ამგვარი ძეგლი ამიერკავკასიაში არ მოიპოვებო. ცნობილი ყოფილა — ორ-ქვა, ოთხ-ქვა. მათ „ტრილითის“ ანალოგიით უწოდებს: „დიოლითი“ და „ტეტრალითი“. შემდეგ მოაქვს „დიოლითის“ სვანური ნიმუში ე. წ. „ბაჩი გვიგქ“ (ქვის გული), რომლის სემანტიკა გაურკვეველიაო მეგალითების სამყაროს გარეშე (გვ. 123). „ტეტრალით“ კი ერთი არის საქართველოში, კერძოდ, სამშვილდის ტერიტორიაზე, რომელიც ლეონ მელიქსეთ-ბეგის აზრით, უძველესი საკულტო ობიექტია ადამიანის კოსმიური აზროვნების ეპოქის. იგი დაკავშირებულია ზოდიაქოსთან, სახელდობრ — მშვილდოსანთან, რის გამოც თვით ადგილს „სამშვილდე“ ეწოდა. შემდეგ შენიშნავს წერს — „მამასაღამე, სახელწოდებაში „სამშვილდე“

მშვილდი, როგორც ასეთი არაფერ შუაა, ისევე, როგორც „მანგლის“-ში „ნამგალი“ (გვ. 123).

ორივე — „სამშვილდესა“ და „მანგლისის“ ამგვარი ეტიმოლოგია საინტერესოა, მაგრამ შემდგომ კვლევა-დამუშავებას საჭიროებს.

ქვავრელი — ერატიპა. ეს არის გახვერტილი ქვა — ქვავრელი. მასთან დაკავშირებულია რიტუალი მშობიარობის „გაადვილების“. მას ბავშვთა სულის ქვასაც ეძახიან და ა.შ. ყოფილა სამი ტიპის და ჩამოთვლის მის ნიმუშებს საქართველოში: წალკაში (სოფ. სანთაში), მოხნარში, მურჯახეთში და სხვ.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივში ლეონ მელიქსეთ-ბეგის ფონდში დაცულია არაერთი მასალა ამ მონოგრაფიასთან დაკავშირებით. მაგ. არის ბიბლიოგრაფია რუსულ ენაზე სათაურით „აკად. ნ. მარი საქართველოს მეგალითური კულტურის შესახებ“.

ბულგარეთში, ვარნას მახლობლად აღმოჩნდა „ქვის ტყე“. ამის შესახებ არის აღნიშნული ლ. დავითაშვილის და ქ. ზახარევა-კოვანკეას სტატიებში, რომელიც ჟურნალ „მაცნეში“ გამოქვეყნებულია. ლეონ მელიქსეთ-ბეგი აცნობებს „მაცნეს“ რედაქციას, რომ ბულგარეთში „ქვის ტყის“ ანალოგიური არის საქართველოში თეთრი წყლის რაიონში.

ცნობილ პალეონტოლოგს, აკად. ლ. დავითაშვილს მადლობის წერილი გაუგზავნია ლეონ მელიქსეთ-ბეგისათვის:

6 августа 1963 г.

Профессору Л. М. Меликсет-Беку

Тбилиси, Московская ул. №3

Глубокоуважаемый Леон Меликсетович!

Я получил Ваше письмо, адресованное мне через редакцию "Сообщений" АН Груз. ССР. Простите, что отвечаю с опозданием, что отчасти оправдывается моим пребыванием вне города, отчасти же тем, что мне хотелось познакомиться с Вашей монографией "Мегалитическая культура Грузии".

Ваше письмо - первый отклик на статью Захаревой-Ковачевой

и моей о "каменном лесе" в Болгарии. Сердечно благодарю Вас за внимание. Мне было приятно и полезно познакомиться с Вашим трудом о мегалитической культуре и, в частности, с образованиями, которые, действительно, напоминают стелы болгарского Дикилшташа. Очень любопытно, что те и другие обозначаются по-турецки одним и тем же словом: Дикилшташ и текилшташ, конечно - одно и то же. Правда, с нашей точки зрения, с точки зрения геологов и палеобиологов, по способу происхождения между ними нет ничего общего. Болгарский Дикилшташ возник осадочным путем - его материал отложился в водном бассейне, а описанные Вами колонны имеют магматическое происхождение, состоят из пород изверженного происхождения. Надо, впрочем, присматриваться: быть может, и в Закавказье археологи, геологи и палеобиологи обнаружат настоящие аналоги болгарского Дикилшташа. Еще раз выражаю Вам искреннюю благодарность за любезное сообщение.

Желаю Вам всего наилучшего.

Глубоко уважающий Вас

А. Давиташвили

ასეთია ზოგადად ლეონ მელიქსეთ-ბეგის მონოგრაფიის „მეგალითური კულტურა საქართველოში“ მეცნიერული შინაარსი. ეს ნაშრომი შესანიშნავი გამოკვლევაა საქართველოში პრეისტორიის კულტურის შესახებ. ლეონ მელიქსეთ-ბეგის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან პირველმა შეისწავლა და შექმნა ნაშრომი („მეგალითური კულტურა საქართველოში“), რომელიც წარმოადგენს ქართული საისტორიო და არა მარტო ქართული საისტორიო მეცნიერების მნიშვნელოვან შენაძენს.

ქველი სომხური ლიტერატურა

სომხურ ლიტერატურას, მით უმეტეს ძველს ქართული სამეცნიერო და მკითხველი საზოგადოება ნაკლებად იცნობდა, რადგან არ იყო ცნობილი მისი ისტორია ქართულ ენაზე. ამ საჭირო და გადაუდებელ საქმეს

ხელი მოკიდა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა და საკმაოდ ხანგრძლივი, სისტემატური მუშაობის შემდეგ ქართულად გამოსცა სახელმძღვანელო — „ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია“ (1941 წ.). ეს სახელმძღვანელო უპირველესად განკუთვნილია სტუდენტი ახალგაზრდობისათვის, მაგრამ ფართო მკითხველი საზოგადოებაც ინტერესით შეხვდა მის გამოცვლას. სახელმძღვანელო აგებულია პირველწყაროებზე, რაც მას მეტ მეცნიერულ სანდოობას მატებს. ლეონ მელიქსეთ-ბეგი ქართველ მკითხველს აცნობს სომხური ლიტერატურის შესწავლის მნიშვნელობას მსოფლიო და ქართული ლიტერატურის ინტერესების გათვალისწინებით. პირველ კარში განხილულია ადრინდელი ფეოდალიზმის ანუ პატრიარქალურ-სამხედრო მონარქიის დროინდელი ლიტერატურა. პირველ რიგში იწყებს ძველი ეპოსიდან - უძველეს დროიდან V საუკუნემდე ჩვ. წ. აღ-მდე. აქ არის ჰაიკისა და ბელის ბრძოლა. ჰაიკისა და ბელის ბრძოლაში ასახულია „ჰაიების“ (სომხების) მცდელობა, გაითავისუფლონ თავი დამპყრობლისაგან. ჰაიკი ბიბლიური იაფეტის მეხუთე თაობა იყო: იაფეტ — გამერ — რიფათ — თირას — თორგომ — ჰაიკ. ჰაიკისა და ბელის ბრძოლა მოთხრობილი აქვს მოსე ხორენელს თავის ისტორიაში. შემდეგ ავტორს განხილული აქვს თქმულებანი: არა მშვენიერი და შამირამ (სემირამიდა), არლეზები, ვაჰანგის დაბადება, ტორქ ანგელ და სხვა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის ერთ-ერთი დამსახურება ის არის, რომ მან სრული სახით მოგვცა და ქართველ მკითხველს პირველმა გააცნო მდიდარი სომხური მითოლოგია. მეორე კარში წარმოდგენილია „სანახარარო“ (საერისთავო) წყობილების დროინდელი ლიტერატურა (V-IX ს.ს.). ეს პერიოდი მოიცავს მესროპ-მამტოცის მიერ სომხური ანბანის ჩამოყალიბებას (V ს.). ამის შემდეგ განვითარდა მწერლობა — ჯერ მთარგმნელობითი, შემდეგ ორიგინალური. უპირველესად ასურულიდან და ბერძნულიდან თარგმნიდნენ სომხურად საღვთისმსახურო წიგნებს. მას მოაქვს ივ. ჯავახიშვილის კრიტიკული აზრი კორიუნის ცნობის შესახებ. კორიუნის მიხედვით, მამტოცმა ქადაგებასთან ერთად სომხურად თარგმნა „მოსეს წიგნები წინასწარმეტყველთა დასის ქმნილებითურთ, პავლესი და სხვა მოციქულთა ეპისტოლეები და სახარება“. ეს დაუჯერებლად მიაჩნია ივ. ჯა-

ვახიშვილს და შენიშნავს, — გამოძინარე იქიდან, რომ ამ დროს სომხური ანბანი ახალი შემოღებული იყო, „მთარგმნელობა ჯერ არავის ჰქონდა დანაცადი და გზა გაკვლეული არ იყო... ასეთი რამე ერთი ადამიანის ძალ-ლონეს და შესაძლებლობას აღემატება“, — სამართლიანად დაასკვნის დიდი ქართველი მეცნიერი. ერთი სიტყვით, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი, — „ბიბლიის სომხურ ენაზე თარგმნის ისტორია იმ სახით, როგორც მოთხრობილია კორიუნის, მოსე ხორენელის და სხვა ისტორიკოსთა თხზულებებში საჭიროებს გადასინჯვას და მთელი რიგი კორექტივების დართვას“ (გვ. 55).

ვფიქრობთ, საინტერესოდ აქვს მკვლევარს დამძული შემდეგი საკითხი: აღმოსავლეთში, კერძოდ, სომხეთში VI-VIII საუკუნეებში აღნიშნებოდა ლიტერატურული ძეგლები, რაც პირველ რიგში ბიბლიის თარგმანთა გადასინჯვა-შესწორებებში გამოიხატებოდა. ამ მოძრაობის მიზეზი იყო სოციალური საფუძველი, რაც აისახა ნიეთიერი კულტურის დარგში. ამ პერიოდში, როდესაც ბიბლია ასურულიდან ითარგმნებოდა სომხურად, ამის პარალელურად სომხეთში სჭარბობდა ასურული ტიპის სამნავიანი ბაზილიკების მშენებლობა (ასეთია ერერუიქის ბაზილიკა, ტეკორი, ოძუნ-უზუნლარი და სხვ.). ბიბლიის ბერძნულიდან თარგმნის პარალელურად სომხეთში შენდებოდა ცენტრალურ-გუმბათიანი ჯვრის რიგი ეკლესიები (ასეთებია: რიფსიმეს ტაძარი, აღიამანი, სისიანის ყარაქილისა, არამუსი და სხვ.). ხოლო, როდესაც ასურულიდან ნათარგმნ ბიბლიას ამოწმებდნენ და ასწორებდნენ ბერძნულის მიხედვით, მაშინ ხდებოდა ბაზილიკური ეკლესიების გუმბათიან ტაძრებად გადაკეთება-გადამშენება (ასეთებია ტეკორის ტაძარი, ოძუნ-უზუნლარი და სხვ.“ (გვ. 57).

აღნიშნული კანონზომიერება ბიბლიის თარგმანთა და სომხური არქიტექტურის ძეგლთა მშენებლობის ტიპებს შორის, სავარაუდოა, შეესაბამება რეალობას და ალბათ ანგარიშგასაწვეი ფაქტი უნდა იყოს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი მიმოიხილავს სასულიერო მწერლობის ყველა დარგს — აპოკრიფები, ეგზეტიკა, ასკეტიკა, პოპულეტიკა, ლიტურგიკა, პატიოგრაფია — მარტიროლოგია, ჰიმნოლოგია და სხვ. აქვე იძლევა ძველ სომხურ ისტორიოგრაფიის ზოგად მიმოხილვას — აგათანგელოსი,

ფავსტოს ბიზანტიელი, ზენობ გლაკი (IV ს.), კორიუნი (V ს.), ლაზარე ფარპელი (V ს.), ელიშე (V-VI ს.ს.), მოსე ხორანელი (V ს.), სებეოსი (VII ს.), მოსე კალანკატუელი (VII ს.) და სხვ.

ფართოდ აქვს წარმოდგენილი მესამე კარში ფეოდალური სამეფო-სამთავროთა დროინდელი ლიტერატურა (IX-XIV ს.ს.). აქ საკმაოდ ვრცლად არის განხილული ძველი სომხური ეპოსი „დავით სასუნელი“, რომელიც ასახავს სომეხი ხალხის არაბთა წინააღმდეგ ბრძოლას. ზოგადად მიმოხილულია IX-XI საუკუნეების სომხური ლიტერატურა. კერძოდ, სასულიერო მწერლობა. განსაკუთრებით გამოყოფს ზოსრო ანძაველის (X ს.) და მისი შვილის გრიგოლ ნარეკელის (X-XI ს.ს.) მოღვაწეობას სასულიერო მწერლობაში. ამ ეპოქის მნიშვნელოვანი მოღვაწეა გრიგოლ მაგიისტროსი (XI ს.). ამ მწერალს ეკუთვნის მიმოწერა სხვადასხვა პირებთან პოლიტიკურ, დოგმატურ და ფილოსოფიურ საკითხებზე.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ფართოდ წარმოგვიდგენს ამ ეპოქის ისტორიო-გრაფიას, ცალკე სამეფო-სამთავროების მიხედვით.

1) შირაკის ანუ ანისის ბაგრატუნიანთა სამეფოს ისტორიკოსები: შაჰუ ბაგრატუნი (X ს.), იოანე დრასხანაკერტელი (X ს.), არისტარქე ლასტივერტელი (XI ს.).

2) ვასპურაკანის ან არწრუნუნიანთა სამეფოს ისტორიკოსები — თომა არწრუნი (X ს.).

3) ტარონის ისტორიკოსები — ზენობ გლაკი და იოანე მამიკონიანი.

4) ალვანეთის ისტორიკოსი — მოსე დასხურანელი (X ს.).

აქ აღარას ვიტყვიტ ჩრდილო სომხეთის სწავლა-განათლების ცენტრების (X-XIV ს.ს.) შესახებ, რადგან მათზე უკვე ვილაპარაკეთ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ვრცლად აქვს განხილული სამხრეთ სომხეთი (კილიკია) და მისი კულტურული ცხოვრება. კილიკიის სამეფო შეიქმნა XI საუკუნის მეორე ნახევარში, ბაგრატუნიანთა და არწრუნუნიანთა სამეფო-სამთავროების დაცემის შემდეგ. ამ დროს სომეხთა სამხედრო ფენები და გლეხობაც მიიღტივიან სამხრეთისაკენ, ხმელთაშუა ზღვის ნაპირას, კერძოდ, ხეთების ანუ ძველი ლიკიის ქვეყანაში. შემდეგ მას ეწოდა კილიკია. ბაგრატუნიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის, მე-

ფისწულის რუბენის მეთაურობით 1180 წელს არსდება ფეოდალური სამთავრო. 1197 წელს ეწოდა სამეფო და ცენტრი გახდა ქ. სისი. ეს იყო კილიკიის სამეფო, რომელმაც იარსება XIV საუკუნემდე.

აღსანიშნავია ისიც, რომ სომეხთა პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი XI-XIV საუკუნეებში კილიკიაში იყო. ამიტომ ქ. სისში გადაიტანეს სასულიერო-საკათალიკოსო ცენტრი (1166-1441 წ.წ.). ამ მოკლე ისტორიული მიმოხილვის შემდეგ ლეონ მელიქსეთ-ბეგი გვაცნობს კილიკიის სასულიერო მწერლობას და მის წარმომადგენლებს — ნერსეს ლამპორნელს; ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებს — სუმბატ სპარაპეტს, ჰეთუმს და სხვ.; ამ ეპოქის მოიგაგარაკეს — ვარდან აიგეკელს და მის შემოქმედებას; სომხური საერო პოეზიის ფუძემდებელს ფრიკს და მის პოეზიას (XIII ს.), კონსტანტინე ერზინკაელს, იოანე ერზინკაელს და სხვებს.

მეოთხე კარი ეძღვნება ფეოდალიზმის რღვევის დროინდელ ლიტერატურას (XIV-XIX ს.ს.). ეს პერიოდი მოიცავს სომხეთის სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას კილიკიის სამეფოს დაცემის შემდეგ. ამ დროს იყო ცდები, რათა მომხდარიყო ეკლესიის ქვეშ სომეხთა კონსოლიდაცია.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ზოგადად მიმოიხილავს ამ ეპოქის სომხეთის სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას. ეს ის პერიოდია, როცა კილიკიის სომხეთი დაეცა (1375 წ.) და მოექცა მამულუქების და ბიზანტიის ბატონობის ქვეშ. შიგნით სომხეთს კი განაგებდნენ ხან შავბატკანიანთა, ხან თეთრბატკანიანთა მომთაბარე ტომები. XV ს-ის 30-40-იან წლებში სომხეთს განაგებდა ყარაყოილის ტომთა ერთ-ერთი მეთაური იაღუბ-ბეგი. თომა მეწოფელი მას „ქრისტიანთა მეფეს“ უწოდებს. იაღუბ-ბეგმა ღიდად შეუწყო ხელი ვაღარშაპატში 1441 წელს სომეხთა საეკლესიო კრების მოწვევას. ამ კრებამ დაადგინა და საკათალიკოსო ტახტი შორეული კილიკიიდან (ქალაქი სისა) ვაღარშაპატში გადმოიტანა. ვაღარშაპატის ტაძარს და მონასტერს კი ეწოდა — „ეჯიმიანინ“. ეს იყო ცდა დაქუცმაცებული სომხეთის გაერთიანებისა სომხური ეკლესიის მფარველობის ქვეშ. ნ. აღონცი ამ პერიოდს „ეჯიმიანინის“ პერიოდს უწოდებს, რასაც არ იზიარებს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და მას „ფეოდალური რღვევის პერიოდი“ უწოდა. ამ წლების სომხური ისტორიოგრაფია წარმოდგენილია თომა მეწოფელით. მისი

თხზულებებია — „მემუარები“, „ლანგ-თემურის ისტორია“ და სხვა. ამ პერიოდის პოეზიის წარმომადგენლები არიან — მკრტიჩ ნაყაში, ზაქარია ლიმელი, საიათნოვა და სხვ.

ლენ მელიქსეთ-ბეგმა „ძველი სომხური ლიტერატურის ისტორიაში“ ცალკე თავი მიუძღვნა ვენეციის მხითარისტების ღვაწლსა და ამაგის წარმოჩენას სომხური მწერლობისა და არმენოლოგიის განვითარების ისტორიაში. ჯერ თვით სახელწოდება მხითარისტების კონგრეგაციის ისტორიას გვაძენობს. იგი წერს — კათოლიკური ეკლესიის ტიპიკონზე გადასულ სომეხ ბერებს ეწოდებოდა მხითარისტები. მხითარისტთა წმ. ლაზარეს მონასტერი ანუ კონგრეგაცია ვენეციის ერთ-ერთ კუნძულზე დაარსა მხითარ სებასტიელმა 1701 წელს. ამ ნაშრომში („ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია“) შესაბამისი თავი გამოყო ლენ მელიქსეთ-ბეგმა და მხითარისტების მოღვაწეობა განიხილა. მხითარისტებმა გადვეს ხიდი სომხეთსა და ევროპას შორის, — შენიშნავს იგი და მოაქვს კონკრეტული ფაქტები, რომელთა მიხედვით მკაფიოდ ჩანს თუ როგორ გეგმავსომიერად გააცნეს მხითარისტებმა ევროპას სომხური ლიტერატურა და კულტურა და პირიქით. მხითარისტთა კონგრეგაცია დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ევროპელ მწერალთა და მეცნიერთა თვალში. მაგ. ბაირონი ვენეციაში სპეციალურად ჩავიდა 1816-1818 წლებში, რათა შეესწავლა ძველი სომხური ენა, ხოლო მხითარისტებისათვის ინგლისური ენა ესწავლებინა.

ამ კონგრეგაციაში დაიწერა და გამოქვეყნდა ლუკა ინჭიჭიანის (1758-1833 წ.წ.) „მსოფლიოს ოთხ ნაწილთა გეოგრაფია“ 12 ტომად, მიქელ ჩამჩიანის (1738-1823 წ.წ.) „სომხეთის ისტორია“ სამ ტომად და სხვა.

ფეოდალიზმის რღვევის ეპოქის (XIV-XIX ს.ს.) სომხურ პოეზიის დამახასიათებელი ჟანრია ელეგია (გოდება), — წერს ლენ მელიქსეთ-ბეგი და ჩამოთვლის პოეტებს, რომელთაც შექმნეს ნაწარმოებები: აბრამ ანკვირელის „გოდება“ კონსტანტინეპოლის აღებაზე (1453 წ.), იაკობ თოხათელის „გოდება ვლახეთის ქვეყნისათვის“, არაქელ ბალიშელის „გოდება კონსტანტინეპოლის აღებაზე“ და სხვ. რა თქმა უნდა, გარდა „გოდებისა“ ამ დროს იწერება, აგრეთვე, პატრიოტული, დიდაქტიკურ-მორალური, სატრფიალო, ლირიკული ლექსები: იოანე თლკურანელი, გრიგოლ ახთამა-

რელი და სხე.

საინტერესოა სომხური წიგნის ბეჭდვის ისტორია, რომელსაც ცალკე თავი მიუძღვნა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა აღნიშნულ „ძველი სომხური ლიტერატურის ისტორიაში“. ვენეციაში XVI საუკუნის დასაწყისში დაარსდა პირველი სომხური სტამბა, 1513 წელს კი გამოიცა პირველი სომხური ნაბეჭდი წიგნები 300 ცალად. ეს წიგნებია — ლიტურგია, კალენდარი, ლექსთა კრებული, საპარასკეო წიგნი, შელოცვების კრებული, კარაბადინი — სამკურნალო წიგნი. ლეონ მელიქსეთ-ბეგის სიტყვით, პირველი სომხური სტამბა სომხეთსა და მთელ ამიერკავკასიაში ყოფილა ვაღარშაპატის სტამბა (1774-1787 წ.წ.). 1794 წელს კი ქალაქ მადარასში (ინდოეთი) გამოიცა პირველი სომხური ყურნალი „აზდარარ“ (მაუწყებელი). სომხური პერიოდიკის პირველი ორგანო, რომელიც თვით სომხეთში გამოვიდა 1863 წელს, იყო „არწვიკ ტარონო“ (გვ. 220).

ლეონ მელიქსეთ-ბეგის „ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია“ ზოგადად მიმოვიხილეთ და ვეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა ძირითად მომენტებზე. აქვე გვსურს შევნიშნოთ: მართალია, სახელმძღვანელო აღწერითი ხასიათისაა, მაგრამ მან თავისი დანიშნულება შეასრულა, და მასზე არაერთი თაობა აღიზარდა. ამ სახელმძღვანელოს დღემდე არ დაუკარგავს თავისი ფუნქცია ქართულ ენაზე ძველი სომხური ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეში.

ნიკო მარი

(1864-1934)

ლეონ მელიქსეთ-ბეგის მეცნიერულ მემკვიდრეობის ორგანული ნაწილია პირადი და სამეცნიერო თანამშრომლობა ნიკო მართან. იგი განსაკუთრებით პატივს სცემდა ნ. მარს და სტუდენტობიდანვე მისი მიმღევი იყო. აღრიდანვე ეწეოდა ნ. მარის მემკვიდრეობის მეცნიერულ და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პოპულარიზაციას. ნ. მარის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის იუბილეს მიუძღვნა 1913 წელს სტატია „Яфетическая теория в лингвистике“ („Тифлисский листок“, №612), რომელიც ამავე წელს წიგნადაც გამოსცა ოლესაში. ამავე გა-

ზეთში (№288) გამოაქვეყნა ახალგაზრდა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა რეცენზია ნ. მარის ნაშრომზე — “Халдская клинообразная надпись из села Леска Ванского округа”. 1917 წელს დაბეჭდა რეცენზია ნ. მარის ნაშრომზე — “Непечатый источник истории Кавказского мира” (“Изв. Акад. наук, 1917, №5, стр. 307) და მრავალი სხვა, რომლებშიც წარმოჩენილია ნ. მარის დამსახურება ამა თუ იმ მეცნიერული პრობლემის დასმასა და გადაჭრაში.

თბილისში 1926 წელს გამოვიდა ლეონ მელიქსეთ-ბეგის ნაშრომი — “Академик Н. Я. Марр. Яфетическая теория и перечень работ его, появившихся в печати со времени Октябрьской революции до 1925 г. вкл.” ნ. მარმა იაფეტური თეორია 1908 წელს დაიწყო, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი, — როცა პეტერბურგში გამოსცა კაპიტალური ნაშრომი — “Основные таблицы к “Грамматике древнегрузинского языка” с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими”. მასში მან გაატარა იდეა, რომელიც პირველად წამოაყენა სტუდენტობის დროს და დაბეჭდა „ივერიაში“ — „ბუნება და თვისება ქართულისა ენის ნათესაობა ქართული ენისა სემიტურთან“ (1888, №86).

ლეონ მელიქსეთ-ბეგს აღნიშნულ ნაშრომებში მოცემული აქვს სქემა — როგორ ჩამოაყალიბა ნ. მარმა ეტაპობრივად იაფეტური თეორია ენათმეცნიერებაში. ამ თეორიას საფუძვლად დაუდო ნოეს შვილების — სემის, ქამის და იაფეტის სახელები. აქედან მოდის — სემიტური, ჰამიტური და იაფეტური ენების სახელწოდებანი. ამავე წიგნში აქვს მოცემული ნ. მარის სამეცნიერო შრომების 1918-1925 წ.წ. ბიბლიოგრაფია.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ეკუთვნის ნაშრომი — „ნ. მარი და მატერიალური კულტურის ისტორია“ (თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1940, ტ. XVI, გვ. 112). განიხილავს რა ნ. მარის მეცნიერულ მოღვაწეობას მატერიალურ კულტურის ისტორიის დარგში, ლეონ მელიქსეთ-ბეგი მართებულად აღნიშნავს: ამ დარგში ნ. მარმა მოღვაწეობა დაიწყო მაშინ, როცა ფაქტიურად არ არსებობდა არქეოლოგია და მისი მონათესავე დარგები. არქეოლოგია ნივთმცოდნეობას წარმოადგენდა და ემსახურებოდა ისტო-

რიული პროცესის მთლიან გაგებას.

პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნ. მარი 1890 წელს პირველად ჩავიდა სომხეთში, რათა შეესწავლა ეჯიმიანიანის და სევანის მონასტრებში დაცული შუა საუკუნეების სომხური ხელნაწერები. მას მოუწაბლეს IX-X საუკუნეების სომხეთის დედაქალაქი — ანისის ნანგრევები, რომელსაც გრანდიოზული შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე. ამის შესახებ ნ. მარის „ავტობიოგრაფიიდან“ ვგებულობთ — „ისტორიულ-ლიტერატურული ინტერესი სომხეთში მუშაობისა შეცვლილი იქნა ისტორიულ-არქეოლოგიური ინტერესებით, რომლებმაც ნიადაგი მოიპოვეს სომხეთის საშუალო საუკუნეთა ნაქალაქე ანისის გათხრებში, რამდენადაც მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის ყველა ერის შესწავლისათვის, თუმცა თავდაპირველად ციხე და მისი ძირითადი მოსახლეობა სომხური იყო... ანისშივე შექმნილი იქნა ლაბორატორია კავკასიის სიძველეთა შესასწავლად“ (ყურ. „ქართული მწერლობა“, 1927, №6-7, გვ. 217). შემდეგ მოტანილია ქრონოლოგიური მონაცემები რუსეთის საარქეოლოგიო კომისიის დავალებით ნ. მარის მიერ ანისში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ: 1892-1893 წლებში გათხრებს საცდელი ხასიათი ჰქონდა. 1904 წლიდან 1907 წლამდე მიმდინარეობდა სისტემატიური მუშაობა. ლეონ მელიქსეთ-ბეგი ერთ სამწუხარო ფაქტს სინანულით აღნიშნავს: ამ წლების განმავლობაში ანისს და მის მიდამოებში მოპოვებული მასალა — ძველი ხელნაწერები, ბეჭდვითი მასალა, ნახაზები, სურათები, დღიურები უკვალოდ დაიკარგა 1917 წელს არმავირსა და ბაქოს შორის, როცა მატარებლით პეტერბურგიდან თბილისში გადმოჰქონდათ. აგრეთვე გაიძარცვა 1918 წელს სამოქალაქო არეულობის დროს ანისის მუზეუმის კოლექციები. მაგრამ რაც შემთხვევით გადარჩა ან რის გამოცემაც მოასწრეს ნ. მარმა და მისმა მოწაფეებმა, მოწმობს, თუ რა დიდი შედეგი მოჰყვა ანისის არქეოლოგიურ გათხრებს მეცნიერული თვალსაზრისით, — აღნიშნავს იგი. ამის გამო იყო, რომ ვ. ბარტოლდის და ი. სმირნოვის წარდგინებით ნ. მარი დაჯილდოვდა რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოების მიერ ალ. უვაროვის სახელობის ოქროს მედლით (1916 წ.).

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ანისის არქეოლოგიური გათხრების შედეგები და

მნიშვნელობა ასე აქვს ჩამოყალიბებულ:

1) სომეხთა ტრადიციული კონსტრუქცია ანისის ისტორიისა ჩაიფუშა და, სამაგიეროდ, გამოირკვა იმავე ანისის საერთაშორისო კულტურული ისტორია მისი უაღრესად განვითარების ეპოქაში (X-XIII ს.ს.) რეალური ჩარჩოები და რეალური შეფასებაც მიიღო;

2) სრული სიბნელიდან მოგვევლინა ახალი ეპოქები სახუროთმოძღვრო ძეგლებითა და ნივთიერი კულტურის ნაშთებითაც X საუკუნიდან XV-მდე და უფრო ადრინდელი დროისაც VIII-VII საუკუნეებამდე ქრ. წ. (საქრისტიანო და საწარმართო დროის ძეგლები);

3) იმის წყალობით, რომ გათხრებმა სულ ახალი და ახალი, უაღრესად მნიშვნელოვანი წარწერები აღმოაჩინეს სომხურ, სპარსულ, არამეულ, ქართულსა და ბერძნულ ენებზე, როგორც სომხეთისა და საქართველოს ისტორიამ, ისე მონღოლთა, სპარსეთისა და ბიზანტიის ისტორიამაც ახალი მასალა შეიძინა თავისი ხელახლა გაშუქებისათვის;

4) ანისის ეპიგრაფიკულმა აღმოჩენებმა თავისი ახალი ცნობებით წამოაყენა საკითხი საშუალო საუკუნეთა სამოქალაქო ცხოვრების რეკონსტრუქციის შესახებ წინა ზიანში, ხოლო ანისის ნივთიერმა აღმოჩენებმა მოგვცა უხვი მასალა სამოქალაქო მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების აღსადგენად. ამავე აღმოსავლეთში, რამდენადაც ანისის უტილიტარულმა ნაგებობებმა, როგორცაა ხიდეები, აბანოები, ქარვასლები, წყალსადენები და სხვ. ნათლად გააშუქეს საშუალო საუკუნეთა ქალაქის სტრუქტურა აღმოსავლეთშივე;

5) აღმოჩენილ იქნა ახალი მასალები ხელოსნობასა და გამოყენებითი ხელოვნების შესახებ;

6) ანისის არქეოლოგიური მასალების თეორიულმა გადამუშავებამ გამოაშკარავა საერო ხუროთმოძღვრების არსებობა და მუსლიმანური ხელოვნების ზეგავლენა ნაციონალურ-ქრისტიანულზე — სომხურსა და ქართულზე. მანვე წამოაყენა საკითხი ადგილობრივი კულტურის პრექრისტიანული საფუძვლების შესახებ და სხვა.

ბ. მარმა ანისის შესახებ დაწერილ მთავარ ნაშრომში⁶² გამოთქვა მოზარება იმის შესახებ, რომ ანისი შინაგანი სოციალური და ეკონომიური

წინააღმდეგობის და ბრძოლის შედეგად დაეცა და არა თურქების შემოსევის გამო. ეს ღებულება სომეხმა შოვინისტურმა წრეებმა ეროვნულ შეურაცხყოფად მიიღეს და ნ. მარის მიმართ მტრულად განეწყვენენ. ამის შედეგი იყო ის, რომ 1914 წლის ანისის არქეოლოგიურ გათხრებში ნ. მარი იძულებული გახდა არ მიეღო მონაწილეობა.

ნ. მარმა 1914 წელს ანისის გათხრებში მონაწილეობა რომ ვერ მიიღო, გარდა ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ აღნიშნული მიზეზისა იყო სხვაც. სომხურ პრესაში (1913 წ.) ზოგიერთმა ნაციონალისტმა სომეხმა მოღვაწემ ნ. მარი დაადანაშაულა მის მიერ ანისში ქართული წარწერების აღმოჩენის გამო. ამ „ბრალდებით“ გულნატკენი ნ. მარი 1913 წლის 13 დეკემბერს ექ. თაყაიშვილს წერდა: „...სხვა, ძმაო, ცუდად არის ჩემი სურვილების საქმე, სომეხებმა იმდენი ლაფი დამასხეს თავზე, რომ რახსი ვერ გამრეცხს. და რამდენი სისხლი გამიფუჭეს, მათ სინდისს მოეკითხოს. სიბერემდე ქართველებმა მაგინეთ, მაგრამ ასეთი უნამუსო და დაჟინებული სიცრუით გაყლენთილი ავაზაკური დატაკება არც მაშინ მინახავს. მე ზომ ხმას არ ვიღებ და ჩემი მომხრენი და თანამგრძობნი (ამბობენ, არიან) ან განაბულან და ან ისეთი კილოით მამართლებენ (ორიოდე), თითქო დასტურ რამე დანაშაული მიმიძღვოდეს. მეზიზღება ამ საგანზე წერა, და დაკითხვას შენსას ამიტომ არავითარი პასუხი არ გავეცი, კმარა, რომ მე სიკვდილი მომინდომეს თურმე და არჩევდნენ, თუ სად გამათავონ ანისში თუ ანისის და ალექსანდრაპოლს შორის. კმარა, რომ სომხების პრესის გამოლაშქრებისაგან პირველ დამიცვა “Русское Знамя”-მ. კიდევ იუბილეზე მეკითხები. ჩემი იუბილე პანაშვიდზე იქნება, მაშინ სომხების იგი დარგი, რომელიც ჭორებით ჩემი სახელის გატეხვას ფიქრობს, დადუმდება და მეორე დარგი ხმას ამოიღებს, ჩემი ზრით, ამოებათა ამოებაჲ“ (ნ. მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარი დაურთეს რ. კავილაძემ და მ. მამაცაშვილმა, თბილისი, 1991, გვ. 264). ნ. მარი დაიცვა რუსულმა გაზეთმა “Русское Знамя” (1913, №240. - “Культурность прогрессивных армян (Веда)”. ამ წერილში აღნიშნულია — „ნ. მარმა ანისის ნანგრევების შესწავლის დროს აღმოაჩინა ძველი ტაძარი და შეისწავლა წარწერები. ამ

მეცნიერის აზრით, რაც აქ აღმოჩნდა, საქართველოს ეკუთვნის. როგორ ფიქრობთ, — კითხულობს ავტორი, — რა მოუტანა აქ აღმოჩენამ ნ. მარს? მას სომხეთის ყველა ქალაქში ბოიკოტი გამოუცხადეს, წაართვეს მუშები, იარაღები, ჩამოართვეს ყველაფერი და საჭმელზეც კი უარი უთხრეს. მის წინაშე დაიხურა ყველა სასტუმროს კარები, ისე რომ ღიდის გაჭირვებით ძლივს ჩააღწია თბილისში. „აი, ესეც თქვენი კულტუროსანი სომხეთი, — წერს ავტორი. ნ. მარს რომ მოეტყუებია ყველა და ქართული წარწერები სომხურად გამოეცხადებინა, „განათლებულნი“ ქალაქის თავი ხატისოვი მის საპატივსაცემოდ ბრწყინვალე სიტყვას წარმოთქვამდა.“ ამ ფაქტთან დაკავშირებით კ. კეკელიძე ნ. მარს წერდა: „აქ ბევრს აინტერესებს, რას გერჩოდნენ სომხები? მოგილოცავ გადარჩენას.“ პროფ. ი. მეგრელიძე იგონებს: „ამ ფაქტთან დაკავშირებით ბატონმა ნიკომ პირადად მე მითხრა, ხიფათიდან გადამარჩინა გათხრების მონაწილე ჩემმა ქურთმა მუშამ, წამომიყვანა და სანამ მატარებელში არ ჩამსვა არ მიმატოვაო“ („ანგარიში ვაძლიოთ ერთმანეთს“. — გაზ. „თბილისი“, 1991, 2 სექტემბერი).

ზოგიერთი სომეხი მოღვაწის ნ. მარის წინააღმდეგ აღნიშნულმა უსაფუძვლო გალაშქრებამ გამოძახილი ვერ ჰპოვა სომეხ ხალხში. ნ. მარის პოპულარობა განუზომელი იყო და არის სომხეთში. ამის შესახებ ქვემოთ.

სომხეთის უძველეს ქალაქ გარნისში და ირან-არაბეთის ბატონობის დროინდელ სომხეთის ქალაქ ღვინში ნ. მარის მიერ ჩატარებულ არქეოლოგიური გათხრების შედეგებზე (1892 წ., 1909-1910 წ.წ.) ლაპარაკობს რა ლეონ მელიქსეთ-ბეგი, ზემოხსენებულ ნაშრომში მიუთითებს — გარნისში ნაპოვნ ანტიკურ ელინურ-რომაული სტილის ძეგლზე (I-III ს. ჩ. წ. აღი). ამ ძეგლს ღიდი მნიშვნელობა აქვს ნაქალაქევის და საერთოდ, დასავლეთ საქართველოს სიძველეთა წინაბიზანტიური ფენის გასარკვევად.

ნ. მარის დამსახურებად ითვლება ანისის მუზეუმის შექმნა, თავისი ბიბლიოთეკით და გამომცემლობით. ეს მუზეუმი გახდა საფუძველი კავკასიის საისტორიო-საარქეოლოგიო ინსტიტუტის შექმნისა თბილისში (1917 წ.). ამ ინსტიტუტმა რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება, ბოლოს კი დაერქვა ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი და მიენიჭა ნ. მარის სახელი — ენიმკი. ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავს რა ნ. მარის

ღვაწლს მატერიალური კულტურის დარგში, წერს: „ანისის ლაბორატორიის ნიადაგზე მოხდა ის, რომ შემუშავებული იქნა ახალი ჩვევები გათხრით არქეოლოგიაში, ახალი პრინციპები ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის საქმეში, რომელიც, სხვათა შორის, საუცხოოდ განავითარა და დააზუსტა ი. ორბელმა, ხოლო შესანიშნავად გამოიყენა ქართული და სომხური ძეგლების მიმართ პროფ. გ. ჩუბინაშვილმა.“

განუსაზღვრელია ნ. მარის ამაგი მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის შექმნის საქმეში.

ნ. მარმა არქეოლოგიური გათხრების დროს 1906 წელს ქალაქ ანისში აღმოაჩინა სომეხთა მეფის გაგიკ I-ის (XI) ტაძარი. ტაძარი წმ. გრიგოლ განმანათლებლის სახელზეა აგებული სომეხთა ქალკედონისტ კათალიკოს ნერსეს III იშხნელის მიერ. ეს საკულტო ნაგებობა იყო სამიარუსიანი მრგვალი ტაძრის ტიპის და გახლდათ განმეორება ზეართნოცის სომეხეთში და ბანასი ტაოში. ნ. მარის ჯრით, სამივე აშენებულია საქართველოსა და სომეხეთში ქალკედონისტური აღმსარებლობის გავრცელების ხანაში. ამ ტაძრის ნანგრევებიდან 4 მეტრის დაშორებით ჩრდილოეთ მხარეს იპოვნეს მეფე გაგიკ I-ის 2,62 მეტრის სიმაღლის ქანდაკება, ხელში მრგვალი ტაძრის ფორმის მოდელით. 1918 წელს ანისის მუზეუმის ევაკუაციის დროს, როცა თურქები შეესივნენ ანისს, ეს ქანდაკება დაიკარგა. ასე ითვლებოდა დღემდე. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, არქეოლოგმა გიორგი ქავთარაძემ 1994 წელს, იელისის თვეში ერზერუმის მუზეუმში ნახა ეს ძეგლი, საკმაოდ დავიანებული სახით. ამის შესახებ გამოაქვეყნა წერილები რუსულ და სომხურ პრესაში.⁶³

ნ. მარმა წამოაყენა დებულება — არქეოლოგიური ძეგლები მარტო ფორმით კი არ უნდა იქნეს შესწავლილი, არამედ შინაარსითაც, რამდენადაც ამის გარკვევა შეიძლება ენობრივი მასალით. ამით ნ. მარმა არქეოლოგიურ ძეგლებს ისტორიული წყაროს მნიშვნელობა მიანიჭა, რადგან ეს ნაშთები საზოგადოების წარსულის მოწმეებია, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

ნ. მარის მოღვაწეობა მატერიალური ძეგლების ისტორიისა და მეცნიერული ორგანიზაციის საქმეში ფასდაუდებელია და მისი სრულად ჩა-

მოთვლა ძირითად თემას დაგვაშორებს. ერთს კი აღვნიშნავ — ნ. მარის არქეოლოგიური მუშაობა სომეხმა ხალხმა ისე გაითავისა, რომ მისი გვარი საზოგადო სახელად და არქეოლოგის სინონიმად იქცა სომხეთში: “Во время наших работ 1930 г. на северном склоне Арагаца (Алагеза) мы встретили непонятный для нас термин “мар”, которым местные жители называли археологов, работавших в этом районе. Нас также называли “марами”, и когда мы пытались получить разъяснение этого термина, то один пожилой крестьянин нам указал, что “молодые путают” и что “мар” это имя ученого, который сюда раньше приезжал. Оказывается, что нарицательное имя для археологов произошло от фамилии Н. М. Марра, работавшего в этом районе в 1898 г.” — აკად. პიოტროვსკის ეს სიტყვები, რომელიც ლეონ მელიქსეთ-ბეგსაც აქვს მოტანილი ხსენებულ ნაშრომში („ნ. მარი და მატერიალური კულტურის ისტორია“, გვ. 121), ცხადყოფს ნ. მარის უზომო პოპულარობას სომხეთში. ამასთან დაკავშირებით ერთი შემთხვევა მახსენდება. გასული საუკუნის 60-იან წლებში ერთ-ერთ სამეცნიერო მივლინების დროს სომხეთში მოგზავდი წვეულებაზე. სუფრაზე თავმოყრილი იყო საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, მათ შორის ინტელიგენციისაც. ნ. მარზე ჩამოვარდა საუბარი, ყველამ გულთბილად და სიამაყით მოიხსენია მისი სახელი. მეც ჩემი ვთქვი და ბოლოს დავძინე — ნ. მარი ქართველი კაცი იყო და დიდი ამაგი დასდო სომეხი ხალხის წარსულის შესწავლას-მეთქი. ჯერ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, მერე ერთმა პედაგოგმა მომახალა — მარი ქართველი კი არა, სომეხი იყო. მას სხვებმაც აუბეს მხარი. ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერაინ დავაჯერე მარის არასომხობაში. აი, როგორ არის ჩამჯდარი სომეხი კაცის ცნობიერებაში ნ. მარი!

სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცულია ნ. მარის შრომის (“Яфетическая теория. Общий курс учения об языке”) ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ შესრულებული ქართული თარგმანი. იგი შეიცავს 387 გვერდს და აკინძულია ორ ტომად. იქვეა მიმოწერა ნ. მარის შრომების ქართულ ენაზე გამოცემის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარესთან გ. ახვლე-

ლიანთან. თარგმანი შესრულებულია 1949-1950 წლებში.

ბ. მარის და ლეონ მელიქსეთ-ბეგის პირადი და მეცნიერული ურთიერთობის საინტერესო მხარეა ლეონ მელიქსეთ-ბეგის არქივში დაცული ბ. მარის წერილები.⁶⁴ სანიმუშოდ მოვიტანთ რამდენიმე მათგანს.

Многоуважаемый А. М.,

Ваше письмо, к сожалению, попало слишком поздно, чтобы использовать его в отчет. уже 1-м вып. III-го т. ХВ, теперь уже вышедшем. Теперь материал будет использоваться, как дополнение и испр. (...) 2-го вып. III тома, где он уже набран вместе с Вашими вновь присланными заметками. Копируйте Вашу аккур. перенос. заметок, при том мелких и немедленно печатающихся, нет нужды пересылать. Конечно, сожалею, что в греч. тексте проскочили опет. (...) внесло (...) и (...) последовал ударению, исправил, оказывается (...). Засим в переводах у Вас не все ладно, Вам надо не только груз., но и арм. (...) еще переработать.

Вы (...) отнесли не туда и получила (...) мысль (...). Это все будет исправлено в Ваших дополнениях, заметках.

В новых заметках груз. переводы (...), хотя и (...) удержал в примечаниях и рядом также неточным перев. Врозда. Все будет, по возможности, аккуратно и тщательно изучено. Насчет (...) я где-то в более древнем, чем XV век (...) отгукнул и не пазожу. Очень интересна Ваша заметка о (...). Я кое-что в примечаниях еще подбавил. Если не получаете ХВ или же отг. (...) своевременно сообщите.

*Преданный Н. Марр
Петроград-9752, 14.10.12*

P.S. Кажется, я вторично Вам пишу, все-таки (...). За Ницуду спасибо.

Петроград, 18.1.13г.

Многоуважаемый Л. М., сегодня, 13-го января в 7 ч. вечера получили две работы Ваши при письме Вашем от 28 января; это быстрее, чем письма членов института, но все-таки напоминаете одно ироническое замечание покойного. Ем. Тезеи, по поводу позднего (или вовсе не использованного московским членом-археологом издания Харьковского. Быстро же двигается погн в России. Он не мог предвидеть, что теперь я очень ценю Вашей (...) помощь общему делу в эти часы нашего морального испытания. Да и семейные, и личные, и общегород. горя готовы сдвинуть горло до удивления. Нервы напряжены, и уверенность лишь в научной работе, уверенность еще большее, что, кроме личной работы, есть живые души, оставшиеся верны ст-цу научного искания, чужие республики. Конечно, абстрактно ни науки не сомневаюсь, "что не на науку и не от науки сплетет", но от того не легче душе, заключенной в ней.

1) "Историю" сейчас пишу в печать;

2) "Арм. Право" поставлю в очередь.

Вишел 1-ий вып. VI-го т. XV. Из Ваших заметок помещены:

а) к этим назв. "Мух" и "Цист";

б) Фик. С. брата;

в) несколько слов о т. "Сомех".

г) не в. (...)

стр. 90-95

Что пишете, все приятно к сведению.

Всего хорошего. Авось переживем.

Преданный Н. Марр

Мфрис

Л. М. Меликсет-Бекочу
ул. Петра Великого, д. 8

Канцелярия Закавказ. Комиссариата
Многоуважаемый сотрудник!

Ваши недавние работы внушили мне мысль, что Вы могли бы исполнить одну весьма нужную, хотя и по объему небольшую работу: издать груз. версию сказания о поэте Аладаог-е (ადლაოგოე и т.п.) по всем или по главнейшим (...). Есть груз. версия, но пока достаточно сделать груз. часть. Если захотите с переводом, тогда в примечаниях можно указывать разночтения груз. версии, но можно этого и не делать. Интерес этого сказания не в психологическом, конечно, его плане, а в наличии в нем языческих переживаний, очень интересных, но надо иметь издание.

3 апреля 1915 г.

Петроград, 15.3.4.

(...) прошу ответ дать мне в Тифлисе, где я буду приблизительно 10-12 июня, или приехать в Ани.

В Тифлисе было бы желательнее встретиться, так как, если бы Вы взяли за работу, к тому времени у Вас были бы вопросы, и мы обсудили бы.

Преданный Вам Н. Марр.

Петроград, 20 мая 1915 г.

Дорогой сотрудник! Прочитал я Вашу работу и отправил для набора в ХВ, почти ничего не изменял. Статья интересна. Мне, однако, кажется, что некоторые переходные фразы могли бы быть яснее. В научном труде ничего (даже слова, даже частицы) не должно быть лишнего. Это, впрочем, относится к будущему, эта работа появится в том виде, в каком Вы ее издали.

У меня к Вам просьба: смерть Н. Н. Михонова, моего сотрудника от археол., работал он и по груз. языку, меня страшно огорчила. Набрал несколько столбцов к памяти его, и хотелось бы дать

в них о нем представление Кавк. публике, напечатан в "Кавказе", если же получится - в "Кавказском слове", если и там мало интересуются Кавказом - в "Тифлисском листке", а когда и здесь затруднятся, пришлите обратно рукопись по адресу: (...) Александрополь. Ак. Н. Марр (в городище Ани)". Не отказом считаю, если статья будет напечатана а) в юбилейные дни, б) без урезки, в) с обязательством прислать мне 12 экземпляров номера или номеров, в которых она будет напечатана.

О гонимых, покаянно, речи не может быть, если бы даже вздумали о том спросить.

Заранее извиняюсь за беспокойство, я готов несколько пренебречь его, если Вы не откажетесь, с согласия редакции, прокорректировать. О результатах не оставьте уведомить.

Преданный Н. Марр.
Городище Ани. 15.6.20

Многоуважаемый сотрудник!

Очень Вы, должно быть, были удивлены, что не получили просимой книги долго, но Мидне и в Петербурге редкая птица, и с трудом рассылается с этим изданием. Теперь, должно быть, они получены. Хотел Вам выслать "О (...) православной Восточной церкви" И. Матвеева (Москва, 1887), но по всей вероятности, книжка сия у Вас есть!

Преданный Вам Н. Марр
15.11.23

С 15 дек. по янв. 15 думаю быть на юге (у герк. или абазов).

Дорогой Леон Меликсет-бекович,

Спасибо за присыл. пакки брошюр и газет, ваших работ или с нашими работами, (...) статьями. Особо благодарю за справедливое, от этого думаю несколько научно не пониженное, отношение к труду Д.

И. Тулия "История Абхазии" Именно в виду (вроде, я, кажется, и говорил Вам об этом) приемности труда, что я ставил ему условия озглавить его не "История Абхазии", а "Материалы по... и т.д.", или "для...".

Что касается недовольства членов Института напечатанными кандидатами, меня удивляет нереальность этого недовольства:

1) кандидаты были напечатаны при Вас в условиях, как Вам известно, не терпевших отлагательства: требовалось или назвать, как уже работников Института, с вечера к утру, или лишиться соответствующих мест.

2) очень жалко, что своевременно Институтом не был осведомлен о новом настроении Института иметь членов, физически связанных с тем или другим районом и способных в той или иной мере знанием природным соответственных языков содействовать упрочению связи Института с местами. Конечно, такой приток новых сил и энергии был бы более по душе, особенно при известной высоте научной подготовки, что Вам легче заметить.

3) если не поздно, я постараюсь соответственно возбудить ходатайство, но желательно бы иметь мотивированное без умолчания действительных оснований заявление Института для отвода напечатанных и для предложения новых кандидатов.

Жена благодарит за память.

Преданный Н. Марр.

24 окт. 1925 г.

Ленинград.

Уважаемый г. Меликсет-Бекон,

1) за работы благодарю. Получил их своевременно,

2) О Вишанах: сдается в печать (текст сдан уже, вскоре сдать и предисловие). Но моя работа печатается без изменений, как была прогитана в Археологическом Обществе. Новое будет только пре-

дисловие, но кратко. Так упомяну лишь о факте открытия Вами новых вишанов в Грузии (к сожалению, точной выписки у меня нет). С работой о вишанах, однако, дело осложняется новым (настоящего лета) продвижением яфетидологии, что заставляет выделиться в особую работу проблему о тотемической связи вишаном других зверей или вишана другими животными, равно стеной космическими телами и человеком. Но об этом особо.

С приветом Н. Марр
8 дек. 1930 г.

Дорогой сотрудник!

Прямого признателя за хлопоты и прекрасное появление в газете, благодаря Вашим стараниям, моих строк о безвременно погибшем Михокове.

С удовольствием прочитал Вашу рецензию на СМ; очень приятно с печатанием статей Ди (...) с такими данными.

Особенно благодарен за мелочи, но весьма важные: Имеретия, Сванетия. Есть ли у Вас моя заметка об (...)? (так, к слову).

Не знаю также, получили ли отд. оттиски из "Кавк. культ. мир и Артемия". Должны были выслать Вам. Если нет, пошлю отсюда, кажется, найдется лишний экз.!

У меня, и у жены к Вам частная просьба. Сын наш Володя, шик. 5 класса (Вы видели его), должен раньше выехать, не может ли Вас утратить и попросить купить для него забронированно плацкарты 3-го класса от Тифлиса до Петрограда (билеты будут взяты от Ани). Нам важно знать, есть ли в 3-ем классе плацкарты (в (...) поезде).

Если есть и Вам возможно будет исполнить это поручение, изложите открыткой, и тогда мы заранее сообщим о дне, спишется.

Преданный Вам Н. Марр⁶⁵

ჩვენ მიმოვიხილეთ ლეონ მელიქსეთ-ბეგის ნაშრომები ნ. მარის მეცნიერული მემკვიდრეობის შესახებ. ეს მიმოხილვა სრული არ არის და ამის პრეტენზია არც გვაქონია, მაგრამ მკითხველი უსათუოდ შენიშნავს, თუ რა აქტიურ მეცნიერულ პოპულარიზაციას უწევდა ლეონ მელიქსეთ-ბეგი მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის მემკვიდრეობას.

ივანე ჯავახიშვილი

(1876-1940)

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ცნობილი მეცნიერებიდან ყველაზე გამორჩეულად პატივს სცემდა, მოწიწებით იხსენიებდა ლეონ მელიქსეთ-ბეგი ქართული ისტორიული მეცნიერების მესაძირკვეს და ქართული უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორს დიდ ივანე ჯავახიშვილს. ლეონ მელიქსეთ-ბეგი თბილისის უნივერსიტეტის დაარსებამდე იცნობდა ივ. ჯავახიშვილს. ისინი ერთმანეთს ზედებოდნენ საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომებზე. ამ საზოგადოების წევრი იყო ლეონ მელიქსეთ-ბეგი 1913 წლის 2 ივლისიდან. ეს ნაცნობობა საღმით ამოიწურებოდა. მათ შორის ნამდვილი კეთილი და საქმიანი ურთიერთობა დამყარდა მას შემდეგ, როცა ივ. ჯავახიშვილმა იგი მიიწვია ქართულ უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად.

ასეთმა პირადმა ურთიერთპატივისცემამ განსაზღვრა მათი მეცნიერული თანამშრომლობა. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა სომხურად თარგმნა ივ. ჯავახიშვილის ნაშრომები — „გლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი სომხეთში“, „უთანხმოება და ბრძოლა საეკლესიო მისაცემლების გამო ანისის ქართველთა და ქალკედონიან სომეხთა მრევლსა და სამღვდელოებას შორის“. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ამ ნაშრომთა სომხურ თარგმანს ასეთი სახელწოდება მისცა — „მასალები სომხეთში სოციალური მოძრაობათა ისტორიისათვის X და XII სს.“ ეს პატარა წიგნი ოპერატიულად გამოუციათ ერევანში. არქივში დაცულია ამ წიგნაკის ერთი ცალი ივ. ჯავახიშვილის ავტოგრაფით — „ღრმად პატივცემულ ლ. მელიქსეთ-ბეგს დიდი მადლობით, ივ. ჯავახიშვილისაგან, 1937, 26.IV“. ავტოგრაფის გვერდით არის ლეონ მელიქსეთ-ბეგის მინაწერი — „ეს არის ყვე-

ლაზე ძვირფასი რელიქვია ჩემს ბიბლიოთეკა-არქივში“.

შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებით, ლეონ მელიქსეთ-ბეგთან კერძო საუბარში ბ-ნ ივანეს უთქვამს, რომ მას ხელთ არ აქვს ნ. მარის მიერ ანისში აღმოჩენილი ეტიფანე ქართველთა კათალიკოსის (1218 წ.) წარწერის (XIII ს.) ფოტო. ეს ფოტო ჰქონია ლეონ მელიქსეთ-ბეგს. „მეორე დღეს ლენკო ვახტანგის ძე მუსხელიშვილის ხელით ეტიფანეს ქართული წარწერა გავუგზავნე ივანეს და ეს წარწერა გადიდებული სახით წარმოდგენილი იქნა გამოფენაზე. სამაგიეროდ, ივანემ მე გამომიგზავნა საკმადინის წარწერა და მისი გამოცემაც მე მომანდო“, — იგონებს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.⁶⁶

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა 1958 წელს გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი ნაშრომი — „აკად. ივ. ჯავახიშვილი და არმენოლოგია“ (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III). ეს ნაშრომი არის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა ივ. ჯავახიშვილის არმენოლოგიური ნაშრომებისა. მასში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემულია ყველა იმ ნაშრომთა ძირითადი შინაარსი, რომელიც ამა თუ იმ კუთხით სომხეთის ისტორიის და მწერლობის საკითხებს შეეხება. ყურადსაღები ფაქტია ის, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ივ. ჯავახიშვილმა სამაგისტრო ზეპირი გამოცდების ჩაბარების შემდეგ საცდელი ლექციის თემად აიღო — „გლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში“. თბილისის უნივერსიტეტის არსებობის პირველ წლებში ივ. ჯავახიშვილი კითხულობდა სპეციალურ კურსს — „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“. შემდეგ ეს ლექციები ცალკე წიგნად გამოვიდა 1935 წელს. ლეონ მელიქსეთ-ბეგს მოაქვს შემდეგი ცნობა: ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე არაერთი სომეხი მეცნიერის ოფიციალურ ოპონენტად გამოსულა (მესროპ ტერ-მოვსესიანის — “История перевода Библии на армянский язык (СПБ, 1902), პროფ. გ. ხალათიანცის — “Армянские Аршакиды в “Истории Армении” Моисея Хоренского” (М. 1903), პრ-იატ-დოცენტ ნ. აღონცის — “Армения в эпоху Юстиниана” (СПБ, 1908) და სხვ.).

აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი საკამათო სიტყვით გამოვიდა ცნობილი სომეხი ენათმეცნიერის, აკად. არარატ ღარიბიანის სადოქტორო დისერტაციის დაცვის დროს თბილისის უნივერსიტეტში. თემის სახელწოდება იყო — „სომხური ენის უცნობი დიალექტები“ (1940 წ.)⁶⁷

ამ გამოსვლიდან ჩანს, ივ. ჯავახიშვილმა ისე კარგად იცოდა სომხური ენა (ძველი და ახალი), რომ ამ ენის მრავალრიცხოვანი დიალექტების შესახებ გამართულ სამეცნიერო კამათში მიიღო მონაწილეობა და თავისი მეცნიერული აზრი გამოთქვა მათ შესახებ.

ივ. ჯავახიშვილს სამაგისტრო თემაც არმენოლოგიის სფეროდან ჰქონდა. ეს იყო — „საქართველოს და სომხეთის სახელმწიფო წყობილება“ (1905 წ.), — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი ხსენებულ ნაშრომში. პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე პრივატ-დოცენტად ყოფნის დროს, როცა ივ. ჯავახიშვილი კითხულობდა ლექციებს ქართველოლოგიურ საკითხებზე, მან სტუდენტობას დაწერილებით გააცნო აგრეთვე „ანისის საქალაქო ორგანიზაცია წარწერების მიხედვით“.

ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა და გამოსაცემად მოამზადა ანისის ქართველთა ეკლესიის სამხრეთ კედლის ქართული წარწერა (1288 წ.). ამ წარწერის ფოტოსურათი მას მიაწოდა ნ. მარმა 1908-1909 წლებში. ამ წარწერასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილს 1911 წელს მოუნახულებია შირაკის (ბაგრატუნთან) სამეფოს დედაქალაქი ანისი და იქ მიმდინარე არქეოლოგიური გათხრები, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი განსაკუთრებით გამოყოფს ივ. ჯავახიშვილის ნაშრომს “Государственный строй древней Грузии и древней Армении” (1905 წ.). ივ. ჯავახიშვილი ამ ნაშრომში შეეხო ქართულ-სომხური ურთიერთობის მრავალ საინტერესო საკითხს. მაგ. სიტყვა „ტუნ“-ის (სახლი) მნიშვნელობას, როგორც საერთო ტერმინისას ტერიტორიალურ ერთეულთა გამოსახატავად. აგრეთვე განიხილა „ძორ“ (ხევი), „ამხარ“ და „ეკირ“ (სოფელი, ქვეყანა) და სხვა მნიშვნელოვანი ტერმინები.

ივ. ჯავახიშვილმა ამ ნაშრომში გაანალიზა შემდეგი საკითხები, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და ჩამოთვლის მათ:

„გვარი, გვაროვნული სისხლითი შურისძიება;

გვარის ორგანიზაცია, ტანუტერ (სამამასახლისო) ხელისუფლების მემკვიდრეობითი სისტემა;

ტახტის მემკვიდრეობითი სისტემა სამეფო საგვარეულოში და სამეფო ხელისუფლების წარმოშობა;

ტანუტერი (მამასახლისი) — მხარის მმართველი, ხელისუფლების ტერიტორიული საფუძველი;

„იშხნები“ (ერისთავები) და მათი ხელისუფლება;

მხედრობა და მისი ორგანიზაცია, სატანუტერო სიმაგრეები;

სატანუტერო ბეჭდები;

სიტყვა „სეპუჰ“-ის (ზეპური) მნიშვნელობა;

ნახარარები, აზატები და აზატის შვილები, რამიკები, ვოსტიკანები და მონები“ და სხვ.

შემდგომში, აღნიშნული საკითხების შესახებ მეცნიერთა მიერ გამოითქვა სხვადასხვა აზრი, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთში სახელისუფლო ორგანიზაციის შესახებ ძირითადად ძალაში დარჩა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს მოტანილი აქვს ივ. ჯავახიშვილის აზრი ქართული და სომხური ანბანის ურთიერთმიმართების შესახებ. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ასოთა რიგისა და მათი რიცხვითი მნიშვნელობის თვალსაჩინო, არსებითი განსხვავება ქართულსა და სომხურ ანბანში შეუძლებელია ყოფილიყო, მათი შემქმნელი რომ მართლაც ერთი და იგივე პირი ყოფილიყო, როგორც სომხურ მერმინდელ მწერლობაში კორიუნის გადამკეთებელნი ამტკიცებენ“ (გვ. 190).

ლეონ მელიქსეთ-ბეგი მიუთითებს, რომ ივ. ჯავახიშვილს ქართული ანბანის შედგენაზე ლაპარაკი V ს-ის დამდეგს გულუბრყვილოდ მიაჩნდა — „რამდენადაც კორიუნის თხზულების მამტოც-მესროპის ცხოვრების თავდაპირველ ტექსტში ცნობა მამტოც-მესროპისგან ქართული ანბანის გამოგონების შესახებ არც ყოფილა და მერმინდელ ჩანართს წარმოადგენს (ივ. ჯავახიშვილი — ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, 1926, გვ. 196).

ივ. ჯავახიშვილს სამართლიანად მიაჩნდა, რომ სომხური და ქართული

ანბანის შემქმნელი გინდა „ინსტრუქტორად“ მონათლული, შეუძლებელია ერთი და იგივე პიროვნება ყოფილიყო — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ ივ. ჯავახიშვილის შეხედულებების მოხმობას აღარ გაეაგრძელებ, რადგან სომეხი მეცნიერის პოზიცია ამ საკითხში ნათელია.

აქვე ვიტყვი — ივ. ჯავახიშვილი ქართული ანბანის შექმნას ვარაუდობდა VII ს-ში, ჩვ. წ. აღ-მდე. მისი აზრით, ქართული ანბანი ფინიკიურ ანბანის საფუძველზე უნდა იყოს შექმნილი.⁶⁸

ვფიქრობთ, არ იქნება ზედმეტი თუ გავიხსენებთ აქ ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ აღრეულ წლებში შექმნილ ნაშრომს — “Великий праздник армянской культуры” (Одесса, 1913). ეს არის მის მიერ წაკითხული მოხსენება ოდესის სომხური დიასპორას წინაშე 1913 წლის 31 მარტს. იგი მიძღვნილია სომხური ანბანის შექმნის 1500 წლის და სომხური წიგნის ბეჭდვის 400 წლის იუბილესადმი. მასში გადმოცემულია მესროპ-მამშტოცის მიერ სომხური ანბანის შექმნის ისტორია.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ამ ნაშრომში აღნიშნავს, რომ სომეხი მეცნიერები თავიანთ ძველ ისტორიკოსთა თხზულებებზე დაყრდნობით დაყენებით ამტკიცებენ, რომ ქართული ანბანი შექმნა მესროპ-მამშტოცმა, ხოლო ქართველი მეცნიერები კი — “...более всего из патриотического раздражения, отражают неправомерное с их точки зрения навязывание им армянами своего Месропа”.⁶⁹

ლეონ მელიქსეთ-ბეგს შეიძლება ითქვას ნეიტრალური პოზიცია ეკავა მესროპ-მამშტოცის მიერ ქართული ანბანის „შექმნის“ საკითხში. მაგრამ როცა გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფია („ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“, 1926), თანადგომით მოეკიდა ქართველი მეცნიერის მოსაზრებას ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ.

ივ. ჯავახიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის თბილისის უნივერსიტეტში არმენოლოგიის კათედრისა და ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში არმენოლოგიური კოლექციის შექმნის საქმეში. მას საფუძველად დაედო ის წიგნები, რომლებშიც ივ. ჯავახიშვილმა 1920 წელს კონსტანტინეპოლში ყოფნის დროს შეიძინა ბუკინისტებში. ეს არის იშვიათი გამოცემები და

საკმაოდ ბლომადაც არის წარმოდგენილი, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

ივ. ჯავახიშვილს თავის შრომებში გამოყენებული აქვს ძველი სომეხი ისტორიკოსების შრომებიდან შესაბამისი ადგილები. საერთოდ, ფართოდ იყენებდა მათ. ლეონ მელიქსეთ-ბეგს კონკრეტულად აქვს ჩამოთვლილი, რომელი სომეხი ისტორიკოსის ნაშრომი აქვს გამოყენებული ქართველ მეცნიერს. მაგალითად, ლეონ მელიქსეთ-ბეგი წერს: „სომხურ წყაროს, სახელდობრ თომა არწრუნს ეყრდნობა აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი ატენის სიონის ქართულ და სომხურ წარწერებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში — “К вопросу о времени построения грузинского храма в Атене по вновь обследованным эпиграфическим памятникам” (Хр. Восток, 1912, т. I, вып. 3, СПб, стр. 227). აქ არის გამოქვეყნებული, აგრეთვე, ატენის სიონის VII ს-ის სააღმშენებლო სომხური წარწერა თოდოსაკისა და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი შეეხო, ასევე, ივ. ჯავახიშვილის ნაშრომს “История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века”. იგი მას მიმოიხილავს თავების მიხედვით და ჩამოთვლის მასში განხილულ საკითხებს.

ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო ინტერესი სომხეთისადმი არ ამოიწურებოდა საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიით, სახელმწიფო სამართლის ისტორიით, სოციალური მოძრაობათა ისტორიით და ისტორიოგრაფია-წყაროთმცოდნეობით, არამედ იგი წვდებოდა საისტორიო გეოგრაფიის საკითხებსაც, რომლითაც XIX ს-ში დაინტერესებული იყვნენ ლ. ინჭიჭიანი, ლ. ალიშანი, ხოლო ჩვენ დროში — ი. მაკვარტი და ი. მანანდიანი, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და მოკლედ განიხილავს ივ. ჯავახიშვილის წიგნს „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ (თბილისი, 1919). ამის შემდეგ ლეონ მელიქსეთ-ბეგი ასევე მოკლედ ეხება სომეხი ისტორიკოსის ლეოს (არაქელ ბაბახანიანი) ანალოგიურ შინაარსის წიგნს „საზღვრების შესახებ დავა. ლორე — ახალქალაქი — ყარაბაღი“ (თბილისი, 1919, სომხ. ენაზე). ლეონ მელიქსეთ-ბეგი სომეხი მეცნიერის ამ ნაშრომის შესახებ შენიშნავს — ლეოს ნაშრომი ერთგვარ დაპირისპირებას წარმოადგენს იმისას, რაც ივ. ჯავა-

ხიშვილის მიერ ითქვა აღნიშნულ წიგნში „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“. ჩვენ ამ ორი წიგნის შესახებ 1928 წელს ეწერდით — „განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ორი მონოგრაფია, რომლებიც გამოვიდნენ თბილისში სრულიად დამოუკიდებლად ერთი მეორისაგან და ერთი მეორის საწინააღმდეგო დასკვნებით“ (გვ. 277), — წერდა ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

ეს მიმოხილვა გვსურს დავასრულოთ არქივში დაცული ივ. ჯავახიშვილის მიერ ლეონ მელიქსეთ-ბეგისადმი გაგზავნილი რამდენიმე წერილით:⁷⁰

დიდად პატივცემულო ბატონო ლეონ!

Marguard Ostasiatische und Westasiatische Streifzuge

Margnrd-ის წიგნი "Osbasa" (ვგონებ ამგვარი სათაური აქვს თუ არ ვცდები) ძალიან მჭირდება და სომხურ ეთნოგრაფ. საზოგადოების წიგნსაცავშია, რამდენადაც მახსოვს და ძალიან დამბავლებთ თუ ხვალ იმ წიგნს გამომიტანთ.

ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის.

თქვენი პატივისმცემელი ივ. ჯავახიშვილი.

შემდეგი წერილი უთარიღია:

სომხური „ქურულ“ ალბათ სპარსულ „ქურულ“-ს უნდა უდრიდეს, რაც ხუთას ათასს ნიშნავს. ალბათ ამ ცნობაში კონტრიბუციის გადახდაზე უნდა იყოს საუბარი და პირობა, ეტყობა 500000 სპარსული ფულით ნაწილ-ნაწილ გადახდის ვალდებულებას შეიცავდა: თვითეული შემოსატანი 500000 სპარს. ფულად იქმნებოდა განსაზღვრული. ეს შემდეგი ოფიციალური ცნობითაც მტკიცდება... თურქმანჩაის ზაეის პირობებით სპარსეთს 10 ქურური ოქროთი უნდა გადაეხადა ოფიციალურად, ანუ 10 ხუთას-ხუთასათასიანი, რაც 500000 ოქროს შეადგენდა. აქედან 4 ქურური სპარსეთმა რუსეთის ჯარის, ჯერ კიდევ სპარსეთში ყოფნის დროსვე გადაიხადა. მეშვიდე ქურურის საწინდრად ურმიის ოლქი აიღეს რუსებმა და 2 ქურური რამდენიმე წლის განმავლობაში უნდა გადაეხადათ სპარსელებს... სწორედ ამ ორი დარჩენილი ქურურის პატიებას თხოულობდა ხოსროვ-მირ-

ზა და ერთი ამოთვანი უპატეობია რუს. ხელმწიფეს.

ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის.

თქვენს პატივისმცემელი ივ. ჯავახიშვილი.

ივ. ჯავახიშვილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს 1935 წელს. ამ სასიამოვნო ფაქტთან დაკავშირებით ლეონ მელიქსეთ-ბეგს გაუგზავნია მისალაოცი დეკეშა. მოლოცვისთვის მაღლობას უხდის ბ-ნი ივანე:

მოსკოვის ქუჩა, სახლი №3, პროფესორ ლეონ მელიქსეთ-ბეგს!
გულითად მაღლობას მოგახსენებთ მოლოცვისათვის.

ივ. ჯავახიშვილი.

12.2.35წ.

ქ ა რ თ უ ლ ი
უნივერსიტეტი

ბ. ს. კ. ბ. შ. - ქ. თბილისი

ბიულეტენი

.. 29 .. მარტი .. 1935 წ. ..
№ 50

მ ბ

ქართული უნივერსიტეტის გაზეთ-ბიულეტენის მარტის ნომერში თქვენს მართლ უნივერსიტეტს წიგნთ-საკვსილად იგივე ნომერში უნივერსიტეტს ხედავთ მარტის 29-ს და მარტის 30-ს

მარტის 29-ს უნივერსიტეტს ივ. ჯავახიშვილი
საგ. მარტის 29-ს ი. ჯავახიშვილი



მღვდელი მირიანი, ა. ფარადაშვილი, ი. შაძურაძე და სხვ.
პირველ როგში მარჯვნივ დგას ოდეხის უნივერსიტეტის
სტუდენტი ლეონ შელიქეთ-ბეგი. არმაზი, 1910 წ.



პროფ. ლეონ შელიქეთ-ბეგი, გეოლოგი კონდრატე თათარაშვილი
(მწერალი უთარაღო), აკად. ნ. სევეროვი.
„დათვის ხევი“ (მანგლდისის რაიონი), 1925 წ.



პროფ. ლეონ შელიქეთაძე.
გონხარი „დათვის ხევი“ (მანგლისის რაიონი), 1925 წ.



პროფ. ლეონ შელიქეთაძე იკვლევს მეგალითურ კულტურას.
ქვემო ქართლი, 1925 წ.



ტაშბაში (წაღკის რაიონი), 1933 წ.
მარჯვნივ ცხენზე ზის პროფ. ლეონ შელიჩიუი-ბევი.



ტაშბაში (წაღკის რაიონი), 1933 წ.
მარჯვნივ ცხენზე ზის პროფ. ლეონ შელიჩიუი-ბევი.



პროფ. ლეონ შელიქეთ-ბეგი,
პროფ. ივანე შილაკაძე (დგახ
მარჯვნიდან მეორე).
სეკანი, 1949 წ.



პროფ. მიხეილ ჩიქოვანი,
აკად. აკაკი შანიძე,
პროფ. ლეონ შელიქეთ-ბეგი.
გორი, 1949 წ.



პროფ. ლეონ შელიქეთ-ბეგი,
პროფ. ალექსანდრე ღლონტი
(მარცხნიდან მესამე).
გორი, 1949 წ.



პროფ. ლეონ შელოქიუთ-ბევი არქეოლოგიის ჯგუფის სტუდენტების გამოსცდაზე.
1954 წ.



პროფ. ლეონ შელოქიუთ-ბევი
წმ. რაფსიმეს ტაძრის
კობეზე, თავში. 1955 წ.



პროფ. ლეონ შელიქეთ-ბეგი ექსკურსიაზე. ეჯიმაწინი, 1955 წ.



პროფ. ლეონ შელიქეთ-ბეგი. შუშა, 1956 წ.



პროფ. ლეონ შელიძეთაძევი.
ვანკლი. 1956 წ.



ვანძახარაი. 1956 წ.



ექსკურსიაზე სიძხოეთში.



ცენტრში: პროფ. ლეონ შელიქეთ-
ბეგი, აკად. ივანე ბერიტაშვილი.
ერევანი, 1957 წ.



პროფ. ლეონ შელიქეთ-ბეგი
დიალექტოლოგიაში IV საკავშირო
საკოორდინაციო თათბირის
მონაწილეებთან. ერევანი, 1958 წ.



პროფ. ლეონ შელიქეთ-ბეგი, დოც. ანაიდა ხარატანი დიალექტოლოგიაში IV
საკავშირო საკოორდინაციო თათბირის მონაწილეებთან. ერევანი, 1958 წ.



პროფ. ლეონ მელიქეთ-ბეგი. სომხეთი, 1960 წ.



აკად. სერგო ჯიქია (მარცხნიდან პირველი), პროფ. ლეონ მელიქეთ-ბეგი, ამიერკავკასიის უნივერსიტეტების გაერთიანებული სამეცნიერო სესიის მონაწილეები. ერევანი, 1960 წ.



ამიერკავკასიის უნივერსიტეტების გაერთიანებული სესიის მონაწილეები.
ერევანი, 1960 წ.



სომხეთი, 1962 წ.



სომეხი და უკრაინელი ისტორიკოსების შეხვედრა ლგოვში. 1962 წ.



სომეხი და უკრაინელი ისტორიკოსების მეგობრული შეხვედრა ლვოვში.
1962 წ.



პროფ. ლეონ მელიქიეთ-ბეგი
ოდესის ისტორიულ-არქეოლოგიურ
მუზეუმში. 1962 წ.



პროფ. ლეონ მეღლიჭეთ-ბეგი, თბილისელი სოპეზი მწერალი ბენიკ სეირანიანი (წინა რიგში მარცხნიდან პირველი).
ეკიზიპონი, 1962 წ.



პოეტუ-აკადემიკოსი ვიორგი ლეონიძე, პროფ. მორის პასრატუანი,
პროფ. ლეონ მეღლიჭეთ-ბეგი.



პროფ. ლეონ მელიქიეთ-ბეგი და პოეტო-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე.



პროფ. ლეონ მელიქიეთ-ბეგი, პროფ. გიორგი ფუთურია, დოც. შაბაღლაშვილი, დოც. ეთერ სიხარულაძე.



პროფ. ლეონ მელიქიეთ-ბეგი. ზვართნოცი.



პროფ. ლეონ მელიქიეთ-ბეგი. სევანი.



პროფ. ლეონ შელიქსეთ-ბეგი და დოც. ეივან სიხარულაძე.



შუაში: სრულიად სომეხთა კათალიკოსი ვაზგენ I
და პროფ. ლეონ შელიქსეთ-ბეგი ეჯიბიაწი.



პროფ. ლეონ შელიჭეთაძე კაბუჯიანს ღებულობს. ზვარნისცი.



პროფ. ლეონ შელიჭეთაძე და საქართველოს სოქმეხთა ეპარტიის ეისკოპოსი კომიტაძი.



პროფ. ლეონ შელიჭეთაძის სამეცნიერო ნაშრომების გამოყენება იე-ჯაყახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 70 წლის იუბილეისთან დაკავშირებით.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი: ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიის ეპილოგარი

ლეონ მელიქსეთ-ბეგის მეცნიერული კვლევის ერთი უმთავრესი საგანი გახლდათ ლიტერატურული ურთიერთობის ისტორია. მას მიუძღვნა თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის უმეტესი ნაწილი. მას მწერლობის ისტორიის კვლევის განუზომელი სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე შერჩა.

კველი პერიოდი

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ჯერ კიდევ თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ წლებში, ქართველთა განმანათლებლის, წმ. ნინოს სახელის ეტიმოლოგიას მიუძღვნა ნაშრომი — “К вопросу о настоящем имени просветительницы Грузии” (газ. “Закавказье”, 1912, №11). მან ამ სტატიამი აღნიშნა, რომ წმ. ნინოს სახელს პირველად ყურადღება მიაქცია პლ. იოსელიანმა. იგი წერდა: “...имя Нина было сближено с латинским выражением Нонна, означающим “религиозная, непорочная” ...имя Нина есть измененное в устах грузинских христиан имя “Нонна” (“Жизнеописание святых, прославляемых грузинской церковью”, Тифлис, 1850, стр. 29). პლ. იოსელიანის ეს მოსაზრება გაიზიარეს მ. ბროსემ, ვ. ლანგლუამ, დ. ბაქრაძემ, მ. ჯანაშვილმა, ექ. თაყაიშვილმა და ალ. ხახანაშვილმა — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და მოაქვს ფონ ლემის აზრი წმ. ნინოს შესახებ. ფონ ლემმა დაადგინა, რომ არაბულ, ევროპულ და კოპტურ სინაქსარებში ქართველთა განმანათლებლად გამოყვანილია სულ სხვა პიროვნება — თეოდოსტი (ბერძნულად — ღვთის მიერ ცნობილს ნიშნავს). ეს აზრი გაიზიარა ლ. ლოპატინსკიმ და სხვებმა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ქართველთა განმანათლებლის სახელის საკითხი უფრო საფუძვლიანად განიხილა წიგნაკში — “К вопросу о настоящем имени просветительницы Грузии” (Тифлис, 1914). ამ ნაშრომში კრიტიკულად გაანალიზა ამ საკითხის ირგვლივ შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურა და ახალი საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით გააკეთა შემდეგი დასკვნა: “Настоящее имя просветительницы Гру-


зии не иначе, как Нина (груз. “Нино”=арм. “Нуне”) resp. “Нина”, каковое имя вмещает в себе понятие “мать”. Имя это не имеет ничего общего с греко-латинским именем “Нонна”, вмещающим в себе понятие - “Инокоиния”.

Впрочем, очень может быть, что просветительница Грузии у себя на родине, в Каппадокии, носила имя “Нонна”. Но что в Грузии она была известна под местным именем “Нино”, resp. “Нина”, близким, это вне всякого сомнения” (стр. 27).

რასაკვირველია, არის განსხვავებული მოსაზრებანი (კ. კეკელიძე, ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე და სხვ.), მაგრამ თვით ფაქტი იმისა, რომ ლეონ მელიქსეთ-ბეგი დანტერესდა ქართველთა განმანათლებლის სახელით და შეეცადა მისი ეტიმოლოგიის გარკვევას, მეტყველებს ახალგაზრდა მკვლევარის მარტო მეცნიერულ ინტერესზე კი არა, არამედ მის მოკრძალებულ პატივისცემაზე ქართველთა სარწმუნოების მიმართ.⁷¹

ჯერ კიდევ სტუდენტმა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა მეცნიერული სიფრთხილე გამოიჩინა და ქართველებისა და ესპანელების ნათესაობა ეჭვის ქვეშ დააყენა. იგი მომავალი კვლევა-ძიების საგანდ მიიჩნია (“Родство грузин с испанцами по древним источникам”. Тифлис, 1911).

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ანბანის საკითხს კვლავ ათეული წლების შემდეგ მიუბრუნდა. 1957 წელს გამოაქვეყნა ვრცელი ნაშრომი — “К вопросу о генезисе армянского, грузинского и албанского алфавитов”.⁷² ნაშრომში განხილულია სომხური, ქართული და ალბანური ანბანის გენეზისის საკითხი. ამ ხალხთა ანბანთა და მათი ისტორიის მიმოხილვის შემდეგ ლეონ მელიქსეთ-ბეგი დაასკვნის: “...несмотря на это, у нас



имеются косвенные улики в пользу того, что закавказские народы, вернее, низы этих народов, до принятия христианства располагали неполноценными алфавитами, которые как в количественном, так и в качественном отношении соответствовали уровню культурных достижений эпохи, будучи подчинены технике писания справа налево - по аналогии с арамейскими и вообще семитическими письменами (в 22 знака), а некоторые, быть может, и слева направо, по аналогии с греко-латинскими (в 24 знака)” (გვ. 50).

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა (არა მარტო მან) აღნიშნა ერთ-ერთი საყურადღებო მომენტი. მესროპ-მამტოცის მიერ სომხური ანბანის „შექმნამდე“ სომხეთში იყენებდნენ დანიელის არასრულყოფილ ანბანსო. შემდეგ მამტოცის სახელის შესახებ წერდა — “Следовательно, настоящее имя “изобретателя”, или, вернее, “реформатора” армянского алфавита - это: Маждоц - Машдоц - Маштоц - Мастц; “Местоп” - “Масроп” же - это прозвище, от сирийского “Мар-Серовн”, что означает “отец сероб” (отец Серафимо-подобный)” (გვ. 53).

ლეონ მელიქსეთ-ბეგს მოაქვს ძველი სომეხი ისტორიკოსის კორიუნის (V ს.) თხზულებიდან ცნობა, რომლის მიხედვით სომხური ანბანის გამოგონების დროს მამტოცს კონსულტაციას უწევდა ბერძენი კალიგრაფი რუფინი, ქართული ანბანის „შექმნისას“ კი ვინმე სწავლული ჯალი, ხოლო ალბანურისას ბენიამინი. მისი აზრით, შეიცავს თუ არა სიმართლეს ეს ცნობა, მაინც ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, რადგან მასში აირეკლა ამიერკავკასიის ხალხთა თანამშრომლობა და კულტურული ურთიერთობა.

ლეონტი მროველის (XI ს.) ცნობას ქართული დამწერლობის შესახებ ლეონ მელიქსეთ-ბეგი შემდეგ საყურადღებო კომენტარს უკეთებს — ქართველი მემკვიდრე ამ შემთხვევაში ქართულ დამწერლობაში გულისხმობსო ე.წ. წარმართულ ანუ „ქრისტიანობამდელ“ დამწერლობას, ე.წ. საეკლესიო („ხუცურ“) დამწერლობას, რომელმაც მოაღწია ჩვენამდე ეპიგრაფიკული ძეგლების სახით (V ს-ის ბოლო).

რაც შეეხება ალბანურ ანბანს (იგულისხმება კავკასიის ალბანეთი, რო-

მელიც ისტორიის ქართველებმა აღგავა მიწისაგან პირისა) ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გაიზიარა აკ. შანიძის მოსაზრება. ქართველი მეცნიერის ზრით, ალბანეთში არაერთ ხალხს ჰქონდა თავისი „ეროვნული“ დამწერლობა. აკ. შანიძემ არ დააკონკრეტა, ვინ იყვნენ ის ხალხები ალბანეთში, რომელთაც საკუთარი „ეროვნული“ ანბანი ჰქონდათ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი კი ვარაუდობს, რომ ესენი იყვნენ გარგარები ან გარგარიანები. არაერთი ათეული წელი მიმდინარეობდა ძიება გამჭრალი ალბანური დამწერლობის მოსაპოვებლად. როცა მცირე იმედილა დარჩა, მაშინ მატენადარანში, ყოფილი ეჯიმიანის ხელნაწერთა შორის იღია აბულაძემ 1937 წლის 28 სექტემბერს აღმოაჩინა სომხური ენის სახელმძღვანელო, რომელშიც სხვადასხვა ანბანთა შორის არის ალბანური ანბანიც. ეს დიდი აღმოჩენა იყო ალბანოლოგიაში და მეცნიერები აღფრთოვანებით მიესალმნენ მას. ახლად მიკვლეული ხელნაწერი, სომხური ენის გრამატიკის სახელმძღვანელო, განეკუთვნება XV საუკუნეს. შემდეგ აღმოჩნდა სხვა ხელნაწერები, მაგრამ ისინი ამ ხელნაწერის ასლები გამოდგნენ.⁷³

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ამ აღმოჩენას იმთავითვე უნდობლად მოეკიდა და ასე დარჩა ბოლომდე. იგი წერდა: „...мы не считаем столь архаичным, чтобы датировать его тем же временем, в которое армянский и грузинский алфавиты получили свое оформление (с техникой писания слева направо) в соответствии с новой идеологией, ибо 52-значный алфавит на том уровне развития графики на Ближнем Востоке вообще был немислим“ (გვ. 62). ამიტომ არ მიაჩნდა ლეონ მელიქსეთ-ბეგს IV-V ს.ს. ნამდვილ ალბანურ ანბანად იგი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს წარწერათა კორპუსის აღმოჩენის შემდეგადაც კი არ შეუცვლია ზრი და შეუძლებლად მიაჩნდა მაშინდელი გრაფიკული და ფონოლოგიური ზროვნებისათვის 52-გრაფემიანი ანბანის შექმნა⁷⁴ — შენიშნავს ზ. ალექსიძე.

ამ საკითხის სრულად წარმოჩენისათვის საჭიროდ მივიჩნით მივუთითოთ ლეონ მელიქსეთ-ბეგის უარყოფითი გამოხმაურება ილ. აბულაძის ხსენებული აღმოჩენის შესახებ. ამ წერილში მან ეჭვის ქვეშ დააყენა ილ.

აბულაძის ამ აღმოჩენის მეცნიერული სანდოობა: “По поводу заметки о письменности у кавказских албанцев” (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, 1940, ტ. 1, №7). ეს არის კრიტიკული გამოხმაურება ხსენებული აღმოჩენის შესახებ. იქვეა ილ. აბულაძის პასუხი — “Еще к вопросу об албанской письменности”. ლეონ მელიქსეთ-ბეგის საყვედურზე იმის შესახებ, რომ ილ. აბულაძეს თავის ნაშრომში გამოორჩენია ერთი ხელნაწერის ნუსხა, ეს უკანასკნელი პასუხობს — რასაკვირველია, ბიბლიოგრაფიული სრულყოფა კარგია, მაგრამ ამჯერად ამას არ გამოვკიდებივარო, და იქვე შენიშნავს — მკვლევარ ნ. ზარბალიანის ნაშრომის მითითება თვით ლეონ მელიქსეთ-ბეგსაც გამოორჩენიაო.

ასეა თუ ისე, ილ. აბულაძის ამ აღმოჩენის მეცნიერული სიმართლე ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ბოლომდე ვერ ირწმუნა.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში (ტ. XXIII, 1942) გამოქვეყნდა ლეონ მელიქსეთ-ბეგის ნაშრომი — “К истории удин”. მასში მიმოხილულია სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებანი უდიური ენის შესახებ — ი. კლაპორტი, ა. შიფერი, ფ. მიულერი, ნ. მარი, მ. ჯანაშვილი და სხვა. ეს მეცნიერები უდიების ენას მიაკუთვნებდნენ კავკასიის ჩრდილო აღმოსავლეთ მკვიდრის, კერძოდ ლეკურ-დაღესტანურ ენათა ჯგუფს. ამ საკითხის შესახებ სხვა მოსაზრება წამოაყენა გალუსტ ტერ-მკრტიჩიანმა. მისი ზრით, “...расшифровка языков урартской и халдской (ванской) клинописи при помощи удинского языка, наводя тем самым исследователя на мысль о родстве удинского языка с халдским” (გვ. 28). ეს ზრი გაიზიარა და უფრო განავითარა ა. პაიჭაატმა და სხვებმა. ი. მეშჩანინოვი კი ფიქრობდა, რომ უდიების ენა არის ურარტულთა ენის პირდაპირი მემკვიდრე, რასაც ლეონ მელიქსეთ-ბეგი არ იზიარებდა. მას თავის ნაშრომში მოაქვს უდიების (უდელების) — უტიელების შესახებ ცნობები ძველი სომხური საისტორიო მწერლობიდან. მეცნიერი ვარაუდობს, რომ შეიძლება უდი იყოს ერთ-ერთი ის ტომი, რომელიც სტრაბონს აქვს დასახელებული (სულ 26 ტომი ყოფილა).

ლეონ მელიქსეთ-ბეგის დასკვნით, უდიეების ენის გარკვეული სიახლოვე ლეკურ ენასთან აიხსნება არა ლეკებისა და უდიეების — უტიების „ნათესავობით“ ლეკურ-დაღესტნურთან, რომელთა ძირითადი ნაწილი კავკასიის აბორიგენებია, არამედ მათი მეზობლობით. უდიეების გარკვეული ნაწილი გალექდნენ, რადგან მათ განიცადეს ლეკების ენის ძლიერი გავლენა, ხოლო ანთროპოლოგიურად და ეთნოგრაფიულად უდიეებმა სრულად შეინახეს თვითმყოფადობა. ამას მოწმობს ე. ლალაიანის არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მუშაობის შედეგები. საერთოდ არასაკმარისად არის შეფასებული უდიეების პრობლემა კავკასიის ხალხთა ისტორიის თვალსაზრისით. ხოლო უდიეები და მათი ენა საინტერესოა არა მარტო ენათმეცნიერული, არამედ ფართო კულტურულ-ისტორიული თვალთახედვით, როგორც ჭეშმარიტი გასაღები კავკასიათმცოდნეობის სფეროში (გვ. 53).

რაც შეეხება თანამედროვე უდიეებს, ისინი ცხოვრობენ ზერბაიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკებში (ყვარლის რაიონი). ლიტერატურულ ენად იყენებენ ზერბაიჯანულს, რუსულს, ქართულს, სომხურს. არიან მორწმუნე ქრისტიანები — მართლმადიდებლები, მონოფიზიტები; მატერიალური და სულიერი კულტურით ახლოს არიან ზერბაიჯანელებთან, საქართველოში — ქართველებთან (ქსე, ტ. X, გვ. 102, 1986).

ლეონ მელიქსეთ-ბეგს დიდი წვლილი მიუძღვის ძველ ქართულ მწერლობაში დაცულ სომხურ თხზულებების ვერსიათა გამომზეურების საქმეში. ზოგჯერ ეს თხზულებანი დედანზე უფრო ძველი რედაქციებით არის შემონახული. ამავე დროს ისიც ანგარიშგასაწევი ფაქტია, რომ ქართულ ვერსიათა ლინგვისტურ-ტიქსტოლოგიური განხილვა სომხურ ფილოლოგიაში გვაძლევს არაერთი ისტორიული და ლიტერატურული საკითხის ზუსტად დადგენის საშუალებას. ამ თვალსაზრისით ლეონ მელიქსეთ-ბეგის დამსახურება თვალსაჩინოა, რადგან ამგვარი ხასიათის არაერთი თხზულება აქვს ქართულად გამოცემული, თავის გამოკვლევით და კომენტარებით. 1920 წელს ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოსცა „ცხოვრება გრიგოლ პართელისაჲ“. ეს თხზულება არის სომეხთა განმანათლებლის გრიგოლ პართელის ცხოვრების ტექსტი, უფრო სწორედ ძველი სომეხთა

ისტორიკოსის აგათ-ანგელოსის „სომეხთა მოქცევის“ შემოკლებული თარგმანი. ლეონ მელიქსეთ-ბეგს ეს ტექსტი შესწავლილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1915 წელს, როცა გამოაქვეყნა რუსულად — „Грузинская версия Агафангелия и его значение для грузинской историографии“ („Хр. Восток“, т. IV, стр. 155-170). მას შეუსწავლია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავში დაცული ხელნაწერი (№384). მაშინ თვით ძეგლის გამოქვეყნება ვერ მოუხერხებია. ტექსტის მცირე ნაწილი თ. ჟორდანიას აქვს შეტანილი თავისი „ქრონიკების“ პირველ წიგნში (1893 წ.).

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გაარკვია, რომ ქართული ვერსია გრიგოლ პართელის „ცხოვრებისა“ წარმოადგენს ცოტად თუ ბევრად თავისუფალ თარგმანს ბერძნულიდან, გიორგი განმანათლებლის მოწაფის თეოფილე მღვდელ-მონაზვნის მიერ შესრულებულ კონსტანტინეპოლის ტრიანტაფლიუს ღვთისმშობლის მონასტერში 1081 წელს. ამ ვერსიას საფუძვლად სდებია სიმონ ლოგოთეტის (მეტაფრასტად წოდებულის) X ს-ში შედგენილი მეტაფრასტული რედაქცია იმავე ძეგლისა. შემდეგ ლეონ მელიქსეთ-ბეგი დაასკენის: „ქართული ვერსია ძეგლისა რომ ბერძნულიდანაა გადმოთარგმნილი და არა სომხურიდან, ეს ეჭვს გარეშეა. ამის დამამტკიცებელი მოსაზრებანი, რომელიც მოყვანილია ზემოხსენებულ ჩემს გამოკვლევაში, უცვლელი რჩება“ (გვ. 6). ამ დასკვნას მოსდევს შენიშვნა: მართალია, ქართულ ტექსტში ჩვენ გვხვდება ზოგიერთი არმენიზმები, მაგალითად „ოხჭანი“, „დანაკ“ და სხვა, მაგრამ ამ სიტყვებს მოქალაქეობრივი უფლება უთუოდ უნდა მიეღოთ ქართულ ენაში უფრო ძველი დროიდან, ვინაიდან ისინი იხმარებიან გაცილებით ადრეულ ნაწარმოებებშიო. ლეონ მელიქსეთ-ბეგი ტექსტოლოგიური თვალსაზრისით გამოწველილვით განიხილავს გრიგოლ პართელის ცხოვრებას და მოღვაწეობას და იძლევა მნიშვნელოვან შესწორებებს.

გრიგოლ პართელის საკითხს მიუბრუნდა ლეონ მელიქსეთ-ბეგი 1945 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში — „ქართული ვერსია გრიგოლ პართელის სახელობის აპოკრიფული ჰომილიისა, რომელიც იოანე ოქროპირს მიეწერება“ (კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. II, გვ. 39-61). იოანე

ოქროპირის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ ის განიღვენა კონსტანტინეპოლიდან და საცხოვრებლად გაიგზავნა პიტიუნტში (ბიჭვინთა). ამ მოგზაურობის დროს მან გაიარა ე.წ. მცირე არმენია და შეჩერდა ჯერ ქალაქ კოკუს-კუკუსში, შემდეგ კომანაში. კოკუს-კუკუსში ყოფნის დროს მას წარმოუთქვამს სიტყვა წმ. გრიგოლ განმანათლებლის დღესასწაულთან დაკავშირებით.

6. მარის ზრით, სიტყვა წმ. გრიგოლის შესახებ, რომელიც იოანე ოქროპირს მიეწერება, სომხურად თარგმნა აბრაამ გრამატიკოსმა 1141 წელს.⁷⁵ იოანე ოქროპირის სიტყვის დედანი დღემდე აღმოჩენილი არ არის და შეიძლება არც არსებულა, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და განაგრძობს, — იგი შეიძლება შეითხზა სომეხ ქალკედონისტების წრეში და შემდეგ მიაწერეს იოანე ოქროპირსო.⁷⁶ ამ მოსაზრებას არ ეთანხმება პროფ. რევან სირაძე და ვარაუდობს — დასაშვებია გრიგოლზე დაწერილი ჰომილია გამოჩენილი ბერძენი მწერლისა და უდიდესი საეკლესიო ავტორიტეტისათვის თვით ანტიქალკედონისტ სომხებს მიეწერათ. ეს ალბათ მოხდა საეკლესიო განხეთქილების შემდეგ. ამით სომეხთა დამძრახავ ბერძნებს იოანე ოქროპირის ავტორიტეტზე ამოფარებით საკუთარ განმანათლებელს განუდიდებდნენ. ეს ალბათ XII ს-ში, ჰომილიის სომხურად თარგმნის დროს მოხდებოდა.⁷⁷

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ამ აპოკრიფული სიტყვის გამოცემათა ბიბლიოგრაფია აქვს ნაშრომებში წარმოდგენილი: ეს სიტყვა პირველად სომხურად გამოქვეყნდა იერუსალიმში (1734 წ.), გადაითარგმნა ლათინურად (1735 წ.) და პირველად გამოიცა 1741 წელს, ზოლო მეორედ — 1862 წელს. ამ მეორე გამოცემიდან ითარგმნა რუსულად.

ძველ სომხურ მწერლობაში იოანე ოქროპირის აპოკრიფული ჰომილია ორ ვერსიად არის შემონახული, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და ჩამოთვლის მის გამოცემებს: პირველი სიტყვა რამდენჯერმე არის გამოქვეყნებული — იერუსალიმში (1734 წ.), ვენეციაში (1851 წ., გამომც. ლ. ალიშანი), მოსკოვში (1861-1862 წ.წ., გამომც. მსერ მსერიანი), ვენეციაში (1878 წ., გამომც. ათანას თიროანი). მეორე სიტყვა კი ორჯერ არის გამოცემული: პირველად იერუსალიმში (1734 წ.), მეორედ ვენეციაში (1856 წ.).⁷⁸

იოანე ოქროპირისადმი მიკუთვნილმა პირველმა სიტყვამ, რომელმაც ჩვენამდე ორ ნუსხად მოაღწია, დიდი პოპულარობა მოიპოვა საქართველოში. ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღწერს ორივე ნუსხას და გვიჩვენებს, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფრაზეოლოგიით. თბილისური ნუსხიდან მომდინარეობს ლენინგრადის ნუსხა, ამიტომ ლეონ მელიქსეთ-ბეგს გამოსაცემად თბილისური ნუსხა აურჩევია: „ქართული ტექსტი თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს სომხურ პროტოტიპს და უკანასკნელის ზედმიწევნით სწორ თარგმანს წარმოადგენს, თუმცა ადგილ-ადგილ არმენიზმები მაინც იჩენს თავს“ (გვ. 44).

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ეკუთვნის ნაშრომი „ეპისტოლეთა წიგნი“-ს ახალი ვარიანტი და პეტრე იბერიელის მოწაფე იოანე მაიუმელი“. ⁷⁹ ეს არის ეპისტოლარულ-დოგმატურ-პოლემიკური ხასიათის კრებული (V-XIII ს.ს.). ამ კრებულის ძირითად, პირვანდელ ფენას და რედაქციას მიაკუთვნებენ კათალიკოს კომიტასს (615-628 წ.წ.). ამ ზრის მომხრეა ლეონ მელიქსეთ-ბეგი. მაგრამ არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც: მის შედგენას მიაწერენ მოსე ცურტავის — სომეხთა ეპისკოპოსს, სომეხთა კათალიკოსს ოძუნელს ⁸⁰. კრებული აღმოჩნდა უნიკალურ ხელნაწერებში, რომელიც ეკუთვნოდა კონსტანტინეპოლის ანტონიანთა ძმობას. ამის მიხედვით თბილისში 1901 წელს გამოქვეყნდა „ეპისტოლეთა წიგნი“. ერთი წლის შემდეგ, 1902 წელს ეჯიმიანიანის ჟურნალ „არარატში“ დაიბეჭდა „ეპისტოლეთა წიგნი“ გამორჩენილი ზოგიერთი საბუთი, რომლებიც ეჯიმიანიანის მუზეუმის ხელნაწერებში აღმოჩნდა. ეს გამოტოვებული ადგილები ზ. ალექსიძემ ხსენებულ გამოცემაში თავთავიანთ ადგილებში შეიტანა. ⁸¹

საქართველოს მუზეუმის სომხურ ხელნაწერთა ფონდში ლეონ მელიქსეთ-ბეგს უნახავს და აღუნუსხავს იშვიათი მანუსკრიპტი (№21). ხელნაწერი №16 წლით ყოფილა დათარიღებული. მკვლევარმა გაარკვია, რომ ხელნაწერი შეიცავდა სამ კრებულს. იგი აღნიშნავს — „რამდენადაც ერთ-ერთი ამ თხზულებათაგანი შეიცავს „ეპისტოლეთა წიგნი“ მიჩქმალულ ცნობას მაიუმელი ეპისკოპოს — პეტრე იბერიელისა და მისი მოწაფის იოანეს შესახებ, მაშინ სრულიად გასაკებია, თუ რაოდენ დიდი უნდა იყოს მნიშვნელობა ამ ახლად აღმოჩენილი ხელნაწერისა ქართული მწერლობის

ისტორიის ბურუსით მოცული უძველეს ხანის შესახებ“ (გვ. 43).

იოანე მაიუშელი პეტრე იბერიელის მოწაფე იყო, რომელიც დიდი მოწიწებით და პატივისცემით მოიხსენიებს თავის მასწავლებელს. ასევე, თანამოზიარეა პეტრეს credo-სი, რომელიც აშკარად ანტიქალკედონიზმით, მონოფიზიტიზმით იყო გამსჭვალული და მიმართული ქალკედონიზმის — დიოფიზიტიზმის წინააღმდეგ“, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მეორე აზრი, რომლის მიხედვით პეტრე იბერიელი იყო დიოფიზიტი (მ. მახარაძე, გ. კოპლატაძე).

ალ. ცაგარელმა შეადგინა პეტრე იბერიელის ბიოგრაფია „ქართლის ცხოვრების“ ცნობებზე დაყრდნობით. აქ მას შეცდომით დაუსახელებია ერთი სომხური წყარო, რაზეც ლეონ მელიქსეთ-ბეგი წერს: „კურიოზი სწორედ იმაშია, რომ ხსენებულ ასოლიკს კრინტი არ აქვს დაძრული არც პეტრე იბერიელზე და არც მისი მოწაფის იოანეს შესახებ“ (გვ. 60).

გვსურს საგანგებოდ აღვნიშნოთ: შ. ნუცუბიძის საქვეყნოდ ცნობილ ნაშრომზე “Тайна псевдо-Дионисия Ареопагита” (Вестник ИЯИМКА, 1942, т. XIV, стр. 1-55) ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოაქვეყნა რეცენზია — “Тайна псевдо-Дионисия Ареопагита”.⁸² მან ამ რეცენზიაში მოუწოდა ევროპელ მეცნიერებს გამოხმაურებოდნენ და გამოეთქვათ თავიანთი აზრი შ. ნუცუბიძის მოსაზრების შესახებ, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შრომების ავტორის ნამდვილი სახელია პეტრე იბერიელი.⁸³ ლეონ მელიქსეთ-ბეგის ამ რეცენზიის წყალობით გაიგო ბიზანტიოლოგმა პროფ. პონიგმანმა დიდი ქართველი ფილოსოფოსის შ. ნუცუბიძის ხსენებული მოსაზრება. ამ საკითხზე ანალოგიური შეხედულება (ფსევდო-დიონისე არეოპაგელის და პეტრე იბერიელის იდენტურობა) ჰქონია გამოთქმული შ. ნუცუბიძეზე ოთხი წლით გვიან პონიგმანს (1946 წ.). ამდენად, მეცნიერებაში იგი შევიდა ნუცუბიძე-პონიგმანის სახელით. თუ იმ დროის ვითარებას გავითვალისწინებთ, რომ არა ლეონ მელიქსეთ-ბეგის აღნიშნული რეცენზია, რომელმაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით შეაღწია საფრანგეთში, კიდევ დიდხანს უცნობი დარჩებოდა ევროპელ მეცნიერებისთვის აკად. ნუცუბიძის აღნიშნული შეხედულება.

პეტრე იბერიელის შესახებ ლაპარაკი შეიძლებოდა აქ დაგვემთავრე-

ბინა, რომ თანამედროვე სომხურ ფილოსოფიურ ლიტერატურაში არ გამოჩენილიყო „ახალი“ თვალსაზრისი მის შესახებ. ეს „ჰიპოთეზა“ გაჩნდა V ს-ის სომეხი ფილოსოფოსის დავით ანაპტის (უძლეველის) დაბადებიდან ათასხუთასი წლის საიუბილეოდ გამოსულ სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში (1980 წ.). ამ წელს გამოვიდა სომხურ ენაზე დავით უძლეველის თხზულებანი, ს. არევეშტიანის წინასიტყვაობით (გვ. 19-23), რომელშიც გატარებულია აზრი, თითქოს დავით უძლეველი და დიონისე არეოპაგელი ერთი და იგივე პიროვნება იყო. ს. არევეშტიანის ეს ჰიპოთეზა საფუძვლიანად და სამართლიანად ძირშივე უარყო პროფ. რევაზ თვარაძემ („პეტრე იბერიელი და დავით უძლეველი“. — ჟურ. „მნათობი“, 1981, №8, გვ. 112). ქართველი მეცნიერი კრიტიკულად განიხილავს რა ამ საკითხის ისტორიას, გაცემული წერს: „ასე მარჯვედ შეიცვალა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის და პეტრე იბერიელის პიროვნებათა იდენტურობის ნუცუბიძე-ჰონიგმანისეული თეორია არეოპაგელისა და დავით უძლეველის იდენტურობის არევეშტიანისეული ჰიპოთეზით. შეიცვალა უწყინარად, უჩუმიად, ზედმეტი ხმაურის გარეშე. ხმაური კი არა, იმხელა იუბილეს მსვლელობის დროს კრინტიც კი არსად დაძრულა, ხმაც არვის გაუღია იმის თაობაზე, როგორი მასშტაბის საუკუნოვანი პრობლემა გადაიჭრა თურმე ესოდენ მარტივად ს. არევეშტიანის მოკრძალებულ წინასიტყვაობაში“ (გვ. 171).

კ. კეკელიძის საიუბილეო კრებულში 1959 წელს ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოაქვეყნა ნაშრომი — „დავით უძლეველი და დავით გარეჯელი“ (გვ. 198-215), რომელშიც ცდილობს დაამტკიცოს სომეხი ფილოსოფოსის დავით ანაპტის (უძლეველის) (V ს-ის დასასრული და VI ს-ის დასაწყისი) და ქართველი დავით გარეჯელის იდენტურობა. დავით გარეჯელი — გარე+სჯა; ასე ხსნის ლეონ მელიქსეთ-ბეგი ამ ზედწოდებას. ეს აზრი არ გაიზიარა პროფ. ლევან მენაბდემ. იგი წერს: „თითქოს „გარეჯა“ უნდა განიმარტოს არა ასკეტიზმის ინსტიტუტის საშობით, არამედ — როგორც ფილოსოფიური ტერმინი — „გარეშე სიბრძნის“, „ზე მსჯელობის“ გაგებით: „ამ წერილში („დავით უძლეველი და დავით გარეჯელი“) არაერთ საინტერესო დაკვირვებას გვაძენობს ავტორი, მაგრამ საერთოდ მისი კონ-

ცეფცია მიუღებელია.“⁸⁴

ლეონ მელიქსეთ-ბეგს აღნიშნული მოსაზრების დასამტკიცებლად (დავით უძლეველის და დავით გარესჯელის იდენტურობა) ერთ-ერთ არგუმენტად მოაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ ქართლ-კახეთის არცერთი ეკლესია-მონასტერი და ხატი არ სარგებლობდა სომეხთა შორის ისეთი პოპულარობით, როგორითაც გარეჯის, მრავალმთა და იქ მდებარე მამადავითის საფლავი.⁸⁵ სხვა არგუმენტებს შორის, ასევე მნიშვნელოვან არგუმენტად მიაჩნია ლეონ მელიქსეთ-ბეგს დავითის „განსაზღვრებათა წიგნის“ ერთ-ერთი კომენტატორის თხზულებაში შემონახული ამგვარი ცნობა — დავით უძლეველს შეურაცხყოფა მიაყენეს სომხეთში, ამიტომ იგი გაიქცა და თავი შეაფარა ქართლს, სადაც გარდაცვალებამდე დარჩაო. თავის მოსაზრების გასამაგრებლად მას კიდევ მოაქვს საკმაო მასალა, რომელთა ანალიზის შემდეგ დასკვნის: „ჩვენი ღებულება მარტივია: დავითი VI საუკუნის სომეხი ფილოსოფოსთაგანი და დავით გარესჯელი — ერთი და იგივე პიროვნებაა, რომელიც პირველად VI საუკუნის პირველ ნახევარში სომხეთში მოღვაწეობდა და რომელსაც სომეხები იცნობდნენ დავით „უძლეველის“ (ე.ი. ფილოსოფოსის) სახელით, ხოლო სომხეთიდან განდევნის შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა VI ს-ის 40-იან წლებში, გადმოვიდა ჯერ ქართლში (თბილისში) და შემდეგ ჰერეთ-კახეთში (მრავალმთაში), სადაც გარესჯელის ზედწოდებით იქნა ცნობილი“ (გვ. 230-231).

ლეონ მელიქსეთ-ბეგი გარეჯაში (ბერთუბანი) 200-მდე სომხური პილიგრიმული წარწერების (XIII-XIX ს.ს.) საფუძველზე ცდილობს უფრო მყარი გახადოს თავისი მოსაზრება.⁸⁶ ხსენებული მოსაზრება მეცნიერებმა არ გაიზიარეს. პროფ. რევაზ სირაძემ კრიტიკულად განიხილა იგი და სათანადო მეცნიერული შეფასება მისცა.⁸⁷ თუმცა არ დავიწყებია აღენიშნა ლეონ მელიქსეთ-ბეგის დამსახურება ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის კვლევის სფეროში. განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ლეონ მელიქსეთ-ბეგის პუბლიკაციების მეცნიერულ მნიშვნელობას და მდიდარ ბიბლიოგრაფიულ გამოცემებს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის ეს მოსაზრება (დავით უძლეველის და დავით გარესჯელის იდენტურობა) პ. მურადიანმა შეიწყნარა, მაგრამ იქვე დას-

ძინა — უფრო მეტი დამარწმუნებელი საბუთების მოძებნა არის საჭირო.⁸⁸

ვუიქრობ, ლეონ მელიქსეთ-ბეგის ამ მოსაზრებამ, მართალია, მეცნიერთა საყოველთაო აღიარება ვერ მოიპოვა (თუმცა უსათუოდ ანგარიშგასაწევიცა), მაგრამ ამ მიმართულებით კვლევა-ძიება უნდა გაგრძელდეს, რათა საბოლოოდ მოეფინოს ნათელი ამ საკითხს.

1920 წელს ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოსცა ქართული ვერსია საჰაკ პართელის წინასწარმეტყველებისა, რომელიც წარმოადგენს აპოკრიფულ „ხილვას“. მისი გავრცელების არე ძველ ქართულ მწერლობაში მან საფუძვლიანად განიხილა. მას იცნობს არსენ საფარელი, რაც ირკვევა მისი თხზულებიდან „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“. აღნიშნული ნაწარმოები გვხვდება, აგრეთვე, ანტონ I-ის „მზა მეტყველებაში“, პოლემიკურ თხზულებაში — „სიტყვისგება ბერისა ეფთიმ გრძელისა სოსთენის მიმართ სომეხთა მოღვაწისა“⁸⁹ და სხვა, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი ხსენებულ ნაშრომში.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა 1926 წელს გამოაქვეყნა სტატია — “Оригеново толкование песнопений Соломона в древнеармянском переводе” (ИКИАИ, т. IV, стр. 10-14). იგი ამ ნაშრომში აღნიშნავს — ძველი სომხური პატრისტიკული ლიტერატურა ისე მდიდარი არ არის, როგორც მისი ეგზეტიკის სფერო. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია ხსენებული ნაწარმოები, როგორც მისი ორიგინალი, ისე ნათარგმნი, რომელთა რაოდენობა კი არაერთია, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი. ეს არის კრებულები, რომლებშიც შესულია ამ თხზულების განმარტება სხვადასხვა ავტორთა მიერ. მათ რიცხვშია — იპოლიტე, ვარდან, გრიგოლ ნარეკელი და სხვა. აქედან ზოგიერთი გამოცემულია. მაგ. ნ. მარმა გამოსცა იპოლიტე — “Толкования песнопений грузинских по рукописям X века”. - Перевод с армянского; исследовал, перевел и издал Н. Марр. “ТР”, 1905, СПб”.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა თეოდორე აბუკურას საკითხს მიუძღვნა სტატია — “К вопросу о Феодоре Абукуре в древнегрузинской литературе” (ИКИАИ, 1926, т. IV). მასში რიგ შემთხვევაში კ. კეკელიძეს

და სხვა მეცნიერთა მოსაზრებებს უკეთებს კომენტარებს და გამოთქვამს საკუთარ შეხედულებებს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ძირითადად სომხეთის ისტორიასთან, მწერლობასთან და კულტურასთან მიმართებაში განიხილავდა ამა თუ იმ საკითხს. ამის დასტურია მისი მეცნიერული მემკვიდრეობა. იგი ერთ თავის გამოკვლევაში წერდა: „ქართლ-კახეთის სომხობა, კერძოდ ტფილისის, გორის, სიღნაღის და სხვა ქალაქთა ვაჭრულ-ხელოსნური წრეები, მრავალი ძაფებით იყო გაბმული მათ „მფარველ“ ხატებთან, როგორც სომხითს, ისე სომხეთში. პირველ ყოვლისა, შავნაბად-თელეთს გვერდი რომ აუუაროთ, ბოლნისთან (ხატი-სოფელს), ახპატთან და სანაინთან. მათ აღმშენებლობა-განახლებაში გარკვეული წვლილიც კი აქვთ შეტანილი, რაც შესაფერ ეპიგრაფიკულ ძეგლებში კარგად არის აღბეჭდილი. მაგრამ ეს სომხობა ასევე გაბმული ყოფილა ძაფებით სომხეთის ისეთ შორეულ მხარესთან, როგორიცაა ვასპურაკანი ანუ ვანტოსპის ოლქი, ვანის ტბის ირგვლივ. აქამდე ეს კავშირი არსად ჩანდა“.⁹⁰

ლეონ მელიქსეთ-ბეგის ამ ამონაწერიდან გვსურს ერთ ნაწილს კომენტარი გავუკეთოთ. საქმე იმაშია, რომ შავნაბადას, თელეთის, ხატი სოფლის ეკლესიები იყო ქართული და შემდეგ გახდა სომხური...⁹¹ საქართველოს მუზეუმის სომხურ ხელნაწერების ფონდში ლეონ მელიქსეთ-ბეგმა მიაკვლია ქართულ-სომხურ ხელნაწერს, რომელიც აღმოჩნდა უცნობი სომეხი მწერლის გიორგი გორელის შემოქმედება. მასში ყოფილა როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი თხზულებანი გიორგი გორელისა. იგი სრულიად უცნობია XVIII საუკუნის ქართულ და სომხურ მწერლობაში. ამრიგად, ლეონ მელიქსეთ-ბეგს უნახავს ხელნაწერი ქართულ ენაზე. ეს ხელნაწერი მუზეუმს შეუძენია კათოლიკე დიონისე კალატოზიშვილისაგან. ამ ორი ხელნაწერის მიხედვით ლეონ მელიქსეთ-ბეგს მოცემული აქვს გიორგი გორელის შემოქმედების მიმოხილვა. იგი წერდა: „გორელ-სომეხ მონაწილეთა შორის (ფეშანგი ფაშვიბერტყვაძე, ფარსადან გორგიჯანიძე, სტეფან ფერშანგოვი, ზურაბ ანტონოვი) გიორგი გორელი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ (გვ. 91). ლეონ მელიქსეთ-ბეგი შეიძლება ცოტა გადაჭარბებით

აფასებს გიორგი გორელის შემოქმედების ისტორიულ-ლიტერატურულ მნიშვნელობას, მაგრამ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა გარკვეულ მეცნიერულ ღირებულებას უსათუოდ შეიცავს. საქართველოს მუზეუმის მეორე ხელნაწერში შესულია სომხურიდან ნათარგმნი თხზულებათა კრებული, რომლის ძირითადი ტექსტი ორ სვეტად არის განლაგებული და შედგება ოთხი თავისაგან. კრებულის პირველ, უდიდეს ნაწილს დღემდე არ მოუღწევია, მაგრამ შემორჩენილია მისი დაწერილებითი სარჩევი, რომლის მიხედვით ლეონ მელიქსეთ-ბეგი წერს, რომ პირველ ნაწილში ყოფილა გრიგოლ ტათეველის ტრაქტატის „ზაფხულის“ ერთი თავის თარგმანი, რომელიც შეუსრულებია გიორგი გორელს. ასევე მას გრიგოლ ტათეველის „კითხვათა წიგნიდან“ არაერთი ადგილი გადაუთარგმნია ქართულად. კრებულის მესამე და მეოთხე თავი ყოფილა კომპილაცია ლაზარე ჯაპუკელის (XVIII ს.) თხზულებისა — „საწადელი სამოთხედან“, რომელიც გიორგი გორელს გამოუყენებია კათოლიკეებთან საპაექროდ. ამრიგად, ეს კრებული, რომელიც საკუთარი ხელით გადაუწერია გიორგი გორელს XVIII ს-ის მეორე ნახევარში, ყოფილა ტერ-სამუელის საკუთრება. ტერ-სამუელი კი იყო შვილი ტერ-ფილიპე ყაითმჭაშვილის. აქედან გამომდინარე, ლეონ მელიქსეთ-ბეგი ფიქრობს, — გიორგი გორელს რაღაც კავშირი, თუნდაც შორეული, უნდა ჰქონოდა ანტონ I-ის სკოლასთან (გვ. 103).

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი ქართულ-სომხური საეკლესიო კრების მონაწილეების შესახებ წერს: „მოვიდა კათალიკოზი ვანისა და ყოველი ეპისკოპოსი და ვარდაპეტი“. ამ ცნობას ლეონ მელიქსეთ-ბეგი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. მას მოაქვს ფრანგი მოგზაურის Amédee Jaubert-ის ცნობა — 1806 წელს ვანში ყოფნის დროს დერვიმ-ფაშამ „მაიძულა მომეველო (ვანის) ტბის კუნძულები და მენახა მის მიდამოებში არსებული მონასტრები და ქრისტიანული სიძველენი, რაიც შეეასრულე 9 აგვისტოს“. ფრანგი მოგზაური შემდეგ აგვიწერს შვიდი ეკლესიის და მონასტრის მშვენიერებას: აქედან მოჩანს ვანის ტბა და ქალაქი თავის ბაღებითო. ვარაგის მონასტრის ძმობა შედგებოდა ოთხი ან ხუთი მოწესესაგან, რომელთაგან ზოგი სომეხი იყო, ზოგი ქართველიო. ლეონ მელიქ-

სეთ-ბეგს ფრანგი მოგზაურის ეს ცნობა დამაფიქრებლად, უფრო სწორედ, საეჭვოდ მიაჩნდა, რადგან სხვა წყაროებით არ დასტურდება. იგი იძლევა შესწორებას: უნდა იყოს — „ზოგი სომხეთიდან იყო, ზოგი ქართლიდან“, და არა „ზოგი სომეხი იყო, ზოგი ქართველი“. შემდეგ ლეონ მელიქსეთ-ბეგი დაასკვნის: „ამჟამად ჩვენს ხელთაა ფრიალ საინტერესო მასალა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გვესმოდეს ჩვენ საქართველოს სომხების კავშირი ვასპურაკანის მხარესთან. კერძოდ, Jaubert-ის მითითება, რომ ვარაგის მონასტრის საკრებულოს შემადგენლობაში ქართველებიც მოიპოვებოდნენ“ (გვ. 90). ამ შესწორებას იზიარებს პ. მურადიანი.⁹² შესწორება შეიძლება მართებულია, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ვანის, ვარაგის მონასტერში იყვნენ ქართველი მონოფიზიტები სომეხ მონოფიზიტებთან ერთად.

ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება ცნობა „მესუქაველთა შესახებ“. სწორედ ამ თემას მიუძღვნა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ნაშრომი — „სუქაველნი ძველ ქართულ მწერლობაში“ (თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1926, ტ. VI, გვ. 123-125). ხსენებული თხზულების მოკლე შინაარსი ასეთია: პირველი საუკუნის დამლევეს და მეორის დასაწყისში ქრისტეს დაბადების შემდეგ სომხეთში მოღვაწეობდნენ ე. წ. ვოსკანიანი და მათი მოყვანნი. ისინი რომიდან მოსულებად ითვლებოდნენ. მოინათლნენ რა ქრისტიანებად, შემდეგ ისინი შეეცადნენ სამეფო კარი და მისი მსახურნი ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოექციათ. მაგრამ არც მეფემ და არც მისმა მეუღლემ სათენიკმა არ მიიღო ნათლობა. ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოექცა მხოლოდ სათენიკის მონათესავე 19 მოხელე (სათენიკი იყო ალანთა მეფის ასული). მათ შორის იყო ბაჰათარი, რომელსაც გაქრისტიანების შემდეგ ეწოდა — „სუქიასი“. ამ სუქიასის გამო მთელ გუნდს დაერქვა „სუქიასნი“. ვოსკანიანთ და სუქიასნებს დევნა დაუწყეს. ამის გამო ისინი გადავიდნენ ბაგრევანდის ოლქში, სადაც 43 წელი იმოღვაწეს. მაგრამ სომეხთა მეფეებმა არც აქ მისცეს მოსვენება და მათ დევნა დაუწყეს. ჯერ ვოსკანიანები აწამეს, შემდეგ სუქიასნები. განიხილავს რა ამ თხზულებას, ლეონ მელიქსეთ-ბეგი წერს — სუქიასთა მარტვილობა არის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები. სომხურ ენაზე იგი დაწერილი უნდა იყოს V-VI სა-

უკუნეებში, ე.ი. ასურულ-სომხურ-ალბანურ-ქართული ეკლესიების განუყოფელი არსებობის ხანაში. თუმცა ამ ძეგლის სომხურ დედანს, რომელიც შემონახულია სხვადასხვა ვერსიების სახით, დღემდე მოუღწევია საკმაოდ გადაკეთებული და დამახინჯებული რედაქციების სახით (გვ. 24). ქართული რედაქციები: ძველი რედაქცია დაცულია ათონის ივერთა მონასტრის „მამათა ცხოვრებაში“ (X ს.), ახალი კი შესულია ანტონ კათალიკოსის „მარტირიკაში“.

სუქიაველთა ძველი ქართული რედაქცია წარმოადგენს სიტყვა-სიტყვით თარგმანს — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და მიუთითებს, რომ რაც პირველი ნაწილის სომხურ რედაქციას აკლია, შეუნარჩუნებია ქართულს მთლიანად. ამავე დროს ქართულ რედაქციაში არის ავტორის სახელი — „...აღწერა ანტონ მეუღაბნოემან, ჰრომით“. ამ თხზულების ძველი რედაქციის ქართული თარგმანის შესახებ კი ლეონ მელიქსეთ-ბეგი გვაწვდის საფუძვლიან დაკვირვებას — „ქართული ტექსტი სომხური დედნის ბრმა თარგმანს არ წარმოადგენს, ვინაიდან მასში ჩვენ ქვდებით ისეთ თავისებურებებს, რომლებიც ნაყოფია ქართველი მთარგმნელის აზროვნების. ასე მაგალითად, სომხ. აღან, აღანქ, აღანაც-ის მაგიერ ქართულში ნახმარია მათი კანონზომიერი ექვივალენტი: ოსი, ოესეთი, ოესთა. მერმე ბაგრევანდ გავარი — „მზარესა ბაგრევანდისასა“, ქართულში გადმოთარგმნილია, როგორც ივ. ჯავახიშვილმაც აღნიშნა — „ხეესა ბაგრევანდისასა“. აგრეთვე — იმ დროს, როცა სომხური დედანი არ იძლევა არავითარ განმარტებას „ვოსკანიანთა“ მეთაურის „ვოსკის“ სახელწოდების შესახებ, ქართულში წარმოდგენილია მთელი ეტიმოლოგია სიტყვისა: „ოსკე, რომელი ითარგმნების ქართველთა ოქრო მოწესე ქმნულნი“ (გვ. 219).

რაც შეეხება ამ თხზულების („მესუქაველთა“) ახალ ქართულ რედაქციას, იგი ცნობილია ძველ ქართულ მწერლობაში, XVIII ს-ის სასულიერო პოეზიაშიც. მაგ. ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობაში“ და სხვ. — წერს ბოლოს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ყოველ მნიშვნელოვან გამოცემას აქტიურად ეხმიანებოდა. იგი შეეხმინა და ვრცელი ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა

გამოაქვეყნა ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცთა“-ს გამოცემის შესახებ (გამომც. ს. გორგაძე).⁹³ ამ გამოცემას აგრეთვე მაღალი შეფასება მისცა კ. კეკელიძემ.⁹⁴ ეს თხზულება ბერძნულიდან ქართულად თარგმნა დიდმა ქართველმა ფილოსოფოსმა იოანე პეტრიშმა (XI-XII ს.ს.). მას ეკუთვნის, აგრეთვე, არაერთი ფილოსოფიური, თეოლოგიური და გრამატიკული თხზულებანი. სრულიად სამართლიანად თვლის ლეონ მელიქსეთ-ბეგი ნემესიოს ემესელის ამ თხზულების ქართულ გამოცემას ქართველოლოგიის ძვირფას შენაძენად. მასვე ეკუთვნის წერილი საკურთხევლის მოწყობის შესახებ ძველ საქართველოში.⁹⁵ აგრეთვე, სტატია “Ангелы-хранители”. მასში მოტანილია ოთხი ნაწყვეტი სომხურ აპოკრიფულ ლიტერატურიდან, რომელშიც ლაპარაკია ადამიანების მფარველ ანგელოზებზე (“Хр. Вост.”, 1914, т. III, вып. II, стр. 205). მასში მოტანილია სომხური ფაქტობრივი მასალა — შელოცვები, ავეგაროზები და ა.შ. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ლეონ მელიქსეთ-ბეგს ეჯიმიანის სიძველეთსაცავში ამ თემაზე მიუკვლევი ახალი მასალები და გამოუქვეყნებია — “Еще об ангелах-хранителях” (“Хр. Вост.”, 1915, т. III, вып. II, стр. 205).

ლეონ მელიქსეთ-ბეგი 1915 წელს ბეჭდავს — “Новый список “Жития Рипсимий, Гаяний и сподвижниц” на грузинском языке” (“Хр. Вост.”, вып. III, стр. 313). ცნობილი იყო რიფსიმიანთა ცხოვრების ერთი ნუსხა. 1910 წელს ვინმე ვ. მაყაშვილს თბილისის საეკლესიო მუზეუმისთვის შეუწირავს ხელნაწერი, რომელიც აღმოჩენილია — როგორც ლეონ მელიქსეთ-ბეგმა დაადგინა — წმ. რიფსიმეს, წმ. გაიანეს და სხვათა ცხოვრება. მისი აზრით, ეს რედაქცია მოდის უძველეს ორიგინალიდან, რომელიც თავის მხრივ ბერძნულიდან მომდინარეობს (გვ. 314). მართალია, ქართულ და სომხურ მწერლობას არ ეხება უშუალოდ, მაგრამ მგონი უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ლეონ მელიქსეთ-ბეგის წერილი „გაუგებრობა თუ სიჯიუტე?“ (გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, №970). ეს ის დროა, როცა ახალი ჩამცხრალი იყო სომხეთის დამნაკური მთავრობის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ წამოწყებული გამოუცხადებელი ომი (1919 წ.). ამის გამო მაშინ, ბუნებრივია, დაიძაბა ქა-

რთველ და სომეხ ხალხებს შორის ურთიერთობა. ამ ძმათა ომის წინააღმდეგ გამოვიდა ტ. ტაბიძე, ოვ. თუმანიანი და თავიანთ ხალხებს მოუწოდეს დაეცვათ მათ შორის ისტორიული ძმობა. ლეონ მელიქსეთ-ბეგმაც ხმა აღიმადლა ამ ომის წინააღმდეგ და განაცხადა — ყოველგვარი გაუგებრობა მოისპობა ქართველ და სომეხ ხალხს შორის კიდეც უფრო დაახლოების და კეთილი მეზობლობის განმტკიცების გზით. მაგრამ ეს მეზობლობა უნდა იყოს ჭეშმარიტი, საქმიანი და არა მოჩვენებითი. იქვე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რუსეთის იმპერიამ სპეციალურად გადაკიდა ერთმანეთს კავკასიის ხალხები ჯერ კიდეც მაშინ, თითქმის საუკუნის წინ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი გულწრფელად წუხდა — „ქართველ და თათარ (იგულისხმება ჯერბაიჯანელი. ბ. ა.) ხალხს სრულიად არ ესმის სომხური ენა, სომხებს სასირცხვილოდ მიაჩნიათ ქართულის სწავლება, ქართველებს ეთაკილებათ სომხურის შესწავლა, — და ეს იმ დროს, როდესაც ისინი მზად არიან საფუძვლიანად შეისწავლონ არაბული, სპარსული თუ გინდ იაპონური და ჩინურიც. ერთმანეთის ზნე-ჩვეულება არ იციან, ერთმანეთს არ იცნობენ და არც აქვთ სურვილი რომ იცნობდნენ. პირიქით, მოკლებულნი არიან ყოველგვარ ურთიერთობას და კეთილგანწყობილებას და ცდილობენ პერმეტიულად ჩაიკეტონ“.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი სვამს კითხვას — „რით აიხსნება ასეთი მოვლენა? გაუგებრობით თუ ჯიუტობით?“ — მას ამ გაუგებრობის მიზეზად ჯიუტობა მიაჩნია და მოაქვს მაგალითი: — ქართველები სომეხ ანტიქალკედონისტებს, მონოფიზიტებს „გრიგორიანებს“ უწოდებენო, ამასაც არასწორად — “Грегорианин”-ს ამბობენო. სომხებს „გრიგორიანები“ რუსებმა უწოდესო. შემდეგ მიუთითებს, რუსულის გავლენით ქართველები შეცდომით წერენ სიტყვას „ეჩიმიაძინი“, ნაცვლად — „ეჯიმიაწინისა“; უნდა იყოს — „ლარაქილისი“ და არა „კარაკლისი“, „ქაჩაზუნნი“ და არა „კაჩაზუნნი“, „პოლსიანი“ და არა „პოლოსოქ“ და სხვ.

ქართულ გვარებს სომხებიც არანაკლებ ამახინჯებენ, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და მოაქვს მაგალითები: „ერისტოქ“, „ცერეტელი“, „ჩიჩინაძე“, „ჩავჩავაძე“ და სხვ. მას არც ნ. მარის ახირების აღნიშვნა დაიწყებია. საქმე ისაა, რომ ნ. მარი ქართულ გეოგრაფიულ სახელებს რუ-

სულად — ეთ-ის გამოკლებით წერდა 1911 წლიდან: Тао - Тая, Кахет - Кахия, Месхети - Месхия და ა.შ. ნ. მარის გავლენით სომხებმაც დაიწყესო — “Имерия”, “Кахия” და სხვა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის ეს წერილი მთავრდება ყურადსაღები სიტყვებით — „მე მგონია, — წერს იგი, — დროა სომხები და ქართველები დაუახლოვდნენ ერთმანეთს მჭიდრო კულტურული კავშირით და იქონიონ ერთმანეთზე წარმოდგენა დამოუკიდებლად მესამე ერისა, ყოველ შემთხვევაში არა რუსეთის საშუალებით, როგორც, სამწუხაროდ, აქამდის იყო.“

ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ რამდენიმე ათეული წელი გავიდა, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა უკეთესობისკენ შეიცვალა, რადგან მათ უფრო ახლოს გაიცნეს ერთმანეთი და დაახლოვდნენ. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მეცნიერებამ, მწერლობამ, ხელოვნებამ, პრესამ და რადიო-ტელევიზიამ. თუმცა, სამწუხაროდ, სასურველ დონემდე დღესაც არ არის მისული ეს პროცესი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა 1923 წელს გაზ. „ლომისში“ (№16) გამოაქვეყნა — „ნაკვეთი XVIII საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან — ფილიპე ყაითმაზაშვილი“. ავტორის აზრით, XI-XII სს-დან თითქმის მთლიანად დაჩრდილა საერო ლიტერატურამ ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო აზროვნება, რომელიც განვითარებული იყო IX-X სს. საქართველოში. თითქმის დავიწყებული იყო ტაოკლარჯელი, ათონელ-მთაწმინდელი და პეტრიწონელი მამათა ტრადიციები.

ამ დროს (XVIII ს.) სამწერლო ასპარეზზე გამოდის კათალიკოსი ანტონ I. ლეონ მელიქსეთ-ბეგი წერს: ანტონ I გამოირჩეოდა დიდი ნიჭიერებით, განათლებით და ენერგიული მოღვაწეობით. ანტონის ინიციატივით გაიხსნა თბილისსა და თელავში სასულიერო სემინარია. სემინარიის მიზანი იყო მოემზადებინა ქართველი ახალგაზრდობა სასულიერო და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის ასპარეზზე გასასვლელად. ამ საქმეში ანტონმა გამოიყენა სომეხთა და ლათინთა სასულიერო პირები. მან დაიახლოვა „ფილიპე ხუცესი სომეხთა გვარისთაგანი“ და „იოანე ვინმე ხუცესი — მონაზონი ლათინთაგანი“.

ფილიპე მღვდლის შესახებ მოიპოვება მცირე ცნობები გაბნეული ანტონ I კათალიკოსის დროის ხელნაწერთა მინაწერებში. „ამ მინაწერების საშუალებით ირკვევა, რომ ფილიპე მღვდელს ეკავა ტფილისის სემინარიის გამგის ადგილი“, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

ანტონ I ფილიპე მღვდელს სომხად თვლიდა, ზოლო დოსთეოს ნეკრესელს მიაჩნდა ქართველად — „ყოველ შემთხვევაში ყოველგვარი ეჭვის გარეშეა, რომ ფილიპე მღვდლის გვარი ნამდვილად იყო „ყაითმაზაშვილი“, რომელიც ახლაც ცნობილია ტფილისში „კაითმაზოვის“ და „ლაითმაზიანცის“ სახით. ეჭვის გარეშეა აგრეთვე ის, რომ იგი ეკუთვნოდა ქართველ სააზნაურო წრეებს „დიდთა თავადთა ორბელიანთა სამთავროდან, ე.ი. სალიპარიტო-საორბელოდან“, — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

ფილიპე მღვდელი თანამშრომლობდა იმ დროის ცნობილ ქართველ მოღვაწეებთან, როგორც იყო ანტონ I კათალიკოსი, დოსთეოს ეპისკოპოსი ნეკრესელი, იოანე მღვიანბეგი ჯამბაკურ ორბელიანი და სხვ.

ანტონ I-ის ჰარი ფილიპე მღვდლის შესახებ მოაქვს ლეონ მელიქსეთ-ბეგს — „ფრიად გონებავრცელი, მაღალ და კეთილ მეცნიერი, პლატონურთა, არისტოტელ და პითაგორებრთ სიბრძნის მეტყველებათა პარმანულითა ენითა“.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა შეაფასა ფილიპე ყაითმაზაშვილის ნაღვაწი და აღნიშნა: „საერთოდ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ანტონ კათალიკოსს მხოლოდ და მხოლოდ ფილიპე მღვდელის დახმარებით შეეძლო დაეწერა ან შეედგინა ისეთი ნაშრომები, როგორცაა: ღრამატიკა „სომხურიდამ შედგენილი მხითარისა ღრამატიკის წესით“, 1753 წ.; „მზამეტყველება“, „განძი“ — კირილე ალექსანდრიელის, სეფესოს წიგნი, 1776 წ.; რიტორიკა მხითარ სევასტიელისა და სხვა.

ფილიპე ყაითმაზაშვილი თანამშრომლობდა, აგრეთვე, დოსთეოს ნეკრესელთან: დოსთეოს ფილიპეს დახმარებით გადაუთარგმნია სომხურიდან დიდი რიტორიკა მხითარ სევასტიელისა, შემოკლებითი აზსნა პერ-არმენიას წიგნთა და სხვ. ფილიპეს შემწეობით იოანე ჯამბაკურ-ორბელიანს გადაუთარგმნია — კავშირები ღვთისმეტყველებისთანა.

ფილიპე ყაითმაზაშვილის, ზაქარია მაღინაშვილის, ტერ-პეტროზას და

სხვათა მოღვაწეობა სპეციალურად განიხილა კ. კეკელიძემ თავის ძველი ქართული მწერლობის ისტორიის პირველ ტომში (1951, გვ. 62-63).

ლენონ მელიქსეთ-ბეგმა ფრიად საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა სომხურ აღმანახში — „გელარეესტ“, სათაურით „სომხები ძველ ქართულ მწერლობაში“ (1920, №7). ავტორის აზრით, სომხები უძველეს დროიდან მოიხსენიებიან ძველ ქართულ მწერლობაში, და იზიარებს ნ. მარის ეტიმოლოგიას „სომეხთან“ დაკავშირებით: სონ-მესხ — სონ-მეხ — სომეხ. ამასთან ერთად, ლენონ მელიქსეთ-ბეგი იმავეს ფიქრობდა ტაო-კლარჯეთისა და მის ლიტერატურულ ქართულ სკოლაზე, როგორც ნ. მარი — თითქოს ტაო-კლარჯეთში მკვიდრობდნენ ქალკედონისტი სომხები, უფრო სწორედ, გაქართველებული სომხები, რომელთაც ადაღვინეს მიტოვებული და დანგრეული ტაძრებიო, როგორცაა: იშხანი, შატბერდი, მიჯნაძორი და სხვ. (გვ. 35). აი, აქ ჩამოყალიბდაო ახალი ლიტერატურული სკოლა, რომელიც ცნობილია ტაო-კლარჯული სკოლის სახელითო. ამ მხარეში IX საუკუნიდან აყვავდა ქართული საეკლესიო მწერლობა, რომელიც თავისი ტრადიციებით გაგრძელება იყო ადრე სომხების ლიტერატურული მოღვაწეობისაო, — წერს იგი. ეს მცდარი კონცეფცია ეკუთვნის, როგორც აღვნიშნეთ, ნ. მარს, რომელიც (ძირითადად) გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ რუსულად გამოცემის შესავალში ჩამოყალიბდა 1911 წელს. ნ. მარის ეს „თეორია“ კრიტიკულად განიხილა და საფუძველი გამოაცალა პ. ინგოროყვამ თავის ნაშრომში „გიორგი მერჩულე“ (1954 წ.). ამავე დროს კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ნ. ტოკარსკის „მოსაზრება“ ამ მხარის ქართული არქიტექტურული ძეგლების თითქოს სომხურობის შესახებ აკად. ს. ჯანაშიამ — “Об одном примере искажения исторической правды” (1947 წ.).

ლენონ მელიქსეთ-ბეგმა გაიზიარა ნ. მარის მოსაზრება გრიგოლ ბაკურიანის-ძის სომხური წარმომავლობის შესახებ... გრიგოლ ბაკურიანის-ძის ტომით, რელიგიით და მოღვაწეობით ქართველობა დაამტკიცა აკად. აკ. შანიძემ — „ქართული მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“, თბილისი, 1971.

სომხურ საზოგადოებაში გავრცელებული აზრი შოთა რუსთაველის

წარმოშობით სომხობის შესახებ ლეონ მელიქსეთ-ბეგს ყოველად საფუძველს მოკლებულად მიაჩნდა. ამ წერილშივე მიუთითა, თუ საიდან წარმოიშვა, შეიძლება ითქვას, ეს ჭორი. ნ. მარს ბაქოში ერთ-ერთ ლექციაზე ასეთი რამ უთქვამს: სახელი „შოთა“ წარმოსდგება „ამოტასგანო“ და მეტი არაფერი. ეს ნიშნავს განა შოთა სომეხი იყო წარმოშობითო? განა ქართულში არ არის გაერცელებული — გურგენი, სარგისი, ნერსე და ა.შ. მაგრამ ეს მათ სომხობას ნიშნავსო? — აღნიშნავს აღშფოთებული ლეონ მელიქსეთ-ბეგი. იგი ამ საკითხთან დაკავშირებით მოიხმობს ალ. ხახანაშვილს, რომელიც შოთა რუსთაველის შესახებ წერდა: “Великого поэта постигла судьба многих великих людей. Нам достоверно неизвестно ни семейное происхождение Шота Руставели, ни общественное его положение, ни школьное образование, ни место и время его рождения - словом, наши биографические сведения столь же скудны, как о древнем Гомере и гениальном Шекспире. Само название Шота чисто грузинское и весьма древнее - сокращенное из Ашота, по мнению некоторых, не встречается в святцах христианских, так как не было обязательного обычая, у древних христиан, как и у грузин, давать при крещении имена святых, прославленных церковью.”⁹⁶

აქვე ვიტყვი, ოვ. თუმანიანს შოთა რუსთაველი წარმოშობით, სულით, ხორციტ ქართველად მიაჩნდა და მას თვლიდა ქართული ეროვნული სულის გენიალურ გამომხატველად. ერთხანს „კეფხისტყაოსანის“ სომხურად თარგმნასაც კი ფიქრობდა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ამ წერილში („სომეხები ძველ ქართულ მწერლობაში“) მოაქვს შემდეგი სტროფი „არჩილიანიდან“:

ფეშანგი ფაშვი-ბერტყაქემ ახლა პსოუა
 ფიშალანსი,
 სომხისგან კარგად, ჩაატკეთ, სიმძიმით
 ვით ლიტროანსი,

გებრალებოდესთ საბრალო, ცხვირ-მოჭქი
თუალ ცრქქლიანი,
ქე ვათქქეხენე, მაგრამ ვერა მსთქუა
მარღლიანი.

ამ სტროფით დასტურდება ფეშანგი ფაშვი-ბერტყვადის ტომით სომხობა და მისი მოკრძალებული ადგილი ძველ ქართულ მწერლობაშიც ცნობილია — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი. შემდეგი სომეხი პოეტი იყო ბეგთაბეგი მეფე გიორგი XI მღვიან-ბეგი. ამ ბეგთაბეგის შვილია აეთანდილი, ხოლო შვილიშვილი მარტიროსი (Jl. M.-B. - “Усыпальница кн. Бегтабеговых”, 1914, стр. 14). წერილის დასასრულს ჩამოთვლის: ზაქარია მადინაშვილი, ტერ-პეტროზა, ფილიპე ყაითმაზაშვილი და სხვები. ლეონ მელიქსეთ-ბეგი ამ წერილში ობიექტურად ცდილობს გაარკვიოს მათი ნაღვაწის ადგილი და მნიშვნელობა ძველ ქართულ მწერლობაში.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის არქივშია დაცული 34-გვერდიანი ხელნაწერი სტატია — „სულხან-საბა ორბელიანი და სომეხთმეცყველება“. მასში განხილულია სულხან-საბას ლექსიკონში შესული სომხური სიტყვები და ნაჩვენებია მათი ფონეტიკური სახეცვლილებანი.

ქუთათელი ტიმოთე გაბაშვილის მიერ დაბეჭდილ სომეხ მონოფიზიტების წინააღმდეგ ნაშრომში — „მარწუხი“, ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გაარკვია, რომ ტიმოთეს თავის ნაშრომში გამოუყენებია ძველ სომხურ მწერლობაში კარგად ცნობილი თხზულება — „პისუს ვორდი“ (ქრისტეს შილი). მისი ავტორია XII ს-ის სასულიერო პირი ნერსეს კლაელი. (ტიმოთე გაბაშვილს გამოუყენებია ამ თხზულების 1643, 1724 წ.წ. გამოცემები — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, 1940, ტ. I, №8, გვ. 637.

ტიმოთე გაბაშვილი იყო „სომეხთა საკითხის“ ისტორიაში ცნობილი მინას ვარდაპეტ ტიგრანიანის თანამედროვე. მინას ვარდაპეტ ტიგრანიანი, როგორც სომხური ეპარქიის მღვდელთმთავარი, ცხოვრობდა მოსკოვსა და ასტრახანში (1717-1740 წ.წ.). მინას ვარდაპეტ ტიგრანიანმა სიკედილის წინ

უარყო მონოფიზიტობა და მიიღო დიოფიზიტობა (მართლმადიდებლური სარწმუნოება). 1740 წლის 28 აპრილს, ლეონ მელიქსეთ-ბეგის ვარაუდით, ტიმოთე გაბაშვილს მინასთან ერთად მიძინების დიდ ტაძარში უნდა წაეკითხა ამ შემთხვევისათვის საგანგებოდ შედგენილი სომხური ტექსტი „სომეხთ მწვალებლობის განქიქებისათვის“. ეს ფაქტი კი ცხადყოფს, რომ ტიმოთე გაბაშვილს რამდენადმე უნდა სცოდნოდა სომხური ენა (გვ. 638).

მოგვიანებით, 1946 წელს ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოაქვეყნა სტატია „К биографии сподвижника Исраеля Ори-Минас Вардапета“ (Архивные материалы. - Известия Академии наук Армянской ССР, №1, 1946. (общественные науки)). ახალი საარქივო მასალების მოპოვების საფუძველზე ლეონ მელიქსეთ-ბეგმა უკვე ზუსტად დაადგინა, რომ ხსენებული არქივებისკოპოსი მინას ვარდაპეტი მართლმადიდებლობაზე მოქცევიდა ბერძენ არქიმანდრიტს ბენიამინს, მოქცევის ცერემონიაში მონაწილეობა მიუღია ტვერის ეპისკოპოსს მიტროფანეს და მამინ მოსკოვში მყოფ, ქუთაისის მიტროპოლიტს ტიმოთე გაბაშვილს. ამრიგად, ლეონ მელიქსეთ-ბეგმა საბოლოოდ დაამტკიცა მინას ვარდაპეტის მართლმადიდებლობაზე მოქცევის ფაქტი, რაშიც ეკვვი ეპარებოდათ ლეოს, გ. ეზოვს, ე. გელამიანს და სხვებს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის მეცნიერული თვალსაწიერი და ინტერესი არ იყო შემოზღუდული. იგი გულდასმით სწავლობდა ქართული და სომხური ენის კვლევის ისტორიას დასავლეთ ევროპაში. ამ საკითხს მიუძღვნა ნაშრომი — „სომხური და ქართული ენის კვლევის ისტორიიდან დასავლეთ ევროპაში XVI ს-ის პირველ ნახევარში“ (ტფილისის უნივერსიტეტის შრომები. ტ. III, პირველი სერია, საზოგადოთმცოდნეობა, 1936, გვ. 234-251). ნაშრომში მოკლედ, მაგრამ ამომწურავად არის ქართული და სომხური ენის კვლევის ისტორია დასავლეთ ევროპაში, კერძოდ, პოლიგლოტ პოსტელისა და თეზეს მოღვაწეობა XVI საუკუნის პირველ ნახევარში. ეს ის პერიოდია, როცა სომხურ ენას ხან სემიტურ, ხან თურანულ ენათა მონათესავედ მიიჩნევდნენ და ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მასზე. ლეონ მელიქსეთ-ბეგი შენიშნავს — ვილჰელმ პოსტელი და ამბროსიო თეზე ქართული და სომხური ენების ისტორიის ერთ-ერთი პირველი მკვლე-

ვარები იყვნენ დასავლეთ ევროპაში: „პოსტელს ერთმანეთთან შეუდარებია ებრაული, ქალდეური, სირიული, სამარიტული, არაბული, ეთიოპური, ბერძნული, ქართული, სერბიული, დოლმატური, სომხური და ლათინური ენები“ (გვ. 239). აქვე მიუთითებს — მართალია, ჩემი ვარაუდი არ გამართლდა ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის ერთი საუკუნით გადაწევის თაობაზე, მაგრამ, სამაგიეროდ გაირკვა, თუ რა წარმოდგენის იყვნენ ევროპაში ქართული და სომხური ენების შესახებ ერთი საუკუნის წინ, ვიდრე გამოიცემოდა პირველი სომხური გრამატიკა ფრანჩისკო რივოლას და კლემენტი გალიანოსისა და პირველი ქართული გრამატიკა-ლექსიკონი სტეფანო პაოლინის და მარიო მაჯიოს მიერ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს მთელ საბჭოთა კავშირის ბიბლიოთეკებში უძებნია პოსტელისა და თეზეს აღნიშნული თხზულებანი, მაგრამ არსად არ აღმოჩენილა. ამიტომ, იძულებული გამხდარა მიემართა ევროპის სხვადასხვა ბიბლიოთეკებისათვის. საბედნიეროდ, ორივე წიგნი დაცული ყოფილა რომის ნაციონალურ ბიბლიოთეკასა და პარიზის აღმოსავლურ ცოცხალ ენათა სასწავლებელში. ამ წიგნების პოვნით გახარებული ლეონ მელიქსეთ-ბეგი წერს: „ახლა ჩვენს ხელთაა ამ წიგნთა მოკლე აღწერა და ზოგიერთი გვერდის ფოტოსურათები“ (გვ. 240). მას მიუღია რომის ნაციონალური ბიბლიოთეკის დირექტორის მიქელ პინტოს საპასუხო წერილი, რომელიც დაცულია ლეონ მელიქსეთ-ბეგის არქივში. წერილი დაწერილია ქართული ლამაზი ასოებით, დარბაისული ქართულით. მიქელ პინტო ქართული მწერლობის ისტორიაში განსწავლული ჩანს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ის არის საზღვარგარეთ მოღვაწე ცნობილი ქართველი მეცნიერი მიქელ თარხნიშვილი. მოგვაქვს ეს წერილი:

20.IV.33.

Roma, Via Manin, 9

დიდად პატივცემულო

ბატონო მელიქსეთ-ბეგო,

ზოდით უხდის, რომ სხვადასხვა მიზეზებისა გამო, ამ ხნობამდის ვერ გიპასუხეთ თქვენს შეკითხვაზე, რომელმაც მე ერ-

თომ დამაინტერესა. ის წიგნი, რომლის შესახებაც თქვენ იწერებოდით, მოენახე აქაურ ნაციონალურ ბიბლიოთეკაში და ეალად ვილე მისი შესწავლა. გიგზავნით ამ წიგნიდან ორ ცალგადიდებულ ფოტოგრაფიას: ერთი სათაურია, მეორე „ანბანის“ გვერდი. წიგნის სათაური, როგორც შეამჩნეთ, საქსებით შეფერება თქვენს მიერ აღწერილს. გარნა აღნიშნული წიგნი არ უნდა დაესახოთ სერიოზულ ნაწარმოებად, რადგანაც მასში ქართული არამცთუ „მამაო ჩვენოს“ ტექსტიც არ მოიპოვება, თვით „ანბანიც“, როგორცა სწანს მეორე ფოტოგრაფიიდან, უფრო ბერძნულია, და, შეიძლება ითქვას, ფანტასტიურიც, ვიდრე ქართული; ამითი ქართულის გამოცნობა მხოლოდ მიხედვრით შესაძლებელია. ხოლო ქართული ენისა და საზოგადოდ საქართულოს შესახებ „ცნობას“ გვაძლევს ლათინური ტექსტის ერთი გვერდი (წიგნი რასაკვირველია ლათინურად არის შედგენილი), რომლის გადმონაბეჭდს გიგზავნით ორ სახად: პირველი ამოღებულია წიგნიდან სტერეოტიპულად, მეორე ტექსტი შეიცავს იმავეს, გარნა ტიპოგრაფიული შემოკლებანი გახსნილი არის ჩემ მიერ. ზემონათქვამის მიხედვით შე ვფიქრობ, რომ ეს წიგნი არ შეიძლება მიჩნეულ იქმნას ქართულ ბეჭდვითი ნაწარმოების პროტოტიპად.

იმედოვნეთ. ბატონო პროფესორო, რომ ჩემს თავს მუდამა ვთული თქვენს განკარგულებაში, უკეთუ რამეში გამოგადგებით. პატივისცემით მიხეილ ჰინტო.

მიხეილ ჰინტო მართებულად აღნიშნავს, რომ „ანბანი“ უფრო ბერძნულია და, შეიძლება ითქვას, ფანტასტიურიც, ვიდრე ქართული. „ამით ქართულის გამოცნობა მხოლოდ მიხვედვრით არის შესაძლებელი“ და ა.შ. ყოველ შემთხვევაში, საინტერესოა პოსტელის მითითება, რომ ქართველები კონსტანტინეპოლში სარგებლობდნენ ბერძნული ანბანით, მისი ზო-

გიერთი ცვლილებებით, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.⁹⁷

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ჩვეული ნაყოფიერებით განაგრძობს მუშაობას საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ არქივში. შედეგიც არ იგეიანებს და სისტემატურად ქვეყნდება მისი შრომები არქივში ნაპოვნი მასალების შესახებ. ერთ-ერთია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში გამოქვეყნებული სტატია — “Французские арменисты первой половины XIX века по архивным материалам Грузии” (Яков Шахин-Джеперт, М. - Вайнде-Флоривал и Мари-Фелиците Броссе, т. 63, 1956). მასში ჯერ მიმოხილულია არმენოლოგიის განვითარების ისტორია დასავლეთ ევროპაში. შემდეგ ლეონ მელიქსეთ-ბეგი განიხილავს ფრანგი არმენოლოგის იაკობ შაჰინ-ჯეპერტის თბილისში მოღვაწეობის პერიოდს (1826-1836 წ.წ.). ერთხანს ჯეპერტი (1828-1829 წ.წ.) იყო თბილისის ნერსესიანის სომხური სასწავლებლის გამგე.

ჯეპერტი იყო წარმოშობით სირიელი სომეხი — ჭირატიანი. დაიბადა ქ. ელესაში 1766 წელს, გარდაიცვალა 1836 წელს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოთქვა ვარაუდი: “В связи с деятельностью Джеперта в Тифлисе 1826-1829, т.е. почти накануне выработки “Положения” об армянской церкви, высочайше утвержденного 11 марта 1836 г., можно высказать предположение о том, что термин “грегорианская” (“григорианская”) именно во французском произношении для обозначения армянской апостольской (Эчимиадзинской) церкви, для различия от армяно-католической, был воспринят царским правительством не без влияния Джеперта”⁹⁸ (გვ. 304).

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ არქივში დაცული ხელნაწერი ფრანგულ ენაზე (№263) შეუსწავლია ლეონ მელიქსეთ-ბეგს. ეს ხელნაწერი აღმოჩნდა შაჰინ-ჯეპერტის შედგენილი. მისი სათაურია — „კითხვა და განმარტება“. მასში ლაპარაკია სომხეთის ისტორიაზე და სომხური ეკლესიის კათოლიკური სამართლის შესახებ. ეს არის პირველი ნაწილი, მეორე ნაწილი კი შეეხება ფრანგ მეცნიერ არმენოლოგებს —

ლე-ვანდუ ფლორივალის და მარი ბროსეს. როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლებას საეჭვოდ მიუჩნევია ამ ორი ფრანგი მეცნიერის ამიერკავკასიაში შემოშვება 1834 წელს. ლეონ მელიქსეთ-ბეგის წერილში გამოქვეყნებულია რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრ კ. ნესელროდსა და კავკასიის მთავარმართებელ ვ. როზენს შორის მიწერ-მოწერა ფრანგი მეცნიერებისთვის ვიზების გაცემა-არგაცემის შესახებ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოაქვეყნა საინტერესო ნაშრომი — „უცნობი მასალები გაიოზ რექტორის შესახებ“ (ტ. 69, 1958, გვ. 386-399). იგი ფიქრობს, რომ გაიოზ რექტორს (ბარათაშვილი), ისე როგორც XVIII ს-ის არაერთ ქართველ სასულიერო პირს, სცოდნია სომხური ენა. ამ ნაშრომის მიხედვით გაირკვა, რომ ასტრახანის და სტავროპოლის არქივის-სკოპოს გაიოზ რექტორს (1809-1820 წ.წ.) ახლო ურთიერთობა ჰქონია XIX ს-ის ცნობილ სომეხ პოეტთან სერობე პატკანიანთან, რომელიც ამ დროისათვის ასტრახანში ყოფილა სომხური სასწავლებლის გამგედ. სომეხ პოეტს გაიოზ რექტორისადმი მიუძღვნია ლექსი-აკროსტიხი „მამამთავარ გაიოზს“. მართალია, ლექსი მხატვრულად და შინაარსობრივად მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ ერთი კია — სომეხი პოეტი გაიოზ რექტორს ნაირ-ნაირი ეპითეტებით ამკობს, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

ნაშრომში გამოქვეყნებულია უცნობი საარქივო მასალები გაიოზ რექტორის მოღვაწეობის შესახებ ასტრახანში. მაგალითად, ყაბარდოს ერთ-ერთი წარჩინებული პირი მაჰომედ თათარხანოვი გაქრისტიანებულა და ამის გამო ნათესავებისაგან პრობლემები შექქმნია. გაიოზ რექტორისათვის მიუმართავს და ეს უკანასკნელიც უანგაროდ დახმარებია.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი სამეცნიერო მოღვაწეობის ადრეულ წლებშივე ცდილობდა სომხური ენა და მწერლობა ხელმისაწვდომი ყოფილიყო ქართველი სამეცნიერო საზოგადოებისათვის. ამ მიზნით, 1920 წელს თბილისში გამოსცა ძველი სომხური ქრესტომატია, თანდართული ლექსიკონით. შესავალში აღნიშნავს ქრესტომატიის აგების პრინციპების შესახებ. სომხური ტექსტების შედარება ქართულთან იოლი რომ ყოფილიყო, მასალად შეურჩევია ქართულში ცნობილი თხზულებანი — საღმრთო წერილი, შუ-

შანიკის წამება, ქართლის ცხოვრების უძველესი რედაქცია და სხვა. მოყვანილი აქვს სომხური ეპიგრაფიკული ძეგლთა ნიმუშები და ა.შ. ჯერ კიდევ მაშინ (1920 წ.) ლეონ მელიქსეთ-ბეგს გეგმაში ჰქონია შეედგინა კრებულები — „სომეხ მემატრიანეთა ცნობები (V-XVIII ს.ს.) საქართველოს და ქართველების შესახებ“, „სომხური ეპიგრაფიკა საქართველოში“ და სხვ.

გრიგოლ ახთამარელი XVI ს-ის სომხური პოეტია. 1512-1544 წლებში იყო ახთამარის კათალიკოსი. მის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პეიზაჟის აღწერას და მიჯნურობის მოტივს („ვარდი და ბულბული“, „სიყვარულის სიმღერა“, „სპილენძის ქალაქის ისტორია“ და სხვ.) ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პოეტის ცხოვრება და შემოქმედება პირველად განიხილა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა.⁹⁹ ქართველ მკითხველს გააცნო გრიგოლ ახთამარელის ლიტერატურული მემკვიდრეობა, სამართლიანად გაუსვა ხაზი ძველ სომხურ ენაზე (გრაბარზე) დაწერილი პოემის — „მარინოსის“ — განსაკუთრებულ მნიშვნელობას პოეტის შემოქმედებაში. პოემა აგებულია უდანაშაულობის ქრისტიანულ გაგებაზე. საქმე იმაშია, რომ პოემის მთავარი გმირი ქალიშვილი მარინოსი ბერად აღკვეცილ მამას ვერ სტოვებს და ვაჟურად გადაცმული მამასთან ერთად ხდება ბერი. ერთი შემთხვევის გამო მას ვიდაც ქალმა გაუპატიურება დააბრალა, რათა ნამღვილი „დამნაშავე“ დაეფარა. ბავშვი დაიბადა თუ არა, „ბერს“ მოჰკვარეს. მარინოსმა ეს ბავშვი გაზარდა. ხოლო როცა მარინოსი გარდაიცვალა, მისი გვამის გაპატიოსნების დროს სიმართლეს ფარდა აეხადა. ბრალმდებელმა ქალმა ცოდვა აღიარა, ხოლო მარინოსი სიკვდილის შემდეგ გამართლდა. პოემის მოკლე შინაარსის გადმოცემის შემდეგ მოცემულია მისი მხატვრულ-ლიტერატურული ანალიზი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი კვლავ მიუბრუნდა გრიგოლ ახთამარელის ამ პოემას და გამოაქვეყნა სომხურ ენაზე სტატია — „გრიგოლ ახთამარელის პოემა „ცხოვრება მარინოსის“ და მისი პროტოტიპი“ (სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (საზოგადოებრივი მეცნიერება), 1945, №1-2, გვ. 77-89). სტატიაში შედარებით ფართოდაა განხილული პოემა „ცხოვრება მარინოსისა“ და წარმოჩენილია მისი პირველი წყარო. ეს არის ტერ-ისრა-

ელიანის რედაქციით XVIII ს-ის აგიოგრაფიული ტექსტის სინაქსარი, რომელიც გრიგოლ ახთამარელს ლექსად გაუწყვია. პოემაში ორიგინალურია შესავლის 140 და ბოლოს 67-70 სტროფები. დარჩენილი 11-66 სტროფები იმეორებს ორიგინალის შინაარსს. ამრიგად, ლეონ მელიქსეთ-ბეგმა პირველმა დაადგინა გრიგოლ ახთამარელის პოემის „ცხოვრება მარინოსის“ წარმომავლობა და მისი პირველი წყარო.

კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომის (ძველი ქართული მწერლობა) პირველ გამოცემას (1923 წ.) ლეონ მელიქსეთ-ბეგი გამოეხმაურა საკმაოდ ვრცელი რეცენზიით — „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“ პირველი ტომის გამოსვლის გამო“ („საისტორიო მოამბე“, წიგნი II, 1924, გვ. 258-263). ლეონ მელიქსეთ-ბეგი მაღალ შეფასებას აძლევს ამ კაპიტალური ნაშრომის გამოცემას და შენიშნავს: ჯერ ამის მსგავსი არ შექმნილა ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაშიო და მისი კომპოზიცია გამართლებულად მიაჩნია. შემდეგ მკვლევარი იძლევა ფაქტოლოგიურ შენიშვნებს: კირიონ I კათალიკოსის მოღვაწეობა სრულად არ არის წარმოდგენილი და სამეცნიერო ლიტერატურაც ნაკლულიაო და მიუთითებს ნერსეს აკინიანის სომხურ ენაზე დაწერილ ნაშრომზე — „კირიონი კათალიკოსი ქართველთა. სომეხ-ქართველთა ურთიერთობის ისტორია მეშვიდე საუკუნეში“ (ვენა, 1910).

იოანე ოსეშვილის მოღვაწეობის განხილვის დროს კ. კეკელიძეს გამოერჩენია ის ფაქტი, რომ ის იყო ერთ-ერთი ინიციატორი კარაბადინების გადმოღებისა ქართულად. ასე მაგალითად, იოანე ოსეფაშვილს სომეხ მღვდელ ტერ-პეტროსიანთან ერთად გიორგი XII-ის ბრძანებით სომხურიდან უთარგმნია „ცხენის კარაბადინი“. სომხური ტექსტი კი, თავის მხრივ, ყოფილა არაბულიდან თარგმნილი (1564 წ.). ეს ცნობა დაცულია თ. ჟორდანიას ნაშრომში — „Описание рукописей“, II, გვ. 137-138. კ. კეკელიძეს აუცილებლად უნდა განეხილა სომხური ანბანის წარმოშობა, — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი, — ეს არც ისე უდავოა, როგორც კ. კეკელიძე ფიქრობსო, და ჩამოთვლის სომეხ მეცნიერებს, რომლებსაც სომხური ანბანის წარმოშობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება გააჩნიათ (გ. ოსეფიანი, პრ. აჭარიანი, მ. დამიანი და ა.შ.).

ლეონ მელიქსეთ-ბეგი თვლის, რომ ეს ნაშრომი „არის ქართველი ერის და მისი შემოქმედების ბრწყინვალე წარსულის ერთ-ერთი ნათელი გამოხატულება“ (გვ. 263).

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა საგანგებო სტატია მიუძღვნა ძველი ქართულის პუნქტუაციას — “К вопросу о системе пунктуации в древней Грузии” (“Хр. Восток”, 1918, т. VI, вып. II, стр. 95). სტატიაში ავტორი შენიშნავს, რომ ძველ ქართულში პუნქტუაციის სისტემა შეუსწავლელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ივ. ჯავახიშვილის ნაშრომს ამ თემაზე (“Пособия для работы по армяно-грузинской филологии”, изд. Акад. наук, III Пгр., 1916), ეფრემ მცირის და კათალიკოს ანტონის მიერ შემოღებული იყო პუნქტუაციის სისტემა, მაგრამ დღემდე გვერდს ვერ აუუვლით იმ ფაქტს, რომ კათალიკოს ანტონის ეპოქაში იყო სხვაგვარი პუნქტუაციის სისტემა, რომელიც შეიქმნა სომხური პუნქტუაციის გავლენით, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი. მას მხედველობაში აქვს სომხურიდან ქართულად თარგმნილი „შემოკლებითი ახსნა პერარმენიის წიგნთა“. ამ თარგმანის ხელნაწერზე ყოფილა ფილიპე ყაითმანაშვილის მინაწერი ქართულად და სასვენი ნიშნები დაუსვამს ისე, როგორც სომხურშია მიღებული. აქედან გამომდინარე ლეონ მელიქსეთ-ბეგი ფიქრობდა: “...существовали ли подобные знаки препинания древних эпохи вышеупомянутого ученого каталикоса и его литературных сподвижников.” (стр. 95).

ლეონ მელიქსეთ-ბეგი და რუსთაველოლოგია

ლეონ მელიქსეთ-ბეგის მეცნიერულ თვალსაწიერს არ გამორჩენია რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“. ამ გენიალური მხატვრული ქმნილების მიმართ მუდამ მოწიწებით წერდა და განსაკუთრებული პატივისცემით ლაპარაკობდა მის შესახებ ლექციაზეც. მან პირველმა მიაქცია ყურადღება და კვლევა-ძიების საგნად აქცია სომეხ გადამწერთა წვლილი „ვეფხისტყაოსნის“ გავრცელების საქმეში. 1935 წელს მან გამოაქვეყნა წერილი „ვეფხისტყაოსნის“ სომეხი გადამწერნი“ (კრებ. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წიგნი I, გვ. 665), რომელშიც აღწერილია სომეხთა

მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხები.

პირველ ნუსხაზე 1671 წლის მინაწერია გაკეთებული — „ოდეს ამ „ვეფხისტყაოსანსა“ ესწერდი მე, აღმურაანთ ბაღდასარას შვილმა, მუშრიბი გასპარამა, მაშინ ღთ მნ წყალობა მიყო და დაიბადა ჩემი ყმაწვილი დავით.“ ამ მინაწერით გაირკვა, რომ ვინმე აღმურაანთ ბაღდასარას შვილს გასპარას, რომელსაც მუშრიბი თანამდებობა ჰქონია, „ვეფხისტყაოსანი“ გადაუწერია.

მეორე ნუსხა 1680 წლითაა დათარიღებული. აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს. მინაწერის მიხედვით, გადამწერი ყოფილა მღივანი ბეგთაბეგი, რომელიც ცნობილი იყო, როგორც გიორგი XI-ის კარის მგოსანი. იგი მოიხსენიება ბეგთაბეგაანთ საგვარეულო სოფ. ვაყის სომხური ეკლესიის ერთ-ერთი კედლის ქართულ წარწერაში, როგორც აღმშენებელი ე.წ. „წინჟამატუნისა... ზედა საყდრით, ზარის საკიდითა, კარის ბჭითა, რკინის ჯვრით“ — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი (“Усыпальница кн. Бегтабеговых, Тифлис, 1914, стр. 8-9). ამ ბეგთაბეგის შვილის ბეჟანის საფლავის წარწერაში, ამავე ეკლესიაში იგი „დიდ ბეგთაბეგად“ არის მოხსენიებული (იქვე, გვ. 7).

მესამე ნუსხა დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში (ხელნაწერი №10), რომელიც ასევე აღწერა ექ. თაყაიშვილმა. მინაწერის მიხედვით, იგი გადაუწერია ყაზანთ ბეჟუას ქალს. „ქ. მე, ცოდვილი ყაზანთ ბეჟუას ქალმა დამიწერია „ვეფხისტყაოსანი“, ვინცა გადმოსწეროს შენდობა მითხრას მე; იგი გადაწერილია შემხას, 1702 წელს.“

მეოთხე ნუსხა არის ხელნაწერი, რომელიც თბილისელ სომეხ პოეტს ანტონ აუშტრიანისგან შეუძენია საქ. მუზეუმს. მისი გადაწერის თარიღია 4 ივლისი 1826 წლისა. გადაწერის ადგილი ყარაბაღი, ან სოფ. ავეტარანოცი, ან შესაძლოა იყოს სოფ. ჩანახჩა. გადამწერი უცნობია. ამ ხელნაწერს დართული აქვს განმარტებითი ლექსიკონი. ლექსიკონთან დაკავშირებით ლეონ მელიქსეთ-ბეგი შენიშნავს — „ვეფხისტყაოსნის“ პეტრე ლარაძისეულ ნუსხას დართული აქვს ლექსიკონი. პეტრე ლარაძის ლექსიკონის შემდეგ, ხსენებულ (ყარაბაღის) ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანზე“ დართული ლექსიკონი მეორეა. იგი წერს: „ამ ლექსიკონის შემდგენელი თი-

თქოს სომხურის უცოდინარია, მაშინ როდესაც იგივე ირანულ-თურქულ-არაბულის მცოდნეა. ლარაძისეული ლექსიკონის შემდგენელი კი, პირიქით, სომხურის მცოდნე ჩანს.“ (გვ. 608). ლეონ მელიქსეთ-ბეგი „ვეფხისტყაოსნის“ ყარაბაღულ ხელნაწერ ვარიანტზე დართული ლექსიკონის მნიშვნელობაზე ზაზგასმით მიუთითებს და მიაჩნია ქართული ენის ისტორიის კვლევის საქმეში ერთ-ერთ საუკეთესო დოკუმენტად.

მეხუთე ნუსხა „ვეფხისტყაოსნისა“ ეკუთვნოდა ოვანეს თუმანიანს. ეს ნუსხა აღუწერია ლეონ მელიქსეთ-ბეგს 1921 წელს. ეს აღწერა მან გამოაქვეყნა 1923 წელს, გზ. „კომუნისტში“ (№75). „ვეფხისტყაოსნის“ ეს ხელნაწერი გადაწერილია ავეტიქ გორგიჯანოვის მიერ თბილისში, ჩუღურეთში — 1839 წლის 3 ოქტომბერს.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ ჩამოთვლილი 5 ხელნაწერიდან 3 გადაწერილია საქართველოში, ხოლო 2 საქართველოს გარეთ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის ამ შრომების გამოქვეყნების შემდეგ კიდევ აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები, გადაწერილი სომეხი გადაწერების მიერ. ისინი აღწერა პროფ. სულ. ყუბანეიშვილმა.¹⁰⁰ ეს ხელნაწერებია: №4527 - გადაწერილი იესე ბეგთაბეგოვის ხელით. გადაწერა დაუმთავრებია 1905 წლის 20 მაისს. პროფ. სულ. ყუბანეიშვილის ვარაუდით, იესუ ბეგთაბეგოვი უნდა იყოს შვილშვილი ბეგთაბეგ მარტიროზიშვილის, რომლის შესახებ ლაპარაკია ლეონ მელიქსეთ-ბეგის ზემოხსენებულ შრომაში.

ხელნაწერი №783 კი ვახტანგის გამოცემიდან გადაუწერია დუშელ ივანე დავითის ძე სომხიევს 1857 წელს. ხელნაწერს დართული აქვს ინდოხატაელთა და მისი მომდევნო ამბები.

1860 წლის ხელნაწერი გადაუწერია თბილისის ნერსესიანის სემინარიის მოსწავლეს კარაპეტ ასლანოვს. პროფ. ყუბანეიშვილის აზრით, მას მსგავსება აქვს გორგიჯანოვის ხელნაწერთან.

პეტერბურგში ასლან საფაროვს ვახტანგის გამოცემიდან გადაუწერია №48 ხელნაწერი.

ხელნაწერი №930 — აღმოჩნდა სომხეთში, კერძო ოჯახში. ეს ხელნაწერი სომხეთის მთავრობამ საჩუქრად გადასცა საქართველოს მთავრობას

(1946 წ.). იგი აღწერა აკად. ალ. ბარამიძემ და უწოდა „გურგენასული“. ხელნაწერი საინტერესოა იმით, რომ იგი კირონისეული აღმოჩენდა, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი სისტემატურ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ბიბლიოგრაფიის დარგში. ძნელია ვინმეს შეადარო ამ მხრივ იგი. მან გამოაქვეყნა ვრცელი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი — „რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ სომხურ ლიტერატურაში“ (კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, შრომები, წიგნი IV, 1939, გვ. 152). მასში საფუძვლიანად არის წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ სომხურად თარგმნის ისტორია — დაწყებული მისი პირველი სომეხი მთარგმნელის სტ. ბასტამიანის თარგმანის გამოქვეყნებიდან (XIX საუკუნის შუა წლებიდან) 1937 წლამდე (რუსთაველის 750 წლის იუბილამდე). ნაშრომი აგებულია ქრონოლოგიურ პრინციპზე გამოცემების მიხედვით. ნაშრომში, ბუნებრივია, არ არის შესული საიუბილეო დღეებში გამოქვეყნებული ლიტერატურა. ეს ნაკლი ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოსწორა და 1940 წელს კვლავ გამოაქვეყნა ნაშრომი — „რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ სომხურ ლიტერატურაში“ (საჯარო ბიბლიოთეკა, შრომები, წიგნი IV, გვ. 243). აქ კი შესულია „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ სომხურ პერიოდიკაში გამოქვეყნებული ლიტერატურული წერილების ბიბლიოგრაფია (1937-1940 წ.წ.). აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ სრული სომხური თარგმანი, რომელიც შეასრულა ქართველოლოგმა, პროფ. გ. ასატურმა.¹⁰¹ გარდა ამისა, გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტთა სომხური თარგმანები, რომლებიც შეასრულეს: ვ. ტერიანმა, გ. მელიქსეთ-ბეგმა, ან. აუშტრიანმა, გ. მურადიანმა, ივ. კარაპეტციანმა, ვარდ. სიმონიანმა, ოვ. თუმანიანმა, ლეონ მელიქსეთ-ბეგმა და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ნაშრომში „შოთა რუსთაველი და სომხური ლიტერატურა“¹⁰² აღნიშნავდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სომხურ წყაროებში ხალხური ვერსიების სახით დღემდე არ მოუღწევია. მართლაც, ეს ფაქტია, მაგრამ აკად. ჰრ. აჭარიანის მიერ დადგენილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახელები სომხურში შესულია და გვხვდება XVI-XVIII საუკუნეების სომხურ წყაროებში.¹⁰³ ამავე ნაშრომში ლეონ მელიქსეთ-

ბეგმა განიხილა „ვეფხისტყაოსანი“ ძველ სომხურ ლიტერატურასთან მიმართებაში და გამოთქვა საკუთარი შეხედულებები. ეს შედარება მას გაანალიზებული აქვს ქართული და სომხური ლიტერატურის განვითარების ისტორიულ ფონზე. მას აგრეთვე, სომხურ ენაზე გამოქვეყნებული აქვს შემდეგი წერილები: „სომხები ძველ ქართულ ლიტერატურაში“, „შენიშვნები რუსთაველის და მისი „ვეფხისტყაოსანის“ შესახებ“ და სხვ. ამ წერილებში გამოთქმული ზოგიერთი აზრი სადავოა, მაგრამ მთლიანობაში დადებითი ფაქტია, რადგან მან სომხური სამეცნიერო სწავლაობა კიდევ უფრო გააცნობიერა „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ მხატვრულ პრობლემებში. რუსთაველის დაბადების 750 წლის საიუბილეოდ ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოაქვეყნა სტატია — „Крепость Каджети“ („Заря Востока“, 1937, №113).¹⁰⁴ იგი მასში შეეცადა „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯეთის ციხის ლოკალიზაციას. მას მოაქვს ლეონტი მროველის (XI ს.) ცნობა იმის შესახებ, რომ ჯავახოსმა ორი ციხე-სიმაგრე ააშენა: წუნდა და არტანისი (არდაგანი). ლეონ მელიქსეთ-ბეგი შემდეგ შენიშნავს — არტანისი იწოდებოდა „ქაჯეთის ქალაქად“, „ქაჯეთის ციხედ“ და იგი არაერთხელ არის ნახსენები მესხეთის ქრონიკებში (XVI ს.). ვახუშტის „ქაჯეთის ციხე“ მითითებული აქვს ჩაქვის რაიონში.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის ვარაუდით, „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯეთის ციხე უნდა იყოს ძველ მესხეთში, სამცხე-საათაბაგოში, კერძოდ ერუშეთში, „...при слиянии рек Кара-су и Куры. Эта крепость носит название Каджетис цихе или Шаитан-Кала“. თურქულად შაითან-კალა ნიშნავს ეშმაკის ციხეს. ეს ციხე, მართლაც, მაღალ, მიუდგომელ კლდეზეა აშენებული, — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და მას „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებულ ქაჯეთის ციხედ ვარაუდობს.

„საიათნოვას ვინაობა“

(კრიტიკულ-ბიოგრაფიული ეტიუდი)

საიათნოვა — სახელგანთქმული თბილისელი აშული თავის სიმღერებს ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე თხზავდა და მღეროდა. სიმღერების რამდენიმე ენაზე შექმნა იშვიათი როდია სიტყვიერების ისტორი-

ამი. თბილისში (და არა მარტო თბილისში) ორ-სამ და მეტ ენაზე თხზავდნენ სხვა აშუღებიც, მაგრამ ისინი საიათნოვას პოეტურ ტალანტამდე ახლოსაც კი ვერ მივიდნენ და ამიტომ მათი სახელები საიათნოვას პოპულარობის ჩრდილში მოექცნენ. აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ საერთოდ საიათნოვას შესახებ პირველი ცნობები დაგვიტოვა თეიმურაზ ბატონიშვილმა თავის კატალოგში. შემდეგ არაერთი ქართველი მკვლევარი შეეხო ამ თემას და გამოიკვლია მისი ცხოვრება და შემოქმედება. ესენია — პლ. იოსელიანი, ზ. ჭიჭინაძე, ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ლ. მენაბდე, გ. შაყულაშვილი, ალ. ფოცხიშვილი და სხვა.

სომეხი მკვლევარების მიერ საიათნოვას ბიოგრაფიისა და პოეზიის კვლევის ისტორია კი ასე დაიწყო: თბილისელმა ექიმმა და ფილოლოგმა გევორგ ახვერდოვმა პირველმა შეაგროვა თბილისში საიათნოვას სომხური სიმღერები, დაურთო მის მიერ მოძიებული ბიოგრაფიული მასალები აშუღის შესახებ და გამოსცა მოსკოვში 1852 წელს.¹⁰⁵ შემდეგ საიათნოლოგიის გაფართოება-განვითარების საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს სომეხმა მკვლევარებმა — ლეომ, გ. ასატურმა, გ. ლევონიანმა, მ. ასატრიანმა, პ. სევაკმა და სხვ.

...მეთვრამეტე საუკუნის თბილისელი პოპულარული აშუღი საიათნოვა მეოცე საუკუნის დასაწყისში თითქმის მივიწყებული ჩანს საქართველოში. ი. გრიშაშვილის წყალობით ქართული საზოგადოება მას ხელახლა გაეცნო. ოვ. თუმანიანის ინიციატივით თბილისში, ციხის დიდი ეკლესიის ეზოში 1914 წლის 14 მაისს საფუძველი ჩაეყარა საიათნოვას სიმბოლიური საფლავის ძეგლს. ამ ღონისძიებას ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი დასწრებიან. გასჩენიათ ზარი საიათნოვას ქართული სიმღერების გამოცემისა: „ტფილელი კაცი ხარ... ალბათ გაგეგონება საიათნოვას ქართული ლექსები, ანდა გეცოდინება იმისი კავშირი თავის დროის ქართველებთანო — მითხრეს ძეგლის კურთხევის გამო თავმოყრილმა ქართველმა ლიტერატორებმა, რომელთა შორის იყვნენ: კოტე მაყაშვილი, იოსებ იმედაშვილი, გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავე და სხვები“, — იგონებს ი. გრიშაშვილი. ქართველმა პოეტმა სიტყვა საქმედ აქცია და 1918 წელს გამოვიდა მისი ვრცელი მონოგრაფია („საიათნოვა“), ლექსებისა და

ლექსიკონის თანხლებით. აქედან დაიწყო, უფრო სწორედ, საფუძველი ჩაეყარა ქართულ მეცნიერულ საიათნოლოგიას. 1930 წელს კი გამოვიდა პოეტ-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის მონოგრაფია „მგოსანი საიათნოვჭ“. ამავე, 1930 წელსვე გამოსცა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოკვლევა — „საიათნოვას ვინაობა“ (კრიტიკულ-ბიოგრაფიული ეტიუდი). ამ ვრცელი მონოგრაფიის გამოცემის საჭიროების თაობაზე წინასიტყვაობაში ლეონ მელიქსეთ-ბეგი მიუთითებს: „ორმა გარემოებამ მაიძულა მე ხელი მომეყიდა საიათნოვას საკითხისათვის. პირველი იყო ის, რომ 1926 წლის ერევნის გაზეთ — „ხორპრდანი ჰაიასტანში“ (საბჭოთა სომხეთი) გაცხარებული პოლემიკა გაიმართა ლეოს (არაქელ ბაბახანიანის) და გეგორგ ასატურის (გეგორგ ასტეაწატრიანს) შორის საიათნოვას ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხის ირგვლივ.“ მეორე გარემოება, რის გამოც ლეონ მელიქსეთ-ბეგმა მოჰკიდა ხელი საიათნოვას ბიოგრაფიის კვლევა-ძიებას, ყოფილა ის, რომ 1928 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა, სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით (ცდა ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევისა)“, რომელიც მოიცავს XI-XIII საუკუნეებს და მოითხოვდა შემდგომ გაგრძელებას, რაც თავისთავად გულსხმობდა საიათნოვას ბიოგრაფიის გამოკვლევას, რადგან მისი ბერობა დაკავშირებული იყო ახპატის მონასტერთან. ეს მონასტერი კი ერთ-ერთ მძლავრ სამწერლო-კულტურულ კერას წარმოადგენდა ჩრდილოეთ სომხეთში.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანატის დანშარებით ერევნის სიძველეთსაცავებში კარგახანს იმუშავა, მოინახულა აგრეთვე, ახპატის მონასტერი, გულდასმით შეისწავლა იქ არსებული სომხური ეპიგრაფიკა, წერილობითი და მატერიალური ძეგლები და შექმნა ხსენებული მონოგრაფია. ამ ნაშრომით მან საიათნოვას ბიოგრაფიის კვლევა-ძიების საქმე მთელი ეტაპით წასწია წინ. ამავე დროს, ცნობილ სომეხ ისტორიკოსს ლეოს, რომელიც ფიქრობდა საიათნოვას ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევის ცენტრი მხოლოდ ერევანი უნდა ყოფილიყო, დაუმტკიცა, რომ საიათნოლოგია (მას საფუძველი ჩაეყარა საქართველოში) არანაკლები წარმატებით

ვითარდება თბილისში, ვიდრე ერევანში.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი საიათნოვას ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის განვითარების ისტორიას სამ ეტაპად ყოფს. მართალია, დაყოფა პირობითია, მაგრამ ძირითადად ასახავს რეალურ გზას, რაც გაიარა საიათნოლოგიამ დაწყების დღიდან – XIX ს-ის შუა წლებიდან – XX ს-ის 30-იან წლებამდე.

საიათნოვას ბიოგრაფია ბურუსით არის მოცული, არა მარტო XX საუკუნის 30-იან წლებში, არამედ დღესაც ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი მომენტი მისი ცხოვრებისა დაუდგენელია. მკვლევარები ვერ შეთანხმებულან თუნდაც საიათნოვას დაბადების, გარდაცვალების თარიღის დადგენაზე. მაგალითად, საიათნოვას დაბადების შესახებ უამრავი აზრია გამოთქმული. შეიძლება ითქვას, ვინც კი გაკერით შეეხო საიათნოვას საკითხს, ყველა თავს თვლიდა ვალდებულიდ ამულის დაბადების დრო „დაედგინა“. აღარას ვამბობთ მკვლევარებზე, ვინც სპეციალურად იკვლევდნენ საიათნოვას ბიოგრაფიას და მის შემოქმედებას. გ. ახვერდოვის აზრით, საიათნოვა 1712 წელს უნდა იყოს დაბადებული. ამ მოსაზრებას იზიარებს ი. გრიშაშვილი, ნ. ალბალიანი, კ. კეკელიძე, ხოლო ალ. ოპანეზაშვილს საიათნოვას დაბადების თარიღად 1738 წელი მიაჩნდა და ა.შ. კვლევა-ძიება საიათნოვას დაბადების თარიღის დასადგენად ათეული წლების განმავლობაში გრძელდება. ამ მხრივ ნიშანდობლივია ცნობილი სომეხი პოეტის პ. სევაკის 1959 წელს ერევანში, სომხურ ენაზე გამოცემული მონოგრაფია – „საიათნოვა“. პ. სევაკმა გამოთქვა მოსაზრება, თითქოს საიათნოვა დაბადებულია 1722 წელს, რაც ჩვენი აზრით, მცდარი უნდა იყოს. შევეცდებით ამ საკითხზე ჩვენი შეხედულება დავამტკიცოთ. ამისათვის დაგვჭირდება მცირეოდენი წიაღსვლა.

პ. სევაკი საიათნოვას სატრფიალო სიმღერების ადრესატად თვლიდა ერეკლე მეფის უფროს დას ანა ბატონიშვილს. კ. კეკელიძემ კი დაადგინა, რომ ანას უმცროსი ძმა მეფე ერეკლე თუ 1718 წელს დაიბადა, მაშინ ანა მეტით თუ არა, ორი წლით მაინც ადრე დაიბადებოდა, ე. ი. 1716 წელს, რაც გამორიცხავს ანას დაბადებას 1722 წელს. ამ აზრს, ალბათ, იცნობს პ. სევაკი, თუმცა მაინც თავისას არ იშლის და აცხადებს: „ საიათნოვა

ერთ სომხურ ლექსში ამბობს — „მე და ჩემი მიჯნური ერთ წელს გაეწინდითო“. ეს სტრიქონი ავტობიოგრაფიულია და მნიშვნელოვანი კრიპტოგრაფია არისო.¹⁰⁶ გამოდის, რომ მოტანილი სტრიქონის შინაარსი რეალურ ფაქტს ასახავს. ამ სტრიქონის ასეთი ინტერპრეტაცია მცდარი უნდა იყოს. გარდა იმისა, რომ ანა ბატონიშვილისა და საიათნოვას დაბადების საყვარულო თარიღები არ თანხვდება, აღმოსავლურ პოეზიაში, კერძოდ, აშულურში ამგვარი პოეტური თქმები ჩვეულებრივია და მათში რაიმე კონკრეტულ ან ავტობიოგრაფიულ მომენტს არავინ ეძებს. როგორც ცნობილია, აშულური პოეზია აღმოსავლური პოეზიის ტრაფარეტზეა მოჭრილი, ხოლო აღმოსავლურში, შესაბამისად აშულურ პოეზიაშიც შეუძლებელია გაარკვიო არამც თუ ლექსის ადრესატი, არამედ მისი სქესიც კი. აღნიშნულის გათვალისწინებით, საიათნოვას ხსენებული სტრიქონის შინაარსი ასე უნდა განიმარტოს: აშულს სურს ამ სტრიქონით სთქვას, მის ამ ქვეყნად გაჩენასთან ერთად დაიბადა მისი სიყვარული. ამიტომ საიათნოვას დაბადებიდან უყვარს თავისი მიჯნური, რომლის სიყვარული მასთან ერთად იშვა. სხვათა შორის, პ. სევაკის ამ და კიდევ სხვა შეხედულებას საიათნოვას შესახებ ზოგიერთი სომეხი მკვლევარი არ იზიარებს. ჩვენ კიდევ მოგვიხდება პ. სევაკის რამდენიმე აზრის კრიტიკული შეფასება ლეონ მელიქსეთ-ბეგის მოსაზრებათა გათვალისწინებით.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს მისაღებად მიაჩნდა საიათნოვას დაბადების თარიღად 1711 ან 1712 წწ. ამ ბოლო ხანებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში საიათნოვას დაბადების ლეონ მელიქსეთ-ბეგისეული დათარიღება თანდათან გარკვეულ ნდობას იმსახურებს და მისი პერსპექტივა იკვეთება.

აშულური წესის თანახმად, მგოსანს სიმღერების შეთხზვა რომ დაუწყია, ფსევდონიმად „საიათნოვა“ აურჩევია. რას ნიშნავს საიათნოვა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობს ლეონ მელიქსეთ-ბეგი: „საიათნოვა მქვიან, არუთინა ვარ“, „საიათნოვას არუთინას იტყვიან“, — ამბობს ქართულ ლექსებში აშული. ამასვე იმეორებს სომხურ ლექსებში. ე.ი. გაირკვა, ნამდვილი სახელი საიათნოვასი არის — არუთინა. ჰარიუთიუნ — სომხურში პირდაპირი მნიშვნელობით აღდგომას ნიშნავს. ამრიგად, — დასკვნის ლეონ მელიქსეთ-ბეგი, — საიათნოვა, საფიქრებელია, ერთ-ერთი

ფსევდონიმია აშულისო. იგი ისეთივე წარმოშობისაა, როგორცაა — გიურჯ-ნავა, ქეშიშ-ნოვა, სკანდარ-ნოვა და სხვ.¹⁰⁷ აქვე შევეხები იმასაც, რომ „საიათნოვას“ სხვადასხვანაირად ხმარობენ — სავათნავა, საათლამა, საათნომა, საათნაო, საათნოვა და სხვ. თვით აშულის შვილი მამის ფსევდონიმს ამახინჯებს და რუსულის გავლენით სეიდოვს ირქმევს. ამ ფაქტს პირველად ყურადღება მიაქცია ი. გრიშაშვილმა.

დღემდე გაურკვეველია სახელის — საიათნოვას მნიშვნელობა, მისი შინაარსი. მას სხვადასხვანაირად ხსნიდნენ — ახალი ბედნიერება, ახალი მონადირე, ახალი მოძღვრალი, ახალი თავადი, მგოსნობის მეფე, მუსიკის უფალი და სხვ.

ი. გრიშაშვილი ფიქრობს, „საიათნოვას“ უნდა ნიშნავდეს ახალ სეიდს, ახალ მოძღვარს.¹⁰⁸ მას არ დაეთანხმა ლეონ მელიქსეთ-ბეგი და წამოაყენა თავისი ვარიანტი — „საიათნოვას“ ჰანგის უფალს, თავადს, პატრონს უნდა ნიშნავდესო“ (გვ. 28). არც ეს იქნა ცალსახად გაზიარებული მკვლევარების მიერ.¹⁰⁹

აქვე გვსურს აღვნიშნოთ ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ მართებული კომენტარი თბილისის ერთ-ერთი ძველი უბნის — ხარფუხის — სახელის შესახებ. ი. გრიშაშვილი ამ სახელს სომხურ ხარფუხს უკავშირებს, რაც ნიშნავს სურდოს. ნ. ბადრიანელს კი ხარფუხი დაკავშირებული აქვს ქართულ „ქარბუქთან“: „ქარბუქი — ქარბუხი — ხარბუხი — ხარფუხი. ვგონებ, ეს მეორე ეტიმოლოგია უფრო სამართლიანი უნდა იყოს, ვინაიდან სწორედ ამ ხარფუხშია ქარბუქის „ამტეხი“ (ხალხის რწმენით), ცნობილი „სურფ-სარქისი“, ე.წ. წმინდა სარგისის ეკლესია“ (გვ. 28).

პროფ. რ. ზარიანიც შეეხო ხარფუხის ეტიმოლოგიას, მაგრამ ახალი ვერაფერი ვერ თქვა.¹¹⁰

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა მართებულად გამოუცხადა ნდობა ერთ აზერბაიჯანულ ლექსში ნათქვამ საიათნოვას სიტყვებს:

*სამშობლო ტფილისია, მხარე ქართლისა,
დედა ავლაბრელი, მამა ალაბელი.*

ამ სტრიქონებში პირდაპირ არის მითითებული ის ფაქტი, რომ საიათნოვას დედა ავლაბრელი ყოფილა, მამა კი ალეპოდან მოსული სომეხი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის დაკვირვებით, არუთინა-საიათნოვა თავს გლუხად და ქართველი მეფის „ემად“ სთვლიდა არა პირდაპირი გაგებით, არამედ საერთოდ, იმ აზრით, რომ დაბალი, ე.ი. „გლუხთა“ ფენიდან იყო გამოსული. ეს აზრი, მართალია, ეწინააღმდეგება თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობას — საიათნოვას გიორგი XII ბატონიშვილის ყმობის შესახებ, მაგრამ უეჭველად ანგარიშგასაწვევი კია.¹¹¹ რაც შეეხება ზ. მთაწმინდელის ცნობას — თითქოს საიათნოვას მამა ნალბანდი იყო, — ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გადაჭრით უარყო. ერთი სომხური ლექსის ანალიზის საფუძველზე ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გაარკვია, რომ საიათნოვას მამა ყოფილა „მილდისი“ — ლ სომხურად „მაჰდესი“, რაც ქართულად ნიშნავს „სიკვდილის მხილველს (მაჰ — სიკვდილი, ტესი — მხილველი), ქრისტეს სიკვდილის ადგილის მნახველს ანუ ქრისტეს საფლავის მნახველს“ (გვ. 31). ეს იგივეა, რაც „ჰაჯი“, რომელიც მაჰმადის საფლავის მნახველს, მექაში ნამყოფს ნიშნავს. სომხურში სიტყვა „მილდისმა“ შემდეგ სხვა მნიშვნელობა მიიღო — ეკლესიის ან მონასტრის „მორჩილს“, „მწირს“, უფრო ზარების მრეკველს, მნათეს ნიშნავდა, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ საიათნოვა თავის ღედ-მამის ჩამოთვლისას, ქართული ენის ნორმების მიხედვით, ჯერ ღედას იხსენიებს, შემდეგ მამას და არა პირუკუ. მამასადამე, საიათნოვა ქართულად მოაზროვნე წრებთან ბავშვობიდანვე დაახლოებული ყოფილა. მისი აკვანი თბილისში დაირწა, აქვე გაიზარდა და აქ ჩამოყალიბდა აშულ-მომღერლად, რაც მის ამავე ენაზე შექმნილ სიმღერებში ნათლად ჩანს. იგი თბილისის ქართულ, სომხურ და ჭერბაიჯანულ დიალექტებზე ქმნიდა სიმღერებს და, რა თქმა უნდა, სახალხო პოპულარული მომღერალიც იყო თავისი დიდებული სიმღერებით.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა უარყო, თითქოს საიათნოვას რაიმე სასკოლო განათლება ჰქონოდა მიღებული და შენიშნა — „ქართული წერა-კითხვა ეტყობა თვითონ შეისწავლა, ხოლო სომხური, შესაძლებელია, ახპატის წრის შემწეობით შეისწავლა 1751 წლის ახლოს. რაც შეეხება არაბულ წერა-კითხვას, ასეთი მას არ სცოდნია“ (გვ. 140). ეს არის ერთადერთი სწორი აზრი საიათნოვას განათლების შესახებ და გაზვიადებულად მიგვაჩ-

ნია ზოგი სომეხი მკვლევარის უსაფუძვლო მტკიცება საიათნოვას აღმოსავლური ენების ცოდნისა და მაღალი განსწავლულობის შესახებ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა კრიტიკულად განიხილა გ. ახვერდოვის, ი. გრიშაშვილის, ზ. მთაწმინდელის და სხვათა შეხედულებანი საიათნოვას პროფესიის შესახებ. მან უარყო საიათნოვას დურგლობა, მღებრობა და წამოაყენა ახალი შეხედულება — „საიათნოვას ძირითადი პროფესია, საფიქრებელია, დერციკ-მკერვალი და ბაზაზი ყოფილიყო, შემდეგში მანუფაქტურისტ-ვაჭარიც კი, და არა ფეიქარი, როგორც აქამდე იყო მიჩნეული, არც მით უმეტეს დურგალი ან მღებრი, როგორც ალეგორიულად ნათქვამ მისსავე სტრიქონებიდან ანდა მერმინდელ დროს შეთხზულ ლეგენდებიდან ვტყობილობთ“ (გვ. 140). ამ მოსაზრებით შორს მიმავალი დასკვნის გაკეთებას შეეცადა მკვლევარი, რის შესახებაც შემდეგ გვექნება საუბარი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს (სხვა მკვლევართ მსგავსად) მიაჩნია, რომ საიათნოვამ ქართველ მეფეთა კარის აშულ-საზანდრობას მიაღწია. ამის საბუთად კმარა თვით საიათნოვას ცნობა — პატარაობიდანვე თავი დავუდე „ყოველ სიმღერას“ და „წმინდა კარაპეტას“ (წინამორბედის) ძალით ვისწავლე ქამანჩა, ჩონგური და თამბური.“ თუმცა უნდა ითქვას, რომ საიათნოვას მეფის საზანდრობა იყო ტრადიციის გაგრძელება, რადგან, მაგალითად, ვახტანგ VI-ის კარზე შინაურად ითვლებოდა ნაყამ იონათანი, ზოლო ადრე გიორგი XI-ის კარზე — ბეგთაბეგ ავთანდილის ძე მარტიროზის შვილმშვილი. ერეკლე II-ის კარზე ასეთ მელექსედ ჩანს საიათნოვა, რომელიც იყო თანამედროვე ნაღამ-იონათანის შვილმშვილისა — მხატვარ იონათან ნაღამისა.¹¹²

საიათნოვას ერთი ქართული ლექსის „ზღვას როგორ გააშრობს ვარსკლავის სხივი“ დართული აქვს მისი შვილის იოანეს შენიშვნა: „ესე თეჯნისის ხმაზედ ნათქომი იგავით მაგალითათ ლანძღვა. საიათნოვას თელავში ნეტარხსენებული ვახტანგ ბატონიშვილთან გადაჰკიდებია უგუნური კაცი. იქვე მოუხსენებია ჩღნა (1751) წელსა.“ ამ მინაწერის საფუძველზე ლეონ მელიქსეთ-ბეგი დაასკვნის — ირკვევა, რომ 1751 წელს საიათნოვა უკვე დაახლოებული ყოფილა „პატარა კახის“ სასახლის კართან თელავში, სა-

დაც ექსპრომტად წარმოუთქვამს ლექსი თავისთავზე:

ნურვით იტყვიოთ — ეს ყმაწვილი ვინა ვარ!

ანაბანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ.

საიათნოვა მქვიან არუთინა ვარ.

სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს.

მეორე ლექსში საიათნოვა ამბობს:

საქართველოს მეფის ხაზანდარი ვარ,

საიათნოვას — არუთინას იტყვიან.

ამ ბოლო სტრიქონებს ლეონ მელიქსეთ-ბეგი (და არა მარტო იგი) ასე განმარტავს: ამ ლექსის დათარიღება შეიძლება არაუადრეს 1762 წლით, ვინაიდან ამ წელს იქნა აღიარებული გაერთიანებული ქართლ-კახეთის („საქართველოს“) მეფედ ერეკლე II. ეს სიტყვები შეუძლებელია 1765 წლის შემდეგ ეთქვა საიათნოვას, რადგან ლეონ მელიქსეთ-ბეგს მიაჩნია, დაახლოებით ამ ხანებში (1765 წ.) საიათნოვა მღვდლად იყო ნაკურთხი. საიათნოვას მღვდლად კურთხევის საკითხს ცალკე განიხილავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და ჩვენც მამინ ვაჩვენებთ მისი შეხედულების მართებულობას. ერთი კი უნდა ითქვას, ლეონ მელიქსეთ-ბეგი სწორად შენიშნავს — საიათნოვას ხსოვნას პატივისცემით ეპყრობოდა ქართველი ბატონიშვილი თეიმურაზი, რომლის თხოვნით მამის ლექსები ჩაწერა შვილმა იოანე სეიდოვმა. ამ კრებულზე არის თეიმურაზ ბატონიშვილის მინაწერი: „საათლამას შვილმა იოანემ დამიწერა თავის მამის ლექსები.“

საიათნოვა თხზავდა სიმღერებს და მღეროდა ძველი თბილისის უბნებში — კლდისუბანში, ხარფუხში (სეიდაბადი), ისანში (ავლაბარი) და ე.წ. გარეთუბანში. ლეონ მელიქსეთ-ბეგი გვაძლევს საიათნოვას მიერ ზმარებული სახელის — „ტაფითალის“ — კომენტარს. ეს სიტყვა თარგმნილია ქართულიდან სომხურად (და არა პირიქით, როგორც ზოგ სომეხ მკვლევარს ჰგონია) — ვაკის უბანი — კალოუბანი — ტაფი თალ. მას გარეუბანიც ეწოდებოდა. საიათნოვას არაერთ ლექსს აქვს მიწერილი: „სათნაემ ტაფი თალში და თქუა ასე“, „ტაფიტალის ხმაჲელ“ (გვ. 50). ეს უბანი მღებარეობდა ე.წ. პიონერთა სასახლისა და კინოთეატრ „რუსთაველის“ მიდამოებში. აქვე იყო სომხური ეკლესია ქამოანთი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი შედარებით ვრცლად განიხილავს საიათნოვას პოეტური მუზის ადრესატის საკითხს. ნახევარ საუკუნეზე მეტია, საიათნოვას სატრფიალო სიმღერების ობიექტი კვლევის საგანია, მაგრამ დღემდე დადგენილი არ არის. ეს იმიტომ, რომ ძიება თავიდანვე მცდარი გზით წარიმართა. ამ მცდარ მოსაზრებას ვ. ბრიუსოვმა დაულო სათავე: იგი წერდა: **“При дворе грузинского царя и основной роман знаменитого ашуга (იგულისხმება საიათნოვა. ბ. ა.) - его любовь к грузинской царевне, которой посвящено большинство его стихотворений”**. ვ. ბრიუსოვის შეხედულება სომეხმა მკვლევარებმა აიტაცეს და ახლაც გულმოდგინედ იცავენ. გამონაკლისს წარმოადგენდა ლეონ მელიქსეთ-ბეგი, რომელმაც ბრიუსოვის მოსაზრებას სენსაციური „თეორია“ უწოდა (თეორია თვით ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ჩასვა ბრჭყალებში) და კატეგორიულად არ გაიზიარა იგი. მან მონახა ძველი თბილისის ხალხურ ზეპირსიტყვიერებებში შემორჩენილი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც „საიათნოვას სატრფოს სონა ერქვა“ (გვ. 54). შემდეგ მკვლევარი წერს: „სხვა რაიმე ამაზე მეტის თქმა არ შეიძლება საიათნოვას სატრფოს შესახებ, რომლის ნამდვილი სახე მაინც გამოურკვეველად რჩება, გარდა მხოლოდ იმისა, რომ მას მგოსანი „მაღალ ფენებს“ აკუთვნებს, როდესაც ამბობს „შენი გვარი გვართა შორის ნაქებია, შენ ხარ კეკლუცი მეფისა“ (გვ. 54).

ვფიქრობთ, საიათნოვას ამ სტრიქონის მიხედვით მისი მიჯნურის შესახებ ვარაუდის გამოთქმაც კი შეუძლებელია, თუ გავითვალისწინებთ აღმოსავლური პოეზიის მხატვრული სამყაროს სპეციფიკას. აქ პოეტური ფანტაზიით წარმოსახული სატრფო შედარებულია მითიურ დედოფალსაც კი. თუმცა სჯობია მივყვეთ ვ. ბრიუსოვის ე.წ. „თეორიას“ და გავეცნოთ მის საბუთიანობას. საინტერესოა, რას ეყრდნობოდა ვ. ბრიუსოვი, როცა ასეთი დასკვნა გააკეთა? ლეონ მელიქსეთ-ბეგის აზრით, ვ. ბრიუსოვს ამგვარი დასკვნა უნდა გამოეტანა საიათნოვას ერთი სომეხური ლექსის გამო — „შენ იმთავითვე ბრძენი იყავ“.

*მძლეოთა მძლეო ტოლი არ გყავს,
ხარ როსტომის ზალი, მეფევ!
თუ ცოდვა მაქვს, თავი ჩემი,*

შენი კიდევ ხმალი, მეფეე!
ღმერთს შეხედუ და უცოდველს
სხვას ცოდვიანს, ნულარ მადრი!
(თარგმ. გ. შაჰნაზარისა)

ამ ლექსის ქართული თარგმანი სტროფის შინაარსს თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოსცემს და ამიტომ მოვერიდეთ ბწკარედულ თარგმნას. ეს სტროფი კი ვ. ბრიუსოვს ასე აქვს რუსულად თარგმნილი:

*“Привет! Ведь ты сильна, как тот
Ростом, сын Зала! Дочь Царя!
Старинный твой прославлен род,
Красы зеркало, дочь царя!
Коль грешен я, пусть меч не ждет
Меня нимало, дочь царя!
Но Господа побойся ты:
Напрасно враждовать зачем?”*¹³

ვ. ბრიუსოვი სტროფს ურთავს კომენტარს: “1) Ростом - сын Зала - Рустам, герой персидского эпоса; 2) дочь царя - речь идет о грузинской царице.”

საინტერესოა, საიდან გაჩნდა რუსულ თარგმანში “Дочь царя”? ამ ფაქტით გაკვირვებული ლეონ მელიქსეთ-ბეგი კითხულობს: „საიდან გამოიგონა ვ. ბრიუსოვმა, რომ ამ ტაეპში ყოფილიყოს ნაგულისხმევი ГРУЗИНСКАЯ ЦАРЕВНА, პირდაპირ გასაკვირია, ხოლო ჩვენთვის სრულიად ნათელია, რა გზით შეითხზა ფანტასტიური „თეორია“ საიათნოვას რომანის შესახებ ქართველი მეფის ასულთან“ (გვ. 52).

საიათნოვას ლექსის („შენ იმთავითვე ბრძენი იყავ“) ხსენებული სტროფის ვ. ბრიუსოვის თარგმანს და კომენტარს მაშინვე არ გამოუწვევია დადებითი გამოხმაურება. მაგ. ი. გრიშაშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა: „პატივცემული პოეტი (ვ. ბრიუსოვი. ბ. ა.) არ ასაბუთებს თავის აზრს; ვაი თუ სცდებოდეს, რადგან ასეთი რომანი ჰქონდა მხოლოდ ბესიკს, თითქმის საიათნოვას თანამედროვე მგოსანს, რაიც ისტორიულად დამტკიცებულია და თვით პოეტიც მოწმობს თავის ლექსებში. ხოლო თუ

მაცნა და მაცნე საჭიროა მისი სატრფოს გაცნობა — გეტყვი — საიათნოვას დროინდელ ხალხისაგან დარჩენილია ამბად, რომ საიათნოვას პყოლია სატრფო ტალითა, სარწმუნოებით კათოლიკე და ტფილისში სცხოვრობდა თურმე ნორაშენის უბანში.“¹¹⁴

ამ გადმოცემის წყაროს ი. გრიშაშვილი არ მიუთითებს. ამის შესახებ ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავს: „რაკი სიტყვამ მოიტანა, ზედმეტი არ იქნებოდა აგვედინებნა, რომ ცნობა „ვინმე ქურქის ცოლის სახელად ტალითას“ შესახებ ი. გრიშაშვილისთვის მიუწოდებია, როგორც თვითონ პირადად გადმოგვცა, განსვენებულ გიორგი სკანდარნოვას“ (გვ. 53).

აღიარებულმა თბილისელმა სახალხო მგოსანმა გიორგი სკანდარნოვამ გულდამით შეკრიბა ძველი თბილისის ზეპირსიტყვიერებაში შემონახული საიათნოვას ცხოვრების დეტალებიც კი და გამოაქვეყნა წერილი სომხურ ენაზე — „საიათნოვას შესახებ“. აქ იგი აღნიშნავს — „საიათნოვას ჰყავდა ერთი მიჯნური, რომელიც ნორაშენის უბანში ცხოვრობდა. იგი ყოფილა ფრანგი (კათოლიკე. ბ. ა.) სოლოს ქალი და სახელად ტალითა ჰრქმევიან. ეს ქალი საიათნოვას ძალიან ჰყვარებია და მრავალი სიმღერაც მიუძღვნა მას“ (ყურ. „პოვიტ“, 1913, გვ. 231, სომხ. ენაზე).

ლეონ მელიქსეთ-ბეგის საფუძვლიანი მოსაზრების (საიათნოვას მიჯნური იყო ტალითა და არა ანა ბატონიშვილი) უგულველყოფამ ზოგიერთი სომეხი მკვლევარი მცდარ დასკვნამდე მიიყვანა, ზოლო ერთი სომეხი მწერალი კი კურიოზამდეც მივიდა საიათნოვას შესახებ დაწერილ რომანში. ძველი თბილისის ხალხური გადმოცემებით საიათნოვას სატრფოდ ტალითა ან ვინმე სონა არის მიჩნეული და არა სამეფო საგვარეულოს ქალბატონი. ესეც არ იყოს, ზომ შეიძლება საიათნოვას ერთი კი არა, რამდენიმე გატაცება ჰქონდა და სხვადასხვა დროს მიუძღვნა მათ სიმღერები. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ის, რომ, როგორც ვნახეთ, ხალხურ გადმოცემებში საიათნოვას სატრფოდ მიჩნეულია სხვადასხვა ქალი, მაგრამ ვ. ბრიუსოვის „თეორია“ აიტაცეს სომეხმა მკვლევარებმა და საიათნოვას სატრფოდ თითქმის ერთხმად ანა ბატონიშვილი გამოაცხადეს. ამ „თეორიის“ ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული დამცველებია პ. სევაკი, მ. ასრატიანი, ვ. ნალბანდიანი და სხვები, რომლებიც გ. სკანდარნოვას

მიერ ჩაწერილ გადმოცემას (ტალითას შესახებ) ანგარიშს არ უწევენ, აქაოდა ხალხური თქმულება უდევს საფუძვლად. თუ ასეა, მაშინ გ. ახვერდოვის მიერ ჩაწერილი გადმოცემა საიათნოვას მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ (1795 წ.) არ უნდა მივიღოთ სერიოზულ საბუთად მისი ლეგენდურობის გამო. რახან ასეა საჭირო საიათნოვას სამიჯნურო ლექსების კონკრეტული ადრესატის კვლევა, მაშ რატომ არ გაგრძელდა გ. სკანდარნოვას მიერ დაწყებული საქმე — საიათნოვას მიჯნურის კვლევა-ძიება ძველი თბილისის ფოლკლორში და რაღა მაინც და მაინც ვ. ბრიუსოვის მიერ შეთხზული სენსაციური „თეორიის“ (ლეონ მელიქსეთ-ბეგის გამოთქმამა) დამტკიცებას ცდილობენ ასე დაჟინებით. ეს უკანასკნელი ჯირი, მათი წარმოდგენით, ჩანს, საიათნოვას პოეტურ დიდებას უფრო მეტ ღირსებას მატებს. ამ დროს დიდი აშუღის ნამდვილი მიჯნურის სახელი მიივიწყეს და, თუ არ ვცდები, სომეხ მეცნიერთაგან დღემდე ამ მიმართულებით არც არავის უცდია კვლევა-ძიების გაგრძელება. ის კი არა და, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ტალითას სახელის ხსენებას ერთგვარი ტაბუ აქვს დადებული სომხურ საიათნოლოგიაში. მიუხედავად იმისა, რომ ლექსის („შენ იმთავითვე ბრძენი იყავ“) აღნიშნულ სტროფს, რომელმაც საბედისწერო როლი შეასრულა საიათნოვას ბიოგრაფიის მეცნიერული კვლევის მცდარი გზით წარმართვაში. ეს ლექსი საიათნოვას ავტობიოგრაფიულ ხელნაწერში არ გვხვდება, მაგრამ მისი სხვადასხვა რედაქცია დაცულია ლენინგრადში (სანქტ-პეტერბურგი) და გ. ახვერდოვის მიერ შერევილ ვარიანტებში. ლექსის ორიგინალის არარსებობა საყურადღებო ფაქტია, მაგრამ ამჯერად უფრო საინტერესოა 1982 წელს ლენინგრადში (სანქტ-პეტერბურგი) დასტამბული საიათნოვას პოეზიის რუსულ გამოცემაში ამ სტროფის კომენტარი, რომელიც ხსენებულ ლექსს ახლავს: “Дочь царя! Это трижды повторяющееся во второй строфе обращение Брюсов пояснил так: “речь идет о грузинской царевне”. А между тем в предоставленном Брюсову подстрочнике, как и в оригинале, значилось “царь” и в соответствии с этим в рукописи первоначального варианта перевода было “царский сын”. В окончательном же варианте появилась “дочь царя”. Это

исправление Брюсов внес, вероятно, по совету специалистов-консультантов, полагавших, что обращение “царь”, как и многократно встречающееся в других песнях Саят-Нова “султан” и “хан” относится к любимой женщине, именно - к грузинской царевне, сестре царя Ираклия, которой поэт посвятил множество своих стихотворений. Определенным основанием для такого предположения могли служить и примечания первого исследователя, издателя и комментатора Саят-Нова Г. Ахвердяна, который по поводу заключительной строки этого стихотворения писал: “...певец просит свою возлюбленную, чтобы она его не мучила и не давала ему повода удалиться из родной страны скитаться в горах и ущельях и умереть на чужбине - в Арабистане, Абаше и т.д.” (Гусаны. Саят-Нова. Вступительная статья, подготовка текста и примечания Г. Ахвердяна. - М., 1852, стр. 68, на арм. яз.).

Воспринял эту песню как любовную и Яков Полонский, написавший по ее мотивам стихотворение под названием “Саят-Нова”. (О том, как в саятноведении утвердился иной взгляд на эту песню, о ее истинном характере и адресате см. вступительную статью, стр. 17-19). В “Антологии армянской поэзии”, изданной в Москве в 1940 г. под редакцией С. С. Арутюняна и В. Я. Кирпотина, в брюсовском переводе данного стихотворения Саят-Нова обращение “дочь царя” было без каких-либо оговорок заменено обращением “мой царь”. Во всех последующих русских изданиях Саят-Нова брюсовский текст восстанавливался, но тоже без необходимых оговорок.”¹⁵

ვრცელი ამონაწერის გამო ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, მაგრამ ამონაწერი მრავალმხრივ არის საინტერესო. ხსენებული სტროფის ბრიუსოვისეული თარგმანის პირველი ვარიანტი — “царский сын” — ბოლო ვარიანტში შეიცვალა სიტყვებით “дочь царя”. თუ რატომ, ამის შესახებ ბრიუსოვი შენიშვნებში არაფერს ამბობს, ისეა იგი დარწმუნებული თავის

სიმართლეში. ბრიუსოვმა ეს ცვლილება შეიტანა სომეხი კონსულტანტ-ლიტერატორების კარნახით.

საიათნოვას ლექსების ხსენებული რუსული კრებულის შემდგენელი გ. თათევოსიანი კანში ძერება და ყოველნაირად ცდილობს გაამართლოს “ДОЧЬ ЦАРЯ”-ს არსებობა, მაგრამ ვერ აღწევს მიზანს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი რამ ამ სტროფში (ხელნაწერში) არ დასტურდება და, რაც მთავარია, არც შეიძლება ვიგულისხმოთ. “ДОЧЬ ЦАРЯ”-ს ნაცვლად 1940 წლის მოსკოვში რუსულად გამოცემულ „სომხური პოეზიის ანთოლოგიაში“ (რედაქტორები ს. არუთინიანი და ვ. კირპოტინი) მართებულად არის აღდგენილი “МОЙ ЦАРЬ”.

საიათნოვას ლექსი „შენ იმთავითვე ბრძენი იყავ“ მიძღვნილია მეფისადმი (უნდა ვიგულისხმოთ ერეკლე II), რომელსაც აშუღი ევედრება და შეწყალებას თხოვს. სხვათა შორის, ეს ლექსი ერეკლესადმი თხოვნად მიაჩნია პ. სევაკს, რადგან მის შინაარსში, მართლაც, იგრძნობა მეფისადმი მოწიწება და დიდი პატივისცემა. მაგრამ წინასწარ აკვიატებული ზარი თავისას შერება და ვ. ნალბანდიანი 1982 წლის საიათნოვას ლექსების კრებულის შესავალში წერს: “Согласно новейшим исследованиям, объектом заветных чувств поэта была реальная личность, принадлежавшая царской фамилии: сестра царя Ираклия II, прославленная красавица Анна Батонишвили. Это очень важное открытие, благодаря которому окончательно решена загадка душевных мук Саят-Новы, всей его жизни” (стр. 14).

ჩვენ პირადად შორს ვართ იმ ზრისაგან, თითქოს მეცნიერულად საბოლოოდ იყოს დადგენილი საიათნოვას მიჯნური ვინაობა. სჯობდა ვ. ნალბანდიანს თავი შეეკავებინა ამგვარი განცხადებისაგან, რადგან ეს ძიება დღესაც, სამწუხაროდ, მცდარი გზით გრძელდება. მაინც ენახოთ ვ. ნალბანდიანი რას ან ვის ემყარება, როცა ასეთ რიზიან დასკვნას გვთავაზობს. შესავლის მეორე ადგილას იგი წერს: “Довольно поздно, только в наши дни путем интересных и скрупулезных расшифровок некоторых песен-криптограмм и строчек отдельных песен, содержащих тайнопись, - исследователям (М. Агаян, М. Асра-

თან, П. Севაკ) удалось довольно убедительно и аргументированно раскрыть истинную причину драматических переживаний поэта, раскрыть историю его любви” (стр. 16).

ვ. ნალბანდიანის მიერ დასახელებული ავტორებიდან მოვიტანთ საიათნოვას მიჯნურად ანა ბატონიშვილის მიჩნევის ყველაზე თავგამოდებულ მაძიებლის პ. სევაკის მიერ ე.წ. „კრიპტოგრამების“ „გახსნის“ და „ამოცნობის“ რამდენიმე „ნიმუშს“. მაგალითად, პ. სევაკს მოაქვს საიათნოვას ერთ ქართულ ლექსში „მიგნებული“ „კრიპტოგრამა“. ამ ლექსის სათაურია „გიხდება ზარი“, რომლის ბოლო სტროფი მთავრდება ასე:

ო, საიათნოვავ, რა გატირებს

ვინ მოგცემს შენა?

ტახტი თოუზი ინდის მეფის ანაშენია.

უკანასკნელი სტრიქონის რამდენიმე მნიშვნელობიდან, უფრო სწორედ შინაარსიდან პ. სევაკი მისთვის სასურველ ზღვრას გეთავაზობს. იგი უგულველყოფს ქართული სიტყვის „შენების“ პირდაპირ მნიშვნელობას — „ტახტი თოუზი ინდის მეფის ანაშენია“ — აშენებულაო და მასში სდებს მისთვის მისაღებ ზღვრას: ანა-შენია. აქ საქმე გვაქვს ე.წ. „კრიპტოგრამების“ გახსნის პ. სევაკის მიერ შემოთავაზებულ „ხერხთან“ და მის ხელოვნურ შედეგთან. ამ სიტყვას თუ კრიპტოგრამად მივიღებთ და მასში ანა ბატონიშვილის სახელს ვიგულისხმებთ, მაშინ იგი იღუმალწერის არავითარ ნიშანწყალს აღარ ატარებს, რადგან აქ ყოველგვარი შეფარვის გარეშეა უკვე ნათქვამი სახელი ანა (ანა-შენია).

პ. სევაკს მხედველობიდან გამორჩა ისიც, რომ ლექსის („გიხდება ზარი“) ერთ რედაქციაში სიტყვა „ანაშენია“ არ არის და მის ადგილას გვხვდება სხვა სიტყვა — „განაშენია“ („ტახტი თოუზის ინდოეთისა, განა შენია“).¹⁶ რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ამგვარი პოეტური თქმები აღმოსავლურ პოეზიაში ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ პ. სევაკი ამას არ დაგიდევთ, რადგან ლეონ მელიქსეთ-ბეგის მოსაზრების საპირისპიროდ წინასწარ აჩვენებულ ზღვრას ერთგულად მიჰყვება და ფაქტებზე ძალდატანებით ცდილობს ანა ბატონიშვილის სახელი ამოიკითხოს საიათნოვას ნებისმიერ ლექსში.

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა საიათნოვას ქართული ლექსის — „შენთან მიტომ ვლაპარაკობ“ პ. სევაკის მიერ „მეცნიერულმა“ „აღმოჩენამ“. თურმე ამ ლექსში ანა ბატონიშვილის სახელი ექვსჯერ ყოფილა შეფარვით ნახსენები. თვალსაჩინოებისათვის მოვიტან ლექსს:

*შენთან მიტომ ვლაპარაკობ,
დღეს ტურფა ტანი ვნახე!*

ოქროს აკვანი ვნახე!

*წიგნი დავწერე შენს გვერდთსა,
რატომ არ მომხელამ ერთსა?
დიდება და მაღლი ღმერთსა,
მოველ, ეს უბანი ვნახე,*

*გითხარ: თუ ხარ ცეცხლის ნაშობ,
ნუ დამწვევ და ნურც დამაშრობ!
დილით მზესავით კაშკაშობ —
მოგხედე — ბრჭყვინჯანი ვნახე.*

*თუ მართლა ხარ ჩემი ტოლი,
ვითამაშოთ გოლი-გოლი,
გაეშალოთ ვარდის ფოთოლი,
ფერად-ფერად სუსანი ვნახე!*

*საიათნოვა ყმაა შენი.
სახით ხარ მთვარე-მზენი!
სახელი მაქვს „ხანი“ „თენი“,
„ეინის“ ბოლოს „ანი“ ვნახე!*

პ. სევაკი დაასკვნის: „ერთი რამ ფაქტია: „ანი“ აქ ექვსჯერ მეორდება — ტანი, აკვანი, უბანი, ბრჭყვინჯანი, სუსანი, ანი. ეს იგივე „ანიკ“, რომელიც 28-ჯერ მეორდება სომხურ ლექსში (№11) და იგი უეჭველად საია-

თნოვას მიჯნურის სახელია“.¹¹⁷ როგორც ვხედავთ, სევაკის მიზანია, რადაც არ უნდა დაუჯდეს, საიათნოვას ლექსებში მოძებნოს ანით დაბოლოებული სიტყვები. ამგვარ სიტყვას როგორც კი იპოვის, „აღმოჩენით“ გახარებული მკითხველს აუწყებს — ამა და ამ ლექსში საიათნოვას მიჯნურის სახელი (ანი) ამდენჯერ მეორდებაო შეფარვით. რაც შეეხება მოტანილ ლექსს, „შენთან მიტომ...“-ის უკანასკნელ სტროფში ქართული ანბანის პირველ ასოს — ანის სახელს, მისი ანა ბატონიშვილის სახელთან დაკავშირების არავითარი რეალური საბუთი არ ჩანს. ცხადზე უცხადესია, „ა-ნი“ სიტყვა „საიათნოვას“ ბოლო ასოა. აკი თვით ამულიც ამბობს: სახელი მაქვს „ხანი“, „თენი“, „ვინის“ ბოლოს „ანი“ ვნახე (საიათნოვა). ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ლექსში შეფარვით, მართლაც, ანა იგულისხმება, მაშინ სევაკის „აღმოჩენას“ კვლავ ეცლება ნიადაგი, რადგან რაღა კრიპტოგრამა გამოდის, თუ საიათნოვა უკანასკნელ სტროფში ისევ და ისევ პირდაპირ ასახელებს — ანის?! ფაქტიურად კი, საიათნოვას ანა ბატონიშვილის სახელი არცერთ ლექსში შემთხვევითაც არა აქვს შეტანილი. ამულს კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი სოციალური მდგომარეობა და იცოდა თავის ადგილი თბილისის იმ დროის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომაც, იგი ყოველგვარი გადატანითი აზრის გარეშე წერს ქართული ანბანის პირველი ასოს სახელს და მასში არავითარ მეორე, ფარულ აზრს არ სდებს, რაც ასე გულით სურს პ. სევაკს.

საიათნოვა თავის სოციალურ მდგომარეობას შეგუებულია და სულაც არ ისწრაფვის მაღალი საზოგადოებისაკენ — „მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა“.¹¹⁸ ასეთი ადამიანი, თუნდაც საიათნოვასთან ნიჭიერი ამული, ვერაფრით ვერ გაბედავდა მისი მწყალობელი მეფის ერეკლეს ღისათვის ეროტიული, შიშველი ხორციელი ლექსები მიეძღვნა, თუნდაც შეფარვით. არ არის გამორიცხული, ამულს თავდავიწყებით შეყვარებოდა დიდგვაროვანი ლამაზი ქალი, მაგრამ, რადგან ზემოთ მოტანილი უსაფუძვლო მოსაზრების გარდა არ არის რეალური საბუთი, ამიტომ საიათნოვას სამიჯნურო სიმღერების ობიექტად ანა ბატონიშვილის გამოცხადება აბსურდია. ამ ლექსის შინაარსიც არ იძლევა ამის საფუძველს. საიათნოვა გარკვევით ეუბნება სატრფოს — დავტკბეთ სიყვარულს ნექტარითო და საწოლისკენ

უხმობს — „კითამამოთ გოლი-გოლი“. აშულის ასეთი მიმართვა სატრფოს-ადმი ფსიქოლოგიურად გამართლებულია, რადგან ორივენი — საიათნოვა და მისი ჭეშმარიტი მიჯნური ტალითა ერთ სოციალურ-ხელოსნურ ფენას ეკუთვნოდნენ.

საიათნოვას მიჯნურის ვინაობა ზომ დადგენილად მიაჩნიათ სომეხ მკვლევარებს, ახლა საკვლევ პრობლემად ის გაუხდიათ, უთანაგრძნობდა თუ არა ანა ბატონიშვილი სიყვარულში საიათნოვას?

“В литературе не раз ставился вопрос о том, удостоился ли Саят-Нова взаимной любви прославленной красавицы Анны. Окончательный ответ на этот вопрос не дан. Нам представляется, что если даже знатная дама и питала какую-то симпатию по отношению к поэту, чувство его она не разделяла. Вполне вероятно, что основную роль сыграло здесь сословное неравенство”¹¹⁹ — წერს ვ. ნალბანდიანი. როგორც ვხედავთ, სოციალური მიზეზების გამო საიათნოვას სიყვარული ვ. ნალბანდიანს ცალმხრივ, უპასუხო სიყვარულად მიაჩნია. პატივცემულ მკვლევარს მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ საიათნოვა თავის სამიჯნურო ლექსებში სულაც არ გამოიყურება უპასუხო, სიყვარულით დამწვარ მიჯნურად. პირიქით, ის აშკარად, ვნებისაგან გათანგული ეუბნება სატრფოს:

*შენი უბის რეჰანი,
მარტო ჩვენ ორმა გავიყოთ.*

ანდა:

*ღიახ, მეტად ლამაზი ხარ,
სილამაზემ გაჯობა,
რა მომავონდები, პირწყალი
დამეშრობა,
საიათნოვა მაგ შენ სურვილს აუყვანია.*

აღარას ვამბობ ლექსზე „შენთან მიტომ ვლაპარაკობ“, რომელშიც მიჯნურის სარეცელს არაერთგზის ნაზიარები, კვლავ სატრფოს ფიზიკურად დაუფლების სურვილით ვნებააშლილი მამაკაცის სუნთქვა ათრთოლებს ლექსის თითოეულ სტრიქონს. მისი ღირიკული გმირი (იგივე პოეტი)

თამამად, ყოველგვარი მორიდების გარეშე მიმართავს თავის მიჯნურს, რაც ბუნებრივია, რადგან, ვიმეორებ, ორივენი ერთი სოციალურ-ხელოსანთა ფენის წარმომადგენლები არიან:

*თუ მართლა ხარ ჩემი ტოლი,
ვითამაშოთ გოლი-გოლი,
გავშალოთ ვარდის ფოთოლი,
ფერად-ფერადი სუსანი ვნახე...*

ეს ლექსი საიათნოვას საყვარელი ქალის ვნებიანმა ტრფობამ დააწერინა და საოცარია, სომეხი მკვლევარები, ლეონ მელიქსეთ-ბეგის გარდა, რატომ ცდილობენ ასე დაუინებით მასში მაინცა და მაინც ანა ბატონიშვილი დანიხონ? ვითარებას არ ცვლის ლექსის ერთი სტრიქონი: „საიათნოვა ყმაა შენი“. ზედმეტად მიგვაჩნია აღმოსავლური პოეზიიდან მასალის დაძებნა, სადაც პოეტი თავის სატრფოს ყმობას კი არა, ძალღივით მის კართან გლების ნებართვას ითხოვს.

3. სევაკის კიდევ ერთ „აღმოჩენად“ შეიძლება ჩაითვალოს საიათნოვას ლექსის „სოფელსა და სოფელს შუა...“ ერთ-ერთი სტრიქონის — „ჩინ-მაჩინის ხელმწიფის დას ამბობენ, მართალია“¹²⁰ სევაკისებური ინტერპრეტაცია. სომეხი მკვლევარის აზრით, ეს არის თავისებური კრიპტოგრამა ანას შესახებ. ნამდვილად მეფის დის, მაგრამ არა ჩინეთის (ჩინ-მაჩინის), არამედ ქართველი მეფის (ერეკლე II. ბ. ა.). თუ სტრიქონთან ერთად გავითვალისწინებთ ლექსში გამოხატულ ტრაგიზმამდე მისულ მდგომარეობას, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ლექსი დაწერილია აშუღის სასახლიდან განდევნის შემდგომ პერიოდში!¹²⁰ მართლაც, აღნიშნული ლექსი გამსჭვალულია აშუღის მძიმე სულიერი განცდებით და ტრაგიზმით აღსავსე ტყვივლებით: ისიც შესაძლებელია, რომ იგი შექმნილია საიათნოვას სასახლიდან განდევნის შემდეგ. მაგრამ 3. სევაკის მიერ მოტანილ სტრიქონში („ჩინ-მაჩინის ხელმწიფის დას ამბობენ, მართალია“) თითქოს შეფარვით ერეკლე მეფის და ანა ბატონიშვილი იგულისხმებოდეს, სარწმუნო არ არის.

საიათნოვას სატრფივლო პოეზიაში ანა ბატონიშვილის სახელი რომ არ არის მოსალოდნელი, ამის დამამტკიცებელი ფაქტები უკვე განვიხილეთ

და ამ მცდარი ჰზრის სათავეც ვაჩვენეთ.

ძველ ქართულ მწერლობაში „ჩინ-მაჩინეთი“ ხშირად გვხვდება — „ჩინე-მაჩინეთი“, ჩინ-მაჩინი ანუ მარტო ჩინეთი. ჟამთა აღმწერელის მიხედვით იგი ნიშნავს — „ქვეყანასა მზისასა აღმოსავლეთით კერძო... ეწოდების „ჩინ-მაჩინი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 1959, გვ. 157, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა). ძველი ინდოელები მთელს ჩინეთს უწოდებდნენ „მაჩინს“, ხოლო მუსულმანი ისტორიკოსები სამხრეთ ჩინეთს და ჩინეთის თურქისტანს ერთმანეთისაგან ორი სახელით განასხვავებდნენ: პირველს უწოდებდნენ „მაჩინს“, მეორეს „ჩინს“. აქედან მთელი ჩინეთის აღსანიშნავად იხმარებოდა სახელწოდება „ჩინ-მაჩინი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 1959, გვ. 171, 181, 206, შაჰნამე, I, გვ. 133). ქართულ წყაროებში ამ გეოგრაფიულ სახელს ზოგჯერ ერთვის -ეთ სუფიქსი: ჩინეთი და მაჩინეთი (შაჰნამე, I-34, 3), „ინ-მაჩინეთი“ („აბდულ-მესიანის ნუსხა), ანდა „ჩინ-მაჩინეთი“ („რუსუდანიანი“, 1957, გვ. 147) და სხვა.

ძველ ქართულ მწერლობაში „ჩინ-მაჩინეთი“ და მისი ხელმწიფე ზღაპრულ ასპექტში არის წარმოდგენილი. „მეცხვარემ მოახსენა: ჩინეთის ხელმწიფის მეცხვარე ვარო“ (რუსუდანიანი, 1957, გვ. 525). „სახელად ომან-ჭაბუკი ჰქვიან და ჩინ-მაჩინის ხელმწიფესთან სარი-დეე მოვიდა და მისი ამბავი მან მოახსენა“ (რუსუდანიანი, გვ. 108).

მიჯნურის ტრფობით დამწვარ ბესიკს გამოყენებული აქვს ეს სახელი:

*თუ სამართალი არის სადმე, გეზიანების,
ყელი გამომჭერ, პირი დამრჩა შენის დანების,
შენგან მოკლული ბევრი ვინმე გაიმჟღავნების,
შენი ბრალეები ჩინუმაჩინს გაივ ზაენების...¹²¹*

ბესიკის ლექსში ჩინ-მაჩინს არავითარი სიმბოლური ფუნქცია არა აქვს. სიყვარულით დამწვარი პოეტი მიჯნურს ეუბნება, შენგან ტრფობით გულ-მოკლული კიდევ სხვაც მრავალია და ამ შენი „დანაშაულის“ ამბავი ჩინეთს გაივ ზაენებაო. ე.ი. ჩინეთშიც შეიტყობენო. ეს ხომ ჩვეულებრივი პოეტური ზერხია და მასში არავითარი გადატანითი ჰზრი არ არის ნაგულისხმევი. მაშინ ჩინეთის ქვეყანა ხომ მიუწვდომელი და ზღაპრული იყო.

3. სევაკის „ძიების“ გზას თუ გავყევით (ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს საიათნოვას ხსენებული ლექსის „ჩინ-მაჩინის ხელმწიფის დას ამბობენ, მართალია“), მაშინ გამოდის, როცა საიათნოვა თავის მიჯნურს მიმართავს „შენ ლამაზო, შენ ბაღდადო, მე მონა!“, ალბათ, ქალაქ ბაღდადში უნდა ვიგულისხმობთ თბილისი, რაც ღვიძლის მომკერელია. სინამდვილეში კი ამ პოეტურ სიმბოლოში მიჯნურის სილამაზე, ხიბლი ზეადმტაც ეშხიანობითაა წარმოდგენილი. საიათნოვა ჩინურს, ჩინებულის, საუცხოვოს მნიშვნელობით ხმარობს ერთ ზერბაიჯანულ ლექსში: „მოდი, საიათნოვა, თქვი რამ ჩინური“, ხოლო ქართულ ლექსში („ჰგალობს თუთის ყაზალაბი“) საიათნოვა „ჩინ-მაჩინს ნორჩის, მშვენიერის, ცინცხალი სილამაზის სინონიმად იყენებს: „ახალო ჩინო-მაჩინო, ნეტაკი შენსა ნეფუსა“.

ამრიგად, ძველ ქართულ მწერლობაში „ჩინ-მაჩინი“ გვხვდება პირდაპირი გეოგრაფიული მნიშვნელობითაც და ზღაპრულად აღთქმული ქვეყნის გაგებითაც. ასე რომ, ამ სახელს საიათნოვა თავის პოეზიაში, როგორც ვნახეთ, სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარობს, მაგრამ არც ერთი 3. სევაკის ინტერპრეტაციას არ ადასტურებს. 3. სევაკის დანარჩენ „კრიპტოგრამული ძიების“ განხილვისაგან თავს ვიკავებთ, რადგან ისინიც საიათნოვას ე.წ. „იღუმალწერის“ ანალოგიურია და სერიოზულ მეცნიერულ საბუთიანობასთან არაერთგვაროვნად კავშირი არ აქვს. არავინ უარყოფს 3. სევაკის დამსახურებას საიათნოვას ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევის საქმეში, მაგრამ ყველაფრის ხელაღებით მიღება, როცა არ არსებობს მეცნიერული საფუძველი, არ შეიძლება. ესეც არ იყოს, ვიმეორებთ, განა არის რაიმე ხელჩასაჭიდი საბუთი, რითაც შეგვიძლია ვირწმუნოთ, რომ საიათნოვას სატრფიალო ლექსების ადრესატი ერთი და იგივე ქალია? ამ ფაქტზე მიგვანბნებს ზემოთ მოტანილი ზეპირი ცნობები საიათნოვას მიჯნურის ვინაობის შესახებ. მათი სახელებია: ტალითა, სონა. არ არის გამორიცხული კიდევ აღმოჩნდეს დღემდე უცნობ წყაროში საიათნოვას აქამდე უცნობი მიჯნურის სახელი...

საიათნოვას დაბადების 275 წლის საიუბილეო დღეებში სომეხი მწერალი, აწ განსვენებული ვ. პეტროსიანი წერდა: “Кто была его возлюбленной - прелестная сестра царя Ираклия, как говорит леген-

და, ილი ისკროგლავა თიფლისის დევიშკა - რავე ეს თოლ ვაჟო-
ნო? იზ დევიშკის სავთი, ლოთოთ ვსესილნა სოთორიფი
ციროცა, ა სავთი ნადმენი ცარიცა მოჟე რაფორიფიფი ვ ვოი-
კოთ, ესთენენი დევიშკო, ესეფი ესე ჟუდო-ლოთოთ. ¹²²

პოეტის მიერ მხატვრული გმირის სახის შექმნის თვალსაზრისით ვ.
პეტროსიანი სწორია, მაგრამ ზომ ფაქტია, საიათნოვასა და ანა ბატონი-
შვილის მიჯნურობის შესახებ არავითარი თქმულება და ლეგენდა არ არ-
სებობს. რაც შეეხება ლეგენდას ანა ბატონიშვილზე, მის შესახებ თქმუ-
ლება მართლაც არის, მაგრამ სჯობია მოვესმინოთ ლეონ მელიქსეთ-ბეგს:
„ვალ. ბრიუსოვის სენსაციურმა „თეორიამ“ გამოიწვია ი. გრიშაშვილის
გაკვირება შემდეგი სიტყვებით: „პატივეცემული პოეტი (ვ. ბრიუსოვი. ბ.
ა.) არ ასაბუთებს თავის აზრს: ვაი თუ სცდებოდეს, რადგან ასეთი რომანი
ქჷონდა ბესიკს, თითქმის საიათნოვას თანამედროვე მგოსანს, რაიც ისტო-
რიულადაც დამტკიცებულია და თვით პოეტიც (ბესიკი. ბ. ა.) მოწმობს
თავის ლექსებში, ზოლო თუ მინცა და მინც საჭიროა მისი სატრფოს
გაცნობა — გეტყვით — საიათნოვას დროინდელი ზალხისაგან დარჩენილ
ამბავს: რომ საიათნოვას ჰყოლია სატრფო ვინმე ქურქჩის ცოლი სახელად
ტალითა, სარწმუნოებით კათოლიკე, და ტფილისში სცხოვრობდა, თურ-
მე, ნორაშნის უბანში...“ ¹²³ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცნობა ტალითას
შესახებ მიუწოდებია ი. გრიშაშვილისთვის სახალხო მგოსანს გ. სკან-
დარნოვას.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს მოაქვს გ. სკანდარნოვას ცნობა: „ცოლის გარდა
საიათნოვას ერთი ქალი ჰყავდა გულის სატრფო. მას უცხოვრია ნორაშ-
ნის უბანში. იყო ფრანგი (ე.ი. კათოლიკე) სოლოს ქალი, სახელად ტალი-
თა, რომელიც საიათნოვას ძალიან ჰყვარებია და მის შესახებ ბევრი სიმ-
ღერები აქვს ნათქვამი.“ ¹²⁴ შემდეგ ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გააკეთა ასეთი
შენიშვნა: „განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მაშინ, როდესაც გ. სკანდა-
რნოვა ტალითას უწოდებს „სოლოს ქალს“, ი. გრიშაშვილს წარმოდგენი-
ლი ჰყავს „ქურქჩის“ ცოლად“ (გვ. 53). აღარას ვამბობთ ლეონ მელიქსეთ-
ბეგის მიერ მოწოდებულ ცნობაზე — საიათნოვას სატრფოს სონა ერქვაო.

ვ. პეტროსიანი გვარწმუნებს: მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იყო საი-

ათნოვას სამიჯნურო ლირიკის ადრესატიო. თუ ასეა, გაუგებარია, ჩვენი სომეხი კოლეგები რატომ ცდილობენ ასე თავგამოდებით საიათნოვას მიჯნურის ვინაობის გამოკვლევას და ამ ქალად აუცილებლად ანა ბატონიშვილის გამოცხადებას. ჯერ მხოლოდ პ. სევაკმა დიდტანიან მონოგრაფიაში („საიათნოვა“) ამ საკითხს თითქმის ორასი გვერდი მიუძღვნა!

ლენ მელიქსეთ-ბეგის, ი. გრიშაშვილის, გ. სკანდაროვას ზრით, საიათნოვას სატრფიალო ლექსების ადრესატად, როგორც ვთქვით, ტალითას გარდა, სონაც არის. ეს კატეგორიულად არ გაიზიარა სომხურმა საიათნოლოგიამ და ვ. ბრიუსოვის მცდარ გზას დაადგა, რაც ახლაც გრძელდება. ამ მცდარმა ზრმა ასახვა ჰპოვა სომხურ მხატვრულ ლიტერატურაშიც. თურმე ნუ იტყვიო, საიათნოვას მხურვალე სიყვარულს ასეთივე გრძნობით პასუხობდა ანა ბატონიშვილიც, რაც „მხატვრულად“ გადმოგვცა სომეხმა მწერალმა ზარაზანდ დარიანმა თავის ორტომიან რომანში „საიათნოვა“. ეს რომანი არის ერთ-ერთი მათგანი საიათნოვაზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებთა შორის სომხურ მწერლობაში. მკითხველს არ შეეაწყენ თავს ისტორიული რომანის შექმნის პრინციპების შეხსენებით, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სომეხ მწერლის — ზარაზანდ დარიანის სომხურ ენაზე დაწერილ, ორტომიან რომანში „საიათნოვა“ (1960-1963 წ.წ.) ისტორიული რომანის მხატვრული ხერხის ვერავითარ კვალს ვერ ნახავთ. რომანში გამოყვანილია რამდენიმე ისტორიული პირი: თეიმურაზ II, ერეკლე II, ანა ბატონიშვილი, საიათნოვა, იოსებ ემინი და სხვანი. მწერალს თვალი გადაუვლია აგრეთვე ორიოდე წერილობით წყაროსთვის და საქმეც ამით მოუთავებია. შემდეგ კი მკითხველს სულმოუთქმელად მოუთხრობს XVIII საუკუნის ქართლ-კახეთის სამეფო კარის შესახებ. თუმცა ზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზეც ასეირნებს თავის გმირს საიათნოვას, მაგრამ ზარაზანდ დარიანს მაინც XVIII საუკუნის თბილისი და მეფე ერეკლეს სასახლის ცხოვრების აღწერა გაუხდია მიზნად. ეს ასეც უნდა იყოს ნორმალურ შემთხვევაში. რომანში ძირითადია საიათნოვას და ანა ბატონიშვილის „მიჯნურობის“ ისტორია, ამ „მიჯნურობის“ ჩასახვისა და განვითარების „მძაფრი პერიპეტიების“ ასახვა და მისი გამხატვრულების ცდა. ისტორიული რომანის ავტორს უფლება აქვს მხატვრული

გმირის შექმნისა, რომელიც შეიძლება მეორე პირს შეაყვაროს ან შეაძულოს. ეს მისი საქმეა. მაგრამ ზარაზანდ დარიანს ფიქრადაც არ მოსდის მხატვრული ფანტაზიით შეექმნა საიათნოვას მიჯნური. მან იოლი გამოსავალი იპოვა, ხელი ჩასჭიდა საიათნოვას „სატრფოდ გამოცხადებულ“ ანა ბატონიშვილს და მანამ არ მოეშვა, სანამ საიათნოვას საყვარლად არ აქცია.

როგორც ვთქვით, მართალია თქმულება ანა ბატონიშვილის გამიჯნურების შესახებ არსებობს, მაგრამ ამ გადმოცემაში მხოლოდ ბესიკის ანასადმი თავდავიწყებულ სიყვარულზეა ლაპარაკი, რომელშიც, რა თქმა უნდა, საიათნოვას სახელის ხსენებაც არ არის. სხვა გადმოცემა კი დღემდე ჩვენთვის უცნობია. რომანის შინაარსის გადმოცემას არ შეეუდგებით, მაგრამ ზოგადად შევეხებით ნაწარმოების იდეურ-შინაარსობლივ მხარეს.¹²⁵

სომეხმა მწერალმა ანას უდიდესი გრძნობა, რომანის მიხედვით, ისეთ კულმინაციამდე მიიყვანა, რომ ზნეობრივ-მორალურად დასცა ქართველი დიდგვაროვანი ქალი, ასევე დიდგვაროვან მეუღლეზე გათხოვილი მანდილოსანი. ანა არას დაეძებს, ოღონდ საიათნოვასთან იყოს, ხან გული მისდის, ხან ისტერიკებში ვარდება და ხან ავად ხდება და საიათნოვას სახელს აბოდებს. ხანაც ქურდულად სტუმრობს საიათნოვას სახლში და სასიყვარულო ვნებამორეული სიტყვებით გამოხატავს თავის ატეხილ ვნებებს: „მიშველე საით... მე უბრალო მსახური ვარ, შენ ჩემი თავადი, ჩემი ბატონი და ღმერთი... ანა კვლავ ეცა საიათნოვას, გამმაგებით ჩაიხუტა, მიიზიდა და მთრთოლვარე ბაგეებით დააცხრა საიათნოვას ბაგეებს...“ და ა.შ.

ამ რომანის გარჩევა არ გვაქვს მიზნად, ეს სხვა დროს, ჩვენ მხოლოდ ანა ბატონიშვილისა და საიათნოვას ურთიერთობა გვაინტერესებს, მაგრამ გული არ გვითმენს არ შევაჩეროთ ყურადღება ერთ მომენტზე. მწერალი ზარაზანდ დარიანი ქართველ ბრწყინვალე პოეტს ბესიკ გაბაშვილს ამცირებს, რათა მისი დამცირების ფონზე გამოიკვლიოს საიათნოვას საოცარი მაგიურობა. სომეხი მწერალი ბესიკის დაცინვით გოგორას (ანუ გოგორას) უწოდებს და მის პოეტურ დამსახურებას საიათნოვას მიაწერს.

ძველ თბილისში ასეთი თქმულება ჩაუწერია სპ. ჩიტორელიძეს: „ბე-

სიკის სიმღერით აღტაცებულმა ყაენმა ბრილიანტებით მოჭედილი საგვარეულო თასი აჩუქა ბესიკს“ („ივერია“, 1889, №58). ეს გადმოცემა ზარაზანდ ღარიანს საიათნოვას სასარგებლოდ გამოუყენებია და ბესიკის ნაცვლად მისთვის მიუწერია — თითქოს ნადირ-შაჰს ინლოეთის დალაშქრაში თან ჰყოლია საიათნოვა. ლაშქრობის დროს აშულის სიმღერით მოხიბლულ შაჰს მისთვის ძვირფასი სმზანდარი უჩუქებია. რომანის მიხედვით, ასევე მეფის ერთ-ერთ მეჯლისზე იოსებ გოგორას და საიათნოვას პოეტური შეჯიბრის საგანი თავად მუხრან-ბატონის ახალგაზრდა მეუღლე თინათინია (ეს ის თინათინია, საიათნოვა გაგიუბით რომ უყვარს). რა თქმა უნდა, პაექრობაში საიათნოვა, „შაჰის ნაჩუქარი სმზანდრით“ გაიმარჯვებს და თინათინიც გამარჯვების გვირგვინს საიათნოვას მიაკუთვნებს. აქ მწერალს გაახსენდება, რომ ეს დამარცხება მიწასთან გაასწორებს პოეტ გოგორას (იგივე ბესიკს) და საიათნოვაც ამ გვირგვინს კვლავ მოწიწებით თინათინს უბრუნებს. სადავო საკითხის ნეიტრალური გადაწყვეტაა, მაგრამ იოსებ გოგორას პოეტური თავმოყვარეობა მაინც შეურაცხყოფილი რჩება.

ჩვენს გვერდით, მოძმე სომხეთში მცხოვრებ მწერალს იოტისოდენი წარმოდგენაც არა აქვს საქართველოს ისტორიაზე, ქართველთა ხასიათსა და ტრადიციებზე და, რაც მთავარია, არც სურს იცოდეს იმაზე მეტი, რაც ჰგონია, რომ იცის. მას მიზნად დაუსახავს საიათნოვას საოცრად ჰიპერბოლურად წარმოჩენა და აღწევს კიდევ მიზანს, მაგრამ ეს მარტო მას ჰგონია, რომ სასურველ შედეგს აღწევს, თორემ მისგან ყალბად განდიდებულ ცნობილ აშულს შეურაცხყოფს, რაც ზარაზანდ ღარიანისგან არ ეკადრება. საიათნოვა გულზვიადია, პატივმოყვარე, ერთი სიტყვით, თავისთავზე უზომოდ შეყვარებულია, სადაც გამოჩნდება, მის ირგვლივ ქართველი თავადების გულწასული ქალების გროვა ჩნდება. ერეკლე მეფე საიათნოვას თანატოლივით „მშაო საიათ“-ით მიმართავს, ხოლო აშული მას „თავადო ერეკლე“ ეძახის, თავადებს ყმებივით ექცევა და თავის ნებაზე დაარბენინებს. მისი ამგვარი მდიდური საქციელის ერთ-ერთი იარაღი ყოფილა ცეცხლისმფრქვეველი ჰიპნოზური თვალები და ა.შ. გათვითცნობიერებულ მკითხველს ასეთი საიათნოვა ღიმილს მოჰგვრის. საიათნოვა ქართველისთვის საყვარელი აშული იყო და არის, მაგრამ გაუგებარია, კარიკატურულ

სახეს მისგან რატომ ქმნის ზარაზანდ დარიანი. საქართველოს წარსულში ზერეულედ ჩაბედულმა ზარაზანდ დარიანმა უღიმღამოდ და უნიათოდ წარმოგვიდგინა ერეკლე მეფე, თეიმურაზ მეფე, დემეტრე ორბელიანი და ქართული სამეფო კარი. ბესიკზე („გოგორა“) ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მწერლის მიერ ერეკლეს ხასიათისა და საიათნოვას სოციალური მდგომარეობის აბსოლუტურად იგნორირების ნიშნულია აშუღის სასახლიდან გაძევების ეპიზოდი. ერეკლე მეფის ფიცხი ხასიათი და ზნეობრივი მომთხოველობა ისტორიულად არის ცნობილი. ამის შესახებ გავიხსენოთ, რას გვიაშობობს გადმოცემა: „1772 წელს დაქვრივდა თეიმურაზ მეფის ასული, მეფე ერეკლეს უფროსი და ანა ბატონიშვილი, რომელიც იყო დიმიტრი ორბელიანზე გათხოვილი. ახალგაზრდა ქვრივი თავის ძმის ერეკლე მეფის სასახლეში დაბინავდა. ბავშვობიდან ზაქარია მოძღვრის შვილებთან შეზრდილი, იგი სულ ადვილად დაუახლოვდა ბესარიონ გაბაშვილს და მათ შორის გაიბა საიდუმლო გრძნობის ქსელი. რამდენიმე ხნის შემდეგ ანა ბატონიშვილამდე მოუღწევია ხმას, ვითომ ბესიკს სხვა ქალი შეჰყვარებოდეს. ეს რომ ანა ბატონიშვილს შეუტყვია, ბესიკი სახლში აღარ მიუღია. უკანასკნელი თავს იმართლებს გრძნობით აღსაყვან ლექსებში და მოციქულებს აახლებს თან, მაგრამ ამოდ, ერთხელ დაშული სამოთხის კარი მას აღარ გაუღეს. ამ სამიჯნურო ამბავმა ერეკლე მეფემდეც მიადწია: განრისხებულმა მეფემ ქვრივი და მონასტერში გაგზავნა, ზოლო ბესიკს სასტიკად აუკრძალა ამიერიდან ამ საგანზე ხმის ამოღება; წინააღმდეგ შემთხვევაში შენც მამაშენივით გაგაძევებ ქართლიდანაო. მაგრამ სიგაჟემდე მისული ახალგაზრდა მგოსანი არ ცხრებოდა. ამბობენ: ერთხელ ბესიკმა მონასტრისკენ ჩაიარა და აივანზე ორი შავით მოსილი (სამოლოზნო ტანსაცმელში) ქალი დაინახა, რომელთაგან ერთი ანა ბატონიშვილი იყო. ამ შემთხვევის გამო მას გამოუთქვამს ახალი ლექსი „შავი შაშენი“, რომელიც მალე მთელ ქალაქს მოსდებია და მეფემდისაც მიუღწევია. განრისხებულ მეფეს უბრძანებია მსაჯულებისთვის: ჩემი ოჯახის შეურაცხმყოფელი სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, მეტეხის ციხიდან გადააგდეთო, მაგრამ სასახლის ერთ-ერთ წვერისაგან ბესიკს მეფის გადაწყვეტილება შეუტყვია და იმერეთში გაქცევით უშველია თავისთვის.“¹²⁶

აქ გარდა იმისა, ბესიკის (და არა საიათნოვას) და ანა ბატონიშვილის ცხოვრებაზეა ლაპარაკი, საყურადღებოა ერეკლეს მიერ საკუთარი ოჯახის ზნეობრივი სიწმინდის მკაცრი დაცვა და, რაც მთავარია, ამ თქმულების სხვადასხვა ვარიანტში ზაზია გამჟღავნებული მეთვის სასტიკ ბუნებაზე. ამის შესახებ აი, რას წერს გ. ლეონიძე: „ჩვენ ვიცით, რომ ერეკლე მკაცრი ზნეობის ადამიანი იყო და სასტიკ მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა მთელი სასახლე, ოჯახთან ერთად სასახლის მსახურთა ზნეობაც, რის შესახებ არაერთი ფაქტია ცნობილი, მაგრამ თავი რომ დავანებოთ მეთვის ხასიათს და შეხედულებას, თვით მაშინდელი მაღალი საზოგადოების ოფიციალური ზნეობისთვისაც ბესიკის გაბედული გამიჯნურების გამჟღავნება თითქმის მკრეხელობას უდრიდა.“¹²⁷

ერეკლე მეფემ თუ თავის ოჯახის შეურაცხყოფად მიიღო თავადის და დიდებული ქართველი პოეტის ბესიკის გამიჯნურება ანასთან და სიკვდილი მიუსაჯა მას, ნეტავი რა დაემართა ყმა აშულთან. იოლი წარმოსადგენია რაღას უზამდა ანალოგიური დანაშაულისათვის აშულ საიათნოვას. მით უმეტეს ზარაზანდ ღარიანის რომანში ყოველგვარი მოტივაციის გარეშე ანა საიათნოვას საყვარლად არის გამოყვანილი. ეს ამბავი, რომანის მიხედვით, ერეკლე მეფეს რომ გაუგია, თეიმურაზ მეფისა და დემეტრე ორბელიანის მსგავსად შეურაცხყოფად არ მიუღია, მაგრამ საიათნოვას სასახლიდან გაძევება მაინც გადაუწყვეტია. თუმცა ისტორიულად ჯერ კიდევ გარკვეული არ არის საიათნოვას სასახლიდან დათხოვნის ჭეშმარიტი მიზეზი. ერთი კი ფაქტია, ერეკლე მეფის ბრძანებით, საიათნოვა ბერად აღკვეცეს და არ მიუსაჯეს ბესიკივით მეტეხის ციხის კლდიდან გადაგდება და უეჭველი სიკვდილი. კიდევ უფრო ზელოვნურია ერეკლე მეფისა და ბერი საიათნოვას შეხვედრა სომეხი თავადის ოჯახში და ა.შ.

ყოვლად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ალა-მაჰმად-ხანის ურდოებით გარშემორტყმული თბილისი, სისხლმონყურებული ბრბო, რომელიც სადაცაა წუთიწუთზე შემოცვივდება ქალაქში... შიში, არეულობა... და ამ დროს სპარსელ აშულს მირზა აშრაფს და საიათნოვას შეჯიბრი გაუმართავეთ სიმღერაში... კიდევ ამგვარი არაერთი შეუსაბამობის მოტანა შეიძლება, მაგრამ ამჯერად კმარა. დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას: მთავრდება

რომანი და ისეთი ჰბრი გრჩება, თითქოს მეფე ერეკლეს სასახლის კარის ცხოვრებას საიათნოვა განაგებდა და მასზე იყო დამოკიდებული საქართველოს ბედი. რასაკვირველია, ეს აბსურდია, მით უმეტეს იმიტომ, რომ საიათნოვას მისი სოციალური მდგომარეობის გამო არ შეეძლო სამეფო კარის ცხოვრებაში ჩარევა. ეს ავტორის მიერ მოგონილი და ხელოვნურად გაზვიადებული სიყალბეა.

ზარაზანდ დარიანის რომანი „საიათნოვა“ არის კიდევ ერთი ნიმუში იმისა, თუ რა სავალალო შედეგი გამოიღო ლეონ მელიქსეთ-ბეგის ზემოხსენებული მართებული მოსაზრების უგულვებლყოფამ მეცნიერებასა და მხატვრულ ლიტერატურაში. დროა, მიხედნენ ბოლოსდაბოლოს სომეხი მკვლევარები და საიათნოვას სატრფიალო ლექსების ადრესატად აღიარონ ტალითა, თუ გნებავთ, სონა და შეწყვიტონ ზღაპრების თხზვა ანა ბატონიშვილზე.¹²⁸

გ. ახვერდოვის მიერ საიათნოვას შესახებ შეკრებილ ცნობებსა და მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ლეონ მელიქსეთ-ბეგმა თავის მონოგრაფიაში გადაამოწმა აშუღის ცოლ-შვილის და მისი შთამომავლების შესახებ შემორჩენილი გადმოცემები და ფაქტები. გ. ახვერდოვმა თავის დროზე გაარკვია, რომ საიათნოვას ჰყოლია მეუღლე მარმარა, რომელიც გარდაცვლილა 1768 წელს. ლეონ მელიქსეთ-ბეგს მოუწადინებია გ. ახვერდოვის მიერ თბილისში, ხოჯაევანქის სასაფლაოზე ნანახი მარმარას საფლავის ქვის ნახვა და ქართული ეპიტაფიის შემოწმება, მაგრამ ხოჯაევანქის სასაფლაოს იმ მხარეს, სადაც მარმარა იყო დასაფლავებული, მისი საფლავის ქვის კვალსაც ვერ მიაგნო: „საიათნოვას მეუღლის საფლავის ქვის წარწერა არარსებულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან აღვილი წარმოსადგენია, რომ იგი უგუნურთ გაენადგურებიათ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა ანდა XX საუკუნეში ძველი საფლავის ქვების მოსპობის პროცესში, როდესაც ხელახლა გათლილ ლოდს კვლავ იყენებდნენ ახალ საფლავზე დასადგმელად“ (გვ. 56). ამ მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით ახლგაზრდა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ხმა აღიმალა და გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც გამოამზეურა ხოჯაევანქის სომხურ სასაფლაოზე ძველი საფლავის ქვების მოპარვის ფაქტები (იხ. “Письма в редакцию (по

поводу уничтожения исторических могил)” — გაზ. “თიფლისსკი ლისტოკი”, 1913, №163). ამ მწკვევე წერილს გამოეხმაურა და ხოჯაყანქის ადმინისტრაცია დაიცვა მღვდელმა გრიგოლის ერზიკიანცმა. აი, ეს წერილი:

М. 2-н редактор!

На письмо г. Л. Меликсетъ-Бекова (№163) я могу ответить следующее: “Надгробные камни на Ходживанском кладбище никогда не убираются, земля под ними не сглаживается и не продается, плиты не обтесываются и не пускаются в новый оборот” Впрочем, покорно прошу г. Л. М.-Бекова свои обвинения доказать фактически, для привлечения виновных к уголовной ответственности. Нынешнее правление, прекрасно понимая значение своей роли, будет всегда беспощадно преследовать “оскорбителей” могил наших усопших.

Много чего говорят о Ходживанском кладбище “недоброжелатели”. Разве следует такими неуместными обвинениями волновать публику. Если вы, г. М.-Б., говорите - “не верится”, то вам, в таком случае, следовало бы подойти к таким обвинениям очень осторожно.

*Председатель правления
протоиерей Григорий Ерзьянцъ
(газ. “თიფლისსკი ლისტოკი”, 1913, №172).*

ლეონ მელიქსეთ-ბეგის პასუხი მღვდელ გრიგორის ერზიკიანცის წერილზე გამოქვეყნდა ამავე გაზეთში სათაურით “*Письмо в редакцию*” (1913, №205). იგი წერს: ჩემი სტატით მივალწვი მიზანს და ხოჯაყანქის სსაფლავს დაუწესდა პოლიციის მეტეაღყურება. “*В письме своем в №163 “Т. Л.” я вовсе не имел в виду обвинять кого-либо из служащих Ходживанского кладбища в преступлении, а потому, следовательно, отпадает и обязанность моя “доказать обвинения фактами” Моя цель была иная - обратить внимание на те прискорбные сведения, которые доходили до меня, и которые на-*

ილი известную себе формулировку в моем письме. Формулировка эта была такого свойства, что она должна была дать толчок для начатия дознания, а последнее уже выяснило бы - кого и за что преследовать.

Оставляя в стороне многочисленные личные наблюдения свои (их коснусь при удобном случае), я на первых порах, пожалуй, указал бы на ряд лиц, которые сообщили бы весьма любопытные иногда данные о порядках Ходживанского кладбища."

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ადრეც გამოვიდა თბილისის სომხურ პრესაში ზოჯავანქის სასაფლაოს მოვლა-პატრონობის და დაცვის თაობაზე. მისმა გამოსვლამ გარკვეული შედეგი გამოიღო დროებით, რადგან გასული საუკუნის 30-იან წლებში ბოლშევიკებმა გააუქმეს და სასაფლაო ბაღად აქციეს ვერის ქართველთა და ზოჯავანქის სომეხთა სასაფლაოები.

მოვიდეთ პირველ სიტყვას — ლეონ მელიქსეთ-ბეგმა თავის მონოგრაფიაში („საიათნოვას ვინაობა...“) ი. გრიშაშვილის მიერ დამუშავებული ზოგიერთი უზუსტობა გაასწორა. მაგ. საიათნოვას კავშირს ქალაქ მოზლოკთან ი. გრიშაშვილი იმით ხსნის, თითქოს დიდი აშუღის და ყოფილიყო იქ გათხოვილი და ამიტომ გახიზნა ოჯახის წევრები საიათნოვამ 1795 წელს, ალა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრების წინ. ეს ეწინააღმდეგება საიათნოვას განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი იყო „დედისერთა“. მაშასადამე მას და არ ჰყოლია (გვ. 58). ასევე გაასწორა ი. გრიშაშვილის მიერ დამუშავებული უზუსტობა: ი. გრიშაშვილი შენიშნავს, საიათნოვას შვილიშვილი იყო ტერ-სრაპიონი. მაგრამ ლეონ მელიქსეთ-ბეგმა დაადგინა, საიათნოვას შვილიშვილი ყოფილა ტერ-მოსესი, დეკანოზი ჯიგრაშენის ეკლესიისა თბილისში და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი იყო ზედმიწევნით კეთილსინდისიერი მკვლევარი, ფაქტებზე დამყარებულ მეცნიერულ სიმართლეს ყველაზე მაღლა აყენებდა და თავის სიმართლეში დარწმუნებულს უკომპრომისო ბრძოლა შეეძლო მის დასაცავად. იგი თავის მონოგრაფიაში („საიათნოვა...“) არ შეუშინდა ავტორიტეტებს, არაერთი მცდარი მოსაზრება საიათნოვას შესახებ დაამსხვრია და საკუთარი წამოაყენა. სანიმუშოდ მოვიტანთ რამდენ-

ნიმეს: საიათნოვას ერთ ქართულ ლექსს („შე საწყალო ჩემო თავო, რა იქენ“) აქვს ასეთი მინაწერი: „სავათნომისგან ნათქომი მუხანბაზი, სომეხთა ტერტერა იყო, ზოლო შემდგომად ბერათ რომ შედგა, მაშინ თქო.“ ამ მინაწერის საფუძველზე ლეონ მელიქსეთ-ბეგმა დაასკვნა: ეს შენიშვნა შეეფერება სინამდვილეს, ე.ი. არუთინა-საიათნოვა პირდაპირ კი არ აღკვეცილა ბერად, არამედ წინასწარ მღვდლად კურთხეულა. „მგოსნის სასულიერო წოდებაში შესვლა მის დაქვრივებასთან კი არ უნდა იქნეს დაკავშირებული, როგორც „საიათნოვისტები“ ლამობენ დამტკიცებას გ. ახვერლოვისაგან მოყოლებული დღემდე, არამედ განხეთქილებასთან, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა ერეკლე მეფესა და საიათნოვას შორის დაახლოებით 1762-1765 წლებში“ (გვ. 61).

აქვე ვიტყვი, რომ ამ დასკვნას არაერთი ოპონენტი ჰყავდა და ჰყავს, მაგრამ პრინციპულობა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ბოლომდე გამოიჩინა და თავისი აზრი დაიცვა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი კონფლიქტს მეფესა და აშულს შორის ხედავს ლექსში „სამართალი მიყავ, ხელმწიფე ხარო!“:

ხელმწიფეს გეახელ უცხოდ მორთული,

საზი ხელთ მეფისა მე გამართული!

მათასავით დამაბრუნეს დართული!..

ნეტამც არ შემეტყო მე ის ქართული!

წადი ჭუჭყიანი ხალიჩა ხარო!..

ნათქვამია: ერთხელ მთა მთას ეცემა,

ღვთის ნებაა წყალობისა გაცემა!

შენის ხელით იყოს ჩემი გაცემა...!

ნეტა არ გაგეგდე, კარგად გეცემა, —

ჩემი სულიერი ღელ-მამა ხარო!

თუ გინდ დამიმტვრიონ წიბო-გვერდები,

ცოცხალი თავით ვერ მოგშორდები!

თუ მტკვარი ვერ მომსპობს — ზღვას ჩავარდები...!

ენით მოიმატე შენი დარდები —

საიათნოვავ ნაღვლისათვინ მზა ხარო!

ლენ მელიქსეთ-ბეგმა არ მიიღო კ. კეკელიძის აზრი, თითქოს ეს ლექსი შეთხზულია საიათნოვას ბერად შედგომის შემდეგ.¹²⁹ მაგრამ ლენ მელიქსეთ-ბეგი ერთ საკითხში დაეთანხმა კ. კეკელიძეს — ლექსი უეჭველად დაწერილია მეფის სასახლიდან დათხოვნის შემდეგ. საიათნოვა ჯერ მღვდლად ეკურთხა, შემდეგ ბერად შედგა. ასე რომ, საიათნოვას შეეძლო ლექსის დაწერა მღვდლობის პერიოდშიც და ბერობის შემდეგაც. ერთი კი აქვე უნდა შევნიშნოთ — საიათნოვას ერეკლე მეფის სასახლიდან დათხოვნის მიზეზი დღემდე მაინც დაუდგენელია. ყოველ შემთხვევაში, ცალსახად არ არის გადაწყვეტილი, მით უმეტეს მაშინ, გასული საუკუნის 30-იან წლებში.¹³⁰

ლენ მელიქსეთ-ბეგმა სავსებით სწორად ახსნა ის ფაქტი, რომ საიათნოვამ სასულიერო მოღვაწეობის ძირითად ასპექტად ახპატი აირჩია. ეს ახპატ-სანაინის მხარე XII-XIII საუკუნეებში მძლავრი სომხური სასულიერო განათლების კერა იყო, სადაც ჰყვარდა მწერლობა და კულტურა. გასული საუკუნეების შარავანდელი XVIII საუკუნის თბილისის სომხური ეპარქიის კერებსაც ეფუძნებოდა, რადგან ახპატ-სანაინი ამ სამწყობოში შედიოდა.

გარდა ყოფითი მიზეზისა, საიათნოვას სასულიერო ცხოვრებისაკენ უბიძგა მისმა რელიგიურობამ, რისი დამამტკიცებელი საბუთები ლენ მელიქსეთ-ბეგს (და არა მარტო მას) მოაქვს საიათნოვას სომხური ლექსებიდან (გვ. 63).

კიდევ უფრო ნათლად არის გამოკვეთილი ლენ მელიქსეთ-ბეგის მეცნიერული პრინციპულობა საიათნოვას და დავით ეპისკოპოსის ე. წ. იდენტურობის საკითხში. მკითხველი საქმის კურსში რომ იყოს, მოკლედ გადმოვცემ ამ საკითხის ისტორიას. საქმე ის არის, რომ „თეორია“ (ლენ მელიქსეთ-ბეგის გამოთქმაა!) საიათნოვას დავით ეპისკოპოსთან იგივეობის შესახებ პირველად წამოაყენა დიდმა სომეხმა პოეტმა ოვანეს თუმანიანმა (გაზ. „პორიზონი“, 1913, №276). სომეხი პოეტის აზრით, გიუტ აღანიანცის მიერ გამოცემულ „სომეხთა ისტორიის არქივში“ მიაგნო დოკუმენტებს, რის მიხედვით ჩანს, რომ XVIII საუკუნის, უფრო სწორად საიათნოვას დროინდელ სომეხთა კათალიკოსების სიმონის და ლუკასის ეპისტოლეების

მიხედვით ჩანს, რომ საიათნოვა ახპატის ეპარქიის მმართველად, ახპატის ლავრის მოსაყდრედ, ანდა წინამძღვრად წოდებული იგივე დავით ეპისკოპოსია, რომელიც ხშირად ვარდაპეტად იწოდება. ეს წოდება საპატრიო იყო და ყველა მაღალ სასულიერო პირს ეძლეოდა (გვ. 67).

ოვ. თუმანიანის აზრით, საიათნოვა მეუღლის სიკვდილის შემდეგ (1768 წ.) თბილისის სომხური ეპარქიის მმართველის დავით ეპისკოპოსის მიერ ყოფილა ხელთდასმული მღვდელმონაზვნად და წესისამებრ ხელ-დამსხმელის სახელი დავითი ეწოდა. დავით ეპისკოპოსი ვერ ურიგდებოდა ბერობას, სამონასტრო ცხოვრებას, ახპატის მონასტრიდან მიდიოდა თბილისს ქალაქს და ეწეოდა საერო ცხოვრებას, ქეიფობდა და დროს ატარებდა. იგი არას დაუდევდა კათალიკოსის ბრძანებას და მითითებებს, რის გამოც კათალიკოსი ლუკასი მას უწოდებდა ცრუვარდაპეტს, ცრუეპისკოპოსს, ცრუწინამძღვარს, შაკუნკულა დავითს, ლირფს, თავზედ ავზნიანს და ა.შ. ბოლოს და ბოლოს კათალიკოსმა ლუკასმა მას ჩამოართვა ეპისკოპოსობა, გაკრიჭა და განკვეთა. მაგრამ დავით ეპისკოპოსს ჰყოლია ძლიერი დამცველი ერეკლე მეფის სახით, აგრეთვე, გიორგი ბატონიშვილი, რომელიც სომეხთა კათალიკოსს ლუკას აიძულებდნენ აღედგინა დავით ეპისკოპოსი თავის სასულიერო უფლებებში. კათალიკოსსაც მათი მოთხოვნა შეუსრულებია. ოვ. თუმანიანს მიაჩნდა, რომ საიათნოვა მოწესედ შეიქმნა 58 წლის ასაკში, და გაკრეჭვის დროს დაახლოებით 80 წლისა იყო. აღამაჰმად-ხანის მიერ 1795 წელს თბილისის აოხრების შემდეგ, როცა თითქოს მოკლეს საიათნოვა, ახპატის მონასტრის წინამძღვარი დავით ეპისკოპოსი აღარ ჩანსო (გვ. 68).

ოვ. თუმანიანის ამ მოსაზრებას სასწრაფოდ გამოხმაურებიან ვ. ბრიუსოვი და ი. გრიშაშვილი.¹³¹ კ. კეკელიძემ იმთავითვე არ გაიზიარა ოვ. თუმანიანის მიერ წამოყენებული მოსაზრება. მაგრამ საიათნოვას „იდენტურობა“ დავით ეპისკოპოსთან ამით არ დამთავრებულა და ცხარე კამათი გაიმართა მის შესახებ აკად. ლეოსა და პროფ. გ. ასატურს შორის 1926 წელს. თუ ადრე 1913 წელს ლეოს ეჭვი შეეპარა საიათნოვასა და დავით ეპისკოპოსის იგივეობაში, ამ დროს, 1926 წელს კი ოვ. თუმანიანის მოსაზრების თავგამოდებულ დამცველად გამოვიდა. უფრო მეტიც, გრაბარის

(გრაბარი ძველ სომხურ ენას ეწოდება. ბ. ა.) კარგი მცოდნე გამოიყვანა საიათნოვა. ეს უკანასკნელი აზრი კი საიათნოვას საიუბილეო დღეებში 1963 წელს კიდევ უფრო „გააღრმავა“ და „გააფართოვა“ ზოგიერთმა სომეხმა მკვლევარმა და აშული ლამის გრაბარის სპეციალისტად გადააქცია.

ამ ორ მოკამათეთგან (პროფ. ლეო და გ. ასატური) ლეონ მელიქსეთბეგი უკანასკნელის მხარეზე იყო. გ. ასატურის შეხედულება გაიზიარა და შეეცადა კიდევ უფრო გაემაგრებინა ახალი არგუმენტებით. მას მოაქვს გ. ასატურის წერილებიდან ამონაწერი: „საიათნოვა არასდროს ყოფილა ეპისკოპოსი, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ, როგორც თვით გ. ახვერდოვსაც მოუხდა გამოერკვია მგოსნის თანამედროვეებისგან, საიათნოვა ღრმა მოხუცებულობაშიც უბრალო მონაზონი ყოფილა; მეორე — საიათნოვას შემოქმედების საუკეთესო მცოდნე, 1800 წელს დაბადებული გრიგოლ ორბელიანიც საიათნოვას იცნობს როგორც ჩვეულებრივ, რიგით ბერს, და მესამე — თვით საიათნოვას ლექსების ზოგიერთი ადგილი გვიმტკიცებს, თუკი ის ახპატის ეპისკოპოსად იყო, რატომ უწოდებს თავისთავს ბერს და რაღად სდევნიან იქ მას... ეპისკოპოსს, რომელიც ახპატისნაირ პატარა მონასტერში ვითომ მხოლოდ მბრძანებლის როლი ჰქონდა, არ შეეძლო დაეწერა ასეთი სტრიქონები:

საიათნოვა შეინაზე შენთანა...

საჯინიბოს დააყენე ცხენთანა!

ნუთუ ცხადი არ არის, რომ საიათნოვა „უმნიშვნელო მონაზონი“ იყო, როგორც გ. ახვერდოვი მოწმობს და არა მაღალხარისხოვანი ეპისკოპოსი, როგორც სურთ დაამტკიცონ თუმანიანმა და ლეომ.“ (გაზ. „ხორპრდაიან ჰაისტან“, 1926, №№85, 88, 188).

გ. ასატური წერს, საიათნოვას ღროს მართლაც იყო დავით ეპისკოპოსი, გვარად ყორღანოვი, ენგაეთელი, რომელსაც სომეხთა კათალიკოსი ლუკასი სდევნიდა. იგი ერთ ღროს ეჯიმიანიწინის ტახტის პრეტენდენტიც ყოფილა. მას თბილისში ადგილობრივი სომეხთა მაღალი საზოგადოება მფარველობდა (სოლომონ არღუთაშვილი, დარჩი მელიქ მამასახლისი, იოსებ ბებუთაშვილი, მოლარეთუხუცესი ბეგთაბეგი, იოსებ ყორღანოვი და სხვ.). მათი ზეგავლენით ერეკლე მეფეც მას იცავდა — „ოვ. თუმანიანისა

და ლეოს შეცდომა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათ ერთმანეთში აურევიათ ანპატის წინამძღვარ დავით ეპისკოპოსის და ბერად აღკვეცილი საიათნოვას პიროვნება, და ორი ადამიანისაგან ერთი გამოუყვანიათ. მაშასადამე, საიათნოვას ეპისკოპოსობის საკითხი საბოლოოდ უნდა გაქარწყლდეს.“ (გაზ. „ხორპრდაიან ჰაისტან“, 1926, №188, სომხ. ენაზე).

გ. ასატური საფუძვლიანად უარყოფდა არა მარტო საიათნოვას და დავით ეპისკოპოსის იდენტურობას, არამედ მას ასევე ყალბად მიაჩნდა საიათნოვას სატრფიალო ლექსების ადრესატად ერეკლე II-ის და ანა ბატონიშვილი („ხორპრდაიან ჰაისტან“, 1926, №85, სომხ. ენაზე).

ლეონ მელიქსეთ-ბეგს თავის მონოგრაფიაში („საიათნოვას ვინაობა“) მოაქვს საბუთები გ. ასატურის ზემოხსენებული მოსაზრებების სასარგებლოდ. იგი ჩამოთვლის რამდენიმე დავით ეპისკოპოსს, რომლებიც ცხოვრობდნენ XVIII ს-ში. ესენია — დავით ეპისკოპოსი — ვარდაპეტი; მეორე, თბილისელი დავით ეპისკოპოსი, რომელიც ხან დავით ბორჩალოელად, ხან ლირფ დავითად იწოდებოდა. ორივე დავით ეპისკოპოსი არას დაგიდევდა სასულიერო წესებს და ხშირად ეწეოდნენ საერო ცხოვრებას (ქეიფი, დროსტარება და ა.შ.) ეს უკანასკნელი დავით ეპისკოპოსი ერთ დოკუმენტში პირდაპირ ყოფილა გვართ და სახელით მოხსენიებული. მისი გვარი აღმოჩნდა ყორღანოვი (გიუტ აღანიანცი, სომეხთა ისტორიის არქივი, ტ. VI, 1904, გვ. 387, სომხ. ენაზე). აგრეთვე, იმის დასამტკიცებლად, რომ საიათნოვა და დავით ეპისკოპოსი არ იყო ერთი და იგივე პიროვნება, კიდევ მოაქვს საბუთი. ეს არის ნეკროპოლური წარწერები, რომელიც ნახა ეჯიმიანიწინში, რიფსიმეს ტაძრის გალავნის გარეთ, ძველ სასაფლაოზე, საფლავის ერთ ქვაზე: სომხური წარწერა 6 სტრიქონიანია, ქართული — 3 სტრიქონიანია. ლეონ მელიქსეთ-ბეგის დამსახურება ის არის, რომ მან ეს წარწერები პირველმა ნახა და გამოაქვეყნა სომხური წარწერა — ქართული თარგმანით. გაარკვია, რომ დავით ყორღანოვის და საიათნოვას მშობლებს სხვადასხვა სახელები ჰქონიათ. ამ ფაქტით მან დავით ეპისკოპოსის და საიათნოვას იდენტურობა გამორიცხა. შემდეგ მოაქვს „ციხის პატარა ეკლესიის“ შესავალი კარების თავზე მოთავსებული 8 სტრიქონიანი სომხური წარწერა და მისი ქართული თარგმანი.¹³² ეს სომხური წა-

რწერაც პირველად გამოაქვეყნა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა. უნდა ითქვას, რომ მისი ამ მონოგრაფიის გამოაქვეყნების შემდეგ საბოლოოდ შეწყდა სა-
იათნოვასა და ღვეთ ეპისკოპოსის იგივეობის შესახებ პოლემიკა. კიდევ
სხვა არგუმენტებიც აქვს ამ ნაშრომში ლეონ მელიქსეთ-ბეგს, მაგრამ მათი
მოტანა ზედმეტად მივიჩნით, რადგან უკვე ნათლად და რელიეფურად
ჩანს საიათნოვასა და ღვეთ ეპისკოპოსის იგივეობის აბსურდულობა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა პირველმა წამოაყენა საიათნოვას და მღვდელ
სტეფანეს იდენტურობის საკითხი.¹³³ ამ შემთხვევაშიც იგი დაეყრდნო მის
მიერ მიგნებულ საბუთს. ეს არის ხელნაწერი, რომელიც იყო თაერიზში
მცხოვრებ დერციკის მელიქ-ოჰანჯანიანისა. სულ არის 5 მინაწერი. პირ-
ველ ოთხ მინაწერს გადამწვევტი მნიშვნელობა აქვს საიათნოვას პირო-
ვნების დასადგენად. ამ მინაწერებისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქ-
ცევია არცერთ მკვლევარს, ხოლო მათ პირველ აღმწერელს პრ. აჭარი-
ანს საერთოდ კლასიფიკაციაც არ მიუცია მათთვის. ლეონ მელიქსეთ-ბეგი
იყო პირველი, ვინც სათანადო ყურადღება დაუთმო ამ მინაწერებს და
მისცა მეცნიერული კომენტარი. მინაწერების ქართულად თარგმნის და
შესაბამისი კომენტარების შემდეგ ლეონ მელიქსეთ-ბეგი დაასკვნის: „მინა-
წერები შესრულებულია ვულგარული კილოთი და ძველი სომხური ლი-
ტერატურული ენის მცირე მცოდნის მიერ. მერყევი ორთოგრაფიით. ძირი-
თადი კი ის არის, რომ ამ მინაწერების შინაარსით აშკარად იკვეთება —
საიათნოვას მღვდლობისას მიუღია მეორე სახელი ტერ-სტეფანა და ასეც
არის მოხსენიებული მინაწერებში : „...ცოდვილი მღვდელი სტეფანე, რო-
მელსაც საედ-ნოვას უწოდებენ, მამა ჩემი მაპტესი კარაპეტა და დედა
ჩემი სარა...“ და ა.შ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი შემდეგ პუნქტობრივ ჩამოთვლის მის მიერ
კვლევით მიღებულ შედეგებს: ოთხივე მინაწერში ერთი და იგივე პი-
როვნება მოხსენიება — სტეფანე მღვდელი ტფილისელი, მეტსახელად
საიად-ნოვა. ამავე დროს გადამწერი ერთი და იგივე პირი ყოფილა, მესამე
და მეოთხე მინაწერში მანუსკრიპტის დაწერის ადგილი — კახია. მეორე
და მეოთხე მინაწერში ტერ-სტეფანას მშობლებია მოხსენიებული: მამა —
კარაპეტა, დედა — სარა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის შეხედულებით, არუთინა-საიათნოვა 1766 წლამდე ან 1766 ახლო წლებში კურთხეულა მღვდლად და მიუღია ახალი სახელი — სტეფანე — სტეფანოს (გვ. 85). სახელის შეცვლა სომეხთა ეკლესიის პრაქტიკაში ბერად აღკვეცის დროს კი არ ხდება, როგორც ეს არის დაწესებული მართლმადიდებელ, ქალკედონისტურ ეკლესიაში, არამედ მღვდლობის ხარისხის მიღების დროს. ამიტომ, — ფიქრობს იგი, — ერთ-ერთი ქართული მანუსკრიპტის მინაწერი, ვგონებ, სავსებით სინამდვილეს გამოხატავს, როცა გვაუწყებს — „საიათნოვა ტერტერა (ქართულად მღვდელს უდრის. ბ. ა.) იყო პირველ, ხოლო შემდგომად ბერად შედგა...“ (გვ. 84). მკვლევარი შემდეგ გვამცნობს, სომხები ბერად შემდგარ დაქვრივებულ მღვდელს „მუშტაკ“-ს უწოდებენ — „ეს „მუშტაკობა“ თითქმის ერთადერთი გამონაკლისი იყო დაქვრივებულ სასულიერო პირისთვის: „ამიტომაც, ჩვენ თუ მოვიგონებთ საიათნოვას „მისტიციზმს“, სხვათა შორის მისსავე სულისკვეთებაში გარკვეულ დროიდან მიდრეკილებას სასულიერო წოდებისადმი, აგრეთვე, მისი მეუღლის სიკვდილს (1708 წ.), ცხადი იქნება, თუ როგორი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი ზსენებულ ფრიად მნიშვნელოვან მინაწერებიდან, რომლებიც საუცხოოდ ავსებენ ერთმანეთს...“ (გვ. 84).

ამავე დროს გამოთქვამს ვარაუდს, საიათნოვას ერეკლე მეფესთან კონფლიქტი მოსვლია 1762-1765 წლებში. საერო ცხოვრების დატოვება როცა განუზრახავს აშულს, მთელი თავისი სიმღერები ერთ დავთარში მოუთავსებია პენტელაანთ იოანეს საშუალებით, რასაც გვამცნობს მინაწერი. საიათნოვა კი მღვდლად კურთხეულა 1765-1766 წლებში¹³⁴, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ფიქრობს — „შესაძლებელია, საიათნოვა კახს (საინგილო) მიეზიდა რაიმე ნათესაობითი კავშირის ნიადაგზე. უფრო კი საეარაუდოა, განზრახ ყოფილიყო მივლინებული იქ, როგორც ახპატის საყდრის ქვემდებარე ერთ-ერთ შორეულსა და მყუდრო პუნქტში, თვით მისი ხელდამსხმელი მღვდელმთავრის მიერ, — საქეიფო აღვილებად ცნობილ ტფილისს, თელავს და სიღნაღის მოშორებით“ (გვ. 86). ლეონ მელიქსეთ-ბეგმა პირველმა მიაქცია ყურადღება საიათნოვას დავთარში არ-

სებულ ორ ქართულ მინაწერს. ამ მინაწერებში ლაპარაკია იმ ტერ-სტეფანაზე, რომელიც მოიხსენიება კახის ქარეასლაში გადაწერილ სომხურ ხელნაწერშიო, — აღნიშნავს იგი. რასაკვირველია, ამ დასკვნამდე მივიდა იმის შემდეგ, როცა კვლევა-ძიების შედეგად გამოორიცხა XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში მოღვაწე სხვა ტერ-სტეფანები, რომლებიც ვერაფრით ვერ იქნებოდნენ საიათნოვას ფსევდონიმის მატარებელი. საიათნოვას დაუთრის ერთ-ერთი მინაწერის მიხედვით, ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოთქვა ვარაუდი — საიათნოვას დედა შავერდაანთ ქალი იყო (გვ. 91).

მონოგრაფიის 145-ე გვერდზე გამოქვეყნებულია „საიათნოვას გენეალოგიის სქემა“ იმ დროის ცნობილი წყაროების მიხედვით, რომელიც დაღენილია ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოიჩინა მეცნიერული სიფრთხილე და ვარაუდის დონეზე გამოთქვა აზრი საიათნოვას ძირითადი პროფესიის შესახებ. მისი აზრით, საიათნოვა იყო დერცია-მკერვალი, და არა ფეიქარი — მღებავი. მღვდლად კურთხევის შემდეგ ტერ-სტეფანეს სახელით იყო ცნობილი. შემდეგ მკვლევარი ასეთ კითხვას სვამს: აქვს თუ არა ამ ყოფილ „მკერვალ“ სტეფანეს რაიმე კავშირი ქართულ ხელნაწერში ცნობილ მელექსე „სტეფანე მკერვალთან“? მას მოაქვს არაერთი მაგალითი, რომ საიათნოვას სახელით ლექსები ქართულ ხელნაწერებში სტეფანე მკერვალს მიეწერება. სანიშნოდ შეიძლება დავასახელოთ ლექსი „გულიდან არ მშურს სული შენთინა“, რომელიც ი. გრიშაშვილის მიერ გამოცემულ „საიათნოვამი“ 106-ე გვერდზეა მოთავსებული და მიწერილი აქვს: „საიათნოვას ნათქვამი მუხამბაზი“. ეს ლექსი სტეფანე მკერვალის ლექსად ითვლება („სტეფანე მკერვალის თქმული“, „მუხამბაზი მისივე“).¹³⁵ შემდეგ მოაქვს არაერთი ლექსი, რომელიც ერთი და იგივე ქართულ ხელნაწერში საიათნოვასაც მიეწერება და სტეფანე მკერვალსაც (გვ. 94-99). სტეფანე მკერვალის სახელით ცნობილ ლექსების ბოლოში „მაჯუნნი“ მოიხსენიება. ეს კი ლეონ მელიქსეთ-ბეგს საიათნოვა-სტეფანე მკერვალის მეორე ფსევდონიმად მიაჩნია:

საყვარელო მაჯუნუნს, რატომ აშლილხარ?

ვინ მოგწამლა, ჭკუიღამა შემლილხარ?
ვაი, შენ ჩემი ოქროს საათო, მოშლილხარ,
გაზაფხულის ვარდო, ფერად გაშლილხარ,
მთიღამ ჩამოვა ბულბულ-შენთვინა.
ხორბლის პირისპირ სავსე მთვარია,
წარბი მშვილდი, წამწამი ისარია,
მაჯუნუნ, სულ ქვეყანა მოვიარია,
ხმელეთის ფარდია ჩემი მიჯნური.

მაჯუნუნს დამწველი ადგა მძინარი,
ნუ ჰგვონიათ უბრალო, იცით ვინ არი?
ძველად ნამსახური, მეფედ წინ არი.¹³⁶

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ამ სტროფს ასე განმარტავს: „მკერვალად ნამყოფი სტეფანე მელექსე, რომელსაც შეეძლო თავის სატრფოზე ეთქვა, უკანასკნელი „ძველად ნამსახური, მეფეს წინ არი“. არა გვგონია, რომ საიათნოვას ან მკერვალად ნამყოფ სტეფანე მღვდლის გარდა კიდევ სხვა ვინმე ყოფილიყო, რომელიც 1753 წლით დათარიღებულ ერთ სომხურ ლექსში თავის სატრფოს მაღალი ფენის წარმომადგენლად თვლის, როდესაც ამბობს — „შენი გვარი გვართა შორის ნაქებია, შენ ხარ კეკლუცი მეფისა“ (გვ. 97). მას კიდევ მოაქვს რამდენიმე საბუთი არუთინა-საიათნოვას და სტეფანე მკერვალ-მაჯუნუნის იდენტიფიკაციის სასარგებლოდ. საიათნოვას ფსევდონიმით არსებულ სიმღერებს და სტეფანე მკერვალის (მაჯუნუნის) ლექსების მხატვრულ-ტექსტოლოგიური შედარების საფუძველზე ლეონ მელიქსეთ-ბეგი დაასკვნის: მათი ლექსები მუხამბაზ-თეჯნისებია, სტეფანე მკერვალის სატრფიალო ლექსები საიათნოვას ამავე ჟანრის ლექსების ანალოგიურია, სტეფანე მკერვალის ენა და სტილი საიათნოვას პოეტურ ხელწერას იმეორებს. სტეფანე მკერვალის ლექსები უფრო მეტად მოგვაგონებს საიათნოვას ლექსებს, ვიდრე მებაღე დავითას და ბესიკის ლექსებსო და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის ჰიპოთეზა საიათნოვას და სტეფანე მკერვალის იდენტურობის შესახებ, მართალია, ზოგიერთმა მკვლევარმა გაიზიარა,

მაგრამ ი. გრიშაშვილი უნდობლად მოეკიდა მას. იგი ამ საკითხთან დაკავშირებით შენიშნავდა: აშულ-მომღერლები დამკვიდრებულნი იყვნენ ხალხში ერთი ფსევდონიმით და არა მგონია, პრაქტიკაში იყო მისი წარამართა შეცვლა. ყოველ შემთხვევაში, მომავალი კვლევა-ძიება ნათელყოფს სიმართლეს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს სარწმუნოდ მიაჩნია გ. ახვერდოვის ცნობა იმის შესახებ, რომ XVIII ს-ის 70-იანი წლების ბოლოს და 80-იან წლებში ბერად შემდგარი საიათნოვა ხშირად ჩამოდიოდა ახპატიდან, გაიძრობდა ბერის ტანსაცმელს და საქეიფოდ მოედებოდა თბილისის ბაღებს. ერთხელ, სპარსეთიდან ჩამოსული აშულიც დაუმარცხებია და ა.შ. საიათნოვას ამ საქციელში ლეონ მელიქსეთ-ბეგი გასაკვირს არაფერს ხედავს, რადგან თბილისის სომეხთა სასულიერო წრეში არ იყო იშვიათი, როცა ბერად აღკვეცილი პირი ბაღებსა და ხატობაზე ქეიფობდა. ამგვარი ფაქტები გვხვდება XVIII ს-ში ტერ-სტეფანა-საიათნოვადან მოყოლებული, ვიდრე XX საუკუნემდეო (გვ. 105).

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა საკმაოდ ვრცლად განიხილა XX ს-ის 20-იან წლებში — ლეოსა, ს. ოპანეზაშვილსა და გ. ასატურს შორის გამართული პოლემიკის მასალები. კამათის საგანი გახლდათ — საიათნოვა იყო თუ არა ელჩად სპარსეთში. პირველი ორი — ლეო და ს. ოპანეზაშვილი საიათნოვას ზოგიერთი ლექსის მიხედვით ფიქრობდა, აშული სპარსეთში, ინდოეთში იყო ნამყოფი. გ. ასატური კი ამ აზრს არ იზიარებდა და უარყოფდა. მას აშულის გაზვიადებულ პოეტურ თქმად, ტრაბახად მიაჩნდა — „მოვიარე ალ-აბაში“ და ა.შ. აქვე აღენიშნავ, ი. გრიშაშვილი და კ. კეკელიძე არ გამორიცხავდნენ, რომ საიათნოვას მოვლილი ჰქონოდა აღმოსავლეთი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის პოზიცია კი ასეთია: საიათნოვა მართალია პოეტური გაზვიადებით, ტრაბახით ამბობს — მოვიარე ალ-აბაში-ინდოეთ-ჩინმაჩინო, მაგრამ ზოგიერთ აღმოსავლურ ქვეყანაში მაინც უნდა იყოს ნამყოფიო. იგი ფიქრობს, საიათნოვა მამასთან, მაქტესა კარაპეტასთან ერთად ერთხელ მაინც მოივლიდა წინანდელ სამშობლოს — ალაბს და სხვ. აგრეთვე, მოულოდნელს არაფერს ხედავს იმაში, რომ შესაძლოა საიათნოვამ მოილოცა ქ. მუმის ახლო მდებარე წმ. კარაპეტის მონასტერში,

რომელიც აშულთა მფარველად ითვლებოდა. არც სპარსეთში ყოფნას გა-
მორიცხავს, არა როგორც „ელჩის“, „დესპანის“, არამედ ჩვეულებრივ მო-
ციქულის, შიკრიკის, ნეგოციანტის როლში — „თუ, რასაკვირველია, სიტ-
ყვა „ელჩობას“, „დესპანობას“ ფრთხილად მოეპყრობით.“ (გვ. 124-125).

1981 წელს მატენადარმა (ერევანი) შეიძინა გრიგოლ ნარეკელის პოემა
„გოდებათა მატეანის“ ძველი სომხური ხელნაწერი, რომლის მინაწერი
გვაუწყებს — დაიწერა სპარსეთში, გილანის პროვინციის, ენზელში, სო-
მხურ ეკლესიაში 1761 წელს და მკითხველს შენდობას თხოვს სტეფანე ვა-
რდაპეტი, რომელსაც საიათნოვას უწოდებდნენ (იტყვიან). აგრეთვე მოხ-
სენიებულია მამამისი კარაპეტა მაჰტერა. ამ დროს ახპატის მონასტრის
წინამძღოლად ყოფილა ზაქარია თიფლისელი.¹³⁷

ამრიგად, საიათნოვა სპარსეთში ნამდვილად ყოფილა, მაგრამ რა მი-
ზნით ან რა მისია ჰქონდა დაკისრებული საიათნოვას (ტერ-სტეფანე ვა-
რდაპეტს), ამას ალბათ მომავალი კვლევა-ძიება გაარკვევს. ერთი კი ნა-
თელია, ლეონ მელიქსეთ-ბეგის ფრთხილი ვარაუდი გამართლდა საიათნო-
ვას სპარსეთში ყოფნის თაობაზე.

რაც შეეხება ნადირ-შაჰის ინდოეთის ლაშქრობაში (1738 წ.) საიათნო-
ვას მონაწილეობას, ეს ფრიად სერიოზულ საკითხად მიაჩნდა მეცნიერს
და მის შესახებ ხელმოსაკიდი საბუთის უქონლობის გამო აზრის გამოთქ-
მისაგან თავი შეიკავა (გვ. 127).

ვიდრე გავეცნობით ლეონ მელიქსეთ-ბეგის თვალსაზრისს საიათნოვას
გარდაცვალების თაობაზე, მოკლედ მოგიტხრობთ საკითხის ისტორიის
შესახებ: გ. ახვერდოვმა პირველმა შეკრიბა და გამოაქვეყნა საიათნოვას
შესახებ ძველი თბილისის ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში არსებული ცნო-
ბები. როგორც გ. ახვერდოვი გვაუწყებს, საიათნოვა ბერად შემდგარა
ახპატის მონასტერში: „საიათნოვამ გაიგო თუ არა ალა-მაჰმად-ხანის საქ-
ართველოს საზღვრებთან მოახლოება, მაშინვე შეიღებოდა გაახსენდა (მას
ჰყავდა ორი ვაჟი და ორი ქალი: მელიქსეთდევო, იოანე, სარა და მარიამი)
და თბილისს-ქალაქს მიაშურა. შეიღებოდა მოზდოკს გახიზნა, სადაც ისინი
დარჩნენ საცხოვრებლად. საიათნოვამ გაისტუმრა თუ არა შეიღებოდა, შემო-
იჭრნენ სპარსი ჯარისკაცები. მტერი ახპატის მეტოქის ნარიყალას ციხის

დიდ ეკლესიის ეზოშიც შევიდა. დაიწყო ძარცვა და ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა. მათ საიათნოვამდეც მიაღწიეს, რომელიც ამ ეკლესიაში ლოცვად იღვა. სპარსებმა გარეთ გამოსვლა და ქრისტიანული სარწმუნოების გმობა მოსთხოვეს, მაგრამ ბერმა საიათნოვამ უპასუხა:

ეკლესიიდან არ გამოვალ, არ ვგმობ იესოს.

ამრიგად, ხალხის ნოქარი, სარწმუნოებას შეეწირა, ვითარცა მონაღვთისა — ეს მოხდა 1795 წელს, სექტემბრის თვეს.

თბილისიდან სპარსების წასვლის შემდეგ, საიათნოვას გვამი დასაფლავებს ციხის დიდი ეკლესიის ჩრდილოეთ კარიბჭის წინ. საიათნოვას საფლავს თუმცა ქვა არ ადევს, მაგრამ ასე მოგვითხრობენ მისი დასაფლავების მომსწრენი.¹³⁸ ეს ლეგენდა მხატვრული ლიტერატურის და თეატრალური სპექტაკლის საგანი უფროა, ვიდრე ნამდვილი მეცნიერული კვლევით მიღებული ბიოგრაფია,¹³⁹ — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და განაგრძობს, — გ. ახვერდოვის მიერ ჩაწერილი ხალხური მასალებიდან, ზოგი აშუღის ცხოვრების სინამდვილის გამომხატველია, ზოგიც მიუღებელი — „სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, გასაქარწყლებელი ცნობათაგანია უპირველესად ის, სადაც საიათნოვას სიკვდილის გარემოებებია გადმოცემული: ვითომდა, როდესაც აღა-მაჰმად-ხანის ჯარი შემოესია ტფილისს და დაეცა ახპატის მონასტრის მეტოქეს — ე.წ. „ციხის დიდ ეკლესიას“, მაშინ საიათნოვა შიგ ლოცულობდა. მაგრამ მოწესემ, სპარსთა მახვილ ქვეშ მოქცეულმა, ირჩია მსხვერპლად იქცეს შემდეგი სიტყვების თქმით: „არ გამოვალ ეკლესიიდან, არ გადავუდგები იესოს“ (გვ. 134).¹⁴⁰

რა თქმა უნდა, ამ ლეგენდას აქვს რედაქციები, მაგრამ საიათნოვას მოწამეობრივ სიკვდილით აღსასრულს ყველა უკლებლივ იმეორებს. ეს ვითარება გრძელდებოდა მანამ, ვიდრე ლეონ მელიქსეთ-ბეგმა არ დასვა სამართლიანი კითხვა — „ნუთუ ეს დასაჯერებელია? ანდა, — თუ ეს მართალია, — სამწერლებო ძეგლები ასე ერთხმად მასზე რატომ სდუმან? რატომ თვით საიათნოვას სიკვდილის თანამედროვე ავტორები, რომელთაც მომავლისთვის დაუტოვებიათ ტფილისის 1795 წ. მოოხრების აღწერები, კრინტსაც კი არ ძრავენ დიდი მგოსნის მოკვლის შესახებ?“ (გვ. 134). ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოწველივით შეისწავლა საიათნოვას ირგ-

ვლივ არსებული მემუარული ლიტერატურა და საარქივო მასალები. ამ საკითხს მიუძღვნა თავისი მონოგრაფიის ერთი თავი და რამდენიმე სტატია.¹⁴¹ თავის მოსაზრების დაცვაში მეცნიერმა პრინციპული თანმიმდევრობა გამოიჩინა. უკანასკნელ სტატიამში ძირითადი დებულებების სახით გაიმეორა 30-იან წლებში გამოთქმული აზრი საიათნოვას ახპატის მონასტერში გარდაცვალების შესახებ.¹⁴²

მეცნიერული მოსაზრების უარსაყოფად თუ დასამტკიცებლად ძირითადად წერილობითი და ლოკუმენტური მასალა გამოიყენება. საიათნოვას „ტრაგიკულ აღსასრულსაც“, ვფიქრობთ, ასახვა უნდა ეპოვნა საისტორიო მწერლობაში მაინც. სომეხი მწერალი სერობი თავის ნაშრომში „მოკლე ისტორია ალა-მაჰმად-ხანის მიერ დედაქალაქ ფაიტაკარანის (თბილისი. ბ. ა.) მოხრებისა 1795 წელს II სექტემბერს“ კრინტსაც არა სძრავს საიათნოვას სიკვდილის შესახებ, როცა ქალაქში სპარსთა მიერ დატრიალებულ უბედურებას აღწერს. ეს ისტორია დაიწერა ალა-მაჰმად-ხანის შემოსევიდან ერთი წლის შემდეგ — 1796 წელს. ასე რომ, საჭურისი ხოჯას მიერ თბილისზე მიყენებული ჭრილობანი მოშუშებული ჯერ არ იყო. თბილისში ეგ ზომ პოპულარული საიათნოვა თუ მართლა მოწამებორივი სიკვდილით დაეცა, წარმოუდგენელია სერობს მისი სახელოვანი თანამემამულის ტრაგიკული სიკვდილი გაკვრით მაინც არ მოეხსენებინა. ეს ნაშრომი ზომ უშუალოდ თბილისის აოხრებას ეძღვნება და მწერალი პირდაპირ გოდებს საქართველოს დედაქალაქის თავზე დატეხილი უბედურების გამო. შეუძლებელია გამორჩენოდა საიათნოვას ამგვარი სიკვდილი, როცა თბილისის მოღინის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ გრიგოლ ტერ-შმაკონიანცის წამებას ზედმიწევნითი სიზუსტით აღწერს, — სამართლიანად შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.¹⁴³

1795 წლის თბილისის აოხრების ამსახველ წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ ცნობილი აშუღის შამჩი-მელქოს ლექსად გაწყობილი გოდება — „ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების შესახებ“. ეს წყაროც საიათნოვას ტრაგიკულად დაღუპვის შესახებ ღუმს. მარტო ერთ ადგილას შამჩი-მელქო ამბობს: „ვარდაპეტები დახოცეს. გვაში ეგლო ტერტერასი“. საიათნოვა ტერტერა აღარ იყო 1795 წელს, ასე რომ, აქ ვერ ვიგულის-

ხმებთ მას. თუ ვარდაპეტებს შორის საიათნოვაც იყო, მაშინ სრულიად ბუნებრივია შამჩი-მელქო თუ ერცლად არა, გაკერით მაინც მოიხსენიებდა თავის მასწავლებელს. ერთი სიტყვით, სომხური წყაროები ერთხმად სდუმან საიათნოვას მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ, რასაც ადგილი რომ ჰქონოდა, ერთ-ერთი წყარო მაინც მოიხსენიებდა უსათუოდ. არის კიდევ სომხური წერილობითი წყარო, მაგრამ საეჭვო. ეს არის არტემ არატელის მოგონება. ამგვარი რამ მასში ნახსენები არ არის, მით უმეტეს ავტორი თბილისში მოვიდა ალა-მალმად-ხანის ურდოების წასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ.¹⁴⁴

ლეონ მელიქსეთ-ბეგი წერილობითი წყაროების გამოწვლილვით განხილვის შემდეგ დაასკვნის — „ალა-მალმად-ხანის მიერ 1795 წ. ტფილისის აოხრების არც ერთ აღმწერელს, არც ქართველს და არც სომეხს, საიათნოვზე არაფერი აქვს ნათქვამი, ეს ხომ ცნობილი ამბავია. ქართულ წყაროებს რომ თავი დავანებოთ, მხოლოდ სომხურ ენაზე ამის შესახებ დღემდე სულ ცოტა სამი წყარო მაინც არის ცნობილი“.¹⁴⁵

რაც შეეხება საიათნოვასადმი მიწერილ სიტყვებს — „ჩეხმანამ ქილისადან, დონმანამ ისიდან“ — „არ გამოვალ ეკლესიიდან, არ გადაეუდგები იესოს“, ვითომ სიკვდილის წინ რომ ეთქვას საიათნოვას, ლეონ მელიქსეთ-ბეგს მიაჩნია ფოლკლორში გადასული საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსის სტრიქონის — „საიადნოვა დინირ ინქარ ეთმას — ერმანი დურ“ — „საიათნოვა არ უღალატებს სარწმუნოებას, იგი სომეხია“. ბუნებრივია, ისმის კითხვა, რის საფუძველზე შეიქმნა საიათნოვას მორწმუნეობრივი სიკვდილის თქმულება. ყოველი თქმულების შექმნას ხომ რაღაც შემთხვევა უდევს საფუძველად. ამგვარი რეალური ამბავი მოხდა 1795 წელს ალა-მალმად-ხანის მიერ თბილისის აღების დროს. სპარსმა ჯარისკაცებმა წამებით მოკლეს თბილისის მოღწილის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი გრიგოლ ტერ-შმაგონიანცი. როგორც აღვნიშნეთ, ამ ამბავს მოგვითხრობს სომეხი ჟამთაღმწერელი სერობი. ვინაიდან გრიგოლ ტერ-შმაგონიანცი მოკლეს თბილისის წმინდა ეკლესიაში, ხოლო საიათნოვა თქმულების მიხედვით მოკლეს ციხის დიდი ეკლესიის ეზოში, რომელიც ასევე წმინდა გიორგის სახელობისაა, ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ გრი-

გოლ ტერ-შმაგონიანცის მაგიერად საიათნოვა მიიჩნია სპარსთა მოკლულად,¹⁴⁶ — ფიქრობს ლეონ მელიქსეთ-ბეგი. ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ არ არის გამორიცხული ისიც, რომ საიათნოვას თითქოს მოწამებრივი სიკვდილის თქმულებას საფუძვლად დაედო ერეკლე მეფის სასახლის მგოსნის მაჩაბელას გმირული სიკვდილი კრწანისის ომში. თეიმურაზ ბატონიშვილი გადმოგვცემს, როცა ბრძოლის ბედის სასწორი სპარსთა მხარეს გადაიხარა, მაშინ თბილისის მცხოვრებნი შეკრებილან და მეთაურად აურჩივეით მგოსანი მაჩაბელა — „მსახიობი, წარჩინებულთა მოსაკრავთა და მსახიობთაგან მეფისათა, მუსიკოსი და კომედიანტი“. მაჩაბელა თავის რაზმთან ერთად გმირულად დაიღუპა კრწანისის ომში. მაჩაბელას გმირული სიკვდილი კრწანისის ომში უნდა დასდებოდა საფუძვლად საიათნოვას მოწამებრივ სიკვდილის თქმულებას — „1870-იან წლებში თბილისელებს ჯერ კიდევ ახსოვდათ მაჩაბელას რაზმის გმირობა, მაგრამ დროის მიხედვით, ზეპირ გადმოცემებში სამეფო საზანდრის მაჩაბელას ადგილი სასახლის მეორე მომღერალმა საიათნოვამ დაიჭირა, რაც უკანასკნელის განსაკუთრებული პოპულარობით უნდა აიხსნებოდეს“,¹⁴⁷ — წერს გიორგი ლეონიძე.

აღნიშნულ თქმულებებში კონტამინაციის გზით მაჩაბელას შეცვლა საიათნოვათი შესაძლებლად მიაჩნია ცნობილ ფოლკლორისტს, მ. ჩიქოვანს.¹⁴⁸

საიათნოვას შესახებ არსებულ ქართულ წყაროებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ დაცული ცნობა. ეს არის ის ეპიზოდი, როცა მოკალმასე ბერი იონა ხელაშვილი შეხვედბა ახპატის მონასტერში საიათნოვას. აქვე აღვნიშნავთ, ზოგიერთ მკვლევარს იოანე ბატონიშვილის ეს თხზულება („კალმასობა“) მიაჩნია ფაქტების უწესრიგო გროვად და ამდენად, არასანდო წყაროდ. ეს ასე არ არის. იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ არის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ზუსტ, რეალურ მასალაზე აგებული თხზულება. ამის თაობაზე გიორგი ლეონიძე გადაჭრით წერდა: „კალმასობის ავტორს თავის თხზულების ამ ნაწილში, სადაც ლაპარაკია საიათნოვაზე, აღებული აქვს მტკიცედ განსაზღვრული ხანა. ეს დროა გიორგი XIII-ის მეფობის წლები (1798-

1801). პერსონაჟები ნაწარმოებისა ამ დროისთვის ყველა ცნობილია და აქ არაერთარ ანაქრონიზმს ადგილი არ აქვს¹⁴⁹ ამდენად, იოანე ბატონიშვილის მიერ „კალმასობაში“ აღწერილი შეხვედრა იონა ხელაშვილის საიათნოვასთან ახპატის მონასტერში რეალურია და მომხდარა 1798-1801 წლებში.¹⁵⁰ ე.ი. ამ წლებში საიათნოვა ცოცხალი ჩანს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს დამაფიქრებლად და მისაღებად მიაჩნდა პლ. იოსელიანის ცნობა საიათნოვას გარდაცვალების შესახებ. ქართველი ისტორიკოსი თავის ნაშრომში — „ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისი“ აღნიშნავს — საიათნოვა გარდაიცვალა 1801 წელსო (გვ. 320).

საიათნოვა ერთ ლექსში თავისთავს გურგენ-ხანის ყმად აცხადებს. ამულის ეს განცხადება ლეონ მელიქსეთ-ბეგს რეალური ფაქტის ამსახველად მიაჩნია. საიათნოვა ხანს უწოდებს მეფეს, ამიტომ, საიათნოვა გიორგი მეფეს გულისხმობს, როცა ამბობს: „საიათნოვას გურგენ-ხანის ყმას ამბობენ, მართალია.“ შესაძლებლად მიგვაჩნია სინამდვილეს შეიცავდეს ლეონ მელიქსეთ-ბეგის აღნიშნული კომენტარი და ლექსი „სოფელსა და სოფელს შუა“ საიათნოვას შეეთხზა გიორგი XIII მეფობის პერიოდში (1798-1801 წ.წ.) და არა მის ბატონიშვილობაში. თუ არა და, აბა როგორ გაეიგოთ საიათნოვას შვილის ივ. სეიდოვის მიერ ამ სტრიქონის ასეთი ჩანაწერი: „საიათნოვას გიორგი მეფის ყმას ამბობენ, მართალია.“ ივ. სეიდოვი მამის ლექსების ჩაწერისას სცოდავს, მაგრამ ამ შემთხვევაში არ გვგონია შეცდომა მოსელოდეს. ვინაიდან შვილს ყველაზე უკეთ მოეხსენება მამის სოციალური მდგომარეობა, ვიდრე სხვას. ალბათ, უნდა დავეთანხმოთ ლეონ მელიქსეთ-ბეგის დასკვნას — „ვის შეეძლო უფრო კარგად სცოდნოდა, რომ საიათნოვა გიორგი მეფის ყმა იყო, ვიდრე მის შვილს“.¹⁵¹

ი. გრიშაშვილი პირველ ვარიანტს სთვლიდა მისაღებად — „საიათნოვას გურგენ-ხანის ყმას ამბობენ, მართალია“. ამის შესახებ ვგებულობთ ი. გრიშაშვილის მიერ ლეონ მელიქსეთ-ბეგისადმი გაგზავნილ წერილიდან:

მპაო ლეონ!

შენი თხოვნა დაეკმაყოფილე. ასატურა¹⁵² მართალი უოფილა. სააზიო მუზეუმის ხელნაწერში საიათნოვას ლექსის ადგილი ასე იკითხება: „საიათნოვას გიორგი მეფის უმას ამბობენ, მართა-

ლია.“ წემი საიათნოვათი „გურგენ ხანის უმაა“. წემი უფრო მისალეზია. ლექსის მარცვლები არ ირლეეა. გიორგი მეფეს სა-
იათნოვას შელი წასწერდა, რათა გიორგი მეფის შელიები ესი-
ამოენებინა, რომელნიც მაშინ პეტერბურგში იეენენ.

P.S. გარდა ამისა, შემოძლიან ცნობად გითხრა, რომ ოვანეს
თუმანიანის წერილი ანდრანიკისადმი ქართულად ნათარგმნი
დაიბჟდა 1918 წლის „თეატრი და ცხოვრებაში“, №2.

ი. გრიშაშელი, 1932.გ.XII (ლეონ მელიქსეთ-ბეგის არქივი).

საიათნოვას სიკედილი ბუნებრივი გზით უნდა მომხდარიყო და არა
ძალდატანებით, არა უადრეს 1798 წლისა, შეიძლება 1800, უფრო კი 1801
წელს, როგორც პლ. იოსელიანი მიუთითებს. ამ შემთხვევაში საიათნოვას
დაბადების თარიღად ალბათ უნდა მივიჩნიოთ 1712 წელი. ასე რომ, აშული
90 წლის ასაკში გარდაცვლილა.¹⁵³

ლეონ მელიქსეთ-ბეგი შეუნელებელი ინტერესით ყოველმხრივ იკე-
ლევდა საიათნოვას გარდაცვალების საკითხს. მას აინტერესებდა საიათნო-
ვას ბედი 1795 წლის შემდგომ პერიოდში. ამ საკითხს კვლავ მიუბრუნდა.
ამასთან დაკავშირებით, იგი წერდა — აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს
(1795 წ.) ახპატის მონასტერიც მართალია დზარალდა, მაგრამ საიათნოვას
მაინც შეეძლო სხვა ბერებთან ერთად დაბრუნებულყო იქ და გაეგრძე-
ლებინა ბუნებრივი აღსასრულის სამზადისში თავისი მოღვაწეობა. ამის
საფუძველს იძლევა სომეხი ისტორიკოსის აღ. ერიციანის მიერ მოწოდე-
ბული შემდეგი ცნობა: “Беспрестанные нашествия лезгин сове-
ршенно разорили селение Ахпат, которое, будучи несколько лет
необитаемо, вновь заселено в 1766 году. В 1769 году посетил
Ахпат царь Ираклий II, и отсюда же выступил он в поход про-
тив Гуссейн-Али-хана Эриванского. Со времен нашествия Ага-
Магомед-хана в Грузию (1795) на некоторое время здесь пере-
стало жить монашество, пока, наконец, ста-
раниями прибывшего тогда в Грузию архиепископа Иосифа в
1796 г., вновь водворилось духовенство, которое и принялось за

обновление ахпатских полуразвалин”¹⁵⁴ ამ ცნობის თანახმად, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ 1796 წლიდან საიათნოვას შეეძლო აღდგენილ ახპატის მონასტერში გაეგრძელებინა ბერული ცხოვრება.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა პრინციპული მეცნიერული პოზიცია სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა, მიუხედავად მძაფრი კრიტიკისა, რაც მოჰყვა მის მიერ საიათნოვას ბიოგრაფიის ზოგიერთი ეპიზოდის კვლევის შედეგს. ამ ეპიზოდთაგან აღსანიშნავია საიათნოვას გარდაცვალების თარიღის დადგენა, რამაც საფუძველი გამოაცალა საიათნოვას მოწამეობრივი სიკვდილით აღსრულების პოეტურ ლეგენდას. ამას კი ვერ შეურიგდა და დღესაც ვერ შერიგებია ზოგიერთი სომეხი მკვლევარი. ამ ურწმუნოთა გასაგონად და გონზე მოსაყვანად ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოაქვეყნა ვრცელი სტატია — „ახალი მასალები საიათნოვას მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ“ (გზ. „პროლეტარ“, 1935, №189).¹⁵⁵ მან ამ სტატიაში დებულებების სახით ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრება საიათნოვას გარდაცვალების და არა მისი ტრაგიკული სიკვდილის შესახებ. ამ დებულებებიდან ყველას არ შეეხებოდა, რადგან ისინი უკვე განხილული გვაქვს და აღარ გავიმეორებთ. ერთი კი გვსურს კვლავ აღვნიშნოთ: ლეონ მელიქსეთ-ბეგმა კიდევ გამოუცხადა ნდობა პლ. იოსელიანის ცნობას საიათნოვას 1801 წელს გარდაცვალების შესახებ. მას მიაჩნდა და მართებულადაც მიაჩნდა, რომ პლ. იოსელიანს ეს ცნობა გაგებული ჰქონდა მისი მამისაგან — ეგნატე იოსელიანისაგან, რომელიც იყო თბილისის სიონის ტაძრის მღვდელი და გარდაიცვალა 1801 წელს. ეგ. იოსელიანი ასაკით უფროსი იყო გ. ახვერდოვზე და უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონდა 1795 წლის თბილისის ტრაგედიის დროს დაღუპულთა და ცოცხლად გადარჩენილთა ვინაობის შესახებ. ამდენად, პლ. იოსელიანს სანდო წყარო ჰქონდა საიათნოვას გარდაცვალების შესახებ. პლ. იოსელიანის ცნობა საიათნოვას 1801 წელს გარდაცვალების შესახებ ლეონ მელიქსეთ-ბეგის გარდა გაიზიარეს კ. კეკელიძემ, ალ. ბარამიძემ, ლ. მენაბდემა, ალ. ფოცხიშვილმა და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ახპატ-სანაინის მონასტრების საარქივო მასალა და ეპიგრაფიკა თავის სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობის დროს შეისწავლა გასული საუკუნის 20-იან წლებში. 30-იან წლებში კვლავ მო-

ინახულა ახპატის მონასტერი და სპეციალურად დაამუშავა მისი არქივი, რათა 1795 წლის შემდეგ საიათნოვას ამ მონასტერში ყოფნის კვალი აღმოეჩინა. კვლევა-ძიების შედეგად იგი მივიდა ასეთ დასკვნამდე: ამრიგად, ნათელია, საიათნოვა არ შეიძლება მოეკლათ 1795 წელს, რადგან მისი სახელი მოიხსენიება ახპატის მონასტრის 1796, 1797, 1798, 1799 და 1800 წლების საარქივო მასალებში. ამიტომ, აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი, რეალურ და გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს საიათნოვას სიტყვები, რომელნიც გ. ახვერდოვს ჩაუწერია თბილისელი, სომეხი ეროვნების მოხუცებისგან:

ახპატის მნათე საიათნოვა ვარ,

ერთი სანთელის ასანთი ზეთი არა მაქვს.

ამ სიტყვების თქმა საიათნოვას შეეძლო 1795 წლის ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ, როცა ახპატის მონასტერი ეკონომიკურად დუხჭირ მდგომარეობაში იყო, — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და განაგრძობს, — აღნიშნულიდან გამომდინარე გ. ასატურის სიტყვებს თუ გავიმეორებთ, საიათნოვას „მოწამებობრივ“ სიკვდილის თქმულება დაიბადა ღვინით შეხურებულ ადამიანთა ფანტაზიით, რომელსაც, იგივე გ. ასატურისვე თქმით, ხშირად ყვებოდნენ თბილისელი ლოთები, აშულები და სხვანი (გაზ. „პროლეტარ“, 1935, №189).

ლეონ მელიქსეთ-ბეგს კიდევ მოაქვს რამდენიმე არგუმენტი თავის მოსაზრების სასარგებლოდ, მაგრამ მათი მოტანა ზედმეტად მივიჩნიეთ, რადგან ამის შემდეგ საბოლოოდ გარკვეულად უნდა ჩაითვალოს საიათნოვას გარდაცვალების თარიღი — 1801 წელი.

ამდენად, ლეონ-მელიქსეთ-ბეგის მიერ ახპატში მოპოვებული ფაქტობრივი მასალის საფუძველზე შეიძლება სარწმუნოდ მივიჩნიოთ ისიც, რომ საიათნოვამ ამ წლებში შექმნა „სოფელსა და სოფელს შუა“, რომლის დაწერას ზოგიერთი მკვლევარი 1795 წლამდე ვარაუდობს.

1935 წელს გამოვიდა ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ სომხურიდან ქართულად ნათარგმნი საიათნოვას ლექსების კრებული. კრებულს დართული აქვს გამოკვლევა — „საიათნოვას შემოქმედების ლიტერატურულ-ხალხური წყაროები“, აგრეთვე ლექსიკონი, რომელშიც განმარტებულია ძნე-

ლად გასაგები სიტყვები. იგი ამ საკითხს გაკერით შეეხო 1930 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში („საიათნოვას ვინაობა“ — საიათნოვას საზოგადოებრივი ფიზიონომია, გვ. 128-133). აქ მან მოგვაწოდა საინტერესო დაკვირვება საიათნოვას პოეტური სამყაროს ერთი თავისებურების შესახებ. იგი წერდა: „თუ საიათნოვას ყველა სიმღერას ჩვენ დავაღაგებთ ქრონოლოგიური რიგით და მხოლოდ ასე დალაგებულს ჩაუკვირდებით, დაინახავთ, რომ ადრე პერიოდში მგოსანი მხოლოდ სატრფიალო ლექსებს თხზავდა, ხოლო შემდეგ დიდაქტიკურ-მორალისტურს, სადაც უკვე დროგამოშვებით მისტიკურ-კლერიკალური პანგებიც კი იჩენენ თავს, ის პანგები, რომლებშიც მგოსანი გვიხატავს თავის სურვილს ემსახუროს ღმერთს, სულს, ანგელოზს, საერთოდ, „ზეციურ ობიექტებს“ და მონასტრებს“ (გვ. 130-131). სატრფიალო ლექსები კი მისი დაწერის თარიღების მიხედვით უმთავრესად შეთხზულია გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ლეონ მელიქსეთ-ბეგი ამ ფაქტს ხსნის იმით, რომ ამ თვეებში თბილისის ბაღებში იმართებოდა ქეიფები, იყო ამა თუ იმ „ხატის“ დღეობა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა საიათნოვაც. ამიტომ საიათნოვა თავის ლექსებში, უმთავრესად სომხურში ქრისტიანული მორალის მქადაგებლად გამოდის. ხალხს კი მორჩილებას და მოთმინებას უნერგავსო, — წერს იგი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა აღნიშნულ ნაშრომში გამოარკვია საიათნოვას პოეზიის ლიტერატურული წყაროები: „რასაკვირველია, როდესაც მგოსანი იხსენებს სასულიერო წიგნებს, როგორც არიან: პარანც ვარქ „მამათა ცხოვრება“, ასმაკურ-სვინქსარი, ავიტარან — ავეტარან „სახარება“, ასეთები მას ნომინალურად მაინც ეცოდინებოდა, ვინაიდან გაგონილი ექნებოდა შესაფერ წრეებში, რომლებთანაც იგი თავიდან იღვა ახლოს და რომლებსაც შემდეგში თვითონაც შეუერთდა. ამავე გზით შეეძლო საიათნოვას შეეთვისებინა გამოთქმა — დამტი წალიკ, ჰოვტაც შუშან — „ყვავილი ველისა“, „შრომანი ღელეთა“, რომელშიც ემჩნევა „ქებათა-ქების“ ზეგავლენა. მაგრამ ამგვარი ხასიათის ნაწარმოებებს იგი ასე ადვილად ვერ გაეცნობოდა, თუ რომ ან პირადად არ წაიკითხავდა ქართულ ხელნაწერებში, ან სხვისაგან არ მოისმენდა ნაამბობს, ხოლო „ქებათა-ქება“ მას, როგორც მგოსანს, ზეპირადაც შეეძლო შეესწავლა“,¹⁵⁶ — აღნიშნავდა ლე-

ონ მელიქსეთ-ბეგი და ვფიქრობთ, მართებულადაც.

საიათნოვას ქართულ და სომხურ ლექსებს რომ ლეილ-მაჯუნეიანის, როსტომიანის, ვარდ-ბულბულიანის და სპილენძ-ქალაქის გავლენა ეტყობა, მას ასე ხსნის: „...სწორედ ეს და არა დანარჩენი ნაწარმოებნი სომხურ ვერსიებადაც იყვნენ ძველად ცნობილნი, რომელთა შესახებ საიათნოვას შეეძლო გაეგო, ქართულ საზოგადოებას რომ თავი დაეანებოთ, ტფილისის სომეხთა ლიტერატურულ წრეებშიც“.¹⁵⁷

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა სამართლიანად არ გაიზიარა სიმ. აკოფიანის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზემოჩამოთვლილი ლიტერატურული წყაროები საიათნოვას თითქოს გაგონილი ჰქონდეს (და არა წაკითხული) ხალხში, ეკლესიაში. მისი აზრით, „საიათნოვა გარკვეულ დროიდან წერაკითხვის მცოდნე ყოფილა, ჯერ ქართულის და შემდეგ სომხურისაც. ეს ჩანს იქიდან, რომ ერევნის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია მისი „დავთარი“, რომელიც მის სომხურ და აზერბაიჯანულ ლექსებს შეიცავს, სწორედ მისივე ხელითაა დაწერილი: სომხური ლექსები — ქართული ასოებით, ხოლო აზერბაიჯანული — სომხური ასოებით“.¹⁵⁸ ამას ემატება საიათნოვას ხელით, კახში 1766 წელს გადაწერილი კრებული და მასზე გაკეთებული მინაწერები. ამ მინაწერებით საიათნოვას ბიოგრაფიის ზოგიერთი ეპიზოდი გაირკვა. როგორც ვიცით, ლეონ მელიქსეთ-ბეგმა შეისწავლა ამ კრებულის შინაარსი და გამოიკვლია მისი წყაროები. მან დაადგინა, რომ ამ კრებულს „ეფრემ-ვერდის“ გავლენა ეტყობა. მას „ეფრემ-ვერდიდან“ შეუტანია ორი თავი — „თვეთა ამინდისათვის“ და „ათორმეტთა მამასახლისისათვის“ (ე.ი. ზოდიაქოსათვის).¹⁵⁹

„ეფრემ-ვერდის“ გარდა საიათნოვა იცნობდა სასულიერო მწერლობას — კერძოდ „დაბადებას“. ზოგიერთი ადგილი „დაბადებიდან“ პირდაპირ ჰქონია გადმოწერილი 1766 წლის კრებულში.¹⁶⁰ ლეონ მელიქსეთ-ბეგის აზრით, საიათნოვას შეეძლო გამოეყენებინა ახატსა და სანაინში დაცული ხელნაწერი „დაბადება“ ანდა 1666 წელს ამსტერდამში დაბეჭდილი „დაბადება“, რომელიც საქართველოშიც ყოფილა, რადგან, როგორც ილ. აბულაძემ გაარკვია, სულხან-საბა ორბელიანს გამოუყენებია იგი თავის ლექსიკონზე მუშაობის დროს. საიათნოვას გარდა ბიბლიისა უსარგებლია და

თავის ლექსებში გამოუყენებია „მამათა ცხოვრება“ (ვარკჷ ჰარანც) და „სკინაქსარი“ (ჰაისმავეურკ). ამ დროს ეს წიგნები გამოქვეყნებული ყოფილა. „მამათა ცხოვრება“ დაიბეჭდა პირველად ჯულფაში (1641 წ.), მეორედ კონსტანტინეპოლში (1721 წ.). „სკინაქსარი“ კი კონსტანტინეპოლში პირველად დაიბეჭდა 1700 წელს, მეორედ — 1730 წელს.¹⁶¹

ლეონ მელიქსეთ-ბეგს საიათნოვას ლექსებიდან მოაქვს სტროფები, რომლებშიც მოხსენიებული არიან საერო ნაწარმოებების („როსტომიანის“, „ლეილ-მეჯნუნიანის“ და „ფაჰრად შირინიანის“) გმირები:

*ტურფა ტანი ლერწამს გიგავს — მორთულხარ ქირმან შალშია,
კბილები მარგალიტში გაქვს, ინდის პილპილი ხალშია,
ფალეევანთა მომრევი ხარ, ნაქები როსტომ-შალშია,
თუ ჩვენსა არ მობრძნდი, წავიდეთ სამართალშია.
აბლა მოდი, მოგახსენო, ქვეყანაზედ რა ვიარე:
ლეილუმ ტოლი დაეკარგე, მეჯნუნივით დავიარე.
მოდი დამიჯერე, ბაღდადის წერო,
ინდოეთის თუთისაებრ იმღერო!..
რა იქნება ერთსაც მეც დამიჯერო,
ფერჰადის ბებერო, შირინის მტერო,
შე ავო მიჯნურო, შე ბრაზიანო!?*

ლეონ მელიქსეთ-ბეგი გამოთქვამს ვარაუდს, ფაჰრად-შირინიანის გარდა საიათნოვა იცნობდა აგრეთვე ხოსრო-შირინიანისა და იოსებ-ზილი-ხანიანის სიუჟეტებსაც, რადგან სწორედ ეს სიუჟეტები, გარდა ქართულისა, სომხურ ფოლკლორშიც იყო კარგად ცნობილი. აღნიშნული ეპიკური თხზულებანი საიათნოვას შეეძლო წაეკითხა წერილობით ძეგლებში, — შენიშნავს იგი და იქვე დაამატებს, — მაგრამ ამის თქმა შეუძლებელია იმ სიუჟეტების შესახებ, რომლებიც აღებული აქვს ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანულ ფოლკლორიდან. მაგალითად, სომხურ ლექსებში მოიხსენიებს: სკანდარ-ზულდარიანს, ყარიბ-შაჰსანამიანს, ფაჰლულ-დევიანს, სპილენძის ქალაქის ისტორიას¹⁶², ექიმ ლოხმანის ამბავს, სოლომონ ბრძენის ამბავს, შვიდი ბრძენის ისტორიას, წითელი ძროხის ზღაპარს, საფრანგეთის ატლასის ამბავს, რამის ამბავს, ვარდ-ბულბულიანს¹⁶³ და სხვ.

საიათნოვამ სომხური ლექსი მიუძღვნა თბილისის მოღნიის სურბ-გევორგის ეკლესიას. უფრო სწორად, ამ ეკლესიის განახლებას, რომელიც მომხდარა 1751 წელს. განახლების ფაქტს გვაუწყებს მოღნიის სურბ-გევორგის ეკლესიის სომხური წარწერა. ეკლესიის განახლების ხარჯები გაუღია ტფილისელ მოქალაქეებს — მუნიატოვს, ბასტამიანს და ბაშინჯაღიანს. ამ ეკლესიისადმი მიძღვნილ საიათნოვას ლექსს ლეონ მელიქსეთ-ბეგი ათარიღებს 1751 წლით ან უკიდურეს შემთხვევაში 1752 წელს არ გადაშორდებაო.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავს, რომ მოღნიის წმ. გევორგის ეკლესია სომეხთა ერთ-ერთი ცნობილი „ხატი“ იყო, რომელიც ქართულ საისტორიო საბუთებში თელეთთან ერთად მოიხსენიება. ასე მაგალითად, 1724 წლის ერთ სიგელში წმ. გიორგის ხატებს შორის მოხსენიებულია: წმ. გიორგი გორიჯერისა, წმ. გიორგი ატოცისა, წმ. გიორგი თელეთისა, წმ. გიორგი მოღნიისა.¹⁶⁴ შემდეგ ლეონ მელიქსეთ-ბეგს დამოწმებული აქვს სხვა ხელნაწერი, რომელიც არის შელოცვა. მასში შემლოცველი მფარველობას სთხოვს რჩეულ წმინდანებს. ჩამოთვლილია წმ. გიორგის ეკლესიები. მათ შორის თელეთის წმ. გიორგის გვერდით მოიხსენიება „წმ. გიორგი გოდოღნიისა“.¹⁶⁵

ლეონ მელიქსეთ-ბეგს გოდოღნიი მიაჩნია მოღნიის დამახინჯებულ ფორმად.¹⁶⁶ ამ სახელის ასეთ განმარტებას არ დაეთანხმა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე ცინცაძე. მას პირადი წერილი გაუგზავნია ცნობილ მეცნიერისთვის და თავისი შეხედულება გაუცვინია ამ სახელწოდების შესახებ:

ღრმად პატიუცემულო ზ. ლეონ!

დიდ მადლობას გწირავთ წიგნების გამოგზავნისათვის! ეეცდები სამაგიერო გადაგიხადოთ შინ, რომ წიგნებს გადავიკითხაე, გულდასმით, — ესეც ხომ ერთგვარი პატიუცემუაა!

ამასთან ერთად ესარგებლობ შემთხვევით, გაგიზიაროთ ქვემოაღნიშნული:

ა. ხახანაშვილის “Очерки по истории грузинской словесности” (გე.

129) მოთაესებუღია წმ. გიორგის ხატ-ტაძრების ნუსხა. სხვათა შორის, იქ არის მოხსენიებული годогинский წმ. გიორგი. ამის შესახებ თქვენ სწერთ (ლიტერატურული მეშკეიდრეობა, 1935, I, გვ. 243) — „ნუსხაში თელეთის წმ. გიორგისთან ერთად მოხსენიებულია წმ. გიორგი გოდოღნინისა (ხაზი თქვენია), რომელიც, „ცხადია, „მოღნინის“ გაღამახინჯებული ფორმა უნღა იუოსო“.

ამას თქვენ უკვე მეორედ ბრძანებთ (საქართველოს მუზეუმის მოამბე, 1922, I, გვ. 93-94). მაგრამ... гнинский ღნინისად გაღმოქართულება საწკოდ მიმაჩნია; მეორე: გ მაგიერად რომ ქვიგულისხმობთ, მოღნინისად წაკითხვას ხელს უშღის დ; შესამე: ნუსხაში თელეთი და გოდოგნისკი ერთად კი არ არის მოხსენიებული, არამედ დაშორებულნი არიან ერთმანეთისაგან — 31 „წმ. გიორგიო“; მეოთხე: გოდოგინისკისთან ერთად მოხსენებულია ქუთაისი, ფარცხანაუანევი, საქარა, Шаминский (სამთისი? — რაჭაშია), ბელაგორი, იღეში, ტაბაკინი, ე.ი. დასაკულეთ საქართველოს „წმ. გიორგები“; მეხუთე: ქუთაისის აღმოსაკულეთსამხრეთით აკრავს სოფელი გოდოგანი (მეორე გოდოგანი სამეგრელოში უოფილა, იხ. სერგი მაკალათიას წერილი, კომუნისტი, 1935, №279). ვფიქრობ: годогинский უნღა იუოს დამახინჯებული თარგმანი გოდოგანისა, — годоганский-ს მაგიერად.

უოველსაკე შემთხვევაში საჭიროა: სომხური ტექსტის გაღასინჯვა და კაღნიერებისათვის არა შერისხვა.

მარად თქვენი ჰატივისმცემელი

კ. ჰ. კალისტრატე.

1936.04.6.¹⁶⁷

ვფიქრობთ, უწმინღესის და უნეტარესის კალისტრატე ცინცაძის მიერ „გოდოღნინის“ შესახებ გაკეთებული კომენტარი საფუძველს არ უნღა იუოს მოკლებული, მაგრამ ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გაითვალისწინა თუ არა

იგი, ვერ დაუდგინეთ. ყოველ შემთხვევაში, მის მიერ 1936 წლის შემდგომ გამოქვეყნებულ შრომებში არ ჩანს.

„გოლოზნიის“ საკითხს გაკვირით შეეხო ნ. პაპუაშვილი — „კალისტრატე ცინცაძის ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა“.¹⁶⁸

შამჩი-მელქო

შამჩი-მელქო საიათნოვას ნიჭიერი მოწაფე იყო. „მართლაც და საუცხოოდ გაწაფული „საიათნოვისებურ სიმღერის ამოღებაში“. — მაგრამ რა! — ბოლომდე სულ მოწაფედ დარჩა“, — ასე დაახასიათა შამჩი-მელქო აშუღური პოეზიის საუკეთესო მკვლევარმა იოსებ გრიშაშვილმა. შამჩი-მელქო მესანთლე მელქოს ნიშნავს, მაგრამ იყო სხვა მოსაზრებაც — შამჩი ნიშნავს შამელს, დამასკელს, რაც მკვლევართა მიერ არ იქნა გაზიარებული. ლეონ მელიქსეთ-ბეგი თვლის, შამჩი გაკეთებულია როგორც თულუხჩი, ქისაჩი და ა.შ. ლექსებს წერდა ქართულ, სომხურ და ჰერბაიჯანულ ენაზე. ერეკლე მეფის შვილის ფარნაოზის დროს ცხოვრობდა საიათნოვას მსგავსად — „საიათნოვას გურგენ-ხანის ყმას ამბობენ, მართალია.“ შამჩი-მელქოც ამბობს:

მუხამბაზო, რა ტკბილი ხმა ხარო,

შამჩი-მელქო, ფარნაეაზის ყმა ხარო.

შამჩი-მელქოს ეს ორი სტრიქონი გრ. ორბელიანის ლექსს — „გინდ მეძინოს მაინც სულში მიზიხარ“ ეპიგრაფად აქვს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ჯერ წერილები მიუძღვნა შამჩი-მელქოს პოეზიას (გაზ. „პროლეტარი“, 1938, №179; სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, 1944, №5). შემდეგ პირველმა 1958 წელს გამოსცა შამჩი-მელქოს სომხური ლექსების კრებული და წინ საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა წაუშმდევანა — „შამჩი-მელქოს ცხოვრება და მოღვაწეობა“. ამავე დროს კრებულს დაურთო სახელთა და ტოპონიმთა ლექსიკონი, აშუღის ლექსთა გამოცემების ბიბლიოგრაფია და სხვ. აქვე აღვნიშნავთ, რომ შამჩი-მელქოს შესახებ სტატიები აქვთ გამოქვეყნებული გ. ასატურს, გ. ლევონიანს, გ. შერამზანიანს, მ. ჭანაშვიანს, გ. ტერ-ალექსანდრიანს, გ. თავერდიანს, ას. მნაცაკანიანს და სხვებს. მაგრამ შამჩი-მელქოს ბიოგრაფია

სრულად არც ერთს არ აქვს წარმოდგენილი. ლეონ მელიქსეთ-ბეგის დამსახურება ის არის, რომ მან აღნიშნულ კრებულში მოგვცა შამჩი-მელქოს მთლიანი ბიოგრაფია, რითაც შეაქვს ნაწილობრივ მაინც ეს სიცარიელე. აქ იგი შეეხო შამჩი-მელქოს გეარს — გულქანოვს. „ეს გეარი — გულქანოვ — გვხვდება ძველ ქართულ ხელნაწერში დაცულ ექვსი ლექსის ავტორად — „მელქუა გულქანოვისაგან თქმული“, „მელქუა გულქანოვმა თქვა“ და ა.შ. „გულქან“ (და არა გიულქან) ფორმა გავრცელებულია საქართველოში და არა შამ-დამასკოში (სირია)“,¹⁶⁹ — წერს იგი.

როგორც ლეონ მელიქსეთ-ბეგმა დაადგინა, ეს სახელი — „გულქან“ ცნობილი ყოფილა. XV საუკუნეში ქსნის ერისთავის ქვენიფნეველი მეფის დას რქმევია, XVIII ს-ში ოტია დადიანის მეუღლეს და სხვ. ამ სახელს ატარებს გიორგი წერეთლის რომანის — „გულქანის“ მთავარი გმირი.¹⁷⁰ საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივის ძველი ქართული ხელნაწერების ფონდში (№1450), პირველ და მეშვიდე დაეთრებში (№62, №40) ლეონ მელიქსეთ-ბეგმა მიაკვლია ხელნაწერს, რომელშიც მოხსენიებულია „გულქანიშვილი მელქუა“, რომელიც შამჩი-მელქოს პაპა უნდა იყოსო,¹⁷¹ — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

მელქუა გულქანიშვილს XVIII საუკუნეში უცხოვრია. ეტყობა პაპის საპატივსაცემოდ აშულს და მის ძმას — ორივეს პაპის სახელი დაარქვეს. შამჩი-მელქო წარმოშობით ყოფილა მარნეულის რაიონის სოფელ სანდარადან. თვითონ შამჩი-მელქო თბილისელი იყო, რაც არაერთხელ აქვს ნათქვამი თავის ლექსებში. შამჩი-მელქოს მიერ სომეხთა კათალიკოს იოსებ არღუთიანისადმი 1801 წ. 5 მარტის თარიღით გაგზავნილ წერილიდან ჩანს, რომ შამჩი-მელქოს მშობლები 1795 წლის თბილისის ტრაგედიის დროს ცოცხლები ყოფილან. მამას რქმევია ბეჟანი, დედის სახელი უცნობია. მათ ჰყოლიათ ხუთი შვილი: სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი. ალა-მამამად-ხანის შემოსევის დროს მათი ოჯახი დჭარალეებულა, ოჯახის ზოგიერთი წევრი ტყვედ წაუყვანიათ სპარსებს. შამჩი-მელქოს დაბადების თარიღის შესახებ მკვლევართა შორის არსებობს ზნრთა სხვადასხვაობა: გ. თავერდიანი, გ. ასატური, ს. ავაჩიანი ფიქრობენ შამჩი-მელქო დაბადებული უნდა იყოს XVIII ს-ის 70-იან წლებში. ლეონ მელიქსეთ-ბეგის ვარაუდით, შამჩი-მე-

ლქო 1750-იან წლებში დაიბადა, ხოლო უნდა გარდაცვალებულიყო 1821 წლის შემდგომ ხანებში.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავს — შამჩი-მელქო ქართულ ლექსებში ხან ერთ ქართველ ბატონიშვილის „მსახურად“, „მონად“ აცხადებს თავს, ხან მეორის „ყმად“. თუ ერთგან ამბობს „შამჩი-მელქო, ფარნავაზის ყმა ხარო“, მეორე ადგილას, რომელიც მიწერილია „ვეფხისტყაოსნის“ ყარაბაღის ვარიანტზე, ამბობს — „მე მონა ვარ, ვახტანგ ბატონიშვილის, რომელსაც მაჯამებით ვაქებო.“ ლეონ მელიქსეთ-ბეგს აქედან გამოაქვს დასკვნა — ვფიქრობ, შეცდომა არ იქნება, თუ აქ „მონას“, „ყმას“ პირდაპირ კი არა, გადატანითი მნიშვნელობით გავიგებთო.¹⁷² ლეონ მელიქსეთ-ბეგს მიაჩნია და შეიძლება სწორადაც — შამჩი-მელქო იყო მესანთლე (წმინდა სანთლების ჩამომქმნელი) და თავისი პროფესიით დაკავშირებული გახლდათ არა მარტო დაბალ ვაჭარ-ხელოსანთა წრესთან, არამედ ქართველი ბატონიშვილების სასახლის კართანაც. ამ შემთხვევაში უკვე გასაგები ხდება მის ლექსებში ფარნაოზ, ვახტანგ ბატონიშვილების მოხსენიება.¹⁷³

შამჩი-მელქოს რვა ქართული ლექსი გამოქვეყნებულია მ. ჩიქოვანის და ტრ. რუხაძის მიერ. ლეონ მელიქსეთ-ბეგს აქვს გამოქვეყნებული შამჩი-მელქოს ლექსები შემდეგ გამოცემებში: კრებული „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, თბილისი, 1935, გვ. 668; „თბილისის უნივერსიტეტის შრომები“, 1936, ტ. V, გვ. 202; გაზ. „პროლეტარ“, 1937, №296; გაზ. „პროლეტარ“, 1938, №179, სომხ. ენაზე. შამჩი-მელქოს სომხური ლექსები ჯერ-ჯერობით თხუთმეტია. ეს ლექსები გავრცელებულია ვარიანტების სახით. ლეონ მელიქსეთ-ბეგიც ისევე, როგორც ი. გრიშაშვილი, შამჩი-მელქოს თვლის საიათნოვას მოწაფედ.¹⁷⁴ შემდეგ მკვლევარი განიხილავს შამჩი-მელქოს ლექსებს და მათში მოხსენიებულ ტოპონიმებს განმარტავს. მაგ. შამჩი-მელქოს აქვს ლექსი „თელეთობა“. აქ გვხვდება ტოპონიმები, რომელთაც ლეონ მელიქსეთ-ბეგი ასე განმარტავს: თელეთი — სოღანლუღის მთაგრეხილზე; მარნეული (ლომთა გორა) — მდებარეობს თბილისი-ერევანის რკინიგზის ხაზთან სოფელ სანდარის, ამჟამად მარნეულის ახლოს; სოფ. ტალავერი — ქვემო ქართლში, ბორბალო — სომხეთში. ტალავერში გამოიყოფა — ვერ, ტალა-ვერ, გვხვდება სიტყვებში: შულა-ვერ (შურა-

ვერ), მაშა-ვერ, გელა-ვერ, კალა-ვერ და სხვ. იქვე მიუთითებს — შავ —
ანუ მაშა-ვერ მდინარე.¹⁷⁵

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ (1801 წ.), როცა დამკვი-
დრდა რუსული ბიუროკრატიული წეს-წყობა, ქართულ და სომხურ ლე-
ქსიკაში ფეხი მოიკიდა რუსიციზმმა. ეს მოვლენა კარგად არის ასახული
შამჩი-მელქოს პოეზიაში (და არა მარტო მის ლექსებში). ლეონ მელიქსეთ-
ბეგს საილუსტრაციოდ მოაქვს რუსიციზმის ნიმუშები შამჩი-მელქოს ქა-
რთული და სომხური ლექსებიდან.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ შამჩი-მელქოს სომხური ლექსების ამ
გამოცემას გამოეხმაურა თბილისელი სომეხი მწერალი და მკვლევარი
სურენ ავჩიანი. მან გამოაქვეყნა რეცენზია, რომელშიც ხაზგასმით აღნი-
შნა ლეონ მელიქსეთ-ბეგის დამსახურება შამჩი-მელქოს სომხური ლექ-
სების გამოცემის საქმეში და გააკეთა შენიშვნებიც. ეს შენიშვნები შეეხება
შამჩი-მელქოს დაბადების და გარდაცვალების სადავო თარიღებს და ტექს-
ტოლოგიურ საკითხებს.¹⁷⁶

ნაყაშ იონათანი

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა პირველმა მიაქცია ყურადღება ქართულ მწერ-
ლობაში ნაყაშ იონათანს და გამოაქვეყნა მისი ფრაგმენტული ბიოგრაფი-
ული ცნობები. თუმცა მეტი ინფორმაცია იონათანის ბიოგრაფიის შესახებ
არც სომხურ ლიტერატურაში იყო („იონათანი“, ჟურ. „მნათობი“, 1933, №5,
გვ. 181). ვენის მხითაროსტთა კონგრეგაციის წევრმა იაკობ დაშიანმა 1895
წელს გამოაქვეყნა კონგრეგაციის წიგნსაცავის ხელნაწერთა აღწერი-
ლობა. მან აღწერა ერთი ხელნაწერი (№537), რომელშიც იყო ნაყაშ იონა-
თანის სომხური ლექსები. ცნობილმა სომეხმა ლიტერატორმა არშაკ ჩო-
ბანიანმა 1910 წელს გამოსცა იონათანის ლექსების კრებული და მის შე-
სახებ მონოგრაფია — „აშული ნაყაშ იონათანი და მხატვარი იონათან იონა-
თანიანი“. ლეონ მელიქსეთ-ბეგის თქმით, არშაკ ჩობანიანის ამ გამოცემამ
ისეთივე როლი შეასრულა იონათანის პოპულარიზაციის საქმეში, როგორც
გ. ახვერდოვის ნაშრომმა საიათნოვას შესახებ (1852 წ.) სომხური საზო-
გადოებისათვის, ხოლო ი. გრიშაშვილის წიგნმა „საიათნოვა“ (1918 წ.) ქარ-

თული სპოგადობისათვის. 1911 წელს გამოვიდა ვენის აღნიშნული კონგრესაციის წევრის, არმენისტ ნერსეს აკინიანის მონოგრაფია — „ნაყამ იონათანი“. ამ ორი ავტორის მიერ მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ ნაყამ იონათანი იყო ვახტანგ VI-ის კარის მგოსანი. იგი დაბადებულა სოფელ შოროთს (ნახჭევანის მახლობლად). ნაყამ იონათანი გარდაცვლილა 1722 წელს. ლეონ მელიქსეთ-ბეგი აქვე შენიშნავს — შოროთი-შოლოთი (შორეთი) არის საქართველოშიც, ასპინძის ახლოს. ჩვენი მხრივ, უნდა დაეძინოთ — საეჭვოა რაიმე კავშირი ჰქონდეს სომხურ შოლოთს ქართულ ტოპონიმ შორეთთან.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ნაყამ იონათანის შესახებ აღნიშნულ გამოქვეყნებულ ნარკვევში მიუთითებს, რომ იგი იყო მეფსალმუნე, აშული, მხატვარი. ეს ჩანს მის ლექსშიც და მისი შვილის იაკობის ლექსშიც. ამ მცირე ბიოგრაფიულ ნარკვევს („მნათობი“, 1933, №5, გვ. 181) მოჰყვება ნაყამ იონათანის ლექსის — „საქართველოს კეკლუცებს“ ი. გრიშაშვილის მიერ შესრულებული შესანიშნავი თარგმანი. ამ თარგმანის შესახებ ი. გრიშაშვილი წერს 1932 წლის, 15 აგვისტოს ლეონ მელიქსეთ-ბეგისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც დაცულია ადრესატის არქივში:

ძმავ ლეონ!

ერთხელ გითხარი, რომ მე იონათამ ნაყამის ლექსი გადაუთარგმნე-მეთქი: „საქართველოს ლამაზებზე ნათქვამი ლექსი“. მე მინდა ეს ლექსი „მნათობში“ დაებეჭდო და სასურველია თუ შენ რამდენიმე პსკარს დასწერ ამ აშულის შესახებ (იქნება მოსაგონარი წელი ამ წელსაც უსრულდება. ვინ იცის? აბა ერთი შენი არქივი გადაჩიჩქე!) „მნათობში“ ჯერ შენი წერილი წაუკ. მერე ჩემი თარგმანი. წერილი დაამხადე და წაღვერიდან რომ ჩამოკალ ორი ნუთით შეგანსუხებ.

შენი გრიშაშვილი
1932.15.9. წაღვერი.

ი. გრიშაშვილის მოტანილი წერილიდან ჩანს, რომ ლეონ მელიქსეთ-

ბეგს აღნიშნული სტატია ნაყაშ იონათანის შესახებ ქართველი პოეტის თხოვნით დაუწერია.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის დამსახურება აშუღური პოეზიის კვლევა-ძიების საქმეში უზომოა და აღნიშნულით არ ამოიწურება. კათალიკოს-პატრიარქს კალისტრატე ცინცაძეს ლეონ მელიქსეთ-ბეგისათვის საკონსულტაციოდ გაუგზავნია ერთი ხელნაწერი კრებული. ეს კრებული აღწერა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა. კრებული შინაარსის მხრივ მრავალფეროვანი ყოფილა — მასში მოთავსებული ლექსები შესრულებულია (მცირე გამოწკლისის გარდა) თბილისის სომხური დიალექტის ყაიდზე გადაკეთებულ — გამართულ გრაბარზე, ოღონდ ქართული ასოებით¹⁷⁷ — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი. მისი აღწერიდან ვგებულობთ — კრებული შესდგება 6 კარისაგან: 1) ძველი და ახალი აღთქმა; 2) სვინაქსარი და ჰომილიარი; 3) ლოცვათა წიგნი; 4) ჰიმნარიუმი; 5) ხოტბათა და სასულიერო შინაარსის შესხმათა კრებული; 6) სიმღერათა და შაირთა კრებული.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ხელნაწერის მიხედვით დაადგინა, რომ კრებული შედგენილია XIX საუკუნის პირველ ნახევარში სტეფანე ალამდაროვის მიერ, რომელიც გორის მცხოვრები ჩანს. კრებულის მფლობელი კი ყოფილა თბილისელი იაკობ კონსტანტინეს ძე ხიზანოვი (ხიზანიშვილი). ეს ხიზანოვიც წარმოშობით გორიდან ყოფილა.

კრებულში შედის ალ. ჭავჭავაძის ლექსის — „ვაჰ, დრონი, დრონი ნაქებნი მტკბარად“ ვარიანტები. ზებრბაიჯანულ-თურქული ლექსი ოთხია კრებულში. აქედან სამი უცნობია, ერთი კი „ქოროლია“. კრებულში შესული სომხური ლექსების ავტორები ცნობილნი არიან, მცირე გამოწკლისის გარდა, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ფიქრობს, რომ აღნიშნული კრებული შედგენილია სპეციალურად თბილისის და საქართველოში მცხოვრები სომხებისათვის. მას დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისის სომხური დიალექტის შესწავლის თვალსაზრისით.

საქართველოში ქართული ტრანსკრიპციით შესრულებული სომხური ხელნაწერი კრებულების არსებობას ლეონ მელიქსეთ-ბეგი შემდეგნაირად ხსნის: სომხეთის სამეფოს დაცემის შემდეგ (XI ს.) საქართველოს

მრავალმა სომეხმა შეაფარა თავი. დროთა განმავლობაში მათ დაავიწყდათ მშობლიური სომხური ენა. ამიტომ „სასულიერო შინაარსის სომხური ხელნაწერები ქართული ტრანსკრიპციით გავრცელებული იყო საქართველოში ღვთისმსახურების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რამდენადაც საქართველოში მყოფ სომეხთა სამღვდელთა შესამჩნევი ნაწილი სომხური წერა-კითხვის უცოდინარი იყო“ (გვ. 191). ამავეს ფიქრობს პ. მურადიანი. მისი აზრით, საქართველოს სომხურ მოსახლეობას მშობლიური დამწერლობა დავიწყებული ჰქონდა იმიტომ, რომ საქართველოში არ არსებობდა სომხურენოვანი სკოლები.¹⁷⁸ ამის საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს არმენოლოგ პროფ. გურამ მაისურაძეს. იგი წერს: „ღებულება, თითქოს საქართველოს სომხურ მოსახლეობას მშობლიური დამწერლობა დავიწყებული ჰქონდა სომხურენოვანი სკოლების არარსებობის გამო, სინამდვილეს არ შეეფერება. საქართველოში სომხური სკოლების არსებობის დადასტურებას ვპოულობთ დავით ბატონიშვილის “ОНОЗРЕНИЕ”-ში. მასში ნათქვამია: „სხვა აღსარების მიმდევრებისათვის თბილისში არსებობდა კერძო სასწავლებლები, მაგალითად, კათოლიკების, სომხებისა და მაჰმადიანებისათვის“. იქვე განმარტებულია, რომ „სასწავლო საგნების შერჩევა შეესაბამებოდა თვითეული ერის მოვალეობას (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 779). ამას გარდა, ცნობილია, რომ ფეოდალურ საქართველოში, ისევე როგორც სხვა ფეოდალურ ქვეყნებში, სწავლა-განათლების საქმე უმთავრესად ეკლესია-მონასტრების ხელში იყო. საქართველოში კი, მეტადრე თბილისში, სომხური ეკლესიები საკმაო რაოდენობით იყო, სადაც, გასაგებია, სომხური დამწერლობაც უნდა ესწავლებინათ...“ პ. მურადიანის აღნიშნული ვარაუდი ფაქტებით არ დასტურდება. XVII-XVIII საუკუნეების მანძილზე საქართველოში შექმნილი მრავალრიცხოვანი სომხური ეპიგრაფიკა, უეჭველია, გულისხმობს სომხური დამწერლობის მცოდნე მოსახლეობას,¹⁷⁹ — საფუძვლიანად დაასკვნის გურამ მაისურაძე.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გვხ. „ხორპრდაიან ვრასტანში“ (1939, №104) გამოაქვეყნა სტატია „აშული მისკინ-ბურჯი“ და აშუღური სიმღერების ახლადმოკვლეული კრებული“ (სომხ. ენაზე). სტატიის პირველ ნაწილში

ჩამოთვლილია მისკინ-ბურჯის ლექსები, რომლებიც გამოქვეყნებულია სხვადასხვა კრებულებში. მიუხედავად იმისა, რომ მისკინ-ბურჯის ლექსები ცნობილი იყო, აშულის ბიოგრაფია თითქმის უცნობი ყოფილა. შემდეგ ლეონ მელიქსეთ-ბეგი წერს, რომ მისკინ-ბურჯის ერთ-ერთი გამომცემლის გ. ლევონიანის წყალობით იყო ცნობილი, რომ აშული დაბადებულია განბაკში, 1810-იან წლებში. „ბურჯი“ კი ნიშნავს ყვაილსო. ასევე ძუნწ ცნობებს გვაწვდის გ. ახვერდოვი, რომელიც „ბურჯს“ „გურჯამი“ ურევსო. შედარებით, ოდნავ მეტი ცნობები ჰქონია მისკინ-ბურჯის შესახებ გ. თავერდიანს, 1937 წელს გამოცემულ კრებულში „სომეხი აშულების დაუბეჭდავი ლექსები“. გამომცემელს ამ კრებულში შეუტანია მისკინ-ბურჯის სიმღერა „ერევან“. გ. თავერდიანის ცნობით, თითქოს „ბურჯი“ აშულის ნამდვილი სახელი ყოფილა.

აშული მისკინ-ბურჯი მოუკლავთ 1847 წელს და დასაფლავებული ყოფილა ყარაბაღში — ასკერანის ციხის გალავანში.

ახალი პერიოდი

ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817-1845)

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ჩვეული მონღომებით და ენერგიით იკვლევდა XIX ს-ის ქართველი და სომეხი მწერლების შემოქმედებას. ამ დარგშიც გამოიჩინა თავი და არაერთი ღირსშესანიშნავი გამოკვლევა და წერილი გამოაქვეყნა, რომლებშიც უმთავრესად ახალი საარქივო მასალების შუქზე განიხილა ამა თუ იმ ქართველი და სომეხი მწერლის შემოქმედება. ამ შრომათაგან პირველ რიგში შეიძლება დავსახელოთ — „ნ. ბარათაშვილი და სომხური ლიტერატურა“ (კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, 1947, ტ. III, გვ. 105-116). ნაშრომი სამ ნაწილად აქვს დაყოფილი:

1) ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შემხვედრი მომენტები სომხური ლიტერატურის წარმომადგენელთა მხატვრულ სამყაროსთან;

2) ნ. ბარათაშვილის უშუალო ზეგავლენა XIX-XX ს.ს. სომეხ მწერლებზე;

3) ნ. ბარათაშვილის თხზულებების სომხური თარგმანები (თემატური

ბიბლიოგრაფია). ლეონ მელიქსეთ-ბეგი შესავალ ნაწილში შენიშნავს — მართალია, ორივე ხალხის მწერლობის წარმომადგენლები თბილისში გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, მაგრამ ერთმანეთს არ იცნობდნენ. მაგალითად, ნ. ბარათაშვილი და ხ. აბოვიანი, ი. გოგებაშვილი და ლ. აღაიანი და სხვ. ერთდროულად მოღვაწეობდნენ თბილისში, მაგრამ მათ შორის პირადი ნაცნობობა არაფრით არ დასტურდება.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი შემდეგ აღარებს ნ. ბარათაშვილის და ხ. აბოვიანის შემოქმედებას, მათ შორის ერთგვარ ლიტერატურულ პარალელს ავლებს და აღნიშნავს — „რას მოწმობს მოყვანილი ფაქტები და შედარებანი? იმას, რომ ნ. ბარათაშვილს ზეგავლენა მოუხდენია ხ. აბოვიანზე ან რ. პატკანიანზე? (შედარებული აქვს ნ. ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“ და რ. პატკანიანის „არაქსის ცრემლები“. ბ. ა.) რასაკვირველია, არა! ამასთანავე ხომ დაუშვებელია საკითხის პირუკუ დასმაც, რამდენადაც შეთხზვის სათანადო თარიღები ასეთ დასკვნას ეწინააღმდეგება.“ (გვ. 108). ყოველივე ამის შემდეგ ლეონ მელიქსეთ-ბეგი გვაწვდის სრულიად სწორ დასკვნას — ნ. ბარათაშვილის და სომეხ მწერალთა (ხ. აბოვიანი, რ. პატკანიანი) თემატიკური და იდეური შეხვედრები ურთიერთგავლენის შედეგი კი არ არის, არამედ გამომხატველია საზოგადოებრივ იმ გარემოსი, რომელშიც ქართველ და სომეხ მოღვაწეებს უხდებოდათ მუშაობა XIX ს-ის პირველ ნახევარში.

ამ ნაშრომში ლეონ მელიქსეთ-ბეგი განავითარებს შემდეგ საყურადღებო მოსაზრებას: ამკარა არის — ფაქტები და დოკუმენტები დადასტოებენ იმ დებულებას სასარგებლოდ, რომ ნ. ბარათაშვილს ალ. პუშკინთან, მ. ლერმონტოვთან და ზოგიერთ სხვა რუს პოეტთან ერთად გარკვეული ზეგავლენა მოუხდენია აღმოსავლურ ახალ სომხურ პოეზიაზე (XIX-XX ს.ს.). აქ კი საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხის ისტორიას ცოტა ვრცლად გადავხედოთ. საკითხის ისტორია კი ასეთია. ნ. ბარათაშვილის პოეზიას სომეხი მკითხველი საზოგადოება XIX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში გაეცნო. „მერანი“ სომხურად პირველად თარგმნა ოვ. კონსტანიანმა და გამოაქვეყნა სტ. ნაზარიანის ჟურ. „ტარაზში“ („მოღა“), 1893 წლის მე-15 ნომერში. ამავე წლის ჟურნალში (17.IV.) გამოქვეყნდა არ. მირიმანიანის ინ-

ფორმაცია ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენების შესახებ. აქვეა პოეტის მოკლე ბიოგრაფია.

მეოცე საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო ნ. ბარათაშვილის პოეზიის სისტემატური თარგმნა სომხურ ენაზე. ლეონ მელიქსეთ-ბეგი საინტერესო ცნობას გვაწვდის იმის შესახებ, რომ არსებობს „მერანის“ 6 სომხური თარგმანი:

- 1) ოვ. კონსტანიანის „ტარაზ“ („მოლა“), 1893, №15;
- 2) გ. მელიოიანის „მარტაკოჩ“ („მებრძოლის მოწოდება“), 1923, №76;
- 3) გ. ასატურის „ნორქ“ („სიახლენი“), 1927, №1;
- 4) ვ. სიმონიანის „სოვეტაკან ვრასტან“ („საბჭოთა საქართველო“), 1938, №71;
- 5) ს. ავაჩიანის „სოვეტაკან ვრასტან“ („საბჭოთა საქართველო“), 1945, №75;
- 6) ს. ტარონცის „სოვეტაკან ჰაიასტან“ („საბჭოთა სომხეთი“), 1945, №223.

ეს ბიბლიოგრაფიული ცნობა, მართლაც, საინტერესოა იმიტომ, რომ თუ არ ვცდები, „მერანის“ 6 თარგმანი არც ერთ სხვა ენაზე არ არსებობს.

ოვ. თუმანიანმა სომხურად თარგმნა „ფიქრნი მტკერის პირას“, რომელიც გვიან გამოქვეყნდა, „მაგრამ „მერანის“ 1893 წლის სომხურმა თარგმანმა, როგორც ეტყობა, ზეგავლენა მოახდინა არა მარტო ოვ. თუმანიანზე, არამედ სომხური პოეზიის სხვა წარმომადგენლებზეც და, პირველ რიგში, ავეტიკ ისააკიანზე“ — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი (გვ. III).

უნდა ითქვას, რომ ნ. ბარათაშვილის „მერანი“ და ავ. ისააკიანის პოემა „აბუ-ლალა-მარის“ ლიტერატურული ურთიერთმიმართების საკითხი მსჯელობის საგნად იქცა „აბუ-ლალა-მარის“ პირველი ქართული თარგმანის გამოცემის შემდეგ. 1929 წელს გამოქვეყნდა „აბუ-ლალა-მარის“ ქართული თარგმანი, რომელიც შეასრულა ტ. ტაბიძემ. ამ გამოცემას წინ უძღვის ავ. ისააკიანის სტატია — „ჩემი პოემა „აბუ-ლალა-მარის“ ქართულ ენაზე გამოცემის გამო“. ავ. ისააკიანი მასში წერს: „მე ბედნიერად ეგრძნობ ჩემს თავს, რომ ჩემს პოემას „აბუ-ლალა-მარის“-ს ვიხილავ უდიდეს შოთა რუსთაველის უკვდავ ენაზე.

მოხარული ვარ, შეძლება მაქვს განვაცხადო, რომ ჩემი უფროსი ძმა
ნიკო ბარათაშვილი იყო ამ პოემის შთაგონება. მისმა უმშვენიერესმა „მე-

Я чувствую себя счастливым,
всегда „Абу ла ла маари“ — мой
бессмертный язык великого
Мухаммада Фатавахи и его откровения
„Язык, что мне представляется
служит — святым, что мой старший
брат — Бари ташихи в 90х годах
мекки 1901

~~Ахмедовиче и его язык~~
Коллектор

Три прекраснейшие стиха и увлек
меня: Караван Абу ла ла маари
ио следом коим Бари ташихи...

Великий Исмаилов

1921/1929

Мухаммад.

რანმპ' მე თავდავიწყებით გამიტაცა.

აბუ-ლალა-მაარის ქარავანი ბარათაშვილის მერანის კვალს მისდევს.“

ავ. ისააკიანის ამ გულახდილი განცხადებისათვის მართლაც არსებობს
საუფუძველი, რადგან თვალის ერთი გადავლებითაც შეიმჩნევა სულიერი
ნათესაობა ამ ორ უდიდეს პოეტსა და მათ შესანიშნავ მხატვრულ ქმნი-
ლებებს შორის („მერანი“ და „აბუ-ლალა-მარი“). როგორც ვნახეთ, „მერა-
ნის“ და „აბუ-ლალა-მარის“ იდეურ-მხატვრული ურთიერთმიმართების

საკითხი დასეა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა. ამ საკითხთან დაკავშირებით მას წერილები გაუგ ზაენია ავ. ისააკიანისათვის. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა დიდი სომეხი პოეტის ავ. ისააკიანის საპასუხო წერილები გამოაქვეყნა საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის ალმანახში (1960, გვ. 360-364, სომხ. ენაზე).

ავ. ისააკიანი 1947 წლის 29 დეკემბრით დათარიღებულ წერილში ლეონ მელიქსეთ-ბეგს წერდა: „მე არ მახსოვს, სად და როდის მაცნობეს, რომ ნ. ბარათაშვილის უშუალო გავლენით დაეწერე „აბუ-ლაღა“. „მერანი“ წაკითხვზე 1890-იან წლებში ივან-ღა-მარიას რუსულ თარგმანში, „აბუ-ლაღა“ დაეწერე 1909 წელს. ძნელია, გავლენა ამდენ ხანს დარჩენილიყო, ხოლო უშუალო გავლენის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია. მხოლოდ არიან პოეტები, რომლებიც ძალიან მიყვარდნენ და მიყვარან: ბაირონი, ჰაინე, მიცკევიჩი, ლერმონტოვი და მათ რიგშია ნ. ბარათაშვილი. „აბუ-ლაღა“, ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდი“, მიცკევიჩის „ფარისი“ და ნ. ბარათაშვილის „მერანი“ სულიერად ძალიან ახლობლები არიან. ისინი მშობლიური იყვნენ ჩემი განწყობილებებისა და სულიერი მისწრაფების. სხვა რა გავლენასა და მსგავსებაზეა ლაპარაკი? რაც შეეხება მეტრულ ზომებს, ეს ცნობილი ყასიდი მაქვს გამოყენებული, რომელიც სპარსულ-არაბული ბეითია. ჩანს ასეთი რამ ვთქვი, ეს ჩემი ნათქვამი ჰიპერბოლად გახადეს. მაგრამ არა უშავს რა, ეს საკითხი არ არის, არის დრო და კრიტიკა, და ერთ დღესაც ყველაფერი ნათელი გახდება.“

1951 წლის 3 ივლისით დათარიღებულ წერილში ამ საკითხს ავ. ისააკიანი კვლავ დაუბრუნდა და ლეონ მელიქსეთ-ბეგს წერდა: „თქვენს მიერ ხსენებული ჩემი წერილი, რამდენადაც მახსოვს, დაეწერე 1929 წელს „აბუ-ლაღა-მარის“ თარგმანის დროს (იგულისხმება „აბუ-ლაღა-მარის“ ტ. ტაბიძის ქართული თარგმანი. ბ. ა.), რომელშიც, აგრეთვე, როგორც მახსოვს, დაეწერე, რომ... ჩემი პოემის შთამაგონებლები იყვნენ მიცკევიჩის „ფარისი“ და ბარათაშვილის „მერანი“. არ ვიცი, მიცკევიჩის სახელი რატომაა გამოტოვებული. გთხოვთ, თუ შესაძლებელია, ჩემი სტატია შეამოწმეთ. შეიძლება ვცდები, შეიძლება შემთხვევით დამავიწყდა, ძალიან დიდი დრო გავიდა.“

ავ. ისააკიანი, ჩანს, შეეჭვებულა სტატიის აღნიშნული საეგებო ადგილით და ლეონ მელიქსეთ-ბეგისათვის უთხოვია შემოწმება. ლეონ მელიქსეთ-ბეგს თხოვნა შეუსრულებია და გულდასმით გადაუთვალეირებია ტ. ტაბიძის არქივი. ამასთან დაკავშირებით ლეონ მელიქსეთ-ბეგი შენიშნავს: „ავ. ისააკიანის ამ წერილთან დაკავშირებით ჩვენ კვლავ გავსინჯეთ განსვენებული ქართული პოეტის ტ. ტაბიძის პირადი არქივი, რომელიც ახლა დაცულია საქართველოს მწერალთა მუზეუმში, მაგრამ ვარპეტის ნაწერებიდან არაფერი აღმოჩნდა“.¹⁸⁰

ავ. ისააკიანის აღნიშნული სტატიის რუსული ორიგინალი, რომლის ქართული თარგმანი ერთვის „აბუ-ლალა-მაარის“ 1929 წლის გამოცემას, იმ ხანებში მართლაც არ იყო საქართველოს მწერალთა მუზეუმში და ინახებოდა თბილისელ სომეხ პოეტ, აწ განსვენებულ მარტინ ქარამიანთან. ამჟამად დაცულია საქართველოს მწერალთა მუზეუმში, ტ. ტაბიძის პირად არქივში.¹⁸¹

ჩვენ შევადარეთ ერთმანეთს ორიგინალი და თარგმანი და დავადგინეთ, რომ ორიგინალის საჭოჭმანო ადგილს არ შორდება ქართული თარგმანი და ზუსტად არის თარგმნილი.

ამ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ნათესაობის თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ ამ ორ დიდებულ პოეტურ ქმნილებებში დასმულია უდიდესი პრობლემა — წინააღმდეგობა სინამდვილესა და იდეალს შორის. ორივე ნაწარმოების გმირები კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის იბრძვიან. ამ მიზნის მისაღწევად „მერანის“ და „აბუ-ლალა-მაარის“ თავიანთი დამოუკიდებელი გზით მიდიან, და თუ ვილაპარაკებთ მათ ურთიერთობაზე, ეს მათი „სულიერი ნათესაობა და სიახლოვეა“, როგორც აღნიშნულ წერილში თვით ა. ისააკიანი მიუთითებს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ეკუთვნის აგრეთვე ნ. ბარათაშვილის სომხურად ნათარგმნი ლექსების ბიბლიოგრაფია (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1940, №8).

ლეონ მელიქსეთ-ბეგის არქივში დაცულია ვრცელი სტატია (მანქანაზე ნაბეჭდი 36 გვერდი) — „ლექსანდრე ჭავჭავაძე და სომხური ლიტერატურა“ (სომხ. ენაზე). მასში განხილულია ქართული რომანტიკოსი პოე-

ტის ლიტერატურული ურთიერთობა სომხურ სინამდვილესთან. გარდა იმისა, რომ აღნიშნულია და გაანალიზებულია ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში სომხური თემატიკის როლი და მნიშვნელობა („გოგჩის ტბა“), მასში ხაზგასმულია ალ. ჭავჭავაძის ღვაწლი მისი ერეენის გუბერნიის მმართველის თანამდებობაზე ყოფნის დროს.

ახალი სომხური ლიტერატურის ფუძემდებლის ხაჩატურ აბოვიანის (1809-1848 წ.წ.) ცხოვრება და სამწერლო მოღვაწეობა გააცნო ქართველ მკითხველ საზოგადოებას ლეონ მელიქსეთ-ბეგმა სტატიაში — „ხაჩატურ აბოვიანი“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1941, №18). ხ. აბოვიანი კარგა ხანს ცხოვრობდა თბილისში, რაც მის ნაწარმოებებში აისახა კიდევ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი აქაც შეეხო ხ. აბოვიანის და ნ. ბარათაშვილის იდეურ სიახლოვეს და მათ ნაწარმოებებს შორის გაავლო ლიტერატურული პარალელები. მაგ. ხ. აბოვიანის „მთაწმინდის დღესასწაულის გამო“ (1840 წ.) და ნ. ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე“ (1833-1836 წ.წ.). თუ პირველი აღწერს რელიგიურ პლანში თბილისელთა საეკლესიო დღესასწაულს — მთაწმინდობას, მეორე — ფილოსოფიურად განიხილავს ადამიანს და სიცოცხლს ამაოებას.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ამ თემას კვლავ მიუბრუნდა მოგვიანებით წერილში „Хач. Абовян и Н. Бараташвили“ (ა. პუშკინის სახ. თბ. სახელმწ. პედ. ინსტიტუტის შრომები, 1959, ტ. XIII, გვ. 335). ამ რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომში კიდევ ერთხელ შეეცადა მოექებნა ლიტერატურული პარალელები ხ. აბოვიანის და ნ. ბარათაშვილის ზოგიერთ ნაწარმოებს შორის. ორივე შემოქმედის ბიოგრაფიული ფაქტების ურთიერთმედარების შემდეგ შენიშნავს — ისინი არ იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს ხ. აბოვიანი თბილისში ცხოვრების დროს ქართულ საზოგადოებას არ იცნობდა და „ჩინური კედლით“ იყო გარშემორტყმული. მის ქართველ ნაცნობთა წრეს თბილისში შეადგენდა: ზაქარია მჭედლიშვილი, იოსებ ზუბალაშვილი, ივ. კერესელიძე, გ. ბარათაშვილი, ვინმე ბაქრაძე, მელიქიშვილი და სხვ.¹⁸²

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ივ. კერესელიძე იყო ხაჩატურ აბოვიანის თბილისის კერძო პანსიონში აღზრდილი, სადაც იგი მიაბარა ალ.

ორბელიანმა.

ხაჩატურ აბოვიანის სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა; ივანე მაჩაბელივით გავიდა სახლიდან და აღარ დაბრუნდა (1848 წ.). მათი გაუჩინარების მიზეზი დღემდე გაურკვეველია და საფლავებიც მიკვლეული არ არის. არის არა ერთი ვერსია და ლეონ მელიქსეთ-ბეგიც შეეხო ამ საკითხს სტატიამი — „გადასახლებული იყო აბოვიანი ხაჩატური თუ გეეორგი?“ (გაზ. „ხორპრდაიან ვრასტან“, 1938, №8). ვენის მხითარისტთა ჟურნალ „ჰანდეს ჰამსორიაში“ (1927 წ.) გამოქვეყნდა რუბენ მანასიანის წერილი — „გეეორგ აბოვიანის საფლავი ოხოტსკში?“ სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, თითქოს შორეულ ციმბირში, ოხოტსკში ნაპოვნი საფლავი იყო არა ხაჩატურ, არამედ გეეორგ აბოვიანის. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა თავის სტატიამი სომეხ მკითხველს გააცნო გეეორგ აბოვიანის ბიოგრაფია. მას თბილისის ნერსესიანის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა გაუგრძელებია მოსკოვის ლაზარევის გიმნაზიაში. პედაგოგად უმუშავია თბილისის ნერსესიანის სასწავლებელში. ამავე დროს ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას. ავტორი ყოფილა მოზრდილი ნაშრომის „სომხეთის ისტორია“ და სხვა თხზულებების. გეეორგ აბოვიანის ბიოგრაფიიდან და მოღვაწეობიდან ჩანს, რომ იგი თავისი ქვეყნის — სომხეთის ზღვარდაუდებელი პატრიოტი ყოფილა. ისიც ხაჩატურ აბოვიანივით უგზოუკვლოდ დაკარგულა. თბილისის ნერსესიანის სასწავლებელში მუშაობის დროს „შინაგანი“ და „გარეგანი“ მტრების წყალობით პატრიოტი გეეორგ აბოვიანი 1866 წლის პირველ ნოემბერს, საღამოს რვა საათზე გაქრა — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და დაასკენის — შორეულ ციმბირში, ქალაქ ოხოტსკში ნანახი აბოვიანის საფლავია არა ხაჩატურის, არამედ გეეორგისო.

აკაკი წერეთელი (1840-1915)

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ეკუთვნის წერილები აკაკი წერეთლის შემოქმედების შესახებ. ესენია — აკ. წერეთლის შემოქმედების ირგვლივ: 1) აკ. წერეთელი და სომხები; 2) აკ. წერეთლის „ბაში-აჩუკი“ და სომხური ისტორიოგრაფია (ალმანახი „არშაკ“, 1940, №3, გვ. 23-29, სომხ. ენაზე). მასში

განხილულია აკ. წერეთლის დამოკიდებულება სომხების და სომხეთის მიმართ. ამავე წლის გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ (№17) ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოაქვეყნა ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა — „აკ. წერეთლის თხზულებანი სომხურ ენაზე“. ამგვარივე ხასიათის წერილი დაბეჭდა „ბიბლიოგრაფიის მოამბეში“ (1941, №2-3, გვ. 217-222). აღმანახ „არშავეში“ გამოქვეყნდა აკაკის გ. სუნდუკიანისადმი მიძღვნილი ლექსების („გაბრიელ სუნდუკიანს“ და „გაბრიელ სუნდუკიანის დასაფლავების დღეს“) სომხური თარგმანი (1940, №3, გვ. 20-22). ლეონ მელიქსეთ-ბეგმა პირველმა მიაქცია ყურადღება აკ. წერეთლის „ბაში-არუკის“ ეტიმოლოგიურ მნიშვნელობას. მან გამოაქვეყნა სტატიები — „ბაში-არუკის განმარტებისათვის“ (კრებ. „აკაკი წერეთელი“, 1940, გვ. 203-207), აგრეთვე, აკაკი წერეთლის „ბაში-არუკის“ სომხური რედაქცია და შენიშვნები (ჟურ. „არშავე“, 1940). განსაკუთრებით საინტერესოა პირველი სტატია, რომელშიც ავტორი განმარტავს „ბაში-არუკის“ მნიშვნელობას. ეს სიტყვა არის თურქული — „რუკ-არუხ“, ქართულად ნიშნავს — ღიას, ახდილს. აქედან „ბაში-არუკ“ — თავღია, თავახდილი. ამის შესახებ აკაკის გმირი ამბობს — „ეს დამარქვეს თათრებმა: ფაფანაკით რომ მხედავენ, უქულო ვგონივარ, თავახდილი და მათებურად ბაში-არუკი თავახდილს ნიშნავს“. როგორც ლეონ მელიქსეთ-ბეგმა დაადგინა, ეს სახელი პირველად მოხსენიებული ყოფილა XVIII ს-ის დასაწყისში — იტალიელი მოგზაურის პიეტრო დე ლა ვალეს მიერ რომის პაპის ურბანუს VIII-სადმი გაგზავნილ წერილში. აკ. წერეთლის ნაწარმოები („ბაში-არუკი“) დაწერილია 1895-1896 წ.წ., ხოლო პიეტრო დე ლა ვალეს კომენტარი ბაში-არუკის შესახებ გ. ყაზბეგის წყალობით მოხვდა თბილისის რუსულ პრესაში („Кавказ, 1867, №41), ალბათ აქედან გაიგო აკ. წერეთელმა ამ სიტყვის შესახებ და გამოიყენა თავის ნაწარმოებში, — ვარაუდობს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ეკუთვნის ილ. ჭავჭავაძის ლექსის „ბედნიერი ერის“ სომხური თარგმანი, რომელიც არის შესული მის რჩეულში (თბილისი, 1937, 1). მანვე გააკეთა ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის რედაქცია და შენიშვნები (1937 წ.). ლეონ მელიქსეთ-ბეგის არქივშია და-

ცული ხელნაწერი — მოგონება ილ. ჭავჭავაძის შესახებ. ახალგაზრდა ლეონ მელიქსეთ-ბეგი დასწრებია ილიას დაკრძალვას (1907 წ.) და აღწერს მას.

იაკობ გოგებაშვილი (1840-1912) და ლაზაროს ალაიანი (1840-1911)

თითქმის ერთდროულად ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ იაკობ გოგებაშვილი და ლაზაროს ალაიანი. იაკ. გოგებაშვილის მსგავსად ლაზ. ალაიანმა სომეხ ბავშვებს შეუქმნა დედა-ენა და საცმაწვილო თხზულებანი. ამ ორი დიდი პედაგოგის და მწერლის მოღვაწეობას მიუძღვნა სტატია ლეონ მელიქსეთ-ბეგმა — „იაკობ გოგებაშვილი და ლაზაროს ალაიანი“ („იაკობ გოგებაშვილი“, 1940. კრებული მიძღვნილია იაკ. გოგებაშვილის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი).

იგი პარალელურად განიხილავს ი. გოგებაშვილის და ლ. ალაიანის ცხოვრებას და შემოქმედებას. ჯერ მიმოიხილავს იმ პერიოდს, როდესაც ამ ორი მოძმე ერის შვილებს ი. გოგებაშვილს და ლ. ალაიანს მოუხდათ მოღვაწეობა. ამ დროს განუხრელად ტარდებოდა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა, რომლის მიზანი იყო შეეზღუდა და დაეკნინებინა რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების მწერლობა, კულტურა, მათი აწმყო თუ წარსული — „ექსარხოსმა პავლემ (ლეხედევმა) საკათედრო ტაძრის ამბიონიდან საჯაროდ უწოდა ქართულ ენას — „ძაღლის ენა“, შავრაზმელ დეკანოზ ვოსტორგონოვს ქართული ორიგინალური მელოდიური სამხმოვანი სიმღერა-გალობა „მგლების ყმულიად“ მოეჩვენა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გრაფმა ლობანოვ-როსტოვსკიმ 1877-1878 წ.წ. რუსეთ-თურქეთის მეორე ომთან დაკავშირებით ცინიკურად განაცხადა — რუსეთს სომხეთი უსომხებოდ (“Армения без армян”) ესაჭიროებაო. კავკასიის მთავარმართებლის თავად სერგეი გოლიციინის იდეა-ფიქსს შეადგენდა სომხების გაუღელტვა და მათი დედამიწის პირიდან აღგვა. იგი ამბობდა: მხოლოდ ერთი სომეხი უნდა დარჩეს მუმიის სახით, რომელიც კავკასიის მუზეუმს დაამშვენებსო“, — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი (გვ. 68-69).

ამგვარ შაგუნელ რეაქციულ პირობებში ცდილობდნენ თავიანთი ერების გათვითცნობიერებას და წერა-კითხვის გავრცელებას ხალხში ი. გოგებაშვილი და ლ. ალაიანი. ამ მიზნით შეიქმნა, ერთის მხრივ — ი. გოგებაშვილის „იაენანამ რა ჰქმნა“, „ხატის მიზეზი“, „ასპინძის ომი“, „თავდადებულნი ქართველნი“ და სხვ.; მეორის მხრივ — ლ. ალაიანის ლექსები და პოემები, რომელთა სიუჟეტები ადებულია ძველი სომხური ეპოსიდან: „ანაჰიტ“, „არეგნაზან“, „ტიქანგელი და ჰაიკანუმ მშვენიერი“, „ქორ-ოლღი“ და სხვ.

ი. გოგებაშვილმა გამოაქვეყნა სახელმძღვანელოები — „დედა-ენა“, „ბუნების-კარი“, „კოკორი“, „კონა“, „რუსკოე სლოვო“ და სხვ. ლ. ალაიანმაც გამოსცა სახელმძღვანელოები: „დედა-ენის სწავლება“, „ანბანის ნაწილი“, „სურათებიანი ანბანი“, „დედა-ენა“, „სომხური ბგერების შესახებ“ და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ამ სტატიამი გვაძლევს აგრეთვე ი. გოგებაშვილის თხზულებების სომხურ თარგმანთა მოკლე ბიბლიოგრაფიას. მაგალითად, „იაენანამ რა ჰქმნა“ სომხურად ითარგმნა 1907 წელს (მთარგმნელი ლ. კარაპეტციანი), ხოლო ლ. ალაიანის „გიულნაზ ბებიას ზღაპარი“ მოგვიანებით ქართულად უთარგმნია ივ. ბეგლაროვს და ა.შ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე წერილები — „იაკობ გოგებაშვილი და ღმაროს ალაიანი“. დაიბეჭდა სომხურ საბავშვო ჟურნალში „ოქტომბერიანი სერუნდ“ (1940, №8, გვ. 12). იქვეა — „იაკობ გოგებაშვილი“ ((1840-1912 წ.წ.), №9, გვ. 13) და სხვ.

გაბრიელ სუნდუკიანი (1825-1912)

ლეონ მელიქსეთ-ბეგს ყურადღების გარეშე არ დარჩენია სომხური რეალისტური დრამატურგიის ფუძემდებელი გაბრიელ სუნდუკიანი და მისი დამოკიდებულება ქართულ სინამდვილესთან. ჯერ კიდევ 1925 წელს გაზ. „Заря Востока“-ში (№923) გამოაქვეყნა წერილი „Габриел Сундукян“, რომელიც მიუძღვნა სომეხი დრამატურგის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს. მასში ზოგადად მიმოიხილავეს გ. სუნდუკიანის შემოქმედებას და განსაკუთრებით ხაზი აქვს გასმული მის სოციალურ ხასიათზე. ამ დრამატურგის შემოქმედებაში სრულად აისახა XIX ს-ის შუა ხანების

თბილისის ყოფა-ცხოვრება. პიესა „პეპომი“ მოცემული აქვს მშრომელი პატიოსანი მეთევზის სახე. ამავე დროს ხატავს ვაჭართა სახეებს და საზოგადოების სხვა ფენის წარმომადგენლებს. გ. სუნდუკიანი თავის პიესებს ქმნიდა თბილისის სომხურ დიალექტზე, რაც ენათმეცნიერისათვის საყურადღებო მასალას წარმოადგენს, — დასასრულ შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

გ. სუნდუკიანის ქართულ თეატრთან ურთიერთობას და თანამშრომლობას მიუძღვნა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა წერილი — „გაბრიელ სუნდუკიანი და ქართული თეატრი“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1940, №15). სომხურ ენაზე გამოაქვეყნა სტატია — „გაბრიელ სუნდუკიანი და ქართველი კლასიკოსები“ (სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, 1950, №8, გვ. 63-82). აგრეთვე — „გაბრიელ სუნდუკიანი ქართულ პოეზიაში“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1940, №3) და სხვ.

ოვანეს თუმანიანი (1869-1923)

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლა ოვანეს თუმანიანის ლიტერატურული ურთიერთობა ქართულ მწერლობასთან. მან ამ თემაზე არაერთი სტატია გამოაქვეყნა კიდეც. იგი თუმანიანთა გენეალოგიით დაინტერესდა და დაბეჭდა სტატია „თუმანიანის გენეალოგია და ეფრემ კათალიკოსის 1813 წლის „კონდაკი“ (ჟურ. „სოვეტაკან გრაკანუთიუნ“, 1943, №3). მაგრამ სომეხი მკვლევარის ინტერესი ოვ. თუმანიანის შემოქმედებისადმი ყველაზე უკეთ გამოიხატა მის საკმაოდ მოზრდილ სტატიაში — „ჯავახეთის სურნელება“ ოვ. თუმანიანის თხზულებებში და ენა-ისტორია-არქეოლოგია“ (გაზ. „ხორპრდაიან ვრასტან“, 1938, №35, №36, №39, სომხ. ენაზე).

მას 1929 წელს მოუნახულებია ფარავნის ტბის მიდამოები. აქ მისი ყურადღება მიუპყრია ორ ციხე-ქალაქის ნანგრევებს. ეს ციხე-ქალაქები ხალხში ცნობილი ყოფილა ქორ-ოღლის სახელწოდებით. სომხურში ყოფილა ლეგენდა თეოდოსოს რმტუნის შესახებ (VII ს.). ამ ლეგენდის მიხედვით, თევა-თოროსი მოფრინდა სომხეთში და მიწის დაპატრონების მიზნით ციხე ააგო. ეს ლეგენდა ჰგავსო ფარავნის ტბის არემარეში გაგო-

ნილ თქმულებას ქორ-ოღლის შესახებ: ქორ-ოღლიც, რაშზე შემჯდარი, ერთი ციხიდან მეორეზე დაფრინავს, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხსენებულ ციხე-ქალაქიდან პირველი (მცირე აბული) დაწვრილებით აღწერა ივ. როსტომაშვილმა თავის ნაშრომებში — ქართულად (1898 წ.) და რუსულად (1901 წ.). მეორე კი აღუწერია სომეხ ეთნოგრაფს ერ. ლალაიანს (ჯავახეთი, 1895 წ., სომხ. ენაზე). მაგრამ ამ ავტორებმა აღნიშნული ციხე-ქალაქების ტიპი სწორედ ვერ განსაზღვრესო, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და განაგრძობს, — „ქორ-ოღლის“ სახელით ცნობილ ამ ციხე-ქალაქებს არავითარი კავშირი არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს XVI-XVII სს. ცნობილ ყაჩაღ ქორ-ოღლისთან. ქორ-ოღლის სახელი გამოყენებულია როგორც საზოგადო სახელი და სინონიმია მეგალითური კულტურის ტრანსფორმირებული ძეგლის (I ს. ჩ. წ. აღ-მდე).

ლეონ მელიქსეთ-ბეგის აზრით, ოვ. თუმანიანის ბალადაში („ფარვანა“) მოხსენიებული ციხე-ქალაქი უნდა იყოს ფარავნის ტბის რაიონში მცირე აბულის „ქორ-ოღლის“ ციხე-ქალაქი. ბალადაში ნახსენები „შვიდთავიანი დეკები“ -ს ატრიბუტებად მიაჩნია ვაჰან ტერიანის, მშობლიური განამას ახლო მდებარე „სურბ-სარგისი“ ან „კათ-ქარის“ (რძის ქვა) სამმეტრნახევრიანი სიმაღლის ვეშაპის ქვა. შემდეგ მიუთითებს ოვ. თუმანიანის ბალადაში („ფარვანა“) ნახსენებ მთიან ღ აბულის შესახებ შენიშნავს — მთინის სახელწოდების მთა არამც თუ ფარავნის ტბის არემარეში, არამედ მთელ ჯავახეთში არ არის. ამ სახელწოდების მთა — მთინ — არის ოვ. თუმანიანის მშობლიურ მხარეში — ლორეში. იგი ვარაუდობს: ალბათ ოვ. თუმანიანს ყურში მოხვდა ქართული საზოგადო სახელი — მთის მრავლობითი რიცხვი — მთანი, რომელმაც მოაგონა მშობლიური ლორის — მთინ. ეს ლორის მთინი ხშირადაა ნახსენები ძველ სომხურ საისტორიო ლიტერატურაში — მოსე ხორენელის ისტორიაში, ფოლკლორში და ა.შ. რაც შეეხება ოვ. თუმანიანის „თმოგვის ციხეს“, ლეონ მელიქსეთ-ბეგი მის შესახებ არსებულ ისტორიულ ცნობებს მიმოიხილავს და აღნიშნავს: „თმოგვი“ პირველად ქართულიდან გადაითარგმნა ძველ სომხურში — „თმოქ“-ად (XII-XIII სს.) (სტ. ორბელიანის „სისაკანის სახლის ისტორია“). ჯავახეთის

სომხები მას უწოდებენ — „თმოკ“, „თმუკ“, „თმბუკ“-ს, ხოლო ადგილობრივი ქურთები — „თიმოკ“, „თიმუკ“ და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი მიუთითებს თმოგვის ციხის მნიშვნელობაზე რუსთაველის ეპოქაში. აღწერს, აგრეთვე, მის გარშემო მდებარე ვარძიას, წუნდას. თმოგვის ციხის გარშემო არსებულ ქარავენსარაიების როლსა და დანიშნულებაზე ლაპარაკობს. საგანგებოდ შეეხო თმოგვის ციხის ახლოს მდებარე სომხურ სასაფლაოს და იქ არსებულ სომხურ ხაჩქარებს, რომლებზედაც არის XIV-XV ს.ს. სომხური წარწერები. გვსურს აღვნიშნოთ, რომ XIV-XV საუკუნეებამდე ჯავახეთში სომხური ეპიგრაფიკა თითქმის არ არის. საერთოდ ძველი ქართული წარწერები სომხურზე რიცხობრივად გაცილებით მეტია და უფრო ადრეულიც. ეს კი ერთ-ერთი მანიშნებელია იმისა, რომ ეს მხარე ძირძველი ქართული მიწაა, რაშიც ლეონ მელიქსეთ-ბეგს ეჭვი არასდროს შეპარვია.

ოვ. თუმანიანის პოემა „თმოგვის ციხის“ მოკლე შინაარსი ასეთია: პომის მიხედვით, თმოგვის ციხეს ნადირ-შაჰის ჯარი შემოერტყა. მეციხოვნეთა მეღგარი წინააღმდეგობის გამო მტერმა ციხე ვერ გატეხა. მაგრამ ციხისთავის — თათულის ლამაზი ცოლის დალატით მტერმა ციხე აიღო. მტერმა მეციხოვნეები დახოცა და ციხისთავის მოღალატე ცოლიც სიკვდილით დასაჯა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ამ პოემას მოუძებნა ისტორიოგრაფიული წყარო. მან გაარკვია, რომ პოემაში აღწერილი დრამა ნადირ-შაჰის დროს არ მომხდარა, რადგან ნადირ-შაჰს არ დაულაშქრავს ჯავახეთი. მსგავსი ამბავი მომხდარა შაჰ-თამაზის დროს (1524-1576 წ.წ.). ყვარყვარე ათაბაგის დედამ დედისიმედმა მოკლა ოთარ შალიკაშვილის ვაჟი ვარაზი. ამას მოგვითხრობს ვახუშტი თავის ისტორიაში (XVIII ს.). ლეონ მელიქსეთ-ბეგის აზრით, ვახუშტის მიერ აღწერილი ამბავი დაახლოებით 1573 წელს მოხდა მესხეთ-ჯავახეთში, როცა ეს მხარე დალაშქრა შაჰ-თამაზმა. ეს ტრაგიკული შემთხვევა გადავიდა ფოლკლორში. კონტამინაციის გზით ვარაზი შეიცვალა — თათულით, დედისიმედი — თათულის ცოლით. ამგვარი შეცვლილი სახით გადავიდა ისტორიული ფაქტი ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

ოვ. თუმანიანი ფოლკლორში გადასულ ამ ამბავს იცნობდა. იგი ერთ-ერთ წერილში ნათესავს წერდა: „ალბათ, თქვენ უკვე იცით, ვმოგზაურობ ლეგენდების შესაგროვებლად და ხალხის გასაცნობად საერთოდ. თმოგვის ციხეზე მინდა ავიდე. გახსოვთ თმოგვის ციხის ლეგენდა? ერთ ქალს, შაპის დედოფლად უნდოდა გახდომა“. როგორც ჩანს, სომეხი პოეტი იცნობდა მესხეთ-ჯავახეთში გავრცელებულ ქართულ ლეგენდას — „თმოგვი და დამკალა“. ანალოგიური ლეგენდა ჩაუწერია ჯავახეთში სომეხ ეთნოგრაფს ერ. ლალიანს, რომელიც მისთვის თმოგვში მცხოვრებ ქურთებს უამბნიათ („ჯავახეთის სურნელებ“, 1892, გვ. 57, სომხ. ენაზე). ქურთების მონათხრობი ლეგენდა, რასაკვირველია, მოდის ქართული ზეპირსიტყვიერებიდან, რადგან ტოპონიმი თმოგვი ქართულია. მისი გარემო ქართულია, თუმცა მაკმადიანური. თმოგველმა ქურთებმა ეს თქმულება ქართველებისგან მოისმინეს და უამბეს სომეხ ეთნოგრაფ მკვლევარს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა სომხურიდან ქართულად თარგმნა ოვ. თუმანიანის „თმოგვის ციხის ალებ“, შესავალი წერილი დაურთო და გამოსცა 1939 წელს (რედაქტორი — ი. გრიშაშვილი). შესავალში მიმოიხილავს ამ პოემის ისტორიულ და ენათმეცნიერულ რეალიებსა და შენიშნავს: ოვ. თუმანიანის მიერ ნახმარი სახელი — „თმკაბერდი“ გაუგებრობის შედეგიაო. „თმკაბერდი“ იგივე „თმოგვის ციხე“, ასეც უნდა დაეწერაო. შემდეგ მოაქვს სომხურ ფოლკლორში არასწორად ნახმარი ქართული ტოპონიმები: ხერთვისი — „ხრთვიზ“, ვარძია — „ვარძუნიქ“, ბერთაყანა — „ბერთახანა“, კუმურდო — „გიუმრდა“, ახალქალაქი — „ახალქალაკ“, ახალციხე — „ახალციხა“ და სხვ. (ერცლად იხ. გვ. „ხორპრდაიან ვრასტან“, 1938, №39).

სომეხი მკვლევარის აზრით, თმოგვი ერთ-ერთი ძველისძველი ქალაქი იყო საქართველოში, სხვათა შორის, ეს ჩანს მისი სახელწოდებიდანაც: „თმოკუ-ი“ — სპარ. magu, ფაჰალავ. mag, ბერძ. magos, სომხ. მოგ — სადაც თ- წინსართია (შდრ. ადგილის მაჩვენებელი -თა), ხოლო ფუძე — მოგ — მოგუ (შდრ. „თეძამ-ი, სადაც ფუძეა — ეძან ანუ ძამ“). ამავე ფუძიდანაა მცხეთაში — ხიდი მოგუ-თა, ბიჭინ-თა, იკორ-თა და სხვ. (გვ. 10-11).

ლეონ მელიქსეთ-ბეგი შენიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში

ნახსენები სარგის თმოგველი — „დილარიანის“ ავტორი თმოგვის ციხიდან იყო. შემდეგ ჩამოთვლის ქართულ საისტორიო წყაროებს, რომლებშიც მოხსენიებულია თმოგვი. ამ წყაროებში თმოგვი რუსთაველის ხანაზე აღრეა დაფიქსირებული. სომეხი ლტოლვილების პირველი ტალღის შემოსვლა და დასახლება თმოგვსა და მის მიდამოებში, კერძოდ ვარძიაში გაჩნდა სარგის თმოგველის, ვარამ მხარგრძელის დროს. ამას ნაწილობრივ ადასტურებს XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსების იოანე ვანაკანის (ტავეუშელის) და ვარდან აღმოსავლელის თხზულებებში დაცული გადმოცემა ვარძიის ჯვრის შესახებ. ეს ჯვარი ოქროთი ყოფილა მოჭედილი და სომხური ანბანის „გამომგონებლის“ მესროპ-მამტოცის მიერ ყოფილა ნაკურთხი. მარჯვენა ფრთაზე ჰქონია სომხური წარწერა (გვ. 12).

ი. გრიშაშვილის მიერ ოვ. თუმანიანის რჩეული ნაწერების 1937 წლის გამოცემის წინასიტყვაობა ეკუთვნის ლეონ მელიქსეთ-ბეგს. მასში ოვ. თუმანიანის შემოქმედება განხილულია ზოგადად და ქართულ პოეზიასთან მიმართებაში.

* * *

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს კანცელარიის არქივში (საქმე №787, 1869-1871 წ.წ.) ლეონ მელიქსეთ-ბეგს მიუკვლევი საიდუმლო მასალები, საიდანაც ჩანს, რომ მეფის მთავრობა საიდუმლოდ თვალყურს ადევნებდა გამოჩენილ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს მიქაელ ნალბანდიანს და მოსკოვში გამომაველ სომხური ჟურნალის („პიუსისაფაილის“) რედაქტორს სტ. ნაზარიანცს. ყოველ მათ ჩამოსვლას თბილისში ეჭვის თვალით უყურებდა და არცთუ უსაფუძვლოდ მიაჩნდა ახალგაზრდა სომეხთა საზოგადოებაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გამჩალებლად.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა დაბეჭდა სტატია — „საფრანგეთის დიდი რევოლუცია და მისი გამოძახილი სომხურ და ქართულ საზოგადოებაში“ (ჟურ. „დროშა“, 1934, №9-10). ეს სტატია ფაქტიურად არის რეცენზია ლევან ასათიანის წიგნზე — „ვოლტერიანობა საქართველოში“. ჯერ მოტანილია სომხური მასალა, რომელიც ასახავს საფრანგეთის დიდი რევოლუციის გამოძახილს სომხურ მწერლობაში. იგი განიხილავს ამ თემაზე დაბეჭდილ

სომეხი მკვლევარის თ. ავდალბეკიანის ნაშრომს (ჟურ. „ნორკ“, 1924, №4, გვ. 135, სომხ. ენაზე). ნაშრომის მიხედვით ჩანს, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესახებ ქვეყნდებოდა ინფორმაციები ჟურ. „ზღარარში“ (რედ. შაჰამირიანი), რომელიც გამოდიოდა ინლოეთში. ამ პერიოდიდან შემოდის სომხურში — გუილიტინ (გილიოტინი), ცნობები რობესპიერის და სხვათა შესახებ. აქვე ბუნდოვანი ცნობები ყოფილა დაცული მთავარეპისკოპოს იოსებ მხარგრძელ-არლუთიანსკის მიმოწერაში და ა.შ. ანალოგიური ცნობებია უთუოდ ქართულ წყაროებშიც, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და მიუთითებს ზ. ჭიჭინაძის წიგნაკზე — „ქართველ მეფეთა დროის ქართველი რესპუბლიკელები და მეფე ერეკლეს წერილები ვენეციის რესპუბლიკური მთავრობის წინაშე“ (1917 წ.). შემდეგ მიმოიხილავს ლ. ასათიანის აღნიშნულ ნაშრომს და აღნიშნავს — ვოლტერიანობის გარკვეული გავლენა ჰქონდა ალექ. ამილახვარს, დავით ბატონიშვილს, დავით ციციშვილს და ალექ. ჭავჭავაძეს. რეცენზენტი მიუთითებს — ლ. ასათიანს ვოლტერის თხზულებათა ქართული თარგმანის განხილვისას გამოჩენია პეტრე ლარაძის ერთი თარგმანი, რაც ლეონ მელიქსეთ-ბეგს თავის დროზე მიუკვლევია.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ცნობილი სომეხი პოეტის გევორგ დოდოხიანის დაბადების 100-წლის საიუბილეოდ გამოაქვეყნა წერილები, რომლებშიც მიმოიხილულია გ. დოდოხიანის შემოქმედება (გაზ. „სოვეტაკან ვრასტან“, 1958, №146, სომხ. ენაზე; „დოდოხიანის საკითხი“ (ჟურ. „ბოლშევიკური კადრებისათვის“, 1938, №12, გვ. 60) და სხვ. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა არაერთი მივიწყებული სომეხი პოეტი გააცნო მკითხველ საზოგადოებას. მათგან შეიძლება დავასახელოთ ხაჩატურ ეპრამჭიანცი, რომელსაც მიუძღვნა წერილი — „ერთი მივიწყებული სომეხი პოეტი“ („არმუანი“, მაცნე, 1940, №4-5, გვ. 73-80, სომხ. ენაზე). მკვლევარს თბილისის საცენზურო კომიტეტის არქივში მიუკვლევია ხაჩატურ ეპრამჭიანცის ლექსთა კრებული. ეს პოეტი რაფს თანამედროვე ყოფილა. მისი ლექსები ღრმა ეროვნულ-განმათავისუფლებლური სულისკვეთებით ყოფილა გამსჭვალული. ამიტომ ხაჩატურ ეპრამჭიანცის პატრიოტული ლექსები ცენზურას აუკრძალავს.

ლენ მელიქსეთ-ბეგს ეკუთვნის სტატია — “Критические замечания по работе С. Г. Арешян - “Армянская печать и царская цензура, Ереван, 1957; სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1960, ტ. 91, გვ. 425-441). მასში ლენ მელიქსეთ-ბეგი პრინციპულად და ობიექტურად განიხილავს ს. არეშიანის ნაშრომს და მიუთითებს მასში არსებულ ფაქტობრივ შეცდომებზე. განსაკუთრებით მწვავედ შენიშნავს ნაშრომის ნაკლზე, რაც შემდეგში მდგომარეობს: ს. არეშიანს არ გაუთვალისწინებია თბილისელი არმენისტების — ლენ მელიქსეთ-ბეგის, ივ. ბეგლაროვის და ან. ხარატიანის ნაშრომები, რომლებიც არეშიანის საკვლევ პრობლემას ამა თუ იმ კუთხით აშუქებდნენ. კიდევ უფრო მეტიც: არეშიანი თავის ნაშრომში უგულველყოფს „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ საარქივო მასალებს, რომლებიც დაცულია საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფოს ისტორიულ არქივში და ითვლის 1848-1905 წლების სულ ცოტა 3859 საარქივო ერთეულს.

ლენ მელიქსეთ-ბეგმა იცოდა მეცნიერული შრომის ფასი და მის დაუნახობას, უგულველყოფას არავის აპატიებდა, რასაკვირველია, თვითონაც იძლეოდა პატიოსანი კვლევა-ძიების მაგალითს და ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდა მეცნიერებს, გულისხმიერად ეკიდებოდა და მოძღვრავდა. მიუხედავად იმისა, რომ ს. არეშიანის აღნიშნული ნაშრომი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ამ გარემოებას არ შეუშლია ხელი წინ წამოეწია ამ მრავალწლიანი შრომის პოზიტიური მხარე.

უხსლესი პერიოდი (XX საუკუნე)

იოსებ გრიშაშვილი (1889-1965)

ლენ მელიქსეთ-ბეგი ინტენსიურად ადევნებდა თვალს მისი დროის მიმდინარე ქართულ და სომხურ ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებას. განსაკუთრებული ინტერესით სწავლობდა და იკვლევდა ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიის საკითხებს. ლენ მელიქსეთ-ბეგს პირადი და ლიტერატურული მეგობრობა ჰქონდა არა მარტო სომეხ, არამედ ქართველ პოეტებთან და მწერლებთან (ავ. ისააკი-

ანი, ნ. ზარიანი, ი. გრიშაშვილი, კონსტ. გამსახურდია, გ. ლეონიძე და სხვ.). მაგრამ ყველაზე ახლო მეგობრობა ჰქონდა ი. გრიშაშვილთან. მათი მეგობრობა განპირობებული იყო არა მარტო თბილისელობით, — ორივე თბილისის ძველ უბანში დაიბადა და გაიზარდა, — არამედ მათ მეგობრობას ადულაბებდა საიათნოვას სიყვარული. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა არაერთი წერილი და სტატია მიუძღვნა ი. გრიშაშვილის შემოქმედებას. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ნაშრომი „იოსებ გრიშაშვილი და სომხური ლიტერატურა“ (პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1937, ტ. XI, გვ. 121-135). ი. გრიშაშვილის შესახებ მოკლე ბიოგრაფიული ცნობების მიმოხილვის შემდეგ განიხილავს ქართველი პოეტის შემოქმედების მიმართებას სომხურ სინამდვილესთან. მის შემოქმედებას ორ პერიოდად ყოფს: პირველი პერიოდი — 1904-1920 წ.წ. ამ დროს ი. გრიშაშვილი წარმოგვიდგება სიყვარულის მომღერალ ლირიკოსად და თავის არსით ეხმიანება ავ. ისააკიანის პოეზიას, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და განაგრძობს, — „ავ. ისააკიანი და ი. გრიშაშვილი თითქმის ერთნაირად უძღერენ თავიანთ საყვარელ სამშობლოს, მშობლიურ კერას, მამა-პაპეულ სახლ-კარს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სომეხი პოეტის ბაგეებს არ სცილდება ალაგიაზი, არაგაწი, მანთაში, ბინგიოლი, შირკი და სხვ. ხოლო ქართველი პოეტი დასტრიალებს ძველ თბილისს ნარიყალათი და ხარფუხ-სეიდაბადითურთ, ზოგჯერ ხარკს უხდის ურბანიზაციას“ (გვ. 250). მან ერთგვარი ლიტერატურული პარალელი გააელო ი. გრიშაშვილის ლექსს „თათრის ქალი სურბ-სარგისში“ და ხ. აბოვიანის მოთხრობა „თათრის გოგოს“ შორის.

მას ყურადღების გარეშე არ დარჩენია ი. გრიშაშვილის განსაკუთრებული დეაწლი ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის განვითარებისა და გამდიდრების საქმეში. პოეტმა თავისი წვლილი შეიტანა გენიალური სომხური ეპოსის „სასუნელი დავითის“ ათასი წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქმიანობაში. 1939 წელს საიუბილეოდ გამოვიდა ქართული კრებული თბილისში. კრებული იხსნება ი. გრიშაშვილის ლექსით — „მუხამბაზი“. ი. გრიშაშვილმა 1940 წელს მონაწილეობა

მიიღო ავ. ისააკიანის საიუბილეო ზეიმში. მან მიუძღვნა ლექსი „ავეტიკ ისააკიანს“:

*სომხეთის ლექსის ზანძარო,
ანათებ აღარ გვიქრები;
ასრულდა შენი ოცნება,
შენი აზიზი ფიქრები,
ვით ფერი ძველი ამქრისა,
მუდამ ჩვენ შორის იქნები.*

ლეონ მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავს, რომ ი. გრიშაშვილი 1945 წელს მონაწილეობდა საიათნოვას საიუბილეო ზეიმში ერევანში. ამ დროს ი. გრიშაშვილი დააჯილდოვეს საპატიო სიგელით და სომხეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭეს. ი. გრიშაშვილს ეკუთვნის ლექსები — „ხაჩატურ აბოვიანს“, „მიქაელ ნალბანდიანს“ და სხვ. მას მოაქვს V ს-ის სომეხი ისტორიკოსის ელიშეს სიტყვები:

*ერთობა — დედაა სიკეთისა,
უთანხმოება — სიბოროტის მშობელი.*

ძველი სომეხი ისტორიკოსის ამ სიტყვების შეხმიანებად მიაჩნია ლეონ მელიქსეთ-ბეგს ქართველი პოეტის — ი. გრიშაშვილის ლექსის „მუხამბაზის“ შემდეგი სტრიქონები:

ძმობა - ზარაფხანაა, მტრობა - ფლასი იაფი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა მართებულად შეაფასა ი. გრიშაშვილის დამსახურება ქართული საიათნოლოგიის სფეროში. იგი აღნიშნავს, რომ 1918 წელს გამოცემული მონოგრაფიით ი. გრიშაშვილმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ საიათმცოდნეობას, რითაც საპატიო ადგილი დაიკავა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. ამით ქართველმა პოეტმა ერთგვარი ზიდი გასდო სომხურ ლიტერატურათმცოდნეობასთანო. მართლაც, ი. გრიშაშვილის მონოგრაფიამ საიათნოვას შესახებ ინტერესი გააღვიძა ქართულ სამეცნიერო წრეებში საიათნოვას პიროვნებასა და პოეზიის მიმართ. ამის შედეგია — კ. კეკელიძის, ალ. ბარამიძის, გ. ლეონიძის, ლეონ მელიქსეთ-ბეგის, ალ. ფოცხიშვილის, გ. შაყურაშვილის და სხვათა შრომები, რომლებშიც მეცნიერულად არის გარჩეული დიდი თბილისელი აშუღის ბიოგ-

რაფია და შემოქმედება. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ხსენებულ ნაშრომში („ი. გრიშაშვილი და სომხური ლიტერატურა“) მაღალი მეცნიერულ-ლიტერატურული შეფასება მისცა ი. გრიშაშვილის „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემას“ (1927 წ.). მიუხედავად იმისა, რომ მონოგრაფია გამოსვლისთანავე პროლეტკულტელთა მძაფრი კრიტიკის საგნად გადაიქცა, მან დროს გაუძლო და დღესაც არ შენელებულა მისდამი ინტერესი. ეს კი ი. გრიშაშვილის გამარჯვება გახლავთ. მან ცოცხლად, მიმზიდველად დახატა ძველი თბილისის ხელოსნების, ამქრების და ყარაჩოხელთა ყოფა, ზნეჩვეულება. მკითხველ საზოგადოებას კი შეახსენა და შეაყვარა დ. გივიშვილის, იეთიმ-გურჯის, გ. სკანდარნოვას, ჰაზირას ლექსები. მან სათანადოდ აღნიშნა ი. გრიშაშვილის ღვაწლი გ. სუნდუკიანის პიესების კრებულის ქართულად გამოცემის საქმეში. კრებული გამოვიდა 1950 წელს. მას წინ დართული აქვს ი. გრიშაშვილის ვრცელი სტატია — „გაბრიელ სუნდუკიანი ქართულ სცენაზე“. ეს სტატია ავტორმა შეცვლილი სათაურით („გაბრიელ სუნდუკიანი და ქართული საზოგადოებრიობა“) შეიტანა 1957 წელს გამოცემულ კრებულში — „ლიტერატურული ნარკვევები“. ი. გრიშაშვილმა ადრე იგივე სტატია სომხურ ენაზე გამოაქვეყნა ერევნის ჟურნალ „სოვეტაკან გრაკანუთიუნ ვე არვესტში“ (1950, №7), — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და განაგრძობს, — „ამ გამოცემით ი. გრიშაშვილმა დიდი სამსახური გაუწია ქართულ საზოგადოებას და სომეხი დრამატურგის შემოქმედება მათთვის ხელმისაწვდომი გახდა. ამ გამოცემამ საგრძნობლად გააცხოველა ინტერესი გ. სუნდუკიანისადმი. ქართულ თეატრში განახლებული იქნა „პეპო“-ს დადგმა (რეჟისორი დ. ალექსიძე) დიდი წარმატებით“ (გვ. 255). ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ამ გამოცემის მიმართ გამოთქვა შენიშვნები — „სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ამ ერთტომეულში არ არის მოთავსებული გ. სუნდუკიანის სხვა თხზულებებიც, რომლებიც კარგა ხანია ცნობილნი არიან ქართულ თარგმანში. მაგ. „ვარინკას ვეჩერი“, ხოლო 1911 წელს აგვისტოს 11-ში ბორჯომში დაწერილი გ. სუნდუკიანის „ანდერძი“ მოქცეულია მეცნიერ გამოცემლის (ი. გრიშაშვილის. ბ. ა.) „შესავალ“ წერილში ციტატის სახით“ (გვ. 255-256). ლეონ მელიქსეთ-

ბეგს ქართველი პოეტის მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარედ მიაჩნია პოეტი-მკვლევარის ლიტერატურულ-ფილოლოგიურ ნაშრომებზე დართული ძნელად გასაგები და იშვიათად ხმარებული სიტყვების „ლექსიკონები“. „ლექსიკონები“, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი, — შეადგენს მხოლოდ მცირე ნაწილს იმ კაპიტალური ნაშრომებისას, რომლისთვისაც ი. გრიშაშვილს ხელი მოუკიდია ათეული წლების წინ, სადაც თავმოყრილია ათასეული სიტყვა და გამოთქმა, რომელთა უმეტესობა საერთოა ქართულ და სომხურ ენაში. ამიტომ... ამ ლექსიკონის გამოცემით არამელოგია გარკვეულად მოიგებდა და მადლიერი იქნებოდა შემდგენლისადმი“.¹⁸³

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ამ ნაშრომში მიმოიხილავს, აგრეთვე, ი. გრიშაშვილის მიერ სომხურიდან ქართულად შესრულებულ თარგმანებს: ოვ. თუმანიანი, გ. სუნდუკიანი, აკ. აკოფიანი, შირვანზადე, ოვ. ოვანესიანი, ნარდოსი, გ. დოლოხიანი, გ. მაჰარი, ნაყამ-იონათანი და სხვ. შემდეგ მოცემული აქვს ი. გრიშაშვილის ლექსების სომხურ თარგმანთა ბიბლიოგრაფია.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის დიდი პატივისცემა და სიყვარულია გამოხატული ი. გრიშაშვილის 70-წლისადმი მიძღვნილ ლექსში:

შენი შენთაგანნი, შენდა შეგნირველი

(ი. გრიშაშვილს)

მიბაძვა ლექსისა „შემომბერდი...“

შემომბერდი...“ (ი. გრიშაშვილი, 1944)

*შენ შვიდ ათეულ წელიწადს გასციდი,
მე კი წელიწადს სამოცს და ცხრასა,
ერთობ ვადიდებთ უდიდეს განცდით
საქმეთ საგმიროთ ძველთ და ახალსაც.
მე მაგონდება შორეული წლები:
თმა გვამშვენებდა ხუჭუჭა თავზე,
ეხლა კი მოსილ თეთრი ეკლებით...*

დაებერდით... მაგრამ სიციოცხლით სავსე...
მიტომ მიყვარხარ, რომ კეკლუც თბილისს
ნაირფეროვნად უძღერ, ევლები,
ამსთანავე ყველგან განთქმის
მუსიკალობა შენი ლექსების.
გისურვებ ვაშას ქართულის წესით,
იყავ დღევრძელი, რაოდენ შენ გსურს,
„მრავალჟამიერს“ აწცა გიმღერით,
რომ უხეად მისწედეს ყველას გულიყურს.
შენ სამოცდაათ წელიწადს გასციდი,
მე კი წელიწადს სამოცს და ცხრასა,
ერთობ ვადიდებთ მრავალი განციდით
ჩვენს სამშობლოს ტკბილსა, ლამაზსა.¹⁸⁴

თბილისი, 1959.2.10.

ლენ მელიქსეთ-ბეგის არქივშია აგრეთვე დაცული ი. გრიშაშვილის ბარათი: „ძმარ ლენ! სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა სცემს ოვ. თუმანიანის პოემას „სასუნელი დავითი“, რომელსაც სთარგმნის ქართულად ახალგაზრდა პოეტი სურენ ავაჩიანი, თანახმა ვარ გაუკეთო რედაქცია... ი. გრიშაშვილი (1938. 8. X.)“

ლენ მელიქსეთ-ბეგი კრიტიკულად გამოეხმაურა შირვანზადეს „ქალისი“ ქართულ თარგმანს (ჟურ. „მნათობი“, 1953, №4, გვ. 145). იგი შენიშნავს: თარგმანი ორიგინალს სცილდება და მთელი აბზაცებია გამოტოვებული, რაც დედანის აზრს გაუგებარს ხდისო და სხვ.

ავ. ისაკიანის რჩეულის გამოსვლას ერევანში მიესალმა ლენ მელიქსეთ-ბეგი და მიმოიხილა მისი ლექსები — „ბინგიოლ“, „სალამი ყველას“, „ძღენათ სომეხ ზუროთმოდღერებს“ და სხვ. („სომხეთის კულტურის მათიანე“. — ჟურ. „მნათობი“, 1944, №1). აქვე შეეზო კონსტანტინე გამსახურდიას „ბელადის“ პირველი წიგნის სომხურ თარგმანს (მთარგმნელი სურენ ავაჩიანი). სომხური თარგმანი საერთოდ კარგად არის შესრულებული, მთარგმნელს ოსტატურად დაუძლევია საკმაროდ რთული ორიგინალის

მხატვრული ენა და თარგმანში მისი კოლორიტი მთლიანად დაუცავს, — აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი. მას შენიშვნებიც აქვს, უფრო ფაქტობრივი; მაგ. „ტამისკარი“ ერთ შემთხვევაში დატოვებულია „ტამის კარად“, მეორეში კი სიტყვა-სიტყვითაა გადათარგმნილი — „ტაშირი ღურნ“, „ქართლი“ რუსულის ზეგავლენით „ქართლინი“, „ბორჯომი“ — „ბორჟომ“ და სხვ. სომხურ თარგმანში უფრო უხეში შეცდომაა დაშვებული — „შირაქის“ მაგიერ არის „შირაკი“. შირაქის ველი არის გარე-კახეთში, შირაკი — სომხეთში, არფა-ჩაის ხეობაში.

თბილისში სომხური თეატრის დაარსების 100-წლის საიუბილეოდ გამოქვეყნდა სომხური თეატრის ისტორიის მოკლე მიმოხილვა (გაზ. „სოვეტაკან ვრასტან“, 1958, №133). ლეონ მელიქსეთ-ბეგი ამ წერილში ზაზგასმით აღნიშნავს, რომ თბილისის სომხური თეატრის ისტორია არის 2000-წლოვანი სომხური თეატრის ისტორიის ერთი მონაკვეთი და მისი განუყოფელი ორგანული ნაწილი. მას განხილული აქვს აგრეთვე ცნობილი სომეხი პოეტის ვაჰან ტერიანის პოეზია ქართულ გარემოსთან მიმართებაში (ჟურ. „მნათობი“, 1933, №2). ამ წერილში ქართველ მკითხველს გააცნო ვაჰან ტერიანის პოეზიის სიმბოლისტური პერიოდი და მისი განვითარების შემდგომი ეტაპები. ამავე დროს ლეონ მელიქსეთ-ბეგმა მოკლედ განიხილა ვაჰან ტერიანის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ შესავლის სომხურად თარგმნის ისტორია. ეს თარგმანი იმდენად მაღალ დონეზე იყო შესრულებული, რომ ნ. მარმა მას კონგენიალური თარგმანი უწოდა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის შრომები სომხურ-რუსულ ლიტერატურული ურთიერთობის შესახებ

სამხრეთ კავკასიაში სკვითების შემოჭრამ, რომელიც დაკავშირებული იყო მათ მიერ კიმერიელების დევნასთან, ამ ტერიტორიის ეთნო-ტოპონიმიზზე თავისი კვალი დატოვა. ეს კვალი აისახა ძველ სომხურ ისტორიო-გრაფიაში (ფავსტოს ბიზანტიელი, ანანია შირაკელი და სხვ.). კონკრეტულად შეიძლება მოვიტანოთ ამ ისტორიული მოვლენის მაგალითები: „სი-საკ-ან“, „საკ-ა-შენ“, „საკ-სტან“, „კასახ“ (შდრ. გვიანდელი „კაზახ“), —

წერდა ლეონ მელიქსეთ-ბეგი 1946 წელს ერევანში გამოცემულ ნაშრომში “Древняя Русь и армяне (взаимоотношения и мифословотворческие встречи)”. — “Сборник трудов”, издание Института языка имени Н. Марра, Акад. наук Ар.ССР, V, стр. 97-151. ამ ნაშრომში გავლებული აქვს სომხურ და ძველ რუსულ ეპოსებს შორის პარალელები. მათ შორის მსგავსებას მიუთითებდნენ აგრეთვე ნ. ტიხონოვი, ა. ტიჩინა და სხვ. ნ. მარის აზრით, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი, — რუსული სიტყვა — “Сало” - жир, жирная вещь - შემონახულია მოსე კალანკატუელის „ალბანეთის ისტორიაში“. შემდეგ მოაქვს ლ. ლოპატინსკის დაკვირვება — რუსულ და სომხურ ენებში სიტყვის წარმოება ერთი და იმავე სუფიქსით: სომხ. “erevanec” = რუს. “erevanec”, სომხ. “Tbilisec” = რუს. “Tbiliseц” და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიხედვით, რუსები სომხურ წყაროებში X საუკუნიდან გვხვდება, ხოლო სომხები რუსულ წყაროებში XI ს-ის დასაწყისიდან. პირველად არის დაფიქსირებული მოსე კალანკატუელის „ალბანეთის ისტორიაში“ (X ს.) სახელი — რუსი: „რუზიკ“ — „რუზ“. ამავე დროს ძველი სომეხი ისტორიკოსი თავის თხზულებაში აღწერს რუსთა ლაშქრობას ალბანეთის დედაქალაქში (პარტავე=ბარდაე=ბარდა=ბერდა) 943-944 წ.წ. ძველ რუსებსა და სომხებს შორის რეალური ურთიერთ-დამოკიდებულება ნათლად მოჩანს XI ს-ის დასაწყისის სომეხი ისტორიკოსის სტეფანე ტარონელის (ასოლიკიად წოდებული) „მსოფლიო ისტორიაში“, სადაც იგი აღნიშნავს რუსების ქრისტიანობაზე მოქცევის შესახებ (988 წ.). დღემდე მოღწეულია სლავური თხზულება — “Сказание арменския ереси о неделе фарисеков и мытария” (XI ს.). როგორც თხზულების სათაურშივე ჩანს, რუსები სომხებს უწოდებდნენ ერეტიკოსებს. ლეონ მელიქსეთ-ბეგი ნაშრომში საგანგებოდ მიუთითებს, რომ ძველ რუსეთში იყო აგებული ტაძრები წმ. გრიგოლის სახელზე კიევიში, ნოვგოროდში, ისევე როგორც საქართველოში — ახტალა, ბეთანია, ატენი, სამთავისი, დავით-გარეჯი XIII ს-ში. ანში — ერთ-ერთი საუკეთესო სომხური ტაძარი — მოუხატავთ რუს მხატვრებს, როგორც ნ. მარს აქვს

დადგენილი.

სომხურ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბორისსა და გლებზე თქმულების სომხურ თარგმანს XIII საუკუნეში. შემდეგ მოტანილია ნ. მარის სიტყვები რუსულ კულტურაზე სომეხთა გავლენის შესახებ, რომელიც წამოიჭრა სამეცნიერო წრეებში 1881 წელს არქეოლოგთა ყრილობაზე თბილისში. ნ. მარის სიტყვით, “армянское (культурное) влияние заметно не только в сельджукском искусстве Малой Азии, а раньше него на архитектуре Византии и особенно древнерусской, во всяком случае вместе с русскими, армяне имеют унаследованный от одной и той же доисторической эпохи художественный вкус” (სომხური კულტურა, გვ. 72). ნ. მარის ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით ლეონ მელიქსეთ-ბეგი წერს: “...вопросы о происхождении армянских колоний в Польше и Крыму - по мнению Орбели¹⁸⁵ - было бы очень важно для обсуждения пока еще гадательных теорий некоторых восточных, в частности, армянских влияний на русское искусство.”

ასეა თუ ისე, შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი, სომეხი ვაჭრები კომერციულ საქმიანობას ეწეოდნენ X-XVI-XVIII საუკუნეებში — “...из Ирана по Каспию до Астрахани и далее по Волге через Нерехту Костромской губернии до Белого моря и на Скандинавии стал известен под названием “великого армянского торгового пути”, или “армянской дороги”.

ეს ე.წ. „სომხური გზა“ შესულა რუსულ ფორლკლორში ორსტრიქონიანი ანდჰის სახით:

Не бойся на армянской дороге воров.

Бойся в Нерехте каменных домов.

რუსული ლიტერატურის დიდი წარმომადგენლის ალ. გრიბოედოვის მკვლევლობას მიუძღვნა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა სტატია — “Мануил Кюмюшханец о событиях вокруг убийства А. С. Грибоедова”

(თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1939, ტ. X, გვ. 109). მასში მოცემულია ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა რუსულ და სომხურ ენებზე გამოცემულ შრომებისა, რომლებშიც აღწერილია ალ. გრიბოედოვის მკვლევლობა თეირანში (1829 წ.). ეს ავტორებია — ი. ენაკოლოფოვი, ა. შერმაზანიანი, მ. ალავერდიანი და ალ. ერიციანი. ამის შემდეგ წარმოდგენილია ახალი მასალა ალ. გრიბოედოვის მკვლევლობის შესახებ. ეს გახლავთ მანუელ კიუმიუშხანეცის მემუარები სომხურ ენაზე, რომელშიც გარდა ალ. გრიბოედოვის მკვლევლობისა, ყოფილა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მასალები ამიერკავკასიის ისტორიისა (XIX ს-ის პირველ ნახევარში). თვით მემუარების ავტორი არის ერთ-ერთი თვალსაჩინო პედაგოგი, ფილოლოგი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე XIX ს-ის პირველ ნახევარში. მას ჰქონია გამოცემული სომხურ ენაზე წიგნები: „მემუარები“ (1841 წ.), „სეევანის მონასტრის ისტორია“ (1871 წ.). ლეონ მელიქსეთ-ბეგის დამსახურებაა ის, რომ მან სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება მიაპყრო მ. კიუმიუშხანეცის „მემუარებში“ არსებულ უცნობ მასალას ალ. გრიბოედოვის მკვლევლობის შესახებ და სამეცნიერო მიმოქცევაში შეიტანა იგი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი სისტემატურად გამოდიოდა, აგრეთვე, სამეცნიერო კონფერენციებსა და სესიებზე მოხსენებით რუსი კლასიკოსების სომხურ ლიტერატურასთან ურთიერთობის შესახებ („ნ. გოგოლი და სომხური ლიტერატურა“. — გაზ. „სოვეტკან ერასტან“, 1954, №5). უფრო ადრე, 1939 წელს გაზ. „ხორპრდაიან ჰაიასტანში“ (№261) დაიბეჭდა მისი სტატია „სომხური სიძველეები დასავლეთ უკრაინაში“ და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი აზერბაიჯანის შესახებ

ლეონ მელიქსეთ-ბეგი იყო კავკასიოლოგი და ამ დარგში თითქმის არ დარჩენილა საკითხი, რომ მას თავისი მეცნიერული აზრი არ გამოეთქვა. ერთ-ერთი ასეთი საკითხი გახლდათ აზერბაიჯანის ისტორიის ქართული წყაროების მოძებნა, რასაც მიუძღვნა ნაშრომი (“Обзор источников по истории Азербайджана”. Вып. II, Баку, 1939, стр. 190). მასში წარმოდგენილია ქართული ისტორიული წყაროები აზერბაიჯანის შესახებ

— იაკობ ხუცესის „მუშანიკის წამებზე“, ქართული ისტორიული ქრონიკები, მეგუარები და ა.შ. აქვე გვინდა შევნიშნოთ, ზოგიერთი მეცნიერისგან განსხვავებით ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გაიზიარა „მუშანიკის წამების“ ქართული ვერცხლი რედაქციის პირველადობა: „Как установлено, первоичной является пространная грузинская редакция, принадлежавшая перу Якова, к каковой редакции восходит пространная армянская, с этой последней впоследствии было сделано сокращение на армянском языке, которое легло в основу краткой грузинской редакции.“ ლეონ მელიქსეთ-ბეგის აზრით, „მუშანიკის წამებში“ აღწერილ კლიმატს არაპირდაპირი დამოკიდებულება აქვს აზერბაიჯანთან. ასეთად თვლის ჰერეთს, რომლის ცენტრი იყო ცურტავი — „по нашему определению, на месте нынешнего сел. Арыхло по р. Храму, что между ст. Сандар и сел. Люксембург, в пределах Грузинской ССР, а также упоминание Чоры.“

იგი ამ ნაშრომში განიხილავს არსენ საფარელის თხზულებას — „განყოფისა-თვის ქართლისა და სომხითისა“ (IX ს.). ამ ტრაქტატში აზერბაიჯანის ისტორიის შესახებ ცნობები გვხვდება გზადაგზა: ალბანეთის კათალიკოსი აბასი და სხვ. შემდეგ მოაქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დაცული შემდეგი ცნობა: ალექსანდრე მაკედონელმა ქართლში ლაშქრობის დროს მტკვრის ხეობაში ნახა ე. წ. „ბუნ-თურქები“, რომლებიც, ნ. მარის აზრით, იყვნენ „природные турки“. ლეონ მელიქსეთ-ბეგი კი ფიქრობს, ისინი „ჰუნ-თურქები“ უნდა ყოფილიყვნენ. ამ „ჰუნ-თურქების“ შესახებ დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა და მისი ეტიმოლოგია ცალსახად გარკვეული არ არის. ჯუანშერის „ვახტანგ გორგასალის ისტორიაში“ მოხსენიებულია ატარპატაკანი (აზერბაიჯანი), დარუბანდის კარი, შაკი, შირვანი, გაგი, ბარდაგი და სხვა, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი და განაგრძობს, — სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში — „ბაგრატიონთა ისტორია“ — ლაპარაკია ბაგრატიონთა ისტორიაზე უძველეს დროიდან XII ს-მდე, აგრეთვე მთელ კავკასიაზე — ვიქეთიდან გურგანის ზღვამდე, სამხრეთ აზერბაიჯანზე, შირვანზე და სხვ. აზერბაიჯანი ასევე მოხსენიებულია „მატი-

ანე ქართლისაში“, „ვისრამიანში“, იოანე შავთელის „აბდულ მესიანში“, ჩაბრუნების „თამარიანში“, აბუსერიძე ტბელის „წმ. გიორგის სასწაულში“. აქ აღნიშნულია, რომ წმ. გიორგის ხატი განძიდან ალავერდამი გადაიტანესო.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი განიხილავს ქართულ საისტორიო წყაროებს, სადაც მოხსენიებულია ზერბაიჯანი: ფარსადან გორგიჯანიძის (XVII ს.) „საქართველოს ისტორია“ და „ოსმალთა მეფის ისტორია“. პირველში მოთხრობილია თემურ-ლენგის მიერ ყარაბაღის დაპყრობა. თემურ-ლენგი ყარაბაღიდან განახორციელებდა თავდასხმებს — ზერბაიჯანზე, დაღესტანზე, საქართველოზე და სომხეთზე. მეორე წყაროში აღწერილია სულთან მურადის (1574-1595 წ.წ.) მიერ ზერბაიჯანის, შირვანის და ყარაბაღის დაპყრობა. ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებებში — „საქართველოს ისტორია“, „ქრონიკა“, „საქართველოს გეოგრაფია“ — მოხსენიებულია განჯა, ყუბა, შაკი, ხამსი — იგივე არცან-ყარაბაღი. ხამსი არის არაბული და ნიშნავს ხუთს. იოანე ბაგრატიონის „კალმასობაში“ გვხვდება ცნობები ზერბაიჯანის ისტორიის შესახებ და სხვ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა აღნიშნულ ნაშრომში, შეიძლება ითქვას, პირველმა შეკრიბა და განიხილა ქართული საისტორიო წყაროები მოძვე ზერბაიჯანელი ხალხის ისტორიის შესახებ.

1936 წელს გამოვიდა აკად. ე. ბარტოლდის „ზერბაიჯანის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“. ქართული თარგმანი ეკუთვნის გრიგოლ ჭყონიას. ამ წყაროს რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორია ლეონ მელიქსეთ-ბეგი. წიგნი განკუთვნილი იყო თბილისის უნივერსიტეტის ენის, ისტორიის და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოდ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოაქვეყნა სტატია — „არქეოლოგიური მოგზაურობა“ (გაზ. „სოვეტაკან ვრასტან“, 1957, №3). კავკასიოლოგიაში რიგ პრობლემასთან დაკავშირებით საჭირო იყო მონახულებინა განძასარაის და ამარას ეკლესიები ზერბაიჯანში. ამ მოგზაურობაში ხელი შეუწყო ზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს და მისთვის გამო-

უყვია მანქანა. მას თან ხლებია სტეფანაკერტის რაიონული მუზეუმის დირექტორი ს. ჰახუმიანი. ერთი სიტყვით, ლეონ მელიქსეთ-ბეგს 1957 წელს უმოგზაურია მთიან ყარაბაღში. ჩემი მოგზაურობა აზერბაიჯანში დაიწყო წითელი ხიდიდან, — წერს ის და უმატებს, — ამ ხიდს „გატეხილი ხიდიც“ ეწოდებოდაო. წითელი ხიდი საინტერესოა იმითაც, რომ მისი ბურჯების ძირში აღმოჩნდა XVI-XVII ს-ის არაბული წარწერა. ხიდის ერთ მხარეს ყოფილა თეთრი ქვის ფალოსი, რომელიც გადაუტანიათ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ეს ხიდი ამიერკავკასიაში ყველზე ძველი ხიდიაო, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი. კიროვაბადში ღამის გათევის შემდეგ წასულა ნიზამი განჯელის საფლავის სანახავედ. შემდეგ ქალაქ ევლახიდან წასულა მდინარე — თართარ აუზში, სადაც იყო ძველი და ახალი ბარდავი ან პართავი, სადაც იყვნენ V-VII საუკუნეებში სასანიანთა მშრპანები, VIII-X საუკუნეებში არაბი ამირები, ხოლო XIII ს-ში იყო ალბანეთის კათალიკოსის ტახტი. ირან-ალბანეთის დედაქალაქი დაწერილებით აღწერეს IX-X ს.ს. არაბმა გეოგრაფებმა და ისტორიკოსებმა. XI ს-ის ქართველმა ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა კი ბარდავის სახელი დაუკავშირა ძმების ჰაოსის და ქართლოსის ლეგენდაში მოხსენიებულ ბარდოსს, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

მთიან ყარაბაღში მოგზაურობის დროს იგი მოიხსენიებს მდინარეს — გარგარ (კარკარ), რომელიც მოედინება შუა ყარაბაღში. მდინარის სახელწოდების — გარგარ-ის მიხედვით დაასკენის, რომ აქ ცხოვრობდნენ სტრაბონის ისტორიაში მოხსენიებული გარგარები. ეს ტომი ნახსენებია კორინთის „მამტოცის ცხოვრებაში“. გავიარე თუ არა ასკარანის ციხე, — შენიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი, — გამახსენდა ცნობილი აშული მოსკინბურჯი. მას მიაჩნია: ყარაბაღი — შავი ბაღი, ბაღ — ბაღ — (პაღ) — ხალხის სახელია, ძველად უწოდებდნენ — „ბაღქ“ ან „ბაქაც-აშხარჰ“ (მუმ-ტარონში — „პალუნიქ“). ეს „ბაღი“ ტერმინის საგანია — „ბაღ-ა-საკანი“-ში. მოუნახულებია განძასარაის კომპლექსი — ეს არის სომხური არქიტექტურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში, — ამბობს ლეონ მელიქსეთ-ბეგი. შემდეგ აღწერს განძასარაის ვანქს (XII ს.) და მასთან დაკავშირ-

ბულ ისტორიულ მოვლენებს. აქ არის პოქპანეს და სარგის ალბანთა კათალიკოსების საფლავები. ამ საფლავების მარჯვნივ ყოფილა საფლავი ყარაბაღის კულტურის დიდი მოამაგის ბაღდასარ მიტროპოლიტ ქასან ჯალალიანცის. ქასან ჯალალიანცს XIX ს-ის პირველ ნახევარში შუშაში დაუარსებია სომხური სკოლა და სტამბა, სადაც არაერთი სომხური წიგნი დაბეჭდილა. ვანქის პირდაპირ არსიო „აპრიამ-ბეგის წყარო“, იქვე ყოფილა ხაჩქარები, სომხური წარწერებით (1229 წ.). განძმასრაიდან დაბრუნების მეოთხე დღეს მოუნახულებია მარა ანუ ამარასი. იგი აღწერს XIII ს-ის ამარასის ვანქს, რომლის გარშემო ყოფილა 40-მდე ბაზილიკა. მოუნახულებია სოფელი ჩანახჩა, სადაც 1826 წელს გადაიწერა „ვეფხისტყაოსანი“.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ზერბაიჯანის ისტორიის წყაროთამცოდნეობის საკითხებით კი არ იყო მარტო დაინტერესებული, არამედ ზერბაიჯანულ ლიტერატურასაც მისწვდა მისი მეცნიერული ინტერესი. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ერთ-ერთი ნაშრომი — „Архетип поэмы “Хосров и ширин” в армянской редакции VII века” (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1942, ტ. III, №10). ამ ნაშრომში მოტანილია ნიშაში განჯელის პოემის „ხოსროვი და შირინის“ შინაარსში ასახული სომხეთი და სომხური გარემო. იგი ჩერდება „ხოსროვი და შირინის“ ცალკეული დეტალების შეხვედრაზე სომხური თქმულების — „არა მშვენიერსა და სემირამიდასთან“. ამავე დროს შენიშნავს — ძველ სომხურ მწერლობას არ გააჩნია თარგმანი ირანული და ქართული რაინდული ლიტერატურიდანო. შუა საუკუნეების სომეხი პოეტები, კერძოდ კონსტანტინე ერზინკაელი (XIV ს.) ახსენებს ამა თუ იმ ირანულ და ქართულ ეპიკურ თხზულებას, მაგრამ ესეც უთუოდ ფოლკლორული ვერსიებიდან უნდა მომდინარეობდეს და არა მწიგნობრული გზითო.

ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაში, კერძოდ ფავსტოს ბიზანტიელის „ისტორიაში“, ერზნიკ კოლობელის „განქიქებაში“, აგრეთვე მოსე ხორენელის და სებეოსის ისტორიებში ძველი სომხური ეპოსის რესტავრაციისთვის ფასდაუღებელი მასალებია შემონახული. განსაკუთრებით გამო-

ყოფს სებეოსის (VII ს.) თხზულებას, რომელიც არის სასანიანთა ეპოსის ისტორიკოსი. იგი მნიშვნელოვანია იმიტ, რომ მას დაცული აქვს პოემა „ხოსროვი და შირინის“ პრენიზამისეული არქეტიპი სომხურ ფოლკლორულ ვერსიაში.“ სებეოსის ამ ჩანაწერის შემოკლებულ პერიფრაზად თვლის XII ს-ის სომეხივე ისტორიკოსის მხითარ ანელის ვერსიას. ლეონ მელიქსეთ-ბეგი მართებულ დასკვნას იძლევა, როცა წერს სებეოსის ისტორიაში დაცულ ამ პოემის შინაარსის შესახებ — „ხოსროვი და შირინის“ სომხურ ფოლკლორიდან მომდინარე სასანიანთა ეპოქის (VII ს.) სომხურ არქეტიპის გამოვლინებას მეცნიერებისთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც იმავე სასანიანთა ეპოქის (III-VII ს.ს.) სინზე აღბეჭდილ და ირანულ ფოლკლორიდან მომდინარე სცენას აქლემებზე შემჯდარ ბარამ-გურიანის და ზადეს ნადირობას ქურციკებზე, რომელიც შემდეგში საუცხოოდ არის გამოყენებული ფირდოუსის მიერ „შაჰნამეში“. შემდეგ მოტანილი აქვს სებეოსის ისტორიიდან „ხოსროვი და შირინის“ არქეტიპის შინაარსი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის არქივში დაცულია არაერთი მასალა, რომლითაც მტკიცდება, რომ იგი სისტემატურად და არა ეპიზოდურად სწავლობდა ზერბაიჯანის ისტორიის, ლიტერატურის, კულტურის საკითხებს: „ზერბაიჯანელი ხალხის გმირული წარსული“ (მანქანზე ნაბეჭდი 5 გვერდი) (1945 წ.); „საქართველოს, სომხეთის და ზერბაიჯანის კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XII-XVII ს.ს.“ (4 გვერდი). ეს არის მოხსენების თეზისები, ქართულ და რუსულ ენებზე. აქვეა ლეონ მელიქსეთ-ბეგის ხუთი წერილი რუსულ ენაზე. ეს წერილები გაგზავნილია ზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორისადმი. მას ერთვის „ზერბაიჯანის ისტორიის სომხური წყაროების“ I-II ტომების პროსპექტი. არქივში გვხვდება სხვადასხვა ხელნაწერები და მანქანზე ნაბეჭდი მასალა, რომლებიც ამა თუ იმ კუთხით შეეხება ზერბაიჯანის ისტორიისა და მწერლობის საკითხებს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი - “ARMENO-HEBRAICA”

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ამ სახელწოდებით გამოაქვეყნა ნაშრომი —

“Труды гос. историко-этнографического музея евреев Грузии”, 1945, т. III, стр. 217). გასული საუკუნის 40-იან წლებში ასეთი სპეციალური მეცნიერული გამოკვლევა სომხურ-ებრაული და ებრაულ-სომხური ურთიერთობის ისტორიის შესახებ კავკასიის მასშტაბით ვერ ვიტყვით, მაგრამ საქართველოში პირველად მან გამოაქვეყნა. იგი თვით აღნიშნავდა — მას, როგორც არქეოლოგს ვაღიარებულად ჩაუთვლია თავი მოეძია და განეხილა ძველ სომხურ წყაროებში დაცული ცნობები ებრაელთა შესახებ. მან თავის ნაშრომში ოთხ პუნქტად გამოყო სომხურ წყაროებში შემონახული ებრაელთა სომხური სახელწოდებანი:

1) „ჰრეა“, ქართულში შეესაბამება „ჰურიან“, „ურიან“, „ურიასტანი“.

2) „ჰებრაელი“, „ებრაელი“. ქართულში გადმოდის — ებრაელი, ქართველი ებრაელი.

3) „ისრაიელ“, „ისრაიელი“. ორივე იხმარება ეთნიკური და გეოგრაფიული გაგებით.

4) „იჰჰუტ“, „იჰჰულ“ — იხმარება არა მხოლოდ კონფესიურ აღმსარებლობითი გაგებით — „იუდა“, არამედ არის შეურაცხმყოფელი სახელი — „ჟიდი“.

შემდეგ მოაქვს სომხური ბიბლიიდან მასალა, რომლებშიც ნახმარია სახელი „ებრაელი“ სხვადასხვა ვარიანტებით.

ლენ მელიქსეთ-ბეგი ამ გამოკვლევაში განიხილავს ბიბლიურ-არამეულ ლეგენდებს, რომლებშიც მოხსენიებულია სომხეთი და სომხები. აქედან გამოყოფს ხუთ სიუჟეტს ბიბლიიდან, რომელშიც გვხვდება სახელწოდება — არარატ, ასქენაზ, თოგარმა, არმენია. ნაშრომის ერთ-ერთ თავში აღნუსხულია არამეული ეპიგრაფიკის ძეგლები სომხეთში. სევანის ტბის ნაპირას, სოფ. კულალსა და ზემო კარაკლუხში იქნა ნაპოვნი ბაზალტის წარწერიანი სტელა. ამ წარწერიანი სტელას ფოტოსურათი გასამიფრად გადაეუზავენა აკად. პ. კოკოცეცს ლენინგრადში (ამჟამად სანქტ-პეტერბურგი). აკად. პ. კოკოცეცის აზრით, წარწერის მოხაზულობა არამეულია, მაგრამ გაურკვეველია ენის მიხედვითო. ამ საილუმოებით მოცული წარწერის წაკითხვა სცადა აბ. ჰაიზეტმა. მისი აზრით, ეს წარწერა

არის მოხაზულობით არაბული, მაგრამ ენობრივად ქალღურ-უდინური. შემდეგ ლეონ მელიქსეთ-ბეგს მოაქვს ა. ბორისოვის მოსაზრება, რომ ეს წარწერა მოხაზულობით არამეულია, ენის მხრივ კი არის სომხური ან ფეჰლევეური. ქრონოლოგიურად კი განეკუთვნება II ს. ჩვ. წ. აღ-მდე. ეს არის სომეხთა მეფის არტამეს I-ის მეფობის ეპოქა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგს მოაქვს, აგრეთვე, მხითარისტის დ. ალიშანის მიერ ნანახი წარწერა, რომელიც არის ბაგრევანდში, ჰოვანნავანქის ეკლესიის კედელზე დაცული. წარწერა უცნობი ასოებით ყოფილა შესრულებული. დ. ალიშანი მას მიიჩნევს ქალღურ ან ძველ სირიულ წარწერად.

აღნიშნული ნაშრომი მიმოხილვითი ხასიათისაა. მასში ერთ-ერთი საინტერესო თავია — „ებრაელები ძველ სომხეთში“. ებრაელების, ისე როგორც ასირიელების და საერთოდ სემიტების გამოჩენა ძველი სომხეთის ტერიტორიაზე ხდება აქემენიდების სპარსეთში მეფობის დროს. ამ ეპოქაში მთავარ როლს ვაჭრობაში ასრულებდნენ სემიტები. ამიტომ, როგორც აკად. ი. მანანდიანმა დაადგინა, ვაჭრობასთან დაკავშირებული ტერმინები სომხურ ენაში შემოსული ყოფილა სირიულიდან: კოლონია, ბაზარი, დუქანი, ანგარიში და სხვა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ებრაულ, არამეულ, ბერძნულ, სომხურ და ქართულ წყაროებზე დაყრდნობით ფიქრობს, რომ ებრაელთა გამოჩენა სომხეთში მოხდა სომხური სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე დიდი ხნით ადრე. მისი ვარაუდით, ებრაელების პირველი მასიური გადასახლება სომხეთში მომხდარა ტიგრან II-ის დროს (I ს. ჩ. წ. აღ-მდე), როცა მას დაულამქრავს სირია და პალესტინა. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის იოსებ ფლავიუსი, მოსე ხორენელი, ფავსტოს ბიზანტიელი და სხვანი, — წერს ლეონ მელიქსეთ-ბეგი. მას მოაქვს ფავსტოს ბიზანტიელის ცნობა იმის შესახებ, რომ IV ს-ში ჩვ. წ. აღ-ით, სომხეთში 10 ქალაქში ცხოვრობდნენ ებრაელებიო. მათ რაოდენობას 100000-მდე ვარაუდობენ (მ. აბელიანი, გ. ხალათიანი და სხვ.).

მან გაარკვია, რომ არაბთა ბატონობის ხანაში (VII-VIII ს.ს.) სომხეთში

ებრაელთა კვალი უკვე აღარ ჩანს. მას ებრაელთა კვალის გაქრობის მიზეზები სომხეთში სამ პუნქტად აქვს ჩამოყალიბებული:

- 1) ებრაელები სომხეთში გაქრისტიანდნენ, ე.ი. გასომხდნენ;
- 2) რომაელ-სპარსთა და შემდეგ ბიზანტია-სპარსთა მეტოქეობის პერიოდში ებრაელები სომხეთიდან გაასახლეს სპარსეთში, როგორც პროგრესული ელემენტი;

3) სომხეთში მცხოვრებ ებრაელებთან მიმდინარეობდა კონკურენცია სომხების და არაბების მხრიდან, ამიტომ შევიწროვებული ებრაელები გადასახლდნენ მეზობელ საქართველოში, ალბანეთში, ნაწილობრივ კასპიის ზღვის სანაპიროზე — ლენქორანიდან დაწყებული დერბენამდე, აგრეთვე სპარსეთსა და ხაზარეთში.

ებრაელთა არსებობა სომხეთში აისახა ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაში — სებეოსი, ზაქარია ჰოვანნავანქელი, არაქელ თავრიზელი, გრიგოლ მაგისტროსი, მათე ედესელი და სხვ. ლეონ მელიქსეთ-ბეგს შემდეგ მოაქვს გამოჩენილი სომეხი საეკლესიო მოღვაწის გრიგოლ ტათეველის თხზულებიდან („კითხვათა წიგნი“, 1397-1407 წ.წ.) ერთი თავი — „ებრაელთა წინააღმდეგ“, რომელშიც ქრისტიანულ-მონოფიზიტური აღმსარებლობის პოზიციიდან მხილებულია „იუდაიზმი“ და ა.შ. X ს-ის სომეხი ისტორიკოსის უხტანესის ტრაქტატში („ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“) ქართველთა და სომეხთა საეკლესიო განხეთქილების მიზეზად მიჩნეულია კირიონ ქართველთა კათალიკოსი, რომელიც წარმოშობით იყო ჯაეახეთიდან, სოფელ სკუტრიდან. სკუტრი შეიძლება იყოს სოფელი კოთელია, — ვარაუდობს ხსენებულ ნაშრომში ლეონ მელიქსეთ-ბეგი და წერს, — უხტანესი კირიონს „სკუტარეც“-ს (სკუტარელს) უწოდებს. შეიძლება ეს იყოს იუდა „სკროეტაის“ („ისკარიოტელის“) ანალოგიით. ნაშრომს ბოლოს აქვს დართული ზაქარია ჰოვანნავანქელის ისტორიიდან თავის — „ებრაელთა წინააღმდეგ“ — რუსული თარგმანი. სომხური ბიბლიის თარგმნა საუკუნეების მანძილზე ნაწილ-ნაწილ მიმდინარეობდა, — აღნიშნავს მკვლევარი სომხური ბიბლიის თარგმანის ისტორიის შესახებ მიძღვნილ თავში, რომელშიც გვაუწყებს — XIX ს-ის

დასასრულს ეჯიმიანში ეპისკოპოს კარაპეტ ტერ-მკრტიჩიანის თაოსნობით მზადდებოდა ებრაულ მასორთან, არამეულ თარგუმთან, სირიულ ჰეშიტთან და ბერძნულ სექტანტთან შედარების გზით სომხური ბიბლიის კრიტიკული გამოცემა, მაგრამ ინიციატორთაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ გამოსულა. რაც შეეხება ებრაულ ლექსიკას, იგი სომხურში შესულია სირიული ან ბერძნული გზით. სომხურ გვარებშია ებრაული ძირები — აპარონიან, ისაკიან, ისრაელიან, რაბილ, ზაბელ და სხვ. ნაშრომში ზაზგასმით არის აღნიშნული, რომ სომხური ელემენტი იერუსალიმში უძველეს დროიდან იყო, რაზეც მიუთითებს წმ. იაკობის მონასტრის არსებობა ამ ქალაქში. ამავე დროს ჯერ კიდევ VII ს-ის დასაწყისში შეიქმნა ყოველგვარი პირობა, რათა ჩამოყალიბებულიყო იერუსალიმის სომხური საპატრიარქო, რომელიც დღემდე არსებობს, — წერს დასასრულს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

* * *

ლეონ მელიქსეთ-ბეგს აქვს ნაშრომები ბიზანტიური და უკრაინული მწერლობის შესახებ, აგრეთვე, დიპლომატიკის ისტორიიდან და სხვ. 1964 წელს ერევანში სომხურ ენაზე გამოვიდა მისი ბიბლიოგრაფიულ-ანალიტიკური ნაშრომი „სომეხი მწერლები და საქართველო“ (წიგნი პირველი). ეს წიგნი სცილდება მიზანს და მასში წარმოდგენილია მასალები და ნარკვევები სომეხი მწერლების შესახებ, რომელთა შემოქმედება ამა თუ იმ კუთხით დაკავშირებული იყო საქართველოსთან. ესენია — ზაჩატურ აბოვიანი, მიქაელ ნალბანდიანი, მიქაელ, გაბრიელ და ქერობე პატკანიანები, რაფაელ პატკანიანი, სმბატ შახაზიზი, გევორგ დოდოხიანი, გრიგოლ არწრუნი, რაფი, პერკ პროშიანი, გაბრიელ სუნდუკიანი, ოვ. თუმანიანი, მურაცანი და სხვ. მასში წარმოდგენილია, აგრეთვე, სომხური პრესის ისტორია საქართველოში. მაგრამ ლეონ მელიქსეთ-ბეგის ბიბლიოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი ნაშრომების სია ამით არ ამოიწურება. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნას მიუძღვნა საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების კატალოგის პირველი ტომი (1949 წ.). ეს არის მეცნიერული, საც-

ნობარო ზასიათის ნაშრომი და მასში თავმოყრილია ქართული და სომხური წყაროები ფეოდალური საქართველოს შესახებ. მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და ამ დარგის სპეციალისტის სამაგიდო წიგნად ითვლება. ამ წიგნის შესახებ არქივში დაცულია ცნობილი ისტორიკოსის, პროფ. მაქსიმე ბერძნიშვილის წერილი:

ლეონ ჩემო! წარსულ კვირას საღამოს (18.IX.) შენს ლეონიდეს პოეტანა ჩემთვის შენი „ნობათი“. შეეწუხდი, რომ ჰირადად ვერ ენახე და ვერ შემოგიტყალე მადლობა. ამიტომ ესლა სიტუეიერის ნაცულად წერილობით გწირაუ დიდ მადლობას ხსოვნისათვის. ძვირფასი ნამუშეარია შენი „კატალოგი“. მოგცეს ზეცამ მხნეობა და ძალი ასეთი ნობათები ბუერი მიგეძლენას ჩენი მეცნიერებისათვის, რომლის წარმატების წრფელი სურვილის მქვერმეტუეველ ნიმუშს წარმოადგენს ეს კატალოგი. ვფიქრობ, თუ მოვიცალე და სიზარმაცეც არ მომერია, ბიბლიოგრაფიული შენიშენა დაენერო „სამჭოთა მასწალეებელში“ (ასე ქეიან) მოსათაკუბლად. იმედია, ამ გაზეთში ნაკლებად დამიმახინჯებენ. შენი მეუღლით და შვილებით იცოცხლე, მრავალყამიერ. შენს მეუღლეს მიულოცე მოახლოებული დღეობა.

შენი მაქსიმე.

1949.9.24.

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა თავისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის უმეტესი ნაწილი მიუძღვნა ხალხთა შორის, განსაკუთრებით კავკასიის ერების ისტორიის წყაროთმცოდნეობისა და ისტორიულ-ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის წარსულის კვლევის საკითხებს. ამ დარგში მუშაობას მან ხელი მოკიდა ივ. ჯავახიშვილის რჩევით და თბილისის უნივერსიტეტში მოსვლისთანავე სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა ამ საჭირო და საპატიო საქმეს. ამას აკეთებდა რწმენით და გულწრფელად. ცხარობდა, თუ რაიმე მიზეზის გამო ოდნავი ჩრდილი

მიადგებოდა ქართველი და სომეხი ხალხის მრავალსაუკუნოვან მეგობრობას. მე პირადად არაერთგზის მომისმენია მისგან რაღაც ბავშვურად გაჯავრებული ტონით ნათქვამი სიტყვები — ათეული წელია ჩვენი ხალხების ურთიერთობას ვიკვლევ და ძმობას ვქადაგებ. შეხვდებიან სომეხი და ქართველი ფეხბურთელები ერთმანეთს, გაკრავენ ბურთს ფეხს და უცებ წყალში მყვრება ყველაფერიო...

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა დიდი რუღუნებით და დაუღალავი შრომით შეაგროვა ქართულ საისტორიო და ლიტერატურულ წყაროებში გაფანტული ცნობები სომხეთის და სომხების შესახებ, დაურთო სათანადო სამეცნიერო აპარატურა და სომხურ ენაზე მოამზადა ოთხი ტომი. აქედან გამოაქვეყნა სამი — 1934, 1936 და 1955 წლებში.

გეოვრგ ბაშინჯაღაინი იყო ცნობილი სომეხი მხატვარი. დაიბადა და გაიზარდა თელავში. მოღვაწეობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და ძალიან დიდი დახმარება გაუწია ი. გრიშაშვილს საიათნოვანზე მუშაობის დროს. სომხურიდან ქართულად გადაუთარგმნია არაერთი სომხური წყარო საიათნოვას შესახებ და სხვა. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა მიუძღვნა გეოვრგ ბაშინჯაღაინს წერილი. ამ სტატიასთან დაკავშირებით სომეხი მხატვრის შვილი, ზაქარია ბაშინჯაღაინი სწერდა ლეონ მელიქსეთ-ბეგს: „თქვენ დიდ საქმეს მოაბით თავი და ეს მნიშვნელოვანი მარტო იმით კი არ არის, რომ მართებულად გაამუქეთ სომხური კულტურის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენლის მოღვაწეობა, არამედ თქვენი ცნობები თავის მხრივ აახლოვებს სომეხი და ქართველი ხალხების კულტურას და განამტკიცებს მეგობრობას“.¹⁸⁶

აქვე გვსურს მოვიტანოთ აკად. შ. ძიძიგურის ლეონ მელიქსეთ-ბეგისადმი გაგზავნილი წერილიდან ამონარიდი — „თქვენ ვერვინ შეგედრებათ ამ მხრივ, ვერვინ დაიჩქმებს ორი მეზობელი და მეგობარი ერის სამსახურში ისე ვაჟაკურად იდგეს, როგორც თქვენ.“

ლეონ მელიქსეთ-ბეგი იყო მრავალი ქართული და სომხური წიგნის და სახელმძღვანელოს რედაქტორი. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ დაეასახლებ რამდენიმეს:

1) ქართული ენა. სახელმძღვანელო სომხური სკოლებისათვის. გამოცემები — 1938, 1939 და 1940 წ.წ.;

2) „მასალები ამიერკავკასიის ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის“, 1940;

3) რედაქცია და წინასიტყვაობა წიგნისა — „ოვ. თუმანიანის ზღაპრები“, თარგმანი ივ. ბეგლაროვისა;

4) გეორგ ღოდოხიანი. თხზულებანი. — გამოცემა ივ. ბეგლაროვისა, რედაქტორი ლეონ მელიქსეთ-ბეგი (1939 წ.) და სხვ.

იგი იყო, აგრეთვე, რედაქტორი ან რეცენზენტი არაერთი ლექსიკონისა.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის მოღვაწეობა სრულად არ იქნება წარმოდგენილი, თუ ორიოდ სიტყვას არ ვიტყვით მისი მთარგმნელობითი საქმიანობის შესახებ. მის არქივში დაცულია წერილი — „ი. გრიშაშვილი, როგორც მთარგმნელი“. ეს წერილი გამოუქვეყნებია მის ვაჟს ლეონიდე მელიქსეთ-ბეგს ჟურნალ „მნათობში“ (1979, №4). ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება მისი მოტანა შეკვეცილი სახით. ლეონ მელიქსეთ-ბეგი წერს:

„1908 წელს ჟურნალ „ნიშადურში“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი, აწ განსვენებული ვალერიან გუნია იყო, 19 თებერვლის №26-ში დაიბეჭდა ორტაეპოვანი ლექსი სათაურით „იქროლე, ქარო!“, ხელმოწერით „გრ. გრი“.

ეს ლექსი მე ძალიან მომეწონა და მაშინვე ვთარგმნე სომხურად, ოღონდ ტაეპების გადანაცვლებით და დაებეჭდე სომხურ ჟურნალ „ხათაბალაში“ (1910, №50), რომლის თანამშრომელი ვიყავი 1907 წლიდან.

არც იმ დროს, ე.ი. ნახევარი საუკუნის წინ, და არც კარგა ხანს მას შემდეგ, არ დაეფიქრებულვარ საკითხზე — თუ ვინ იყო ამ ლექსის ავტორი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში, როდესაც ი. გრიშაშვილის ე.წ. „ერთთომეული“ მომზადდა და რამდენჯერმე გამოიცა, გამოამკარავდა, რომ გრი-გრი თურმე ი. გრიშაშვილის ფსევდონიმი ყოფილა.

ეს ლექსი ახლა „დაჰბერე, ქარო“-ს სათაურს ატარებს და შინაარსო-

ბლივადაც საგრძობლად განსხვავდება 1908 წელს გამოქვეყნებულისგან: ავტორის თქმით, ლექსი პირვანდელი სახით წარმოდგენილია ერთტომეულში, წინანდელი კი ბევრად შეცვლილი იყო საცენზურო პირობების გამო.

ასეა თუ ისე, ეს ლექსი ახლა ჩვენ ხელახლა ვთარგმნეთ ერთტომეულის მიხედვით, პირველი თარგმანი კი, რა თქმა უნდა, ისტორიას ჩაჰბარდა.

ეს პატარა შეგონება ჩვენ დაგვჭირდა იმისათვის, რომ, ჯერ ერთი, მივიკუთვნოთ პრიორიტეტი ი. გრიშაშვილის ლექსთა თარგმანისა საერთოდ, და სომხურ ენაზე, კერძოდ, ვითარცა პირველმა მთარგმნელმა ქართულმა პიონერმა, და მეორე — გამართლებულად ჩავთვალოთ ჩვენი დღევანდელი გამოსვლა თემაზე — „ი. გრიშაშვილი, როგორც მთარგმნელი“, რომელიც ჩვენ შემოგვთავაზა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექციამ და რომელზედაც ჩვენ ვერ გავბედეთ უარის თქმა.“

შემდეგ ჩამოთვლილია ი. გრიშაშვილის მიერ სომხურიდან ქართულად თარგმნილი ნაწარმოებების გამოცემები, რომელთა რედაქტორი იყო ლეონ მელიქსეთ-ბეგი (ოვ. თუმანიანის ერთტომეული (1938 წ.), შირვანზადეს რომანი „ნამუსი“ (1948 წ.) და სხვ.).

ლეონ მელიქსეთ-ბეგმა სომხურად თარგმნა ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი“, აკ. წერეთლის „მეგობარს“ (ეუძღვნი ბატონ გაბრიელ სუნდუკიანს), „გაბრიელ სუნდუკიანის დასაფლავების დღეს“, იეთიმ-გურჯის „გამარჯობა ჩემო თბილის ქალაქო“ და სხვ.

1935 წელს ქართულად თარგმნა საიათნოვას სომხური ლექსები და გამოსცა. ამ და საერთოდ ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ შესრულებულ თარგმანთა მხატვრული ღირებულების შესახებ არას ვიტყვი, მაგრამ ორიგინალთა შინაარსის ზუსტი გადმოცემის თვალსაზრისით, სათანადო სიმაღლეზე დგას.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის პრემიის პრემია

ლეონ მელიქსეთ-ბეგის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფაქტიური მხარე ნათლად არის ასახული აგრეთვე მის არქივში დაცულ წერილებში, საქმიან მიმოწერაში, უნიკალურ ფოტოსურათებში.

მეგობრული და მეცნიერული ურთიერთობა ჰქონდა ლეონ მელიქსეთ-ბეგს აკად. შ. ამირანაშვილთან, აკად. კ. კეკელიძესთან, შ. ნუცუბიძესთან და პროფ. იუსტ. აბულაძესთან. მის არქივში დაცულია აკად. შ. ნუცუბიძის პატარა ბარათი: „ძვირფასო ლეონ! გთხოვ გადახედო „შესავალს“. მისი დაწერა საჭიროა ზოგიერთი ახალი ნაშრომის გამოსვლის გამო, ამ უკანასკნელ ხანში. შემოვივლი და წავიღებ ორშაბათს, დილით. შენი მეგობარი შალვა ნუცუბიძე.“ ბარათი უთარიღოა.

ემიგრაციიდან დაბრუნებული ექ. თაყაიშვილი (1863-1953 წ.წ.) თხოვს ლეონ მელიქსეთ-ბეგს ორი სომხური წარწერის ხელახალ გამიფერას, რადგან ადრინდელი სადღაც გაბნევიან:

7.1.1952

Дорогой товарищ Леон!

*Очень извиняюсь за беспокойство, но случилось так, что разбор двух армянских надписей, которые Вы любезно представили, я потерял. Все старания отыскать напрасны. Поэтому очень прошу повторить их мне по вашим черновикам, вторые экземпляры фотографий у меня имеются. Равно как прошу прислать разбор других надписей, которые вы взяли, если успели их (...).*¹⁸⁷

Хочу сдать работу и поэтому приходится беспокоить Вас. Когда будут готовы и Вас эти переводы, прошу телеграфировать, мой зять Саша приедет и возьмет у Вас. Вам не придется беспокоиться приехать ко мне. За Вашу любезность и сердечное ко мне отношение я на-

*გეოცხ, რწო ვი ვიღეძე წ მოე ილოჯენიე უ ისიოლითე
მოეო იპროსბე. მწე ტაკ ილოხო, რწო ელე იიშიე რწო იისწეო.*

*წ ისკრეტიი ივბჟენიეი
წ. მაკაიშივილი.*

განსაკუთრებით საინტერესოა კ. გამსახურდიას (1871-1975 წ.წ.) ავტოგრაფი, სტატია თბილისის უნივერსიტეტის შესახებ. ეს სტატია როგორ მოხვდა ლეონ მელიქსეთ-ბეგის არქივში, ვერ დავადგინეთ. მოგვაქვს კუპირების გარეშე:

თფილისის უნივერსიტეტი

საუკუნეთა განმავლობაში ქართული ინტელექტი და ქართული შემოქმედებითი ენერგია ზრმა მოხრით იყო დაზინდული; ქართული ინტელექტი და ქართული სული საქართველოში არ ეტეოდა.

საქართველოში ვერ დატეეა და საქართველოდან გადაეარდნა ახასიათებდა, როგორც სააკაძის ხმალს, ისე ქართველ მოაზროვნეს, პოეტს თუ მეცნიერს. თითქოს ეცოტაეებოდა ქართველს ქართული მიწა; მიუხედაეად იმისა, რომ ამ მიწის ატმოსფერამ შესტეორცნა ცას, გრანიტში გაუინული მუსიკის ტალღა — ქართული კათედრალეზბია არქიტექტონიკაში მოკეეეთილი; ამ მიწის სურნელეზბამ გაპზარდა რუსთაეელი და გიორგი შერწული, გურამიშვილი და ეახუშტი, ილია ჭაეჭაეაძე და იე. ჯაეახიშვილი.

გასულ საუკუნეში ქართული ინტელექტიც ისეეე გაჭრილი იყო უცხოდ — და სხეის აკადემიეზში ჰსარჯაედა თაეის ენერგიას, როგორც უდიდეის ქართველი სარდლები: წეენი დიდი ბატონი ირაკლი — ინლოეთში, გიორგი სააკაძე სპარსეთში, პეტრე ბაგრატიონი — რუსეთში.

წეენ ისტორიულად, ნაციონალურად გეაკლდა შეგნეზბა იმი-

სა, რომ ქართული გენიისათვის უმკვიდრესი ჰიდეესტალია — მინა ქართული, რომ ქართულ გენიას მხოლოდ ქართულ ენით შეუძლია შეტუეველება — ქართულ ცისქვეშ, ქართულ მინაზე შე- მოქმედებით პოტენციალის გაშლა.

უახლესი თაობების შეგნება მიუახლოვდა ამ დიდ პოსტუ- ლატს.

საქართველოს უახლესი ისტორიაც ტფილისის უნივერსიტეტის კარების შვლებიდან დაითვლის თავის ანალებს. განახლებული საქართველო დასწევლის ამიერიდან როგორც პოლიტიკურ ისე ინტელექტუალურ იანიჩარობას.

ისტორიაში მხოლოდ იმ ერს შეუქმნია რაიმე თვალსაჩინო, რომელსაც თავისი თავი კოსმიურ ცენტრად ჰქონია წარმოდ- გენილი. ეზრავლებს ეგონათ, რომ მთელი სამყარო იერუსალი- მის გარშემო ტრიალებდა, ასეთივე ჰანგრეცისტული ეგოცენტ- რიზმით მსუნთქავდნენ ძველი ბერძნების — ელოფხის მისტე- რიები. ჩვენ დღემდის გვაკლდა ეს შეგნება და სიამაუე, მიუ- ხედავად იმისა, რომ ჩვენი კულტურით ჩვენზე დიდ ერებს შეე- ძლოთ ამაყოზა.

ქართველობა ისტორიულად დამარცხებულია, ამის მიზეზი მრავალია. საქმე ის არის, სადაც ხმალი დამარცხდა — იქ ინტელექტმა გაიშარჯვოს. ამ გამარჯვების საწინდარიც ტფილი- სის უნივერსიტეტი უნდა იქნეს.

კულტურულ-ისტორიულად ალებული, დღესაც უდიდესი დაუ- მარცხებელი პოზიციები უჭირავს ქართველობას წინა აზიაში. წარსულში ჩვენი უდიდესი მისია იუო დასავლეთის ქრისტი- ანული კულტურის პიონერობა. ეს მისია დღესაც არაა და- სრულებული. მერმისში ცხადია ჩვენ ისევე არ ვიქმარებთ (...)- კულტურულ მამუელის ხიდს, როგორც ტფილისის უნივერსიტე-

ტის დაარსებით - ეროპელების შესწავლის ობიექტობა უარ-
ეუაეით. ქართველობას წარსულშიც უთქვამს თავისი სიტუეა ქა-
რთული, მერმისში უფრო დიდი სიტუეაა სათქმელი. ამ სიტუეას
ტფილისის უნივერსიტეტი ეტუეის კულტურულ კაცობრიობას, რა-
დგან იგია წეენი კულტურის მაღალი ციტადელი, ტფილისის
უნივერსიტეტი ახალი საქათელოს ახალი იერუსალიმია, იოა-
ნეს მიერ ეიზიონერულად წათელხილული.

ტფილისი. 1923.24.II.

კონსტანტინე გამსახურდია.

პოეტი შალვა აფხაიძე თხოვს ლეონ მელიქსეთ-ბეგს რეცენზიას თბი-
ლისელი მწერლის და მკვლევარის სურენ აფრიანის პიესა „საიათნოვას“
შესახებ:

პატივეტმულო ლეონ!

გაახლებთ რა სურენ აფრიანის პიესას „საიათნოვას“, დაბეჯი-
თებით გთხოვთ წარმოგვიდგინოთ თქეენი პირუთენელი წერი-
ლობითი რეცენზია მისი მხატურულ-იდეური ღირსების შესახებ.
პიესის დადგმა განზრახული აქეს სომხურ თეატრს. თქეენი შრო-
მა ანაზღაურებული იქნება.

საქ. სარეპერტუარო კომისიის უფროსი

შალვა აფხაიძე.

16.2.50 წ.

დაბადების 70 წელი მიულოცა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა ვუკ-
ბერიძემ (1883-1963 წ.წ.):

ბეირფასო ლეონ!

სულითა და გულით გილოცავ დაბადების შეიდიათასა და
სამეცნიერო მოღეაწეობის ხუთას წელს. ეწუხეარ პირადად ვერ

ეესწრები შეს დლესასწაულს. გისურვებ კიდეე ამდენ სიცოცხლეს
ბედნიერად და დაუბერებლად.

შენი ძმა და მოუეარე ეუკ. ბერიძე.
26.XI.60 წ.

აქვეა პროფ. სარგის კაკაბაძის (1886-1967 წ.წ.) ბარათი:

ძვირფასო ლეონ!

ძალიან მაძლობელი ეარ გამოგზავნილი „ოტისკებისთვის“,
განსაკუთრებით იმ პირების გამო, რომლისთვისაც მოხდა მათი
გაგზავნა. სულგრძელობა ადამიანს მხოლოდ ამშვენებს და მე
მოსარული ეარ, რომ შეს ამგეკარი თვისება ერთხელ კიდეე წა-
რმოაჩინე. ჩვენ საშუალება გეეეება ერთმანთს შორის ურ-
თიერთობა განუაახლოთ და მე კერძოდ საშუალება მომეეემა
დაეამტეიეო შესდამი ღრმა პატივისეემა და სიუეარული.

სარგის კაკაბაძე
ტფილისი, 24 თეტომბერი, 1923 წ.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის არქივშია დაცული მთავარეპისკოპოს გაბრიელ
ჩაჩანიძის წერილი, რომელიც ერისკაცობაში იყო მეცნიერ-მკვლევარი,
ლოცენტი (1901-1956 წ.წ.):

ჩემო საუეარელო მასწაელებელო ბატონო ლეონ!

მოგიკითხაეო სიუეარულით და გისურვებთ ხანგრძლიეე სი-
ცოცხლეს თეეენი თჯახითურთ. უეელას სალაში. ჩემო ბატონო,
ბოდიშს ეიხდი შესწუხებისათვის, მაგრამ ფრიად საჭირო არის
ჩემთვის თეეენი დახმარება. საეეე შემდგომშია: ძეელი ათონის
საკითხი, საერთოდ ე.ი. უეელა მართლმადიდებელ ეკლესიების-
ათვის გახდა საჭირბოროტო და სადღეისოდ აეტუალურ სა-
კითხად. რომ ჩვენ მოუშხადებელნი არ ეიქნეთ, ე.ი. ქართული
ეკლესია, ამიტომ გადაეწუეიტეთ საკითხის დაწეროლებით და

ზედმინეებით შესწავლა, რისთვისაც გეჭირდება თქვენი დახმარება, სახელდობრ, ბიბლიოგრაფიის მითითებით, ზოჯერ კი, თუ გექნებათ დუბლიკატი, წიგნის თხოვებით. ცხადია, რომ ახლა მეტად პირნათლად და დიდი პასუხისმგებლობით საჭირო იქნება ჩემი მომზადება, რადგან თუ გიორგი მთაწმინდელს ხელთ ჰქონდა უველათური და თვით მონასტერიც და ბერძნები აეინროვებდნენ, ესაა ხომ დაკეტილ მონასტერზე გამოდევნილ ქართველთა უფლებახე იქნება საჭირო ბრძოლა.

გულწრფელად მინდა თქვენი ხილვა, მაგრამ უველას ვერიდები, რომ ჩემით არ შეწუხდნენ.

ბატონო ლეონ, თუ დამესმარებით, მაშინ ეუბრძანებთ მანანას და იგი გეახლებათ ხოლმე თქვენთან.

თქვენი გაბრიელი
24.12.52.

P.S. თქვენ იცოდეთ, რომ მელიქსედეკი საშინელი მტერია ჩემი, ასე რომ მან არ უნდა იცოდეს.

მთავარეპისკოპოს გაბრიელის წერილში მოხსენიებული მელიქსედეკი იყო ურბნელი მიტროპოლიტი. იგი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გახლდათ 1952-1972 წ.წ. მისი ზეობის დროს აღდგა წირვა-ლოცვა ფოთსა და მოწამეთაში, აქვე იქნა გადმოსვენებული წმინდანების დაკითხისა და კონსტანტინეს ნაშთები. განაახლა წმ. ნინოს ეკლესია ბოდბეში. აღადგინა ქართული წირვა-ლოცვა და გალობა თბილისის სიონის ტაძარში. მასვე ეკუთვნის ქადაგებები და სხვ.

პროფ. ალ. ლლონტის (1912-1999 წ.წ.) ახლო ნათესაური და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ლეონ მელიქსეთ-ბეგთან, რაზეც მეტყველებს სომეხი მეცნიერის არქივში დაცული პროფ. ალ. ლლონტის წერილები. მათგან გთავაზობთ რამდენიმეს:

დიდად ჰატეცემულო ლეონ!

თქვენი დაეალებინ თანახმად გაცნობებთ შემდეგს: გორის სომხური ეკლესია სტეფანეს სახელობისაა, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, კარგა ხნის წინათ დაუნგრევიათ. ქვა სომხური წარწერით, რომელიც მას ჰქონდა დატანებული. იქვე გდებულა ბოლო დრომდის და ორიოდე თვის წინათ გადმოუტანიათ გორის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში.

ეს ქვა ახლაც დასულია გორის მუზეუმში. იგი კარგადაა შენახული და წარწერაც დაუზიანებელია.

პატივისცემით ალ. ლლონტი.

3. ბიბლიური ტექსტებიდან ამოღებული ციტატები სახარების ნაწილში სომხურისათვის ავტორს შემოწმებული აქვს 1887 წ. ოთხთავის მიხედვით, რომელიც ფოტოტიპირად არის გამოცემული გ. ხალათიანცის მიერ მოსკოვში (1899 წ.), სწორედ ისე, როგორც ქართულისათვის შემოწმებულია ჰადიმის (897 წ.), ჯრუჭის (936 წ.) და პარხალის (937 წ.) ოთხთავები. სამწუხაროდ, სომხური სახარების დასახელებული ნუსხა ადგილ-ადგილ დაზიანებულია, რის გამოც მონოგრაფიაში სამ შემთხვევაში სათანადო შესატყვისი ნაჩვენები არაა (გვ. 205). ვფიქრობთ, რომ ავტორი მოიგებდა, უკეთეს ის საერთოდ და ასეთ შემთხვევაში გაითვალისწინებდა სომხური ოთხთავის 989 წ. ნუსხასაც, რომელიც აგრეთვე ფოტოტიპირ-

რად არის გამოცემული ფ. მაკლერის მიერ პარიზში 1920 წ. (Y'evangile armenien, edition phototypique du manuscrit №229 de la bibliotèque d'Etchmiadzin, par Frederic Macher, Paris, 1920).

4. ქართულ-სომხური და შებრუნებული სომხურ-ქართული სიმფონიალექსიკონები წიგნში წარმოდგენილია, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მაქსიმალური სიზუსტით და კეთილსინდისიერებით. ოღონდ ავტორი აქაც უთუოდ მოიგებდა, უკეთუ იქ, სადაც ფონეტიკური შესატყვისები ტექსტებში არ იჩენენ თავს, ასეთებს გამოკვლევის ნაწილში მაინც აღნიშნავდა, თუნდაც კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმით.

ბ) ტექნიკური ხასიათის დეფექტები:

1) მონოგრაფიის 082 გვერდის წაკითხვისას, სადაც სომხური ფილოლოგიური მეცნიერების მიღწევათა ჯეროვანი შეფასებაა მოცემული, მკითხველმა შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება მიიღოს, თითქოს კაპიტალური ნაშრომები სომხურ ლექსიკოლოგიასა და სომხური ენის ისტორიაში მხოლოდ და მხოლოდ პრ. აჭარიანს ეკუთვნის და მეტი არავის. პიუბშმანის ლექსიკონისა და მეტადრე, იაკობ დამიანის „კლასიკური სომხურის მიმოხილვის“ (1920 წ.) მოუხსენებლობა, რომელთაგან უკანასკნელს, სხვათა შორის, აჭარიანი არ იცნობს, ჩვენ პირადად დიდ მინუსად მიგვაჩნია.

2) უცხოელ მეცნიერთა (გელცერის, პიუბშმანის და სხვ. და ნაწილობრივ ნ. მარის თხზულებებს ავტორი ზოგჯერ არსებულ სომხური თარგმანების მიხედვით ასახელებს (გვ. 02, შენ. 1; გვ. 065, შენ. 1; გვ. 012, შენ. 3; გვ. 06, შენ. 1; გვ. 068, შენ. 1; გვ. 126, შენ. 2; გვ. 0150, შენ. 3; გვ. 0167, შენ. 1, 3; გვ. 0192, შენ. 2 და სხვ.), და არა დედნებში, რაიც უფრო მიზანწონილი და ამასთანავე ქართველი მეცნიერ-მკითხველისათვის უფრო ხელმისაწვდომიც იქნებოდა.

3) ავტორი საერთოდ გაურბის განმეორებებს, მაგრამ ერთ შემთხვევაში, სახელდობრ მანაჭკერტის 726 წ. საეკლესიო კრების ამბავზე, სულ ცოტა 6-ჯერ მაინც მიგვიითითებს (გვ. 08, 062, 074, 977, 0168, 0169).

4) დაუშვებელია გამოთქმა: „არაბობასთან ბრძოლა“ (გვ. 02), „არაბობის

ბატონობა“ (გვ. 0165).

5) „აგიოგრაფია“ თუ „ჰაგიოგრაფია“ (გვ. 019)? „ერმიადინ“ თუ „ერმიადინ“?

6) „სეპერატისტული“ თუ „სეპარატისტული“?

7) რუსულში:

ა) „связь с армянством“ (გვ. 0201) {სომხ. „ჰაირუთიუნ“, ქართ. „სომხობა“} დაუშვებელია (შდრ. გვ. 012, 013).

ბ) „часть слов“, „другая часть слов“ (გვ. 0207), თუ „группа или комплекс слов“?

გ) „историческое Квемо-Картли“, თუ „исторический Квемо-Картли“ (გვ. 0200)?

დ) „крайный“ (გვ. 06, შენ. 4) თუ „крайний“?

ე) „вляние“ (გვ. 0213), თუ „влияние“?

ვ) „Юстинян“ (გვ. 05, შენ. 3; გვ. 06, შენ. 4, 6; გვ. 08, 011, შენ. 2; გვ. 074, შენ 2; გვ. 0141, შენ 6) თუ „Юстиниан“ (შდრ. გვ. 0140, შენ 1)?

ზ) „согласно упомянутым источникам“ (გვ. 0203)?

ი) инсостранный пункт, иностранный подвижник (გვ. 0266, 0205) თუ иноземный пункт, иноземный подвижник?

კ) სტილისტურად დაუშვებელია: “Сличение переведенных с армянского памятников, исполненных грузинами, с соответствующими армянскими текстами, выявляет, что эти переводы, не в пример более ранним, не характеризуются точностью, что, как видно, объясняется отсутствием надлежащей опытности со стороны переводчиков и менее обостренным интересом к армянской письменности (გვ. 0207).

* * *

ყველა აღნიშნული ნაკლი და დეფექტები, რასაკვირველია, არ არის ისეთი ხასიათისა, რომ ძალიან ამცირებდნენ წარმოდგენილი წიგნის დიდ ღირებებს და ღირებულებას ჩვენი მეცნიერებისათვის. ამიტომაც, გამომ-

დინარე ზემორე მოცემული შეფასებიდან, ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია დავესრულოთ ჩვენი რეცენზია ასეთი დასკვნით:

ენტუზიასტ მეცნიერის, დოც. ილია აბულაძის მიერ ჩატარებული გმირული შრომა საკვებით ღირსია იმისა, რომ წარმოდგენილი თხზულების საფუძველზე მას უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი მიენიჭოს.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი

თბილისი. 8.III.1945“.

დოც. ილია აბულაძის პასუხი:

„პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგის ასეთ სიტყვებზე — „თეზისი, — ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა საერთოდ ორმხრივი იყო, რასაკვირველია, სწორია და, ამასთანავე, ლამაზადაც გამოიყურება. მაგრამ საეჭვო სწორედ ისაა, რამდენად ასეთი ურთიერთობა ტაო-კლარჯეთში სწორედ IX-X სს-ში ორმხრივი იყო, როგორც ავტორი ლამობს დაამტკიცოს, მაშინ, როდესაც მის მიერ წარმოდგენილი მასალიდან ეს სრულიადაც არ გამომდინარეობს. ამრიგად, ერთი ამბავია ის, რაც სხვადასხვა მოსაზრებით ჩვენთვის ხელსაყრელია და მოსაწონიც, და მეორე — ის, რაც სინამდვილეში ყოფილა აღნიშნულ საუკუნეებში“-ო — შემდეგი უნდა განვაცხადო, რომ მე ჩემი თეზისი ურთიერთობის ორმხრივობის შესახებ თვით მასალის მონაცემებიდან მაქვს გამოტანილი და არა გარედან მიყენებული, ესაა და ლამაზად გამოიციქრებოდეს-თქო. ურთიერთობის არა ლოკალური, თუ ტერიტორიალური, (როგორც პროფ. მელიქსეთ-ბეგი ხმარობს), არამედ ექსტერიტორიალური (მისივე ტერმინია) მომენტის გათვალისწინებით არის მიღებული ზემორე აღნიშნული დებულება. შეიძლება დღევანდელი ჩვენი ცოდნით წყაროებისა ერთის დამოუკიდებლობა მეორეზე უფრო მეტად ჩანდეს და პირუკუ კი — მცირედ, მაგრამ ფაქტი, რომ ასეთი მიმართება მაინც არსებობს, საკმარისია იმისათვის, რომ ეს ორმხრივ ურთიერთობად და არა ცალმხრივად (ე.ი. მარტოოდენ ერთის დამოუკიდებლად მეორეზე) ვაღიაროთ.

როგორც ჩანს, ოპონენტს ჩემი შრომის განხილვიდან ისეთი შთაბეჭდილება მიუღია, თითქოს მე მიზნად მქონდეს დასახული მხოლოდ ერთს გარკვეულ ადგილს მიმდინარე — ქართულ-სომხურ ლიტ. ურთიერთობის შესწავლა. მე ეს კი არა მაქვს მიზნად, არამედ ის, რომ ეს ურთიერთობა შეეისწავლო IX-X სს-ში, სადაც არ უნდა მიმდინარეობდეს ის, ცხადია, იმ მასალების მიხედვით, რომელთა ამ ხანისად მიჩნევა ნაკლებ საეჭვო და საცილობელია — ასეთი უეჭვო მასალა მაქვს შერჩეული ჩემს ნაშრომში. მის მიხედვით ირკვევა, რომ ტაოს ქართულად თარგმნა მიმდინარეობს უმთავრესად აღნიშნულ პერიოდში, ხოლო ქართულიდან სომხურად, — იერუსალემსა და ტაოს, ან შეიძლება მის მეზობელ ვანანდის მხარეს. ამას გარდა ისიც გაირკვა, რომ ტაოში ნათარგმნი 13 ძეგლიდან 11 — გარკვეული ვითარების გამო გარკვეულ ელემენტს უთარგმნია (გაქართველების გზაზე დამდგარ სომხებს) და ორი კიდევ გარკვეულს — წმიდა ქართულს, რაც თავისი ღირსების გამო მიკარნახებს გვაკეთო ისეთი დასკვნა, რომ IX-X სს-ის ქართული ლიტერატურული წრეები წინა პერიოდის წრეებთან შედარებით ნაკლებ: მომზადებასა და გულისყურს იჩენენ სომხურ მწერლობისადმი. ჩანს ეხლა, რომ მათი ინტერესები უფრო მძლავრად სხვა გეზით ყოფილა მიმართული.

ჩვენი ოპონენტი ნაკლად მითვლის იმას, რომ მე ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის კვლევის დროს, ყურადღებას არ ვაქცევ სომხურ წყაროთა გამოყენების საკითხს ქართული ორიგინალური მწერლობისათვის ანდა მათ მიერ მოხდენილ ზეგავლენას ამავე მწერლობის ძეგლებზე. მაგ.:

1) აგათანგელოზის კომპოზიციურსა და შინაარსობლივ ზეგავლენას წმ. ნინოს ცხ-ზე, კერძოდ ზეგავლენას „რიფსიმიანთა წამებისას“, რომლის ძველ თარგმანსაც კი მოუღწევია ჩვენამდე ქართულადო;

2) სომხური ქალკედონისტური წყაროების გამოყენებას არსენ საფარელის ნაწარმოებში, რომელშიაც გამოხმაურება ჩანს „საჰაკის ხილვისა“, რომლის თარგმანსაც აგრეთვე მოუღწევია ჩვენამდისო“;

3) უხტანესისა და არსენის ნაშრომთა მიმართებას;

4) „პატმოთინა“-ს, რომელიც კომპილაცია ჩანს მოსე ხორენელის, ფავსტოს ბიზანტიელისა და „გაჰანმაკის“ თხზულებათაგანო და სხვ.

ამ შენიშვნის შესახებ ის უნდა ვთქვა, რომ, როგორც პროფ. მელიქსეთ-ბეგი შენიშნავს, მე ლიტერატურული ურთიერთობის მხოლოდ გარკვეულ სახეს ვიკვლევ, — უშუალო ნაყოფს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თარგმანების სახით არის ჩვეულებრივ წარმოდგენილი. ის უფრო მეტს მეტყველებს ლიტერატურული ურთიერთობის შესახებ, მას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს რომელიმე ხალხის წარსული კულტურის ისტორიის გასათვალისწინებლად, ამ ხალხის სამწერლო ენის ისტორიისათვის და სხვ., ვიდრე თხზულებათა კომპოზიციური და შინაარსობრივი გზით ზეგავლენების რკვევას, რომლებიც შეიძლება უშუალოდ პირველწყაროდან არც მომდინარეობდნენ. ნათქვამის ილუსტრაციას თვით მითითებულ წყაროებში ვხედავთ. მაგ., აგათანგელოზის გავლენა წმ. ნინოს ცხ-ზე ან „საჰაკის ხილვისა“ არსენის ნაწარმოებზე; რომელთა შემონახული ქართული თარგმანები თითქოს უნდა გამოეყენებინათ ქართველ ავტორებს, ტექსტობრივ არ დასტურდება. რა ვუყოთ მერეო, არ გამოუკრებიან, წაუკითხავსო, — მეტყვიან, — მაგრამ სწორედ სად იქნება ჩვენი შეკითხვა, — უცხო თუ ქართულ თარგმანში? თუ უცხო თარგმანში, მაშინ ხომ უშუალო ურთიერთობაზე ვეღარ ვილაპარაკებთ.

ორიოდე სიტყვა „რიფსიმიანთა წამებისა“ და „საჰაკის ხილვის“ შესახებაც. პირველს ახლოს ვიცნობ (დამზადებული მაქვს გამოსაცემად), მართლაც ის ძველი თარგმანია. მგონია IX ს-მდელი და ამიტომ ჩვენს ნაშრომში ვერ მოხვდებოდა; რაც შეეხება „საჰაკის ხილვას“, ის შეიძლება თავის ზოგიერთი ნიშნებით ტაოს დიოფიზიტ სომეხთაგან შესრულებული თარგმანი იყოს, მაგრამ აქ არ შემომიტანია, რადგან მისი დაცულობის სახე ეჭვებს აღძრავდა მკითხველში. ნაკლებ საეჭვოა გვერდით, ისე როგორც აქ არ მომითავსებია სომხური „პატერიკის“ ზოგიერთი თხრობანი, რომლებიც აშკარად ატარებენ ქართული ტექსტის გავლენის კვალს და IX-X სს-ში ჩანან ნათარგმნი სომხურად (აღნიშნულზე ჩემს დაკვირვებებს ცალკე ვაქვეყნებ ამჟამად). რაც შეეხება „პატმოთინას“, მე ის უფრო გვი-

ანდელ თარგმანად მაქვს მიჩნეული, რაზედაც ერთგან კიდევაც ვლაპარაკობ ნაშრომში (გვ. 0147, შენ. 3). ასევე მგონია სხვებიც, რომლებზედაც ოპონენტი მიმითითებს.

ოპონენტი იმასაც შენიშნავს, რომ რა საჭირო იყო „დავით და ტირიჭანის“ ან „კოლაელთა წამების“ გამოცემა, როცა ისინი თარგმანები არც არიანო? — ესენი მე დამატებად გაუუშვი, რომ დაინტერესებულ პირს შეძლებოდა შეემოწმებინა ჩემი მოსაზრება მათ შესახებ.

„კოლაელთა წამების“ კარიჭაშვილისეულ გამოცემას თითქოს არ იცნობსო, აღნიშნავს აქვე ოპონენტი, — ვიცნობ, ის განსვ. მკვლევარმა თავის წიგნში — „ხუცური ანბანი“ — მოათავსა, მაგრამ ეს ტექსტობრივ მეცნიერულ გამოცემას არ წარმოადგენს. ნ. მარის გამოცემის მიხედვით არა ჩანს შესრულებული. რადაც სხვა გზით არის გამომზევებული. ვრცელი არ არის „კოლაელთა წამების“ წიგნი და მთლიანობისათვის ესეც დაეურთე ჩემ ნაშრომს, თანაც მცირეოდენი უსწორობაც, რომელიც ნ. მარის გამოცემას დედანთან მიმართებით აღმოაჩნდა, გავასწორე.

ორიოდე სიტყვა ზოგიერთი ლიტერატურისა თუ წყაროს გამოუყენებლობის შესახებაც — აღნიშნული შენიშვნა საერთოდ მისაღებია, როგორც მაგ. სომხური ერთი ოთხთავის Macher-ის ფოტოტიპური გამოცემისა; სანაწიველი გამიხდებოდნენ ისინი, რომ არსებითს რამეს, დებულებათა დამამრღვეველს, იძლეოდნენ...

რაც შეეხება იმას, რომ სომხურ-ქართული საერთო ხმარების სიტყვებიდან ზოგიერთებისათვის მიმეწერა დამატების სახით ზოგიერთ რამ ჩემ მხრივ, ამას ვერ ჩავიდენდი. რადგან მე მინდოდა აქ დამეცვა მხოლოდ ტექსტობრივი მოწმობანი. იმის თქმა, რომ „მთავარეპისკოპოსი“ — ჰაირაპეტი არ არის, ეს მე კი არ მეხება, არამედ ძველ მთარგმნელს და საგულისხმოა იმით, რომ აქ მას ასე ესმის ეს სომხური სიტყვა, რაც სწორი ჩანს, რადგან ძველი ვითარებით „მთავარეპისკოპოსი“ იგივე „მამათმთავარი“.

დასასრულ საყვედური, თუ რად შევეუსწორე პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს „იჩარ“ თითქოს „იჩარიქნ“-ად. (გვ. ჩემი ნაშრომისა — 0147, შენ. 3). მე

მართებულად მაქვს შესწორებული „იჩარ“, ისიც შემდეგნაირად: „ჩარინ“ და არა „იჩარიქნ“-ად, რასაც შეცდომით აღნიშნავს ოპონენტი.

პატივცემული ოპონენტის, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნებიდან ერთი ადგილი, რომლის მიხედვით გასასწორებელია „და სიძისა“ „დისიძისა“-დ, სწორი ჩანს და ვიღებ. ცხადია, ასევე მისაღებია — მოყვანილი ყოფილიყო რამდენიმე ბერძნული სიტყვა ბიზანტიური ხანის ფორმით და არა წინანდელით.

შენიშვნაზე ჩემი ერთი დებულების გარშემო, რომ ტაო-კლარჯეთი ერთხანს არა ქართული მხარე იყო და მერმე კი გაქართველდაო, რაც პ. ც. ოპონენტის აზრით საკამათოა, შემიძლია მოვახსენო, რომ არც მე მეგულება ეს მხარე, განსაკუთრებით მისი ჩრდილოეთი სექტორი, სულ არა ქართულად, რაც ერთგან შენიშვნაში მაქვს კიდევაც გამოთქმული (გვ. 07-08), ხოლო დანარჩენი ნაწილი რომ არა ქართული არ ყოფილიყოს გარკვეულ დროს, საამისო დოკუმენტი ჯერ არ უნდა გვექონდეს.“

* * *

შალვა ნუცუბიძე (1888-1969)

ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის, აკად. შალვა ნუცუბიძის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა და მისი დამსახურების წარმოჩენა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის კვლევის საქმეში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი და თავის მკვლევარს ელოდება. აკად. შალვა ნუცუბიძის მეცნიერული მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო ქართული კულტურის გატანა მსოფლიო ასპარეზზე. იგი ამბობდა — „ევროპაში რომ გავიდეთ, ჯერ რუსეთზე უნდა გადავიაროთ.“ ეს მართლაც ასე იყო მაშინ საბჭოთა რეჟიმის დროს, ღლეს კი თავისუფლების პირობებში რუსეთის ფაქტორის გარეშე შეიძლება ნებისმიერი მეცნიერული აზრის გატანა ევროპაში.

აკად. შალვა ნუცუბიძემ რუსულად თარგმნა: „ვეფხისტყაოსანი“ (1941 წ.), „თამარიანი“ (1942 წ.), შავთელის „აბდულ-მესიპ“ (1943 წ.). თავის ძირი-

თად ნაშრომებსაც რუსულად აქვეყნებდა. აკად. შალვა ნუცუბიძის დამსახურებაა, რომ მან მიუჩინა ადგილი ევროპულ რენესანსის განვითარების ისტორიაში ქართულ კულტურას. მან აღმოსავლური რენესანსის შესახებ მოხსენება წაიკითხა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიაში 1940 წელს. ამ პრობლემზე საბოლოოდ ჩამოაყალიბა თავისი კონცეფცია წიგნში „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ (1947 წ.). ამ ფართოდ აღიარებული თეორიის თანახმად, საქართველოში XII ს-ში თავი იჩინა დიდმა გარღვევამ ქრისტიანული კულტურის სამყაროში — აღორძინებამ, ანუ რენესანსმა.

აკად. შალვა ნუცუბიძის წიგნის „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“-ს გამოქვეყნებიდან ერთი წლის თავზე მოუწყო მისი განხილვა. განხილვა დიდი ხმაურით ჩატარდა.¹⁹³ დიდძალი ხალხი დაესწრო დისკუსიას, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ს მდივანი პეტრე შარია. მან ყველაფერი გააკეთა, რათა გამომსვლელებს მკაცრად დაეგმოთ წიგნი და მისი ავტორი. მთავარი მომხსენებელი იყო რესპუბლიკის ყოფილი მთავარი პროკურორი ვ. ტალახაძე (ეს ის ვ. ტალახაძეა, რომელმაც შორაპანთან ვაგონში დახვრიტა უდანაშაულო ხალხი 1924 წელს). ეს დროის ოდიოზური ნაყოფი აკად. შალვა ნუცუბიძის წიგნს „იდეოლოგიური სიწმინდის“ თვალსაზრისით განიხილავდა და ამ მხრივ მრავალ „მკრეხელობაში“ ამხელდა ავტორს. თუმცა სჯობია მოვესმინოთ აკად. შალვა ნუცუბიძის ქალიშვილს, დოც. თამარ ნუცუბიძეს: „პ. შარიას ყოველი რეპლიკა და მომხსენებლის რიტორიკა ნუცუბიძის მიერ მარქსიზმის დამახინჯებისა და იდეალიზმის პოზიციებზე დგომის შესახებ ტონის მიმცემი და სავალდებულო აღმოჩნდა დისკუსიის თითქმის ყველა მონაწილისათვის. მეტ-ნაკლებად გულწრფელი აზრის გამოხატვა ორიოდე გამომსვლელმა შეძლო. წიგნის რედაქტორიც კი — კ. კეკელიძე იძულებული გახდა უკან დაეხია: შ. ნუცუბიძემ შეცდომაში შემყვანაო. ბევრს დღემდე ახსოვს ამ თაობაზე შ. ნუცუბიძის ზემორობანარევი რეპლიკა: „თქვენ უკან დაიხიეთ, მაგრამ არაა გასაკვირი. თქვენ ღმერთს უღალატეთ და მე რომ მიღალატოთ, რა გასაკვირიაო“ (ახალგაზრდობისას

კ. კეკელიძე დეკანოზი იყო). პ. შარია უხეშად იყენებდა თავის „ავტორიტეტს“ და ერთხელ ნუცუბიძემ მას ასეთი რეპლიკაც შეაგება: „ნუ მიყვირით და ამ ყვირილს ნუ აიყვანთ დიდ ფალცეტამდე“. უმრავლესობა (პ. შარია, ვ. ტალახაძე, ა. ქუთელია, ა. თაყაძე...) დაუნდობლად ამხელდა „მარქსიზმის ეულგარიზატორის“, „შუა საუკუნოებრივი მისტიკის“ აპოლიგეტს, მარქსიზმით შენიღბულ „აღეთოლოგიური რეალიზმის“ ავტორს. ოპონენტების ერთი წყება (ა. ბარამიძე, ს. წერეთელი, შ. ხიდაშელი და სხვ.) შეეცადა თავიანთი კრიტიკისათვის მეცნიერული ხასიათი მიეცა. თანადგომის გამოძღვლენება ვერავინ გაბედა, მხარი არავინ დაუჭირა და შ. ნუცუბიძე მარტო აღმოჩნდა. საპასუხო სიტყვაში მან არ დათმო თავისი პოზიცია და აღნიშნა, რომ ოპონენტთა ერთი ჯგუფი „პოლიტიკური პოზიციებიდან გამოვიდა და მეცნიერული არაფერი ჰქონდა... აქ ითქვა, რომ მე განვიზრახე მარქსისტული წიგნის დაწერა და ეს არ გამომივიდა. ეს შეცდომაა. მე არ განმიზრახავს მარქსისტული წიგნის დაწერა... მე დოგმატური მარქსიზმის მომხრე არ ვარ...“¹⁹⁴

ამ ისტორიული დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე გახლდათ ლეონ მელიქსეთ-ბეგი, რომლის არქივში დაცულია მისი გამოსვლის ტექსტი. ტექსტი მოიცავს მანქანაზე ნაბეჭდ 31 გვერდს და ავტორის ხელით არის ჩასწორებული.¹⁹⁵

„აკად. შალვა ნუცუბიძის წიგნი “Руставели и восточный Ренессанс” არ არის ისეთი გამოკვლევა, რომლის გვერდით შეიძლებოდა უჩუმრად გავლა. დღევანდელი დისკუსია — ეს არის ერთ-ერთი ეპიზოდი იმ ღონისძიებათა შორის, რომელიც ტარდება ჩვენში იდეოლოგიურ ფრონტზე, ჩვენი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით...“

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია რამოდენიმე შენიშვნით მონაწილეობა მიგველო დისკუსიაში, რასაკვირველია, ჩვენი სპეციალობის პოზიციებიდან. მოგახსენებთ, რომ ჩვენ ფილოსოფოსი არ ვართ, არამედ ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგი და ისტორიკოსი-არმენისტი. და ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ შ. ნუცუბიძის წიგნის ერთ-ერთი თავი პირვანდელს რედაქციაში სომხურადაც გამოქვეყნდა ჯერ კიდევ 1941 წელს ჟურნალ „სოვე-

ტაკან გრაკანუთიუნ“-ის №12-ში. ასეთი პრობლემის დაყენება სავსებით დროულია, სხვაც რომ არ იყოს რა, ლოგიკურად გამომდინარეობს, თუნდაც აკადემიკოსების ნ. მარისა და ი. ორბელის სათანადო განცხადებებიდან, რომელთაგან აქ აღვნიშნავ ზოგიერთს. აკად. ნ. მარი ლაპარაკობს რა პავლიკიანების შესახებ, რომლებიც რამდენიმე წყებად ბულგარეთში იქნენ გადახვეწილი, ამბობს, რომ ისინი ”если не бросили семя, уродившееся в богомилство и далее в альбигойство, то вызвали новое брожение и потоками своей крови оплодотворили почву для более счастливых европейских реформационных движений. Кстати, пора бы и в учебники ввести то положение, что начало протестантизма нельзя датировать известными тезисами Лютера, прибитыми к церковным дверям в Виттенберге. Теперь даже ортодоксальные историки лютеранства, как, например, Gale (Holderness F.), в книге “The Story of protestantism”, не забывают упомянуть, что альбигойцы предвосхитили великое восстание XIV века” (Н. Марр. Ани. М.-Л., 1934, стр.30).

ი. ორბელი წერს: ”Не грузинским ли переводчикам, пусть в меньшей мере, чем армянским, сирийским и арабским, обязана была современная Руставели Западная Европа возможностью читать хотя бы по-латыни, в переводах с арабского, творения Платона и других греческих философов?

Лучше не взвешивать на весах количество рифм у Данте и у Руставели и перестать считать Грузию культурной рабой Византии” (Памятники эпохи Руставели, М.-Л., 1937, стр. 8).

აკრეთვე: ”Руставели велик как изумительное, по чистоте и точности шлифовки зеркало своей эпохи, эпохи наибольшего расцвета культуры не только Грузии, но и всего нашего Востока, в ту пору намного опередившего Европу” (იქვე, გვ. 20).

ჩვენი გამოსვლა მიზნად ისახავს შეეხოთ საკითხთა ორ წყებას, მამასა-დამე ორ ძირითად ნაწილად: პირველში განხილული იქნება საერთო ხა-

სიათის საკითხები და ზოგიერთი კერძო მომენტი. მეორეში კი საუბარი გვექნება საკუთრივ ძირითადი თემის ირგვლივ — „რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი“.

I.

ცნობილია მარქსიზმის დებულება, გამოთქმული ენგელსის მიერ, რომ ყოველგვარი ბრძოლა ფეოდალიზმის წინააღმდეგ რელიგიურ სამოსელში იყო გახვეული და, პირველ ყოფისა, ეკლესიის წინააღმდეგ იყო მიმართული („სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“, თბ., 1935, გვ. 58). შალვა ნუცუბიძეს ენგელსიდან გამოუყენებია ასეთი ციტატა: “Революционная оппозиция против феодализма проходит через все средневековье. В зависимости от условий времени она выступала то в виде мистики, то в виде открытой ереси, то в виде вооруженного восстания”.

სწორედ აქედან გამომდინარე პროფ. შ. ნუცუბიძე იხილავს მისტიკის საკითხს, აშუქებს აშკარა მწვალებლობის საკითხს და შემდეგ ჩერდება აჯანყების საკითხზედაც.

კონკრეტულად მისტიციზმის და ეგრეთწოდებული აშკარა მწვალებლობის საკითხის წარმოშობის შესახებ შ. ნუცუბიძეს ნათქვამი აქვს შემდეგი: “Мистицизм и ереси начинаются на Востоке и впоследствии распространяются на Западе. Факты убеждают нас в этом исторически неотменимом обстоятельстве” (გვ. 17).

შ. ნუცუბიძე ითვალისწინებს რა ენგელსის სიტყვებს, რომ “это соединение западных и восточных воззрений содержит уже по существу все христианские представления” (“О первоначальном христианстве”, изд. 1933 г., стр. 16), აღნიშნავს: “Тут важно особенно то, что религиозные идеи, в виде целых систем, возникли на Востоке, что эти учения окончательно оформлялись через соединение “западных и восточных воззрений” и с Востока распространялись на Запад” (გვ. 15).

შემდეგ: “Буржуазная наука не имеет корней философии Ренессанса настолько далеко, чтобы очутиться на Востоке” (გვ. 59), ანუ: “Основная еретическая мысль” проходит с Востока на Запад” (გვ. 83). და ბოლოს: “Армения - очаг мирового еретического движения как революционной оппозиции” (გვ. 78).

ამრიგად, შ. ნუცუბიძე სვამს საკითხს ერეტიკულ მოძრაობათა კერის პირველსამშობლოს ანუ აკვანის დადგენის შესახებ, რომელიც მას აღმოსავლეთში, კერძოდ სომხეთში ეგულება. ეს დებულება მე მიმაჩნია უსაფუძვლოდ. საერთოდ კულტურათა პირველსამშობლოს (первородина) ანუ აკვანის (КОЛЫБЕЛЬ) ძებნა — ეს მოძველებული ხერხია. ეს ბიბლიური მსოფლმხედველობიდან და ინდოევროპეისტიკის ანარეკლია წინარენის პრობლემასთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც წინარენის ანუ პირველშობილი ენის (lingua primigenia) ცნება ფიქციაა. ხოლო შეხვედრები ენობრივ მასალებში, ლიტერატურულ-ფოლკლორულ (ეპიკურ) სიუჟეტებში და საერთოდ კულტურის სხვა სფეროში ხშირად ნასესხების საფუძველზე კი არ უნდა აიხსნას, არამედ ერთიანი გლოტოგონიური-ენათწარმოშობითი, მითოგონიური და კულტურული შემოქმედებითი პროცესის შედეგად, რამდენადაც მსგავს ეკონომიურ-პოლიტიკურ პირობებს შეუძლიათ სხვადასხვა ადგილას მსგავსი შედეგები წარმოავლინონ. ასევე აიხსნება მოხეტიალე სიუჟეტების საკითხიც, კერძოდ პრომეთეს, ამირანის და არტავაზდ-მჰერის მითი. იმის გამო, რომ არსებულ ლიტერატურაში პრომეთეს მითი თითქოს ყველაზე უძველესია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ხსენებული ციკლის სიუჟეტების პირველსამშობლო საბერძნეთია. პირიქით, ყველა სიუჟეტი გაჩენილა თავ-თავის ქვეყანაში, ოღონდ შემდეგში კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის გზით მომხდარა მათი ერთმანეთთან დაახლოვება ნიველირების ნიშნებით. ერთ ხანს აკად. ნ. მარი ფიქრობდა, რომ “Кавказ - житница мировых этнических терминов”. შემდეგში კი მან განაცხადა, რომ ასეთი და ამის მსგავსი დებულებები უკუსაგდება “как пережиток библейского мировоззрения”.

ნ. მარის თეორიაც „მესამე ეთნიკური ელემენტის“ შესახებ ხმელთაშუა ზღვის კულტურის წარმოქმნის პროცესში მარცხით დამთავრდა, რამდენადაც ევრაზიის ასპექტის ნაცვლად უფრო მართებული შეიქმნა აფრეევრაზიის პრობლემის წამოყენება, რამდენადაც ერეტიკულ (მწვალებლურ) მოძრაობათა მნიშვნელოვან ფურცლებს სწორედ აფრიკის ისტორიის შესწავლა გვაწვდის. ვგულისხმობ, რასაკვირველია, როგორც ჩრდილოეთ, ისე აღმოსავლეთ აფრიკას, კერძოდ ეგვიპტეს, ეთიოპიას (წითელი ზღვის დასავლეთით). ამრიგად, მწვალებლობის პირველსაშემობლოს ანუ აკვანის მოძებნა ამაო საქმეა.

მეორე შენიშვნა. პატივცემული შ. ნუტუბიძე წერს, რომ მანიქეველთა მოძრაობის პროგრამას შეადგენდა: „Социальная программа ереси - отрицание собственности, борьба против богатства и материальных благ“ (გვ. 35). შემდეგ: „Мистико-еретическое облачение редко в мировой истории выступало в такой форме, как в движении, связанном с именем Маздака. Недаром Маздак считается одним из первых коммунистов“ (გვ. 35). აგრეთვე: „Хосро Ануширван заживо похоронил сектанта коммуниста Маздака“ (გვ. 36). ვფიქრობ, რომ მანისა და მზდაკის კომუნისტობის საკითხი გადაფასებულია და ვგონებ, რომ ამ შემთხვევაში პატივცემული შალვა მიყვია იმ კონცეფციას, რომელიც ზოგიერთმა ევროპულმა და რუსმა მეცნიერმა წამოაყენა, მაგალითად ვეზენდოკმა, ნუშრივანოვმა, კაგაროვმა და სხვებმა, მაშინ როდესაც განსვენებული აკად. ბარტოლდი (შ. ნუტუბიძე: იმიტომ რომ იგი ბარონი იყო. ლეონ მელიქსეთ-ბეგი: ბარონი კი არა, ბარტოლდი.) ამ საკითხში დიდ სიფრთხილეს იჩენს. ყველზე მეტი კურიოზი კი ისაა, რომ სომეხმა ისტორიკოსმა ლეომ (არაქელ ბაბახანიანმა) 1922 წელს დაბეჭდა ერევნის ჟურნალ „ნორკ“-ში სტატია სომხურად ასეთი სათაურით: „კომუნისტები სომეხთა ისტორიაში“, სადაც ყველა ჯურის ერეტიკული მოძრაობა, რაც კი ათაღან-ბაბადან სომეხეთში განვითარებულა, კომუნისტობის სახელით მონათლა. ეს ხომ ვულგარ-სოციოლოგიზმში გადახრაა.

რასაკირველია, ასეთი რამ არაა შ. ნუტუბიძის წიგნში, მაგრამ მე მინდა სხვა რამ აღვნიშნო. “Отрицание собственности, борьба против богатства и материальных благ” ხომ ახასიათებთ იმ ბერებსაც, რომლებიც ე. წ. ზოგადსაცხოვრებელ მონასტრებში (общежительные монастыри) ცხოვრობდნენ და რომელთაც არა აქვთ მიდრეკილება კერძო საკუთრების შესაძენად, რამდენადაც უანგარობის აღთქმა (обет нестяжательности) აქვთ დადებული ბერად აღკვეცის დროს. მაგრამ ბერები ხომ კომუნისტები არ იყვნენ და არც არიან?

შემდეგ, როდესაც ერესებზე ვლაპარაკობთ, ჩვენ არ უნდა ვმსჯელობდეთ აბსტრაქტულად. სექტები უნდა იგულისხმებოდეს გარკვეულ კონფესიონალურ ჯგუფებში, მაგალითად, მოზდაკიზში — ცეცხლთაყვანისმცემლობის წიაღში, მესალიანობა — ასურთა ეკლესიის წიაღში; პაველიკიანობა — ბერძნულ-ბიზანტიური დიოფიზიტურის, თონდრაკელობა — სომეხთა მონოფიზიტურისას, ბოგუმილობა — სამხრეთ სლავების წრეებში, ალბიგოელები — კათოლიკეთა ეკლესიის წიაღში, რომლებიც იგივე დიოფიზიტები არიან. (filioguee-ს დოგმატის აღიარებით).

ამრიგად, თვითეული სექტა (ან სექტები) გარკვეული ოპოზიციია სათანადო ოფიციალური ეკლესიისა და მისი იერარქიის (ჰიეროკრატიის წინააღმდეგ. პატივცემული შალვა წერს: “Уже с IV века существовала секта т.н. мессалиян или евхитов, которая считается предшественницей позднейшей секты т.н. “богомиллов”, сильно распространенной, по свидетельству представителя византийского Ренессанса Михаила Пселла, на Балканах” (გვ. 39); აგრეთვე იხსენიებს: “Лозунг открытой ереси”, начиная от тондранистов в Армении IX века и во всех разветвлениях манихейской ереси позднейшей формации” (გვ. 248).

აქ საჭიროა ქრონოლოგიის პრინციპის დაცვა, რათა სექტების დასახელება გარკვეული თანმიმდევრობით მოხდეს: მანიქეველები, მზდაკელები, ბარბორიტები, მესალინები (რომელთა კვალი საქართველოშიც არის), პაველიკიანები, ანუ პუბლიკანები (Publicanorum haeresis, რომელთა

კვალი საქართველოშიც არის), ე.წ. თონდრაკელები, ბოგუმილები, ალბი-გოელები და სხვ. კერძოდ პაველიკიანების შესახებ წიგნში ნათქვამია: „Это название “публикане” было равносильно “попликан” и, следовательно, этот путь искажения названия показывает осведомленность европейцев о проникновении ереси с Востока” (გვ. 346).

ამ ციტატასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ ხსენებული სექტების კვალი საქართველოშიც ბლომად მოგვეპოვება. ასეთებია: სოფლის სახელწოდება „ბუბლიკან“ (ძველი ასფარას, შემდეგში ელადიმი-როვკას მახლობლად) ფარაენის ტბის ნაპირზე, სადაც წმ. ნინოს გაუვლია ს. ფოკიდან; მთელი რიგი სოფლების სახელწოდება ბორჩალოში (ქვემო ქართლში) „მწყენეთი“ (თანახმად ეახუშტის რუკისა და ატლასისა). თონდრაკელებზე კი სახელოვანი ქართველი ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი წერს: „თოდრაკელი ურიდოდ ბოროტის მოქმედი“, „უყვარან თოდრაკელობა უფროს კეთილობისა“, „თოდრაკელი იყოს, გინა თუ მწვა-ლაბელი“. რჯულის კანონი“.

საერთოდ ცნობილია, რომ არა მხოლოდ სომხეთში, არამედ აგრეთვე სამხრეთ საქართველოშიც და პერეთშიც ერეტიკულ მოძრაობათა კერები ყოფილან, როგორც გვიმომწმებს არსენ საფარელის „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“, სადაც ნაგულისხმევია „სომხეთის ხეობაც“, რომლის გზითაც უნდა გადმოსულიყვნენ ქართლში ანტონ მარტომყოფელი და დავით გარეჯელი, რომელთაც ერთხანს სომხეთში უცხოვრიათ.

შ. ნუცუბიძე ერთ ადგილას აღნიშნავს, რომ საქართველოში თავიშე-საფარს პოულობდნენ საბერძნეთიდან გაქცეული ან გადასახლებული მაქსიმე კონფესორი (ანუ აღმსარებელი) და სომხეთიდან დავით ანალითი (ანუ უძღვეელი). მართალია, მაქსიმე ექსორია-ქმნილი იყო ლაზიკაში, კერძოდ მურის ციხეში ცაგერთან. მივიწყებულია იოანე ზრიზოსტომი ანუ ოქროპირი.

პროფ. შ. ნუცუბიძე: მე ფილოსოფოსები მაინტერესებდა.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი: აი ეს იოანე ექსორია-ქმნილი იყო აფ-

ზაზეთში — პიცუნდასა ანუ ბიჭვინთაში, თუმცა გზაზე სომხეთში გარდა-
იცვალა. შემდეგ, ღვით ანღთის შესახებ ნუცუბიძე წერს: “Сведения о
выдающемся армянском философе Давиде Анихте (Непобеди-
мом) очень скудны, и его личность окружена тайной. Как обы-
чно, церковь, как идеология господствующих классов, по-види-
мому, сделала все, чтобы уничтожить сведения о нем. Его кли-
чка - “непобедимый”, сохранившаяся в греческих и грузинских
источниках, заставляет думать, что он принимал участие в
страстных диспутах того времени и всегда выходил победите-
лем” (стр. 81).

“Спрашивается, на чьей стороне мог выступить армянский
философ Давид в борьбе между христианством и ересью в Ар-
мении”? Тут надо принять во внимание, что, согласно сохрани-
вшимся сведениям, Давид был изгнан из Армении. Само собой
разумеется, что Давид мог быть изгнан только как противник
господствующей идеологии, т.е. как еретик, как отступник.

“Трудно сказать, каково было умонастроение философа Да-
вида. Церковь, как обычно, постаралась уничтожить следы ере-
тической деятельности Давида. Во всяком случае, философская
деятельность Давида представляется как процесс, первая часть
которого была посвящена комментированию Аристотеля, а вто-
рая - неоплатонизму” (стр.82).

“...Но, с другой стороны, не видно элементов ареопагическо-
го неоплатонизма, уже обнаружившегося с первой трети VI ве-
ка. Таким образом, и рамки философско-идеиной деятельности
философа Давида проливают свет на хронологические даты его
жизни и деятельности” (стр. 82).

და ბოლოს: “В Грузии же, убягая от преследования, кончил
жизнь выдающийся армянский философ” (стр. 86, 112-113, 114,
117-118, 242, 252, 318, 357).

შ. ნუცუბიძე დავით ანაღოს ანუ უძლეველს სთვლის ე.წ. „სირიელ მოღვაწეთა“ მე-14 პერსონაჟად (გვ. 292, 318), და ფიქრობს, რომ სირიიდან საქართველოში წამოსულთა რიცხვი 13 იყო.

ვსარგებლობ შემთხვევით, რომ აღვნიშნო, — V-VII საუკუნეთა მანძილზე სომხეთში სულ ცოტა 6-7 დავითი იყო ცნობილი — ფილოსოფოს, სიბრძნის-მოყვარე, პიიტიკის, ქერდოლის ეპითეტით და, წარმოიდგინეთ, თითქმის ყველას „უძღვედ ფილოსოფოსს“ („ანაღთ ფილოსოფოს“-ს) უწოდებენ. მოკლედ რომ ვთქვათ, თუ დავითია, მაშასადამე უძლეველია (ფილოსოფოსია), ხოლო თუ ფილოსოფოსია, უთუოდ დავითია. მე, სამწუხაროდ, წარსულ სხდომებს არ დავსწრებივარ, ალბათ, პროფ. კ. კეკელიძემ რაიმე სტკვა ამის შესახებ.

პროფ. შ. ნუცუბიძე: კ. კეკელიძეს ამაზე აქ არაფერი უთქვამს.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი: როგორც პროფ. კ. კეკელიძის სათანადო გამოკვლევებიდან სჩანს, ეს 13 — სიმბოლური რიცხვია ქრისტესა და მის 12 მოციქულთა რიცხვის ანალოგიით. სინამდვილეში კი 17 მოღვაწე უნდა ყოფილიყო, თუ ვიგულისხმებთ დავით გარეჯელის მოწაფეთ დოდოსა და ლუკიანეს, იოანე ზედანელის — იოანე დიაკონს და შიო-მღვიმელის — ევაგრეს, მაგრამ საქმე ის კი არ არის, მოღვაწეთა რიცხვი 13 იყო თუ 17, ან მეტი ან ნაკლები, არამედ ის, რომ დავით უძლეველი (ერთ-ერთი დავით უძლეველთაგანი) იყო ერთ-ერთი ამ 13 ან 17-თაგანი, როგორც ნაჩვენებია ჩვენს სათანადო ნაშრომში სომხურ ენაზე „დავით უძლეველის საქართველოში ყოფნის გარშემო“, რომელიც წინასწარ რედაქციაში მოხსენებადაც იქნა წაკითხული ქართულად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ სამეცნიერო სესიაზე, სადაც ის თქვენც, პატივცემულო შალვა, მოისმინეთ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩენი აზრით, დავით უძლეველი (ერთ-ერთი დავით უძლეველთაგანია) და დავით გარეჯელი ერთი და იგივე პირია, რომელთაც ახასიათებს ე.წ. „полуматериализм“ Аристотеля, როგორც ნათქვამია თქვენი წიგნის 125-ე გვერდზე, და რომლის გამომხატველია დავით გარეჯელის ცხოვრებაში დაცული შემდეგი ადგილი, მისივე „სწავლის წიგნიდან“ (რომელიც არისტოტელეს „ფიზიკა“-ს ემთ-

ხვევა): „ყოველივე ნივთი ქუეყანისანი ცვალებადნი არიან და წარმაკვალნი, და ყოველი ჟამისა შორის აღორძინებული და მყოფობად მოწვეწული ჟამისავე თანა განიხრწნება, ვითარ დაუდგომელი და წარმდინარე...“ (საქ. სამოთხე, გვ. 271-272). ასეთი აზრები დავით უძლეველის თხზულებებშიც არის აღბეჭდილი. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ დავით გარეჯელის ანუ გარეჯელის მოწაფეთა — დოდოსა და ლუკიანეს ხსენება შედეგია პერსონიფიკაციისა: დოდო (დოდო რქისა) - tragelafos - cimaira - hircocervus-ის, ხოლო ლუკიანე — lukeson-ისა. თვით „გარე-სჯა“-ც, ჩვენი აზრით, ფილოსოფიური ტერმინია პერიპატეტიტიკოსის მცნებასთან დაკავშირებული, მაგრამ ყველამე შესანიშნავი ის არის, რომ დავით გარეჯის უდაბნოს გამოქვაბულის ნალესზე დაცულ ერთ-ერთ სომხურ წარწერაში „უძლეველი ფილოსოფოსის“ (ანაღთ ფილოსოფოს) საფლავია მოხსენებული. ამიტომაც დავით უძლეველის (ერთ-ერთ დავით უძლეველთაგანის) და დავით გარეჯელის ანუ გარეჯელის იდენტიფიკაცია, რომელიც ჩვენს მიერ არის წამოყენებული, არ უნდა იყოს უსაფუძვლო. და ეს იდენტიფიკაცია არაა სათაკილო არც სომხებისა და არც ქართველებისათვის.

თქვენ, პატივცემულო შალვა, ხშირად იმოწმებთ კლემენტი ალექსანდრიელს, ორიგენს, ავგუსტინეს და სხვათ. საინტერესოა, რომ ყველანი აფრიკელები არიან, მაგრამ ერთ ადგილას (გვ. 56) თქვენ იხსენებთ კირილე ალექსანდრიელს, რომელზედაც არაფერს ამბობთ. იბადება კითხვა: ეს კირილე ხომ არ არის შეცდომით მოხსენებული კლემენტის ნაცვლად (პროფ. ნუცუბიძე — მანდ 56-ე გვერდზე ტექნიკური შეცდომაა). მე კი ვფიქრობ, რომ აქ სწორედ კირილე ალექსანდრიელი უნდა იყოს, რომელიც თქვენ გამოგრჩათ. საქმე ისაა, რომ ღვთის ანუ ლოგოსის განკაცების დოქტრინა (mia fntit... tin Logon tetarkamen) მომდინარეობს კირილე ალექსანდრიელიდან, „რომელიც ტიმოთე ელუროსის ანუ კნაფეუსის (მკაწერელის) „geoz estaurwqh“-თან ერთად საფუძვლად დაედვა მონოფიზიტურ ქრისტოლოგიურ დოქტრინას, რომლის ანტითეზად გვევლინება პაეღე სამოსატელის დოქტრინა (K. Ter-Mkrttschian. Die Pa-

ulikianer im Byzantinischen Kaiserreiche und verwandte rische heinungen imenien. Ig 1893,4) ქრისტეს მხოლოდ ადამიანურობის შესახებ, რომელსაც ფართო გასავალი ჰქონდა მდაბიურ წრეებში, თქვენ, პატივცემულო შალვა, თქვენი წიგნის 32-ე გვერდზე წერთ: “первая форма “открытой ереси”, как выражается Энгельс, это “павликианство”. Его отдаленные корни восходят к IV веку. В его основе лежит манихейство. Родиной павликианства следует считать Армению. Само наименование секты, по-видимому, связано с именем апостола Павла. Во всяком случае, с V века все течения, расширяющие и углубляющие христианское миропредставление, связывали себя с апостолическим именем” (стр. 32). ეს ცნობა თქვენ მოყვანილი გაქვთ დოლინგერის გამოკვლევის მიხედვით 1890 წლის გამოცემით. მაგრამ ასეთი შეხედულება არაა სწორი. პავლიკიანობა „პაველე მოციქულთან“ კი არა, არამედ პაველე სამოსატელის სახელთან უნდა იქნას დაკავშირებული, რამდენადაც პავლიკიანობა-თონდრაკელების ლოზუნგები პაველე სამოსატელის ქრისტოლოგიას უახლოვდება, როგორც ეს, სხვათა შორის, სომხურსა და ქართულს აპოკრიფულ ლიტერატურაში არის აღბეჭდილი. მე ვვულისხმობ ავეგაროზებს — თალისმანებს, სადაც ნახსენებია ქრისტე-კაცი და არა ღმერთი, და, წარმოიდგინეთ, XI საუკუნის ქართულ ილუსტრირებულ სახარებებშიც კი (გელათისა და ალავერდის), სადაც ავეგაროზები დანართის სახით არიან შეტანილნი. ეს მაჩვენებელია იმისა, რომ ყველა ლიტერატურაში, კულტურის ყველა სფეროში, ჩვენ უნდა ვივულისხმოთ ორი ძირითადი ნაკადი: ერთი — გაბატონებული კლასისა, მეორე — მდაბიო ხალხისა, დაჩაგრულთა ფენისა.

II.

ახლა გადავდივარ შენიშვნათა მეორე ნაწილზე. აქ ბევრი ითქვა რენესანსის ცნების გარკვევის საკითხზე. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს კლასობრივი საზოგადოების ისტორიაში, რომელიც ძირითადად ფეოდალიზმის ჩარჩოებში თავსდება, ფე-

ოდალური კულტურა მრავალი საუკუნეების მანძილზე, რომელიც სულ ცოტა 20 საუკუნით მაინც განისაზღვრება, განიცდიდა ხან აყვავებასა და ხან დაცემას. ამ ოცი საუკუნის მანძილზე ჩვენ გვაქვს რამოდენიმე ეტაპი აყვავებისა, ვთქვათ მეორე და პირველ საუკუნეში ჩვენს ერამდე, შემდეგ მესუთე-მეშვიდეში და მეთერთმეტე-მეცამეტე საუკუნეებში. აი, ამ აყვავებათა ყველა ეტაპებს შორის ყველაზე დამახასიათებელი, ყველაზე უფრო მაღალ XI-XIII სს-ის პერიოდი დგას, რომელიც ფეოდალური კულტურის ჩარჩოებში განუმეორებელი რჩება: სწორედ აქაა საერო მოტივების შეტანა ხელოვნებასა და მწერლობაში ანტიკური ფილოსოფიისადმი ინტერესის გაღვიძებით და ქალაქთა გაცხოველება. აკად. ნ. მარმა და ი. ორბელმა თავის დროზე წამოაყენეს დებულება ლიტერატურისა და კულტურის ძეგლებთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ ლიტერატურული ძვრები, რომლებიც იწვევდნენ, პირველ ყოვლისა, ბიბლიის თარგმანთა გადასინჯვასა და შესწორებას ახალი მოთხოვნის მიხედვით, არც მეტი და არც ნაკლები, გამოძახილია იმ სოციალური ბაზისისა, რომლის საფუძველზე ხდებოდა ძვრები ნივთიერი კულტურის (ხელოვნების) დარგშიც. ასე, მაგალითად, იმ ხანაში და იმ რაიონებში, სადაც ბიბლია ასურულიდან ითარგმნებოდა სომხურად, ამის პარალელურად სომხეთში სჭარბობდა სამნაეიანი ბაზილიკების მშენებლობა. როდესაც და სადაც კი ბიბლიას ბერძნულიდან თარგმნიდნენ, მაშინ ამის პარალელურად შენდებოდა ცენტრალურ-გუმბათიანი ჯვარის რიგის ტაძრები. ხოლო როდესაც ასურულიდან ნათარგმნ ბიბლიას ამოწმებდნენ და ასწორებდნენ ბერძნულის მიხედვით, მაშინ ხდებოდა ბაზილიკალური ეკლესიების გუმბათიან ტაძრებად გადაკეთება-გადაშენება (მდრ. ლ. მელიქსეთ-ბეგი. ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941, გვ. 57).

ასე, როდესაც ვლაპარაკობთ რენესანსის ანუ, ჩვენებური გამოთქმით, აღორძინების შესახებ, არ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული ძეგლების მიმოხილვით დაკმაყოფილდეთ, არამედ საჭირო არის ჩვენი დიაპაზონი უფრო გაეფართოვოთ. ამასთან საჭიროა აღინიშნოს ნ.

მარს მითითება, რომელიც გამოქვეყნებული იყო “Известия Академии наук”-ში (1927, стр. 364), სადაც იგი უსაყვედურებდა „ეფუხისტყა-ოსნის“ გამოძეგმლებს (რომელთაც ვთხოვ საწყენად არ მიიღონ): “Все трое (დღეაში: три), увы, без вкуса к истории материальной культуры, да и социологической постановке вопроса о такой, бесспорно, общественной категории явлений, как “Витязь в барсовой коже”. ამის შემდეგ 20 წელმა განვლო, მაგრამ ამ საკითხში არავითარი გარდატეხა არ ეტყობა. ნ. მარი სრულიად მართალია, როდესაც წერს: “Кто хочет не только наслаждаться венцом древне-грузинской светской литературы - “Витязем в барсовой шкуре”, но и понять его гениального творца Шоту из Рустава, тот должен знать историю художественных памятников армянского зодчества, особенно гражданского в Ани; кто желает понять великих, в большинстве безымянных, анийских художников-архитекторов, их поразительные творения, тот должен углубиться в изучение грузинской романтической поэмы “Витязь в барсовой шкуре”, этого шедевра средневековой поэзии христианского Востока” (Н. Марр. Ани, стр. 37).

აკად. ი. ორბელი წერს:

“Вышедшая из княжеской среды поэма Руставели, город Ани со всем многообразием его населения и идущие из народных толщ полные язвительности и свежего юмора басни, - вот части того тройного зеркала, в перекрещении лучей которого встает в своем подлинном облике Кавказ эпохи Руставели” (Памятники эпохи Руставели, стр. 21).

აგრეთვე: “Работы в Ани, использовавшие всю полноту исторических источников, дали картину строя городского управления, картину роста влияния общественных, в первую очередь цеховых организаций, картину, во времени опережающую то, что в ту же эпоху наблюдается в странах Западной Европы”

კონკრეტულად რომ ვილაპარაკოთ სახუროთმოძღვრო ძეგლებზე, პირველ ყოვლისა უნდა ვახსენოთ ახთამარის ტაძარი ვანის ტბაზე, სადაც საერო მოტივების გამოყენება უხვად არის წარმოდგენილი. შემდეგ აღსანიშნავია კათედრალური-გიგანტები, რომლის მსგავსი საბჭოთა კავშირში არსად არ მოგვეპოვება. მაგალითად: ოშკი — X საუკუნის მიწურულში, ანისისა 1001 წელს, ბაგრატის ტაძარი ქუთაისის უქიმერიონზე 1003 წელს, სეტიცხოველი 1028 წელს, ალავერდი 1040-იან წლებში.

ეს არის, თუ გნებავთ, გამოძახილი იმ სიდიადისა, რომელიც განიცადა სომხეთმა და საქართველომ, და რომელიც შემდეგ არ განმეორებულა, რასაკვირველია, ფეოდალიზმის ხანაში. და ეს მით უმეტეს მნიშვნელოვანი ამბავია, რომ სწორედ ამ დროს მოხდა კონსოლიდაცია ქართლ-იბერიის ეთნიკურ ერთეულთა, რამდენადაც ამავე დროს ეკუთვნის ტერმინი „ქართველის“ წარმოშობა, რომელიც არის შერწყმა „ქართ-ვერ“ — „ქართველ“-ისაგან. X საუკუნეში გ. მერჩული ჯერ კიდევ „ქართლ“-ს იხსენიებს. ხოლო „ქართველი“ და „საქართველო“ პირველად XI ს. ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი ხმარობს. აი სწორედ ამ მოკლე ხანაში, რამოდენიმე კვირის წინათ, საქ. პოლიტ. ინსტიტუტში დაცული იქნა დისერტაცია (არქიტექტორ რ. ალაბაიანის მიერ) თემაზე: “Композиция купольных сооружений Грузии и Армении”, რომლის თეზისებში ვითხულობთ შემდეგს: “Крупные сооружения эпохи нового расцвета архитектуры Грузии и Армении (IX-XII-XIII вв.), возникшие на базе подъема феодальной монархии в Грузии и появления мелких царств и княжеств в Армении являются олицетворением новой идеологии, воплотившей в себе новые цели и замыслы. Такими памятниками, отражающими мощь господствующих классов, являются средневековые кафедралы в Грузии и Армении” (стр. 19). “Бурный рост городов, торговли и ремесел, знаменующий начало новой стадии в истории культуры Грузии и Армении и предвосхитивший соответствующую стадию разви-

тия ряда стран Западной Европы, оборвался вследствие нашего завоевателей из Азии...” (стр. 20).

ამის გვერდით ადგილი აქვს საქართველოსა და სომხეთშიც ლიტერატურის ხელახლად აყვავებასაც, დაინტერესებამ ფილოსოფიით და სხვ. მე მინდა აქ მოვიყვანო „დავით მეფეთა მეფის (ე. ი. აღმაშენებლის) ისტორიკოსის ერთი საგულისხმო ცნობა დავითის ოჯახური სფეროდან: „ასული თვისი გაგზავნა საბერძნეთს რძლად ბერძენთა მეფისად, რამეთუ პირელ ამისა პირმშო ასული თამარ გაგზავნა შირვანისა დედოფლად (ე.ი. აღსითან I ცოლად), რათა ვითარცა ორნი მნათობნი: ერთი აღმოსავალს, ხოლო მეორე დასავალს ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა მამისაგან მიმღებელნი, მზეებრთა შარავანდელთანი“ (ქართლის ცხოვრება ანა დედოფლისეული ნუსხა, თბ., 1942, გვ. 212). აქ მთავარი ის კი არაა, რომ საქართველოს მეფეს — დავით აღმაშენებელს თვისი ქალიშვილები გაუთხოვებია, უფროსი შირვანს და უმცროსი ბიზანტიამი, არამედ ის, რომ აქ აღნიშნულია ფეოდალური მონარქიისაკენ აღმავალი XII საუკუნის საქართველოს სულისკვეთების დახასიათება კოსმიზმის პრიზმით და ქალის კულტის გადანაშთების ზაზგასმით იმავე საქართველოში, რომელიც XII საუკუნის უსახელო ისტორიკოსს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ზიდად მიაჩნია. როდესაც ვლაპარაკობთ შოთა რუსთაველზე, სწორედ ამ რენესანსის პრობლემასთან დაკავშირებით, პირველ ყოვლისა, საჭიროა მოგვარდეს საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის შესახებ, რომელიც 1937 საიუბილეო წლიდან თითქოს საბოლოოდ დადგენილია. მაგრამ მაინც ზოგი რამ გაურკვეველია. ვგულისხმობ პროლოგის ცნობილ ტაქსს, სადაც ნათქვამია: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“, სადაც სპარსული და ქართული ეთნიკური ტერმინები კი არ არის, არამედ პირველი კონფესიონალური (მაჰმადიანურის, მუსლიმანურის) გაგებით, ხოლო მეორე როგორც პოეტიკის ცნება. მაგრამ მოვუსმინოთ თვით ნუცუბიძეს: “Надо полагать, что kharthuli обозначает речь, стиль, способ высказываний. Это слово повторено в самой поэме в такой строфе, подлинность которой не может подлежать сомнению

(სტრ. 70). В нашем переводе kharthuli переведено словом “речь”... Ясно, что Руставели говорит не о “сладкой грузинской”, а о “сладкой речи”. Аналогию последнему можно усмотреть в итальянском “dolce stile”, где также говорится о “сладкой речи”, которая относится к моменту зарождения итальянского предренессанса” (стр. 377).

მე უნდა მოგახსენოთ — ამის დასაბუთება, რომ „ქართული“ პოეტიკის ცნებაა, ძნელი არ არის. XII ს. სომეხი იურისტის მხითარ გომის „სომხური სამართლის წიგნის“ ქართულ თარგმანში ნათქვამია: „უნდა მონანება მღვდლის „ქართულით“, როგორც შესატყვისი სომხური ღედნის“. შემდეგ, „ვეფხისტყაოსნის“ ყარაბაღულ ვარიანტთან დართულ ლექსიკონში განმარტებულია: „ქართული — სიტყვა, ანუ უბნობა თავაზიანი“. საიათნოვა ერთ-ერთ ქართულ ლექსში ამბობს: ერთი სიტყვა მაქვს ქართული“ და სხვ. ასევე არის ნაგულისხმევი ეს ტერმინი თქვენს (მიმართავს პოეტ კ. ჭიჭინაძეს) „ვ. ტ.“ სიმფონიაში.

თანამედროვე ქართულში ხშირად იხმარება გამოთქმა: „კარგი ქართული“, რასაც პროფ. ვუკოლ ბერიძეც დაადასტურებს. „რა კარგი ქართული სიტქა“-ო. ასეთი შეგზვდებათ სომხურ სინამდვილეშიც, სადაც იხმარება „ჰაირენ“ — „ჰაიერენ“, აგრეთვე არა ეთნიკური მნიშვნელობით, არამედ როგორც პოეტური ხერხის გამოხატულება. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ტერმინ „ქართული“-ს მაღალი შაირის მნიშვნელობით გაგებისათვის არ არის საჭირო შორს წასვლა — იტალიაში, როდესაც აქვე საქართველოს მეზობლად სომხეთში ყოფილა ანალოგიური ტერმინი და გაგებაც „ჰაირენ“ II „ჰაიერენ“.

პროფ. შ. ნუცუბიძე: შეიძლება სომხეთიც იყოს და იტალიაც.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი: რენესანსის საკითხთან დაკავშირებით უნდა განხილული იქნას რუსთაველის მსოფლმხედველობაც, რომელზედაც პროფ. იუსტინე აბულაძემ ბევრი ილაპარაკა, მაგრამ მე სხვა პოზიციით უნდა მივუდგე ამ საკითხს: იყო თუ არა რუსთაველი მანიქეველი, ე.ი. ერეტიკოსი-მწვალებელი, როგორც ამ ოციოდე წლის წინათ ამტ-

კიციბდა პავლე ინგოროყვა. ცნობილია, რომ XIII საუკუნის უსახელო „უამთა აღმწერლის“ ტექსტში მოხსენიებულია: „მოთა კუპრი“ და „მანის ფერი“, რომელიც ინგოროყვამ მანიქეველს დაუკავშირა, მაშინ, როდესაც იმავე თხზულების ვარიანტებში „მანის ფერის“ ნაცვლად „შავის ფერი“ იკითხება, რის გამოც „კუპრი“-ს „კუფარად“, ე. ი. უსულოდ აღიარება უზრო ხდება, და „შავი ფერი“ შავგერემანის სინონიმად უნდა მივიჩნიოთ. ეს საკითხი საკმაოდ გულდასმით განხილულია დოც. ს. იორდანიშვილის წერილში „უამთა აღმწერლის ერთი ცნობის შესახებ“ (თსუ, შრომები, ტ. III, 1936, გვ. 167-181).

შალვა ნუცუბიძე 247-ე გვერდზე წერს: “Путь от Григория Нарекаци до Ерзинкайских поэтов весьма извилистый в связи с трагической судьбой армянского народа”.

“რუსთაველი не стоял и не мог стоять в стороне от этого движения. Более того, в XII веке Грузия становится центром идеологического развития единой закавказской культурной семьи народов. Правда, Армения, в отличие от Азербайджана, где влияние исламской схоластики на некоторое время вытеснило влияние мистико-еретического суфизма, сменив его дервишским и правоверным суфизмом, переживала длительное воздействие сильного еретического движения, но разгром этого движения, залитого кровью, не прошел даром, и в начале XII века знамя мистико-еретической обработки неоплатонизма оказалось в Грузии. Насколько тесны были культурные связи народов Закавказья, видно из того, что эти идеи в условиях новой общественности, роста городского населения, организации ремесленников и т.д. дали сильные результаты не только в Грузии, но и в Азербайджане. Поэтому, если армянская поэзия в X веке в лице Григора Нарекаци вступила в предренессанс, то в XII веке Ренессанс выявился в Азербайджане в лице Низами и был доведен до высшей точки в Грузии у Руставели на грани

XII и XIII веков. Оправившаяся от исторических ударов Армения снова вступает в процесс Восточного Ренессанса с XII века и в XIII-XIV веках творчески воспроизводит этот процесс” (стр. 247).

XII-XIII სს-ის მიჯნაზე ამიერკავკასიის ხალხთა პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრად საქართველო იყო, ამის გარეგნული გამომხატველია, სხვათა შორის, საქართველოს მეფის ტიტულატურაში შეტანილი „მანშა“-ს და „შარვანშა“-ს ხსენება, რომელთაგან პირველი შირაკის ბაგრატუნიანთა სომეხთა მეფის ტიტულია — „შაჰან-შაჰ“ (მეფეთა მეფე), საიდანაც შემდეგში წარმოიშვა სახელი „შაჰნაშაჰ“, ქართულად „შანშე“ (აქედანაა გვარიც „შანშიაშვილი“); ხოლო მეორე შირვანის მეფის ტიტულია — „შირვან-შაჰ“ (შირვანის შაჰი) ანუ „შარვან-შაჰ“ (შდრ. „ხორეზმ-შაჰ“, „არმენ-შაჰ“ და სხვ.). სხვათა შორის, საინტერესოა ისიც, როგორ მოხდა, რომ სომხეთში ვერ განვითარდა რაინდული ლიტერატურა, მაშინ როდესაც ასეთი საქართველოში და აზერბაიჯანში საკმაოდ იყო ცნობილი. ჩვენ ჩვენს სტატიაში „შ. რუსთაველი და სომხური ლიტერატურა“ (კრებულში „შ. რუსთაველი სკოლაში“, 1937) აღვნიშნეთ, რომ „რაინდული“ (рыцарская) ლიტერატურა სამეფო კარის გარშემო თავმოყრილ მოსახლეთა შემოქმედებითს ხერხს წარმოადგენდა, რომელსაც ე.წ. ჩრდილო სომხეთი XI საუკუნიდან მოკლებული იყო. როდესაც პატივცემული შალვა სომხეთის რენესანსის საკითხს ეხება, ამასთან ერთად სომხურ მოღვაწეებს გრიგოლ ნარეკელს, გრიგოლ მაგისტროსს, ფრიკს, იოანე და კონსტანტინე ერზინკაელს იხსენიებს. მე მიმაჩნია, რომ აქ დაშვებულია დიდი ხარვეზი. გრიგოლ ნარეკელი და გრიგოლ მაგისტროსი X-XI სს. მოღვაწეებია. დანარჩენები კი XIII-XIV საუკუნისა. მამასადამე XII-XIII საუკუნეების ლიტერატურა მას გამორჩა.

პროფ. შ. ნუცუბიძე: არ გამომრჩა. მე მაინტერესებდა ფილოსოფოსები.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი: თქვენ არა გაქვთ მოხსენებული იოანე სარკავა ვარდაპეტი ახპატელი, პავლე ტარონელი, ხაჩატურ ტარონელი,

